UDC(უაკ) 050(479.22) ISSN 2233-3312
ა-376

ჯუმბერ ლეჟავას სახელობის საერთაშორისო მეცნიერებათა აკადემია

ა თ ი ნ ა თ ი

2023 / 2 / (48)

თბილისი
2023



***

გული შენი რწმენით ცოცხლობს,
დარდიანი ვეღარ მღერი,
გთხოვ, უფალო, მომაცოცხლო,
ვცდილობ შევიყვარო მტერი!

გულნაზ ხარაიშვილი



„ჯვარცმა“
ხატმწერები: **გიორგი** და **ხატია ლარიაშვილები**



„ფერისცვალება“



დეისუსი. ხატმწერები **გიორგი** და **ხატია ლარიაშვილები**

მამა გაბრიელი

შენი მადლით გული მოვირჩინე,
შემოფრინდა ჩემში გაზაფხული,
გამამდიდრე, ლექსში დამარჩინე,
ნიჭი გქონდა ჩემთვის შენახული.

გულნაზ ხარაიშვილი



უწმინდესი და უნეტარესი,
საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II
უნდა იცოცხლო უწმინდესო

ჩვენი წმინდანი აცოცხლე ღმერთო,
მიეც წლები, რომ ჩვენთვის ილოცოს,
სულს უკვდავების სანთლები ენთოს,
საქართველო რომ გამომიცოცხლოს!

გულნაზ ხარაიშვილი

მეუფე თადეოზი
(მირიან იორამაშვილი)

****

შენს საფლავთან ყვავის ია-ია,
კვლავაც ცოცხლობ, რას მიქვია გლოვა,
უფლის რჩეულს გულზე დაგაყრიან,
სიყვარულით ყვავილების თოვას.

გულნაზ ხარაიშვილი

სიკეთის სხივით
(მამა ამირან ამირანაშვილს)

და მოდიოდა, სიკეთის სხივით,
ალალი გულით, სითბოს ჩვეული –
მამა ამირან, ვით ბროლის მძივი,
არის ყველასგან გამორჩეული.
აკადემიის წევრობის დღიდან,
ლოცავს დიდსა და.. ლოცავს პატარას,
მისი ხმის ტემბრი მწვერვალობს ღვთიდან,
ფლორაც, ფაუნაც, მისით დამტკბარა.
უფალო, დიდხანს არ მოგვიშალო,
მოძღვარის ლოცვა, მისი ბუბუნი –
მამაოს სითბოს არ გვაშიმშილო,
რადგანაც გალობს როგორც ბულბული.

გულნაზ ხარაიშვილი

შევქმენ ჟურნალი

აგერ წიგნები, თვალით რომ ხედავთ,
მეკი დარდებში შემომაღამდა,
მოკრძალებულად დღეს სიტყვას ვბედავ,
ლექსში კი გული ბევრჯერ აბღავლდა.
მარტოდ არა ვარ, ღმერთია ჩემთან,
მწრთვნის ისე როგორც ფოლადის ტყვია,
მე მის გარეშე სიტყვა არ მითქვას,
ვწერ და წყნარ ნიავს უფალთან მიაქს.
შევქმენ ჟურნალი არც თუ ურიგო,
წმინდა გიორგის, ნინოს ხატებით,
ვცდილობ სიკეთის ნერგი დაგირგოთ,
თუმც დარდიანი თქვენთვის დავტკბები.
ლეღვის რძესავით მდის სისხლი ხშირად,
და იობივით ვითმენ განსაცდელს,
მასაც დავლოცავ ვინაც მე მწირავს,
ბოროტებისთვის წლებს არ გავაცდენ.

გულნაზ ხარაიშვილი
ჟურნალ „ათინათის“ მთავარი რედაქტორი
ჯუმბერ ლეჟავას სახელობის საერთაშორისო
მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი

ჯგუფი ზღვარი

ჯგუფ ზღვარის პოეტები

სერგი ლომაძე

* * *

გულს მოეჯარა ყველა დიდგორი;
გულს მოეჯარა ყველა გოლგოთა...
ცას რომ ეხატა, აი ის ქორი
სულში ჩავარდა... მეტად როგორ ვთქვა,
რომ გადავიწვი, ლექსის სტრიქონნი,
ჰგავს შემოსევას თათარ-მონღოლთა.
  მე მაინც ლექსთა ომებით ვცოცხლობ,
  ცხოვრების ომებს ამით გადავშლი,
  დავდივარ, როგორც დაჭრილი ლომი,
  ჩემი სიზმრებით შექმნილ ქალაქში,
  ჩემივ გულია სამყარო-ომი,
  მკერდში მფეთქავი განძი _ ბადახში.
სიკვდილ-სიცოცხლე ერთი ხაზია;
სიკვდილიც, თურმე, სიცოცხლე არი;
ცვალებადობას მუდმივს, აზრიანს,
უსაზღვროებას, ეწოდა ზღვარი.
ამ სიტყვას ძალზე ბევრი აზრი აქვს,
არ იბურება, აქ, გონის კარი.
  სიცოცხლე არის მოგზაურობა;
  მოგზაურობა არის სიკვდილი;
  მოგზაურობაც თვითონ ზღვარია,
  ვით გულის ფეთქვა, გულის ტკივილი...
  მე პოეტი ვარ, და მიხარია
  აისის ჩიტთა ჟივილ-ხივილი...
ევერესტია, ჩემთვის, დიდგორი;
ევერესტია, ჩემთვის, გოლგოთა...
და თუ ოდესმე ნაპირს ვიპოვი,
ოკეანისას... აი, როგორ ვთქვა, _
მინდა გადმოვცე უსასრულობა...
ლექსი კი დადგა ცასთან, როგორც მთა...

მგზავრი, უდაბნო, ავე მარია...

ღვთისმშობელს ჰქონდა თვალები ლურჯი,
როგორც იესოს... ფიქრად არიან...
და იმ თვალებით, ჩამწვდომი, გულში,
მზერა იცოდა, თურმე, მარიამ.
  ქარია, და შენ იმ მზერას ეძებ,
  შეშლილ ქარებში დადიხარ მარტო,
  გსურს ხეტიალი კოსმიურ ქედზე,
  მთა-ვარსკვლავეთის სივრცეებს არ თმობ, _
აი, ეს არის გულის ძახილი,
თუმც სადაც შენ ხარ, იქ უდაბნოა,
სად გაქუცული მოჩანს ძახველი
და ეკალ-ბარდის უფერო გროვა.
  სიცხე, ტრამალი დაუსაბამო,
  ფერად სილების ქარში არევა...
  სადღაცა სხვაგან დარჩა სამყარო,
  დიდი გრძნობები, ცის აღსარება...
ღვთისმშობელს ჰქონდა თვალები ლურჯი,
ამ ლურჯი ფიქრით ხეტიალს ავსებ,
და ფანტაზიის მოვა ფასკუნჯი
და აგამაღლებს პოეტურ ცაზე...

* * *

შვიდ-რვა იანვარს
სხვადასხვაგვარად ვიხსენებ მე.
როგორც სხვა დღეებს,
ამ დღეებსაც ბევრჯერ მოვესწარ.
ზოგი რამ მახსოვს განსაკუთრებით,
მაგალითად _ ეს:
პირდაპირ თოვლში,
თოვლ-ყინვაში ანთია ცეცხლი.
პირდაპირ ცეცხლში ცვივა ფიფქები.
ნათელი ღამე არის, ხოდა
ცეცხლივით ღვინოს, ცეცხლაპირსა,
ვსვამთ
მე და ჩემი მეგობრები...
ქეიფი, შვიდში დაწეყბული,
რვაში დამთავრდა, გათენებისას.
დაფიფქულ ცაზე მზეს კი არა,
მზეებს ვხედავდით,
მრავალ მნათობს...

ძიებანი

მე ვეძებ საწყისს,
მე ვეძებ სასრულს,
და ისევ საწყისს...
ასე მარადის...
ვპოულობ წრეებს,
ჩაკეტილ წრეებს,
თუმც ამ წრეთაგან
გზები გადადის,
და საწყისებიც,
და სასრულებიც,
და ის სხვა გზებიც,
სულ სხვა სივრცებაც,
არის მთლიანი უსასრულობა,
არის ღმერთი და,
ასე იხსნება
ან არ იხსნება
ჩემი აზრები,
აზრები სხვათა,
აზრნი არავის...
და ეს ფიქრები
სანამდის გასტანს,
საწყის-სასრული, ფიქრთა,
სად არის...

თებერვალი

ყველა დრო საინტერესოა...
ყველა თვე საინტერესოა...
თებერვლის თოვლი.
ყინვა-თოვლი გვიანი ზამთრის.
პოეტის მარტოა სივრცეებში
პოეტი _ თავიდან ბოლომდე.
პოეტი _ სიკვდილამდე და
სიკვდილის მერეც.
თებერვლის ყივნა.
სივრცეები. ცეცხლი და თოვლი.
პოეტი თოვაში, ცეცხლის პირას.
წინ _ წითელი ცეცხლი.
მას უმზერენ ლურჯი თვალები,
მფლობელნი ლურჯი ცეცხლის.
დრო კი...
ერთად დგას დრო და უდროობა.
დიდებული სურათია.
არის მდუმარების ხმაური.
არის ხმაურის მდუმარება.
ლურჯი (მოლურჯო) დღეა,
თოვლგარეული, ცეცხლგარეული...
თეთრი ზამთარი
დგას თოვლის ტაძრად,
თეთრი თვეებით ავსებული...
ფიქრთა უსასრულო სივრცე:
პოეტი და მარტოობა...
პოეტი და მარადისობა...
თვალების ცეცხლი...
და ასე შემდეგ...

პოეტი ძველ კაფეში

იგონებს სტრიქონებს პოეტი.
პოეტი იგონებს სტრიქონებს.
სონატას უწოდა სონეტი.
სივრცეში მუსიკას იპოვნის.

მინორის ხმებია. დნებიან
ნოტები. ყავა და სიგარა
სამყაროს ბანს ეუბნებიან.
(სურათზე _ მხატვარი ნიკალა).

სონატა იღვრება სივრცეში.
სივრცეში იღვრება სონატა...
და ქალი _ სილურჯის მიზეზი,
პოეტმა სიტყვებად მოხატა

ფურცელზე... ხალხი კი ჭრელია,
ელიან ვიღაცას, რაღაცას...
ბურუსი არ გამოელია
კაფეს და მკრთალ შუქთა თამაშმაც

განავრცო წკრიალი მონეტის, _
ხურდებიც თურმე თავს იწონებს...
იგონებს სტრიქონებს პოეტი.
პოეტი იგონებს სტრიქონებს.

კახა ბაციკაძე

ოკეანური

შენ დაიბადე, ალბათ, მზის მტვერში,
სადაც სიბნელეც ნათელს უჯერებს,
ჩამოჰყოლილხარ ჰაერს ფილტვებში
და კიბოსავით მიღრღნი უჯრედებს.
  მე ვიცი სულის სტრიქონის ფასი,
  ჩამოშლილი ვარ გრძნობის სიტყვებად,
  შენი თვალების ციხეში დავრჩი
  და სამუდამოდ ამ ციხის ტყვე ვარ.
გადაგილეწავ სულის ჯებირებს,
აგიშრიალებ გულის დარბაზებს,
შენს ყველა მზერას დავიზეპირებ,
ვით არსაკიძე _ ტაძრის ნახაზებს.
  შენ დაიბადე, ალბათ, მზის მტვერში,
  სადაც სიბნელეც ნათელს უჯერებს,
  ჩამოჰყოლილხარ ჰაერს ფილტვებში
  და კიბოსავით მიღრღნი უჯრედებს...

ქოროღლი

მტკიცედ დადექი ციხევ ქოროღლის,
შენსკენ მოიწევს პოეტთა ფენა;
ის დრო დამთავრდა, შენ რომ ქორობდი,
დღეს ჩვენ ვაპირებთ შენს თავზე ფრენას.
  მაინც არ გატყდე ასე ადვილად,
  გადაგვიტყავე შლეგი მუხლები...
  თითქოს ლექსივით ცად ავარდნილხარ
  და საქართველოს ასე უხდები.
შენს სივრცეებში გაშლილა ლაღად
ქართული ფიქრი, ქართული სული,
ამოზიდულხარ წარსულის თაღად
და მომავალიც აქ ვართ მოსული.
  მტკიცედ დადექი ციხევ ქოროღლის,
  შენსკენ მოიწევს პოეტთა ფენა;
  ის დრო დამთავრდა, შენ რომ ქორობდი,
  დღეს ჩვენ ვაპირებთ შენს თავზე ფრენას...

აუზი

უნდა ვიყიდო მიწის ნაკვეთი,
ამისათვის დამჭირდება ბევრი ფული,
რადგან მიწის ნაკვეთი
უნდა იყოს უზომოდ დიდი.
დაბლობი ადგილის ყიდვა მომიწევს, _
ჩემი გეგმებისთვის ასე აჯობებს.
თუ მოვახერხე ოცნების ასრულება,
იქ გავაკეთებ
უზომოდ ფართე, ვრცელ,
გრანდიოზულ აუზს.
დიახ, ეს მიწა
აუზისთვის მჭირდება...
ხოლო აი მერე,
წავალ, მოვივლი მთელს სამყაროს,
მოვაგროვებ ადამიანთა ცრემელებს,
არ ვიცი, რა დრო დამჭირდება
ამისათვის, მაგრამ როცა
ყველა ცრემლს შევკრებ,
რაღა თქმა უნდა, მიხვდით, _
წამოვალ და
ჩემს აუზში მოვათავსებ,
იქ მივუჩენ ადგილს მათ,
და ეს იქნება სამყაროში
ყველაზე გრანდიოზული აუზი,
თავით ოკეანეებზე უდიდესი...
მაინტერესებს ღმერთის აზრი, _
რას იტყვის, როცა
ზემოდან დაინახავს
ჩემს მიერ მოწყობილ აუზს,
რომელიც იქნება
მის მიერ შექმნილ
ტბებზე, ზღვებზე, ოკეანეებზე
უფრო გრანდიოზული,
და სავსე
ადამიანთა ცრემლებით!..
თუმცა, ალბათ, ესეც
წინასწარ იყო გათვლილი, _
დედამიწაზე ხომ არ არსებობს
საკმარისი ზომის ხმელეთი,
იმისთვის, რომ
ასეთი სიდიდის აუზი შეიქმნას...

გიორგი ზუხბაია

აბსოლუტური ღამე

შეხვედრა ანუ ის ღამე დადგა,
და ჩვენ ვიყავით ცები და ფიცნი
მატარებელის ხმა ცაზე გაჩნდა,
ხმა-მოჩვენება, მავალი სივრცით.

  და მოესიზმრა შუქებს შუქივე,
  მარტოობები არეს ენამნენ
  ჩვენ იქ ვიყავით, ღამის გულის ქვეშ,
  და ვეხებოდით სულზე ერთმანეთს.

დრო არ ვიდოდა ღამით დილამდი,
ღამე შეერწყა უსრულეთს, ულევს.
მატარებელის ხმა კი, ვით ლანდი,
გადაეთოვა ვარსკვლავთა სულებს.

  ჰაერისაგან, სადღაც, ზემოდან,
  ხმა წარმოიშვა გრძნობის მუსიკის,
  სხვა არაფერი არ არსებობდა,
  შენ იღვრებოდი ჩემში შუქივით.

და სიშორეთა წარმომჩენელმა
წამი დატოვა უკვდავად უტყვი...
მატარებელის ხმა-მოჩვენება,
და ღამე, ღამე აბსოლუტური...

შენ, სიმეები, არფა...

(_ ის ქალი, თავდავიწყებით
რომ უყვარს მუსიკა, _ ჩაწერა
პოეტმა, ოდესღაც, თავის დღიურში...).

თითებს ახებ სხივთა სახეს
და მუსიკა გასიახლებს,
ცხოვრებისგან იცავ უთქმელს
ანუ _ იცავ სისათუთეს,
და არა გრძნობს არფა ზიანს,
და თითების ფანტაზია
ბგერებისგან ჰბადებს ხატებს,
სხივებს შორის მოფარფატეთ...
სულს გინამავს განცდა ისე,
ისე ნელებრ, ისე ცისებრ,
რომ თითების შენის ალით,
რომ სიმთაგან მოჟღერალი
ეს მუსიკა შენ თვითონ ხარ...
ცას რომ ჰყავხარ, რომ შეევნე,
შენ უკრავ და ჟღერხარ შენვე...

გარდა...

სულში მაქვს სივრცე
ყოფნის ვერმმხელი.
სიჩუმე მიცქერს
ცეცხლზე შეხების.
  დღეთა გუნდიდან
  გზა საზარია.
  არვის ვუნდივარ
  და მიხარია.
გული, ფარული,
დუმილს თუ უფლობს,
ეს სიხარული
სევდაა უფრო.
  სული ნთებულა
  უზღვრო ოტებით.
  კვლავინდებურად
  მე ვარ პოეტი.
ლექსსაც კი ვფანტავ
ვით ქროლვას ქარი.
პოეტის გარდა
მე ვარ არავინ.
  სივრცეთა ნატვრით
  ვცოცხლობ ნებისად _
  არისტოკრატი
  ლაჟვარდებისა...

პოეზია

ბერდიაკონი ნეოფიტე
გარეჯის ნათლისმცემლის მამათა მონასტერი 29 ნოემბერი, 2022 წელი.

მამა ნეოფიტე და
მსახიობი ლენგინოზ გიორგაძე

ვეფხვისტყაოსანი

გვახსენდება ლეგენდებად, მითებათ,
ის, რაც არის, ადათი და წესი,
თავისუფალ საქართველოს დიდების,
ნუ აყოვნებ- დამისხი და შესვი!

რაც ვაჟკაცებს გამარჯვებას ჰპირდება,
ღრმად გულებში რომ გაუდგამს ფესვი,
თავუსუფალ საქართვეოს დიდება-
ხალხში მღერის რუსთაველის ლექსი.

წარსულისკენ გავიხედე ფიქრებში,
რვაასი წლის იქით გადავეშვი,
ისევ ისე დახმარება სჭირდება,
გამომწყდეულს ციხესიმაგრეში.

ალბათ უფრო გემრიელი იქნება,
არა ჭიქით- სჯობს დავლიოთ პეშვით,
ის, რაც ქართველს, თან დაჰყვება ფიქრებად,
ხალხში მღერის რუსთაველის ლექსი.

ხელში იღებ, ჩახუტება გინდება,
ხმა ჩაგესმის ხმალ- ხანჯალთა ლესვის,
რუსთაველის საქართველოს დიდების,
გინდა პეშვით, გინდა ყანწით შესვი!

რა ვიღონო

***

რა ვიღინო, რით გიწამლო, რით გიშველო?
შენ ტკივილო, სულ ახალო განა ძველო,
ჩემი ფეხით მონარბენო მთა და მდელო,
ენგურს გაღმა დარჩენილო საქართველო.

ენგურს გაღმა ლალიძგა და ტამიშია,
ღმერთო, მისთვის ხელი ვეღარ გამიშვია,
ერის წყალი, ზღვა მწყურია, გალი მშია,
გადავიდე? – მეგრულ ნანას დამიშლიან.

ღუმურიშის დიდო ცაცხვო, ცათამბჯენო,
წყაროებო, ჩანჩქერებო, სხვა რომ გჩემობს
და ილორო, ჩვენო ბურჯო გადამრჩენო,
რით გიწამლო ტკივილო და განაჩენო?!

აფრენა მსურს – ფრთები ვეღარ გამიშვია,
სხვამ მოთოხნა ჩემს ყანაში ჭვავი, შვრია,
ერის წყალი, ზღვა მწყურია, გალი მშია,
გადავიდე? – მეგრულ ნანას დამიშლიან.

ზღვის კენჭებო, სათითაოდ დანათვლელო,
ტაძრის ქვებო, წინაპართა განათლელო
და ათასჯერ განარბენო მთა და მდელო,
ენგურს გაღმა დარჩენილო საქართველო!

პატარა ანა

ყვავილები მოერია ბალახებს,
ლამისაა სარეველამ დაახრჩოს,
ანასავით ლამაზია ზამბახი,
ანასავით ლამაზია ყაყაჩო.
    მერე რა რომ ძმას წაართვა მამიდა,
    მიჭირს მაგრამ განა ვერ გადავიტან?
    მერე რა, რომ მოვიდა და წავიდა,
    ბიძას გული დაიკავა თავიდან .
პაწაწინამ მოილოცა გარეჯა,
ზოგიერთებს ერთხელ არ აქვთ ნანახი,
ანასავით ლამაზია ყაყაჩო,
ანასავით ლამაზია ზამბახი.
    გარეჯაში მზე ივარცხნის დალალებს,
    აქ ვარ მე და არ გავიხდი დარაჯას,
    ანას ბიძას სიცხე რამეს დააკლებს?
    ზაფხულის მზემ დე ურჯილო გარუჯოს.

მერე რა რომ ერთხელა მყავს ნანახი,
ბიძასათვის იმყოფება განა შორს,
ანასავით ლამაზია ზამბახი,
ანასავით ლამაზია ყაყაჩო.
    მე უფალმა შემიკედლა გარეჯას,
    მე აქ ჩემ წილ საქართველოს ვდარაჯობ.


ბრძოლის ველზე ერთად დგანან
თან დაჭუეტათ საქმე ქველი
და სუფოასთან ერთად ზიან
დავითი და გაბრიელი

კარგი ღვინო არ აყლიათ
იქნებ მუ გამოვკრა ხელი
გინდათ დარჩეთ გარეჯელად?
- შვილიშვილებს გაუძღერით

ერთხელ ისხამთ - გაიღიმეთ
ორჯერ ისხამთ - ფრთხილად ჯენით
დიდი ქაღვია გერჭვათ
მეცხალულად გარეჯელი

იქით-აქეთ გავიხედე
გრადუსებმა გამკრეს ხელი
მარცხნივ ორი დავითია
მარჯვნივ ორი გაბრიელი

გავიარეთ 100 წელი
კანცალი ბ ურუანდელი
ისევ ისე ერთად ანის
დავითი ბ გაბრიელი

სიზმარშიც კი ერთად ვხედავთ
ზურგზე უდევთ საწნახელი
წინ დავითი მიაბიჯებს
ვვალს მიჭუეტა გაბრიელი

მეწვიეთში თუ მიმიწვევთ
გეფიცებით, მოვალ ძღვენით
თუ მიილებთ ეს მცირედი
გარეჯულად მოგიძღვენით

10 ნოემბერი

ორი საქართველო

ნუთუ ვერასოდეს გავიხარებთ,
ნუთუ ვერ ვიხილავთ ალიონს.
ორად გახლეჩილი საქართველოს
ს ა დ ღ ე გ რ ძ ე ლ ო ორი ჭიქით დავლიოთ?

ჩვენ სუფრაზე არც კახური შეგვერგება,
თუ ღრუბლები არ გათეთრდება,
ორად გახლეჩილი საქართველო,
უფალო, აღარ შეერთდება?.

თუ სამშობლო დასაღუპად გემეტება,
რაღად გინდა სასახლეთა კეთება,
თვალს დახუჭავ და წარსული იკვეთება,
დევკაცების საკვირველი ქმედება.

ნუ დავიშლებით კუთხეებად,
ტბაზე მიმოფანტულ გედებად,
მტერი ... მგლებს თვითონ შეება,
ღვთით ვიქცეთ ლოცვა ვედრებად.

შერიგება ქართველთ გვწყურია,
დღესვე და არა სახვალიოდ,
უფალს შევაყვარებთ შურიანს,
ძმობის სადღეგრძელო დავლიოთ.

შვილს საფლავზე დედის ცრემლი ეწვეთება,
გმირს მიჰყვება ბრძოლის სულისკვეთება,
ორად გახლეჩილი საქართველო
უფალო შენით შეერთდება!

რჩევები:


რამდენიმე რჩევა მათ ვინც
ლექსის დაწერას აპირებს:
1. ნუ ღლიან მკითხველს
2. ნუ იმეორებთ სიტყვებს
3. თვითონ ჩააცარეთ ყურადღება
4. ლექსს უხდება უცერემონიოა...
5. მოერიდეთ ისეთ თემას რაც მკითხველს
ათასჯერ აქვს მოსმენილი
6. სტრიქონები აიწყვეთ ან ვენც ან
ლუწ რითმაზე
7. ლექსი დაასრულეთ დამაგვირგვინებელი
სტრიქონით
8. ბ ბოლოს: ლექსი არ უნდა დაწერო
უნდა დახატო

მამა ნუოფიცე

ირაკლი ნადარეიშვილი

რადგან სამოთხემ ვერ შეივსო ვაკანსიები...

ეჰ, რა ხანია ჯოჯეხეთი დაცარიელდა,
ცარიელია დღეს ქვესკნელის ყველა საკანი,
აქ, ჩვენთან ერთად თანაცხოვრობს თუ, ვინმე, სადმე
დაწყევლილა და დარწევია ცოდვის აკვანი.

ცარიელია ჯურღმულები, ერთ დროს საზარი,
აღარ ამოსდის კვნესის ხმები დილეგს და ხაროს,
ფართოდ გახსნილა ჯოჯოხეთის მძიმე კარიბჭე
და ყველა ეშმა დღეს ჩვენს გვერდით
ცხოვრობს და ხარობს.

ამ სამყაროში ფანტომები მეფობენ მხოლოდ,
ირგვლივ ჰყვავიან შეთითხნილი ილუზიები,
მდუმარებაა ჯოჯოხეთში სიცარიელის
და სამოთხეშიც ვერ ივსება ვაკანსიები...

აქ, ამ მიწაზე, აზელილა სამივ სამყარო,
ზოგის ცხოვრება ჯოჯოხეთს ჰგავს, ზოგის-სამოთხეს,
წუხელ, სუფრაზე ეშმაკს მისცეს ფიც-ვერცხლით ფიცი,
ტაძრის კარებთან ანგელოზს კი წიხლი ამოსცხეს...

წუხელ დუქანში ერთად სვამდა,,თეთრი და შავი“,
წაშლილი დამხვდა ყველა მიჯნა და ყველა ზღვარი,
ჰოდა, ჩემს თვალწინ კეთილმა და ბოროტმა რადგან
შეწყვიტეს ბრძოლა სულებისთვის და დასდეს ზავი...

მე ავჯანყდები ყველაფრის და ყველას ჯინაზე,
დაუწერელ და დაწერილის ერთ დროს მძევალი,
სამყაროს შევქმნი მეოთხეს და ერქმევა ჩემი,
თავად გავხდები საკუთარი ბედის მწერალი...

ჰოს-ჰო ერქმევა, არას-არა ჩემს სამყაროში,
სიმარტოვეში სიმარტივე არცთუ ძნელია,
რადგან სამოთხემ ვერ შეივსო ვაკანსიები
და ჯოჯოხეთის ჯურღმულებიც ცარიელია...

დღეს კრწანისის ყაყაჩოებს დავუვლი...

დღეს კრწანისის ყაყაჩოებს დავუვლი...
სისხლისფრად რომ აუნთიათ სამყარო,
მინდა ერთად შევკონო და ჩემს თბილისს
მთაწმინდიდან თავზე გადმოვაყარო.

დღეს კრწანისის ყაყაჩოებს ჩავიკრავ,
მუხლიჩოქა დავუამებ იარებს,
არაგველთა აჩრდილების შუაგულს
კვლავ, ერეკლეს ბაირაღი ფრიალებს.

დღეს კრწანისის ყაყაჩოებს ვემთხვევი,
ქართველთ ძვლებზე აყვავებულ იმედებს,
შევახსენებ, აქ შეწირულთ, ჩემს თბილისს
საფრთხის ჟამს რომ გმირებს შობს და იბედებს.

ყველა მკვიდრმა და სტუმარმა იცოდეს,
ვინც კი გულში ღალატს წამით გაივლებს,
დააკვირდნენ ნარიყალას მიდამოს,
თვალი ჰკიდონ ჩუქურთმიან აივნებს.

აქ ყველა ლოდს ისარი აქვს ნატყორცნი,
ყველა ქონგურს თოფის ტყვია ატყვია,
აქ დაიმსხვრა ყველა ჯურის მტარვალი,
რადგან თბილისს ქრისტეს კვართი არტყია.

ჰოდა, სანამ გმირის სახელს დავარქმევთ,
და დიდებით სანამ ვინმეს შევმოსავთ,
გავიხსენოთ იმ გმირების სახელი,
შეწირულთა მანტია რომ ემოსათ!

სანამ ვინმეს პატარა კახს შევადრით,
სანამ ვინმეს დავითობას დავწამებთ,
იქნებ, ამით არაგველთა აჩრდილებს
და ამ ქვეყნის ისტორიას ვაწამებთ?!

დღეს კრწანისის ყაყაჩოებს ვეწვევი...
ნამდვილ გმირთა სამყოფელს და საძვალეს,
იმ მართვეთა საბუდარებს ვემთხვევი,
არწივებად ფრენა რომ არ აცალეს.

დღეს კრწანისის ყაყაჩოებს დავუვლი...
სისხლისფრად რომ აუნთიათ სამყარო,
მინდა ერთად შევკონო და ჩემს თბილისს
მთაწმინდიდან თავზე გადმოვაყარო.

ის ჯალათი ვარ...

მოგონებისას თვალს მომდგარი ცრემლის წვეთი ვარ,
უხმოდ ჩაღვრილი, სიმლაშით რომ სასა-ყელს გიშრობს,
ის საბანი ვარ, ჩემს ნაცვლად რომ შემოიკეცე
და უჩემობის მონატრებას ყოველღამ იშრობს.

ის ღიმილი ვარ, უნებლიედ გადარბენილი,
სხვისი თვალისგან ხელისგულით პირზე რომ ფარავ,
მე ის ოხვრა ვარ, შიგადაშიგ წამოცდენილი,
გულის სიღრმეში ჩამწყვდეულს რომ ყველასგან მალავ.

ჰო, ის სიყრმე ვარ, გაფრენილი თვალს და ხელს შორის
დროის მდინარე, კალაპოტით შუბლზე რომ გღარავ,
მე ის ვერცხლი ვარ, შეღებილ თმას რომ უჩანს შორით
და ის ღამე ვარ, უმთვარობით დღემდე რომ გზარავ...

ის ყორღანი ვარ, წელიწადში ერთხელ რომ მიხვალ,
ის სანთლის ნამწვი, სამშვენისი სამარის ლოდის,
ის წერილი ვარ, სეფისკვერს რომ უფალთან ატან
და ის ენდრო ვარ, რომლის ფესვით შეღებავ ლოდინს...

ის სახელი ვარ, დაძახებაც შეგაკრთობს რომლის,
ის სტრიქონი ვარ, რომელსაც სხვა არ ერითმება,
მე ის სივრცე ვარ, ჰორიზონტზე მომცველი ყოვლის
და ის ლოცვა ვარ, უცრემლოდ რომ ვეღარ ითქმება...

ის გუთანი ვარ, რომ ებრძოდა მაგ გულის ყამირს
და არ იშლიდა შენს გრძნობებზე თარეშს და ბოგინს,
ის ჯალათი ვარ, ვინც მოგისჯის სიცარიელეს
და მონატრების ბორკილებით მუდმივად ლოდინს.

გუთნისდედა

გასწი, შენ, ჩემო ნიშაო! მხარი აუბი ლაბასა,
დღეს გუთნის დედა სჭირდება ეკალ-ბარდიან მთა-ბარსა.
მარცვლები ვთესოთ სიტყვების, როგორიც ჰქონდა საბასა,
ნუ დავუკარგავთ ბალღებსა მშობლიურ ანა-ბანასა.

გასწი, გავავლოთ ხნულები სწორ-მართებულად ლარისა,
სარეველისგან გავწმინდოთ, ძნა დავდგათ მოსავალისა,
გუთნით ვუწამლოთ წყლულები, გასახარებლად თვალისა,
ყველა ბელტშია ნამსხვრევი ჩვენი წინაპრის ხმალისა.

ყველა გოჯს სისხლი გადმოსდის, ყველა ქვას ცრემლი ქალისა,
ყველა კლდე სიმაგრე არის ავჟამსას შესაფარისა,
ყველა ხევს ექო გაუდის ტირილის, ობოლ ბალღისა,
მიწავ, ეგ შენი ტკივილი რა მცირემ გაითავისა...

გასწიე, ნიშავ, გუთანი! მხარი მიეცი ლაბასა,
ღმერთო, მოგვეცი ძალ-ღონე ვაბიბინებდეთ ყანასა,
ზედ გონიც მოგვიმწყალობე, მამულს რომ ვცემდეთ თაყვანსა,
რომ ორი ხელით ვამტვრევდეთ ნაშრომ-ნაოფლარ ქადასა.

რომ ერთმანეთის სანაცვლოდ თავთუხი ვლეწოთ ხორბლისა,
კვნესა ყურს აღარ ესმოდეს, გლახაკისა და ობლისა,
თვალი აღარა ხედავდეს ძაძებს დედის და ცოლისა,
ღმერთო, გვარიდე შური და სიმუხთლე ამა სოფლისა.

ჰოდა, გასწიე, ნიშაო! მხარი აუბი ლაბასა,
ბალღები დამიპურე და ცოლსაც მივართმევ კაბასა,
მიწას მიეცი გლეხკაცი და მწყემსი - ცხვრისა ფარასა,
დღეს გუთნის დედა სჭირდება ერსა, ბერსა და მთა-ბარსა.

ყვავილთა გვირგვინოსანი

ყვავილთა შეკრეს პირი და მიმართეს დედა ბუნებას:
,,ნუ გვიწყენთ, თქვენი კვნესამე და ნუ წაიხდენთ გუნებას,
მაგრამ უხსოვარ დროიდან ვარდს არგეთ დედოფლობაო,
იქნებ და ღირდეს ამჯერად ყველა ყვავილის ხმობაო?!
მას შემდეგ ბევრი მოისრა, სხვა ბევრიც დაიბადაო,
ბევრმა ჩაიცვა ხავერდი და ბევრმაც გაიხადაო.
ჰოდა, ეგება, ხელახლა დადგა დრო კენჭისყრისაო,
დედოფალი რომ გავხადოთ სხვა ტურფაც ამქვეყნისაო.
სილამაზე და სურნელი, დაე, ხელახლა შეფასდეს,
ყველანი მიხმეთ, ვისაც კი ამბიცია აქვს დაფასდეს.
მიბრძანებია კონკურსი, მიხმეთ უფლებით ხმოსანნი,
დაე, ხელახლა შეირჩეს ყვავილთა გვირგვინოსანი“.
ბრძანა და ბაბუაწვერა მაცნედ ნიავით აფრინა,
ნიავმაც მყისვე ველ-მინდვრებს ამბავად გადააფინა:
დღეის ამა სწორს შექუჩდით, ვისაც შნო გაქვთ და იერი,
ვინცა ხართ თვალებხატული, ტანადი, პირმშვენიერი...
შეიქმნა ჟივილ-ხივილი, ყვავილი მოდგა მილეთის,
ასეთი სანახაობის შოვნა გაჭირდა ბილეთის.
პირველად თავისი შარმით კეკლუცად წარსდგა პიონი,
ნაკადულთ ენა დაებათ, ვნებით გახელდნენ სიონი,
შემდეგ ტიტები გამწკრივდნენ, მათ მოჰყვნენ თეთრი კალები,
იებმაც უწინდებურად დააბრიალეს თვალები,
სიმშვენიერემ აივსო ყველა მომდევნო დღეები,
როცა სცენაზე აიჭრნენ ველური ორქიდეები.
შემდეგი იყო მიმოზა, მას შემდეგ გიორგინები,
სულანჟია და ლავანდა, დეკა და ბალზამინები.
ზამბახს ნარცისი გამოჰყვა, არმერია და ნანდინა,
კესანემ, ჩვეულ სინაზით, ჟიურის ცრემლი ადინა.
მას მიჰყვნენ კალენდულები, ჯებე და ჰორტენზიები,
მაგნოლიებმაც გამოთქვეს თავისი პრეტენზიები.
ნეტავი შენა, მიხაკო, რა სულ ტყუილად გივლია,

სცენა დამითმე დროულად, - გამოკაპასდა ლილია.
შემდეგი იყო ყაყაჩო, ოსმანტუსი და ირისი,
შურისგან ერთად გაწილდნენ სიჯი და ამარილისი.
ცეცხლად მოედვნენ პოდიუმს ჯგუფ-ჯგუფად აზალიები,
მათ მოყვნენ მორცხვად გვირილა და ჭრელი ბეგონიები,
ჰიაცინტი და ჟასმინი, პასიფლორა და ფრეზია.
გთხოვთ, არ დაგვცინოთ კაქტუსებს, სპორტული ინტერესია...
ხალხო! რა დროს ეს ზღარბია? ან, იქნებ, ღლიცინიაო,
ჩემ წინ ეკლები გაუშვით?! - გაბრაზდა გლიცინიაო.
ენძელებმა და შროშანმა თვალი ცრემლებით აივსეს,
როცა შეხედეს სცენაზე ქათქათა ედელვაისებს.
ვერ დაიჯერა ვერაფრით, თქმა რომ აკადრეს უარის?..
ნეპოტიზმზე აქვს ეჭვიო, ჩვენს კნიპოფია უვარისს.
აბა, შეხედეთ, ეს გოგოც იმავემ დააიგნორა?
სიმწრისგან გათეთრებულა ეს აფრიკული ჰიდნორაც.
მე მიწუნებენ, რომელმაც დავიპყარ მთელი პოლისი?
ხელმოცარული შებღავის დაქალებს გლადიოლისი.
ასტილბასა და ჰიბიკუსს სულ დაებლიტათ თვალები,
პასიფლორა რომ იხილეს და მისი შავი ხალები.
ნუთუ, არასდროს გვირგვინი თავს არ მედგმება დიდრონი,
ვის აკადრესო ეს ქულა - მოთქვამდა როდოდენდრონი.
კოხტა, ყმაწვილი ქალივით და ნაზი, როგორც ბუმბული,
სცენაზე შეხტა ღიღილო, მას უკან კიდევ - სუმბული,
ნეტავი, თუ ვერ მეღირსა, საძნელო მოსაპარია?
შავ-ბნელ ზრახვებით აივსო ეს ციცქნა საპონარია.
ნერვული სტრესით გარინდულთ უცახცახებდათ გულები,
თავისი რიგის ლოდინში ჩამოჭკნენ ფურისულები.
ეს დაწყობილი ვერ არის, ვგონებ, ნამდვილად შლეგია,
ქარცხვისგან განარიდეთ და შორს გყავდეთ აკვილეგია.
აქ ლაბურნუმმაც იდროვა - არ მაქვსო ამის ატანა,
ქვევიდან რომ შემღირღიტებს ეს ბუჩქოვანი ლანთანა,
ანდა, ჯიჯლაყა გაჩუმდეს, ანდა ეს მანდევილები,
სანამ ამ საწყალ ირმის რქას დაუკრეჭია კბილები.
ოჰ, რაფლეზიას არ მიმჩნევთ? ჩემს ზომებს ეცით პატივი,
ამხელა ბუტკოს ტარება არვის გეგონოთ მარტივი.
ყოჩივარდობის რა გცხია? სულ ჯღავი, არა გრხვენია?!
აგერ, სოსანიც გავარდა, მაგრამ არ მოუწყენია...
გახედე, როგორ კისკისებს ის ვარდისფერი ჰერბერი
ვითომცდა, არ გაუგია, როგორ უწოდეს ბებერი.
ყველა მყისიერ გაყუჩდა, მკვიდრი მთისა და ტრამალის,
როცა სურნელი გაიფრქვა სცენაზე იასამანის,
ამ არომატით აბრუა მის უკან მდგომი ვოლფია,
გოგო კი არა, ღმერთია, ვნების ცეცხლი და ცოფია.
იქ ოლეანდრამ დაჩრდილა ჰებე და გაზანიები,
ლოტუსსაც ჯიბრში ჩაუდგნენ თეთრ-თეთრი ქრიზანთემები,
შემდეგ კი იყვნენ ნარ-ნარად აყვავებული ღვიები,
თუმცა, ფინალში გაიჭრნენ კოკორი კამელიები.
სამ დღესა ბჭობდნენ, ბოლოს კი იკითხეს - ვარდი სად არი?

ნუთუ, მის გვირვინს ნებით თმობს წალკოტ-ედემის სადარი?
ატყდა ვაი და ვიშვიში, ნუთუ არ მოგვიწვევია?
დედაბუნებას რა ვუთხრათ? რისხვა ვის მოგვიწევია?
ვარდს გაეღიმა, - აქა ვარ, თავშებურული მოველი,
რადგან შორიდან მიცნობენ დიდიც და მცირეც ყოველი,
ხალიჩაზე კი არ ავალ, სანამ დედოფლად მიხმობენ,
სად გაგონილა, რომ გვირგვინს შესაფასებლად იხმობდნენ?
ჰო, ამ ტიტულის თავსართით არ მშვენის და არც მეგება,
ჩემ თანატოლთა გვერდიგვერდ სამსჯავროდ გამოგებება,
ის არ იფიქროთ, თითქოსდა, სხვა ყვავილთ ვუკადრისობდე,
ან შიში მქონდეს მარცხისა, ან ეჭვებს გულში ვისობდე,
თქვენ გადაწყვიტეთ, ვის ედგას და ვის ერგუნოს ტიტული,
მე კი შემდეგ ჯერს წარვსდგები გაკოკრილ-გამოკვირტული,
- თქვა და დაიძრა სცენისკენ, გრძელი შლეიფის სურნელით,
ხელით მიჰქონდა გვირგვინი, ღიმილით მრავლის მსურველით.
ისმინეთ, ყვავილთ სამყაროვ, ნება მრავალი ხმოსნების,
დე, იასამანს დაედგას გვირგვინი გასხივოსნების;
დე, მან ატაროს ამჯერად დიდი დედოფლის სახელი,
ხმათა უმრავლეს ნებითა გადაწყდა ჩვენი სათქმელი.
ათრთოლდა იასამანი, ღელვისგან კრთის და კანკალებს,
ვარდს მიეახლა, თუმცაღა მზერას ქვემოდან აპარებს,
თავს ვერ წევს, გვირგვინს ვერ უმზერს, სიტყვა ვერ დაუძალია,
ვარდის სურნელი აბრუებს, სინდისი სტანჯავს ძალიან.
მობრუნდა, თვალი შეავლო, ცრემლმა იხეთქა უპიდან,
გრძნობს, ფურცელ-ფურცელ იშლება, გული ასკდება უბიდან,
მერე, უეცრად, გვირგვინი ვარდს გამოგლიჯა ხელიდან,
მაღლა აღმართა, შესძახა - მსურს გამცნოთ ჩემი ნებიდან,
რომ ვერ ვატარებ ამ გვირგვინს, გამომხრავს განცდა-დარდები,
რადგან დედოფლად შობილან ამქვეყნად მხოლოდ ვარდები,
რადგან მათია ტიტული და დედოფლობაც მათია,
მე კი სამ ფერში დავდივარ, ერთიც არ მომიმატია.
დაე, დასრულდეს ეს დავა, ვარდს დარჩეს დედოფლობაო
და აღარც ვინმემ გაბედოს ყვავილთ დედოფლის გმობაო.
თქვა ეს და ვარდს ჩაეხუტა, ატირდა ყველა მავანი,
მას შემდეგ სიკეთის ცრემლით სველდება იასამანი.

ნინო უძილაური

დამისხით ვიდრე...

დამისხით, მინდა სადღეგრძელო ამოვთქვა უხმო,
დარდის ოხშივარს გავატანო უსიტყვო ფიქრი,
ლანდს სუროსავით მოხვეული შენ სხეულს ვუხმობ,
აღარ ვიდარდებ, ეს ცხოვრება ისედაც მიქრის.

დამისხით, იქნებ ჩავატანო ამ დილას გემო,
ადუღდეს სისხლი, ითარეშონ გრძნობებმა გულში,
ბახუსის ძალა თავად გახსნის საკინძეს ჩემო,
მთვრალი ბუნება ამ წუთიდან გახდება მრუში.

დამისხით, წამით სურვილები ავათამაშო,
ფერი ვიცვალო, უსახელო ფიქრები მტანჯავს,
ნაბახუსევი გონებასთან ახლაც ვთამაშობ,
დამისხით, ვიდრე გააკრავენ ბილწნი ჩემ ტანს ჯვარს.

ა ფ ხ ა ზ ე თ ი

ა რაფერია იმაზე მწარე,
ფ ესვი მოგლიჯო მიწას გულიდან,
ხ ეს მოაცილო ფოთოლი, კვირტი,
ა ღარ გალობდეს ჩიტი ბუდიდან,
ზ ღვის ბინადარი გარიყო ნაპირს,
ე დემში ვარდი გახმეს მიწიდან,
თ ბილ სახლში ღია დატოვო კარი,
ი დინოს ღვინომ ქვევრის ძირიდან....

ო, აფხაზეთო, დიდო ტკივილო,
ჩემო სავანევ, გულში მიზიხარ.

რამდენი

რამდენი ზამთარი,
რამდენი ზაფხული,
რამდენი სითბო და სიცივე ვიფერე...
რამდენი ტკივილი,
რამდენი ტირილი,
რამდენი დაცინვა ვითმინე, ვიგემე.
რამდენი ჭორები,
რამდენი ტყუილი,
რამდენი ბრალდება უბრალოდ ვისმინე,
მწარედ ვიგლოვე, მწარედ ვიდარე,
ცხელი ცრემლები ჩუმადაც ვიწმინდე...
ამ დარდით, ვაებით რომ ვეღარ ვიფრინე,
დავღონდი,
დავშრი და ფიქრებად ვიდინე...
სულ ცოტა ვიმღერე,
სულ ცოტა ვიცინე,
ცას ავწვდი ხელებით,
ვიყვირე, ვიგიჟე...
ახლა რას ვაპირებ?
თავიდან ვიცოცხლებ,
თავიდან ვიცხოვრებ,
თავიდან ვიცინებ,
ღიმილში ჩავკარგავ უსიტყვო სინანულს,
დარჩენილ წუთებსაც მივანდობ განგებას,
არაფრად ჩავაგდებ უტიფართ სიბრიყვეს,
თავიდან ჩვილივით გავყვები ღვთის ნებას.

დედა

დედის ალერსი, დედის სურნელი,
მზისდარი სითბო, ზღვისდარი ღელვა,
მარად და ყველგან დედას სულ ველი
და თვალებს სწყდება სიცოცხლის ელვა.

ბაგეთა ტკბილი ამბორი დედის,
ხმა სანუკვარი, სიმშვიდის ბგერა,
ვმადლობ ჩემ ღმერთს და ვიწამე ბედის
და იავნანას ტკბილი სიმღერა.

ადგილის დედავ, დედა ბუნებავ,
ღმერთო ძლიერო, დედაო ღვთისა,
გამიძლიერე დედასამშობლო,
დედა მიცოცხლე, სადარი მზისა.

ლია ვახტანგიშვილი

ვერვინ ვერ ჩაგვკლავს ქართველებს! ❤❤❤

ჯერ კიდევ 100 წლის უკან, გვიწოდა ამ ჩვენს ქართველებს...
“ფენიქსის ერი“ იკითხეთ- "ჰუგო ჰუპერტის“ ნაწერებს...(1902-1982)..
ხალხი რომლებიც ატარებს “უჯრედში“ ასეთ სახელებს...
კოლხებს, ხალიბებს, შუმერებს, იბერიელებს არქმევდნენ..
არიელების კულტურას გენერიკაში გვაძლევდნენ..
ურარტუელის გონებას, “საკვებად“ ჩვილებს გვახმევდნენ...
“კარდჰუსის ერად“ გვიცნობდნენ, მტერს ახლაც სიმწრით ახველებს...
ეთნიკურ წმენდას გვიწყობდნენ, ხან “ჰოლოკოსტში“ გვაფერფლეს...
მაგრამ, გაქრობის მაგივრად ცეცხლში გამოგწვრთნეს- აგვლესეს...
ფოლადის სიმტკიცე მოგვცეს და ახლაც ვკერავთ ნაკერებს...
სულ 29-ჯერ დაგვიწვეს თბილისი, ამ ჩვენს ქართველებს..
და ფენიქსივით აღვსდექით, მალობა “იმ ჩვენს მმართველებს“!..
ვინც გონიერად წყვიტავდნენ მომავლის “იღბალს“-საქებელს...
ხოდა, ნურავინ ნუ ბრაზობთ, ვინც კი კომენტარს აკეთებთ...
არ გვინდა ჩვენ არვის “ჭინჭი“, დროშას რომ ხალხი აღმერთებს...
ყველას თავისი ემოსოს! ჩვენ -ჩვენიც გვყოფნის ქართველებს!..
ჯვარზედ ძლიერი ჯერ ქვეყნად, არ შეუქმნიათ არცერთ ერს...
და ვიყოთ მტკიცედ-ერთგულნი, სხვაგან ნუ გავყოფ საცეცებს..
თორემ კი ვიცით რაც მოსდით, ვინც შიშით თვალებს აცეცებს..❤

❤.ისევ გელით.❤

სულ თავისით გადაირჩნენ ჩემს “ფეიჯში“ ძმა და დები..
განცალკევდნენ საძოვარზე სულ ცალ-ცალკე, თხა და ცხვრები..
ერთი მხრიდან მიხარია, აქავე რომ შენით ხვდები..
ჩხუბს და კამათს ამჯობინე გაცლა, რაშიც არა ცდები...
ზოგი ისე გადაგვარდა, ყალყზე მიდგას ვხედავ თმები...
დაგვავიწყდა? რომ წარსულში გვქონდა მეტი მიწისძვრები..
თან რომ გვყავდა “რუსთაველი და ილია მართლის“ მთქმელი..
“გაბრიელის“ ლოცვით დღესაც გვინათდება გზები ბნელი..
გული მტკივა მეგობრებო, სად გარბიხართ ვერა ვხვდები..

მე ისევე ისევ მიყვარს, თქვენი ხმა და გული წრფელი...
ეჰ, არ მინდა გზას რომ ავცდეთ, "ქუჩის ბოლოს- ღმერთი გველის"..
არც ის მინდა ლუკმა გახდეთ, საკბილონი მშიერ მგელის..
მოდით ისევ მოტრიალდით, არ გავუშვათ ერთურთს ხელი...
დაკარგვა სულ ადვილია, შოვნა არის მეტად ძნელი!

კი მიმიხვდით, რაც რომ ვერ ვთქვი..□ ...

თუ გინდა, რომ გაიმხნევო დაბნეული თავი შტერი..
დაჯექი და დაიჯერე თვითშეთხზული ტყუილი შენი..
სიმართლეს თუ შეეჯახე, გადალახვა არის ძნელი..
ვერც კი შეძლებ აარიდო, თუნდ ირიბად თვალი მწველი..
თითქმის ყველას ეზიზღება, ამ სიმართლით პირში მთქმელი...
და ამბობენ ასეთ კაცზე, გადმონაშთი არის ძველი...
სიცილს ისეთს დააყრიან, წასცვივდებათ ღაწვზე ცრემლი...
ნეტავ "ამას" ურჩევნია, კარგ ცხოვრებას "პაპის ძვლები"?..
ახალგაზრდებს დაუკარგეს, სიხარულის- განცდის წლები...
სიყვარული განუქარვეს, მოახდინეს დიდი ძვრები..
ენის წვერზედ დიდ-პატარას აწერია ყველას "სექსი"...
ბავშვებს მართლა გაუჭირდათ გაარჩიონ თავის სქესი...
რადგან ბიჭებს გაუზრდიათ, გოგოსავით გრძელი თმები...
გოგოებს კი დაუხატავთ "ვეფხვებივით" ჭრელი მხრები..
"მთავარს"-ყველა კუჭში უზის, გამოაცხო "ტკბილი კექსი"..
ჩადექ გულო საგულეში! □ იკვირს დღეს რომ არა ვსკდები...
სადღა არის ფუტკრის დედა?, თაფლით სავსე ფიჭით სკები?..
მეჩვენება თუ ვამლაშებ, მითხრას ვინმემ იქნებ ვცდები..
თუ ასაკში მოჯაჯღანე, კუდიანი ქალი ვხდები?..
რა ვქნა, თვალი დავიბრმავო?, თუ ყური მაქვს მეტად გრძელი?..
ამას ჰქვია წარმატება?, რაც დღეს ხდება კაცის ხელით?...
მე მას ძველი მირჩევნია, დამიძახონ ისევ ბნელი...
ღმერთო! ღმერთო! გადმომხედე-შენ ხარ! მარტოდ ჩემი "მცველი"...
შემანჯღრიე, შემაშველე, ეგ ჯვარცმული შენი "ძელი"!..
ძველებურად მაწერინე, სიყვარულზე ლექსი ბევრი!..

...გამოვიფხიზლოთ ქართველნო!..

ქართველნო უფალს ახედეთ, გადაისახეთ ჯვარიო..
მიწას ნუ ჩასჩერებიხართ, დაიარებით მთვრალნიო...
შეხედეთ როგორ დაგვადეს, ევროპამ ზურგზე ვალიო...
გადაიბირნა სულელნი, არ დაუკარგავს წამიო...
ჩვენს უძღებ შვილებს აჩვენა, ღვინო,დუდუკი, ქალიო...
ცხვირიდან წამოადინა ემიგრანტს ცხარე ძმარიო..
სხვის "ნაგვის" წმენდას უნდება ვერ გაახილა თვალიო..
აქ სახლში გამოალენჩა ისედაც მთვრალი ქმარიო...
მამის შეცდომებს შვილებს სთხოვს, სულ აამღვრია წყალიო...
სად არის ერეკლე მეფე, მისი ფოლადის ხმალიო...
ერთი დღით წამოაყენა, ნეტავ წინაპართ ძვალიო...
რა გვჭირდა სხვისი სარჩენი, ჩვენ სხვას ვუხადეთ ხარკიო..
ვაჟკაცებს დაცული ჰყავდათ, ოჯახებიც და ქალიო...
მაშინაც ჰქონდათ ქართველებს აქა-იქ ცოტა ნაკლიო...
მაგრამ ასეთი არასდროს, რაც დღეს დაგვატყდა დარდიო...

ჩვენ რა გვჭირს სხვისი სარჩენი, ჩვენი გვაქვს მთაც და ბარიო...
ჩვენი სამყოფი ხორბალი, ხორცი, ყველი და მჭადიო...
მე მახსოვს ყველა ქარხნიდან, რომ ბურბურებდა ალიო...
და ფაბრიკებში "დაზგებსა" დასტრიალებდა ქალიო...
გადაყრუებულ სოფლებშიც იყო "პუნქტი და ბაღიო"...
ბავშვების ჟივილ- ხივილში, კი მრავლდებოდა გვარიო...
მეურნეობის ხილ-ბოსტანს ახლაც ატყვია კვალიო...
სტუდენტობა ხომ რად ღირდა, იყო ნაკლები შარიო...
ჯგუფი ჯგუფს სცნობდა, კურსი კურს, ისე გარბოდა ხანიო...
არასდროს ჰქონა მათხოვარს ხელცარიელი ჯამიო..
ნაკლებად ეცვალ სამოსად ქვრივსა და ობოლს შავიო...
არა! r მინდა "ოჯახში" დამსტრიალებდეს ზანგიო..
ან ირანელის მიცქერდეს პირ-ახვეულის თვალიო..
არც ჩინელების არ მინდა, იმათი "მტკიცე" ჯარიო..
არც რუსის ჩექმის ბრაგუნი, იმათი ქუსლის ნალიო...
ამდენი ფიქრით-ლოდინით, შუა გამეყო თავიო..
არ გამატანო უფალო! როცა მოვკვდები ჯავრიო...
ჩემი სამშობლო მიცოცხლე! მე ვარ თამარის ფანიო!..
დავითის მოდგმა გვიმრავლე, დადიანების გვარიო...
ღვთისმშობლის წილხვედრ ქვეყანას ჩამოაშორე ვალიო..
ბოლო ჟამის წინ სუყველას, თან აგვიხილე თვალიო..
უფალო სახლში გვესტუმრე, ღიად დავტოვე კარიო...
გამიქრე გულის იარა, ჩამომაშორე დარდიო!..

დღეს ვისთვის რაა ნეტავ საწყენი.....

დრომ მოაწია? "ამი" დაბერდა? თითქოს არც რა გვაქვს რამე სათქმელი...
რაც არა თქმულა, თუნდაც ჩვენამდე ლექსად ან პროზით სიმწრით ნაწერი...
დღე-დღედ ჩაივლის, ხმას არვინ გაგცემს, ვის ახსოვს ნეტავ შენი დარდები..
ხან კი ხატის წინ ჩავიმუხლებით, ნაღველისაგან განვიქარვებით..
ვბერდებით, მაგრამ მაინც ვერ ვპოვეთ ადგილი რისთვის, ან სად ვსახლდებით...
დღეს სოც-ქსელები დიდ-პატარისთვის, გამხდარა როგორც კუჭის საკვები...
ზნედაცემულ ბრბოს გადმოუყრიათ ჩვენთვის საკვებად "ჩიტის საკენკი"...
ვლანძღავთ ერთმანეთს, ვერ გამოურთეთ ტლიკინა ენას "დენის სატენი"...
ყველამ თავისი სფერო შეიქმნა, მშობლებს არ ახსოვთ თავის ბავშვები...
ბავშვები კიდევ "ტიკ-ტოკს" დასდევენ, როგორც ცხვრის ძუძუს თავის ბატკნები...
ერთურთის ძაბვით, სულ გადაგვარდნენ, მოძებნეს ვითომ თავის ფანები...
აღარც კი უნდათ რომ გაახილონ, თუნდაც ტრანსპორტში ფართო თვალები...
წყალი გვაქვს პირში ჩაგუბებული, ვერ მოვიშორეთ სხვისი ვალები..
და გავაქციეთ ოჯახებიდან ემიგრანტებად ჩვენი ქალები..
ყრუ-მუნჯის როლი როგორ "მოვირგო", როცა მაბია თავზე თვალები...
მთელი სიცოცხლე განა კარგია, ყოველ წუთს ყლაპო მწარე აბები?...
ანდა უყურო მასონთა ღიპებს, როგორ შეაწყდათ წელზედ ქამრები...
დღეს არვის უნდათ ბებო ოჯახში, არც მისი საქმე, აღარც ზღაპრები...
თავისუფლებას უკვე ითხოვენ დედის წიაღში- "წყალში" ბავშვები...
იქ ასწავლიან ამ მულტფილმებით, რით დაანგრიონ თავის სახლები...
სტუმარს უბღვირონ, ბაგე არ გახსნან, მიუჯახუნონ ცხვირწინ კარები..
ცოცხლები გვქვია დღეს ჩვენ თაობას, თორემ "მკვდრებივით" დავიარებით..
არადა შეხეთ ღმერთმა სამყაროს, როგორ ჩააცვა ტანზედ ძაძები..
ნეტავი რა დროს, ანდა რა ხმაზე, შემოჰკრავს ტაძრად "დედოს ზარები"...
გამოვფხიზლდებით? თუ დაგვინაცრდა ამ ბურუსისგან ყველას თვალები? ..

ვისაც არ გინდათ ტირილი

თუ თვითონ არ შეეცდებით, როგორ ჩავაქროთ ტკივილი..
და ვერ გავარჩევთ რა არის, ხორცის და სულის ყივილი..
მანამდე ჩვენს გულს ექნება, აქ განუწყვეტლად ჩივილი...
სხვისგან ნუ ვითხოვთ ნურაფერს, ჩვენშივე ბუდობს ჩირქივით..
ამპარტავნება და ვნება, ძუძუს წოვს ჩვილი შვილივით...
სხვის თვალში დირე დიდი ჩანს, საკუთარს ვხედავ ჩხირივით...
სადამდე უნდა გაგვტანჯოს ჩვენ ამ სიბრმავემ "ვირივით"..
ყველას თავისი მიეცა, ტვირთი საზიდად ვინც იცის...
ნელა ვიაროთ სვენებით, სხვას არ გაუსწროთ სირბილით...
თორემ ჩლიქები მოგვძვრება, ვიღას ვჭირდებით ტკივილით...
პატრონი ხევში გადაგვყრის, დაობებული ჩირივით..
ოცნება დიდი მტერია, ოცნება დადის "სისინით"..
ილუზიებში გვამყოფებს, ტვინს ამოგვიჭამს "ტიკტიკით"...
ეგოისტობა გადვიდნობს ჩვენ სისხლ-ხორცს სანთლის ცვილივით..
მისთვის გავხდებით საკვები, ერთი პატარა „ლიფსიტი„..
ოჰ, როგორ მინდა ვიღვიძოთ და დავასრულოთ ჩივილი...
ჩვენს გაჩენაში კოდი დევს, ასე მოვედით მისიით...
უნდა დავბრუნდეთ "მშობელთან" ის გველოდება ღიმილით..
გამოსაცდელად აქ მოგვცა, ზოგს სიმდიდრე და სიყმილი...
 ოგმა აივსო სტომაქი, ზოგი ვიშვიშებს შიმშილით...
ყველაფერს უნდა გაუძლოთ, ზემოთ თუ გვინდა "ჭიკჭიკი"...
თუმც საყურაბლად ძნელია, მეგობრის გულის ტკივილი...
ბოროტს უჭირავს იმისი, აღვირიც, ლაგამ-ჟინჟილიც...
ვერ ხედავს ბორცვებს და ხევებს, მიჰქრის უაზროდ ხითხითით..
ჯიუტობს და ვერც აჩერებს სხვისი გულთბილი ღიმილი..
წინასწარ შენდობასა გთხოვთ, ვინც ამ ლექსს შეხვდით სიცილით..
დრო მოვა ჩემებრ იმსჯელებთ, გზას გაუყვებით ღიღინით.. ☺



თემურ გოგსაძე

ავტოპორტრეტი

მიყვარს ჩემში, დედა-მიწის სურნელება!..
მაგრამ მაინც, მთავარია, უფლის ნება!
ჰუმორები, ქცევის რიტმებს, თუ განაგებს,
რწმენის არსი- მარადიულს გვიქადაგებს!

ხშირად ვიცვლი, ემოცია, გრძნობა-აღქმას!...
არ ვღალატობ, სულში, სიყვარულის აღთქმას!...
მე, დუმილის მეტყველება, უფრო მიყვარს-
ღირსებიდან, არასდროს არ გადამიყვანს!...

ვეთხოვები ცოდნას, რაც მხდის- უცოდინარს!..
ვეძებ სიბრძნეს, სიკვდილ-სიცოცხლიდან, მდინარს!...
სიგიჟეა, ანდა, იქნებ, უფრო მეტიც-
გარდასახვა, ძებნა-სულ სხვა, ინტელექტის!...

ეპიფიზშიც, ვერ ეტევა, ჩემი სული,
პლანეტების გონის თხემში, გარდასული!
აზრთა დოღი, შეუცნობელ, ძალას იძენს,
სადღაც ქრება, დაბრკოლება-დრო და სიგრძე!

წარმოსახვა, უსასრულო, წყებად მოდის,
თუმცა მახსოვს, გარდასული, დროის კოდიც!...
თავისუფლად მონავარდე-ცნობიერი,
ვერ იქნება, ვერცერთ დროში, ზომიერი!...

გონი ჩემი, უსასრულო ზღვარსაც გასცდა...
ჭეშმარიტი ნეტარების, მხიბლავს, განცდა!...
ჯოჯოხეთს თუ, სამოთხის გზას, კი არ ვარჩევ-
მარადიულ წრე-ბრუნვაში, მინდა დავრჩე!...

ასეთია, გარდამოსვლის, სრული, არსი!-
აღმასვლებით იზომება, დროის ფასი!
იფანტება, წუთისოფლის, სევდა-ჯავრი,
თუ გონება, ხდება, ღმერთის თანამგზავრი!

ჰუმორები – ადამიანის სხეულში, სითხედ გარდაქმნილი სინერგია, რომელიც ქცევებს განაგებს
ეპიფიზი – ტვინის ჯირკვალი, სადაც, მეცნიერების აზრით, სულია მოთავსებული

ეს ფოტო და ლექსი, თანატოლები არიან!
ღვთის სიყვარულით, ვიტყვი-კაცხის
სვეტზე ასვლის ჟამსაა დაწერილი!
უცნაურად დაიკარგა და ახლახანს ვიპოვე?!

* * *

...მიზიდავს, მხიბლავს, რაც
სამყაროში -
ცოტა, მარტივი და უბრალოა?!
წუთისოფელში,
დროის მადლს – დროში,
არ ვფლანგავ, რადგან სავალალოა!

არ მინდა- ბევრი,
ცოტას – ვჯერდები!
რადგან ამ ქვეყნად,
კარგი – ცოტაა?!
ბოროტთან, ვიცი, ვერ შევჯერდები!
ბევრში კი, რადგან, ბევრი – ცოდვაა!

აღტაცებულის
ცრემლით მასველებს -
გარშემო, რაც კი, ბუნებრივია!
მარტივი, რადგან,
სიბრძნით მეტყველებს!
უბრალო, რადგან,
ღვთაებრივია!

და ღმერთიც,
მერე, მარტივად, მოვა?!
უბრალო, იმ დროს,
ცოტა-ვიქნებით?!
ანტიქრისტესგან -
მოვლენილ გლოვას,
განვეშორებით,
უფლის მიგნებით!
თ. გ. ,, სუეტი დიდისა კაცხისა"

მის უწმინდესობას,
საქართველოს კათოლიკოს
პატრიარქ-ამბროსი ხელაიას!

,,ზეკაცო და ღირსეულო,
უწმინდესო პატრიარქო!
მოგვიტევე!..
მოგვიტევე!..
დღეს, სამშობლო, რომ არ გვაქო?!

მაინც, თქვენი შემყურე ვართ
და წმინდანთა,
ყველა დასმა -
ლოცვა უნდა შეგვაშველოთ!..
ე რ თ ო ბ ი ს ა -
გთხოვთ, ხელდასმას!
ერთად ვიხსნათ,
ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო!"

ამ ფრაზებით, გილოცავთ, ბზობას!

მე ვარ, ქართველი!

იბერთ მიწაზე-მოვლინებით!..
გენით და გონით!..
რწმენით და ნებით! -
მე ვარ, ქართველი!
-ქვეყნის ბედ-იღბალს,
სხვის სასწორზე,
არასდროს, ვწონი!..
-სიყვარულს, სხვაგან,
ვერსად, ვპოვებ,
რასაც, აქ, ველი!..
შევტრფი-მომავალს,
ამიტომაც, ხატია-ძველი!..
უფლის ანდერძით-
ეს მიწა, მაქვს,
მე, დასაცველი!..
მე ვარ, ქართველი!
და ამისთვის,
ბევრჯერ, ჯვარცმული!..
მაგრამ, არასდროს, დაცემული,
რადგან, ჩემს, რტოებს,
დასაბამიდან ასაზრდოებს-
პლანეტარული სიყვარული,
ყოვლისმომცველი!
თ. გ. ,,ლომისობა"

სიყვარულის დრო

...არავინ იცის – მზის კაბადონზე,
ან სამყაროში – დრო თუა მართლა?!
მარადისობა გავცვალეთ დროზე
და დავადგინეთ წამების ათვლა?!
...შემოგვეპარა ამგვარად ბზარი...
ვერაფერს გეტყვით, ღვთის სამსჯავროზე!
უნდა დავბრუნდეთ – თორმეტი კარი,
იხსნება მხოლოდ -,,ამორეს დროზე"!
სამყარო არსობს,ფერისცვალებით!
ერთადერთია, რაც დროშიც მკვიდრობს,
მართლაც ყველაფერს სანაცვალები-
სიყვარულის დრო, სიყვარულის დრო!
ის, ყველა ტკივილს, უმალ უკურნებს!
უფრო დიდია, რაც გვიწამია!
წამი მოიცავს, მთელს საუკუნეს
და საუკუნეც, ერთი წამია!
...სიყვარულია ხსნა და ნუგეში!
მისი სათავე, ითქვა-ღმერთია!
ასე, სხვადასხვა, დროს და სივრცეში-
ყველგან, ყოველთვის-ეს დრო ერთია!
... არც დასაბამი! – არც დასასრული!
მხოლოდ და მხოლოდ – სიყვარულის დრო!
ამაზე გალობს, ზეცად ასული -
,,სვეტიცხოველი" თუ ,,სან პიეტრო"!
სამსჯავრო- ყველას გადაგვაფასებს?!
წელთაღრიცხვებში ქრება საწუთრო?!
მარადისობის სინაზით გვავსებს-
მხოლოდ და მხოლოდ, სიყვარულის დრო!
... მეც შენთვის, მხოლოდ, ეს უნდა მეთქვა-
მამა-ზეციერს, ერთხმად ვევედროთ-
არ შეგვიჩეროს ამ გულთა ფეთქვა,
არ შეგვიჩეროს სიყვარულის დრო!

რ წ მ ე ნ ა

რწმენა – მზის სხივებს, ჩაექარგება,
კოსმიურ ელვას აედევნება!..
ღვთისკენ სავალი გზა, იკარგება,
რწმენა თუ ეჭვის ჯვარზე – ევნება?!

ეჭვი, უფალთან ყოფნას, არ გაცლის?!
ხდები- ცოდვილი და უსახური?!
ასე, თანდათან, იქმნება- კაცი,
ეშმაკისა და ღმერთის, მსახური?!

რიტუალებში გავცვალეთ – არსი?!
აღარ ვართ, რწმენით – თავისუფალი?!
ღვთის მსახურებაც, შეიქმნა ფარსი?!
მხოლოდ შიშის დროს, გვახსოვს, უფალი?!

სიყვარულისგან, სრულად დაცლილი-
ვართ, ელემენტთა, უცხო – ნაერთი?!
ამპარტავნულად ხელებგაწვდილის,
როგორ შეისმენს, ჩვენს ლოცვას, ღმერთი?!

ცოდვის ბორბალზე, სანამ ვიბრუნებთ,
არ გაიხსნება – ლურჯი თაღები!
ვიდრე, სიყვარულს, არ დავიბრუნებთ,
ვიდრე, რწმენით არ დავიდაღებით!

კოსმიურ ნისლებს, რწმენის კომეტა,
გაარღვევს – გახსნის, მეხსიერებას-
მალე, ცოდვისგან დახსნილ, პლანეტას,
უფალი, ცრემლით, მოეფერება!

(ჟამი დიდ მარხვისა.)

თეა ბარბაქაძე

* * *

ახლა ჩემთვისაც ამზადებენ ალბათ გოლგოთას,
მიმალურსმავენ ჯვარზე ალბათ ჩემი ლექსებით...
ჯანდაბას ჩემი გოლგოთა და ჩემი აღდგომა,
თუ ქრისტესავით აღდგებიან ჩემი ლექსები...

ახლა რა ჯვარის ამწევი ვარ, ვდევარ ლოდივით,
ჯვარი კი არა, ბევრჯერ ჩემი ტანიც ვერ ვზიდე
და გეფიცები, დავიღალე შენი ლოდინით
და მოდი სანამ ტკივილისგან ხორცსაც დავცილდე...

* * *

წლებმაც ვერ ზიდა ნაღალატებ გრძნობის პირჯვარი,
მისტერიულად ვცდილობ ახლაც შენგან გაღწევას,
არა, არ მსურდა ვყოფილიყავ შენთვის ის ჯვარი,
შენი მხრები რომ სიმძიმისგან ვეღარ აწევდა...

ამოიზარდა მრუდე კერას მორჩი მარგილი,
ურწყულმა როგორ ეცადა და ტოტი გაშალა,
გაგლეჯილ მყესებს უკემსავდა ღმერთი არილით,
ყველაფერს ვუძლებ, დავრჩი მხოლოდ ღმერთის ამარა...

ახლა ზღვარზე ვარ - სიგიჟის და ღმერთში მყოფობის,
ხიბლში ვარ, როცა ხოტბას მასხავს შენი ამალა...
ჩემს შინაგანშიც იმართება ახლა ბრძოლები,
რომ იქნებ ქრისტე მეტი იყოს ვიდრე ბარაბა...

* * *

ღმერთო შემეშველე - ჯვარი დამიმძიმდა,
იმდენ ჩემიანს და უცხოს ვეხიდები...
ძალა აღარ მყოფნის, დედა გამიგებდა,
სხვა რომ არავინ მყავს, ჩემს თავს ვუხირდები...

მამლის ყივილამდეც ვეღარ გავაღწიე,
ჩემი ოცნებებიც აღარ ცხონდებიან,
შენგან გაქცეულსაც ლოცვა დავაწიე,
რადგან ვინც გიწამა მაინც ცხონდებიან...

ჯვარზე დარწეული შენი ჭრილობები,
დედის ხსოვნასავით გონში ხორცდებიან...
ტანში შერჩენილი შენი მადლის კვალით,
ჩემი უჯრედები ისევ ცოცხლდებიან...

* * *

დღეს შენთან ერთად ალბათ ქვებიც დადუღდებოდნენ...
მეც ხომ დედა ვარ, როგორ მესმის შენი წუხილი...
ძვლები მეწვის და ცრემლი კი არ - სისხლიც დუღდება,
მეც გადამისხეს შენი სისხლი, იწყო დუღილი...

დღესაც შენს შვილად ვიხსენებით - ძედ და ასულად,
მომაკვლევინა ნეტავ - შენი რწმენის წყურვილი...
იყო მდუმარე მოლოდინი ტანჯვის პასუხად,
კაცთა სახსნელად ჯვარზე ასვლის დიდი სურვილი...

რას გავხდებოდი - ვერ გიშველე, ვერ შეგეწიე,
მეც პეტრესავით კვალში გედექ, გბანდი იარას,
შენს სისხლის წვეთებს ვაგროვებდი, რომ დამერწიე
ახალშობილის მსგავსად, ჩვენი - ცოდვა-ჯვრიანად...

გაგაფანატე კი არადა გავხდი შეშლილი,
სულით ხორცამდე შენი ვარ და როგორ მეამა...
დაბადებამდე გრძნობდა ტანი როგორ შემშლიდი,
რომ დედამიწას შეარყევდა შენი იარა...

დღეს მსურს აფრენა...

გამოვექეცი ყველა დროის ქარს და გრიგალებს,
მგლეჯდნენ და მაინც არ უცდია ვინმეს დანდობა...
შენთან შეხვედრის მოლოდინში ვთვლიდი მირაჟებს,
დამიდგებოდა ვგრძნობდი - ჩემი სულის აღდგომაც...

მეც ცოდვილი ვარ, მაგრამ ვიცი შენში მამყოფებ,
ჯვარცმაც შემინდე - სიყვარულის გადასარჩენად,
თვით წარმართებზე ცოდვილიც ვარ, მაგრამ სამყოფელს,
პარადოქსებიც ვერ შეცვლიან - დღეს მსურს აფრენა...

ჩემთვისაც მოკვდი, ჩემი ცოდვაც ზიდე ზეცამდე,
ალბათ გტკიოდა, არ გიცდია მაინც გაქცევა,
სხვა ვერ შეძლებდა, შენ შეგწევდა ძალა ერთადერთს,
იყო კაცი და ღმერთიც იყო - ჩემდა სახსნელად...

ვნების კვირაა - სიხარბის და კვირა ღალატის,
შედეედდა სისხლი, არტერიას არ სურს აღდგენა,
რეფრენად შექმნილ ტექსტებიდან ჟონავს ღალატი,
ფრთებს თუ მათხოვებ - შენთან ერთად დღეს მსურს აფრენა...

ეთერ ჭელიძე

სამყაროს გზა...

არაფერს ვიტყვი,
ქარს გავყვები მოხეტიალეს,
შეუერთდები ქუჩა-ქუჩა
ფოთლებს დარდიანს,
თუ კი შემხვედრი,
ცრუ, ორგული გამატიალებს,
ჩავეფინები მუხის ფესვებს
დილა-ადრიან...

თუ ელვარება მიმაფიცხებს
მზეს გაავდრებულს.
ან ჩატეხილი მუხის
ტოტზე დამაბინავებს,
მოვიხმობ ყველას, სამშობლოსთვის
გულანთებულებს
და სიყვარულის
ჯვრიან დროშას ავაფრიალებ.

შემოთენებულ ჟრიამულის
კოცონს ავანთებ,
გულებს ლოდებად დატეხილებს
გავამთლიანებ
და ყველა ტაძრის მორყეულ
კლდეს ზღუდეს გავავლებ
და რწმენის ფესვზე მოწყვეტილ
ყლორტს ავახმიანებ...

ჩამოვიტოვებ დროის შეშლილ
შემოძახილებს,
თაიგულებად შევკრავ ფოთლებს
ამტვერებულებს,
მერე მოვირგებ სავალ გზაზე
ღრუბლის ბახილებს
და გავუყვები სამყაროს გზას
შებინდებულზე...

ჩემს მეგრელ ძმას და მეგობარს

გ. ქარჩავას

გრძელი გზა გამოვიარეთ,
სანამდე ერთურთს ვნახავდით,
ჭიგოს აყოლილ ხვიარებს
სანამდი ერთად გავსხლავდით.

სიტყვა ფასობდა ვიდრემდის...
სიტყვა, დასტურად ნათქვამი...
სიტყვა, საქმით რომ ვლინდების,
ხორცშესხმულ იყო ართქმამდი...

და როცა ირგვლივ ცრუთა და
მლიქვნელთა იდგა განგაში,
შენ, ,,უცხო", მხოლოდ სიმართლის
მტევნებს მიწყობდი აბგაში...

დღესაც ვაგრძელებ ჩემებურ
მართალი გზებით ფორიაქს...
,,უცხონი" ძმობის უღელში
მხარდახარ დღემდე მოვდივართ!

აბურდულ ყოფის ბილიკებს
დღემდეა, ისევ ვალაგებთ...
გულმართალნი ვართ სინდისთან,
ეს მრწამსი მალაპარაკებს!

მეგრულ-სვანური ძმობისა
ალალ ვთქვი, სიტყვა მართალი,
მადლობა, დღემდე მაპურებს
ჩემი და-ძმობის საგზალი.

* * *

ისევ თენდება აისი,
სიკვდილზე გამარჯვებისა,
სიკეთის ნერგი იფესვებს,
ყლორტების გამრავლებისა,
კეთილი ნების მეგზურნი
რწმენაში ამაღლდებიან,
ჟამი დადგება უდაოდ
სიცოცხლის განახლებისა!
ღმერთი შეგვინდობს შესანდობს,
კეთილი საქმით ქებულსა,
მოსატევებელს უთუოდ,
გულწრფელად, მირონცხებულსა,
და საქმეს კეთილს მოგვაგებს
ჟამს გაგვყრის თუნდაც ბინდისა,
შეწავნად მადლი გვეკმევა,
ძე ღვთისა სული წმინდისა!

მაშ, აბა ვინ ხარ...

ბედნიერების თუ მცხუნვარება
არ ათბობს შენ ერს, არ ათბობს მამულს,
არ გაკრთობს ელდა და მდუმარება,
არა სალბუნობ, მიწას ცრემლ-ნამულს,
არ გაკრთობს როგორ აღრევდა სისხლი,
ან როგორ მეფობს შური და შუღლი,
სხვის ცოდვას როცა წვეთ-წვეთად ითვლი,
შენსას ვერ წონი ნატარებს, უღლით.
არ ძალგიძს სიტყვას, ძალადაკარგულს,
კვლავ ხელმეორედ შეასხა ფრთები,
მეობას შენსას ,,სხვაში" ,,ჩაქარგულ" ს
როდის და რატომ, ვერაფრით ხვდები...
ქაოსის რიგში ისევ წინ დგახარ.
წინაპრის ძვლების ხმაურში ბორგავ,
ისევ შენიანს უმიზნებ ლახვარს,
მტრის შემოგდებულს ეხვევი გორგალს...
ვერ გამახსოვრებს თავს დატეხილი
ო,მერამდენე ჭმუნვა და სეტყვა...
ერთობის ჯაჭვი ვერ დაგრეხილი
დაშლილ რგოლებად რამდენჯერ გსეტყვავს.
მაშ აბა ვინ ხარ, არ გტკივა როცა
სამკვიდრო შენი, იცლება შენგან,
დედა, რომელიც ვერ გაწვდენს ლოცვას
შეხიზნულია უცხო ცის ზეგანს...
ჯიში, რომელიც მუხის ფესვიდან,
ქართულ სისხლიდან გმირობით იშვა,
გადახვეწილა უფლის პეშვიდან
და ობმოდებულს ცრემლი სდის ჭიშკარს...
მაშ აბა ვინ ხარ, არ გეწვის შუბლზე,
დადუღებული ნამუსის ძარღვი
და თუ არ გაწევს სამშობლო გულზე,
სიცოცხლის ქვაზე თავს რად არ ახლი,
ან რას გიქადის ოხერ-ტიალი
არსობა ფუჭი უსაქართველო,
თუ ვერ გახარებს ერი სიმრავლით,
წინაპრის ფესვზე თუ ვერ ნამყენობ...
მაშ აბა ვინ ხარ, არც არვინ, რადგან
თუკი გაგექცა სული ცხედრიდან,
უქართველებო ჟამი თუ დადგა,
თუკი ურდონი ჟამს გიხედნიან...
თუკი ტკივილი არ გაღვარცოფებს
-როგორ მდუმარებს ერის ცისკარი,
რომ ფუძის დედას როგორ აცოფებს
დღეს ჩაგმანული ყველა ჭიშკარი?
მაშ აბა, ვინ ხარ, არც არვინ ალბათ,
არ წაგიკითხავს ბედი ქართლისა,
თუკი არ იცი რამდენჯერ აღსდგა
ერი უკვდავი, ქრისტეს ჯვარცმიდან?!
მაშ, აბა ვინ ხარ?!

*

პოეზია თავისუფლების აორტაა
სისხლძარღვია, სარქველი, გულის,
პოეზია სიცოცხლის გამოცდაა,
ცეცხლია, სამყაროს გარს უვლის...

პოეზია კურთხევაა უფლისგან
დარდის და ტკივილის ნამქერია,
სანთელი, ჩამოსხმული სიტყვისგან,
ღამე უმთვაროდ ნათევია...

უთოვლოდ მომსკდარი ზვავია...
გულსა და გონებას წალეკავს,
სიცოცხლის მყესი და ძარღვია,
არ უწყი როდის გარეკავს....

კლდეებს მომსკდარი ჩანჩქერია,
მიწიდან ცამდე მანძილია,
სიტყვის და ანბანის კანდელია
გულის და გონის ძახილია...

პოეზია სიგიჟის მწვერვალია,
სტროქონთა საფეხურით ასავლელი,
პოეტი, სამყაროს მხევალია
მუზების ტყვიადასახლელი!

ისევ გათენდება

ისევ იკვირტებს შენი ხელდასმული,
შენი წილხვდომილი ქართველი!
ლოცვას ისწავლის შენკენ ხელგაწვდილი,
შენი ჯვარდასმული მთა-ველი.
ახმიანდება ზამთარს შეხიზნული,
შენი ვარდ-თოვლობის მნახველი,
და შენ მყოფადობას შეწირული,
გმირად შეწირული ქართველი!
ისევ ამაღლდება გენის სიდიადე,
ლეკვნი იმრავლებენ ალგეთის,
ნაღდი ქართველობის დროშა იფრიალებს
ათას ურდოთაგან ნახმლევი...
ისევ გამთელდება, ვიცი გამთელდება,
ჩოხის აჩეხილი კალთები,
ისევ გათენდება, მზისქვეშ გათენდება,
დილა, უფლის ბაგით ნაკმევი...



გერონტი მესხი

აქ, ამ ლამაზ ქვეყანაში

სილამაზე აპრილივით მოზღვავდა,
ბუნება ჰგავს მზეთუნახავს, მწოლიარს.
აქ სიცოცხლე ნეტარებას მოჰგავს და
აქ სიკვდილიც უკვდავების სწორია.
აქ ბოროტის ნერგი დიდხანს არ ხარობს.
აქ მტრის რისხვა ქართვლის დედის ხმალია.
ლუციფერი აქ რომ ვეღარ ხარხარებს,
ეს რწმენის და სიყვარულის ბრალია.
ღვთისგან მეტი საჩუქარი რად გინდა:
პირდაპირ დევს ხელისგულზე სამოთხე!..
პირველი ყრმაც აქ იშვა და დაღვინდა,
იავნანაც უწინ იმ ყრმის გამო თქვეს.
აქ დღეს ისევ იზრდებიან ბოკვრები...
ბარაქის ხე აქ ქცეულა ვაზადო!..
აქ თუ იშვი, ისე როგორ მოკვდები,
მამულისთვის გმირი რომ არ გაზარდო!..

გაზაფხული მოსულა

ღამის ნაშობ განთიადებს სიო ძუძუს აწოვებს,
არემარე გარინდულა უკეთესის ლოდინში.
ნადავლს ეძებს ტყეში ხვადი... ორთქლი ასდით საძოვრებს,
ნებივრობენ ენძელები მარტის გაშლილ ლოგინში.
თოლიები ზღვაზე მნათობს უმზადებენ სარეცელს,
მზე კი ცაზე მოგორავს და ეფერება მიდამოს.
ჯეჯილს სურს, რომ ზამთრის კითხვებს პასუხები გაეცეს,
ხვალ კი ტალღად აქოჩრილმა ურჩ ნიავთან იდავოს.
სიცივისგან მობუზული შენც ბეღურას მაგონებ,
ნაზამთრალზე გაიშლები, გადაიგდებ კაეშანს.
გაცრეცილი ნისლებიდან გამოპარულ მთა-გორებს
სიყვარული აუფრინდათ და შენს ფერხთით დაეშვა...

როდის ქრება სილამაზე

კოხტა ქალს ვეტრფი... გრძნეულს...
გამა სდევს მნუსხავ ფერთა.
სახე უმშვენებს სხეულს,
სული-ორივეს ერთად.
მაგრამ თუ ასე მოხდა,-
სულს გაერია წყალი,
გაქრება შენი ,,კოხტა“,
შეგრჩება მხოლოდ ,,ქალი“...

ზეციური ანდამატი

იმ სადაგ დღესაც ზღვა იყო ლურჯი,
მზე იყო მწველი და ერთადერთი.
მიქელანჯელოს ნაქონი ფუნჯით
მითიურ სურათს ხატავდა ღმერთი.
  უსასრულო და უღრუბლო ზეცას
  ეჯიბრებოდა ხასხასში მოლი.
  ქედებს პალიტრის ქათიბი ეცვათ
  და ის ცა ეპყრათ მელოტი ზოლით.
მზეზე კრთებოდა გამა ფერების...
გზებზე კვდებოდა ჟამი თარეშით...
ახლოვდებოდა დრო მოფერების
ღმერთის ნებართვით, თუ მის გარეშე.
 ჩამოაძერწა მხატვარმა ტანი,
 (იდგა დუმილი მზეჩაღვრილ დღეთა.)
 ისე მოარგო ფერი და განი,
 ვით ნინოს ჯვარი მოერგო მცხეთას.
მერე ხელ-ფეხი მოხატა დინჯად
და მკერდს შემორჩა ფუნჯი ორ ბორცვად.
ღმერთი იდგა და ქალწული იჯდა
ჯერ უსახურად, და, მაინც, მორცხვად.
მერე თვალ-წარბთა ვნება და სახე
 გამოიკვეთა მდგარი ხვატიდან.
მერე შთაბერა სული და ვნახე,
 როგორ გადმოხტი იმ ნახატიდან.
გარემოსილი იყავი მქრქალი
და მაინც უცხო ფერის სამოსით .
დროს, როცა ცხადგყო უფალმა ქალი,
ვერ აგვიწერდა ნოსტრადამუსიც.
  ბიჯი ლივლივით გადადგი მოლზე
 ისე ფაქიზად,ისე ნარნარად,
 რომ მე გავთვალე სამყარო ორზე-
 შენ დაფრინავდი,როგორც ფარვანა.
ირგვლივ იწვოდა მუხტი და მკრთალი
ალი სწვდებოდა ბარე ორს კიდევ...
შენ წამიერად წამართვი თვალი,
მერე ის თვალი ვეღარ მოგწყვიტე.
 ვნებით გიწეწდა სიო დალალებს-
 ო, მინდა, წუთით ის დრო დაბრუნდეს:
 მე ვთრთოდი, შენ კი ხელი ჩამავლე
 და შენს სავალზე შემომაბრუნე.
მზეობდა მზისებრ მზირალი მზერა,
გაკლდა გვირგვინი და ხელში-კვერთხი...
მე მაშინ მივხვდი და ახლაც მჯერა,
რომ შენს შექმნაში ერია ღმერთი.

განმეორებით...

განმეორებით, შეიძლება, ჩამოდგეს ზავი;
დათვმა დაძებნოს ფუღუროში თაფლი ტორებით...
განმეორებით, შეიძლება, ასწიო თავი
და დიდ შემოქმედს თაყვანი სცე განმეორებით.
განმეორებით, შეიძლება, გაჩუქონ კოცნა...
განმეორებით–სახტად დარჩე ნაამბორებით!..
ყოფილმა სატრფომ თუ ამურის ისრები გტყორცნა,
აგიჩქროლდება სიჭაბუკე განმეორებით.
განმეორებით რწმენით იგრძნობ თუ თავს იობად,
დაგესევიან ურწმუნონი, როგორც ქორები...
...დგას ევას ცოდვით გატანჯული კაცობრიობა
და ცოდვებისგან დამხსნელს ელის განმეორებით...

სიყვარულის ზღაპარი

(სიმღერა)

დროს თითქოს კვალში მისდევს ავაზა,
მთიდან ეშვება ფარდა ნისლების...
მე შენით ვცოცხლობ ისე ლამაზად,
რომ, ალბათ, აღარც გარდავიცვლები.
ეგ მზერა აზრებს მტაცებს მარტივად,
და სულიც მისი მონა მგონია.
სიყვარულს არ აქვს ალტერნატივა,
ის ხომ ღმერთების მონაგონია.
და თუ შეხებით მხარზე მტრედები
ცად გამიწვევენ გზებით ფარულით,
მარტოობისთვის არ მემეტები,
ჯერ ხომ ძალუმად ჩქეფს სიყვარული...
ვეტყვი, რომ მე შენ თუ ვეღარ გნახავ,
ღამით სიზმრებად გადავირევი.
შენ ნადირობის ქალღმერთსა ჰგავხარ,
მე ვარ დაჭრილი ნანადირევი.
შენს გულს იმგვარი უნთია ცეცხლი,
რომ სიშორეზეც მწვავს და ბობოქრობს.
შენ ხარ ურიცხვი უნცია ვერცხლი,
და უფრო მეტი!-ბაჯაღლო ოქრო!..
ჩქეფს სიყვარული ისევ და ნაზად
ეხება სულის სათუთ ნაპირებს...
შენ მე მაცოცხლებ ისე ლამაზად,
რომ, მგონი, სიკვდილს აღარც ვაპირებ.
შენგან შექმნილი ტკბილი ზღაპარი
ცაში დამაფრენს უმისამართოდ.
ქატო- იქ იყოს, ფქვილი-აქ არის,
სიყვარული კი-სულში ნავარდობს...

ლამაზი ქალი

საიდუმლოს, გადანახულს ხვალისთვის,
წამში გასცემს მისი მზერა ფარული.
სილამაზე სიმდიდრეა ქალისთვის,
მზითევია, სკივრში გადამალული.
ვნების მტვერი მოგაფრქვია თუ ქარმა
და ღიმილი შეგაყინა ბაგეზე,
სილამაზე, იტყვი, შექმნა უფალმა,
ფიქრიც, მზერაც მის მხარეს რომ გაგექცეს.
და თუ სუნთქვაც აგიჩქარა მშვენებამ,
ჯადოსნური ხელით როა ნაქარგი,
ყველა ქალი შენად მოგეჩვენება,
შეგაშფოთებს შიში მათი დაკარგვის.
სილამაზე დღე მზეს ჩრდილავს, ღამე-ცას,
გულს, უსისხლოს, გესლით უვსებს შურიანს.
...თვალს, თუ კვლავ სხვა ლამაზისკენ გაგექცა,
ნუ დასძრახავ,
წყალი თვალსაც სწყურია!..

რაა სიცოცხლე უსიყვარულოდ

მგონი მიმიხვდი, მშვენიერო, რარიგ მიყვარხარ!..
დიადმა გრძნობამ ტალღასავით მოვარდნა იცის...
მზე იფხორება ცამაღალზე, როცა იქ არ ხარ,
და როცა იქ ხარ, გიბღვერს, როგორც სახედნი კვიცი.
შენს კაშკაშებზე ლაჟვარდების ზემო თავანზე
მნათობთა გუნდი სხივთა შენთა მონა მგონია.
ჩემს გულში, როცა ყურმოჭრილ ყმად შემოგთავაზე,
გრძნობა ღვიოდა, რომეოსი მონაგონია.
სერენადები, სულში ვერ და რომ ვერ ჩავტიე,
ვულკანის ფორმით ამოიფრქვა, ლავისმაგვარად.
იადონის ხმით გიგალობდი სოლო პარტიებს,
ფანტელებად რომ ეფინება ახლაც მთა–ბარად.
რა ვქნა, თუ გრძნობა ბობოქარი, მართლაც მაწუხებს
ხიბლით, რომელმაც ეს უგულო გულიც წამგვარა.
ფიქრში ვემონვი მაგ შენს ნატიფ მკლავთა მარწუხებს
და მთვარესავით ავეკვრები შენს ცას ამგვარად.
ზღვა სიყვარულში იფერფლება როცა აპრილი,
მზის სხივთა თქეშში ნამქერები ფარ–ხმალს დაყრიან.
მარტიც გვიმოწმებს ზამთრის ჩინ–და–მედლებაყრილი:
უსიყვარულო სიცოცხლეში, აბა, რა ყრია!..

თენგიზ ფანცულაია

ჯერ არ მივდივარ

ჯერ არ მივდივარ, ბრძოლას ვაგრძელებ,
თუმც ეს ცხოვრება, მეტად რთულია,
ზოგი წაქცევას, რომ ელოდება,
ჩირგვებში გვიზის გაყურსულია.

სიმართლისა და სამშობლოსათვის,
ომი და ბრძოლა თქვენთან მწყურია,
მარტყოფის ველზე რომ დაგიძახებთ,
ყველა ხომ მოხვალთ? დარაზმულია.

ერთად დავცხოთ და ბეჭებზე დავდოთ,
ვინც დასაქცევად შემოსულია,
სანამ დრო არის სოფელს მივხედოთ,
ისმოდეს ბავშვთა ჟრიამულია.

თვალს სიამოვნებს როცა სახლკარი,
ხვავით, მოსავლით გავსებულია,
ჭურის თავზე კი ლხინი გავმართოთ,
შევძახოთ ლაღი კრიმანჭულიაა.

რად გრიალებს შადიმანა

ჩემთვის ვზივარ, მუზამ ცოტა,
საფიქრალი.მომიტანა,
ფარისეველთ რატომ ვგუობთ,
რად გრიალებს შადიმანა.

რატომ დადგა უზნეობის,
გამყიდველთა დრო და ხანა
დამიჯერეთ ამ მიდგომით,
დნება,ქრება ეს ქვეყანა.

თემა ასე მტკივნეული,
კი მომაწვა დილიდანა,
თუ ინებებს ზენაარი,
კი შევავსებ ხანდახანა.

მე შენ მიყვარხარ ადამიანო!!!

ბოლო დროს სენით დაშინებულო,
ავად გამხდარო, ვირუსიანო,
ცუდ ცხოვრებაზე დაფიქრებულო,
დამწუხრებულო და ნაღვლიანო.

კაცურ სიტყვაზე, უარის მთქმელო,
შურიანო და ხაფანგიანო,
ზნეშეცვლილო და დიდ ჯიპიანო,
გულით ბოროტო და ავზნიანო

ქართულ ადათზე წიხლისა მკვრელო,
ხან უგულო და ხან ბრაზიანო,
ქალის მჩაგვრელო და ბოღმიანო,
გამყიდველო და ღალატიანო.

მე კი მსურს შეგხვდე,ხშირად გიხილო,
გულმართალო და ღიმილიანო,
განათლებულო, ზრდილობიანო,
მამულის მცველო, მგლის მუხლიანო.

მშრომელო,მუდამ ხელ კოჟრიანო,
ღონიერო და სულ საქმიანო,
შრომით დაღლილო და ოფლიანო,
შენ მევენახევ, პურღვინიანო.

სიძევ, შე ლამაზ პატარძლიანო,
ქორწილო, ვაჟკაც მაყრებიანო,
და მხნე თამადავ, ენაწყლიანო,
შენ მეგობარო, ჯიშ კარგიანო,

ლამაზო ქალო, გულის მომკვლელო,
ცეცხლის შემნთებო, ფითილიანო,
ტრფობის აღმძვრელო და გრძნობიანო,
გასაგიჟებელ თვალებიანო.

დიოგენივით ყველგან დაგეძებ,
მადლის მთესველო, ავკარგიანო,
მაინც მწამს შენი და გეფერები,
მე შენ მიყვარხარ ადამიანო!!!

პ.ს:
ხანდახან მავნე და ცოდვიანო,
ფარისეველო და ფანდიანო,
მაგრამ თბილო და ღიმილიანო,
ზნეკეთილო და ხალისიანო.

გამოფხიზლდები, ვიცი გვიანო,
დიდო ქართველო, შე მადლიანო.
მე შენი მჯერა, დიდად გაფასებ,
მაინც მიყვარხარ ადამიანო.!!!

სამშობლოს სახელს ვბუტბუტებ

„სამშობლოს სახელს ვბუტბუტებ“
სიზმარშია თუ ცხადშია,
მწარედ გულსა მტკენს, რაც ხდება,
დავალ ცრემლების ღვრაშია.

ჩვენი დაქცევის მოსურნე,
მტერი მომდგარა კარშია,
სულ გადაგვკიდეს ერთმანეთს,
გაგვხვიეს მწარე შარშია.

სენიც მოგვადგა ბოროტი,
ვართ წასულების თვლაშია,
გაგვაწამა და გვატირებს,
ბევრი დაგვიდის თალხშია,

დედაბოძები გავრეკეთ,
აზია-ევროპაშია,
და მათი გამოგზავნილი,
ბევრია მწვანეს თვლაშია.

ფარისევლები დადიან,
ეკლესია და ხატშია,
ინდულგენციით მოირგო
მკვლელმა მოწამის არშია.

არვის არ უნდა მსახური,
საზღვრის დამცველად, ჯარშია,
ქლესა გვიჩაგრავს მეომარს,
ჩაწყობა-მარიფათშია.

თხოვნა მაქვს. „ძოპიროსები“,
არ შემოუშვათ კარშია,
არაფრით არ დააყენოთ,
ქვეყნის დამცველთა თავშია.

სამშობლოსათვის იბრძოლე,
ავდარშია თუ დარშია,
ძალა არ გამოგლეოდეს,
მუხლსა და კიდევ მკლავშია.

პატივი ეცით მშრომელებს
ცნობილებს ოფლის ღვრაშია,
ხალისიანი მენახოს,
ქართველი მარნის კარშია.

არ დაეჩაგროს არავის,
ქართველი ჭკვა და ხმალშია,
კაცი იბრძოდეს, დიაცი,
ერთგულად ჰყავდეს მხარშია.

მოძმეთა დასახმარებლად,
ერთურთს ვასწრებდეთ გზაშია,
გამრავლებული მენახოთ,
ქართველნო ფუძე-გვარშია.

გამოიღვიძეთ, გეყოფათ,
გამოიხედეთ თვალშია,
გადავშენდებით იცოდეთ,
სხვის ყურება და ცდაშია.

მოდით ერთმანეთს ალალად,
დავუდგეთ ძმებო მხარშია,
კატარღით გავისეირნოთ,
რიწის უცივეს ტბაშია.

არ დავივიწყოთ ყელის ტბა,
ევროპის,რომ დგას თავშია,
მასაც ვესტუმროთ ლაშქრობით,
წმინდა ქსნის ხეობაშია.

მუდამ შენ სახელს ვბუტბუტებ,
სიზმარში ვარ თუ ცხადშია,
ღმერთო სამშობლო მიცოცხლე,
გაბრწყინდეს მომავალშია.

პ.ს:
ლექსად ვბუტბუტებ, გაფხიზლებთ,
ჩავარდნილი ვარ ფიქრშია,
თქვენ კი სანამდე იქნებით,
კოტრიალი და ძილშია.

ნაირა უგულავა
(ნია გორდელი)

შენს მძვინვარებას არ ვუხდი ღალას

შავი ზვირთების მაშფოთებს ტალღა,
რაც განსაცდელად ოდითგან დამაქვს...
მოვედი ზღვაო, ჩემი ცოდვები
რომ გადმოვყარო დასტად და დასტად.

ადამიანის ბობოქარ ვნებებს,
შენს მორევებში ითრევ და მარხავ,
ერთ მშვენიერ დღეს, აბრუნებ ფსკერს და...
კაცობრიობას უგზავნი წარღვნას.

დიახ, შენ ზღვა ხარ - ავი სტიქია,
და დემონური გაღვიძებს ძალა,
სიურჩე შენი ვერვინ ალაგმა,
ვით შეგაკავებს ქვიშა და დამბა.

ვერ დავენდობი ვერაგულ ზრახვას,
დაწინდულს -შერწყმულს ავ ქარიშხალთან,
შიში და ძრწოლა ზმანებად დაგაქვს,
როდესაც დგახარ მშვიდად და წყნარად.

შავი ზვირთების ტიტანურ ძალას,-
შენს მძვინვარებას არ ვუხდი ღალას,
ამიტომ გრძნობებს სათუთად ნაზარდს,
ზღვის უფსკრულებში არასდროს ვმალავ.

ახლა, ზეცისკენ მიჭირავს თვალი,
სული მიიწევს მაღლა და მაღლა,
სადაც იხსნება სამყაროს კარი,
სად, მეუფეობს არსობის ძალა.

ემიგრანტ ქალბატონებს

ფუძე-კერის და ოჯახის ამაგდარო,
გაიღიმე, გთხოვ ღიმილი არ დამალო,
შენს სიტურფეს ახლა მკაცრი სუსხი აწრთობს,
მძიმე არის შენი ხვედრი ემიგრანტო.

რაც დრო გადის ასმაგდება შენი დარდი,
უსამშობლო ზეცა არის მუქი ჩადრი,
კუთხე, კერა გენატრება საკუთარი,
მშობლიური მიწა დაგაქვს, ვიცი, ჩანთით.

ძალა გმართებს, კალო შენი რომ გალეწო,
საეჭვოა იქ რომ ვინმემ შეგიბრალოს,
გაძლიერდი, ფიცი შენი არ გატეხო,
დაბრუნდები შინ მშვიდობით ემიგრანტო.

მეც შორიდან გეფერები წრფელი გულით,
შენს სახელზე იმედის ტოტს გადაგირგავ,
განსაცდელი გამოგაწრთობს,- გწამდეს უფლის,
ღვთისმშობელი შეგეწევა, არ გაგწირავს.

არ შემახსენო წლები

ნუ შეგაკრთობს შევერცხლილი ჭაღარა,
თუ შემოგხვდე მეგობარო ანაზდად,
ამ ცხოვრებამ საკმარისად დამღალა,
ეშმამ სული, წლებმა სახე დაღარა.

დროის რითმი, ტემპი აღარ ნელდება,
წამი, წუთი ბრუნავს აღარ ჩერდება,
წლები წლებში ისევ გადაეხვევა,
მაგრამ იცი, გული აღარ ბერდება.

სულს სწყურია ისევ ახალგაზრდობა,
ძველებური ხალისი და გართობა,
ხოტბას ვასხამთ სილამაზეს, ვარდობას,
რას მიქვიან სიბერე და დავრდომა.

ჩვენმა ნიჭმა კვლავაც რომ გაიელვოს,
ისევ იღწვის, ლაღობს და მზეთამზეობს,
მეგობარო, გული არ გამიტეხო,
თუ შემოგხვდე, წლები არ შემახსენო.

მზის შესახვედრად

ცის ბილიკები მიწვევს საფრენად,
როცა აისი აელვარდება,
თეთრონა რაშებს, სადავეებით,
როს მივაქროლებ მზის შესახვედრად...

წმინდა გრძნობები, ფრთაშესხმულები,
მე ავიტანე ზეცის კარებთან,
თვალის და გულის გასახარებლად,
მიმოვაბნიე ცის ვარსკვლავებად.

ავანთე გული წმინდა ლამპრებით
და ავუხილე ცისკარს თვალებად,
მე მივანიჭე ზეცას ნათელი,
რომ მოსულიყო ღვთიურ ნალექად.

წმინდა საყდრებში ლოცვის აღვლენით,
ანგელოზები ციდან ეშვება,
ადამიანი ღვთიურ თვალებით,
მე დაგიხატეთ წმინდა ფრესკებად.

გამოვიგონე ათასი ფერი,
კაცის გონების გასანათებლად,
ფუნჯით დავხატე მწვანე საფირი
და მოვაფინე ველს ბარხატებად.

ჩემი თვალთამზით და ელვარებით,
გავაფერადე სიზმრის ბაღები,
ახლა შროშანი, ველის ყაყაჩო,
იცქირებიან ჩემი თვალებით.

მირიადების ვრცელი სამყარო,
გადმოვისახე ანარეკლებად,
ამ ცას, ამ მიწას, - მზიურ სანახებს,
მე მივანიჭე მშვენიერება.

ეს სილამაზე, - ფერისცვალება,
სიცოცხლის სხივით ერწყმის ღვთაებას,
გთხოვთ, არ შეახოთ მსახვრალი ხელი,
ამ საწყაულის მადლით აღვსებას.

თქვენც შინაური გღალატობთ მტრები

ისევ დატორა დაუნდობლად ცა გრიგალებმა,
უსამართლობა, როგორც წესი, კვლავ ზენიტშია,
ბოროტი ხელით დედამიწა კვლავ იმართება,
სწორუპოვარი განაჩენი ისევ ჩიხშია...

შავი ტალღები წამლეკავი ისევ აზვირთდა,
აღზევდა ძალა, უმეცრება და მრისხანება,
ახლა სიცოცხლეს - ღვთის ნაბოძებს, ჩალის ფასი აქვს,
დიდი ფსონები წარღვნისათვის ისევ იდება...

ყალბ იდეალებს აყოლილი ხალხის ბრბოები,
გავეშებული ველურ ნახირს რომ ემგვანება,
თავს მოხვეული , ცრუ მცნებებით ნასაზრდოები,
ბელადთან ერთად უფსკრულისკენ მიექანება.

გულუბრყვილობამ, სავალალოდ, თავი იჩინა,
საღი გონება - ღვთისნიერი, კვლავ დაიჩრდილა,
ამ ცდომილებას საფასური დიდზე დიდი აქვს,
საუბედუროდ, ცუდბედობას ამით იმკიან.

და ვინაიდან უმეცრებით თავგზა აგებნათ,
თქვენი სიწმინდე - საფიცარი, ღორებს დაუგეთ,
უცხო ტომელი ვერ დადგება ფარად - თავდებად,
სინედრიონი რისხვისაგან როცა ბრმავდება...

რით გაამართლეთ პილატესგან ხელის დაბანა:
რომ უბრალოა უმანკოთა სისხლის ქცევისგან?
ვინ გაიძულათ წმინდა სულის შხამით წარწყმედა,
თუ მიზნადა გაქვთ - საკუთარი ქვეყნის დაქცევა...

დასანანია, თქვენც რომ გიზით დიდი მამონა,
მისი ღალატით დაიგეგმა მრწამსის აღრევა,
დადგება ჟამი და სიმართლე კვლავ გაცხადდება,
არც მათ შერჩებათ უმანკოთა სისხლის დაქცევა...

ლია ჩიქოვანი

მტერი,მტერია შინა და გარეთ

რისთვის შეღებოთ ველი ქართული,
ახალგაზრდების სისხლით?
თუ ისევ კანონს რუსულს იღებდით,
და ქართველს კლავდით ისრით.

რისთვის გაყიდეთ მიწა ქართული,
მტერზე მზაკვრული მიზნით?
საქართველოო,უქართველებოდ,
შორით ნათქვამი ისმის.

დღესაც გამოჩდნენ შადიმანები,
ხელის შემწყობი იმ ძმის,
მიწას გართხმული მცოცავ გველივით,
 რომ შესძრიმიან თითქმის.

მოძმისგან განაყიდებზე
ბევრი თქმულა და ითქმის,
ეჰ,საცოდავად ტირიან ტოტები,
ფოთლებს,რომ სწყვეტენ იფნის.

 თუნდაც დამალეთ ყველა სათქმელი,
ისტორია ხომ იტყვის,
და რას უტოვებთ შვილებს მამებო!
სახლებს დახურულს ისლით ?

მტერი,მტერია შინაც და გარეთ,
ტყვია ყოველთვის ისვრის,
რატომ გაყიდეთ დედულ-მამული,
 მორწყული ქართველთ სისხლით?

მტერი, მტერია შიგნით და გარეთ,
მუდამ თავისას იტყვის.

ვიცი მოხვალ ჩამიხუტებ

შენს ლოდინში ვითვლი წუთებს
ვიცი მოხვალ ჩამიხუტებ,
წვიმა გაყრის გულის ქურდებს
ჩვენი დრო კი დაიქუხებს.

გადარეკავს ზეცა ღრუბლებს,
ცად გავუშვებთ ფერად ბურთებს,
ჩვენს სიყვარულს შევხსნით ხუნდებს,
გული ტრფობით რომ გახურდეს.

სიყვარულის მზე გვათბობდეს,
გრძნობა ჩვენი არ გახუნდეს,
ჩვენს გულებში არ გათოვდეს,
ტრფობა მწველი მარად ქუხდეს.

მიიწურა თებერვალი

მიიწურა თებერვალი,
გაზაფხულის დაქრის ქარი,
ხეს ძარღვებში უდუღს წყალი,
კვირტი ხარობს გადამასკდარი.

მარტი არის ბობოქარი,
გაზაფხულის ნაპერწკალი,
ხან მზეა და ხანაც ქარით
მოგვეყინა სახსარ- ძვალი.

ფიფქსაც ურევს მზეში მარტი,
გაუშლია უხვად კარტი,
მზეს გამოსდო უცებ კვანტი,
ფიფქი მოდის დარდიმანდი.

ხან წვიმაა, თანაც თქეში,
ხან ცრემლები სცვივა მზეში,
არეულა მარტის თვეში
ყველაფერი ერთ ღამეში.

ბუშტებივით დაბერილი
კვირტებია გასათხრეში,
იასამანის სურნელებით
თავს შეიგრძნობ სამოთხეში.

აფეთქდება კვირტები და
მუზა მოვა როგორც თქეში,
იბიბინებს გაზაფხული ,
იებს ჩაწნავ ჩემს ბევრ ლექსში.

შევიხორცოთ წყლული

აღარ გვინდა აღარავის კაცი რუსეთუმე,
ეუროპას- კი,არ ვუნდივართ,არ ვუნდივართ თურმე,
ერთმანეთს წაკიდებულნი, ტყუილად ვარახუნებთ ურმებს,
მტრობითა და ბილწ სიტყვებით, შუაზე ვუხეთქავთ გულებს.

გაწევით და გამოწევით გაიხლიჩა გული.
სიძულვილით, ბოროტებით ავსებულა სული.
ქაოსია ქვეყანაში, ქაოსია სრული,
მტერს კი კარგად გაუვლია ჩვენს მიწაზე ხნული.

რატომ ერთად არ დავდგებით მამულისთვის გულით,
გაზაფხულზე ყველამ ერთად სათქმელი თქვათ სრული.
ერთობის და სიყვარულის დრო რომ გვედგეს ბრძნული,
რომ მხარდამხარ სიარულით შევიხორცოთ წყლული.

გემის გაცურვას ველით

ეუროპამ თვალი ჩაგვიკრა,
აზიამ გვაცვა პერანგი,
გაღმელმა ჯვარზე გაგვაკრა,
მტერი ბევრი გვყავს ვერაგი.

ჩვენ კი - ვტორტმანებთ შუა ზღვაში,
კაპიტნის პოვნას ვაპირებთ,
ყველა დამჯდარა A კლასში,
ვეღარ ვპოულობთ ნაპირებს.

ამდენი უცხოს სარდლობით
გემი ჩაძირვას აპირებს.
გემზე შემოვრჩით ყველანი
და ირგვლივ ვხედავთ ვამპირებს.

კაცებს დავეძებ ნამდვილებს,
სარდლებს მიუჩენს ადგილებს -
ცხოვრებას გაგვიადვილებს,
ჯიბეს მოუკრავს საწილეს:

დედას არ გაჰყრის შვილებს,
ქალი არ დაიჩივლებს,
ქალი აგვიღზრდის ჩვილებს,
ქმრის მკერდზე დაიძინებს,

მაგრამ, ტორტმანებს გემი,
ძირში უძვრება გველი.
ბლაგვ სატევარის ცემით,
ვერ ამოვავსეთ ხვრელი.

ვდგევართ ფიქრებით მწველი,
უსიტყვოდ ბევრის მთქმელი,
გემის გაცურვას ველით,
რომ მოვიშოროთ გველი.

წამში დასცა

გული მეწვის - მესმის კვნესა,
ცაზე ელვა როცა ვკესავს.
მიწა იძვრის, თურქებს გესლავს,
წარბი შეუყრია მზესა.

ნანგრევიდან ისმის გმინვა,
ცა და მიწა მოსთქვამს, გმინავს,
ცრემლებს ვერ იკავებს თინა,
ღმერთის რისხვა რომ ხვდა წილად.

თავს დაეცა ქალაქს, მძინარს,
წამში დასცა მიწის პირად,
ხელს რომ ახლებთ ტაძარს, ღვთისას,
თავს დაგატეხთ ღმერთი რისხვას.

სიამაყე და თავმდაბლობა

სიამაყე ცაზე ქროდა,
წარმოდგენა დიდი ჰქონდა.
მთაზე დროშა გადაჰქონდა,
სიტყვას ნასროლს:
-აბა, ჰოდა! -
გულში ლახვრად ჩიტს ასობდა.

პაწაწინა ჩიტის გული
თავმდაბლობით წუყნარად თრთოდა,
თუმც, ისარი გესლიანი
მის გულს მოხვდა, დარდი ჰქონდა.
ჩიტუნიას წყენის ცრემლი
ქარაშოტებს გადაჰქონდა,

სხივმა ცრემლი შეუმშრალა,
სიამაყეს მიაძახა:
- ვიცი,ძმაო, შეშეგეშალა.
მწვანე ველზე კი, თავმდაბლად
მას ნაბადი გაუშალა.
სიამაყე მედიდურად წამოჯდა
და ფრთა გაშალა.

ჩიტუნიას თავმდაბლობა
ვალდებულად ჩაუთვალა.
სიკეთე და ერთგულება
შუა ზღვაში ჩაუყარა.
სიტყვა მწარე ჩამოყარა,
გულში ხანჯლად გაუყარა.

თავს თუ დახრი ძალზედ ქალავ,
ფეხს დაგადგამს, ფიქრობს განა?!
სიამაყით ისევ გეტყვის, რომ თავდსი გაიტანა.
ჩიტი - თავთავს რას შეასმენს
თავმდაბალი, თუმდ მზისთანა.

ორნივ ვებრძვით

ნაცარტუტად ქცეულია ველი,
სახლის კარი ისევ პატრონს ელის.
ტყე გამხმარა,არ გამოჩდა მცველი,
მთა მოგვითხრობს ამბებს სოფლის ძველის.

ელოდება სახლი ობლად, მარტო,
სიცივე და გულზე დარდი ათოვს.
– რად დამტოვე უმოწყალოდ, ავთო?
რა გაუძლებს ზამთარს, რომ დამათოვს.

მხოლოდ ორნი შემომრჩითო მინდორს,
ცივი ქარი გვირილასაც ინდობს.
ორნივ ვებრძვით მარტოობის დიდგორს,
ველოდებით იმ დღეს, რომ დაგვინდობს-

ჩემს ბუხარშიც რომ ამოვა ბოლი,
ყვავილებით აივსება ჰოლი,
მაღალ მთაზე ბალახს მოძოვს ცხორი,
მწვანე მოლში თავს ჩამალავს გნოლი.

იღიმება ტუჩ-წითელა ვარდი

მწვანე ფერით შეიმოსა ბაღი,
იღიმება ტუჩ-წთელა ვარდი,
ტყემლის კვირტებს აუფეთქდათ ნაღმი,
ყვავილებმა გარდიყარეს დარდი.

ვხედავ ტიტებს - ნაირფერებს, ნაზად,
მოურგიათ ტანზე ჩითის კაბა,
ვარდებმა კი დამიმშვენეს "ვაზა",
ბულბულის ხმას გავიგონებ აბა!

მშობიარე, თბილი გაზაფზულის
ხელში ამყავს ყველა მისი შვილი,
შეგრძნებაა რაღაც არნახული,
რომ იზრდება იფურჩქნება ჩვილი.

მინდა ყველას გულში მზე რომ გენთოთ,
გაზაფხული რომ ყვაოდეს თქვენში,
სიყვარულის, სიხარულის ერთობ,
რომ ცრემლების იფრქვეოდეს თქეში.

არ გავცვალოთ სიყვარული

თავგამსკდარი კვირტებიდან ჩურჩულებენ ყვავილები:
- ყოველ დილით ვიღვიძებთ, ვიმატებთ და არ ვილევით.
ვარდების და გვირილების სიყვარულში გავილევით,
მომავალზე ჩვენ ვსაუბრობთ, ჩვენ ვსაუბრობთ კვლავ იმედით.

აპრილის მზე გვეფერება, სხივებს გვიყრის გულში,
რა ლამაზი ელფერი აქვს,როცა ყვავის ნუში.
შენზე ფიქრით, ჩემო კარგო, სითბო ჩამეღვარა სულში,
მოდი ჩემთან, გამახარე,ნუ დამტოვებ მარად მწუხრში.

ვიცი, მოხვალ არ დამტოვებ, მე კი ზღაპრულ სუფრას გავშლი
მწვანე ველზე წამოვწვებით, ევა, შენ გაცდუნებს ვაშლით,
შენგან აწეწილ ნაწნავებს დავიფარავ თეთრი თავშლით.

მერე ისევ გზას გავყვებით,დავკრეფთ ვარდს და ღიღილოს,
ჩვენს გულებში სიყვარულმა, ვით აპრილმა იღიმოს,
არასოდეს წავფორხილდეთ ბედმა მუდამ გვიღიმოს.
ბოროტება,შური მტრობა შორს წაეღოს მიმინოს.

შენთან ყოფნა ჩემს ხასიათს,გაათბობს და შეცვლის,
ცხოვრებაში ერთგულების გულში გვენთოს ცეცხლი
ბუხარს უნდა შევუკეთოთ, რომ არ გაჩნდეს ფერფლი,
არ გავცვალოთ სიყვარული არასოდეს ვერცხლში.

ნელი გიუნაშვილი

ცოდნის ტაძარში ესვენა წიგნი

სევდამ მოიცვა მთელი სამყარო,
ხე არ ხარობდა, კაცი კვდებოდა,
მზის მკრთალ სხივებში, სიცოცხლე მკრთალი...
ბერდებოდა და დარდით ჭკნებოდა.

არავინ ვიცით რა გველოდება,
ცხოვრების წიგნში რა ჩაიწერა,
ცოდნის ტაძარში ესვენა წიგნი,
უფლისგან ბევრი რამ დაიწერა.

აწმყოს ვხედავთ და მომავალს ვერა,
მომავლის ბედი ჩვენ გვაბარია,
და თუ ერთმანეთს სითბოს ვაჩუქებთ,
ხალისს შევმატებთ გასახარია.

ხალისი ყველას გვჩუქნის სიცოცხლეს,
ახალგაზრდობას და სილამაზეს,
ხალისი გვმატებს ბედნიერებას,
კეთილგანწყობას დიდ სიმამაცეს.

თუ ყოველი დღე გაიხალისე,
თუ დაივიწყე შენი დარდები,
ლამაზ სიცოცხლეს შეგაგრძნობინებს,
აჟღერებული ტკბილი ჰანგები.

მაშინ, ნამდვილად ამობრწყინდება,
სიცოცხლე ჩვენი ლამაზ ფიქრებად
და ოქროს კალმით ცხოვრების წიგნში...
დაიწერება ოქროს რითმებად.

იყო მაისი და გიორგობა

იყო მაისი და გიორგობა,
მზე ადნებოდა თაფლისფრად ბაღებს,
დილის ნიავი ეფერებიდა,
თეთრად გადაშლილ ლამაზ ზამბახებს.

ზეციდან წვიმა ისე დაეშვა,
ჰგავდა ბროლისფერ კაშკაშა ჭაღებს,
და კიდევ უფრო ალამაზებდა,
აღაჟღაჟებულ მეწამულ ვარდებს.

წვიმის წვეთებით დაცვარულიყო,
კამელიები ხასხასა ფერის,
სურნელს აფრქვევდა და კეკლუცობდა,
ალბათ დღეს ისიც სიყვარულს ელის.

"როგორც სახება და დიადემა"
ყაყაჩოები ბრწყინავდნენ მინდვრად,
ყელს იღერებდნენ თეთრი ტიტები,
მზემ გვირგვინები დაადგა სხივად.

იყო მაისი და გიორგობა,
მზე ადნებოდა თაფლისფრად ბაღებს,
გულში იწვოდა წმინდა სანთლები,
ადიადებდნენ ლურჯი ცის თაღებს.

მ ა მ უ ლ ო ჩ ე მ ო

მამულო ჩემო, სიცოცხლის დარო!
მზეს მაცოცხლებელს, შენთვის ვთხოვ შველას,
ჩემო ტკივილო და საფიცარო!
მივსდიოთ უნდა ჩვენ უფლის რწმენას.

რწმენა მოგვიტანს უფლის დიდ ძალას,
მაცხოვნებელი სიმდაბლე ჩვენთა,
ჩვენ ხსნას მოგვიტანს კეთილი საქმე,
მიმტევებლობა, სიმშვიდე ერთა.

მრავლისმეტყველო, ცხოვრებავ ჩვენო!
საით მიგყევართ, რა გველის ნეტა,
უფალო ჩვენო! დიდება შენდა!
აღარ მოგგვარო ცრემლი და სევდა.

მამულო ჩემო, ხატებავ ჩემო!
მინდა დავაშრო ცრემლები შენი,
გახარო დღეის მზის სხივთა ფერით,
გადიდო უფლის მაღალი რწმენით.

თუ შენ იხარებ, გულსაც გაითბობ,
თუ შენ მზესავით მარად ინათებ,
მაშინ ნამდვილად მეც გავიხარებ
და მეც სიცოცხლეს ისევ ვინატრებ.

ქეთი სვიმონიშვილი

* * *

ჩემო დედა საქართველო
ჩემო წმინდა სავანე,
შენ ხარ ღვთისგან დალოცვილი
და სიწმინდის სათავე.
        როგორ მინდა შენს მიწაზე
        ფეხშიშველმა ვიარო,
        ფეხებს ნამი მისველებდეს,
        ქარმა გადამიაროს.
ღრუბლებმა მზე მოიტაცონ
რა სხივები შემახოს,
ჭექა-ელვამ ცა გაბზაროს,
უცაბედად შემაკრთოს.
        დასველებამ, შემცივნებამ
        დარდი გადამიყაროს,
        ყველა წმინდა სალოცავი
        ფეხით შემოვიარო.
შენი მთები, შენი ზღვა,
შენი ცა და მდინარე
შენს ერთ დილადაც კი არ ღირს,
სხვა სადაც მე ვიარე.

ქისტების ლოცვა მუხებში...

(მიმწუხრის ჟამის ნახატი)

**

საღამო იყო ცას ბინდი,
მხრებზე ჭორფლივით ეყარა,
გაჰკიდებოდა აპრილი,
ტყეებზე სოფელ-ქვეყანას,
სიმშვიდე იდგა სიცოცხლის,
ანადა კვდომისა (რავიცი!)
მოვდიოდი და იცოცხლე!
სულსა სწამლობდა დაისი,
გუთნური იყო თუ სხვაი,
,,დაიგვიანეს ერქვივნა"
გულის გულიდან ამოსულს,
ჩავიმღეროდი ჩემთვინა,
გზად, სადაც ალავერდი სჩანს,
მთათა აბჯარში მჯდარია,
ახშნის მინდვრებთან,
        გზისპირ რო,
მწკრივად მუხების ჯარია,
იქ გაკრთა ცხადლივ სურათი,
ნახატი ღმერთისმიერი-
დაჩოქილიყვნენ ბალახზედ,
ქისტები სჩანდნენ იერით,
ლოცვით, შუბლს ხრიდნენ
მიწაზე,
თავის,,ალლაჰის" წესითა,
იმათ ღაღადი მუხებში
მზის ჩასვლასავით ეკიდა.
რას რა ამბობდნენ არ ვიცი,
არც ლოცვა ვიცი, ლოცვადა,
მაგრამ, ვფიცავარ ჩემ ღმერთსა,
რაღაც ნათელი მოსავდათ...
გვერდით ქალ იდგა რაიმა,
წელამდი სცემდა თმანია,
შველს მოუგავდა თვალები,
ცის მთვარე იყო მცხრალია,
შემხედნა, სალამი მითხრა,
ქმარს მიაწოდა წყალია...
გამოვცდი ჯვარი ვისახე,
ვა,ღმერთო! ცოდვა ბრალია,
,,ჩვენ ვიტყვით კაცნი
        ჩვენა ვართ",
ვაჟა მართალი არია!
ღმერთო სადამდე მაცოცხლებ,
სანამდე მიჭრის თვალია,
ქართველ, ქართველად მანახვე,
ვაჟკაცია თუ ქალია,
შენ გაუმარჯვა იმათაც,
ვინაც სხვა რჯულის არია,
მაჩვენე კავკასიელი,
დედა ცრემლთაგან მშრალია...

მერე მოვიდეს ისიცა,
ვნახოთ რა ბიჭი არია,
ავიკრავ გუდა-ნაბადსა,
გავქრები ვით სიზმარია!

*

თვალებს ნაგუბარი წვეთი ჩამოსცდება,
სული შეიძლება, ცრემლში ეტეოდეს,
აი, ცათა სხვენზე, მზე რომ გამოჩნდება,
კრძალვით ჩავიუბნებ-ხატ-ღმერთ გვეწეოდეს!
სანთლებს შავიციცინებ, ლოდზე მინატირებს,
კენტად ვანაწილებ ქადის ნაოთხალებს,
გეტყვი-სამშობლოდან როცა გამაცილებ,
ჩემთვის, გაღმა გორზე მიწა ამოთხარონ...
მაინც ძნელი არი ეხლა საუბარი,
თვალი, ძერას გასდევს, ცაზე მოტრიალეს,
ღმერთო! სამშობლოზე დარდი ნაგუბარი,
სულში დავიტიე, ისე მოგიტანე,
სხვაიც ამოსულა, შენი მომლოცველი,
საკლავ შაუწირე, მკლავი გაუმაგრე,
და თუ წარმართი ვარ, შენგან მომეთხოვოს,
როგორც ღირსი ვიყო- ისე შემინანე,
...თვალებს ნაგუბარი წვეთი ჩამოსცდება,
სული შეიძლება, ცრემლში ეტეოდეს,
ჯვრიან ლოდებს შორის, მზე რომ გამოჩნდება,
კრძალვით ჩავიუბნებ ხატ-ღმერთ გვეწეოდეს!

მარტოობა

*

ტირიან ზამთრის ქარები,
ღამ-ღამით ,,დალას " ამბობენ,
ცხრაპირ ნაწნავებს იშლიან,
იჭრიან, გულზე მაწყობენ,
გადაღმა მთანი იცდიან,
სხედან, თეთრონი დევები,
ღონემიხდილი ყინვისგან
მიჩუმებულან ხევები,
ვზივარ, მიმქრალი კერიდან,
დარდის ნაღვერდალს ვაღვივებ,
მოლოდინივით გაწელილ,
ზამთრის ღამეებს ვაღვიძებ,
ფხიზლობენ, ჯერაც არ სძინავთ,
ჩემი ოცნების არწივებს,
სხვაგვარ სიცოცხლეს უცდიან,
სხვარიგს უცდიან აპრილებს...
....და ნანასავით ჩამესმის,
გორით ყმუილი მგლებისა,
იმათი დარდის ამოთქმა,
იმათ შაწყობა ხმებისა,
სძინავთ ქისტების აულებს,
მიჯრით, ღამეულ ძილითა,
თენდება ჩუმი ხმაურით,
საღაც მამალი ყივისა,
და ნანასავით ჩამესმის...
ქარები ,,დალას" ამბობენ,
ცხრაპირ ნაწნავებს იშლიან,
იჭრიან, გულზე მაწყობენ.

* * *

ვწერ და რასა ვწერ არ ვიცი,
ხელ-მკლავი თავად მიმდისა,
შემოდგომისამ ჩამოცრა,
ცხრაკარის ტყეში ბინდისას
ფიქრის ნაღვერდალს
ვაღვივებ,
რაც გულის გულში მინთია,
,, შინ შმაგი მოველ"გაბრიელ!
როგორც ვაჟაის მინდია...
ჩემი სიცოცხლის დღეებიც,
რა უგერგილოდ მიდიან,
ითვლება წამის წამები,
როგორც წესი და რიგია,
განა სიკვდილი მაშინებს?!
ან ლაჩრის გული მიდია,
დროთ თუ უდროოთ წამიღებს,
საცა წამსვლელნი მიდიან.

ეხლა სხვა რაიმ მაღონებს,
ეხლა სხვა ჭირი მჭირია,
ვა! თუ ვერა ვთქვა სიტყვები,
უწერლად დანაწირია,
-ვერ გამოვადგე ქვეყანას
-ვერ შაუხვიო წყლულია
-ვერ გავუმთელო ბევრგანა,
ამოგლეჯილი გულია.
-ჯაფა ვერ ვწიო ჯალაბის,
-ვერ გავიტანო ხნულია,
-ვერ გავაშენო ვენახი,
-ვერ შავინახო რჯულია,
გავლიო თავის შამყურემ,
წუთისოფელი სრულია,

ვწერ და რასა ვწერ ღმერთმანი,
წერა-მწერალი სწერავსა,
ჯვარს დავისახახავ, ერთხანი
თვალები ცასა სწვერავსა,
ათას სიკვდლილი მაღონებს,
ათასი ჭირი მჭირია,
ლეგა ღრუბლები გადმოდგნენ,
ცხრაკარის თავზე მიდიან...
ლექსის ნაღვერდალს ვაღვივებ
რაც გულის გულში იბრძვისა,
,,შინ შმაგი მოველ" გაბრიელ!
აქეთ ვაშინებ სიკვდილს ა,
თუ მამსვლელია მოვიდეს!
რიდი არა მაქვს სიტყვისა,
წამიღებს თუ ვერ წამიღებს,
ჩემივ ლექსები იტყვისა!

სიკვდილის წინათ

*

მე მეფიქრება სიკვდილის წინათ,
დამდგარი წუთი, თვალთა ბინდები,
ისევ ჩემებურ სიზმრებით მძინავს,
ისევ დავდივარ, იმ გარინდებით,

დამაქვს სხეული,სხვისი ნივთივით,
ხანდახან, მზისაც არ მწამს მზეობა,
პირჯვრის საწერი სამი თითივით,
მომაგონდება სამი ხეობა,

მომაგონდება სიკვდილის ღამეს,
არაგვის ჩქამი, მათურის ძირას,
იქამდე რეტი- კურატი შავი,
დინჯად მდინარი უფსკრულის პირას,

მერე ხმელგორი,ლაშარის ჯვარი,
ფლოქვების ცემა თეთრი ოირღის,
ფშავლის ბიჭები, ჩოქებზე მდგარი
ქართველს, სწყალობდეს წმინდა გიორგი!

ქართველს სწყალობდეს წმინდა გიორგი!
(იმათ ძახილი, იმათ ღრეობა)
გარმონს ჩაკრული, თითები ქალის,
მერე ეს ჩემი ილტოს ხეობა,
და პაპის სახლი ბექობზე მდგარი...

მომელანდება პანკისის მთებიც,
იმათ გოროზი შუბლების ცქერა,
საჯიხვეები, სპეროზას მკერდი,
საქისტოს თავზე გაშლილი ძერა,

...ბოლოს პატარა ჩემი სოფელი,
პატარძალივით მორთული უფლის,
წინაპრის ციხე,სვეტიცხოველი,
და ქადა-სანთლით მოყრილი მუხლი,

და სიხარული,და მწუხარება,
ყოველი ჩემგან გასული დღენი,
დედის თვალები და მდუმარება
ტირილი მკვდრის და სიამე ლხენის,

დანარჩენ ფიქრებს ჩემთვის ვიტოვებ,
ის სხვა ფიქრია,ფიქრი უბელო,
აბა ლხენაზე ლექსებს ითხოვენ,
აბა ლხენაზე როგორ ვუწერო,

მაინც ჩემებურ სიზმრებით მძინავს,
სამყაროს ბორგვა, ჩემში არ აღწევს,
დღეს ეს დავწერე, არავის მიმართ
ხვალე სხვას დავწერ! თუკი გადავრჩი...

ნასახლარების სევდა

თოვლსა სთოვს, საღამოს ბინდია,
მოჰგვანან ნიკალას ნახატებს,
მთვარის ქვეშ- ნიშა და მინდია,
წარმართი ხარები სახატე,

მთის ზურგზე, ღრუბლები მიდიან,
ანათებს, ძლივს მბოლავ ჩარდახებს,
მთვარე და სოფელი მშვიდია,
ვითომ და არც არა ადარდებს.

ცეცხლისპირ მე და მე ვბაასობთ,
ტკაცუნობს, გამხმარი წიფელი,
თოვლსა სთოვს, და ასე ტაატით,
სახეზე მადნება ფიფქები...

(არ მახსოვს, არც დღე და საათი,
არც ისა, საკუთრივ რა მტკივა,)
თავდახრით გიზივართ, ჭირიმე!
ვტირივარ, სათქვენო სატკივარს,

თქვენს პარტახ ქვითკირებს ვიტირებ,
უკაცო ყანას და სათიბავს,

(გიჟია მავანი იფიქრებს,
ქვა-ღორღზე ღელვაში რა ყრია,)

მე ვლანდავ, დაჩეხილ ცხვირ-პირებს,
და მაინც ჯიუტად მატირებს,
ღელვა, რომ ამისთვის იბრძოდნენ,
ღელვა, რომ ამისთვის გაწირეს...

არ მახსოვს, არც დღე და საათი,
არც ისა, საკუთრივ რა მტკივა,
თავდახრით გიზივართ ჭირიმე!
ვტირივარ, მაგ ქვათა სატკივარს,

გაშენებთ, ფიქრებში გაშენებთ,
თოვლსა სთოვს, ცა ისე მშვიდია,
მოჰგვანან, წარმართულ ღვთაებებს,
მთვარის ქვეშ, ნიშა და მინდია.

ანზორ შერვაშიძე

* * *

დაიჩრდილება ხანდახან გული,
გონება სწვდება სამყაროს წიაღს,
ჩვენი დღეები დროს ისე მიაქვს
ვით შემოდგომის ფოთლები ნიავს.
და გადახედავ როცა გავლილ გზებს,
მკაფიოდ მოჩანს მათი სიმრუდე
და ამჩნევ გზებზე სწორ ნაკვალევებს,
თუმცა გტანჯავდა ბედის სიმუხთლე.
და მერე ფიქრობ რომ ეს რთული გზა
ცხოვრებამ თურმე ჯილდოდ გარგუნა,
რადგან ცხოვრების სუსხმა და ცეცხლმა
სული გაწმინდა, ხორცი დათრგუნა.
ჩვენი აქ ყოფნის აზრი ეს არის
ცხოვრება შეყრის ღრუბლებს საავდროს,
რომ იმიერში სუფთა წავიდეთ
ცხოვრება არის სულის საამქრო.

* * *

დღეა თუ ღამე, წვიმა თუ დარი,
დაგეძებს მუდამ ჩემი თვალები,
ოჰ სიყვარული ცეცხლი ყოფილა
გულს მიბუგავენ მწველი ალები.
მე ხან მთვრალი და ხან ნამთვრალევი,
დავალ ქუჩებში მარტო, ეული,
თოთო ბავშვივით ქვითინებს გულში
ეგ სიყვარული ობლად ქცეული.
შენ წმინდა ხატო შენზე ვლოცულობ,
შენ დამავიწყე ირგვლივ ყოველი,
შენგამო მიყვარს მე შენი მცხეთა,
ჯვრის მონასტერი, სვეტიცხოველი.

* * *

მე ამ დროებას ვერაფრით ვერ
ავუწყვე ფეხი
და არცა ვეტრფი ამ ცხოვრების
მიეთ - მოეთს.
ნეტავი როდის მოვა ჟამი
გარდაცვალების,
უფალი მასთან როდის მიხმობს
ამ ღარიბ პოეტს.

არა მქონია არასოდეს
რამე ქონება,
ჩემი სიმდიდრე არის მხოლოდ
ჩემი კალამი,
ამ ცხოვრებაში სიმდიდრეა
კეთილი გული
და გრძნობის ქარით მოფრიალე
თეთრი ალამი.

დრო მუდამ გარბის, დრო არ ჩერდება
დრო არ აყოვნებს,
და გაზაფხულებს ისევ შეცვლის
მუდამ ზამთარი,
უნდა გვახსოვდეს არ აგვცდება
არცერთ ჩვენთაგანს
ამ ცხოვრების დასასრული,
კვდომის მათრახი.

და რად აღვიქვამთ ამ ცხოვრებას
ვით მარადიულს?
რისთვის გავმართეთ ეს ჯიუტი
დოღი და რბოლა?
ადამიანი აჰყოლია
ჯუნგლის კანონებს,
ამ ცხოვრების სიცრუესა და
ჰიპერბოლას.

მე ამ ცხოვრებას ვერაფრით ვერ
აუწყვე ფეხი,
და არცა ვეტრფი ამ ცხოვრების
მიეთ - მოეთს,
ნეტავი როდის მოვა ჟამი
გარდაცვალების
უფალი მასთან როდის მიხმობს
ამ ღარიბ პოეტს.

* * *

მზე რომ გადმოშლის მთიდან დალალებს,
სამყაროს მოჰფენს მადლიან მზერას,
ფუტკარი ყვავილს მკერდს მოუშიშვლებს,
გლეხი დაიწყებს ღიღინს და მღერას.
ჯიხვები მწვერვალს რომ დალაშქრავენ,
არწივი ზეცას შეუმტვრევს კარებს.
სვანი მთაზე მდგარ საყდართან მივა
და მოწიწებით შემოჰკრავს ზარებს.
როდესაც ჩიტი გაიწყობს ბუდეს,
თავს აწონებენ ქალ-ვაჟი ერთურთს,
გახელებული კალმახი როცა
აღმა აჰყვება მძვინვარე ენგურს.
ქარი ჩემამდე მოიტანს როცა
ნაზ და სევდიან ჭუნირის ჰანგებს,
გული მკერდს ლამის შიგნიდან ანგრევს,
რადგან ვერ უძლებს სიამეს ამდენს.
როგორაც ველზე ყაყაჩო ნაზი,
მიწიდან წითლად ამოფეთქდება,
სწორედ ასევე ჩემი გულიდან,
ლილეო მისით ამომღერდება.
მუხლებზე ლოცვად ვარ დამხობილი,
გულზე საკინძე ჩამოხეული,
ის ჩემში არის, ჩემი სამშობლო
და მე მასში ვარ გამომწყვდეული.

* * *

ვერ გავექეცი ლექსის წერას,
ვერც დღე, ვერც ღამე.
ასე მგონია ღმერთი მადგას
თავზე კვერთხით,
ასე მგონია რთული გზა მე
იმად მერგუნა
სიღრმეში შევყვე ფიქრთა ბილიკს
რითმათ ამქარით.

ლექსი წერეო --- თითქოს ვიღაც
ჩამძახის ყურში.
ასე მგონია უძილობა
იმად დამჩემდა,
რომ მეტი ფიქრით, მეტი განცდით
ლექსები ვწერო
და როცა წავალ ჩემ სანაცვლოდ
ლექსი დარჩება.

ასე მგონია რომ ეს არის
რაღაც მისია,
რომ ჩემი ლექსით ვინმეს იქნებ
ოდეს რამ ერგოს,
თუ ეს ასეა იყავნ ნება შენი
უ ფ ა ლ ო,
ჩემი სიცოცხლე ლექსის სანაცვლო
გახადე ღმერთო.

* * *

მოიწყინა წელიწადმა ძველმა,
არის უკვე წარსულისკენ მავალი,
მან წაეღო ტკივილი და დარდი,
რაც კი გვქონდა ცოტაა თუ მრავალი.

პატარების მოციმციმე თვალებში
ახალი წლის მობრძანება იცნობა,
ბუნებამაც მოგვცა უკვე ნიშანი
თეთრ სხივით მისი მოსვლა იგრძნობა.

მე უსურვებ ყველა ციცქნას სიკეთეს
და რომ ქონდეთ მომავალი ნათელი,
ყოფილიყოს წელიწადი ახალი,
სიკეთის და ოცნებების ამხდენი.

* * *

მორალს მოკლებული ცხოვრება,
ალკოჰოლს მიჩვეული სხეული,
განაწყენებულ ღმერთზე
ფიქრი მარტოსულის, ეულის.
ვერ გამკლავება ცხოვრების,
ამ ლაბირინთულ ხლართის,
ყველა ნაცოდვარზე ფიქრი,
დარდი, უსაშველო დარდი.
ტკივილს მიჩვეული არსების
სულში მობრიალე ალი,
არიდებული თვალები
სათაყვანებელი ქალის.
ხსნად მოლოდინი სიკვდილის,
ცხოვრება წამება მთელი,
იქ რა ელოდება; იმქვეყნად,
იქაც ჯოჯოხეთი ელის?

წამით გამოსვლა

ნისლი დააწვა ფერდობებს,
არ ისმის ფოთოლთ შრიალი,
ირგვლივ გაყუჩდა ყოველი
წყალმაც შეწყვიტა ჩხრიალი.
 დრომ შეაჩერა მსვლელობა,
წამია მარადიული,
არც რა სურვილი მაწუხებს,
განცდა მაქვს რაღაც ღვთიური.
 ჩემ სხეულს წამით შევხედე,
ვხედავ მიჯაჭვულს მიწაზე,
ეს არის ჩემი სასჯელი
და ტვირთი დედამიწაზე.
 უნდა შევბრუნდე კვლავ მასში,
ის მე უფალმა მატვირთა,
სხეული მიწის ნაწილი
სურვილებისგან დატვირთა.
 უნდა ვატარო ამ ქვეყნად,
ვიდრე სამარის კარამდე,
თან ვცადო იმ გზით ვატარო,
რომ უფლის მადლი მფარავდეს.
 როგორც იესომ ხის ჯვარი
მხრებით აღმართზე ატარა,
მის ჯვართან ჩემი სხეული
უმნიშვნელოა, პატარა.
 სხეული ჩემთვის მათრახი,
ჯვარი, გვირგვინი ეკლისა,
ჩემივე ნებით მივიღე,
სული სამოთხეს ელისა.

* * *

შენი თვალები
ჩვენი სამშობლოს ზეცას მაგონებს,
მათი სიღრმე და სიცისფრე
ტკბილად მაოცებს.
შენი თმები კი მოჰგავს კლდიდან
გადმოშლილ ჩანჩქერს,
შენი ღიმილი მზეს,
სამყაროს რომ ნათელ სხივს დაჰფენს.
შენი სხეულის მოძრაობა
ნელი გრაცია,
მე შენი ხილვა მიმსუბუქებს
ე მ ი გ რ ა ც ი ა ს.

* * *

პეგასს გავხედნი, ზევსს მოვპარავ
 თავის ბედაურს,
ორიონივით ავედევნები
 მე შენს ნაკვალევს
და არ მადარდებს თუ შემხვდება
 სადმე გორგონა
და გამაქვავებს ღამენათევსა და
 ნამთვრალევს.
ყველას განვგმირავ, გადამიდგება
 ვინც სავალ გზაზე,
სვანთა ტომმა რომც მომკვეთონ
 სულაც თემიდან
ან მიმაჯაჭვონ კავკასიონზე
 როგორც პრომეთე,
თუ გნებავს სულაც გამასამართლოს
 თავად თემიდამ.
მე გაგიტაცებ ვით პერსეფონე
 გაიტაცა ოდეს ჰადესმა
და ვერ მომილბობს გაყინულ გულს
 დემდტრას ცრემლი,
მე სამყაროში ერთადერთი
 მიღელვებს გრძნობას:
შენი ნათელი და ცისფერი
 თვალების ეშხი.

* * *

ხდება ხოლმე ცხოვრებაში
დაგიდგება წუთი დარდის,
თითქოს სული არეული,
სხეულს ტოვებს, მისგან გარბის.
 ფიქრობ: აზრი ცხოვრებისა
 ერთიანად არის ფარსი,
 ამდროს თითქოს წყურვილი გკლავს,
 გსურს დალიო შხამის თასი.
მაგრამ რაღაცა გაკავებს:
მოლოდინი რაღაც ახლის,
რომ სურვილებს დაგიამებს
წაღმა ბრუნვა ბედის ჩარხის.
 იმედია ეს რაღაცა
 და ის ჩვენში მუდამ ყვავის,
 მე ამ განცდას შევადარებ
 დილით ადრე სურნელს ყავის.

სულიკო ჯამელაშვილი

* ** *
მე ხომ ისევ ის ქარი ვარ,
ისევ ის ურჩი მდინარე.
ბოლომდე უნდა გამიძლო,
ბოლომდე უნდა გიყვარდე.

წყარო ვარ, მთათა ნაჟური,
ცის ნამს მოვდენი მიწაზე.
მოხუცი, წრიდან გასული,
მაინც ვშაირობ ჯინაზე.

ლექსზე ვაბოდებ ხანია,
მძიმე წერტილი რღვეული.
ეს ჩემი ნატერფალია,
შანდლის შუქივით ეული.

* ** *
შანდლის შუქიდან გვესმის შენი ხმა,
მაგრამ რაღადროს ხომ გვიანია.
ეს იმას ნიშნავს მარტო არახარ,
ხსოვნად შემოვრჩი მე ადამიანს.

პოეტის ნიშა დილის მირაჟი,
მეხთა ტეხილი და რია-რია.
ვერ დატეული ღამის წყვდიადში,
ვითხოვ სივრცეს და ლექსები მშია!

დახშულ სივრციდან მკვდრეთით აღვდექი,
მსურდა მუზებზე შური მეძია...
მაშინ ვინანე როცა დაგნებდი,
როცა ვიწამე შენი მესია!

* ** *
დრომ დღეს უგანა გარინდული და დღეც ეული,
ხან მრევლი ლაღობს ნირწამხდარი,ხანაც ცდუნება.
ნაიარევ ცას ზოგჯერ ფუნჯიც ვეღარ ჩემულობს,
მთვარე მისტიურ კართაგენებს ესალბუნება...

მოვალ მოგძებნი ნაიარევს და ისევ მარტო,
ვერც დრო, ვერც ჟამი დაგვაშორებს გულო და სულო!
ხშირად მიახლებს მოგონება წარსულს და აწმყოს,
ისევ ქარია, შემოდგომა ცა უსასრულო.

ახლა ვაქვეყნებ, კიდევ ერთი გიძღვენ შედევრი,
ცისარტყელათა მკლავში მეჯდა და ვინახავდი.
ესეც კორიდა, წარუშლელი ხარების დოღი,
დილის თბილისი საათნოვადა ფიროსმანი.

ახ პოეზიავ, ამ ცასავით უკიდეგანო,
მისაყვედურე თუ ეს რითმა ისე ვერ გმოსავს.
უსასრულობით გარინდულო უდრეკო წამო,
ნოემბერივით როგორ გიყვარს ჩემში შემოსვლა!

* ** *
რა წყვდიადი ღამეა და
რაოდენი სინაზე.
მთვარე რამის ყაჩაღივით,
სახლში შემომივარდეს!

სარკმელთან დგას მომღიმარი,
მრავლის მთქმელი მნახველი,
მე ვარ შენი საქართველო!
თემურ ლენგის ნახმლევი!

* ** *
სხვა მყუდროებას დამირღვევს, ვინ და
ქარი შეუღრენს ისევ ლიანებს.
ვით შემოდგომა შემოგრჩე მინდა,
ჩემო მქუხარე მემატიანევ!

ტრამალს შემოვრჩით იმედად ბოლო,
მომხვიე ხელი ვით თანასწორი.
ქარაფის პირას უცვლელი სოლო,
ჩემი აბჯარი და შენი თორი,

დღისა და ღამის ცხარე კამათი,
მზე უნიათო, მთვარე ეული.
საუკუნე ზის ფერთა გამაში,
ათასწლეულში გამომწყვდეული.

* ** *

ჩაფიქრებული დავალ, დავდიავარ,
არშობილ ლექსებს ჯერაც ვაშიებ,
ამ ქვეყანაზე სიკვდილი კი არ,
დღევანდელობა უფრო მაშინებს.

* ** *

ღმერთმა დაგლოცოს, ღმერთმა გამყოფოს,
დასაფიცარად მხოლოდ შენ მყავდი.
მე ათი წლისა მახსოვს სამშობლო,
ათეულ წლების ვარ ემიგრანტი.

მე სიხარულის დამეცა ელდა,
ახლა დამაწყეთ თავზე ლოდები!..
შემომანათეს თვალებში მთებმ
სადახარ კაცო, შენ გელოდებით!

* ** *

ოხრავ და სიზმრებად მოგდენი,
საძვალე არამთმობს სამიწედ.
საკვირტედ გამყვება ეს დღენი,
როს გული ცისაკენ გაიწევს.

შორი ცა, ისეთი თბილია,
ვნატრულობ, გამირბის და მაინც,
თითქოს და ბაზიერს მივლია,
მსურველი ნაკურთხი სავანის.

ეჭვი მღრღნის, არ უნდა გაგეშვი!
დაჭრილი კორიდის ხარი და
არც ღამეს არ ენდო დაგეშილს,
არც ამბორს ქალწულის ბაგიდან!..

მე, ჩემი ის გზები სავალი,
შენ კი ეს რითმა შეგაკრთობს.
მთვარის შუქს დაეძებს მრავალი,
ქარაფი მახლობელ ეშაფოტს.

* ** *

ცალკე დაგიდგავს შენი კარავი,
არაფერს მოგცემს მწუხრის ძიება.
გაახელ თვალებს, შენს წინ არავინ,
დახუჭავ, ისევ აგეტირება.

ვერ განერიდა ჭაობს და ტალახს,
ფურ-ირემივით ჟამმა დრო წველა.
ნუ ეძიები მოსაცელ ბალახს,
უშენობითაც ჟამი მოცელავს.

* ** *

ოხრავ და სიზმრებად მოგდენი,
საძვალე არამთმობს სამიწედ.
საკვირტედ გამყვება ეს დღენი,
როს გული ცისაკენ გაიწევს.

შორი ცა, ისეთი თბილია,
ვნატრულობ გამირბის და მაინც,
თითქოს და ბაზიერს მივლია,
მსურველი ნაკურთხი სავანის.

ეჭვი მღრნის არ უნდა გაგეშვი,
დაჭრილი კორიდის ხარი და
არც ღამეს არ ენდო დაგეშილს,
არც ამბორს ქალწულის ბაგიდან.

მე ჩემი ის გზები სავალი,
შენ კი ეს რითმა შეგაკრთობს.
მთვარის შუქს დაეძებს მრავალი,
ქარაფი მახლობელ ეშაფოტს.

* ** *

დილას უთენია პროზით ვიწყებ,
სტრიქონს შევალიე ცვარად ბწკარი.
მუზა გავისტუმრე ხევებისკენ,
ბარად დამიტოვა ნიაღვარი.

მარსმა მიწილადა შუქი დილის,
მერე შეუტია მაღლივ ტატნობს.
წუხელ სტუმრად მყავდა მთვარის ჩრდილი,
ქარსაც ბინა მინდა ვუწილადო.

* ** *

ისე აენთნენ ვარსკვლავები ცაც ვერ იტევდა,
არის სიცოცხლე არის მითი ზოგჯერ ცდუნება.
იქნებ ამიხსნან სანუგეშო მითხრან რამე და
ეს მერამდენედ ჯვარზე ვაცვით ჭეშმარიტება!

უბადრუკი ხარ ნაწამბო სიცოცხლის წამო,
გამახსენდება ბავშვობა და ფიჭვის ტევრები.
განგმირულ სულზე, უფლის ნებით უნდა ვეწამო,
რომ განვარიდო წუთისოფელს ცეცხლის ენები!

ხმელი ფოთლების კარნავალი, სიშიშვლე მოლის,
თოვლის ფანტელი, მყინვარები ქარი ნაგეში.
გარდუვალია ცათამბრჯენი დროთა მიმოსვლის,
კვირტებდამსკდარი ატმის ტოტი და მარტის თქეში.

* ** *

დრო ისევ ცრუობს ვით ტროას ცხენი,
არ დაუჯერო ჩემო კესანე!
ეს სტრიქონები ვიცი სიონთან,
განრისხებული ზარებს რეკავენ.

მწუხრმა შემოსა გზა საწყაული,
გვეყო სამშობლო რაც გავაჩუქეთ!
გამოხრული მაქვს ძვალთ-შესალაგი
და წარმავლობას განაჩენს უწერს!

* ** *

ხან ვარსკვლავებსა გადარე
და ხანაც სავსე მთვარესა.
ამიყვავილე მაისი,
სამყოფად ვარდსა მხარესა.
როს სიო წამოუქროლებს,
მაგ შენსა დალალ-კავებსა.

ქეთევანივით ვეწამოთ,
ამ ტურფა არე-მარესა!
ისევ ღალატი ვინ, ვისთვის,
მარტი თებერვალს შაეკრა.
აპრილი, ატირებული
მაისსა გულში ჩაეკრა!

* ** *

წერონ, იკითხონ იმათმა,
მოესურვება ვისაც რა.
ხანაც გოლგოთა დავძლიე,
ხანაც გოლგოთამ იძალა.

როს სევდამ დაისადგურა,
ხეებს მოედო ნისლად და
ხედები ავრი-დავრიე,
გრანელი მყავდა სიზმრადა.

მძულს ყოფა-ქცევა მოშურნის,
ათგზის გახრწნილი მძორი და
მიწავ, რად გამიორგულდი!
ზეცავ, რა ახლო მგონიხარ!

მერიდიანი გავავლე,
ეპოქა მჩემობს რომელი.
რაღაც ერთი გვაქვს გრანელო,
ერთი და განუზომელი.

* ** *

რადგან ეს გული, ისევ გდარაჯობს,
ვეფხვი ლომისა რადგან სწორია!
შენზე ნაკლები რით ვარ ლამაზო!
მეტი ვარ, ვიდრე შენ ეს გგონია!

* ** *

ხან ვარსკვლავებსა გადარე
და ხანაც სავსე მთვარესა!
ამიყვავილე მაისი,
სამყოფად ვარდსა მხარესა!

როს სიო წამოუქროლებს
მაგ შენსა დალალ-კავებსა,
ქეთევანივით ვეწამოთ
ამ ტურფა არე-მარესა!

ისევ ღალატი, ვინ ვისთვის,
მარტი, თებერვალს შაეკრა!
აპრილი, ატირებული
მაისსა გულში ჩაეკრა!

* ** *

გილოცავთ შობას

ისევ იარად მეტყობა
შახის ნასროი ისარი!
გავხდები კიდევ ოდესმე?
მე თქვენი დასაფიცარი!

საუკუნეთა მანძილზე
მე რჯული უბით ვინახე!
ნისლს გავატანე ოცნება
და მთებში გადავინახე!

ყველას გავანდე უკლებლივ
რაც იყო ჩემი მიზანი!
უთქვენოდ ჩემი სიცოცხლე
არის სიკვდილის ნიშანი!

იხარეთ ჩემო შვილებო!
ვერას დაგვაკლებს დრონია!
გაიგოს ყველა მომხდურმა
რა წინაპარიც გყოლიათ!!!

* ** *

დავალ, ვეძებ სიჭაბუკეს,
არსით ხმა და არსით ჩქამი.
აჩრდილივით თან დამყვება,
გაელვება ერთი წამის.
შემახსენებს ხან ზმანება,
ხან წვიმა და ხანაც ქარი,
რაც გამაჩნდა მე ამ ქვეყნად,
სანაქებო სანუკვარი!

დამიარა ჟრუანტელმა,
გულში სევდა, სულში ქარი.
როგორც ზღვათა მიმოქცევა
და ტალღები ბობოქარი.
ჟამთა–სვლისთვის გეცოტავე?
მკეთებელი ახლა მე რის...

სიჭაბუკე ჩავლილია,
ბერბიჭობაც ლაგამსა ღრღნის.
დავალ ვეძებ სიჭაბუკეს,
არსით ხმა და არსით ჩქამი,
აჩრდილივით თან დამყვება
გაელვება ერთი წამის!

ვასო ყაჭიაშვილი

* * *

ყველას გული, რომ სიკეთით დუღდეს;
თვალსაწიერი სიტკბოთი კრთოდეს,
სიყვარულს კრძალვით ებარებოდეს,
ძარღვებში სისხლი წრფელად ყიოდეს,
უფალი ღმერთი, სულში ვიდოდეს
მოყვასს, ქვეყანას მას ავედრებდეს!

,,გაბრწყინდებოდა ო; რარიგად გაბრწყ-
ინდებოდა..."
ცა და ხმელეთი სიყვარულით შეჯვარდ-
ებოდა;
-სიო, ნანავით ამღერდებოდა,
დედა სამშობლოს მოედებოდა
და ზედ მალამოდ დაედებოდა!

,,გაბრწყინდებოდა ო;
რარიგად გაბრწყინდებოდა..."
ციხე-ტაძრები შეწყვიტავდა ლოცვა
ვედრებით:ცრემლთა დენას, გვემას,
წამებას;
საქართველოს მზე სამუდამოდ აენთებ
ოდა!
დიდრონს სხივებში მირაჟები ჩაინთქმ
ებოდა.

-- მთები ამაყად მხრებს გადაშლიდა,
ამაღლდებოდა,ცას მისწვდებოდა;
--ბარი სიტურფით:აყვავდებოდა,
დამშვენდებოდა;
ტანჯული ერი გაბრწყინდებოდა;
ჩამქრალი კერა აბოლდებოდა,
,,ობლების" კვერი გამოცხვებოდა!!!

-ქალაქი, ბარით გაიხარებდა
და სასთუმალად,დედა ქალაქს დაედებოდა!
ქართველი ერი გაიღვიძებდა...
საუკუნოვან ძილისაგან გაფხიზლდებ
ოდა;
ახალი ნერგნი:სამკაულად, საამებლად
გალაღდებოდა:
ტკბილი ნაყოფით დაშაქრდებოდა,
-წინაპართ ნაღვაწს დააფასებდა
და ზედ კელაპტრად დაენთებოდა!

გაბრწყინდებოდა ო; რარიგად გაბრწყ
ნდებოდა..."
დედა სამშობლო,,მარგალიტებით"
აივსებოდა
და გვირისტებად განიბნეოდა!
ცის კაბადონზე ცისარტყელა გადიშლებ
ოდა,
ცისკრის ვარსკვლავი ს ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს
მოწიწებით თავს დაუკრავდა!
ყურძნის ბადაგით ფიალები შეივსებოდა
მრავალჟამიერ: ა მ ერ, ი მ ი ე რ ს
აამღერებდა!
,,გაბრწყინდებოდა ო; რარიგად გაბრწყ-
ინდებოდა..."

ღმერთო სამშობლო გვიცოცხლე!

მოისრას ყველა მტერია.
სიყვარულს ვებარებოდეთ
მთელი ქართველი ერია;
-არსთა გამრიგევ მოგვმადლე
გონება:საღი, წრფელია;
გული და სული მთელია!
გთხოვ არ დაუშვა უფალო
სისხლით მოირწყას ველია,
-ნერგთა,ახალთა ქიშპობა
ქვეყნისთვის დმღუპველია!

-განა.. არა ჰკლავთ წადილი
ეშმამ იმძლავროს,მოგვაშთოს,
ეს არის მტრების სურვილი!
სარწმუნოების მგმობელი:
იარაღია ნამდვილი,
თავის მშობლისთვის მსროლელი!!!

ღმერთო,სატანა განგმირე
წმინდა გიორგის მახვილით,
ღმრთისმშობლის კალთა გვაფარე
 მისი სიწმინდის მანდილით!
ღმერთო სამშობლო გვიცოცხლე!

-ო;საქართველო სულის წამალო;
,,ნაშობო:ზეცისა და დედამიწისა"
პირმშო რჩეულო,სიმწრით მოსულო,
მრავალ დროებით, იავარქმნილო!

-შენ ჩემო ერო,ყოვლად ტანჯულო..
ყოველი კუთხით,ბევრჯერ ნაგვემო,
გულში დაჭრილო,იარებად სისხლად
დაცლილო,
გარე და შიდა მტრებისაგან,ვერ გაყოფ-
ილო!

- რატომ გხვდა წილად ეს მძიმე ჯვარი?!
დღესაც,რომ გიჭირს მისი ტარება;
ხსნა არსაიდან, რომ არსით არი
გული მიკვდება და მეგმირება!

-დღეს გაზაფხული-შენში იღვიძებს
გაყინულს, დამზრალს მოგიალერსებს,

* * *

-მარტმა მოკუპრა სახე კოპებით;
ცრემლად გვაპკურა წვიმის წვეთები,
მზეს გაემიჯნა წვიმის ფარდებით
და შეიმოსა შავი ჩადრებით!

-გაზაფხულს უყვარს მარტით ანცობა,
ტირილ ნარევი ღიმილებით ჩვენი
გაცნობა;
-სახის ვარდისფრად შეფაკილება,
თავის სინაზის მორცხვად მხილება!

-პატარძლის კაბით გასხივოსნება
ყვავილთ სურნელით,აპრილით თრობა...
ღაწვთა ალმური,ყვრიმალთა ვნება
ჩუმი სიჩუმით თავისთან ხმობა!

-რა შეედრება ამ ლამაზ ტრიოს?!
მარტის,აპრილის,მაისის ტანდემს
გაზაფხულის ხიბლს,მისსავე ედემს,
როს სიყვარულით მოსავს ჩვენს არეს,
გარდასულ დღეთა ტკივილს გვავიწყებს,
გულში მომავლის იმედს გვიღვიძებს
სიყვარულისკენ,სიცოცხლისკენ კვლავ,
რომ გვიბიძგებს!

* * *

გულს მოიოხებს ცრემლსაც გაპკურებს
და დაგიამებს:ნაღველს და ურვებს!

- იქნება დადგა დრო მიტევებისა;
ჟამი ძმობის, შეხიდებისა,
სინანულისა,ერთად დგომისა
ჩვენთვის ჩასული მზის ამოსვლისა!

ვიგრძნოთ სურნელი გამხვალ მიწისა,
სისხლის ყივილი მაჯის ცემისა,
მოყვასის გულში ღრმად ჩახედვისა,
სიყვარულისა,სიკეთისა,პატიებისა
კვლავ ერთად ყოფნით,მტრის განგდ-
ებისა!

-ო;საქართველო სულის წამალო
ჩემო კერავ და ჩემო მამულო,
მინდა გაბრწყინდე,რომ იდიდგულო
გულში სიმებად ამოქარგულო!
,,ნაშობო: ზეცისა და დედამიწისა"

გაიხარეთ ჩემო კარგო, ძვირფასო მეგობარო:

ჩემი მუზის დედოფალო,
-სხივთმფენელო;
ბაგით ვარდო,თვალთ წარმტაცო
დაკალმულო,დახატულო,
ყელით თვალ-წარბით,მოქარგულო!
ტანით ნარინჯად ჩამოქნილო;
ნიავ-ქარად მოვლენილო
ყველა დროის მარგალიტო!
სიკეთის და სიტკბოს მწყემსო
გულით სინაზით გადაშლილო,
სურნელოვან იად ქმნილო
გაზაფხულის მომლოცველო!
თქვენის საქმით მრავლის მთქმელო
ხნულში სიკეთის მთესველო...
-გაიხარეთ,იდღეგრძელეთ,იმზეგრძელეთ
ლალისფერო,ტურფა ქალო;
მრავალ ბავშვის გამომზრდელო
კარგო დედა და აღმზრდელო!
უფლის მადლით შემოსილო
სავსე,,თავთავთ"თავდახრილო,
მინდა მარად იდიდგულო,
რომ სიკეთის ლეწოთკალო,
ფარად გქონდეთ სიყვარული
გაგეტანოთ მდამ ლელო,
გქონდეთ წრფელი,ოქროს გული
სასოებით დაქარგული!

* * *

თქვენ თვითონ სიყვარული ხართ;
მზის სხივი დილის აისის,
ციალი სიოს ნანავის,
მერცხლის ჭიკჭიკი დაისის!

მთვარე პირ გადაბადრული,
ვარსკვლავთა ჩუმი ტრფიალი,
ღრუბლის ქულებად შეკრული
ცის კიდეს მიმოფანტული!

ცისა და მიწის მეგზური
ჩემს გულზე გადმომდინარი;
საკინძე შეხსნილ რტოები,
მიჯნურად მფრენი ფუტკარი!

აფეთქებული კვირტები,
ზედ მოჭიკჭიკე ჩიტები;
ცვარ დანამული ტუჩები
უამბოროდ განაბუტები!

თქვენ თვითონ სიყვარული ხართ...
ჩურჩულით მონაბერები;
ლურჯ კაბა მახარობელი
სინაზით სავსე იები,
და ჩემი გულის მპყრობელი!

* * *

თითქოს მოვსწყდი სამყაროს,
აღარც მუზები მსტუმრობს;
-გული ვეღარა მყარობს,
-სული სიმშვიდეს ლამობს,
-კაეშანი ბობოქრობს...
ალბათ დარდი გამაქრობს!

--მგონი გარდავიცვალე,
ისევ ფერი ვიცვალე...
ამ ცხოვრების ფერხულში
მე, გზები ვერ შევცვალე!

-ბევრი ვთესე ამ,,ხნულში,"
სიკეთე ვერ ვახარე,
გვალვას ხელი ვაფარე
-ბოროტება მამულში,
ვერაფრით ვერ გავაქრე!

-ალბათ რწმენა გვაკლია,
ვერ მივყვბით ნაკვალევს...
სიტყვებს, გრძნობა აკლია
ისე გზებს ვერ გაგვიკვლევს!

-ისევ გამოიდარებს,
-გულში გაიმაისებს
-მოვარდნილსა,,მეწყერებს"
-სიყვარულით აივსებს!

უფალს შევსთხოვ შენდობას,
არ დაგვტოვოს ცოდვებში!
-ჩემს თავს ვიწვევ დუელში,
კვლავ სამშობლოს ლოცვებში,
რომ გავწივო ჩემი ქვეყნის უღელში!

* * *

გაზაფხულს ვეტრფი; მხიბლავს ყველა დრო;
და ამ დროებში მე,ვიბადები...
აპრილთ კვრტ სკდომით,მაისთა თრობით,
ჟუჟუნა წვიმით,მისთან ამბორით
მისი ჩურჩულით და მოფერებით,
დამბლი მიწის:უტყვი სურნელით,
ეგზომ მშვენებით!

ო; რარიგ მიყვარს დროთა ფერხული
სუნთქვა შეკრული მას,რომ მივყვები,
გული მოღელავს გრძნობად ქცეული
ის სიყვარულით გადარეული!

ღმერთმა ისმინოს ჩემი ვედრება
როს გაზაფხული,რომ დედოფლობდეს,
,,ჩემს" შემოდგომას პატარძლად ჰყავდეს!
ზაფხულის ფარჩები არ მოჰკლებოდეს,
ზამთარი ფიფქითა დედოფალს ფლობდეს!
ყველა დროს.. თავისი ადგილი ჰქონდეს,
რომ ჩვენ,თავიდან ვიბადებოდეთ!

* * *

,,ჰოი;ქართველნო,მარად მთვლემარნო..."
საუკუნოვან ძილისაგან,ვერ გამოსულნო;
ერო ბედკრულო,ყოვლად ტანჯულნო...
რამდენი რამის: მომსწრეევ,მნახველნო!

დღეს ისევ სურთ, ,,,შენი" გაწირვა;
რომ განტევების ვაცად,გაქციონ!
გაავებული აგრესორი,შემოგისიონ
,,საღათას ძილით" გაბრუებული,მსხვ-
ერპლად შეგწირონ!

სასაკლაოზე წაგიყვანონ, ყელი გამოგჭრან
და ,,შენ," საჯიჯგნად დაგახვიონ:ყვავნი, ყორანნი...
წინ გამოუშვან, შ ი დ ა მსტოვარნნი
ქვეყნის დაქცევა,რომ დააჩქარონ!

,,ჰოი; ქართველნო,მარად მთვლემარნო..."
საუკუნოვან ძილისაგან,ვერ გამოსულნო;
გაფხიზლდით...სანამ არ არის გვიან!
დედა სამშობლო,შველას მოითხოვს!!!

P. S.
ვის რაში უნდათ,მაგათ ,,სტატუსი"
თუ კი, ქვა-ქვაზე აღარ დარჩება...
გლოვა და ურვა,დატრიალდება
ჩვენი სამშოლო,აღარ იქნება.
ნერგი ახალი, გაიძირკვება...
ჩვენი წინაპრების,ნატერფალები:
ეკალი, ბარდით დაიფარება!

ექსპრომტად დავწერე, მეგობრის ლექსზე. მინდა თქვენც გაგიზიაროთ.

* * *

გაიხარეთ,ოქრო სიტყვებია
სიმწრით,სინანულით,
გულით ნათქვამია!
რით ვეღარ დაგვადგა
ღმერთო საშველია?!
ყველა ქართველის
ვფიქრობ სათქმელია;
ხე, რომ ფესვებიდან იზომება...
ამის გაგება,ესეთი ძნელია?!
გერქვას ქართველი ეს ადვილია...
რომ იქართველო,იყო ქართველი:
უნდა შეიგრძნო მიწის სურნელი,
ძარღვებში იგრძნო სისხლის ყივილი
სამშობლოს გზნებით იყო აღვსილი;
გული საგულეს არა გეტევოდეს
თუ შენს მამულში მტერი ილტვოდეს,
ამდროს ფარ-ხმალი უნდა აისხა
და როგორც ძალგიძს,თავზე დაესხა!
მოყვასის სუნთქვით, უნდა სუნთქავდე...
კვლავ შეხიდებით და თანადგომით
მტრობის განგდებას შეეცდებოდე;
როს სიყვარულის კვალის დათესვა,
რომ უნდა იყოს შენი მისია!!!
,,ქართველობა არ არის ადვილი,
მაგრამ აუცილებელია..."

პოეტს!

- შენი შრომა დაფასდება,
- ააშენებ ლექსთა,,სამწყსოს,"
გვირისტებად ამაღლდება,
ჩუქურთმებად განიბნევა,
გალაღდება, დამშვენდება;
წარსულს ხიდად გაედება,
აწმყოს დაუკავშირდება!
მარგალიტებს,სიტყვებს კაზმულს
ფრთები დაუფრთიანდებათ;
მოყვასს კრძალვით წაადგებათ,
გულში,სულში ჩაადნებათ...
ვაზის ლერწად ფესვს გაიდგავს
ის მტევნებად დაშაქრდება,
საწნახელში ჩაიყრება,
ღვინოდ გარდმოედინება
ფიალაში ჩამოსხმული ყველას
თრობად მოედება!

- ღვთიურია პოეზია,უფლის ძალით ისახება,
ჩვენ მოკვდავნი:ვართ გამტარნი,
ღმერთის ნების აღმსურველნი;
,,პოეზიის ტაძრის, მრევლნი!"
-რომ სიკეთეს ვმსახურებდეთ
ჩვენით ამბობს მამა ღმერთი!

-პოეტს მადლი ენიჭება
იყოს ხალხის სამსახურში;
საზრდოდ ქვეყნის სიყვარული,
არ მოადგეს თვალზე რული;
მოყვასისთვის ძგერდეს მუდამ
დატანჯული მისი გული!

მშობელ მიწას ფარად ედგეს,
წინაპართა სისხლით მორწყულს;
კალამს შუბად აგელვებდეს
თავზარს სცემდეს ფლიდს და ორგულს!

-აქ პოეტი შვებას ჰპოვებს,
ღმერთის ნებას,რომ მორჩილებს!
მკითხველს რწმენით ასაზრდოვებს
გზას უნათებს კრძალვით შვილებს!

71-მა წელმა დაგთოვა...

დედავ, ლამაზო, ჩემო ღვთაებავ!
დღეს შენი დღეა...
გილოცავ კრძალვით,დაესწარ
მრავალს და მრავალს!
გისურვებ ყოველ სიკეთეს ულევს,
რომ გვიხარებდე მარად ჩვენს გულებს!
მე,რომ გიყურებ ასე ნაჯაფარს,
რომ არ გვაკლებდი შენს სითბოს, ალერსს...
ასე სათნო და ნაზი ხელებით
მუხლჩაუხრელი იბრძოდი ჩვენთვის!
მუდამ გმოძღვრავდი სიკეთის გზნებით,
რომ მუდამ გვევლო სიწმინდის გზებით...
და სიყვარული გვქონოდა საგზლად:
მოყვასისა და ქვეყნისთვის მარად!
ვუყურებ დედი შენს ლამაზ თვალებს,
კდემამოსილს და სიკეთით სავსეს!
გულს, რომ მიხარებს,
სულს მილამაზებს!
მინდა გხედავდე ასე ყოველთვის!
და უფალს შევსთხოვ, რომ არ
მოგვაკლოს,
დედის სითბოს და ამ ლამაზს
თვალებს!

მანანა შიოშვილი

სასოება ერთგზის ხმობის

მთვარის შუქზე
მოგონებებს ვეწაფები,
სასთუმალზე ვერცხლის სხივი
თვალებს ნაბავს,
ღამის სტუმარს
სათნოებით ვეკაფები,
სასოება ერთგზის ხმობის კი
სულს ღაფავს...
მთვარის შუქზე
მოგონებებს ვეწაფები,
შემოდგომა ზარებს მასმენს
და გულს ღალავს,
მე მაისურ მოგონებებს ვეძალები,
სასოება ერთგზის ხმობის კი
სულს ღაფავს...

დაიკვნესა მწუხრის ზარმა

დაიკვნესა მწუხრის
ზარმა,
ნაღვლის წამლად
მოიღვარა,
ღრუბლებს მიღმა მთვარემ,
ზანტმა,
ვერცხლის შუბლი
მოიხარა.
ცის ტატნობის ბინადარმა
სული თვისი
მომაბარა,
ლოცვის ცრემლმა, მოდინარმა,
განთიადი
მომიტანა.

მივუყვები სანაპიროს

მივუყვები სანაპიროს,
ფეხაკრეფით მომდევს მთვარე,
ეს ტალღების წვეთებია,
თუ ცრემლი სდის ობოლ მთვარეს?...
ვარსკვლავები დამალულან, დათალხულა არემარე,
მარტოდმარტო დარჩენილი,
უსაშველოდ მოსთქვამს მთვარე..

იფერფლება შუაღამე

იფერფლება შუაღამე,
ჩასთვლემია მთვარეს,
სამიჯნურო ღაღადისი
დასრულდება მალე,
ცის ტატნობზე
მბრწყინავ ვარსკვლავს
უციმციმებს მკერდი
და ბულბულიც შუაღამის
საგალობელს მღერის!
უძილობით ჩემს იადონს
მიენავლა ფერი,
ანდა რა ქნას,
გულის სატრფოს
რა ხანია ელის...

თელავი – ჩემი სიცოცხლის ფერი!

ცისკრით აფრენა
აღმართებზე და
ჭადრის ფოთლებთან კრთოდნენ თვალები,
"მე შენ დაგხატავ",
" მე შენ გიმღერებ",
" მე შენზე ლექსებს ვწერდი გახელით",
- აღმოხდებოდათ, ხან მოკრძალებით,
ხანდახან - ანცად,
კვირტებს, ალვისას,
მიაჩრდილებდა შუქი, მრავალი,
ერეკლეს ბაღში კდემით გავლისას!
მიყვარს თელავი,
ქალაქი მწანე, ქალაქი თეთრი, მეტოქე ზეცის,
ნადიკვრის მთვარე,
ზუზუმბოს კონცხი,
ზურმუხტისფერი,
ზეღვთიურ ხმებით...
სხვაგან თელავი არის?
სად არის?...
თელავი,
ჩემი სიცოცხლის ფერი!

სულ უბრალო

სულ უბრალო ქალი ვარ,
სულ უბრალო დედა,
არც მთვარეს ვუტოლდები,
არც ვისწრაფვი მზესთან.
მე ღვთის მადლით აღვსილვარ,
მოვლენილი ლექსად,
მინდა, ვიქცე სიკეთის
და ღიმილის ფესვად!
ჩემი ცრემლიც შევმატო
მტკვარს, ალაზანს, რიონს,
გავყვე რითმის მორევში
სულმნათ გალაკტიონს!...
რომ შევუშრო ცრემლები
საქართველოს სულმთლად,
დუმილს გადავარჩინო
ნონეშვილის მუზა;
რომ ხიდი აღვუდგინო
მთლად დაკუწულ მამულს,
კვლავ გვენახოს გაშლილი
თავრიზიდან არზრუმს!
რომ ჩრდილი არ ესტუმროს
ქართვლის დედის მანდილს,
რომ როგორმე ვუშველო
გულში დაჭრილ არწივს...
სულ უბრალო ქალი ვარ,
სულ უბრალო დედა,
მინდა ვიქცე სიკეთის
და ღიმილის ფესვად!

***
უმშვენიერესი
ვიხილე ზმანება -
კეთილი ელფები
როკავდნენ მთვარესთან...
უხმოდ დავლოცე
შუქმფინარობა
მშვენიერების
ლურჯ ცათა შინა!

თელავის განთიადი

მიყვარს თოვლის ფიფქის
უნაზესი ცვენა,
ბარდნის უკვე სულში
ეს ოხერი სევდა!
...და თოვლივით. ნელა.
სიყვარულიც დნება,
კი არ ქრება, რჩება
ლამაზ მოგონებად!..
ალიონზე ლოცვით
ვხვდები ნათელ ფერთა,
განთიადის სარტყელს,
გადაჭიმულს ზეცად,
მერე, რარიგ შვენის
გარიჟრაჟი თელავს...
ვარსკვლავების ჯარი
შეუმჩნევლად ქრება,
ან გულცივი მთვარე
საით გაქრა ნეტავ?...
ამ ფიქრებში აღმართს
მივუყვები ნელა,
ფიფქები კი ნაზად
ათოვს, ათოვს თელავს!

ქალის ვედრება

დამბადებელო,
დედად დამბადე,
ვინძლო
სიცოცხლე კვლავ დამაბედო;
დამბადებელო,
ლოცვად აღმანთე
და სიყვარულად
არ გამანელო;
უსიყვარულოდ
არც ეს სამყარო
და თვით სამოთხე
არ მომაჩვენო.

ნელი საღინაძე

საქართველო

მეფიქრები, როგორ ძლიერ,
მეფიქრები საქართველოვ,
მხოლოდ ერთო, ამ ცის გვამში
ქრისტე ღმერთის სულის ფერო!

სულ ამ გულით დაგატარებ
ხელს ვერ გიშვებ რა ხანია,
შენი ფუძე ლომების და
არწივების აკვანია!

მარგალიტად გულს ებნევი
შენით მშვენის ეს სამყარო,
შენით უნდა ვიდიდგულო,
შენით უნდა ვიამაყო!

ყველა დილა დაეხატოს
შენს გულმკერდზე
ვარსკვლავს ცისკრის,
მზის სხივების ამონთება
შენი სულის ფერად ითქმის!

განურჩევლად ქართველთ კუთხის
აღორძინდი ფუძევ--ჭერო,
შენ კი ჩემო, ლოცვასავით
იგალობე საქართველოვ!!!

ჩემი თელავი

სულ უნდა იდგეთ
ამ სასახლის ბურჯებო და გალავნებო,
სულ უნდა იდგეთ,
ჩემი თელავის თაობებს, რომ
ძველი დიდების ისტორიის სიამაყით
ცრემლებსა ჰგვრიდეთ!

სულ უნდა იდგეს ის სასახლე,
სადაც იშვა
ერეკლე მეფე, კახი პატარა,
ჯიშდალოცვილმა,გვირგვინოსანმა უანგაროდ
სიცოცხლე მთელი, საქართველო
მხრით, რომ ატარა!

სულ უნდა იდგეს
ძველ დიდებად შემორჩენილი, მხრებგაშლილი
ბერი ჭადარი,
ღმერთო, ასეთი კუთხე-ქალაქი
თავისი ხალხით ალბათ არსად,
არსად არ არის!

სულ უნდა იყოს
იქეთ ზუზუმბო, ნადიკვარი
ძველი ყადორი,სასახლის კარი,
მათ ლოცვით იცავს ღვთისმშობელი,
წმინდა ღვთაება,ალავერდი
და გორიჯვარი!

უნდა ისმოდეს, როგორ არა,აქ მარადჟამს უნდა ისმოდეს,
"მრავალჟამიერ" და "ჩაკრულო' საამური კახურ იერით,
თელავს კალთებზე საფერავი უნდა ვუშენოთ,
რქაწითლის ვაზებს სამამულე
რქა გაზრდიათ ხარებივით უფრო ძლიერი!

სულ უნდა იდგე მტრის ჯინაზე მეფის ქალაქო,
გულგადაშლილო ალაზნის ველო, ბატონის ციხევ,
ჰე მატეანევ, გააგრძელე ისტორია ჩემი თელავის
თუ რამ დაგჭირდა, დაგვიძახე, ჩვენ აქა ვართ,
იმ წამსვე გვიხმე!!!

დედა

დედა, შენს ლამაზ სახეზე
ღიმილი სანთლად გინთია,
დარდი არ ვნახო შენს თვალზე
დარდი ქალისთვის ტვირთვია!

გულს ჩაგიკვრივარ ძლიერ, რომ
ჩემი სუნთქვის ხმა გაიგო,
მთელი სიცოცხლე სულში, რომ
შენს სალოცავად ამიგო!

მაგ ღიმილიან სახიდან
სითბოს წვეთებად მაპკურებ,
ყოველ დღე თბილი ალერსით
და სიყვარულით მაპურებ!

დედაშვილობას მიტარებ
ჩამოღლილ მხრებით, ხელებით,
უკვე დიდი ვარ და მაინც
ჩემს სულს სულ თავზედ ევლები!

ამ ულამაზეს სამყაროს
ვხედავ კვლავ შენი თვალებით,
არ დამიბერდე, ძლიერ გთხოვ
ამდენი ტვირთის ტარებით!!!

საქართველო

დიახ, ასეა--ქართულია სამყაროს ენა,
უპირველესი და ძველის-ძველი,
და დასაბამის ისტორიის მატეანეა ამ ენის მცველი,
მტერმა მიმალა, გადაფარა დრო-ჟამთა მტვერით,
მასზე მითები, ლეგენდები დარჩნენ
მხოლოდ სიმართლის მთქმელნი!

ქართული სული სიყვარულია და ღვთის სიმართლე
და მტრის ჯინაზე ჩემო მზეო, მიდი ინათე,
ყოველ ცისკარზე გებადება არწივის მართვე
და ზარის რეკვით სამრეკლოებს გიბრწყინებს მნათე!

დასაბამიდან, ქრისტე გადგას გვირგვინად თავზე
და მისთვის ქართველს არ აშრება ცრემლები თვალზე,
გულს გიკორტნიან ამირანივით კავკასის მთაზე,
მაგრამ,მზე მაინც ლაღად მზეობს, შენს ლამაზ ცაზე!

ქართულის ენით გაეხაროს ჩემს მოდგმის იბერს,
ედიდებინოს ქრისტე ღმერთი ძველთაძველ ივერს,
ღვთისმშობლის კალთა ფარებოდეს იმერ---ამიერს,
იბრწყინე, ჩემო საქართველო, მრავალჟამიერ!!!

ლექსად იქმნებიან

თვითონ მოდიან და მოფარფატდებიან
ერთმანეთზე მშვიდი სიტყვები,
მერე, ამ თეთრ ფურცლებს აზრად ადნებიან
კალმით, მუქი მელნის ფიფქები!

როცა სურვილი აქვთ ლექსად იქმნებიან,
კიდეც ლამაზ- ლამაზ სტრიქონად,
მერე მიფრინავენ და იკარგებიან,
როგორც იყო, არა იყო რა!

გულში რჩებიან და მთლად მიფერადებენ
ამ ჩემს, ნაზი სულის სამყაროს,
ფარფატელა სიტყვებს ბგერა და მარცვლები
სურს, რომ მთლად ლექსებად დაღვარონ!!!

ცხოვრება იმედად მენთოს

მე, ჩემი ცხოვრება მიხატია
ჩემს სულში ნადები ფუნჯით,
მე, ჩემი ცხოვრება მიწევია
ჩემს მხრებზე ნადგამი უღლით!

მე, ჩემი სამყარო მიქარგია
სულ ფერად-ფერადი ძაფით,
ცხოვრების სტრიქონი მიწერია
არასდროს, არავის მსგავსი!

მე, ჩემი ოჯახი მიტანია
უფლის გზად, სულ სწორე ხაზით,
და თეთრი შავისგან მირჩევია
დამჯდარი, ჭკვიანი აზრით!

ნისლისფერ, ღრუბლიან ამინდშიც კი
მზე შემისახლებია სულში,
ბნელისთვის კარები მიხურია
ბოროტი მიძლევია გულში!

მე, ჩემი სულის ფუნჯი არ დავკარგე
სულ ხელთ, რომ მჭირდება ღმერთო,
ჩვენ, მხოლოდ ორმა ვიცით,
რა ფრად დავხატოთ, რომ
ცხოვრება იმედად მენთოს!!!

მირანდა ზაბახიძე

მზისფერი ქიმერები

ღმერთო,დამეხსენ აღსასრულთან დავდევი ზავი,
არა,აღარ მსურს დედამიწის ფერხულს მივსდიო.
ვეღარ ვარჩიე წუთისოფლად თეთრი და შავი,
მსურს ევასავით ტკივილები ახლად ვიწვნიო.

დედამიწიდან ჩამავალი მგზავრი ვარ ქვესკნელს,
თქვენვე გიტოვებთ უფერულ ცას, კაენს,სციპიონს.
სხვა ფერად ვიქეც,სხვა წიაღში მივგავარ შემსვლელს,
გამთენიისას გზად დავტოვებ ცისფერ ალიონს.

სულის სამოსლად შევიმოსავ მზისფერ ქიმერებს,
სხეულს ჩავატან მიწის ქერქს და მტვარადაც მაქციოს.
ღმერთო, დამეხსენ აღასასრულათან ობლად აღმკვეცე,
სხეულს ბორკილად ვერ გავუძლებ კვლავ რომ ვამსხვრიო.

გაგიმეტე

გაგიმეტე.
ყველა ძარღვი ერთად დასკდა,
თითქოს სული ერთიანად დაგიშალე.
ტკივილიან ჯვარცმისაკენ ხელი წამცდა,
გოლგოთის გზას ჩემი ხელით აგიყვანე.
ახლა როგორ დამიჯერებ არ მინდოდა,
შეგცოდე და ჩვენი გზები წაგიშალე.
შენს თვალებში სულს ტკივილი ასდიოდა,
ვერ შევძელი,სიყვარული ვერ ვისწავლე.
ზოგჯერ ასეთ შეცოდებას ვერ პატიობ,
გული გგლეჯს და სიყვარულიც თან სწყურია.
ცოცხალ მკვდარი,ვეგებები დღეს ალიონს,
სხეულს ვიგლეჯ თითქოს მისნის ავსულია.
გაგაიმეტე.თითქოს სული გაგიძარცვე,
შეგისუნთქე,ახლა სენად ამყოლიხარ.
გაგიმეტე. იმედი ვერ გაგიმართლე,
არასოდეს თითქოს გულში არც გყოლივარ.

გულს მიერთგულე

გულს მიერთგულე,
ნუ სდუმს ბაგე,მითხარი მოდი.
პირჯვარის წერით შუბლი ახლა ისე ცხელია.
ეჰ,მერამდენედ აღარ ვიცი მოვკვდები მგონი,
წუთისოფელი ვიწამე და ისევ მწყევლიან.
ნაწვიმარ ქუჩებს ჩვენი ნახვა ისე სწყურიათ,
მარტო ნუ მტოვებ,ამ უგულო უცხო მხარეში.
შენით ცხოვრება ერთი დიდი სიყვარულია,
გულს ნუ გამიტეხ სიყვარულის გზებით სავლელში.

კლასიკური წერილი...

წერილს გწერთ,
მეტი რა შემეძლება.
სხვა რა სათქმელი
მრჩება საშველად.
ახლა კი ვიცი ნება გეძლევა,
ზიზღი მოიღოთ ჩემს დასასჯელად.

მაგრამ თუ წამლად მოგეძევებათ,
სულ მცირე ცვარი სიბრალულისა.
არ მიატოვებთ ბეჩავს უღირსად.

თავიდან ჩუმად მოცდა მეწადა,
მერწმუნეთ ჩემს ხმას კდემარიდებით,
თქვენ ვერასოდეს ვერ გაიგებდით.

იმედის სითბო რომ განმეცადა,
თუნდაც კვირაში ერთხელ ხანდახან,
მრგებოდა ჩვენსას თქვენი დანახვა.

მხოლოდ მესმინა თქვენი სიტყვები,
მეც მეთქვა რამე,მერე დღედაღამ
კვლავ შეხვედრამდე ერთად მენაღვლა,
ერთზე მეფიქრა თავდავიწყებით.

არ ვიგემებდი ტანჯვის სიმწარეს,
არ მეცნობოდით ჩემს სიცოცხლეში.
სული უჩუმრად რომ მიწრიალებს.
დამშვიდდებოდა მაგრამ ვინ იცის,
შევძლებდი ნამდვილ მეუღლეობას,
გავწევდი დედის ამაგს შვილისთვის.

სხვა ვინმე არა,
მთელს დუნიაზე.
გულს ვერავისით ვერ აღვივსებდი.
უზენაესთან ასე იაზრეს.

სიცოცხლე ჩემი ექცა საწინდრად,
ჩვენს ამ პაემანს
და მწმსს მარადის.
განგებამ ჩემთვის ამოგაბრწყინა,
რომ მიმფარველო კუბოს კარამდის.

ვამთავრებ,
ვშიშობ კვლავ გადაკითხვას.
სირცხვილით ვიწვი და ვიდაგები.
მაგრამ თქვენს სინდისს,ვენდე განმკითხავს,
და ის იქნება ჩემი თავდები.

რომ თქვი დამთავრდა

რომ თქვი დამთავრდა,ყველაფერმა დაკარგა ფერი,
რა საჭიროა თავიდანვე ისევ დაწყება.
სულს ის მიჭირვებს აღარ ვიყო მე არაფერი,
გულზე წუხილი თითქოს ლოდი ისე დამეცა.

ვეღარ გავუძლებ,მისახიჩრებს გრძნობას ფიქრები,
ტკივილს რომ ითხოვს იარების ისევ საშველად.
როგორც პეპელა ცაში ახლა ისე ვფრინდები,
იქნებ მივუსწრო გალას ეგებ გადასარჩენად.

იქნებ აღარ ღირს დაფიქრება სხვაგვარად ვცადო,
ახლა სხვაგან მსურს,ცას შევერთო სამყაროს საწყისს.
იქნებ ასტრალმა ბედნიერი სამყარო ბადოს,
ჩემს თავს ვანდობდი, უბედობით ყველასგან დაღლილს.

რატომ ვერ ხვდები

რატომ ვერ ხვდები როგორ მიჭირს ახლა უშენოდ,
თვალები გეძებს,შენს ნაფერებ სახეს ვეხები.
თუკი მტოვებდი რად გამწირე ასე უღმერთოდ!
შენ ჩაგისახლდი,შენს წიაღში მიდგას ფესვები.

მომენატრე და,ღმერთს შევთხოვე თავშესაფარი,
ოთახის კედლებს შენი ხსოვნის ფიქრები ათბობს.
შეგიყვარე და თითქოს გავხდი უკვე სხვაგვარი,
თითქოს მივგავდი ცის ანგელოზს ზეცაში ნამყოფს.

გადარეულან სიავეთა შავი ფერები,
ისე ბობოქრობს ჯოჯოხეთში დარჩენას ლამობს.
ჯვარის მტვირთველად ვერ გამოვიდექ,ვერ გავუძელი,
ხელი გამეშვა შენზე არა,ჩემს თავზე ვბრაზობ.

ზეცა ბედია,დედამიწა ჩემი სამჭედლო,
და მის ლურჯ ცაზე მსურს დავწერო ჩვენი კანტატა.
რა უფლება მაქვს სიყვარულზე სიტყვა გავბედო,
ძალას ვკარგავ და შენგან მინდა სისხლის გადასხმა.

დარეჯან მაჭარაშვილი

სიბერე

სიბერევ- მზაკვრულად დამიხვდი შარაზე,
ტყუილად გგონია სუსტი ვარ, მაშინებ.
ვინ იცის, შენამდე რამდენი ვეწამე,
რამდენჯერ ვებრძოლე აწყვეტილ ქარიშხლებს.

რამდენი ვითვალე სიავეც, სიკეთეც
ანდა რა გზები მაქვს შენამდე გავლილი,
ან რად მეშინოდეს, შენი კარიდან ხომ
ღმერთთან მისასვლელი მოკლდება მანძილი.

წლები რას მიქვია, მხოლოდ ციფრები და
ცოტა, სუულ ცოტა სადღაც ჭაღარები,
ტყუილად ხარხარებ და ტყუილად გიხარია,
რადგან ამ ჭაღარებს მე ვერცხლებს დავარქმევდი.

სადღაც ნაოჭები..
ჰოო, შენ სულ ეგა ხარ,
თუ ხვდები ამ ნაოჭს რომ სიბრძნის კვალი აქვს,
თავგადასავლებით მოვედი შენამდე,
შენზეც მოვუყვები ამ ღამეს, მთვარიანს.

დამიხვდი სიბერევ, კრიჭა ნუ შეგეკრა,
ტყუილად ნუ ცდილობ ფარ-ხმალი დავყარო,
ვფიქრობ, არც ისეთი უგულო რამა ხარ,
გულშიც არ გაივლო საწუთროს გამყარო.

ნუ ფიცხობ, ძმობილო, ვიაროთ მხარდამხარ,
შენ ჩემით,მე შენით რომ ვიყოთ ამაყად.

**
გაავდრდება და ჩამოწვება
ღრუბელი სულშიც,
დარდიც უღმერთოდ შემომიჭერს
თავის მარწუხებს,
თავს შემახსენებს წარსული
ვით ცუდი სიზმარი,
შენ კი ვერასდროს ვერ გაიგებ
მე რა მაწუხებს.

ავედევნები მთვარეს, შენს მსგავსს
ცივს და უგულოს,
ლოგინს გავიშლი იქვე,
სადაც დამიღამდება,
მერე გულის დარდს მოვუყვები
ჩამქრალ სტრიქონებს
და გული შენგან დადაგული
დამიამდება.

****
შენ გაკვალულს შეუდექი ბილიკს,
უკვალავი მე ვარჩიე გზები,
შენ გზა და გზა დააბნიე სითბო,
მე იმ სითბოს გულმოდგინედ ვკრეფდი.

მტკიოდა და გადაგიხსენ გული,
შენს სიმართლეს შეეპარა ბზარი,
ერთგულება მე უსაზღვრო მსურდა,
შენ საეჭვო გაატარე ზღვარი.

ვერ გავკვებეთ სიყვარული ურჩი,
უსუსურის მეუფლება განცდა,
მენანება, სივრცესა და დროში
ჩვენი გზები ერთმანეთს რომ ასცდა.

სანთელივით გზას მინათებს ახლაც
ის წარსული სათუთი და წმინდა,
მუხლზე სულს რომ მიბერავდა მაშინ
ის სითბო და სიყვარული მინდა.

არ გეგონოს მენანება ახლა,
ეს მცდელობა ამაო და უქმი,
შენ მითხარი, რაც არ უნდა გეთქვა,
მაგიერში მე ყვავილებს გჩუქნი.

*

სული კაცთმოყვარე
ჩაგვბერე უფალო,
ცოდვების სანაცვლოდ
მირონი გვაწვიმე,
რომ ერთხელ ეს სისხლი
ცივი და უგვანო,
დაიქცეს, გადმოსცდეს
სისხლძარღვთა სადინებს.

იქნებ თავგანწირვა
უბრალოდ არ ღირდა,
იქნებ სააქაოს
ბეცი ვართ სტუმარი,
გვასწავლე გარჩევა
ავის და კარგისა,
მიტევებისა და
დათმენის უნარი.

ისევ დაბოგინობს
ჩვენს შორის ბარაბა,
ისევ ცრუ მსაჯულად
იქცევა გოლგოთა,
იქნება ჯვარცმაც და
იქნება ღალატიც,
მაგრამ არა უშავს,
აღდგომა ხომ მოვა.

მინდა გავიპაროთ მთაში

მინდა გავიპაროთ მთაში,
თუნდაც წვიმასა და თქორში,
ღამეს ვათენებდეთ ერთად,
ისლით გადახურულ ქოხში.

ფიჩხის ტკაცა-ტკუცის ხმაზე
რული მერეოდეს როგორ,
არვინ ჭაჭანებდეს ირგვლივ,
შენ და სიყვარული მხოლოდ.

დილით ვიმეგობროთ მზესთან,
აღარ გაგვეკაროს ავი,
ძალას მიმატებდეს მთა და
შენი ვაჟკაცური მკლავი.

ღამით ვარსკვლავები ვთვალოთ,
ვეღარ გვერეოდეს ძილი,
ჩუმად დავუთვალოთ ერთურთს
მერე-გულისცემა ხშირი.

ყველა სადარდელი გაქრეს,
გულ-სისხლ გადაგვექცეს ერთი,
გრძნობას დარაჯობდეს მთვარე
მაღლით ჯვარს გვსახავდეს ღმერთი.

ჩემი დიდი სევდა

ერთი სოფლის განაპირას სახლი ერთ დროს,
ლხინითა და სიხარულით სავსე,
გამუდმებით წარსულის ლანდს შესციცინებს,
არსებობას იმედებით ავსებს.

მარტოსული-ბედნიერი ერთ დროს სახლი,
მარტოობის დაღალულ წლებს ითვლის,
ყოველ დილას იმედები შეაფხიზლებს,
გაიხსნება მოგონების სკივრი.

აქ, მთელ სახლში, განა მარტო ერთ კუნჭულში
დროის დაღლილ მოგონებას სძინავს,
ენატრება გოგო-ბიჭის ჟრიამული
უცებ-ბურთით ჩამსხვრეული მინა.

და სარკმელიც ყოველ დილით ალიონზე
ღამენათევ თვალს იმედით ახელს,
რომ ერთ დღესაც გაიღება სახლის კარი
და გახდება ღიმილებით სავსე.

დგას სახლი და ეჭვიც კი არ ეპარება,
დამთავრდება მარტოობის წამი,
ეზო ისევ ჟრიამულით აივსება,
იმზეგრძელებს კაციცა და ვაზიც.

მანამდე კი ჩამტვრეული ფანჯრის მინა,
ვით მოხუცის დავსებული თვალი,
არ ნებდება ავხორცსა და სულწაწყმედილს,
შიშობს, არვინ შეამტვრიოს კარი.

ჰოო...
იმ სოფლის განაპირას ერთი სახლი
დგას, წარსულის მოგონება ათოვს,
და იმედით ჩაკეტილი ერთ დროს კარი.
ელოდება,
ელოდება,
ელოდება,
პატრონს.

**

დარდები უნდობლად
გადამკრავს მათრახებს,
ვეღარ გასაძლები
გახდება ლოდინი,
გულში ქარიშხალი
აიწყვეტს არტახებს,
როცა მონატრების
სურვილი მომივლის.

ვარსკვლავებს დავითვლი
ცაში რომ კიაფობს,
მერე შენს გულამდე
დავითვლი ნაბიჯებს,
იმედს დავიტოვებ-
იქნება მესტუმრო,
მთვარე ა, ემ ღრუბელს
რომ გადმოაბიჯებს.

***

ჩემი ქვეყნის სადიდებლად
განა სიტყვა დამელია,
თუმცა მაინც ვერ ვუთხარი
წლები ისე გამელია.
რაც მტკიოდა, მიხაროდა
ერთმანეთში ამერია,
მზე, მზისფერი, ზღვა ზღვისფერი
ბინდისფერში გამერია.
სიხარული სადაც გაჩნდა
იქვე შხამი გაერია,
იქ, სადღაცა ერთ წაქცეულს
ათი "მხეცი" დაერია.
კაცმა კაცი რომ შეაქო
ირონია გაერია,
მტერი მოყვრად, მოყვარე მტრად
ვეღარ იცნო, აერია.
ღმერთს იფიცებს, ფრესკას ჯღაბნის
რანაირი ქარველია,
ღმერთო, რწმენა გაგვიმტკიცე
დაგელოცოს სახელია.
ჩემს ქვეყანას გაუჩინე
სიმშვიდე და საშველია,
მოაშორე წურბელები
რა ტურა და რა მელია.
ძმას ძმისა და მეგობარის
სიძულვილი გასჩენია,
სიყვარულით შეუცვალე,
მეტი რაღა დაგვრჩენია.
აუმაღლე ჩემს სამშობლოს,
ის ფუძე და ეს ჭერია.
მის დიდებად გვანთებიე
უთვალავი სანთელია.
ეს სიცოცხლეც მსურდა ქვეყნის
სიყვარულში გამელია,
სადღეგრძელო თქვენთან ერთად
ვახტანგურად დამელია.

*

გულო, ჩემო ციცქნა თანამგზავრო,
ჩემი პატარა გზის მესაჭევ,
ერთად შევებრძოლოთ ქარტეხილებს,
ერთად გავიმარჯვოთ მე და შენ.

ბევრჯერ ნატკენო და გაბზარულო,
მაინც უსასრულო საუნჯევ,
ვიცი, ყველა ტკივილს გადაიტან,
ყველა გაჭირვებას გაუძლებ.

ჩემო უღალატო მეგობარო,
ჩემი არსებობის სათავე,
შენი თანადგომა მაძლიერებს,
შენი ერთგულება მახარებს.

ჩემო პაწაწინა მბრძანებელო,
მუჭში ჩატეულო სამყაროვ,
უნდა მადედოფლო,
ამ ქვეყანას უნდა სახელოვნად გამყარო.

უნდა სატკივარზე ამტკივდე და
ლხინში სიხარულად დამიდნე,
ისე არ მომექცე, ამ ქვეყანას
ჩვენი არსებობა არ ღირდეს.

ჩვენს მტერს უნდა გობით შევაგებოთ,
მხარში ამოვუდგეთ მოყვარეს,
ისე გავემგზავროთ, ჩვენი წასვლა,
მეხის გავარდნას რომ მოჰგავდეს.

*****

ვერ ვიმარჯვეთ და ვერ მოვიშორეთ,
ჩაბუდებული ჩვენში ჭინკები,
გზაარეული დავეხეტებით,
გეძახით მაშინ, როცა გვჭირდები.

სიყვარულით და სითბოთი გვავსებ,
მადლი მოფინე ჩვენს ცას და მიწას
დაგგმეთ, გაგყიდეთ და ჯვარზე გაცვით,
მაინც გვპატიობ და მაინც გვიცავ.

შენ გვმოძღვრავდი და გზას გვიკაფავდი,
ჩვენ ჩვენებურად ტაძრებს ვძერწავდით,
გადავუხვიეთ ჩვენ სულ სხვა მხარეს,
მაშინ, როდესაც შენთან გვეძახდი.

შენ სიბნელეში გვაწვდიდი სანთელს,
ჩვენ შეგონება სადღაც დავტოვეთ,
შენს უღირსსა და ცოდვიან შვილებს,
მჯერა, რომ მაინც არ მიგვატოვებ.

შენ გვიხმობდი და ჩვენ გშორდებოდით,
როგორ გვითმენ და გვიტევებ ამდენს,
ყოველ ნაბიჯზე მე ვხვდები მაინც,
შენი წყალობა და მადლი დამდევს.

ვერ მოვახერხე შენი შეცნობა,
ვეღარ ვერევი დაგროვილ დარდებს,
ღმერთო, შემინდე ყველა შეცდომა
უნებურად რომ ამ მხრებზე მადევს.

ვერიკო პარწიკანაშვილი

****

გული ისევ,
უსაშველოდ ამტკივდა,
გაზაფხულის წვიმა
თვალებს ასველებს,
გაყოფილი სიყვარული
არ მინდა,
სცივა მთვარეს,
ისიც, როგორ ახველებს!

მინდა ყველამ,
მინდა ყველამ გაიგოს,
ჩემმა გულმა,
ფიქრად როგორ აგკინძა, ვყვირი,
მინდა ძველებურად გიყვარდე,
უსაშველო მონატრება ამტკივდა!

გული ისევ,
უჩვეულოდ შეტოკდა,
ყველაფერი,
სურს დაიწყოს თავიდან,
მაგრამ მინდა
რეალური სამყარო,
მოპარული სიყვარული
არ მინდა!

******

მოდი, ჩამახედე მაგ
ზღვის-ფერ თვალებში,
ცა რომ ირეკლება
ხანდახან ღრუბლებით,
რამდენი რამ მინდა
გითხრა და გაგანდო,
მაგრამ ვერც გელევი და
ვერც გეუბნები!

მოდი, ყურთა-სმენა
დამიხშე სუნთქვებით,
თვალების ჩეროში,
დრო ჩანს გარდასული,
სიმღერას, რომელიც
ვერასდროს გიმღერე,
ვერც აწ-მყო დავარქვი და
ვეღარც წარსული!

მოდი, შენც ჩამხედე
ნაღვლიან თვალებში,
სადაც სიმარტოვემ
დაიდგა კოშკები
და რაც ვერ გითხარი
და რაც ვერ მოგწერე,
თვალები გეტყვის, რომ
უშენოდ მოვკვდები!

მზემ რომ გაგინათოს,
შენც უნდა მზე იყო,
სითბო რომ გაჩუქონ,
შენც უნდა ათბობდე,
თუ გიყვარს, მასავით
უნდა იყვავილო,
თუ სტკივა, მასავით
შენც უნდა დარდობდე!

ხოდა, ჩამახედე მაგ
ზღვის-ფერ თვალებში,
ხანდახან აფრენას
რომ იწყებს თოლია,
იცი, სულ უბრალოდ
დილაა ისეთი,
რომ არ მომენატრო,
სიკვდილის ტოლია!

****

თუ სიყვარული
,, აიკვირაძლებს"
და აღარ მოვა აურზაურით,
აბა რად გინდა ეს სილამაზე,
თუ არ დაეშვი
მთიდან ხმაურით!

თუ არ ჩამოჰყევ ისევ
ჩანჩქერებს,
თუ ვარდი, ისევ არ აატირე,
რად გააძვირე ასე შეხვედრა,
ანდა ღიმილი,
რად გააძვირე?

დღეს, ჩალის ფასი
დაედო კოცნას,
დღეს, მოწყენილნი
ჩანან იებიც,
და ღვინის ნაცვლად,
მღვრიე შხამს სვამენ,
გვირილები და კამელიები!

და მოწამლული
ჰაერით სუნთქავს,
დღეს სიყვარული
და ეს სამყარო,
როცა მეგონა უკვე გიპოვე,
შენ ცდილობ,, იარაღი
ამყარო"!

მოდი, ამ ღამეს
ვარსკვლავებს დავთვლით
და სიყვარულის
დავკრეფთ მიმოზებს,,
ეს ვიოლინოც გაწეწავს
ჰანგებს
და წამალივით გამოიზოგებს!

მოდი,
ჩამოჰყევ კლდიდან
ჩანჩქერებს
და კალმახივათ აჰყევ
ნაპირებს,
დაბრუნდი, ვიდრე
დრო და სამყარო
სხვადასხვა მხარეს
გაგვანაწილებს!

*****

იწვის უდაბნო,
მივუყვები უხილავ ბილიკს
და მეწვის ხელიც,
მოხვეული მაგ სათუთ მხრებზე,
როგორ მეგონა, რომ
სიცოცხლე იყავი ჩემი
და ერთად უნდა გაგვერბინა
ცხოვრების გზებზე!

ცა, ოქროსფერი გამებივით
გზას ეღვენთება
და მოჩვენებას დაემგვანა
უდაბნოს მთვარე,
როგორ მეგონა, შენი სუნთქვა
მე მეკუთვნოდა
და ეგ თვალებიც,
მთვარის შუქზე
ძირს რომ დახარე!

მე აგიგებდი პირამიდებს
ეგვიპტის ველზე,
გადავცურავდი მაგ სულისფერ
სფინქსების ყურეს
და ოკეანეს გაავსებდა
მართლა რომ იყოს,
ის სიყვარული,
მე რომელიც გამოვიგონე!

გაგაღვიძებდი ჩაძინებულს
აგვისტოს ცის ქვეშ,
უდაბნოს ხვატში დაგითვლიდი
ფერად ვარსკვლავებს,

მაგრამ ის გრძნობა,
აქამდე რომ მეგონა ჩემი,
უდაბნოს ხვატში
სამუდამოდ დავასაფლავე!

P. S. მე ისევ მიყვარს,
ეგ, თვალები
კესანეს-ფერი,
წერილიც დარჩა
გაუხსნელი,
მე რომ მოგწერე,
ჩემი გული კი
მაშინ მოკვდა
უკანასკნელად,
როცა პირ-ჯვარი
მის გარეშე გადაიწერე!

მე აგიგებდი პირამიდებს
ეგვიპტის ველზე,
გადავცურავდი, მაგ სულისფერ
სფინქსების ყურეს
და უდაბნოში სამუდამოდ
დავასამარე,
ის სიყვარული,
მე რომელიც გამოვიგონე!

„ ვინ ხარ! "

შენ, შეგიხსნია ღილი,
საკინძე გიჩანს ურცხვად
და გაშიშვლებულ გრძნობებს,
სასრული აღარ უჩანს!

დაგსველებია კაბა,
მთების ნაჟურით ისევ,
მზით გარუჯული ღამე
ისევ თავისკენ გიწვევს!

მზეზე დალალებს გაშლი,
სხივი დაჩხვლეტავს ღრუბელს,
მიწის თვალივით მოსჩანს
წვიმის ნარჩენი გუბე!

შენ, შეგიხსნია ღილი,
ნაწნავებს იშლი მორცხვად
და შენი ფეხის კვალი,
ქვიშაზე ისევ მოსჩანს!

ტალღები ლოკავს ნაპირს,
მზერად ქცეულა ყურე,
ვით, დედოფალი მზიდან,
სამყაროს გადმოჰყურებ!

დილამ აკრიფა ნისლი,
ისე ამაყად დგახარ,
მზე, თმებში გირევს ხელებს,
მითხარი, ვინ ხარ, რა ხარ!

მკერდ-გაღეღილი კლდეზე,
ამორძალივით ჩანხარ,
ვინ ხარ, ქალი თუ ,, ალი",
ტკბილ მოჩვენებას გავხარ!

„საღამო სოფელში"

მიწას მოსდებია
ჯგუფ-ჯგუფად დანდური,
კაკლის ჩრდილს,, კუშეტკა"
ამშვენებს მადლივით,
ბაბუამ მომართა
თავისი ფანდური,
ბებიამ შეიხსნა
ქათქათა მანდილი!

და გოგო-ბიჭები
თამაშში გართული,
ჩვენ-ჩვენი სკამებით,
ბურთით და მედროშით,
ხუთ წუთში, ადგილიც არ დარჩა
კაკლის ქვეშ,
კაკლის ხის გარშემო
უკლებლივ შევგროვდით!

ბებომ გადაწმინდა სათუთად დაირა,
ზედ აათამაშა ნატიფი თითები
და უბანს ფანდურის
ხმამ გადაუარა,
წრეში კი გადახტნენ
ნარჩევი ბიჭები!

ყველამ გაიწვია თავისი რჩეული,
მერე ყველა წყვილი
წრის გულში მიცურდა
და ულამაზესი იყო სანახავი,
ცეკვა-გედებისა, - თუ
ცეკვა- მიჯნურთა!

ტაშის ხმამ გააპო
საღამო მგლის-ფერი,
დავლურს ჩაენაცვლა
მერე განდაგანა,
პაპას უხარია, თან თავ-გამოდებით,
ფანდურს აკვნესებს და
განა დაიღალა?

აქ, ყოველ საღამოს,
მთვარის შუქს ერთვოდა,
ტაშის და ფანდურის
ხმა და შეძახილი,
ყველა ივიწყებდა,
რომ იყო,, მშიერი",
ყველა ივიწყებდა,
რომ იყო დაღლილი!

კაკლის ჩრდილს,, კუშეტკა"
ამშვენებს მადლივით,
მიწას მოსდებია,
ჯგუფ-ჯგუფად დანდური,
ბებომ თავშლის ყურით
გაწმინდა დაირა,
პაპამ კი, მომართა
თავისი ფანდური!

***

შენ, ის სიზმარი ხარ,
წუხელ რომ ვიხილე,
ის ღვინო, თავბრუს რომ
მახვევს და მაგიჟებს,
შენ, ჩემი ცხოვრების
მთის ბროლის მძივი ხარ,
სულ მარცვალ-მარცვალ რომ
წვალებით ავკინძე!

შენ, ჩემი წყარო ხარ,
წყარო უკვდავების,
ჩემი წამალი ხარ,
გულის ხვაშიადი,
უკვე მერამდენე
წელი ჩავკეცეთ და
მაინც ვერ გავიგე
შენი ხასიათი!
ის წვიმის წვეთი ხარ,
ციდან ჩამოსული,
დაგვალულ ტუჩებს რომ
მორწყავს და აავსებს,
სველ ვარდის ფურცლებად
დაშლილი ბოდვა ხარ,
მზერა ალმაცერი,
ღიმილს რომ აგასხლეტს!

ჩემი მაისი ხარ,
მწიფე ნოემბერი,
ღვინო, მაჭარივით
მარად რომ ჩუხჩუხებს,
ის მონატრება ხარ,
სულს რომ მიაპრილებს,
ხმა სირინოზისა,
ყურთან რომ ჩურჩულებს!

ის ხარ, ხელისგულზე რომ
იტევს სამყაროს,
თვალის სინათლე ხარ,
უხმო ხვაშიადი,
მესამყაროები,
თუმცა, წლებია და
მაინც ვერ გავიგე
შენი ხასიათი!

იოსებ ტაბიძე

ზამთრის მოტივი

ჩემო შალის ქურქო
გიყურებ და ვტკბები,
შენი მადლით ისევ
ზამთარს გადვურჩები.
ერთგულ მეგობარო,
უანგაროდ მათბობ,
ო, რა გულთბილია
შენი სამოსახლო.
ჩემო ხის ღუმელო
შენც ერთგულად გიცან,
როცა ლაღად ცეკვავ
რა გულთბილად მიცავ.
და შენც შალის ქუდო,
და შენც მატყლის წინდავ,
ერთმანეთით ვხარობთ,
და ერთმანეთს ვიცავთ.

სამედიცინო მოტივი

ექიმებმა სასწრაფოდ
თუმც ნაღველი მიქარვეს,
მაგრამ იქვე გულისა,
გულგრილად დამიმალეს.
აწ თუ ამავ მიზეზით
ნაღველა კვლავ იმატებს,
ეს მკურნალი ბუნება
ჩარეცხს, მიზეზს მაიგნებს...

ფრაგმენტები უძველესი და უახლესი ისტორიიდან

ჯერ დიდ იმპერიების პროპაგანდა გვიხმობდა,
მერე ირან-თურქეთი გავლენისთვის იღწვოდა.
ერთურთს ენაცვლებოდნენ სამეზობლო ომები,
ქრებოდნენ და ჩნდებოდნენ ბუფერული ზონები.
ჩვენი დაქსაქსულობაც ხელს უწყობდათ ამაში,
ეფლობოდა სამშობლო ინტრიგების ხლართვაში..
შიდა არეულობა, გარე მტრებსაც აწყობდათ,
და თანდათან ქვეყანა დაჭაობდა, დაობდა.
ვაგლახ, კვლავ განმეორდა ისტორია სხვა მხრიდან,
რაც ჩვენ ტერიტორიის კარგვის ფასად დაგვიჯდა.
„კავკასიურ ცარცის წრეს“ დაემსგავსა ამბავი...
ვეღარ ვცნობთ ვინ „დედაა“ და ვინ, „დედინაცვალი“.
ვერ უშველა ამ საკითხს, ვერც დარდმა და ტირილმა
სჯობს კვლავ მოხერხებულად ხორბალი ფქვას წისფქვილმა.
თანაც მუდამ მზად გვქონდეს ჩვენი „შვილდის ისარი“,
რომ დავრთგუნოთ მტრის ძალა....შარი....შური....მიზანი....
და თუ შრომის მიხედვით ფულიც განაწილდება,
ხალხის ცოდნა, დოვლათი, წყალში არ ჩაიყრება.
დაფასდება ყველას ღვაწლი, დაფასდება ნიჭი:
დაიცავით და გახსოვდეთ ჰიპოკრატეს ფ ი ც ი!!!

ქათმის ქურდის ამბავი

მსურს ბავშვებო მოგიყვეთ უცნაური ამბავი,
ყური კარგად დამითმეთ არ გეგონოთ ზღაპარი.

* * *

ბაბუს ყავდა, ერთი ჭრელი, თხა რქიანი, ცანცარა,
წვერი ნაცრისფერი ქონდა, მიტომ ერქვა „ნაცარა“.
ბავშვებს სდევდა და ართობდა, მუდამ მკვირცხლად დახტოდა,
ხელს თუ რქებში ჩაავლებდით, თავს იოლად არ თმობდა,
ბაბუს ერთი გოჭიც ყავდა, სახელად „მზევინარი“
მარმელადის გამფეტს ჰგავდა, დღე უყვარდა მზიანი,
გვერდით თან დასდევდა მუდამ, დარშიცა და ავდარშიც,
საქათმეში იძინებდა ტალახიან ზამთარში.
კიდევ ყავდა ფრთა-ქათმებიც და სულ მათზე დარდობდა,
რადგან ზოგჯერ, სოფლის ქურდებს, თითო-თითოდ გაჰქონდათ.
მოდიოდნენ ღამ-ღამობით, საქათმეში ძვრებოდნენ,
დაითრევდნენ თითო ქათამს და ჩუმ-ჩუმად ქრებოდნენ.
სარგებლობდნენ ბაბუს ცუგა, რომ ახალი მკვდარია,
ვინც ერთგულად მსახურებდა, ბოლოს სული დალია.
მაგრამ ერთხელ, მრგვალ მთვარისას, როს ეძინა ბაბუას,
უცნაურმა ბრახაბრუხმა გააღვიძა ბაბუა...
დინჯად წამოდგება გავა, ესმის ქათმის კაკანი.
და დახვდება საქათმეში სასაცილო ამბავი:
ხედავს, ქურდი საქათმეში დამხობილა მუხლებზე,
ხოლო ბეკო, უკანალში თავის რქებით უღერებს...
ვეღარც უკან ვერ გამოდის და ვეღარც წინ იწევა,
უკან რქებმა შეაწუხა, წინ კი, მამლაყინწებმა.
ბოლოს მაინც ბაბუმ იხსნა, ჩვენი სოფლის შტერია.
ჰკითხა: – ერთი რად არ გეყოთ, რად ინდომეთ ბევრია.
უმაძღრობით ვერ გიცვნიათ, მოყვასი და მტერია?
ახლა წადი, ეგ ჯინსები, დაგიკემსოს ბებიამ.
მაგრამ ტრაგი-კომედია მთვარის შუქზე გამოჩნდა,
ბიჭის ნაცვლად ქათმის ქურდი, თურმე ქალი აღმოჩნდა.

ლალი სოხაძე

ჩემს შვილებს
ნინოს, მარიამს, თამარს,
გიორგის, ქეთევანს, დავითს

ჩ-ურჩულით შევთხოვ მამაზეციერს
ე-რთურთის გატანას და არა შეხლას...
მ-იყვარხართ იცოდეთ ჩემს თავზე მეტად,
ს - იყვარულს დიდი ძალა აქვს ეხლაც

შ-ორიდან გელით და გეძახით დ ე დ ა,
ვ-ინ იცის, ჩემს გულის ფიცარზე
ი-მედად, როგორ საოცრად სხედხართ?
ლ-ამაზი ოცნებები-მომადექით კარზე...
ე-მსახურეთ სამშობლოს თავდადებულ მხედრად,
ბ-იჭებით და გოგონებით აგვსებოდეთ კერა
ს-ულ გეხაროთ, გედღეგრძელოთ,
გულით გლოცავთ ყველას!

***
წამწამთა ჩრდილში შემალული
ცრემლის წვეთები,
გულიდან უცბად მოიტაცებს
სევდას გულსაკლავს,
მძივებად, ალყას შემოარტყამს
ლოყას ვედრებით,
ოღონდაც გულმა არ იდარდოს,
სევდას თავს აკლავს.
უთქმელი სიტყვა,
მარგალიტის მძივად ქცეული,
შეხსნილ საკინძეს
ჩაუყვება გულის პირამდე,
წამწამთა ჩრდილში,
რომ ვერ პოვა შვება ეული,
სევდა წაიღო უკუნეთში
მ ი წ ი ს პ ი რ ა მ დე!

***
როცა ხელს მკრავენ,
ჩემი გრძნობა არაფრად უღირთ,
გავირინდები და გულში ვიქრობ
დარდების დ უ ღ ი ლ ს...
სიცოცხლეც უკვე აღარად მიღირს,
როცა სამშობლოს მითელავენ
და ვუთმობთ უ ღ ი რ ს თ,
როცა მივტირით ჩვენს წარსულს
და გმირებსაც ვ ი თ ვ ლ ი თ...
შენ ჩემო გ ე ნ ო!
ვერა გრძნობ, რომ
დრო სადღაც მ ი ჰ ქ რ ი ს...
ასე უაზროდ და უსიცოცხლოდ
როდემდე ვ ი ვ ლ ი თ?!..

***
მთაში მრბოლავი ღრუბლების,
ამბავს მოგითვლი შორიდან,
ვინ გითხრა, რომა არწივი,
თავს ვერ დაიხსნის ქორიდან?!

მზის სხივს, ვერ შაწვდეს თოლები,
ზღვისა და ცისა ფერისა,
არ მინდა ვეჟო, ჭორები,
სიტყვას ნუ მეტყვი მერმისად.

ტყვილად ნუ მფიცავ სიყვარულს,
სახლში გყოლია ცოლ-შვილი,
ამ ჩემს გულს უკვე მოპარულს,
ვეღარ მაიგებ ვიშვიშით.

ვითომაც გული შაგბმია
ჩემზედა ძლიერ, მითვლიდი,
განა, ვაჟკაცის საქმეა
მთა-მთა დევნა და ხითხითი?

რამდენიც გინდა იყვარე,
გზა ხსნილია და საცალო,
ცოდვას მეტს ეთაყვანები-
უფალთან მისვლა გაცალოს!

მთვარისა ზეინკლიშვილი

ჩემი სურვილი

ღმერთო შემარგე ბედნიერება,
ჩემი ყველა დღე იყოს მზიანი,
გთხოვ ნუ მომასწრებ ჩემების ტკივილს,
არ დამანახო ვინმეს ზიანი.

მომეც ძალა და ღონე იმდენი,
რომ ამოვწურო ჩემი ძალები,
მათ დანახვაზე,მათ სიხარულზე,
მსურს მიბრწყინავდეს მუდამ თვალები.

გთხოვ დამიფარე განსაცდელისგან,
ღირსებით შევხვდე ყოველ ალიონს,
ჩემ მომავლებმა რომ სიამაყით
შესანდობარი გულით დალიონ.

ჯერ გული ხარობს,დღე მაქვს მზიანი,
თუნდ სულში მქონდეს ღრუბელ-ქარები,
თბილი და ტკბილი მოყვარესათვის,
მუდამ ღია მაქვს გულის კარები.

მსურს ყოველი დღე მქონდეს მზიანი,
ცას მოწმენდილს,რომ ვუყურო მუდამ,
ასე მეგონოს, რომ მე მომერგო,
მიწა ქალამნად და ზეცა ქუდად.!!!

გასეირნება მზიურ აფნისში

ჩემს ქვეყანაში

ჩემს ქვეყანაში სულ სხვა
დარია,
მართლა თბილია აქ, ჩვენთან
ყველა,
როგორცა გვძალუძს, ისე
ვირჯებით,
ვშველით თუ ვინმეს ჭირდება
შველა.

ჩემი მთა- ბარი ჯვრებით
სავსეა,
კვლავ ჩვევაში გვაქვს გალობა,
მღერა,
ერთმანეთს ვსახავთ ზურგს უკან
პირჯვარს,
რომ არ აღმოვჩნდეთ ეშმაკის
წერა.

რთული ჟამი აქვს დღეს ჩემს
ქვეყანას,
გაძლიერდება კვლავ მოდგმა,
კერა,
ღვთისმშობლის კალთა მუდამ
დაგვიცავს,
უფლის განგების გულით მწამს,
მჯერა.

ტრადიციები ჯერ კიდევ
დარობს,
ყველას ერთი გვაქვს ადათი,
წესი,
არ ვცხოვრობთ მარტო ჩვენი
თავისთვის,
სიკეთე არის დღის განაწესი.

მე ჩემს გარშემო ვერ ვხედავ
ბოროტს,
მოდით, მითხარით ვის დავდო
ბრალი,
ვერც იმათა ვგმობ ვისაც კი
დღესაც,
გადაუხდელი აქვთ ჩემი
ვალი.

პატივს მივაგებთ წასულთ
საფლავებს,
იქ არ მივდივართ გულგრილ -- თვალ--
მშრალნი,
სანამ ჩვენ კიდევ მათი ძალა
გვწამს,
მანამ იხარებს იქ მათი ძვალნი.

„ჩემი ბილიკი"

მე მიყვარს, თუნდაც ეკლიანი ჩემი ბილიკი,
ყურს აღარ შემდის არც ტყუილი, არცა ქილიკი,
ჩემი ბილიკის გზის ბოლოსი, რატომღაც მჯერავს,
იქიდან მესმის მშვიდი სუნთქვა, გულის სიმღერა.

უკვე აღარ მსურს, ჩემი თავის თვით წვა და გვემა,
მაკმაყოფილებს განათებულ ცაზე მზის მზერა,
ჩემს ლამაზ ბილიკს ავაყვავებ, მეყოფა თმენა,
აღარ ვიქნები არასოდეს ბოროტის წერა.

ბევრის აღარ მწამს, დრომ მომიწყო რთული გამოცდა,
სარეველისგან გამოვმარგლე ჩემი ბილიკი,
რაც არ მეხება, აღარც მესმის, აღარცა ვხედავ,
ჩემს ფერად ბილიკს მოვაშორე შავი ხვილიფი.

ცრუ ღიმილებსა, დაპირებას, თუნდაც ღალატსა,
ჩემს ბუნებაში არ ქონია ასეთს ადგილი,
ეს ცხოვრება, რომ გაიარო მსგავსი სიმძიმით,
გეფიცებით არ ყოფილა თურმე ადვილი.

გაზაფხული ძამის ხეობაში

როგორ გაკამკამებულა
ლურჯი ზეცა,
ღრუბლებიც თავს გვევლებიან
ნელა, ნაზად,
ცის მიღმიდან იცქირება
ცხრათვალა მზე,
ცდილობს სხივი დაგვიფინოს
ფიანდაზად.

აქეთ, ჩემსკენ, სხვა ხიბლი აქვს
მზეს და მთვარეს,
დღეც და ღამეც რა რიგ ტურფობს
არემარე,
ნეტავ ყველას ჩემი თვალით
დაგანახათ,
რა კარგია ჩემი კუთხე, ჩემი
მხარე!

მუზის მადლი

მუზამ მომმადლა სიტყვა კაზმული,
ფურცელს დაადნა ლურჯ კალმის
წვერით,
მეც სიხარულით, აღფრთოვანებით,
არ დავიღლები მთელი დღე წერით.

არ დავიღლები, არ შევტოკდები,
მშიერ - მწყურვალიც ვნაყრდები
მღერით,
ვხატავ სამყაროს, ვუმღერ სიცოცხლეს,
თუმც ვერ ვიკვეხნი მგოსნობას
ბევრით.

ჩვევა დამჩემდა ყოველ ცისმარეს,
ალიონს ვხვდები ხელში კალამით,
მომმადლებია მუზის სიუხვე,
თეთრ ფურცლებსა ვრთავ ლექსთა
ალამით.

თვითკმაყოფილი დავხურავ რვეულს,
ცოტა ხნით მტევანს დავადებ ყდაზე,
სურვილი მაქვს რომ შევუტრიალდე,
მერე კი კრძალვით ვდებ მაგიდაზე.

სულ ვფიქრობ დღეზე, ხვალზე,
წარსულზე,
რომც სიბერეში წავხდე, დავმუნჯდე,
ვიცი რომ ბევრჯერ გადაიშლება,
ჩემი უბრალოდ,,წრფელი საუნჯე".

ვუძღვნი ქალბატონ გულნაზ ხარაიშვილს!

ქალმა რომ იცის, თუ რა არის
მისი მისია,
გრძნობებისათვის და სითბოსთვის
აკურთხა ზემან,
ირგვლივ მყოფების სულში ეძებს
მუდამ დადებითს,
მისი თვალები გვეფერება, კარგს
ამბობს ენაც.

ამ ქალის ირგვლივ აღმშენებლობს
სულის სამეფო,
მის კალთას ყველა შვილობილი
იფერებს, ჩემობს,
,,შენ გაგიმარჯოს, გაიხარე, ქალო
ქალღმერთო,
ნუგეშს მეც სწორედ შენში ვხედავ
ნამდვილად ჩვენო"!

ნანა ცინცაძე

სარფიანი დაბანდება

არაფერი არ იცვლება, თუ არ შეცვლი,
გათენდება ისე, როგორც თენდებოდა.
ერთს, ფუფალას უწოდებენ ჩვენში შეშლილს,
თუმც შიოლას სხვაც მრავალი ვერ ხვდებოდა.
მზის ლაქები მთვარეს დამღად ავაკარი,
ის მიპოვის, ვინც არასდროს დამეძებდა,
საოცნებოდ ავიჩემე ავატარი,
თუმც ვიცოდი, მის სიყვარულს სხვაც შეძლებდა.
გალაქტიკას ახლა უფრო ხშირად ვსტუმრობ,
დღეს მერკურზე მერამდენედ გავათენე.
რა ხანია გავიზარდე, აღარ ვხუმრობ
და ღიმილით ვანაწილებ ანათემებს.
იქ უფალმა სიკეთესთან მაზიარა,
მე აქ თვალი ცოდვებისგან დავიელმე.
სულ მრუდი მაქვს, ერთი სწორი ხაზიც არა,
ცოდვილს ცოდვის სიყვარული გამიელვებს.
გული მტკივა, დრო მუჭში ვერ მოვაქციე,
ისე გარბის, ვიცი, ვეღარ დავეწევი,
რადგან ვთელავ გამოგონილ გრადაციებს,
ვინც გამწირქვს, გულში მასაც დავეწვები.
რომლის გამოც მთელ სამყაროს დავეწვები.
სიკვდილს მოვკლავ, რომ სიცოცხლე არ დამთავრდეს,
დროსთან დავდე სარფიანი დაბანდება.
ღმერთთან ვგზავნი ერთსიტყვიან ამანათებს -
დ ა ბ ა დ ე ბ ა!!!

დაბადება

მე ერთხელ ვინატრე დაბადება,
სიკვდილს ავერიდე ქვითინით.
ჩანასახს რაღაცა გამახსენდა
ძველი, შუმერული მითივით.
ცაში რად ვიცხოვრე, დამავიწყდა,
მიწამ დამიძახა სურვილით,
როცა იმედები გადამიწყდა,
გაჩნდა სიმყუდროვის წყურვილი.
მერე მე მოვიწყვე ორგიები,
კოცნებით ბახუსი დავათვრე,
სადღაც შემეჩეხა მოლიერი,
ისიც ჩემს უბეში გავათბე.
არა! – არ მყოფნიდა არაფერი,
არც ცა, არც მიწა და არც წყალი,
დროის მოვიპარე კამათელი,
წამი გავაშეშე, საწყალი.
ღმერთი ბენეფისზე დავპატიჟე,
გაიგეთ, არ მითხრა უარი,
მიწის ყვავილებით გავაგიჟე
ჩემი ზეციური სტუმარი.
თავზე ოცნებებით დამათენდა,
ჰოდა, დამავიწყდა სიკვდილი,
ისევ სიყვარული გამახსენდა,
მუდმივ პატიმრობამისჯილი.
გიკვირთ, რად ვინატრე დაბადება!

განაჩენი

გამოიტანეთ განაჩენი! მე ვდგავარ თქვენ წინ,
ვით ჟანა დარკი, ორლეანის ქალწული წმინდა.
ზეციდან შვებად მარიამის სიტყვები მესმის:
-ბრბო ვერ აგიტანს, შენ მეუფე ქალღმერთად გქმნიდა...
იცით, რამდენი ქალის ტვირთი ვატარე მარტომ?
ხან ცეზარს ვხვევდი ვნების ალში, ხანაც ურიელს,
სწორედ ამიტომ, სიცოცხლისას, არც ერთ წამს არ ვთმობ,

თქვენ... თქვენ რა იცით, რამდენ მონარქს გზები (ტვინი) ვურიე.
თქვენ ხომ არ იცით, რა ძნელია მეფობა ქალის,
მარკიზას რატომ აქვს სურვილი კურტიზანს ჰგავდეს,
და თუკი მასაც შეეპარა ფიქრებში ბზარი,
სიყვარულისთვის ხარკს გაიღებს, ო... თანაც რამდენს.
გამოიტანეთ განაჩენი! მე ვდგავარ თქვენ წინ,
ინკვიზიცია არ კარგავდა არასდროს ძალას.
მზის ნატეხს მაინც თან წავიღებ, სიყვარულს ჩემს წილს,
რადგან ის ბიჭი ქვას ვერ მესვრის, ცრემლებს რომ მალავს.

დაგთმე...

დაგთმე... იმიტომ, რომ ძალიან მიყვარხარ,
დაგთმე...
იმიტომ, რომ, ვიცი, გიყვარვარ.
დაგთმე...
იმიტომ, რომ ყველგან მეძებდე,
და სადაც წახვალ, გაკლდე ყოველთვის,
სხვასთან შეხვედრამ დაკარგოს ხიბლი
და ჩემთან ყოფნის ყოველი წამი დათვალო მისხლით.
დაგთმე...
იმიტომ, რომ ჩემს ოთახს ავსებ,
და როცა ძილი თავისთან მიწვევს,
შენ - მირაჟში ჩამომჯდარი თავსასთუმალთან მიკოცნი თითებს.
დაგთმე...
იმიტომ, რომ ყოველი სიტყვით ერთმანეთს ვგავართ,
ის კი არა და... ეგ თეთრი კანი, წითური თმები და აზრთა წყობა,
ერთმანეთისგან ასე შორს მყოფნი და მაინც ნდობა...
ყველა მზერაში სიმართლე და კოცნის წყურვილი,
გზები ცალ-ცალკე, ერთმანეთით გადაბურვილი.
დაგთმე...
შენთვის რომ ყველა წამი მონატრების წამად მექცია,
რომ ცრემლი, სისხლად გარდაქმნილი, აქ დაგექცია...
რომ შენს ფიქრებში არ იყო სხვასთან,
რომ ერთად ყოფნის ყველა წამი ჩაგრჩეს კადრებად
და სულ ფიქრობდე – სხვა არავინ შემიყვარდება...
დ ა ვ თ მ ე...
ჩ ე მ ი უ უ ფ ლ ე ბ ო ს ი ყ ვ ა რ უ ლ ი...

დავით ძნელაძე

გურამ თამაზაშვილს

სიყვარულისთვის იგალობებს ბაღში ბულბული,
ხის უხვ ჩრდილიდან ისევ ისტვენს გაგიჟებული...
იმ ხმას მშვენიერს, იმ ხმას გრძნეულს, ისევ მოვისმენთ,
მშვიდ აღმაფრენას ისევ ვიგრძნობთ გაკვირვებული.

რა ვქნათ, რომ მუდამ გვენატრება ზამბახის ფერი,
ზღვა სიფაქიზე, სათნოება, ლამაზ ხმაშია...
მერე რაა თუ ჭრიჭინებენ კვლავ ჭრიჭინები
და სინანული ჩვენი ახლა „ჩუმ მაღნარშია“.

დიდსულოვანო, ჭეშმარიტო მამულიშვილო,
ხელს უმართავდით თქვენ გარშემო, ვისაც უჭირდა...
ასე შესძელით ყველასათვის გულწრფელად გეთქვათ: -
„სიყვარულისთვის ქვეყნად მოსვლა ნამდვილად ღირდა“.

... ის ღვთაებრივი გაზაფხული მოგვნატრებია,
და თეთრი ტილო მოქარგული ჩითის ქარგებით...
თქვენი დაკრული „აჭარული“ მოგვნატრებია,
ჩონგურის ჟღერა, ხმის ტემბრი და სუფთა ჰანგები.

„ალილოს“ ფონზე ვეგებებით ყველა შობა დღეს,
„ქართული ხმების“ ფენომენი გულის ძარღვშია...
რამდენ თაობის აღმზრდელი ხართ ბატონო გურამ,
ამ სილამაზის უკვდავება უკვე ხალხშია.

სამების ცაზე ისევ ბრწყინავს თქვენი ვარსკვლავი,
რადგან სიმღერით გაუსწარით დროსა და სივრცეს...
საქართველოში არ ჩაქრება ის კელაპტარი,
რომელიც ტკბილი მოგონების სიყვარულს იტევს.

სიყვარული ზენიტშია

გამოჩნდი და გულის გულში,
ამონათდა მზე...
რა ლამაზი არსება ხარ
შენი ჭირიმე.

დამირღვიე მოსვენება,
და მშვიდი ღამე,
ქალო, ნაკლი ვერ გიპოვე,
შენ გენაცვალე.

შენთან ერთად აღარ მყოფნის
დრო და სივრცე მე...
იმდენს გკოცნი საყვარელო,
ლამის გავგიჟდე.

სიყვარული ზენიტშია
ცაში გავფრინდეთ...
ან კინტრიშში გადავხტეთ და
ცოტა გავგრილდეთ.

სიყვარულის რებუსი

არ გელოდი, რად გამოჩნდი,
ტვინი რად ამირიე...
ცოტა ისეც ვერ ვიყავი,
შენ კი მთლად გადამრიე.

არ მინდოდა სიყვარული
ასე მალე მწვეოდა,
თავში, სულ სხვა აზრი მქონდა,
გული, სულ სხვას მღეროდა.

გამოჩნდი და მიწყალობე
სიყვარულის რებუსი,
აქეთ შენ ხარ, იქით მე ვარ,
შუაშია ელბრუსი.

ნუ გგონია შემაშინებს:
კლდე, ჭიუხი, სერები...
ჩემი გული შენ გეკუთვნის,
მოვალ მოგეფერები.

* * *

აქცია, პროვოკაცია...
პროვოკაცია, აქცია...
გამარჯვებული „ქოცია“,
დამარცხებული „ნაცია“.

რა ეშველება სამშობლოს,
თავს დაგვაჯინეს „ფაცია“.
ყველა პატრიოტ „მაციას“-
პრეზერვატივი აცვია.

ბოლო ზარი

მასწავლებელო, ჩემო,
ოცნებავ, ცისფერ დღეთა.
ეს გაზაფხულიც გავა
მე ვეღარ მოვალ შენთან.

მეხოტბევ, ჩემი კარის,
შუქურავ, ღრუბელთ ზღვაში,
იქნებ დავშორდეთ ისე,
რომ ვეღარ მიცნო გზაში.

ჩემი თეთრონი მოვა,
უნდა ვიარო ქარში...
და შენი სახე ჩუმად
ვეძებო ყველა ქალში.

სინაზევ, თეთრი გედის,
თოლიგევ, ცისფერ დღეთა.
ეს გაზაფხულიც გავა
მე ვეღარ მოვალ შენთან.

გორი

მთის ფერდობზე, დიდი ციხე,
მეთვალყურედ უდგას ქალაქს...
სადაც მტკვარი, ლიახვს ერთვის,
ქარი ისევ წეწავს ბალახს.

ეჰ, რამდენი დამპყრობელი
უნახია გორის ციხეს,
მაგრამ ყველას გადაურჩა
მყარად დგას და ისევ ილხენს.

ანტიკური ეპოქიდან
იმზირება უფლისციხე...
ღმერთის ხელი ურევია,
ჯადოქრობა გამოვრიცხე.

გორიჯვარის მონასტრიდან
ცაში ასვლა მეც კი ვცადე,
მერე ატენის სიონში
აღმაფრენა განვიცადე.

თავკვერის და გორულ მწვანის
ვენახები დავიარე.
ატენურით დავითვერი,
ძველი ხიდი გავიარე.

იოსების სახლი ვნახე,
ვარიანშიც შევიარე...
იაკობის დედაენა
ერის განძად ვაღიარე.

მთის ფერდობზე, დიდი ციხე,
მეთვალყურედ უდგას ქალაქს...
სადაც მტკვარი, ლიახვს ერთვის,
ქარი ისევ წეწავს ბალახს.

ჟუჟუნა

შავთვალება ჟუჟუნა,
ვიცი, რად ხარ წუწუნა...
აღარ გყოფნის შენი კაცი,
პატარა და წრუწუნა.

ეს ღუმელი ღუღუნა,
ვერ გაგათბობს ჟუჟუნა...
შენ გჭირდება ჩემნაირი,
ვაჟკაცი და ბუბუნა.

ჩემო ცელქო ჟუჟუნა,
ჩემო ლაღო ჟუჟუნა,
შეგხვედე და მაგ თვალებმაც
მგონი დამიჟუჟუნა.

არ მაწვალო ჟუჟუნა,
ჩემთან დარჩი ცუნცულა.
გავაგრძელოთ მტლაშა-მტლუში,
ლამაზო და ფუმფულა.

რა კარგი ხარ ჟუჟუნა,
ჩემო თვალებჟუჟუნა...
სიყვარულმა ორგანიზმი
უკვე ჩამიჟუჟუნა.

ეს რა ვქენით ჟუჟუნა,
საყვარელო ჟუჟუნა...
შენი ქმრის ნასროლმა ტყვიამ,
ყურთან გამიზუზუნა.

მადონა კისკეიძე-ქორიძე

* * *

მედუდუკევ დაუკარი შენებური,
დაუკარი ძველებური მადლიანი,
დაუკარი იქნებ გალღვეს ეს გული და
შემოვძახოთ სიმღერები დარდიანი.
მედუდუკევ აამღერე ყველას გული,
ყურში ნაზად ჩაუბერე ხმა ჰანგისა,
ააკვნესე ,აატირე დუდუკი და
წაიკვნესე ამ დროებამ რა გვაღირსა.
დაგვავიწყა დუდუკების ზუზუნში რომ,
ათენებდა მოქეიფე არღნის ხმაზედ,
ტივით მტკვარზე გადებული კინტოები,
სიყვარულით რომ ასხამდნენ ღვინოს თასსზე.
იქ მეარღნე აკვნესებდა ტკბილად არღანს,
და თამადაც რიხიანად თამადობდა,
ჩოხის კიდეს აკეცავდა კინტო სწრაფად,
და კინტოურს ის ლამაზად თამაშობდა.
ამ ხალხში ხომ ვერ ნახავდით აუგის მთქმელს,
მათთვის მხოლოდ სიტყვა იყო უფრო წმინდა,
სიყვარული ზეიმობდა იმ ტივზე და
ეს ჯიგრული ცხოვრება ხომ მართლაც ღირდა.
თითქოს ვცდილობთ,
ვინარჩუნებთ ტრადიციებს,
ქსოვრელების ტკბილი ჰანგი გულს ამღერებს,
მადლობელი უნდს ვიყოთ მართლაც მისი
ვინც ქართველებს ძველებურად აამღერებს .. ❤

ქუთაისურო ამაყო ჭადარო!

რად დგეხარ ასე მოწყენილი, რად არ შრიალებ,
რად დაგცვენია უსიცოცხლოდ, მწვანე ფოთლები,
ვერ გიტან ასე დაღონებულს როცა გიყურებ,
და უსაშველო ტკივილისაგან ძლიერ ვღონდები.
შენ არ გჩვევია ყურის ჩამოყრა, ამაყო ჩემო,
სულ მოშრიალე და მომღიმარო, მუდამ მზიანო,
კვლავ შეარხიე შენი ტოტები, გემუდარები,
შენს ჩრდილში მინდა ძველებურად კვლავ ვინავატდო.
შენახარ მომსწრე დარდისა და დიდი ტკივილის,
მტერმა ვინ იცის რა არ გარგუნა,რამდენჯერ დაგცა,
მაგრამ ამაყად კვლავინდებურად ფეხზედ დადექი,
და ქუთაისში, მის გულის გულში კვლავ ისევ დათბა.
შენ შეგიძლია რომ დაუბრუნო, ბაღს სინატიფე,
და დაუბრუნო ჩემს ქუთათურებს სუფთა ღიმილი,
რომ ძველებურად ქუთათურებმა შენი ხის ძირში,
გიტარით ხელში ისევ რომ შესძლონ ტკბილი ღიღინი.
მგონი სიცივემ დაისადგურა, რად ხდება ასე,
სითბოს ვერ ვხედავ, საოცრად მიკვირს,სითბოს ხალხისას,
გული მიკვდება წარსულს ვიხსენებ მე ცრემლ ნარევი,
მე შენი დარდი უფალმა ღმერთმა რატომ მაღირსა.
მე ძველებურად ღიმილებს ვნატრობ, ხალას ღიმილებს,
და ამღერებულს საუცხოო იშხნელის სიმებს,
მინდა ვხედავდე ჩემს ქუთაისში, ჩემს იმერეთში,
ლამაზ გოგონებს, ვაჟკაცებს და ბედნიერ შვილებს. ❤

* * *

გამარჯობა ქუთაისო შენი!
შენ მაისის საოცნებო ქალაქო,
გვირილობას შემიძლია გავჩუმდე და
არ შეგამკო , არ გადიდო, არ გაქო?
    დღეს ქუთაის ზეიმი აქვს გვირილობის,
    ალბათ ამ დღეს ცაც გვირილებს მოხატავს,
    ბედნიერ და გალაღებულ სიყვარულს,
    ყველა ერთად დაულოცავს მომავალს.!.
იზეიმე..იკაშკაშე ჩემო გულო,
შემოისხი იასამნის ფერი,
მილიონ წელს შენ უფალო გევედრები,
ბედნიერი დამანახე ერი!
    შენ მაისო არც კი იცი როგორ გელი,
    და ყოველ წელს გეფერები რითმებით,
    მაისობას..გვირილობას ქუთაისო,
    გამუდმებით შენსკენ მორბის ფიქრები!
დღეს გვირილებს გაგიგებენ ფეხქვეშ,
მოგირთავენ სკვერებსა და გაზონებს,
გონებიდან არ მშორდება წარსული და
ქუთათურებს და ქუთაისს მაგონებს!
    მაისობას, გვირილობას დაგილოცავ!
    იკაშკაშე..ივარდე და იმზეგრძელე!
    ქუთაია ..აია და იმერეთო,
    უამრავ წელს იხარე და იდღეგრძელე!❤

* * *

დილა მშვიდობისაო,
რა ლამაზად თენდები,
ჩემთან ერთად ქუთაისო,
ოჰჰჰ რა სწრაფად ბერდები.
გაგხვევია მთა და ველი,
თეთრ ფაფარა ნაბადში,
ხოხბებიც კი დაფრთხენ მგონი,
სათაფლიის ნაკრძალში.
ჯვარი ჩვენი გელათისა,
სვეტად რომ აღმართულა,
რომ ბერდება ქუთაისი,
ამის ხილვა არ უნდა.
ქუთაისი უძველესი ,
წარსულით და აწყმყოთი,
აქ რიონი ჯებირიდან,
ხმაურით რომ გადმოდის.
შფოთავს მგონი, სული ეწვის,
დღევანდელი წუხილით,
ზოგჯერ ისე ირინდება,
არ გაწუხებთ წუწუნით.
ბაგრატი და გაბაშვილი,
ამაყ ქალაქს დასცქერის
თეთრ ხიდიდან შემყურეს,
გავიწყდება დარდები .
ქუთაისი პურ-მარილის,
სტუმრის მასპინძელია,
სიყვარული რომ ავუხსნა,
ეს არ დამჭირვებია.
ის ისედაც მიგიხვდება,
თუ რა სულით უცქერი,
ამიტომაც ყველა ტკბილად,
სიყვარულით უმღერის.
ჩემი სულის ნაწილი ხარ,
და კოკორი ვარდისა,
ყველა დარდის და წუხილის,
განშორება დარდისა.
ისე ძლიერ მომენატრე,
ისე გეფარცქვალები
ასე შორით სიყვარულით,
სულ შენ გეთაყვანები ❤

* * *

გელათის გზას გაუყევით
ქუთაისში შეხვალთ როცა..
მიადგებით ამ ფერდობს და
იქ დაგხვდებათ მოწამეთა..❤
მოწამეთა საუფლო
ათას კაცთა მკურნალი,
შოთას წყაროც იქ დაგხვდებათ,
თუ კი დარჩით მწყურვალი.
იქ გზადაგზა შემოგხვდებათ
ენძელები..იები..
გურმანებს კიიი რესტორანიც,
თუ კი დარჩით მშიერნი
საოცრებით სავსე კუთხეს
გვერდს უმშვენებს წყალწითელა,
ულამაზეს წალკოტს ვფლობთ და
სხვა სიმდიდრე რად გვჭირდება..?
ისე უნდა გაუფრთხილდეს
ამ ჩვენს წალკოტს ქართველი,
სათავეში სულ რომ ჰყავდეს
ნაღდი გულის მმართველი..
ერთი გოჯაც არ გასხვისდეს
საქართველოს მიწისა,
ქართველებად აღიზარდეთ
შეგაწუხოთ სინდისმა...
როცა ჩემი სული წავა
აფრინდება ზეცაში,
დარდიანი ნუ გამიშვებთ
გამიკეთეთ ზედაში
საქართველო დალხენილი
მინდა რომ დავიგულო,
სამუდამო საცხოვრისში
მშვიდად რომ დავიძინო

არ დამტოვო მარტო

როგორ გამიფრინდა წლები,
როგორ დამიმონა დარდმა,
შენი მონატრება მხოლოდ
და უშენობა დამრჩა.

თვალს შეაშრება ცრემლი,
გამოიდარებს კარგო,
გტხოვ არ წახვიდე ჩემგან
და არ დამტოვო მარტო.

ფიქრი უსასრულო ფიქრი,
ირევა როგორც ტალღა,
შენს პორტრეტს ოცნებებში,
ტილოზე დღემდე ვხატავ.

ყველა იმედი გაქრა,
რომ აღარ მოხვალ ვიცი,
მე კი კვლავ შენზე ვფიქრობ
ისევ ჯიუტად გიცდი.

ბინდი ჩამოწვა ცაზე,
ღრუბელს ეცვალა ფერი,
დამღალა სიმარტოვემ
ნახვა მომინდა შენი.

* * *

მომისწრო ისევ აპრილმა
ამ უცხო ქვეყნის მიწაზე,
ხოდა მეც მაგრად დავხვდები
აპრილსა მისსა ჯინაზე.

წლებს მმატებ სხვას რას დამაკლებ?
გული გატკინე? ბოდიში!
რადგან კვლავ ისევ მოგესწარ,
კეკლუცობას არ მოვიშლი.

აპრილო ნუშის და ატმის
ყვავილობას ხომ მომასწარ?
აფეთქებულო კვირტებო
მე ტქვენ ყოველთვის მოგბაძავთ.

ოთხმოცი წლისაც რომ მნახო
წითელ კაბაში მიხილავ,
ფარხმალს ოდესმე თუ დავყრი?
მე... თავად გეტყვი მივდივარ...

დავით მოდებაძე

ოცნება

სურვილი მაქვს დიდი,
რომ ვცხოვრობდეთ ტყეში,
ყოველ დილით გნახო,
ყვავილებით ხელში...
ალიონზე მინდა,
მივესალმო ჩიტებს,
ჭიკჭიკ-გალობაში
გიკოცნიდე თითებს...
დღისით უნდა იყო,
მწიფე მარწყვის ფერი,
სურომ შემოგხვიოს,
წელზე ნაზად ხელი...
საღამოთი მინდა,
რომ ხმაურით წვიმდეს,
შენ კი ჩემი დიდი,
სიყვარული გჭირდეს...
მინდა ღამით მთვარე,
დაგვნათოდეს ციდან,
მოგვეფეროს ქარი,
მონაბერი ზღვიდან...
შუაღამეს ალბათ,
კვლავ არ მოვა ძილი,
ისევ დიდხანს გასტანს,
საუბრები თბილი...
მინდა ყველა წამი,
რომ ცხოვრებად იქცეს,
შენ კი ჩემი დიდი,
სიყვარული გჭირდეს...

პატარა ქალაქი

პატარა ქალაქის ნაცნობი სურნელი,
არსად არ წავსულვარ, შენს ნახვას სულ ველი...
დღეები მშვიდი და დღეები ნათელი,
მინდა, რომ აგინთო ყოველდღე სანთელი...
მე ძმობის მარად მწამს! ეული როდი ვარ,
ცხადშიც და სიზმარშიც მე შენთან მოვდივარ...
შენს გარეთ ცხოვრება ძალიან ძნელია,
პატარა ქალაქში მე მუდამ მელიან...
ქალაქის ტურფები, ღიმილის ბიჭები,
გონებით როგორღაც წარსულში ვიჭრები...
ლამაზი ქუჩები, ფერადი სახლები,
სულ გულში მიზიხარ, არასდროს არ ქრები...
კვლავ ერთად არიან ქალაქის ყოჩები,
მე შენს მოფერებას ვერასდროს მოვრჩები...
ბავშვობის ძმაკაცი აქ გულს გადაგიშლის,
ძმობას ვერც მანძილი და ვერც დრო წაგვიშლის...
დრომ რბოლა შეწყვიტა, წამიც კი გარინდა,
მე შენი დათმობა არასგზით არ მინდა...
ცხოვრება უჩუმრად, უეცრად გავიდა,
თუმც შენთან შეხვედრით იწყება თავიდან!

განსჯა

ჩემი ფიქრები გაბნეულან,
სუნთქვაში ღამის,
ვეღარ ვეწევი გადაღლილი,
ვიყვირო ლამის...
ჩემი სხეული გარინდული,
მე აღარ მწყალობს,
მღალატობს ზოგჯერ გაუგებრად,
გულიც არ ხარობს...
ჩემი სისხლია გაყინული,
რატომ არ ვიცი,
ვერ ვიმეგობრებ სიცრუესთან,
არ მინდა ფიცი...
ჩემი სიმართლე დაიკარგა,
გახუნდა გარჯა,
არავის ნახვა აღარ მინდა,
და არვის განსჯა...
ჩემი ლოცვები აღევლინენ,
ამაოდ ცაში,
ბზარიც გამიჩნდა უკითხავად,
მჭექარე ხმაში...
ჩემი ოცნება გაფერმკრთალდა,
ყველა ზღვარს გასცდა,
გადაუარა გიჟ სამყაროს,
მიზანსაც ასცდა...
ჩემი სიზმრები მიყვებიან,
რაღაცას ახალს,
ვერ ვიფიქრებდი,თუ ოდესმე,
დავყრიდი ფარ-ხმალს...







ლალი ორმოცაძე

ვერცხლ–ნაფიცნო...

* * *

ორიონო! ხომლის ძმაო,
ვერცხლ–ნაფიცნო!
მზეჭაბუკნო,
ცის ქალწულნო!
საციურო ყამარებო,
მიჯაჭვულო ამირანნო!
ღამეულნო,
ცის ვარსკვლავნო!
სულით სულში
გულ–ჩაწნულნო!
ათინათო!
ედემელნო,
ტრფობის სარკვევ,
ზეციურო მისტერიავ,
კოსმიურო სასწაულნო,
იდუმალი სიყვარულით,
ხვამლის მთაში შეფარულნო...
გოდოლელნო!
ქალდეველნო, შუმერელნო,
კიდობანო უფლისაო,
ფუტიეთის ფუტიელნო,
სვანეთელნო,
უშგულელნო გულ–ფიცარო,
ფშავ–ხევსურის არწივებო,
იმიერის იმ–ერელო,
მარგალო და ცის გურულო,
რაჭა–ლეჩხუმ, ქართლ–კახეთო,
ფარ–აბჯარო სამესხეთო,
განუყრელო აფხაზეთო,
ნაწამებო აჭარელო,
მეომარნო კაც–დიაცნო,
უსაბამო სამყაროში,
მამა კავკასიონელის
უძველესო კოლხ–იბერნო,
საჯიშე და საჯილაგო,
დღეს მოსულნო,
აყლორტილო გმირთა–გმირნო,
გამარჯვებით წინმავალნო!
უძლეველი საქართველოს
ოქროს წყაროს
თესლ–ფესვებო!

* * *

ეთერ გაჩეჩილაძე

მონატრებიხარ გულს...

მოალერსებას რომ ჰგავდეს შენსას,
ნიავი მინდა დამქროდეს თმაში,
კვლავ მახსენებდეს ოცნებას ჩემსას,
თრთოლვით მივლიდეს ჩემს ჩვეულ ხმაში.

როგორც გვირილა და ეზოს ვარდი,
ნაწვიმარ დილას ცოცხლდება ნამში,
მეც მსურს სიცოცხლე, დაკარგვა დარდის—
შენი ნატვრით და სურვილით, წამში.

ცრემლით ივსება ყველა დღე, ღამე
ლამის სინათლეც დამაკლდეს თვალში.
სად დამეკარგე—რომ გითხრა რამე
ან შენს ნაკვალევს გამოვყვე კვალში...

უშენოდ ვგავარ წვიმიან დილას,
ღრუბლებით სავსეს... მოქუფრულს, ცაში.
მინდოდა ბინა გულმკერდში თბილად,
მაგრამ დავკარგე ბილიკი გზაში.

ამდენი წვიმა ქუჩებსაც აკრთობს,
ცაც ტირის ახლა ჩემსავით, ბარში.
ცელქი მზის სხივი დილას ვერ ართობს,
აღარც კი მოსჩანს შორეულ მთაში.

ვფიქრობ, თავს სავლელ გზას ვეღარ ვურკვევ,
უშენოდ თვალებს ცრემლები ახლავს.
მონატრებიხარ გულს ძლიერ, უკვე
და მხოლოდ ფიქრი ვერ შველის ახლა.

წლების შარაგზა

წლების შარაგზა ჩახვეტა ქარმა,
გზიდან გაყარა ნაღველი, დარდი.
შემომანათა მზიანმა დარმა
და ამიყვავა ეზოში ვარდი.

ტკბილმა სურნელმა გააპო ზეცა,
თავბრუდახვეულს წამერთვა აზრი.
თვალში ბუნების მშვენება მეცა,
წამს დამავიწყა ფიქრი და ჯავრი.

ყაყაჩოებით გაწითლდა ველი,
ბილიკის პირებს სოსანი გაჰყვა.
მე კვლავ გვირილის მინდვრებთან გელი,
შენზე ფიქრები წლების წინ ამყვა.

მაგრამ უშენოდ ვერ ვირგებ ღიმილს,
ვერც თვალში მზის სხივს ვიჩერებ დიდხანს.
ვერ ვეგუები ცრემლიან სიცილს,
როცა გული წუხს, ვერ ვუძლებ იმ. ხანს.

სამყარო მსურდა მენახა შენით,
მწვანე სამოსით ჩაცმული მთები.
და გადმომეცა განცდები ენით,
რომც გამცრეცოდა ჭაღარა თმები.

მზიანი დარით გაგვევლო ერთად,
ხელჩაკიდებულს ცხოვრების გზები.
გვეთენებინა ღამე თუნდ თეთრად,
რომ გაგველია სიცოცხლის წლები.

ვერ დაგაჯერე... გითხარი თუმცა...
შარაგზა უკვე ჩახვეტა ქარმა.
წლების ოცნება ჩამიქრა უცბად
და გადარეცხა წვიმების ჯარმა.

გაზაფხული

დილის რიჟრაჟი მოადგა სარკმელს,
ცისკრის ვარსკვლავმა აანთო ზეცა.
ჩიტის გალობა მაუწყებს სათქმელს,
მისი ნათქვამი სიმღერად მექცა.

გაზაფხული ჰფენს სიცოცხლეს ნათელს,
ააფერადებს ველ-მინდვრებს, მთებსაც.
ვეღარ დამალავ გრძნობებს და გამხელს,
თუნდაც ჭაღარა ერიოს თმებსაც.

ჩიტიც კი ბუდეს თავის სახლს არქმევს,
ოჯახსაც ჰქმნის და ბარტყებსაც ჩეკავს.
დედაშვილობის სიყვარულს აფრქვევს,
მათ გასაზრდელად საკვებსაც კენკავს.

დილის ალიონს ზეცაზე ნაფენს
გადაუფრენს და კამარას შეჰკრავს.
გალობით ექოს დააწევს ნამღერს
და სილამაზეს ჰანგებად შეთხზავს.

ჩემი აწყური. ❤

დავდივარ მარტო, ფიქრებით სავსე
და ვეფერები მშობლიურ ქუჩებს.
ჩემი სოფელი მიყვარდა თავსვე,
ამიტომ ვეღარ ვშორდები უცებ.

ყველა გოჯი და თუნდაც ნამცეცი,
მეძვირფასება მიწის მტკაველი.
ქვაც მიყვარს, კენჭიც, მისი ნამსხვრევიც,
მიყვარს აწყურის ხევი, მთა-ველი.

მიყვარს მოსახლე... დიდი, პატარა,
აქ დავიბადე, აქვე ვბერდები.
ბედმა ეკლიან გზებზე მატარა,
მაგრამ კვლავ აქ ვარ და აქ ვჩერდები.

ჩემი სოფელი, მხარბეჭ გაშლილი,
მტკვარი მღვრიე და მტკვარი ანკარა,
ციხე-ნაქები, ბრძოლებ გავლილი,
ღვთისმშობლის ტაძრით ღმერთმა გვახარა.

მეამაყება ჩემი აწყური,
ბევრი ვაჟის და ქალის მშობელი.
ისტორიული მწარე წარსულით,
მაგრამ ყველასთვის კარგის მდომელი. ❤

შვილს.

(მსოფლიოში ყველა შვილს).

ბავშვობაში ხელს ჰკიდებდი დედას
და ცუნცულით მიჰყვებოდი გზაში.
არ გინდოდა დამჩნეოდა სევდა,
იმ თბილ თვალებს, რომ. აჰყავდი ცაში.

გიხაროდა მასთან ერთად გავლა,
გწამდა, იყო სხვებზე ბევრად მეტი.
დედის რჩევით გსურდა მთებზე ასვლა,
გჯეროდა, რომ იყო ყველგან მჭვრეტი.

მას უყვარდი სიცოცხლეზე მეტად,
დაგითმობდა უკანასკნელ წუთსაც.
დედა შენით გაჭირვებას სძლევდა
და გიძღვნიდა უსათუთეს გულსაც.

ნეტავ ხომ. არ ჩააბარე წარსულს,
ის დრო, როცა ყველგან ახლდი დედას,
რომ ხედავდი მოშორებით გასულს,
ლურჯ თვალებში გემჩნეოდა სევდა.

სიახლოვე სიამაყეს გფენდა,
გამხნევებდა მისი ტკბილი ლოცვა,
ატირებულს თვალში ცრემლებს გწმენდდა
და არასდროს გჭირდებოდა მოცდა.

ახლა სად ხარ... დაგავიწყდა ნეტავ?
ბავშვობას რად აუარე გვერდი.
დავაჟკაცდი.?!.. ვეღარ იცლი მეტად,...
დროს ჩაბარდა სითბო დედის მკერდის.

გწამდეს, შენს გზას კვლავ გაჰყურებს დედა,
ყველა ღამეს შენზე ფიქრით ათევს.
სარკმლის მინებს მიმობნეულ სევდას
ვერც გულში და ვერც სივრცეში ატევს.

მის თვალებში შემოჩვეულ ცრემლებს,
ამოაშრობს მხოლოდ შვილის სითბო.
როგორც ბუდე—გადაფრენილ მერცხლებს,
გელოდება.... გულს იმედით ითბობს..

ფიქრი და სიზმარი.

მოღუშულ ზეცაზე სიმუქე ჩამოწვა,
მზის სხივმა დაჰკარგა სითბო და მზისფერი,
რაღაცა უცნობი სიჩუმე ჩამოდგა
და ცასაც გაუქრა ჩვეული ცისფერი.

იდუმალ ბილიკებს წვიმაში მივყვები,
ჭაღარას მისველებს წვეთების თარეში.
ნაბიჯებს ვადგამ და ჩემს თავში ვფიქრდები,
სად მიდის სავალი და რომელ მხარეში?!

საღამოს ბინდისას ზეცა, რომ მუქდება,
კედლებთან საუბრით ძალიან ვიღლები,
ისვენებს ბუნება, მიდამოც ჩუმდება,
მეც ნეტავ ფხიზელი, როდემდე ვიქნები?!

ფიქრებში ჩაფლული შენამდე მოვდივარ,
სიზმრებში მუხლებთან გიჯდები სიამით.
სურნელს ვგრძნობ შენსას და ჩიტივით მოვფრინავ,
გვირილის მინდვრებში, ვით ცელქი ნიავი.

სიზმარში ნანახი გროვდება ფიქრებად,
სრულდება ღამე და თენდება ცისკარი.
ფურცლებზე ნაწერებს აცოცხლებს რითმებად,
ზეცაზე ელვარე სინათლე მზისდარი.

მივყვები ბილიკებს.

უმისამართოდ და მივყვები ბილიკებს,
ისეთი ნისლია, არც კი სჩანს სავლელი.
წყალში აქვთ ტოტები მტირალა ტირიფებს,
გზასაც არ ეტყობა, სადაა ნავლელი.

ქარია... ჰაერში ფრინავენ ფოთლები,
ფარფატი გააქვთ და ცვივიან მიწაზე.
უაზროდ ქრებიან უსიტყვო გრძნობები,
ვით ნამის წვეთები ნაზამთრალ მინაზე.

ღრუბლების გროვებად გაბევრდა ნაღველი
და ცრემლის წვეთებად წყდებიან წამწამებს.
სიმწვანით შეერთდა გარემო, მთა-ველი,
აღარ ჰგავს არცერთი ყინვისგან ნაწამებს.

მივდივარ, მივყვები უმიზნო ბილიკებს,
დანისლულ ველებზე გამქრალა სავლელი.
ფოთლები დასცვივდათ მტირალა ტირიფებს
და არსად არ მოსჩანს არცერთი გამვლელი.

გაკვალულს ვერ ვხედავ ვერსად გზას საჩემოს,
ნაწვიმარ ქუჩებზე კვალია წაშლილი.
დარდი და ტკივილი ნეტავი რად მჩემობს
ან ყველა უფლება რადა მაქვს დაშლილი.

ასაკი გარბის და თან მიაქვს ოცნება,
მიჰყვება სილაღე, იმედი, მიზნები.
მომავლის ნაფიქრსაც მიაფრენს ცხოვრება
და აღარც შეძლება არა მაქვს მიგნების.

უფალო.

უფალო, შენს წინ დაჩოქილი ვისტუმრებ აისს,
კეთილი გულით მომიტევე, რაცა მაქვს ცოდვა.
გაზაფხულს ვეტრფი, ველოდები გაფოთლილ მაისს
და ვნანობ, ზოგჯერ არასწორად ამოთქმულ,, ბოდვას".

ქედს ვიხრი კრძალვით, გადავიწერ თითებით პირჯვარს,
ავანთებ სანთელს, მის მკრთალ შუქზე წარმოვთქვამ ლოცვას.
ვთანხმდები ნებას, რომ ვატარებ საკმაოდ დიდ ჯვარს,
ოღონდ მომეცი გამძლეობა, ვიკითხავ ლოცვანს.

უფალო ჩემო, მოწიწებით გეტყვი ჩემს სათქმელს—
გთხოვ გამიბრწყინე საქართველო, დამშვიდდეს ერი.
შენი წყალობით თუ გამიღებ ნავედრებ სარკმელს,
დიდად ვიქნები მადლობელი და ბედნიერი.

ღმერთო, მომეცი შეძლება და მომეცი წლები,
ჩემი ცხოვრებით რომ დავტოვო ღირსების კვალი.
კვლავ პირნათელმა გავიარო შემხვედრი გზები
და არცერთ,, ვერცხლზე"არსად დამრჩეს ისევე თვალი..

წუხელ...

წუხელ მე და ცას ერთნაირად გვცვიოდა ცრემლი,
მთვარეს ეძებდა, გულმოკლული ტიროდა ზეცა.
მეც შენს ნაკვალევს დავეძებდი, წლებია გელი,
უცრემლო ღამის გათენება, ოცნებად მექცა.

,, მიყვარხარ, ჩემო"არასოდეს არ მითქვამს შენთვის,
არც ღრუბლით სავსე ზეცა არის ასეთ დროს მშვიდი.
მე სულ ვნატრობდი, ყოფილიყავ საკუთრად ჩემი
და სულ გელოდი... სამუდამოდ საჩემოდ გთვლიდი.

მთვარე ხანდახან მაინც ჩნდება იმედად ცისთვის,
მას ვარსკვლავები დაჰყვებიან ნათელი ღამის.
მე კი, მარტო ვარ... ეს ტკივილი უცხოა სხვისთვის,
ვის რა შევჩივლო, კედლებია მშველელი რამის?

წუხელი ღამე მთელი ძალით აწვიმდა ჭალებს,
მოთქვამდა ზეცა, ვერ შეიშრო ჩემსავით ცრემლი.
ცეცხლი ეკიდათ ფერგადასულ დარდიან ალებს,
წვიმა აქრობდა... მაგრამ მაინც გზა ჰქონდათ გრძელი.

არ იყო მთვარე, არც ვარსკვლავი იძვროდა ცაზე,.
კვლავ ახლდა ღამეს უცნაური ღელვისგან განცდა.
მე მივდიოდი მარტოსული ნაწვიმარ გზაზე
და თან მიმქონდა ის ტკივილი, რაც არსად დამცდა.

უფალო ჩემო.

სულით ხორცამდე შემძრა ჯვარცმამ, უფალო ჩემო,
ხელისგულიდან სისხლის წვეთი დაეცა ჩემს გულს.
ტკივილს და წუხილს ვითავისებ, ვგრძნობ კიდეც, ვჩემობ,
წმინდა ღვთისმშობლის ცხარე ცრემლი მადარდებს ერთგულს.

დედის გოდებამ შემინგრია გულმკერდის ძვლები,
უკვე რამდენჯერ გავათენე ფიქრებით ღამე.
გავლილმა გზებმა დამანახა,, ცხვრის ქურქში მგლები",
შენთვის მომინდა სანუგეშო რომ მეთქვა რამე.

ფიქრებში გხედავ, ვტირი განცდით და ცრემლი მცვივა,
რომ არ დაგინდეს, გაგიმეტეს სიმართლის მთქმელი.
რად ვერ გაგიგეს სიკეთის ჰქმნა, გული მეც მტკივა,
რატომ გიწოდეს უბოროტოს სიცრუის მქმნელი.

შენი ხელიდან სისხლის წვეთი დაემჩნა მიწას,
დარჩა მასზე და დღევანდლამდე ეტყობა წმინდად.
შენი დედის ხმას ვერ აკავებს ვერც ქარი, მინა
და წლები ყურში კვლავ ჩაგვესმის წუხილად, გმინვად.

მაინც სიცოცხლემ გაიმარჯვა, აჯობა სიკვდილს,
შენი ხატება გადმოგვყურებს მაღალი ციდან.
გვჯერა, რომ ისმენ ლოცვად ნათქვამს, ზეცამდე მიწვდილს,
გვერდით დადგომას გვიდასტურებ უმალვე თქმიდან.

მინდა, რომ გულში ვიხუტებდე შენს ნალურსმ ხელებს,
ვით შენი დედა—მარიამი, გირჩენდე წყლულებს.
უფალო გლოცავ და დიდებას გავაწვდენ ველებს,
ხოლო ხატის წინ, ცრემლით სავსე მოვიყრი მუხლებს.

სამშობლოვ, ჩემო♥

მტკვრიდან მონაბერ გრილ ჰაერს ვეტრფი
და დილის ცვარით დანამულ მთა-ველს.
ქუჩებს, აშოლტილ ლამაზი ვერხვით,
თვალს რომ მოსტაცებს გამვლელს და მნახველს.

ვლოცავ ჭაღარა ყინვიან ქედებს,
ჩემი სამშობლოს გადაშლილ მხარ-ბეჭს.
მინდვრის მშვენებას-ფრთა ლამაზ ქედნებს
და ზღვის ნაპირზე გაბნეულ ქვა-კენჭს.

გაცისკროვნებულ ცისფერ ცას დარში,
ნაწვიმარ გზაზე დარჩენილ ნაბიჯს,
შრიალით ნამღერს ფოთლისას ქარში,
ცისარტყელების ცად აჭრილ ნაწილს.

ღრუბლითაც მიყვარს, წვიმებით სავსე,
უებარ წამლად დამფრქვევი მიწას.
გაშლილი ვარდით წვეთით აღსავსე,
ფერადი კაბით მიკრული მინას.

სიტყვა ვერ ვპოვე სადარი შენი,
ულამაზესო სამშობლოვ, ჩემო.
არ ვიცი მეტად, როგორ ვთქვა ენით —
შენთვის რომ ვცოცხლობ და ერთს რომ გჩემობ. ♥.

ირინოლა ტყეშაველი (ირინა ხურციძე)

ზმანებას მოჰგავს წლები განვლილი...

სულ არ მჭირდება ჯარი, ამალა...
მე ჩემი სიტყვის ვარ მეციხოვნე,
ერთი სიცოცხლე მისთვის არ მკმარა,
ამგვარ ყოფაში სულს ვერ ვიცხოვნებ...

ექვს ათეულთან ორი ნაბიჯი,
წინ წავიწიე თუ დროს ჩამოვრჩი,
რამ დამაოკოს, ლექსით ვარ გიჟი,
ვით ძველ ვაზს, მიდგას ჟამი გამორჩვის.

ზმანებას მოჰგავს წლები განვლილი,
გული ისევ ფლობს სევდას უდიდესს,
არვინ მინახავს აღმართავლილი,
გზა თავდაღმართის წინ არ უცდიდეს...

შემომაძარცვავს ქარი საფიქრალს,
დამტოვებს როგორც დედიშობილას,
ჩავჭიდებივარ სიტყვას საღირალს,
მშიერი ბავშვი ვით ორცხობილას.

სად არ მატარა არსთა გამრიგემ,
ემიგრანტობის მძიმე უღელით,
მამულო, ამ გულს ფეხქვეშ გაგიგებ,
ოღონდ არ დამჩეს რამე უთქმელი...

სულ არ მჭირდება ჯარი, ამალა...
მე ჩემი სიტყვის ვარ მეციხოვნე,
ერთი სიცოცხლე მისთვის არ მკმარა,
ამგვარ ყოფაში სულს ვერ ვიცხოვნებ...

*

წახვალ და დავიწყებას მიეცემი,
მიწაზე არ დატოვე კვალი თუ..
თავის ადგილს ჰპოვებს ერთი ცრემლიც,
სხვას თუ აუჩუყებს წამით გულს.

ჩრჩილი გამოგიხრავს საბადებელს,
მაინც ვერ ასცდები სამარეს,
აბა, რა დაგილევს სადარდებელს,
მოსვლა ტირილით ვის აკმარეს...

გახსოვდეს, ვიდრე, ხორცი გმოსავს,
დღეები შეირგო მზიანი,
წასვლის დრო მოვა მერე როცა,
ყოველი არ გახდეს გვიანი...

წახვალ და დავიწყებას მიეცემი,
მიწაზე არ დატოვე კვალი თუ...
თავის ადგილს ჰპოვებს ერთი ცრემლიც,
სხვას თუ აუჩუყებს წამით გულს.

**

მე შენს თვალებში ცა დავინახე,
გადავინახე ფიქრი უბეში,
სათუთი გრძნობა გულს დავიმარხე,
სულს რომ ეპოვა მცირე ნუგეში...
ნუგეშინ_ მითხრა ხმამ უჩინარმა
და მეც მივენდე არსთა გამრიგეს,
მზის სხივებს, შენთვის რომ ვაგროვებდი,
გზაგზა უშურვლად ჩამოვარიგე...
ჩამოვილიე როგორც მარცვალი,
პაპის ნაფერებ ძველ ხვიმირაში,
ახლა იმ ბილიკს მივდევ ბანცალით,
დრომ როს მარგუნა წლების ქირაში.
ავანთებ სულში ქურას იმედის,
სულს შევუბერავ მიმქრალ ნაღვერდალს,
ავკინძავ სიტყვებს მუზის რითმებით,
ბოლოს იმანაც თუ არ მიგვერდა...
მე შენს თვალებში ცა დავინახე,
გადავინახე ფიქრი უბეში,
სათუთი გრძნობა გულს დავიმარხე.
სულს რომ ეპოვა მცირე ნუგეში...

ვდუმვარ...

ახლა სიჩუმე გადაიქცა ჩემთვის მანიად,
ვხედავ, ეს ყოფა მეტად ძნელი ასატანია.

ვდუმვარ... დუმილი ოქროს ფასი გამხდარა რადგან,
ვინ გადამიწევს, ციდან ნისლის დაშვებულ ფარდას...

ციდა სიმშვიდე შემრჩენია და მასაც ვკარგავ,
საკუთარ ფიქრებს კალმის წვერით ფურცელზე ვქარგავ...

ქარაგმობს ქარი, ჭორიკანა, სოფლის ფშანებში,
ლექსი სახადად შემეყარა _ვეღარ გავეშვი...

გალეშილ მთვარეს აცაბაცად გააქვს ციალი,
გავცემ გულისთქმას, რომ მომინდეს უცებ ღრიალი...

ახლა სიჩუმე გადაიქცა ჩემთვის მანიად,
ვხედავ, ეს ყოფა მეტად ძნელი ასატანია.

გამიფერადე...

გამიფერადე, დარჩენილი გზები სავალი,
თორემ, მღლის უკვე, ეს ცხოვრება და რაც მთავარი,
მინდა გესმოდეს ლექსო, ჩემი გულის ძახილი,
დრომ რომ უდროოდ არ ჩამარტყას
მკერდში მახვილი...

გთხოვ ამიყვანე საპარნასე მთაზე მუზების,
მოვმართოთ ლირა, სალამური,ხმაზე ჩონგურის,
გადავხსნათ ჯაჭვი, ჩაშვებული ზღვაში ღუზების,
თავზე გვეხუროს შარავანდად ზეცის ქონგური...

უფერულობა ამ ცხოვრების მთრგუნავს, მაოსებს,
თქვი, რით ვუშველოთ კართან
მომდგარ წვიმის სეზონებს,
იმდენი ვნახე, ვერაფერი ვერ გამაოცებს,
ძნელი ყოფილა გაძლებაც ხო, ყოვლის, ესოდენ...

რა გადარეცხავს ამდენ შლამს და მავანთ ქილიკებს,
ჩაიბილიკებს ეს ცხოვრებაც შეკრულ კამარით,
სული გვემული სულ ბოლოჯერ ამოიკივლებს
და შეჩერდება აუვსებელ პირთან სამარის...

გამიფერადე, დარჩენილი გზები სავალი,
თორემ, მღლის უკვე, ეს ცხოვრება და რაც მთავარი,
მინდა გესმოდეს ლექსო, ჩემი გულის ძახილი,
დრომ რომ უდროოდ არ ჩამარტყას მკერდში მახვილი...

ეს მზეკაბანა მაისი...

სულ არ დასჭირდა პატიჟი,
ისევ მეწვია თავისით
მოჩითულ კაბის შრიალით,
ეს მზეკაბანა მაისი...
ან ასე გამორჩეულად,
რამ შემაყვარა არ ვიცი,
ფანჯრის რაფაზე დასკუპდა,
შემომაფრქვია ხალისი,
იქნებ და სიურპრიზი აქვს,
ცოტა ხან კიდევ დავიცდი,
ვაითუ ბოლო იყოს სულ,
გულისფანცქალით განვიცდი...
დალოცვილ ცხრა რიცხვს მოველი,
სულ სხვანაირი იმედით,
სიცოცხლევ, გთხოვ მაზეიმე,
სანამდე გამიფრინდები...
ვგავარ მოსათიბ ხმელ ბალახს,
ცელიც აქვე დევს კალოზე,
მთები ისწორებს ყაბალახს,
მეკი შენს ბილიკს გამოვყევ,
დამხვდები,_ ცად ავმაღლდები,
არადა, გული დამწყდება,
ფერადი იალაღები,
ვიდრემდე გამიხამდება...
სულ არ დასჭირდა პატიჟი,
ისევ მეწვია თავისით,
მოჩითულ კაბის შრიალით,
ეს მზეკაბანა მაისი...

*

სულში ჩამეღვარე გრძნობის ნაპერწკლებად,
გულში გიხუტებ და მაგრად გეფერები,
ახლა მონატრების სევდა დამეწყება,
შენზე ფიქრებს კარგო, ვეღარ დავეხსნები...
ახლა ისე მინდა ყოფნა შენთან ერთად
სუნთქვაშეკრულმა რომ ბაგე დაგიკოცნო,
მშვიდად დაგაყურო ჩემი გულის ფეთქვას,
ერთად შევუერთდეთ მერე ვნების კოცონს....

მაგული ჯინჯიხაძე-გამთენაძე

მადლობელი ვარ, ღმერთო!

არ ვიცი ახლა, რა გთხოვო ღმერთო,
შენ თავად იცი მე რაც მჭირდება,
სულ ჩემთანა ხარ, წუთითაც ვერ მთმობ,
როცა მილხინს თუ გამიჭირდება.
ყოველ გადადგმულ ნაბიჯს უყურებ,
სული ყვავილობს, აღარ ხუნდება,
,, დიდება შენდა ღმერთო"-ს ვჩურჩულებ,
ყველა ტკივილის გასაყუჩებლად.
მადლობას გწირავ უფალო ჩემო,
ყოველი წუთი შენით მშვიდია,
უშენოდ ყველა სიმდიდრე ღმერთო,
ყველაზე დიდი სიღარიბეა.
მოყვასის წყენას თუ ვერ ვპატიობ,
თუ მახსოვს მუდამ, მაშინ თავს ვკარგავ,
თუ ნებას მივცემ ცოდვას, რომ მძლიოს,
წინ ვეღარ შევძლებ ვერაფრით წასვლას.
უღალატო ხარ მუდამ ყველაზე,
გიყვარვარ, შენი სულის ნაწილო,
გსურს სიყვარული ყველა წყენაზე,
გულიდან მზედ რომ გამოვაბრწყინო.
მადლობელი ვარ, არ მტოვებ ღმერთო,
შენ თავად იცი მე რაც მჭირდება,
იქნებ ციმციმა სანთლად გსურს ვენთო,
სანამ სიცოცხლე გამიფრინდება.

სხვაგან ნუ წახვალ

მინდა რომ გითხრა სხვაგან ნუ წახვალ,
დარჩი ლამაზო, იწამე ღმერთი,
არავის ჰგავარ, არავის ჰგავხარ,
ხარ მშვენიერი და ერთადერთი.
ეს სილამაზე არსად მინახავს,
სულ სხვა ხიბლი გაქვს და სულ სხვა ეშხი,
ატმის ღიმილი სახეს გიქარგავს,
მზე გიციმციმებს ლამაზ თვალებში.
მე შენ სიყვარულს გულში ვინახავ,
როგორც ბულბული ვარდს ისე გეტრფი,
მოდი ჩამოვჯდეთ ისევ ჩინართან,
ფერად ყვავილებს ჩაგაწნავ თმებში.
წყაროს წყალივით კარგო წმინდა ხარ,
ზღვა ელავს თვალთა სიანკარეში,
მოგიქარგავდი გულმკერდს მზისადარს,
ცივ ნიავს არც კი მოგაკარებდი.
ნეტავი ასე ლამაზი რად ხარ?
ხარ შესადარი ფრთაგაშლილ მერცხლის,
მე გაზაფხულის დედოფლად გხატავ
და რომ მიყვარხარ ათასჯერ გეტყვი.

აფრენილო ბაღნარიდან

მზის სხივივით ღამის ბურუსს შენ მერჩიე,
სიყვარული ოცნების ფრთებს ლაღად შლიდა,
არ იფიქრო უშენობას შევეჩვიე,
აფრენილო სიყვარულის ბაღნარიდან.
შეგეჩვიე, იცი, როგორ შეგეჩვიე,
სიხარული ჩვენ უხილავ ძალას გვგვრიდა,
ცისარტყელა გვიგზავნიდა ლამაზ შვიდ ფერს,
თეთრი რაშიც ჩვენთან იყო ზღაპარიდან.
მზე ღიმილით გადმომდაგარა მაღალ მთიდან,
თითქოს შენ ხარ და სხივებით გინდა მომწვდე,
ბაღში ახლა ისევ ყვავის ატამი და
ვარდისფერი სიკეკლუცით გაგაოცებს.
მთებსაც ნისლის ქუდი ხურავთ შევერცხლილებს,
მერცხლის გუნდიც თითქოს საღაც გადაფრინდა,
ის უკვდავი სიყვარული ცოცხლობს ისევ,
არ იფიქრო, რომ წუთითაც დამავიწყდა.
ჩემ გულში ხარ,სამუდამოდ კარგო ისევ,
სიყვარული უკვდავია მარად ბრწყინავს,
მგონია, რომ კვლავ ვარსკვლავებს ჩამომიკრეფ,
აფრენილო სიყვარულის ბაღნარიდან.

„ღმერთო სამშობლო მიცოცხლე"
_პატრიოტული ლირიკა

არ შეშინდე

არ შეშინდე საქართველოვ,
ნაღვლიანი რატომ მიცქერ,
ლამაზო და სანაქებო,
ერთგულება შემოგფიცე.
მტერს არ სძინავს ჩემო კარგო,
როგორც ქორი ისე გიცქერს,
წუთითაც არ დაიდარდო,
მცველად ვდგავარ გწამდეს მტკიცედ.
შენი მკერდი სულ სავარდო,
რომ გათელონ არვის მივცემ,
გაიხადონ სანავარდოდ,
ან ქართველი გადაჯიშდეს.
თვალებიდან ცრემლი რად გდის,
იმედს მოგცემ, გულს მოგირჩენ,
ქართლის დედა გმირებს კვლავ ზრდის,
ლომგულებს და მუხლით მგლისებრს.
შენი ცა და მიწა მათბობს,
მკერდში გული სანამ მიძგერს,
არ დაგტოვებ წუთით მარტო,
დედასავით დაგიფიცე.
უფლის მადლი მარად გათოვს,
სხვა უკეთესს რაღას გირჩევ,
სხვამ რომ არა,ღმერთი არ გთმობს,
კვლავ დადგები ფეხზე მტკიცედ.
თუ დაგჭირდა დედო ზარით,
გმირ წინაპარებს გამოვიწვევ,
რომ შენს ცაზე კვლავ ლამაზი,
ნანატრი მზე ამობრწყინდეს.
ჩემო ტკბილო საქართველოვ,
გაუძელი ცოტა კიდევ,
არ შეშინდე საყვარეო,
გევედრები, არ შეშინდე!

არასდროს გადავშენდებით

ქართული ადათ წესი გვაქვს,
ვერასდროს ვერ შეველევით,
ჩვენ ამ მიწაზე გავზრდილვართ,
მყარად გაგვიდგამს ფესვები.
აქ ღვთის იმედით დავდივართ,
ჯიშით ჯილაგით ვმშვენდებით,
ვართ სულით მტკიცე და ის გვქწამს,
არასდროს გადავშენდებით.

უფალო შენი წყალობის მჯერა

ყველაზე მეტად მე გატკინე კეთილი გული,
მაგრამ უსაზღვრო სიყვარულის მე მაინც მჯერა,
თიხა ვიყავი და ჩამბერე უკვდავი სული,
რომ სამუდამოდ შემძლებოდა შენთან დარჩენა.
მე მომიძღვენი სილამაზე,ქვეყნად ზღაპრული,
სამოთხის ბაღში ნეტარებდა ყველგან სიკეთე,
მაგრამ ჩასახლდა სულში ცოდვა, ვნება ფარული,
ცოდვის ნაყოფი უნებურად მაინც ვიგემე.
ცა მოიქუფრა, შეიცვალა ლამაზი ფერი
და ღვთის ქმნილება გადავიქეც ამ მიწის მტვერად,
წლები განვლილი წუთისოფლის საცრით გაცრილი,
ცოდვებად იქცა, კენჭებს რომ ჰგავს ზღვის პირას ფერადს.
ტანზე ვარდებმაც გამოისხა ეკლების მახე,
ქარი ბობოქრობს, ღობე ყორეს ისევ ეხლება,
ცოდვა მიცქერის და ჩიტივით კვლავ მიყრის საკენკს,
რომ ვერ შევიგრძნო სიყვარულით ბედნიერება.
ვგრძნობდი, ყოველთვის ჩემთან იყავ მხსნელი ფარული,
ცოდვით დაცემულს წამოდგომის მომეც შეძლება,
კვლავ განმიახლე ზეციურო სული ტანჯული,
რომ ჩემი ცოდვით არ გადინოს სისხლი ეკლებმა.
შემინდე ცოდვა,სანამ მკერდში კვლავ მიძგერს გული,
უძღები შვილი შენ წინაშე მორჩილად ვდგევარ,
მიბოძე ნიჭი, უძლეველო, კვლავ სიყვარულის,
როგორც ავაზაკს, ღმერთო შენი წყალების მჯერა.

სხვაგან ნუ წახვალ

მინდა რომ გითხრა, სხვაგან ნუ წახვალ,
დარჩი ლამაზო იწამე ღმერთი,
არავის ჰგავხარ, არავის ჰგავხარ,
ხარ მშვენიერი და ერთადერთი.
ეს სილამაზე არსად მინახავს,
სულ სხვა ხიბლი გაქვს და სულ სხვა ეშხი,
ატმის ღიმილი სახეს გიქარგავს,
მზე გიციმციმებს ლამაზ თვალებში.
მე შენ სიყვარულს გულში ვინახავ,
როგორც ბულბული ვარდს ისე გეტრფი,
მოდი ჩამოვჯდეთ კარგო ჩინართან
ფერად ყვავილებს ჩაგაწნავ თმებში.
წყაროს წყალივით კარგო წმინდა ხარ,
ზღვა ელავს თვალთა სიანკარეში,
მოგიქარგავდი გულმკერდს მზისსადარს,
ცივ ნიავს არც კი მოგაკარებდი.
ნეტავი ასე ლამაზი რად ხარ,
ხარ შესადარი ფრთაგაშლილ მერცხლის,
მე გაზაფხულის დედოფლად გხატავ
და რომ მიყვარხარ ათასჯერ გეტყვი.

მამულს უერთგულეთ ბიჭებო

ვაჟკაცი გიწოდეს თუმც იყავთ ყმაწვილი,
დაგლოცეს, სამშობლოს მცველო და იმედო,
ფეხი აქ აიდგით, ამ მიწის ხართ შვილი,
ღალატს ნუ იკადრებთ ბიჭებო.
ფულში არ გაცვალოთ, ეს განძი ნამდვილი,
ასე რომ ბრწყინავს და ასე რომ მზისფერობს,
ტკბილი იავნანა სულში გაქვთ ჩაღვრილი
და მას უერთგულეთ ბიჭებო.
ამ მიწას მრავალი გმირი ჰყავს გაზრდილი,
მათ სისხლზე ღირსებით სვლა მინდა ინებოთ,
დედებს ნუ შეარცხვენთ! მიწას ნუ გაყიდით!
მამულს უერთგულეთ ბიჭებო!

ნუ მიატოვებთ

ბუხარში კვამლი აღარ ამოდის,
თავზე ღრუბლების ფარა აზმორებს,
თვალებში ჩაქრა შუქი ამ სოფლის,
სახლები შვილმკვდარ დედებს მაგონებს.
ბოქლომის გული ჭიშკრის დაჟანგდა,
ბალახი გზაზე სევდას აძოვებს,
ახლა პატრონი კაცი აღარ ჩანს,
ნაფეხურები აქ რომ დატოვეს.
ქარი ბარბაცით დადის გზა და გზა,
მზე მთა ველს ძუძუს მაინც აწოვებს,
სხვენზე დარჩენილ ერთგულ აკვანსაც,
უკვირს უბალღოდ რად მიატოვეს.
გაზაფხულდა და ისევ აყვავდა,
ალუჩა ატამს ყვავილს აწონებს,
გუგულმა გუგუ უკვე დასძახა
და გუთნის დედა არ ჩანს გამგონე.
სოფელი იყო ქვეყნის ძალა და
ხვავს და ბარაქას აძლევდა ყოველს,
ახლა იმედის კვირტიც გადახმა,
ნაჭუჭს გულიც რომ გადააყოლეს.
ადგილის დედა გიხმობთ, სადა ხარ?
ბაღნარს ნუ უთმობთ, შვილო, სხვა ტომებს,
ერთი ჭკვიანი კაცი მანახა,
ამ შეცდომას რომ გამოასწორებს.

გულზე მართლა გადაგიარეს

ვინ მოგიშუშებს მეფე დავით გულის იარებს,
ალბათ საფლავში ქვეყნის დარდით კვნესი, ტრიალებ,
ბრძოლით მამული განამტკიცე, აერთიანე,
ზღაპრულ სამოთხეს დაამსგავსე და ამზიანე.
დიდო მეფეო, დღეს კვლავ ცოდვის კალო ტრიალებს,
თქვენ დიდ სამეფოს ყვავ ყორნები თავს დასტრიალებს,
თვალმარგალიტი ხელში დარჩათ გულღვარძლიანებს,
გაყიდეს, დაჭრეს, დაჩეხეს და გაანიავეს.
მამულის ბედი თქვენებრ ვერვის ვეღარ მივანდეთ,
საზღვარი არ აქვს ერის თვალზე ცრემლის ნიაღვრებს,
წამოდექ მეფეევ, საფლავიდან, ნუ აგვიანებ,
თორემ ხომ ჰხედავ, გულზე მართლა გადაგიარეს.

მიყვარხარ

მიყვარხარ, ამ სიტყვას არა ჰყავს ბადალი,
მიყვარხარ, ეს სიტყვა ყველას გულს სწყურია,
იტყვი და გათბება სახლიც და მთა ბარიც,
სიცოცხლე ამ გრძნობით სულ საამურია.
დავნამე ამ სიტყვის ლამაზი ცვარ-ნამით,
გული და გონება ყველა რომ ვახარო,
მიყვარხარ, სიტყვაა ისეთი წამალი,
მსგავსს რომ ვერ იპოვი, თუნდ მოვლო საყარო.
დღეს ვკაფავ სიძულვილს ამ მიწის გულიდან,
ახლა რომ ბატონობს და ბედი არ გვწყალობს,
მიყვარხარ, ხშირად ვთქვათ, ძალა აქვს უფლისგან
და გულში კაშკაშა მზესავით ვატაროთ.
ზეცის ლაჟვარდებში მზის სხივებს ავყვები,
ეს დიდი სურვილი მინდა მზეს ვახარო,
ზღაპრული სამყაროს მსურს გავხსნა კარები
და სიყვარული მოვფინო სამყაროს.

ჩვენო პატრიარქო

მზედ რომ ბრწყინავთ მუდამ და იმედით გვათბობთ,
ერის ბრძენო მამავ, ცისკრის ათინათო,
თქვენი სისპეტაკე უფლის მადლით გამკობთ,
ჩვენო უწმინდესო, ჩვენო პატრიარქო.
გიცქერთ საჭეთმპყრობელს, სპეტაკსა და სანდოს,
წუთისოფლის ზღვაში საქართველოს პატრონს,
ქვეყნის სიძლიერეს ლოცვით ღმერთს რომ ანდობთ,
ასრულდება ნატვრა ჩვენო პატრიარქო.
გაგიმრავლდეთ წლები, სულ მზესავით მნათო,
ერის სიმკიცე ხართ, მწემსო მეტად სანდოვ,
გლოცავთ, იდღეგრძელეთ,ბრძენო, მადლიანო,
ჩვენო უწმინდესო, ჩვენო პატრიარქო.

პოეტს

უფალი ირჩევს სუფთა გულს,
ლექსი რომ ჰგავდეს განთიადს,
ცის ლაჟვარდებში საფრენად,
ფრთები გაქვს, არა გაკლია.
ბედნიერი ხარ რადგანაც,
ემსახურებით გზას დიადს,
ცისა და მიწის საქებრად,
უფალმა გამოგარჩია.

მანანა ბრაჭული

ს ი ზ მ ა რ ი

მზის პირნაბანი წყალი დგას,
ვერცხლის ყარყარა სურაში.
სივრცეები ჩანს, მიმრეცი,
"ჯაიპურსა" და"სურამში".
ღრუბელს ფურცლავენ ნამიანს,
არუნდატი და სურაჯი,
ვეფხის მოკლული კაი ყმა,
ირმის ბღავილი სულაში,
რა უბრალო ხარ, უფალო,
საწუთისოფლო სურათში!

ვ ა ნ გ ე ლ ი ა!

ხარებას გილოცავ ვანგელია ბორბოპულოს!

მთებზე ნიელო,მალოქი,ბალბა-
იდუმალება ხარების თოვლის....
მე ცისფერ ლარნაკს ვიხსენებ ახლა
და შენს სამყოფელს მყუდროს და მოვლილს,
"ხანიის" ფიჭვებს,ხანიის ვარდებს,
ლექსებს-ცრემლივით გაჩხერილთ ხორხში,
და გუჯარათის გაშლილ ლექსიკონს,
ახლა საჭირო სათქმელს რომ მომგვრის,
სიზმარს,მამულის სიშორით შეშლილს,
შენს ხმაში ცრემლის სიმების წკრიალს
და იმ ხარებას,როცა შენ გაჩნდი,
და,ჩემს საშველად შენეულ წრიალს...
გილოცავ,ახლა, ხარების თოვლი-
შავი ნიელო,მალოქი ბალბა,
ომის სუნს იკრავს და მისალოცი
საშენო ლექსიც ცრემლებით დალბა...
მიჰყვება მშვიდი,ცისფერი მზერა,
მავრუდის ნარგიზს,მანიას გერანს,
და "ჩემს კარებთან" შემდგარს ტკივილით,
საყვედურს ჰკადრებ ცხოვრებას ვერანს,
რომ გაფრენილი ეს ოცი წელი
შეაშრა ცრემლს და შეაშრა მელანს...

ქ ა რ თ ვ ე ლ ე ბ ო!

ცრემლითა და ჩუმი ვამით,
მიმაბარეთ მთვარეს ვანი,
ბღავის მთები-უპატრონო
ხარავანი.
გაიკრიფნეთ,ან რა კრიფეთ
ჩვენს ბაღებზე უკეთესი,
სასთუმალზე გეცრემლებათ
ხსოვნის ფესვი.
სურვილების მოსაკლავად,
ვერ გაკმარეთ ჩემი წყარო,
უცხო ცას რომ შეაშენდით,
ვერ ავშენდით.
არ მიეცით ერთურთს მხარი,
ვერც დროება მოიმხარით,
ქვიშისაგან არ შენდება
არც რა მყარი.
მშვენიერი ბზა და თელა
უთქვენობამ გადათელა,
სატკივარი გართულდა და
ვერ გამთელდა.
კმარა,სიზმრად ნუღარ მაქცევთ,
არ მაშენებთ?! ნუღარ მაქცევთ,
სიყვარულის თამასუქებს
ნუღარ გასცემთ.
საქმე მინდა,ლექსთა ჯღაბნით,
რუსთაველი ვინ დაჯაბნეთ?!
გულით წრფელით,რწმენით მყარით
მომეპყარით
არა როგორც განაყარი....
ფიქრო ჩემო,სისხლო ჩემო,
დამამჩნიე სიბრძნის კვალი-
შვილი მენდე,
შვილი მენდე და დამინდე,
თავთ დამირგე ხერავანდი,
დაიბრუნე სამშობლო და
უძველესი შარავანდი!

* * *

აღარ გიკითხავს,როგორ ვარ,
აღარც მე გკითხავ არაფერს.
მიხვალ,მზედ მიეფინები,
მთვარე ჩავცქერი ქარაფებს...
იყო,არც არა იყო რა,
არც სასრული აქვს არაფერს...

გუშინ იყო ზამთარი!

ამურღვებულ ყოფაში,როგორც ამორძალები,
ისევ მოგონებათა მიმოქრიან ქარები.
გაუკენკავთ ვარსკვლავებს მთვარე-მწიფე მტევანი-
ყველა უსასრულობა და სულთა უტევანი.
ნათლია და იმედი,ალბათ,მეცა მყოლია,
მაგრამ მახსოვს მარტამდე მარტო როგორ მოვედი.
ვიყავ მიტომებული ცას,რომელიც ლურჯია,
დედაჩემი მეგონა სევდა უკურნებელი.
განა უკურთხეველი სიტყვა შემინახია?!
რაც მზემ შემომაქსოვა,მიწამ შემომახია.
ხრიან მაღალ ჩინარებს ნერვიული ქარები,
დაუღვრელი ცრემლები გლოვის ნახევარია...
და იტკიებს ბილიკებს,გველწითელით მოფენილს,
სიმწრით აყმუვლებული,ცოდვის წუთისოფელი.
წიგნი, მესხი მელექსის,საგზლად არ მომწყენია,
"ჩემო კარგო ქვეყანავ,რაზედ მოგიწყენია?!"
ვეღარ მკვეთრობს,ილევა "განთიადის"სინათლე,
სისხლად დასდის მთის არწივს ყვავთ ნაკორტნი

წ ვ ი მ ა

ასეთი წვიმის დიდებულებას
ეკუთვნის ლექსიც,მითიც,ზღაპარიც,
ის რასაც იტყვის და როგორც იტყვის,
ვიცი, იქნება ყველა მართალი...
ვეტრფი წვიმების უბრალოებას,
დიდებულებას და შრიალს უხმოს,
მარადისობა მარადისობას
ასეთი წვიმის ცრემლებით უხმობს.

ს ი მ ა რ თ ლ ე.....

თავი ჩვენი ჩვენადვე პატრონად არ გვყოლია,
შვიდთა მზეთა ტკივილი დღემდე გამოგვყოლია.
კრთება თოვლის თითებზე იისფერი არილი,
აღზევნიდან ვერ მომაქვს სახარავნე მარილი.
ჩამოვიდა სოფელი,მოცლით ჩაჯდა ქალაქში,
არტისტული ყვავილი ღელავს თავის ქალაში.
აღარც ფიქრი მტკვრისპირას,არც კალმახი იორში,
მკვდარი ყარამფილები და ცრემლები რიოში....
ნათქვამიც და უთქმელიც ნაღველს დაუღარია,
"წევხარ ცივ სამარეში და არც სულს უხარია...."
უკვე დასაზღვრულია და წლებს აღარ დავითვლი,
გული რჩება სამშობლოს,ზეცა მეძებს თავისთვის.
ჟამი ქართა მთავრობის,ვიცი,ნაზავთარია,
გუშინ იყო ზამთარი,დღეს კი, ნ ა ზ ა მ თ რ ა ლ ი ა!

დეზი ემანულიძე

მე, შენი მუზისა ვარ დედოფალი !!

ყინვადაზაფრულ გვირილას ვგავარ,
ადრე, გაზაფხულს რომ მოველ ველად,
ქარს ადევნებულ ფოთოლს ვემსგსვსე,
იას, ნაკადულს რომ ეძებს მშველად.

მე, შემცივნული უფრთო ჩიტი ვარ,
გამათბო მინდა, უბეში გყავდე,
ცას, თრთოლვით მტირალ ღრუბელსა ვგავარ,
შენ, ცისარტყელად მინდა რომ მყავდე.

ღამეულ, ვარსკვლავთ ციმციმში გეძებ,
მთვარეს ვევნები მარტო, ეული.
სასთუმალს, ფიქრად სიზმრებში გეტრფი,
შენს მიჯნურობით გადარეული.

ქარი, გნიასით დარბის აშარი,
შენთან ვაგზავნი ამბორს ვნებიანს,
ლექსთა ნიაღვარს სარკმელზე ვაწერ,
ბაგენი, თრთოლვით მეურჩებიან.

ოცნების ფიქრში, მე ვარ მირაჟი,
ტალღად მოვედი, ვით ზღვის ფერია,
ღამეულ ვნებით დამთვრალი ქალის,
ალერსი, ცოდვილთ კვდომისფერია.

სისხლისფერადა ყაყაჩოს ვგავარ,
ღიღილოს მცინარს, გაშლილსა ველად,
პეპელას ვგავარ ფრთამოფარფატეს,
მზეს რომ მიჯნურობს და ყვავილთ მწველად.

მე, შენი გრძნობის სიყვარული ვარ,
შენ, ანთებული კოცონის ალი,
ფიქრად ჩამოგყევ, სიზმრად გეწვევი,
მე, შენი მუზის ვარ დედოფალი.

. .. **
ზღვაზე დაისი,. მზეს უთვლის წამებს,
ვეება დისკო ზღვამ შთანთქა თითქოს,
ქვიშაზე მოსჩანს ნაბიჯი წყვილად,
ტრფობის მუსიკა სიყვარულს ითხოვს.

ზღვას, კუბიდონი აჩრდილად წვება,
სურვილი მძაფრი, გონებას კარგავს,
მთვარე, ღამეულ ზღაპარსა ყვება
და ვარსკვლავებით ზეცასა ქარგავს.

თრობით მოაწევს სიბნელე ქუში,
ტკბობით ტალღების სურვილს ვევნები,
ღამეულ ლტოლვას გოდებით მრუში,
სხეულს კაწრავენ მთრთოლავი მტევნები.

ალიონს ყოველი დაღლით მოიქანცა,
მიჩუმდა კვნესა, ჩუმი, ნამთვრალევი,
ცისკრის განთიადმა ვნება დაიცხრო,
სინათლემ წაშალა ქვიშის ნაკვალევი.

დილის მზემ სხივი მოზიდა მშვილდით,
ტალღამ წაიღო ვნებები ცხელი,
სილაში, წარსულ ღამის ლანდს ვშლიდით,
ნაკოცნი ბაგე კი, კვლავ იყო სველი.

აისი გაზაფხულისა "

დილაა, მზის სხივთა ციმციმი აისის,
ტყეში, ხეკაკუნა ექიმობს ხეთა ჯარს,
ქარს ჩასძინებია ბულბულთ გალობაში,
მდინარე მოშხუის,
აცეკვებს ტალღებს და მათ რკალად რთავს.

დილაა, ცისკარმა თვალი გაახილა,
ღრუბელთ ტახტრევანზე მზის დისკო გვრგვინობს,
მინდვრად სურნელია ბალახის საამო,
სიცოცხლის ხალისით სამყარო ღიმილობს.

ზეცას, განერიდა ნისლის შავი წყება ,
მელანქოლიაც გაუქრა ბუნებას,
მზის სხივთა აისი მოადგა ალიონს,
ფრინველთა ჭიკჭიკი ალაღებს გუნებას.

სამყარო, დღეს მჩუქნის ამბორით სიყვარულს,
სიზმარეთს იხსენებს ჩემ თვალზე რული,
სიცოცხლე მიშლის მომავლის ფურცელს
და ამ სილამაზეში ვარ მე, ჩართული.

"სამშობლოვ, ჩემო ტანჯულო!!"

მე, ღმერთმა შემქმნა ადამიანად,
სული ჩამიდგა ქართული გენის,
სიცოცხლე ჩემი, იყოს სამსხვერპლო,
სამშობლოვ, ქუხდეს სახელი შენი!!

ჩემო საქართველოვ, მსურს მოგეფერო,
ჩავეკონები შენს მთებს და გორებს,
აზვირთულ ტალღის მჩქეფარე ძალა,
გაღმა აფხაზეთს ხმას გააგონებს,

დასჭექს "ჩაკრულო" კოსმიურ სივრცით,
და გურულების "ხასანბეგურა",
"ქართველო ხელი ხმალს იკარ " მალე,
მეფე დავითი,გიხმობს მეფურად.

ტკივილით გმინავს ისევ დიდგორი,
კვლავ შემართებით იბრძვის მარაბდა,
არ ჩაგებულა ერეკლეს ხმალი,
თბილისი დარდით გაჭაღარავდა.

დგანან ამაყად უფლის კვარცხლბეკთან,
მსხვერპლად ნატანჯი შენი შვილები,.
თავის სიცოცხლეს ერთურთს სწირავენ,
ძმადშეფიცული "შინდისს გმირები "

დღესაც ფრიალებს "ქართველი დედის "
ქედმოუხრელი დროშა ქართული,
წამებით ტანჯეს ანწუხელიძე,
მაგრამ ქართული არ ჩაკლა სული!!

აქ, სამაჩაბლოს ცეცხლით ვიწვები
დარდით გავცქერი ენგურს, იქ გაღმა,
ისევ ჩამომდის პაატას ცრემლი,
ურდოს, სამსხვერპლოდ გმირი რომ გახდა.

დღესაც ღმუიან ბოკვერნი ლომის,
ხერხეულიძის შთამომავალნი,
კვლავ იზრდებიან ქართულ საჯიშედ,
ძენი, ზვიადის გზად მომავალნი.

ვიცი, ბაზალეთს ისევ მოგველის,
ყრმა, დიდებისკენ გზისა გამკვლევი,
თავისუფლებისთვის კვლავ იბრძვის,
თავს სწირავს ტანჯვით ქართველი.

დღესაც გვგლეჯს, მტარვლის ბასრი ეშვები,
მიწა, გოჯებად ძლივას დაიყვეს,
თვალეს იუდას ვერცხლის გროშები,
და სიხარბითა ვეღარ გაიყვეს.

დღესაცა მტკივა წამებად,
დედა - დედოფლის იარა,
ქართული სულის ნაწილებს,
უცხოეთს ვგლოვობ იარად.

ჩემო სამშობლოვ, შენს სახელს ვფიცავ,
შენი დიდების მე ვარ მეხოტბე,
დედა- შვილობის მადლით აღვსილი,
მეც მსურს აღვზარდო დიადი ცოტნე.

ჩემს იბერიას ვენაცვალები,
ჩვენს დროშას ვიცავ, ჩემი ვალია,
სამშობლოვ ჩემო, იმედად გყავდეს,
შენ, ღირსეული მომავალია!!

სამშობლოს მიწას არვის დაუთმობს,
დემეტრე, თამარ, დავით, მარიამ.
ჩემი სამშობლო შენ დამილოცე,
დედავ, ღვთისმშობელო მარიამ!!

". სულის ტაძარი "

ზეცად აზიდულ მთებს, დიდთოვლიანს,
ბარად ჩამოსულ წყაროს ანკარას,
ქვეყანას ტურფას, მზიურ განთიადს,
ზაფხულის წვიმას, თბილს. და წანწკარას,

გრძნობას გულისას, ფიქრად დაღვენთილს,
რწმენით ანთია ტრფობის ლამპარი,
მგოსანთ ამოთქმას პოეტურ რითმად,
სამშობლოს ჰქვია სულის ტაძარი.

და, როს გახედავ ზურმუხტ ხალიჩას,
მაღლა აზიდულ დიდ მთებს, მხარგაშლილს,
ბარში, ველობი ფატას დაიდგამს,
სამყარო, მაყრულ სუფრას გადაშლის.

სიცოცხლის სუნთქვა გულსმომნუსხველი,
გრძნობით რომ დარბის სისხლი ძარღვებში,
მიღიმის მზე და ვარსკვლავთციალი,
ციმციმებს ღვთიურ, მბრწყინავ თვალებში.

შვილთა დიდებით გული ივსება,
ჩემი სავანე მხოლოდ აქ არი,
დედობა არის ჩემი ღირსება,
სამშობლო - ჩემი სულის ტაძარი!!

ხათუნა ჩიტაძე

სიყვარული

შენ, ჩემს სხეულში დაიბადე
და მიიცვალე...
შენ, ჩემთან ერთად დაიბადე
და დაიცალე...
შენ, ჩემთან ერთად დაიქადნე
და დაიშალე...
მერე კი ურცხვად გარდაიცვალე!

ჯერ აზრი მოკვდა!
– მერე სხეული!
ჯერ თვალი მოკვდა!
– მერე სხეული!
ჯერ სუნთქვა მოკვდა!
– მერე სხეული!
სხეული მოკვდა სულ ყველაზე ადრე და ბოლოს!

არ ვიცი, ასე როგორ ხდება,
და როგორ ქრება,
საუკუნეებს შეკირული სიტყვა, უფლისა!
არ ვიცი ასე როგორ ქრება,
და როგორ ხდება,
ტანჯვად გარდაქმნა სიყვარულისა!
ჩვენ, სულ ერთ წამში დავიბადეთ,
და ერთად გავჩნდით!
ახლა ხელახლა ვიბადებით,
ოღონდ ცალ-ცალკე!
არადა, ჩემთან ერთად გაჩნდი,
თუმც ვერ გადარჩი!
იქნებ როგორმე ხელახლა გშვა,
ცოტა მაცადე!

...შენ ჩემს სულეთში დაიბადე...

ანალიზი

თქვენ ხედავთ მხოლოდ
დაქარგულის წინარე მხარეს...
უკან კი მთელი სამყაროა,
ბორგავს... ტრიალებს...
წყდება.... იბმება...
წყდება.... იბმება...
როგორ მაწამებს!
თქვენ ხედავთ მხოლოდ დაქარგულის
წინარე მხარეს ...

სამიზნე

თუ ჩემს გულს ტყვიის სამიზნედ ზვერენ,
ვიტყვი! – ოდესღაც გული მტკიოდა.
მე კი გადავრჩი იმ ტყვიის მერე,
რომელიც დიდხანს გულში წიოდა!
თუ ამაცილეს, – მაინც მესროლეს...
– ესეც იგივე განსაცდელია.
გულში მყავს ჩემი სულის მესია!
ჩემი გზა ისევ ჩემი ლექსია!
თუ ჩემს გულს ტყვიის სამიზნედ ზვერავთ,
აქა ვარ, ჩემი დაბადებიდან!
მოდით!
მესროლეთ!
როგორც გენებოთ!
მაინც გამოვალ განსაცდელიდან!
არ დაივიწყოთ, სიკეთით ვიბრძვი,
უფალი ჩემში სახლობს და მლოცავს!
თუ ტყვიას მესვრით, უკვე ხომ იცით,
– ვერ გამსვრით –
ფარად წინ მიდგას ლოცვა!
... თუ ჩემს გულს ტყვიის სამიზნედ ზვერავთ,
– სად არის მზერა?!

ჩემი გზა

იყავი თაფლი, –
ზოგს ბალღამი თაფლად ერგება
და თაფლი – შხამად...
იყავი წყარო,
ბინძური ფეხით აგამღვრევენ,
გაგსვრიან სწრაფად...
ან, თუ ხარ მდელო –
შეგდგებიან ურცხვი წიხლებით!
თუ კალამს ეტრფი,
არ იციან რაა წიგნები...
თუ მზედ დადიხარ,
ეჩვენები თქორი – წვიმებით...
... და მაინც
მაინც!
მზედ დავდივარ!
თაფლად ვიღვრები!
ვბიბინებ მდელოდ!
თვალჟუჟუნა წვიმად ვიცლები!
წყაროს წყალს გაწვდით,
სათქმელს ვწერ და
ლოცვით ვიღლები.
რადგან ჩემი გზა,
სუფთა არის პაპით – ოდითგან!
და ვიცი, იგი,
სამოთხიდან
ჩემთან მოვიდა!

წარმოიდგინე

(თეთრი ლექსების სერიიდან)

დავხუჭე თვალები,
გადავიკარგე ჩვენი სახლიდან...
მერე გონებით გავიარე ყველა ოთახი,
ყველა კუნჭული,
ყველა წერტილი...
სურათი:
– თოკზე შერჩენილა შენი წინდები,
მზისგან დაცლილი,
გადაცლილი უნაბიჯობით!
ეზოში კი შაოსნობს სევდა!
ეზოში კი მკვდარია ქარი...
დგას მარტოობა!

შევაღე კარი:
არც ხმაური,
და არც ქაოსი,
არც ნათურა
და არც კისკისი,
არც საუბარი.....
მხოლოდღა უღვთოდ ხმაურობს სივრცე
და ჩართული,
მიგდებული,
მივიწყებული ტელევიზორი!
შენ არ ხარ!
ანდა, არც ჰგავხარ იქ მყოფს!

– უბავშვო სახლი!
– უბავშვებო სახლი!
– უცოლო სახლი!
– უსულო სახლი!
– უდიასახლისო სახლი!
– უსტუმრო სახლი!
– უგულო სახლი!
..... განვაგრძო სია?.....

...არც სტუმარი ჩანს
და არც ცხელი კერძი მზადდება!
არც იმედი ჩანს,
შერჩენილი რომ იყო კედლებს!
არ დაიძახებს მეზობელი,
ან იშვიათად,
ან და სულაც არ არსებობენ...
გააღებს კარებს
ვინმე
ან რამე,
ან ქუჩის ძაღლი!
კატები,
ასე ნაცნობები და შეჩვეულნი,
გადაკარგულან...
აღარა ჰყავთ თავის პატრონი!
არც ბავშვები, – საჭმლის მიმცემნი!

დაბლა ნაგავი!
ჭერზე ქაოსი!
თვალი ათასი
და ქირქილებენ!
დაქირქილებენ!
შენ ხარ მაესტრო
ამ გულსაკლავ სიცარიელის!
მე არ ვნებდები!
მე არ დაგნებდი!
მე კი ზემოდან დავხედე ოჯახს!
ასჯერ გავზომე
და ვერ გავჭერი!
ალბათ, ათასჯერ გავზომავ კიდევ!
...და ვამსხვრევ ყველა წარმოსახვას,
მრუდს და უვარგისს!
ეშმას მოთრეულს ჯოჯოხეთიდან!

ეს მხოლოდ ერთი მისხალია საშინელების!
არ ვარ თანახმა ჩემივე აზრის!
ყველაზე ძლიერს, –
დედას ვერ გასტეხს
ავსული ქაჯი!

დახუჭე თვალი!
გაიაზრე ეს ყოველივე!
მერე გახსენი სულის თვალები
და ღმერთს შეხედე!

მე კი,
შერჩენილს აბლაბუდაში,
ვხსნი კვანძს და მტრისგან
გამოჩხლართულ ძაფის გორგალებს,
ჩემი ხელითვე სწორად ვაწყობ
და არ ვიღლები!
და გზად ვიფენ
აღდგომისათვის!

მარი ჟღენტი

ვაშლი თვალითაც რომ არ გვენახა?!

****

მაშინ... იდუმალ იორდანესთან...
*
მე დავდიოდი უცხო მხარეში,
სადაც არ ჰქონდათ წონა ჩრდილებსაც
და არ ვიცოდი, ის, გილგამეში
ლექსის ენქიდუს მიმაშვილებდა...
მე დავდიოდი! წარმართულ სიზმარს
წითელი ტალღა მწმენდდა იოდით,
იქ სასოება შთანთქავდა „ნიზამს“...
და წყლიდან სულ სხვა ამოვდიოდი!
რათა დაშლილი სულის ფერომონს
შეშველებოდნენ სივრცე მდორენი...
და ქერუბიმნი, შენ რომ გემონენ,
მასმევდნენ მფეთქავ ფრთების
დო... რე... მის!
შეგთხოვე „პური“ - გლახამ თუ მდგმურმა,
ვიგემე - ლურჯი ცით დამშვიდება...
და რა ვიცოდი - ჯერაც უგნურმა -
სული ახლა მტრედს მიმაშვილებდა!
„მამაო ჩვენო...“ შურშულებს პალმაც...
დღე თეთრი ღრუბლის
ფთილებით ფშვინავს,
ცოდვის პლაცენტა
„წამართვა“ წყალმა...
და გხედავ -
მეც!
მეც!

პოტინი თუ... ?!

ხედაავთ?
მიწა ზურგს იწმენდს...
და ცეცხლს აფრქვევს ამ ყოფის,
ხვალაც...
იმდენს იწვიმებს -
სულს რომ...
ყლუპად არ ჰყოფნის!
ვით გავუძლო ამ ყოველს?
ამ არეულ დროებას...
ცა!
ცა...

დედაო ღვთისავ, მომივლინე ეს სასწაული!

ყოველთა დედავ, ვგლოვობ შენს ცრემლს,
სველთა წამწამთა...
და დროს დაკარგულს... როცა „ვიყავ“,
მაგრამ არ მწამდა!
მე მეშინია იმ სიცივის, სიკვდილის შიშით,
რომლის აქეთაც იდუმალის
შეცნობით ვიშვით!

სწორედ ამიტომ, თვალითხილულს ვეძებთ სასწაულს
და ვუნაწილებთ ერთურთს ნდობის
წმინდა საწყაულს,
მოძღვართან ერთად გადავფურცლეთ მძიმე ფურცელი...
„მზეო მარიამ!..“ გაუსაძლისს...
ვით გაუძელი?!

მე კი ის მიჭირს, რომ ახლაც კრთის ლიის ციმციმი
და მოცვლილ ტყავთა სიჭრელიდან
ეშმა იცინის,
ვით გარგანტუა... მაძღარია ეპოქა წლებით,
არც ჩვენ გვაქვს ჭკუა: ძღომად ვითხოვთ,
რასაც ვერ ვწვდებით!

კაცთა ნდომანი გარს ეხვევა სიხარბის მყინვარს,
ჩემში ხორშაკი ქარი გმინავს:
მე თავად ვინ ვარ?!
არ მაქვს პასუხი... და არც ვიცი, რას ვყვედრი ზეცას,
მხუთავს გარემო, თითქოს, მეც ის
სიჭრელე მეცვას!

გრძნობამორევით აღსარების ვამბობ „ბოლოთქმას“...
და პეშვით მომაქვს შენთან ჩემი
სულის გოლგოთა...
დრო გვიდგას რუხი, უთარიღო... დღე უციფრობის...
სულთუმწიფრობის, ცრუსიკეთის...
გულლუციფრობის...

დღეს, ჯვარზე გაკვრას არ სჭირდება კედრის ხის ძელი,
ჯვარზე გამკვრელის ოსტატობაც
არ უჩანთ ძნელი....
ფიქრის აღმართი... სხვა აღმართზე ყოფილა მწვავე,
როცა მომავლის მკრთალი დღენი
მშრალ გუგებს წვავენ!

შენ კი - ფეხშიშველს, როცა ნარი გიფლეთდა სხეულს -
დაიჩოქებდი და იარებს
უხვევდი სნეულთ!
ჩვენთვის ამად ხარ ნუგეში და უპოვართ სასო,
ცხოვრების ხილვაც შენი კალთის
იმედით ფასობს...

მზის ფარშევანგი - ალბათ -
ნათლის სხივს რომ გადაშლის,
სიპატარავეს - ჩემსას - შენი
მადლი გადაშლის...
და თუკი, ოდენ, დედის ცრემლმა დაძრა გოგელი...
შეგთხოვ შენდობას... და „უდაბნოს წვიმად“...
მ ო გ ე ლ ი !

მოლოდინის შიში

ჩვენი ცხოვრება შიშებია: თვით მოლოდინის -
ცეცხლი გზნებათა ასი წლის წინ მეც რომ გამიშრა,
გამოვიარეთ კაცთა მოდგმამ „რაც“ და „ოდინიც“
და ლამარიაც, დაწვეული დალის შხარის მთას.
და მოლოდინით დაქანცულნო ტრფობის... სიკვდილის...
გამდიდრების თუ... სად მოგხვდებათ - ვინმეს - ტყვია რა...
ღია იარით გვინდა მოვკლათ სულის სიყმილი,
მოლოდინამდე - მოლოდინით შეგვიტყვია რა...
უსაშველოა დღეს ლოდინი, ხვალაც ლოდინი.
სად დამთავრდება? მივცემივარ უხმოდ მეც ურვას,
თავისას ცეხვავს ფრანსუაზას ცივი როდინი,
მე კი ლოდივით ავყოლივარ დროის წრებრუნვას!
მოდით, მითხარით, რას გვიქადდა დრომ რომ მსახვრალმა,
მზის არბალეტით ცის ნაბადზე ჩასჭრა იარა,
ფიქრში ჩამუხლულს, „უჰაეროდ კოსმოსში“ დამხრჩვალს,
„მამაო ჩვენოს“ გარდა... არა მაბადია რა!

გ ა მ ი ფ ა რ თ ო ვ ე თ!
თორემ...
მ ე ვ ი წ რ ო ვ ე ბ ა!

სთქვა ვიღაც კაცმა: „ის“ იუდას არ გაუცია,
არამედ ბედმა - კაცის ხელით - უგნურად სცემა...
და... იდუმალმა , სტიქარი რომ ლურჯი აცვია,
რატომ დაუშვა ესოდენი ჩვენი დაცემა?
მე არც კი ვიცი, პლანეტათა უცხო ფუნქცია,
ან ცის ქვევრისთვის - ასე მწარეს, თან ასე ხალასს -
როცა ტვინი გვაქვს - მოზომილად - ათი უნცია,
ამდენი ცრემლის რატომ გვთხოვენ ხარკსა და ღალას?
ასე პატარებს, ასე მცირეთ და ასე მწირებს,
ბედს როგორ გვიწერს ავზნიანი მარსის ხუშტური...
ან თუ თავითვე არ დაგვტოვეს და არ გაგვწირეს,
ვის დააპურებს ამ სულ-ხორცის „ყველი და პური“?!
თუკი... თუ მართლა... „ის“ იუდას არ გაუცია,
რად ჩაანაცვლეს საღვთო სისხლი მიწიერ ღვინით...
ჩვენ თუ ვიზრდებით, ზნით რად „ვერცხლობს“ -
კვლავ ათ უნციად -
ცისკენ ბილიკი - საცალფეხო - ადამის ტვინი?!

ჟამის გორგალიც „ქალის ტვირთია“

(ნაგვიანევი "პროტესტი")
****

ფიქრში დავიწყე დროთა შრის ხვევა,
ჟამი რომ - ოდით - კაცს ცრემლში ბანდა,
მერე ფეხს თავ-შლით უწმენდდა ევა
და კაჟდებოდა ვაჟკაცად - ადამ!
თესლს აღვივებდა ქალი ღვთის ნდობით -
ნაყოფს კი მუდამ კაცი იმკიდა -
თუმც... მირიადჯერ შობით და კვდომით
ერთი ლუკმა ვერ გამოისყიდა...
ეჰ, მომიტევე უფალო ჩემო,
თუ დაგვრგე ყოფის მწვანე ვენახად,
რა იქნებოდა...
მეე?!
არც რას ვჩემობ...

მაღალთა შინა!

****

ნიჰილიზმის მორიგი შეტევა
***

უმეტესს, რასაც ჩვენ ვადიდებთ -
ფუჭია!
და რასაც აქ ვხედავთ, აღვიქვამთ
ფერმეტებს...
ცხოვრება?
არსობის ავადი
კუჭია...
ჩვენ?!
ვეძებთ!
ვპოულობთ!
„ფიზიკურ“ ...
ფერმენტებს!
რომ ვდგავართ -
კანკალით -
კლდე-სალის
ქიმია.
ძირს მრუმე ხეობამ
ბნელპირი
გაფარჩხა,
ესაა იმისი არსი და
მისია,
თუ სულიც
სხვისია -
აბა, სხვა
რა დარჩა?!
ზე მზე - ღრიანკალი
სხივ-კუდს რომ
იბზიკავს...
რბილი ყიფლიბანდიც
უფსკრულის
ქიმია,
ცხელ სისხლში კვარხალებს
და მითვე პირს იბანს...
ქიმია -
ფიზიკა!
ფიზიკა -
ქიმია!
ასეა, სხვას ვხედავთ!
და რასაც -
ფუჭია!
თვალები ასკდება
ამ გორას,
იმ გორას,
დავლა რომ არ სცდება,
ის ხალთა
კუჭია!
და წუთისოფელი...
მიგორავს!
მიგორავს!

ეთერ ბერიშვილი

* * *

აღარ მოგწერ თქო გამახსენდა ადრე ნათქვამი,
შენამდე გზები რაც ვიარე ვთქვი რომ არ ღირდა
და რამდენჯერაც ვიმეორე მორჩა! ნახვამდის!
როგორც მაჭარი ვგრძნობ
რომ გრძნობა უფრო დაღვინდა.
ისევ შენთან ქრის გული ჩემი შენთან აღამებს,
დაწყობილ აზრებს როცა გხედავ სულ მირიარებ,
ვერ გავუყევი უშენობით ვერცერთ აღმართებს,
მხოლოდ შენა ხარ ჩემს გულს
ტრფობით რომ აფრიალებ.
განა გივიწყე რადგან ასე გვიან მოგწერე,
დაგროვილ დარდებს გზა გავუხსენ შენით ნატარებს,
ბედის ვარსკვლავში ჩვენ ორივე ერთად ვეწერეთ,
გზაჯვარედინზე კი ერთი გზით არ გაგვატარეს.

კალამმა არა გულმა წერა რაც განუცდია,
გადავიწყება შენი აროს რომ არ უცდია.

* * *

გულმა გუშინ მიკარნახა
ხვალინდელი დილა,
ფრთხილად იყავ პაწაწინა,
სწორედ ასე მითხრა,
მზის სხივები დღეს რომ ბრწყინავ,
ხვალ იქცევა ღრუბლად,
შენი წრფელი სიყვარული
დღეს არავის უნდა.
საყვედური გავუბედე
გულს ვეურჩე დიდხანს,
გულო იყავ შენთვის ჩუმად ,
ვუყვარვარ და მიყვარს...
თურმე მწარედ ბედისწერა
დამცინოდა თავზე,
გუშინ გულმა რაც კი მითხრა,
ახლა გამოვცადე.

* * *

მე სიყვარულმა სულ პატარა ბავშვად მაქცია,
გულში გამიჩნდა საოცარი გრძნობა ხალისის,
გული ჯიუტობს სიყვარულით ცელქობს, ანცია,
ასე პატარას ამ სიყვარულს გთხოვ ნუ დამიშლი.
პატარა ბავშვს თუ ერთხელ მაინც გული ატკინე,
ნუ დაივიწყებ ამ შენდამი ჩემს დანაპირებს,
გავიბუტები და ვიფიქრებ შენგან წავიდე,
ბავშვი ბავშვია, მოეფერე ნუ აატირებ.

* * *

მინდა დაგიკოცნო ეგ თვალები,
განა ცისფერი ან თაფლისფერი,
ჩემი გულგონების გზაამბნევი
და და ჩემი სიყვარულის ფერი.
მინდა შემოგხვიო მხრებზე ხელი,
გულში ჩაგიხუტო ისე მაგრად,
კოცნით დაგავიწყო ყველაფერი,
ვნება გაგიღვიძო სევდის ნაცვლად.
მინდა ეგ თვალები სულ ბრწყინავდეს,
დარდი გულს არასდროს გაიკარო,
თუ გინდ არასოდეს არ გიყვარდე,
არ მსურს ცრემლიანი დაგინახო.
მინდა დარდიანი შენი გული,
ერთ დღეს წიგნივით რომ გადაშალო,
დარდი გულს რაცაგაქვს დამარხული,
მითხრა და ქარს ერთად გავატანოთ.
მინდა მუდამ იყო ბედნიერი,
შენი ეგ თვალები მომანათო,
მერე საყვარელო ჩვენი ბედი,
ცალკე არასოდეს არ გავყაროთ.
მინდა! რომ იცოდე როგორ მინდა,
გულზე დარდი მალე გადიყარო,
მერე სიყვარული ამიხსნა და
ბედნიერმა სახლში წამიყვანო.

* * *

არ მითხრა -"მოგიყვან გაზაფხულს",
ნუ ფიქრობ რომ გული იხარებს,
ვივიწყებ იმ დღეებს დაზაფრულს,
ვიშუშებ მე გულის იარებს.
გახედე... მთის წყარო დაეშვა,
ცოცხლობს და რა კარგად რაკრაკებს,
შეცდომა რომ არა დაგეშვა,
კვლავ დაგიჯერებდი არაკებს...

* * *

არ მითხრათ რამე
გთხოვ არ მითხრათ
აღარ დალიო,
ჭიქა არაყში
იქნებ დარდმა
სული დალიოს.
ნეტავ ვიცოდე
ვინ მიტირებს
ან ვის ვადარდებ,
ან უჩემობით
ნეტავ გულში
ვის ვაავდარებ.
ალბათ ზეციდან
დავინახავ
მჯერა ყოველის,
ცრემლიც იქნება
ცოტა ქილიკიც
სხვას არც მოველი.
ჩამეღიმება
თქვენი ხილვა
ახლა უნიღბოდ,
ადრეც ვხვდებოდი
რომ იყავით
ბოროტების რბო.
ჰო, მათაც ვხედავ
ვინც მიტირებს
გულამოსკვნილი,
გთხოვთ მაპატიეთ
გამიხსენეთ
მეც რომ გკოცნიდით.
თუმცა დარდებმა
ჩემი სული
სულ მთლად დალია,
არას გიმხელდით
როცა ვგრძნობდი
ჩემს გულს ავდრიანს.
თქვენთვის ვაფრქვევდი
იმ სიყვარულს,
რაც კი გამაჩნდა
და საპასუხოდ
სამწუხაროდ
ცოტა გადარჩა.
აწ დავინახავ
რას მიაღწევთ
ჩემი სიკვდილით,
სულ რომ ნატრობდით
და მწირავდით
მე ყოველ დილით.
არც არას ვხვდები
ამოვავსე
მე ჩემი ორმო,
თქვენ თქვენი დაგრჩათ
თქვენი წილი
თქვენ გხვდებათ მხოლოდ.
მედავებოდით
ცხოვრებაში,
მთელ ჩემს ქონებას
და კიდე ბოლოს,
წაღების კიც
არა გაქვთ ნება.
მე ასე წავალ
სიყვარულის
წმინდა სახელით
თქვენი ბრალია
თუ ბოროტის
გერგოთ სასჯელი....
ეჰ, ხელს ჩავიქნევ
ეს ცხოვრება
იყო ამაო,
წესი ამიგე
თვით მოვედი
შენთან მამაო.
და სანამ წავალ
გულს დავიბნევ
ისევ ვარდების,
რომ განვმეორდე
მე თავიდან
შეგიყვარებდით.

* * *

სევდა გულის ფიქრად
მუდამ დამყვებოდა,
ახლა შენ ფიქრებად
კიდევ მომემატე,
თითქოს შენზე ფიქრებს
გული არ ჰყვებოდა,
მაგრამ ცრემლებამდე
ძლიერ მომენატრე.

* * *

ჩემი სიყვარული
თუ არად გიღირდა,
მაშ რად შემასწავლე
შენიც?!
ჰო, მე ახლა ვხვდები,
შენ სულ თამაშობდი,
როლიც ვერ მოირგე
წრფელის.
ახლა არ გეწყინოს
თუ უკან დაგიბრუნო
შენი ერთი ცალი
ნეკნი.
აღარ დამირეკო,
აღარ ამატირო,
აღარ დამადინო
ცრემლი.
შენთან საუბარი
ახლა აღარ მინდა,
აღარც ნახვა მინდა
შენი.
გული რად მატკინე,
ისევ მაწყენინე,
ისევ გაიყარა
გზები.

თამრო ნიჟარიძე-გენელიძე

ჩემს სულიერ დედას

სულიერ შვილებს დუელში გიწვევთ,
დედი მე მიყვარს თქვენზე ძალიან,
მისგან შორს ყოფნა ისევე მიწევს,
დედა გულნაზი ამორძალია.
მისი ბრალია, რომ შევიმოსე,
პოეზიის ფრთით და სულ დავფრინავ,
ამიტომ დედი ვლოცე და ვლოცე,
ახალ ლექსებს კი მზეზე დავფუნავ.

,, საქართველო მაპატიე,
 სხვივის ჰაერს რომ ვსუნთქავ.
ეს დრო ბევრჯერ დავიტირე,
ჩემს გულს დარდი თუთქავს.
სხვის კარზე ვარ ატუზული,
აქ ვშოულობ ლუკმას,
ჩიტივით ვარ მობუზული,
ვხატავ დარდის რუკას .
გეფიცებით სულ მახსოვხართ,
ძილშიც მესიზმრებით,
იცით გულში რა ახლოს ხართ?
თქვენ და გორდის მთები.

-მოლოდინში-

დაბრუნების მოლოდინში,
თმები გამითეთრდა,
თქვენ გგონიათ
ისევ ის ვარ,
გული გადაფერდა
ავითვალე
 ბევრი წლები,
ნატრვსა და ცრემლში,
რომ ვფიქრდები მაკანკალებს,
რა მიჭირავს ხელში
თქვენ გგონიათ წლებს მივტირი?
არა ჩემო კარგო,
რომ იცოდეთ ამას ვფიქრობ
კიდევ ვის რა გარგოთ
იქნებ შვილო
ვეღარც მიცნოთ,
ვინახარო მითხრათ,
თქვენს წინ როგორ დავიფიცო,
მიმამგვანოთ ვინცხას.

* * *

მე მოვალ შენთან გულში ჩაგეკვრები,
სულში ლამპრად აგენთები.
ყურში ჩუმად ჩაგჩურჩულებ
მიყვარხარ და მეყვარები,
უფლება არ გაქ რომ მიმატოვო,
უფლის სახლამდე უნდა მიმაცილო!

* * *

მინდა ავაშენო სიყვარულის ტაძარი,
ლოცვით შევდიოდე სიყვარულით ვხარობდე,
ჩემს გულს არ გავაკარო ზიზღი, შური, ბოღმა.
იქნებ სიყვარულმა იხაროს,
სახეს ღიმილი მოჰფინოს გულში მზე ანათებდეს,
სიყვარულით ვილოცოთ თორემ,
უსიყვარულოდ ვერ მივალთ უფალთან.
მინდა ავაშენო სიყვარულის ტაძარი!

დაიბადა

ხალხს ახარებს დაიბადა ანგელოზი,
სიფაქიზისის ვარდის რტოთა სურნელით,
ფულიც ხარჯეს ამ ამბისთვის დანაზოგი,
გაიზარდა და სიყვარულს სულ ელის.
გადის წლები ვარდსაც ფერი შეეცვალა,
ემიგრანტის სუსხი როცა იწვნია,
დარდით ბევრჯერ ჩამოჭჯნა და გარდაიცვალა,
ტკივა გული მაინც გულში წიკწკნიან!

* * *

გული კვნესის რომ ვერ უძლებს,
გაუსაძლის დღეთა რბოლას,
ვდგავარ მედგრად თუმც მამჩნევენ,
ჩამონადენს ცრემლებს ობლად.

გადავმალო?! როგორ შევძლო,
გულს ტკივილი გავიყარო,
სადაც მივალ სულმა წმინდამ,
მინდა ცამდე ამიყვანოს.

წინაპრების საძვალეთის,
სიყვარული ყველგან დამაქვს,
იმ ფესვის ვარ ბრძოლის ველზე,
რომ ვერ გრძნობდა წამით დაღლას.

ბრძოლის ველზე დედა დროშას,
მორიგ შვილს რომ გადასცემდა,
ქართლის დედის ჯიშისა ვარ,
ჩვილს რომ ზრდიდა,
გრდემლსაც სცემდა.

ქართველების მზეობას რომ
თასით რიხით დღეგრძელობდა,
სიძულვილის ნაცვლად მტერზე,
სიყვარულის მზე მძლეობდა.

მაინც გვყიდეს ვერცხლის ფასად,
მაგრამ წამით ვერ გვაჩოქეს,
ოქრო-ვერცხლის დამხარბველი,
შეიწყალეს არც ჩაქოლეს.

ასეთია ჩვენი ჯიში,
სიყვარული გვიდუღს სისხლში,
ჩვენ ჩვენი გვსურს,
სხვის მზეს არ ვსდევთ
და არც გვინდა კარი სხვისი.

თუმც არ დრკება თავს არა ხრის,
მტერი ჩვენი ორნაგული,
ჭიქა ღვინის ხელში ამწევ,
ქართულ სუფრის მოყვარული.

მაგრამ ვერა, ვერა სძლევენ,
დედაბოძი არ ირყევა,
ვაჟკაცების რადგან ქვეყნად,
აკვანი დღეს კვლავ ირწევა.

* * *

შენი გულისთვის ცაზე ღრუბელს უმალ გავყრიდი
და მზის ხალიჩას მოვაფენდი გზებზე შენამდე,
ერთადერთი ხარ ვისაც დღემდე სულ ღმერთს გადრიდი,
იმ სამყაროში, სადაც ვიყავთ მხოლოდ შენ და მე...
შენი გულისთვის შევეჭიდები მშფოთვარე ტალღებს,
მთაში ეულად დავიდგამდი მე შენთან კარავს,
გული რადგანაც სიყვარულის კარებს კვლავ აღებს,
ვერ შემაშინებს წლების სვლა და თმაში ჭაღარა.
მახსოვს წლების წინ დანამული შენი თვალები,
ნაზი ამბორი... გულის ცემა ზღვარგადასული,
როდესაც სუნთქვა უერთდებოდა კოცონის ალებს
და ფიცი ჩვენი იცოცხლებდა ეს გაზაფხული.

ახლა გიხსენებ მაგრავ ვფიცავ რომ არ ვიცრემლებ,
რადგანაც მჯერა, ხვალ ჩვენ ერთად ისევ ვიცეკვებთ.

*. *. *

ღვთით ნაჩუქარ სიცოცხლეს მოფრთხილება უნდა,
ღმერთო ერი მიცოცხლე, ფიქრი გამიხუნდა.
გულს რომ ტკენენ ერთმანეთს,
უფალს ეწყინება,მოერევა ღრუბლები და...
აღარ გაბრწყინდება!

ვენაცვალე

ისეთ გლეხკაცს ვენაცვალე,
გულკეთილი გული რომ აქვს.
ერს სიცოცხლეს ანაცვლებს,
სამომავლოდ ნერგებს დარგვს.
ღია კარში დაიძინებს,
არაფრისი ეშინია,
დილით მშვიდად გაიღვიძებს,
სხივებიც რომ უცინიან

გულო

გულო სიტყვებით დასერილო,
გულო ნატკენო და დაჭრილო,
თვალო, ცრემლის გუბით ავსებული,
სულო, ცაში ღმერთთან აჭრილო.
გესლს გაექეცი იარე,
უფალი გაარჩევს სამართალს,
შემოგიშუშებს იარებს,
ის ანგელოზად მოგნათლავს.
სიმართლე უფალმა იცის,
იცის რა ტანჯვით იარე,
შენ იქ მნათობიც გიცდის
ის მოგიშუშებს იარებს!



ლიანა კაკუბავა

დედამიწიდან ზეცამდე

პროექტს ჰგავს ეს თქვენი ხედვა,
ინტერეს, რომ გააღვიძებს...
მეცა მყავს ჩემი რჩეული,
ვინაც ყოველდღე მაკვირვებს.
შემოგევლები ძვირფასო,
მზისგულა არა! მზე ხარო!
ათიათასი და მეტი...
ერთბაშად, რომ გაახარო.
ქალი, კაცი თუ ბავშვია...
სიკეთით გსურს დააპურო
და სევდით მოცულ თვალებში,
ცრემლები გადააცურო.
ტკივილს განძივით ინახავ,
თავადაც ფასობთ განძივით,
და მე მომყვება კალამი
ასამღერებლად ჩანგივით.
ეს-კარგო, ლექსი როდია,
რაც გავიფიქრე, აღმომხდა,
კლდეს მოსხლეტილი ჯიხვივით,
თქვენს სადიდებლად გადმოხტა.
ნუ მიწყენთ, თუ ვერ მოვერგე ,
გულის გადაშლას ვეცადე,
გმოსავდეთ მადლი უფლისა,
დედამიწიდან ზეცამდე.

ლექსი მინდა ისეთი

ლექსი მინდა ისეთი...
ვით ლურჯთვალა იები..
ქარვისფერში აჭრილი
მოწიფული ბიები...
თმებში ბლომად მეყაროს
მოციმციმე სხივებად...
ყელზე შემომეხვიოს
მარგალიტის მძივებად.
ჰგავდეს ნებიერას და
პირმშვენიერ შორენას...
უტას მარჯვენა მკლავის
საუკუნის მოვლენას.
ნაზი იყოს... ქალური,
მთვარესავით მკერდსავსე...
ჩემი ქვეყნის მთა-ველებს
ოქროს ფუნჯით ღებავდეს.
მართალ სიტყვას ამბობდეს...
და მწყემსივით მწყემსავდეს.
ვარსკლავების ცელქობებს
ისიც ემატებოდეს...
მოხეთქილ ჩანჩქერივით
კლდიდან მარდად ხტებოდეს.
ვაზს დანამულ ცვარივით
ცრემლად ეღვენთებოდეს,
მერე ცოლიკაური...
მერე ალადასტური...
სუფრა დამშვენებული
სიმღერები ხალხური...
ამოსუნთქვის ტოლი კვლავ...
"სამაია" წამური...
გულს წვეთ-წვეთად მოედოს
ყაყაჩოთა ალმური.
კორდებზე მსურს ნარცისებს
სათითაოდ კემსავდეს...
რითმებს-მუზის პირმშოებს
ფაშატივით ხედნავდეს.
ასეთს მინდა ვიცნობდე...
ასეთნაირს ვხედავდე.
ისიც ზოგჯერ სცოდავდეს,
ისიც ზოგჯერ მოსთქვამდეს...
ზამთარს გვერდით დაუდგეს
გაზაფხულის მოსვლამდე.
ლექსი მინდა ისეთი
"ნანასავით" მესმოდეს...
დედის გული ჰქონდეს და
მამას რიდით ხვდებოდეს...
მთებს წვერებთან კოცნიდეს
ზეცას ეფერებოდეს...
ერისწყალთან ფიორით*
მუდამ ემღერებოდეს.
ისეთი სულ ისეთი
სულ რომ მენატრებოდეს...
ნინოსავით ხელში ჯვრით
მთებზე ეწამებოდეს..

ლექსში ლექსი შობილი...
მინდა ლექსად კვდებოდეს!

მაგული კორძაია

არითმიული ნატვრა...

...ხმა გაფანტო
იქნებ ქარო,
კატა ყეფს და ყვავი გალობს,
ხედავ,
ყველა სადღაც ჩქარობს,
- არც იოცებს არცა დავობს...
და მეც,
ასე "ვგიჟიანობ",
ვწერ და "აღარაფერს"
ვნანობ...
ხან კისერზე თავი არც მაქვს,
წერის ჟინი აბგით დამაქვს,
ცხოვრებაა თუ
არითმია,
წერა ვეღარ
დამითმია,
აღარც ჰორიზონტზე გძებნი,
არც მიწაზე, თავო ჩემო...
არც ის მინდა, სიტყვა - "ძეგლი"...
წერა მიტომ დავიჩემო...
დაუნდობელ წუთისოფელს
უნდა ხსენი გამოვწველო,
მეოცნებე
თოთო ფიქრებს
ახდენა რომ დავუწერო!
უნდა ვწერო,
იქნებ ერთხელ,
მართლა შეძლოს
კალმის წვერომ
მათქმევინოს:
- დალოცვილო,
ნუთუ
 ერთად დგახარ,
ე რ ო!

აზრი მიმოვფანტე,
უკან დავდევ,
სიტყვის ომია და უნდა ვყავდე...

* * *

სისხლი შედედდა და დამიგუბდა,
ლექსი სანთელივით შემომადნა,
აღარც მარწუხებით არ ვწუხდები,
ყველა გამოცდისთვის ახლა მზად ვარ....
აზრი მიმოვფნტე ნამცეცებად,
 მოდას ჰყვარებია "გაცეტება"....
ფეხი აუწყვეო - გამეცინა,
ალბათ ვიბადებით ასეთებად...
დროს და ადამიანს ვეურჩებით,
უფრო სხვაგან ვეძებთ გადარჩენას,
აზრებს არ უხდება პოდიუმი...
თორემ მართლა ვეღარ გადარჩება...
ისე აგვირისტე თუ შეძელი,
ხსოვნას მზის სხივებად შემოენთოს,
თორემ დაიმეწყრა სასიტყვეთი...
მგონი თავისთავსაც აღარ ენდოს....
ბევრჯერ მრისხანებამ გადაღალა,
ბევრჯერ სულელურმა წელისწყვეტამ,
როცა დაგვანახებს თავის ძალას,
მერე არა ვთქვათ რომ გაგვიმეტა...
 ლექსი სანთელივით შემომადნა,
აზრი ნამცეცებად მიმოვფანტე,
ისე ჩავიკარგე
სიტყვის ომში,
თავი ვეღარაფერს
ვეღარ ვანდე...
ასე არასოდეს მდომებია,
ისე ვიცინო, რომ სულელს ვგავდე...
 აზრი მიმოვფანტე,
უკან დავდევ,
ნამდვილ სიტყვებს ეძებს,-
უნდა ვყავდე...

* * *

ცას მივაფინე ზამთრის ბლონდები,
ფერთა გამები ავაყვავილე,
ასე სცოდნია თურმე გაზაფხულს,
აღარ ვყოფილვარ
ფიქრის ყვავი მე...
მელანქოლია დღეების ფითრი
კეკლუცი
მიდორ-ველებით
ვცვალე,
ამოკვირტდი
და ამოფერადდი,
მამულო ჩემო,
შენ გენაცვალე!

ვნების კვირა დიდი ხუთშაბათი

ჩუმად,
ჰო,
მართლა, ჩუმად,
თუმცა,
ისედაც ყრუ ვარ...
ადამიანთა მოდგმის
"სიმცირემ"
გამაბრუა!
არ განვიკითხავ ვინმეს,
თავად ცოდვებში
ვცურავ,
მიწას ზეცამდე ხეთქავს,
სულში რომ ხავის ტურა...
ეკლებად მაყრის განცდა,
ვწერ,
შემეშალა, თუ რამ,
უზალთუნებზე ვყიდი,
ზეციდან მოსულ სტუმარს!
ჩუმად,
ჰო,
მართლა,
ჩუმად,
თუმცა,
ისედაც ყრუ ვარ...
შენ ფეხი მბანე,
მე ,კი,
სული მივყიდე "თუმანს"!
შენ ზიარების მადლით,
მაინც ამივსე უბე,
თვალს ვერ ვუსწორებ
იმ თასს,
სისხლს მიშრობს, "სისხლის
გუბე"!
დიდო სერობავ ,უფლის,
დღევ,
სულიწმინდის მეკვლევ,
სამმზის ნათებავ ჩვენო,
სამგზის მწყალობელ
გვექმენ!

ასე ყოფილა...

სადღაც დავკარგეთ ზურგის ქარი და
ადამიანი ღვარცოფიანობს,
დედაბუნებამ
წყლები დაღვარა",
ჩანს ემზადება სამშობიაროდ...
ვერ გააყოლებს გაზაფხულს მეწყერს,
გაკვირტდება და შვილებს დაისევს,
ჩვენივ გულისთვის სასძლოდ შემოსავს,
ჩვენით ნაწვალებ
აპრილ-მაისებს!
ასე ყოფილა,
საუკუნეთა
ჟამთაცვლის ფერებს
ვერ
ვითავისებთ,
ცასა და მიწას
მანძილით ვზომავთ,
აისის ნათელს ვატანთ "დაისებს..."
ღვთისგულისათვის
ადამიანო,
-შენც იყვავილე,
გაიმაისე!

ბზობა

მზე უცნაურად დაგვნათის,
ცამ
"უცხოდ "
მოგვისაკლისა,
დავმდგარვართ ხელაპყრობილნი
ლოცვად და შესბრალისად....
ისევ წაგვძლია სულმა და
ხიბლით სიცოცხლე "დაგვეფსო,"
აბგას ,უფლისგან ნაჩუქარს ,
ვძარცვავთ ,
ნაცვლად რომ აგვევსო...
ისევ დიბა და ატლასი,
თაროზე წიგნის "თარაზო",
-(ისევ დავიწყოო ჩამოთვლა,
წუთისოფელო- მარაზმო)...
ოღონდ სხვის თვალში "მაღალი"
ნიში ,წოდება გვქონოდა,
მხოლოდ
ი ს ე რ თ ი,
ღიმილით,
ჩვენს ნაცვლად ჩვენთვის ომობდა.
ვერგახელილი თვალების
მზერას ჩირგვებში ვმალავდით,
ადამიანის დანახვა არ გვსურდა,
ჰო, იმ წამამდე,
-სანამ ემოსა ჯვალო და სანამ ქადაგად
დავარდა.
აჰა,"ლაზარეს "აღადგენს
და ხმა იმ წამსვე გავარდა,
ამქვეყნიური დიდების მეფედ შევრაცხეთ,
არადა...
დღესაც ვინ ვიცით
"დიდებას"
ცრემლებით რატომ ნამავდა?!

* * *

დღეს - 23-03-ია
ოცდასამი წლის...
ისევ ვერ
ვმარცვლე თბილი ხმები,
თბილი რითმებით...
სიმართლის ვენახს
აღარ შერჩა
საპალნე რქები,
"იუდას ამბორს"
"ანგელოზის"შეესხა ფრთები.
ვართ სიცრუეში, ვგენიოსობთ მაღალი ხმებით...
შარლატანობა იურვება
დიდება-ქებით,
"თვითგამორკვევას "გვკარნახობენ,
ნეტავ რა გვჭირდა...
ან "გასარკვევი" ბილიკები საით მიდიან,
მეხამრიდებად
კანონებიც ვერ გამოდგება,
უსამართლობა სამართლისა ისე დიდია...
მე გასავლელი ჩემი მხრებით გამოვიარე,
დღეს "ნაკარნახევ" გზაზე დგომას ვეღარ ვიგუებ,
"მეხსიერების ბარათივით"
ვერ ვიგულებ,
ვერ ამოვწურავ,
ქართულს
ძარღვებში
სიყვარულის მტევნებად ვწურავ,
სიყვარული კი
ღ ა ლ ა ტ ი ს თ ვ ი ს ყველა კარს ხურავს!
მოყვასო, მიცან,
იმ გენის ვართ მატარებელი,
სამშობლო რომ გვაქვს ხელისგულზე სატარებელი!

სამშობლო მწყურია...

მიხვეტილ ფოთლებად შემოვრჩით,
ჩვენ ქუჩაბანდების გზაწვრილებს,
ამეწვა ხრიოკი ფერდები,
ცის კარო,
დაგვნამე,
გაწვიმდეს...
ალბათ მზეც დავღალეთ,
აღმართებს,
უმზეოდ,
ჯიუტად ვაბიჯებ,
ასლები, "შავთეთრი " ასლები,
ნამდვილებს გვაჩეჩებს "კატრიჯებს"....
ბრმები ვართ ,
წაკითხვა რად უნდა,
სულში გვყავს
"ნაფიცი მსაჯული",
ვთამაშობთ გონგით თუ ჩაქუჩით,
დავეძებთ "უენო საჭურისს..."
სხვაგვარად,
აშლილი ვნებები,
არ ცხრება,
-ურჯულოს,
რჯულია...
ამეწვა ხრიოკი ფერდები,
წ ყ ა ლ ს მ ი ა ქ ვ ს ...
-ს ა მ შ ო ბ ლ ო
მწყურია!

მალვინა ჭელიძე

თუ ვერ გაიგე

თუ ვერ გაიგე ქალისა
მზის სხივის შესადარისა,
ბაღებში ვარდად გაშლილი
ხან მგზავრი არის ქარისა.
დადის ვით მთვარის აჩრდილი,
დარდებით ღამეს დანისლავს,
და მაინც ძალზე დაღლილიც
იმედით უმზერს დაისსაც...
უმთვაროდ მოხეტიალე
ფოთლების კაბა ჩაიცვამს,
მარტის ქარებად ტრიალებს
და ჰყვავის ედელვისად.
ლამაზად აცეკვებული
მისი სიტურფე, ქარიზმა...
მკერდზე მზის სხივი უბრწყინავს
იავარდებად ჰყვავისა...
ქარებზე აცეკვებული
ლამის ზეცაში აიჭრას,
ბულბულად ამღერებული
უფალმაც ბევრჯერ დაიცვა.!

ემიგრანტის გზა!

უბრალოდ,წასვლა არის ადვილი,
არ კარგავ იმედს, სულის მხნეობას...
თუ არ გათვალე დრო და მანძილი,
დასაბრუნებლად დრო არ გეყოფა.
იმ გზაზე წასვლას თუ დააპირებ,
უცხო ღრუბლების ხელით შეხებას
ნუ შეეცდები, ნურც გაიოცებ...
დარდად, სამშობლოს მიწაც გეყოფა...
გაორებული მიჰყვები ნისლებს,
ტოვებ ყველაფერს, მას, რაც შენია...
უდაბნოს გზაზე ნაბიჯებს ითვლი,
იცი, რომ ეს გზაც დასათმენია...
აგედევნება უცხო აჩრდილი,
გადაეშვები სადღაც მორევში,
ეძებ სიმშვიდეს დარდმორეული,
და ვეღარ აგნებ სიმარტოვეში...
გაშლილა სივრცე შენი სავალი,
მთავარი არის მშვიდად იარო,
უფალს მოუხმე შენთან საშველად,
სხვისი სული არ დააზიანო.
არ არის დროსთან ბრძოლა ადვილი,
გვერდს ნუ ჩაუვლი ცივად მეგობარს,
თუ ყოვლისშემძლედ გაქცევს უფალი,
ნუღარ დაიწყებ დროსთან მეფობას!
გათვალო უნდა დრო და მანძილი.
ადამიანში ბევრი მტერია,
ნდობა, რომელიც ძალზე ძნელია
ოი, რა ძნელად გასარჩევია.
ცრემლი დამალე, დარდად დაღვრილი,
რომელიც ღამის ფიქრებს სჩვევია...
გულს ეფინება, როგორც მალამო,
ხშირად ღიმილსაც რომ დასდენია...
ნეტავი რაა ცხოვრება ჩვენი,
უცხო მიწაზე ვეღარ ვმაისობთ,
ემიგრანტობის გაცრეცილ წლებთან,
სევდიან წლებთან, ვეღარ ვხალისობთ.
შეჩერდი,სანამ არ არის გვიან,
ნუ ჩაიბნელებ სიცოცხლეს მზიანს,
დრო შეგიტყუებს,წლებს ვერ დაითვლი,
ახალგაზრდობაც მიჰყვება ნიავს.
ამ გზაზე წასვლას თუ კი გადაწყვეტ,
თეთრი ღრუბლების ხელით შეხებას,
უნდა გათვალო დრო და მანძილი,
დროსთან ჭიდილში, დრო ვერ გეყოფა.!!!

იმედი

ცამ საკინძე შეიხსნა,
მზე სხივებად აფრქვია.
ზღვამ ყინულის ლოდები
თავსასთუმლად არჩია.

ჩაყვინთულმა ფსკერამდე
უცებ ამოანათა,
ეძებს ოდეს რაც ჰპოვა,
რასაც გულში მალავდა...

ცის სარკმელის კარიბჭე
ნატვრისფერად რომ ინათებს,
ითვლის მდუმარ ნაბიჯებს,
დარდშემოსილ მინანქრებს.

დღეკი იმედმოსხმული,
ათბობს ღამის ბილიკებს...
ზღვის ტალღებსაც მოივლის,
მთებშიც გაიჯირითებს!..

სადაც სიკეთე...

უფლის სახლია, სადაც სიკეთის
და სიყვარულის კვალი ატყვია,
ლამაზ ფერებად მოქარგულ მდელოს,
ცისარტყელები გარს რომ არტყია.
უდაბნოს გზაზე, მგზავრის ლოდინში
პატარ ქოხი მზემ რომ არწია,
მადლი სინათლის მოედინება
შიგ სიყვარულის კვარი ანთია!
ყველა სიკეთე, ნერგად დარგული,
გაშენებული დიდი ბაღია.
სიხარულის და შვების მომტანი
მხოლოდ და მხოლოდ უფლის სახლია!

დუმილი მწველი ფიქრებით იწვის,
ყველა სარკმელი მზის სხივით ბრწყინავს!
ნუ ჩაურაზავ სიკეთეს კარებს,
სანამ ჯერ კიდევ არ არის გვიან,
სადაც ღმერთების არის საუფლო
და ბილიკები გიკვლევს წყვდიადს,
და თუ მოარგებს ბედის გასაღებს,
მის სამყაროში დაიდებ ბინას.
სადაც სიკეთემ გაიდგა ფესვი,
იქ სიბოროტემ გაცლა არჩია...
მგზავრი,რომელიც რწმენის გზას ირჩევს
იქ ყველგან, ყველგან უფლის სახლია!!!

ხვიჩა ჩვენი ხარ!

ქართული მუხის ფესვებს შეზრდილო,
ქართული მოდგმის, ჯიშის, გენის ხარ,
ასიათასი ქართველის გულის,
დაღლილი სულის გადამრჩენი ხარ.

გასცდა არეალს შენი დიდება,
მადლობა უფალს ქართველი გქვია,
ნაპოლის ცაზე იმედად ბრწყინავ
და სიყვარულით დაიდე ბინა.

სამყაროს ქარგავ ლამაზ ფერებში,
თითქოს, გაფანტე ღრუბლები ცაზე,
გზები გაკვალე გაუკვალავი,
დრო დაბინდული ააჩირაღდნე.

უფლის წიაღში დაბადებულმა
შენი ცხოვრება უფალს მიანდე,

სიამაყე ხარ, მზის გულა ბიჭო,
რამდენი დედა შვილად გინატრებს.

მზის სხივებს ისე აეთამაშე,
ქართულ ჰანგებზე იღვიძებ დილას,
იტალიაში უფლის განგებით,
შენი ვარსკლავი კაშკაშებს, ბრწყინავს.

ზეცაც კი გრგვინავს, როცა ნაპოლი
ერთხმად გასძახის კვარაცხელიაა
ჩვენ კი ქართველი ემიგრანტები,
გულს ვიმშვიდებთ რომ კვარა ჩვენია.

ქართული მუხის ფესვებს შეზრდილო,
ქართული მოდგმის,ჯიშის, გენი ხარ,
გათენება ხარ, ცისკარი დილის,
ვამაყობთ შენით, დიახ, ჩვენი ხარ!!!

მარეხი რიკაძე

წუთისოფელი

რა არის წუთისოფელი,ვერ გამიგია მისიო,
ზოგისთვის გოლგოთა არის,
ზოგისთვის ბენეფისიო!
ახლა დარდები მაწამებს,
სულში ბობოქრობს გრიგალი,
შავი ღრუბელი დაგვადგა,
ღმერთო, დაგვწერე პირჯვარი,
ვერვინ მიხვდება გარედან,
როგორ მძვინვარებს გულიო,
იმ ჩემი სოფელ-კუთხიდან
ნერგი ვარ გადარგულიო,
თითქოს ყოველდღე მაცლიან
ნაფლეთებადა სხეულსა,
მე ვერ გავიგე რა უნდა,
საწუთროს გადარეულსა,
სიკეთის მთესველს ცხოვრება
რატომ ექცევა ტანჯვადა?
რატომ ექცევა სიკეთე
ფუჭად და უქმე გარჯადა?
ბოროტს და ცუდის მთესველსა
რად უდგას კარგი დარიო,
რატომ ღიღინებს იმისთვის,
ჩონგურია თუ ქნარიო?
ღმერთი რომ ყოვლის შემძლეა,
ეჭვიც არასდროს მქონია,
მაგრამ ცხოვრებას ვერ ვუძლებ
სისხლს მიშრობს მელანქოლია!

ჩემი სოფელი

წამოდი ერთად ჩავუქროლოთ ხვანის მთაგორებს,
იქ ყოველივე ჩემს სიზმრებში ედემს მაგონებს,
ერთად ვიაროთ გაზაფხულის ცვრიან ბალახში,
და ნაწვიმარზე ვიხტუნაოთ ხვანის ტალახში,
იქ ხომ ჰაერი სხვანაირად გვიბერავს ფილტვებს,
იქ ხომ ქარები მისტიურად,ხვანურად გვიტევს!
იქ ხომ სულ სხვა ალიონი,შემობინდება,
სული და გული სასწაულად რომ იწმინდება,
იქ სახტრიგანში როცა მთვარე სერობას იწყებს,
ისე ლამაზად მოსჩანს ხვანი,ვერ დაივიწყებ!
აკოკრილ მთებზე სასწაული მოსჩანს ბუნება,
აქ ყველა ბუჩქი სიყვარულზე გვესაუბრება!
კორტოხის მთიდან საამაყო მოსჩანს სოფელი,
მოტრიალდები,აქ რომ იყო ავადმყოფელი,
გადარმა ხვანში ძველ ციხესთან რომ შეჩერდები,
წარსული როგორ გაგიელვებს მაშინ მიხვდები,
წამო სანთელას კალოებზე შევკრათ კამარა,
ზოგჯერ ნახირში დავრჩენილვართ ხემსის ამარა,
აღმართს ავუყვეთ მოსულაო სოკო ყელამდე,
არ დავიღლები რომ ვიარო აქეთ ყველა დღე,
ივანწმინდასთან დავასვენოთ სულის მერანი
და გავიაზროთ როგორ რბიან ბედისწერანი.
გრძნობის ზედაშე ჩამოვუსხათ ყველა გზად მოსულს,
სულის აკიდოს მივაყოლებთ ჯოხზე წამოცმულს,
მერე შენს ოდას მიაშურე დანაყრებულმა,
შენს სამოთხეში ბოდიალით გაჯერებულმა,
დედის სახლი ხომ სხვანაირი სითბოთი გელის,
სულის სიმებზე ყველაფერი სხვაგვარად მღერის,
იქ ლამპის შუქზე სხვანაირად ჩქეფდა სიცოცხლე,
ეს არასოდეს მავიწყდება როცა ვიცოცხლებ,
იმ ლამპის შუქზე უფრო ქონდა ცხოვრებას ფერი,
უფრო ფერადი ჩანდა მგონი იქ ყველაფერი,
ახლა კი ვხედავ უფეროა წუთისოფელი,
უფრო და უფრო მარტოვდება ჩემი სოფელი,
მაგრამ იცოდეთ სულ სხვა არის სულის ყივილი,
ბევრჯერ სიზმარშიც ჩაგესმება სოფლის ტირილი,
ოდეს მიხვდებით რომ ესაა სულის საუფლო,
რომელზეც ცრემლი მოგერევა როცა საუბრობ,
ნავთსაყუდელი რომ ესაა ჩვენი სულისა,
დიდი კოცონი რომ ესაა სიყვარულისა,
მშობლიურ სოფელს არ სჯობია არცერთი მხარე,
მშობლიურ ოდას,
სადაც ლაღად გიღიმის მთვარე!..

****

მთლად აილეწა მთაბარი როგორც
ნაზი ქალწულის მკრთალი ლოყები,
ეს ის დრო არის მძიმე წარსულზე
ჩამოჯდები და ამბავს მოყვები...
საღამო იწყებს ჩოხის ჩამოშლას,
კვამლი ბუხრიდან თითქოს ნართს ახვევს,
მერე მიგიწვევს სიზმრად მეზღაპრე
ლამაზ სიზმრებით თავბრუს დაგახვევს,
ისე,რა არის ზოგჯერ ცხოვრება,
რა ბედნიერი ხდები წამიერ,
ზოგჯერ ეს წამი უდრის ცხოვრებას,
გამახსოვრდება მრავალჟამიერ!
ყველა სიმღერა და მელოდია,
შენთვის შეიქმნა ასე გგონია,
ზოგჯერ კი ფიქრობ ასეთი მძიმე
წამი არასდროს არ დაგდგომია,
ხოგჯერ ადიხარ ცისკენ კიბეზე,
ფრთები შეგასხეს ისე დადიხარ,
მაგრამ ისეთი დროც დაგვდგომია
მოსიარულე სევდა,დარდი ხარ,
და აჰა,კოცონს ანთებს ფიქრები,
ღამეს საგზალი აუკიდია,
შენ დარდიანობ,რამეს განიცდი,
სულ არ ადარდებს,ფეხზე ჰკიდია,
უნდა ჩაერთო მაინც ფერხულში,
უნდა იცეკვო იმის დაკრულზე,
სანამდე თეთრი რაშით ცისკარი
შემოაგელვებს კარების ზღურბლზე,
და მაშინ ტახტზე ავა აისი,
ღამეს კი სხვა გზა აღარ დარჩება,
გადაინაცვლებს მწუხრის ქვესკნელში,
ჩვენს საწამებლად ვეღარ გაჩნდება,
აყვავილდება მალე მთაბარი,
სერებზე ლურჯი გაჩნდება ია,
ბედნიერება კარდაკარ დადის,
კარებს ნუ კეტავთ,დატოვეთ ღია!..

******

სულს არც ჭაღარა აქვს და არც ნაოჭები,
სულის საუფლოში მხოლოდ დარეგია,
მაგრამ სული ხვდება რაც ამ ქვეყანაზე,
ვინმეს უტირია,ვინმე ჰყვარებია..
სული ვერ მოიყვანს იას და ენძელას,
შენ უნდა აყვავო სულში ყვავილები,
იგი შეაგროვებს თუ რამ გაბადია,
შენში გამომდნარი ოქროს ნაწილები...
სული ალალია,სული სპეტაკია,
სუფთა ჭურჭელში გვყავდეს მოწიწებით,
და გავაძლიეროთ დიდი სიყვარულით,
უფლის მადლითა და უფლის მოშიშებით!..

გიგი თეთრაძე

ჩემი მზე

ამინდი იყო საოცრად მშვიდი,
სოფლად მივედი და მზე არ დამხვდა,
ღრუბლებს იქითაც,მხოლოდ ცა ჩანდა,
რადგან ჩემი მზე ქალაქში დარჩა.

მარტო ვარ,სიოს ვესაუბრები,
ჭორებს მიყვება სოფლის,
რა მცირედია ცხოვრების გზები
უკან მოსახედად დროც არა გვყოფნის.

სითბომ მოტეხა მკაცრი ამინდი,
გაყინულ ძარღვებს დაუვლის მალე,
დღეს მენატრები,დღეს მინდა შენთან
შენ კი ჯიუტობ, ხვალ იყოს, ხვალე.

სოფელი იყო საოცრად მშვიდი,
ცას გავცქეროდი, მზე კი არ ჩანდა,
წამით დავფიქრდი და გამახსენდა
ჩემი თბილი მზე ქალაქში დარჩა.

* * *

თუკი სადმე წახვალ
წამიყვანე მგზავრად,
უკან გამოგყვები
და არ წავალ არსად.
თუკი დაიღლები
წამოწვები ტახტზე,
ჩუმად მოვალ შენთან
და გაკოცებ თავზე.
როცა ჩაფიქრდები
მარტოობას არჩევ,
ფიქრებს მიეცემი,
ფიქრის ხეებს არხევ.
ზურგს მე გაგიმაგრებ
გიდარაჯო უნდა,
გულში ვიტყვი ასჯერ
მეყვარები მუდამ.
ღამით, როცა ძილი
წაგაბრძანებს სიზმრეთს,
მე ვიქნები ფხიზლად,
რომ შევიცნო სივრცე.

სივრცე სადაც სუნთქან
სადაც გული გიცემს,
სადაც შენი ხმები
ყველა კუთხეს იცმევს.
მე ვიქნები ფხიზლად
თავს დაგადებ მკერდზე,
ყველა ამოსუნთქვას
ვიწერ გულის ფსკერზე.
თუკი გაბრაზდები
აიხირებ რამეს,
მე მოგისმენ მშვიდად
დაგიკოცნი თვალებს.
შენთვის მინდა რაც მაქვს
ისიც რაც არა მაქვს,
შენი გაღიმება
არავისას არ ჰგავს.
თუკი სადმე წახვალ
წამიყვანე სტუმრად,
უკან გამოგყვები,
მეყვარები მუდამ.

ქრისტე ღმერთი

ერთხელ ქრისტემ გადაწყვიტა
წავალ ჩემს ხალხს ვნახაო,
გლახის ძონძები მოიცვა
და დაადგა გზასაო.

ერთ მდიდარ კაცს მიაკითხა
ოქრო,ვერცხლით განთქმული,
არაფერი არ ადარდებს
ქეიფშია გართული,

თუ ღმერთი გწამს შემიცოდე
შორი გზიდან მოვდივარ,
ერთი პური მიწილადე
დაქანცული მგზავრი ვარ.

მდიდარმა კაცმა შეხედა
მამის მკვლელი თვალებით,
გადი,მომშორდ,გაიგონე!
მე არვის მაქვს ვალები.

უფალს გული აუჩუყდა
თვალზე ცრემლი ჩამოწვა,
მაინც იმედით აღივსო,
ბაგით ლოცვა წარმოთქვა.

ცოტაც კიდევ გაიარა
სოფლის წყაროს მიადგა,
ჩუმათ ხალხი ჩურჩულებდა,
მათხოვარი გვეახლა.

წყაროს წყალი პეშვით მასვით
შორი გზების მგზავრი ვარ,
სულს მოვითქვამ ორი წუთი,
გაღმა სოფელს გავდივარ.

ზოგმა ყვირილი დაიწყო,
ზოგმაც ზურგი აქცია,
ზოგმა სიცილი დაუწყო
ძონძები რად გაცვია?

დამცირებული გაშორდა
ფარისევლებს, ორპირებს,
უფლის გული მოწყალეა
მათ დასჯას არ აპირებს,

გზას გაუყვა ეკლიანს,
თითქოს იმედიც ქრება,
გაიფიქრა ტაძარს მივალ
იქ ყველა ჩემთვის დნება.

ტაძრის ეზოს შეკრბილან
ქრისტიანი კაცები,
ერთ ხელში დიდი სანთლებით,
მეორეში ხანჯლებით.

მოძღვარი ლოცვებს კითხულობს
და შესაწირს აგროვებს,
მზის ჩასვლისას შესაწირით
ბატკანს თავს გააძრობენ.

"გლახაკის" ჯერიც მოვიდა
 შესაწირი მოთხოვეს,
სული თუ გინდა გიცხონდეს
ჯიბეს გროშებიც გქონდეს.

წამოვიდა ქრისტე ღმერთი
ასე შეუცნობელი,
თვალზე ცრემლი ეფინა,
ცრემლი შეუშრობელი.



იზოლდა მოშიაშვილი

დღეს მსოფლიო მნიშვნელობის დღეა. ჩვენი წმინდათა წმინდა ქალაქის, ერუშალაიმის დღეა. ერუშალაიმი განა მარტო ისრაელის დედა ქალაქია, არამედ მსოფლიოს მამოძრავებელი ღერძია. ეს სიძლიერე არ მოგიშალოს ღმერთმა ჩვენო წმინდა ქალაქო.

ერუშალაიმს

ერუშალაიმ, წმინდა სანთელო,
დედა ბოძო და დედა მთავარო,
ერთა მფარველო, სტუმართმოყვარე
შენ საფიცარო ყველას მშობელო.

შენს ყოველ კუთხეს სათუთად შევცქერთ,
შევცქერთ ნაომარს და სისხლით მორწყულს,
წინ წაგვიმძღვარე შენი ლოცვანი,
ერუშალაიმ, შვილთ შენთან მოსულთ.

ღმერთის რჩეულო, მიწავ ნაკურთხო,
ზღაპრად ქცეულო მემატიანევ,
კუბოს ფიცარო და ფიქრთა ხროვა,
მარად მებრძოლო, გმირთა სავანე.

ძვლებით ნაგებო, ფუძე მაგარო,
ბეთამიკდაშო ცრემლით ნაბანო,
მესაიდუმლევ, დიდო უკვდავო,
ჩაუქრობელო შენ კელაპტარო.

სინაის მთაო უკვდავმყოფელო,
ცეცხლით ნაკვეთო მოშეს მცნებანო,
არად ქცეულო და კვლავ აღმსდგარო,
მამა-პაპათა შენ საფიცარო.

ფარო დავიდის ძირს დაუხრელო,
ომის ქარ-ცეცხლში გამობრძმედილო,
ერუშალაიმ დედა ქალაქო,
წარბშეუხრელო, მარად მედგარო.

ერუშალაიმ, შენ ქვაკუთხედო,
მტკაველ მიწისთვის თავდადებულო,
იყავ ძლიერი და ქედუხრელი,
იუდეველთა დედა მშობელო.

რომან ღლონტი

შიში

სიცოცხლეს ჩალის ფასი დაედო,
სიკვდილს ვაღმერთებ ვით ნეტარებას
და გაწამებულს ვით ჯვარცმულ ქრისტეს,
გულს სიხარული არ ეკარება.
აზრი გაწყდა და სიცოცხლის ძაფი
გაწვრილდა როგორც გაწვრილდა გული;
სანამ ვიარო ყველა ღმერთისგან
მივიწყებულმა -ასე დაგული..
როდემდე ვზიდო ვით წამებულმა,
ცხოვრების გზაზე მწვავე ფიქრებით
ვაჰმე და,.. ნუთუ სულ მალე, მალე
მხოლოდ სიცოცხლის ჩრდილი ვიქნები.

ოდა არ ყოფნის ელჩს

ფანჯრის მინაზე წვიმის წვეთები
აკაკუნებენ და ანცად ხტიან;
ვიცი რომ სადღაც შემეფეთები,
მაინც გიხილავ ადრე თუ გვიან.
სარკმელთან ტოტი მიჩრდილავს ნათელს
და მისი ჩრდილი მუქი შავია!
ზოგისთვის ბედი აანთებს სანთელს,
ზოგისთვის ავის წინამძღვარია.
არაფრისაკენ მსრბოლავ ეტლს მიაქვს
ჩემი ფიქრები და ოცნებები.
ფეხს ვითრევ, მაგრამ ჩემს უნებურად,
მინდა, არ მინდა, მაინც ვნებდები.
შენ მოაგელვებ არყოფნის რაშებს,
უსასრულოა ეს შენი სრბოლა;
ვიცი რომ სადღაც მეც შემეყრები,
შენთან შეხვედრის ამიტანს თრთოლა.
რაღად მოვედი, ვინ მომიწვია
და თუ მოვედი, რაღად მივდივარ!
აღუვსებელი ვარ საწყაული,
სულში ქარია,თავად ბინდი ვარ!
გარდუვალია შენთან შეხვედრა,
დრო წარიტაცებს უმწვავეს ფიქრებს.
სულში სიმშვიდე დაისადგურებს,
ნირვანა ზეობს და ძალას იკრებს.
ვიცი რო მალე შემეფეთები,
მეც ვეშურები შენს შესახვედრად
მარადისობის ცელს მომიღერებ
და ცივ სამარეს მარგუნებ ხვედრად!
გულში ჩამიკრავ და ამათრთოლებ;
ტანთ სუროსავით შემომეხვევი!
ყველასგან დევნილს , ეულს, მარტოსულს
დამიტირებენ მხოლოდ ვერხვები!
მადლობას გწირავ,რომ მოისწრაფვი
რათა მოჰმადლო ჩემს სულს სიმშვიდე!
მეყო რაც ქვეყნად ვიფორიაქე
და უნებლიე მე ტვირთი ვზიდე!

ლეილა ვადაჭკორია

აღმაფრენა

გადაუქროლა ქარბორბალამ
მინდვრის ყვავილებს
და ღვთის ნახატებს აუწეწა
თავსაბურავი,
ცაში ეულად მოფარფატე
გვირგვინის ფურცლებს,
თვალი ვერ ვწიე, ჩუმი სევდა
მომწვდა გულამდი.
დაცხრა ქარბუქი, აღარა ჩანს
ღრუბელი შავი,
კვლავ მოიჩითა ყვავილებით
მინდორი – ველი,
ხეებზე ახლად ამოქოჩრილ
ნაზ ყლორტებს სიო
ეალერსება და სიცოცხლეს
სიშლეგეც შვენის.
ნეტავი ასე შენს გულშიაც
გამოიდაროს,
კვლავ იყვავილო, კვლავ სიცოცხლის
დატკბე ნექტარით,
ნახე, ჩიტები ჭიკჭიკებენ
დაფრენენ ლაღად,
შენს აღმაფრენას მომასწრებდეს
ღმერთი ნეტავი.

***

სიყვარულს კვება ჭირდება
როგორც მზის სხივი ყვავილებს,
გვალვაში წყალი მიუსხა
იზარდოს რომ არ დაკნინდეს.
სიყვარულს უნდა იცავდე,
არ მოერიოს ავსული,
ცივ ნიავს არ აკარებდე,
უბეში გყავდეს ჩასმული.

***

უფალო, ისევ შენს სახლს ვეფარვი,
გარეთ კი ისევ მაცდურად ელავს,
ისევ ცოდვილი შენდობას ვითხოვ,
შემინდე მოდგმას ადამ და ევას.
მომეცი ძალა რომ მოვერიო
ცდუნებებს ამდენს, ჭრელსა და ფერადს,
მოვიწევ შენსკენ, თუმცა ვერ გწვდები,
გარეთ კი ისევ მაცდურად ელავს.

ტერენტი გრანელს

თითქოს გხედავ
იებით
მიუყვები ქუჩებს,
ქარი შარახვეტია
უდარდელად უსტვენს.
შენ კი დარდი, სევდა
სულ ფეხდაფეხ
გდევდა,
ღია ცის ქვეშ ლექსებს
ერთად წერდით
ნეტავ?
როგორ დაგეუფლა
სულში ჩუმი სევდა,
ან სიმარტოვისთვის,
შენ ვინ გაგიმეტა?
როცა ღვთისმიერი
არის სიტყვა შენი,
როცა მთელ სამყაროს
ასე ძლიერ შვენის!

მაინც გიწამე

შენი თვალები
ისევ მიხმობენ,
იმედით მავსებს
ღიმილი შენი,
ამ გზასაც შენი
ელფერი დაჰკრავს

შემომაშველო
იქნება ხელი.
იქნებ არც არი
ღიმილი წრფელი,
ასე რომ მხიბლავს,

ასე რომ გშვენის,
მაინც მივენდე
მღელვარე ზღვის ფერს,
მაინც ვიწამე
ძვირფასო შენი.

***
არც ისე
ნაუცბადევად
არც უსასრულო
ფიქრი,
ნუღარ ორჭოფობ
თორემ დრო,
ხომ ხედავ
როგორ მიქრის.

***
შენ რა გითხარი
იღბალო,
ზოგჯერ უაზრო
გამრიგევ,
ვინც ცარიელი
გულია,
იმას რომ ფეხქვეშ
გაიგდებ.

***
ნდობამ ღირსება
შეგმატა,
ირწმუნე შენი თავის.
ნუ გეშინია, ცხოვრება
კიდევ ბევრ რამეს
გასწავლის.

***
მიტინგებმა თავის დროზე
მოიხადეს დიდი ვალი,
ახლა იმის დროა ხალხო
ნარგავს რომ მივუსხათ წყალი.
გავუმაგროთ ფესვი ისე
გადაურჩეს ყველა რისხვას,
იყვავილოს მომავალში
და ნაყოფი გამოისხას.
ყველამ როგორც შეგვიძლია
ვიშრომოთ და ვიგურგულოთ,
მტერი კი არ გავახაროთ
ჩვენს სამშობლოს ვუერთგულოთ.

***
მზე როცა გადიწვერება
დასალიერს რომ
გადაკვეთს,
მეც გამიტაცებს შორეთში
მანახებს უცხო სანახებს,
რითმებში გავნებივრდები
ლექსად ამოვთქვამ
ნაფიქრალს,
სულ ერთიანად ჩამოვფქვავ
რაც რომ აქამდე არ მითქვამს.

დიდი სოფელი

ვინც შექმნა ვაზის ჩუქურთმა
ვინაც დახატა სამყარო,
დახატა დიდი სოფელი
მიწა შავი თუ აყალო.
მთა-ბარი, ბუჩქი, ბალახი,
ხეები, ქვები მდუმარე,
ტბები, ზღვა, ოკეანე, თუ
მდინარეები მქუხარე,
უყვარს და ბედნიერია
სულ გადასკვნილან ერთმანეთს,
ალაგ კი ქალაქელობენ
სოფლის ჭირ-ვარამს კემსავენ.

ნანა გიგუაშვილი

უფლის იმედით

და თუ ჩვენამდე ჩვენში იყო
ამხელა ძალა
სადღა წავიდა, რამ გააქრო,
რამ გადაძალა?
თავისუფლების ხილვის ჟინი
კვლავ მომეძალა,
უფალო ჩვენი გადარჩენის,
მოგვეცი ძალა!
ჩვენ გამარჯვება გვინდა ახლა
ომის გარეშე,
ცოტანი დავრჩით, ვერ გავუძლებთ
მტრების თარეშებს.
შეგთხოვ დაგვლოცე, არ დაუშვა
თავქვე დავეშვეთ
არავის ახსოვს ქართველებზე
ხელი გაგეშვეს.

დროის ბორბალი

ვდგავართ და ვტკეპნით ნაფეხურს,
აღმართი ვერ ავიარეთ..
დღეს ის აღმართიც დაბეგდა
ჩვენ რომ ვერ გადავიარეთ.

რაც დავრჩით მტრებად ვიქეცით
მტვერი მიყვება ნიავებს
ქვეყანას მანამ ვუშველოთ,
სანამ სხვა გაანიავებს.

ბედის ბორბალი კი არა,
დროის ბორბალი ტრიალებს
ის ცეცხლი აღმოვაჩინოთ
უფლის სიტყვად რომ კრიალებს.

დამაგვიანდა

დამაგვიანდა, რაღაც გამომრჩა
სადღაც გავჩერდი, სადღაც ჩამოვრჩი
სხვათა სიცოცლის გადასარჩენად
ჩემი წინსვლების თარიღს გამოვრჩი.

იყო დარდი და იყო დუღილი,
დაუღვინებლად გადაძმარებაც,
ჩემი ლექსების ცეცხლში გიზგიზი...
მერე ეშმაკზე გადაბრალება.

ბევრი სიკეთის სამაგიეროდ
უმადურობაც იყო მრავალი
არ გავბოროტდი, რადგან ჩემს გულთან
უფალი იყო შუამავალი.

სულ არ მინდა ბევრი

სულ არ მინდა ბევრი,
სახლი მქონდეს ხისა,
ზარი რეკდეს ჩვენი
კვირაცხოველისა,
წყალი შევსვა ცივი
ჩემი ეზოს ჭისა
ამარიდა ამდენ სადარდელს
და ჭირსა...
იდგეს ჟამი ხორბლის
თავთუხების მკისა
და ხარობდეს ნერგი
ვაზისა და ბზისა,
სულს მითბობდეს სხივი
ჩემი სოფლის მზისა
ჭერათხევში ხმები-
მოშრიალე ტყისა
მახარებდეს სახლში
დაბრუნება ძმისა
ჩახუტება დასთან და
წყალობა ღვთისა
მოგონება ჩვენი
კარგი დედ-მამისა
მოფერება მათი
საფლავების ქვისა
სულ არ მინდა ბევრი
სახლი მქონდეს ხისა,
ზარი რეკდეს ჩვენი
,,კვირაცხოველისა"
ყვავილებით მოვრთო
შესალაგი ძვლისა
მელოდება ალში
ჩემი ,, დედაღვთისა."

ამ ცას და მიწას

ზოგჯერ მგონია ქალი კი არა,
ამირანი ვარ კლდეს მიჯაჭვული,
მგონია ისევ კავკასიონზე
წყდება სამშობლოს ბედი ტანჯული...

გულში გმირული ძალა გრიალებს
და გათენება ახლა იწყება,
საქართველოსთვის უკვდავსაყოფი
უნდა დაიწყოს გამობრწყინება!

უფალო სადაც შენით მოვედი,
ამ სიყვარულის შეხება გვიცავს
სანამ სამყაროს ისევ ვეკუთვნით,
სანამ ტრიალებს ეს დედამიწა,

მანამდე მინდა ვიყო მებრძოლი,
და ვუპატრონო ამ ცას და მიწას...
ემიგრანტობა წლებს მინადგურებს,
და უშენობა სიცოცხლეს მიწვავს.

ქართული ენა

დარდი და სევდა ატარე მხრებით,
ასობით წელი გიხუტა ერმა,
შენ უკვდავი ხარ ღვთიურო წიგნო
და კურთხეულო ქართულო ენავ.

ელის მამული ახალ მომავალს
შენი იმედით კოშკებს აშენებს
ჩვენს საქართველოს უფლის ლოცვა და
ქართული დედა-ენა ამშვენებს.

დრო ტრიალდება, ვით კარუსელი,
რჩები ილიად, ვაჟად, რუსთველად,
დრომ ვერ დაღუნა შენი უღელი
მტკიცე ხარ, მყარი, დგახარ უცვლელად.

დედის გულივით ხარ მგრძნობიარე
და სანთელივით ჩვემში ბრწყინვალებ,
ენა რომელიც დიადს აქებს და
ცუდს ხატოვნადაც დააწვრილმანებს.

შენი სიწმინდით გული აღავსე,
მამულს აჩუქე სიბრძნე მრავალი,
შენი მადლია ენავ ქართულო,
ისევ რომ გვნახე წინ მიმავალი!

ერთადერთია

მე ქართველობით სულ ვიამაყებ,
სადაც წავალ და სადაც ვიქნები,
არ მიგატოვებ.. ამ გულით დამაქვს,
ჩემო მამულო შენზე ფიქრები.

წმინდა გიორგი საქართველოა,
ურმის ბორბალზე მკერდდაფლეთილი,
და სასწაულად ისევ უფლისგან
განახლებული და აღდგენილი.

საქართველოა ყველა მებრძოლი,
მტრებისგან ტყვიის მსხვერპლად ქცეული,
დაარსებიდან დღევანდელ დღემდე,
საჯილდაო ქვად გადაქცეული.

ვერ ამოგლიჯეს მკერდიდან გული,
რადგან მის გულში თავად ღმერთია!
ჩემი სამშობლო მთელ სამყაროში
შეუცვლელი და ერთადერთია.

შემომათენდი

შენს ნაღვერდალზე გავღვივდი
მუხის გამხმარო ფესვებო,
ნეკერჩხლის ხმელო ტოტებო,
ხნულში ამოსათესველო.

მიწაში ჩაიზომები
ხეზე ასულო მაღლარო,
მოვალ და გამოგაცოცხლებ
სოფელო, ნამოსახლარო.

უცხო მიწაზე სევდიანს
ფიქრებში შემომათენდი,
მეგონა ლამაზ გაზაფხულს
ღიმილით შემომაფენდი.

ძველიდან ახლით მოვდივარ,
გონებას მიხსნის სამყარო,
ცნობიერების ბორკილი
როგორმე უნდა ავყარო!

წარსულმა უნდა წაიღოს
დარდი, ღამეს რომ ვათევდი,
უფალო შენი დიდებით
ლოცვაში შემომათენდი.

ძველი ლექსები

მიმალულ ლექსებს მზის სხივი უნდათ
და ასე ვკრიბავ მე ფურცელ-ფურცელ
ვით თოვლში სველი წყალთოვის გუნდა
შეყინულია გაზეთის ფურცლებს.

ვკითხულობ ადრე ნაქვეყნებ ლექსებს,
მერე დაკარგულ წლებზე ვბრაზდები
რად გავუჩუმდი წლებია მესხეთს,
თუმცა ამ წლებში უფრო ვფასდები...

მე ულექსოდაც მიმიღო ხალხმა
ლექსის გარეშეც ვთესე სიკეთე,
მერე სიშორით, ტკივილის განცდით
და ამ ლექსებით გამოვიკვეთე.

ჩემს გულის წადილს ისევ გავყვები
და წლების მერეც ვითოვებ ლექსად,
მე მირჩევნია თუნდაც გვიანით,
ყველა მიცნობდეს მელექსე მესხად.

ყოვლადწმინდა ღვთისმშობელო მოგვიტევე

ყველაზე მწუხარე ღვთისმშობლის ტკივილო,
ტანჯვისგან დასერილ სიცოცლის კივილო,
ცრემლებით დახრჩობა არ დაიჩივილო,
შვილის მოკვდინება შვილივით იშვილო,
ხომ გინდა გაძლება?...

მხეცების თარეშში,
ნაწამებ მაცხოვარს ჩახედო თვალებში,
სისხლი მოჩქეფავდა ნაშუბარ მალებში
და კიდურებიდან რკინების რკალებში
ვიდრე ეს გეხილა,
გერჩია მიწობდე,
ძნელია დათმენა, წინასწარ იცოდე...
იდგე, ვერ შველოდე, დარდისგან იწვოდე,
საშველად ხელს ვერვინ ვერ გამოგიწოდებს
(ხომ გინდა გაძლება?...

შოთასებური

არ მივადრი თავსა ვისმე,
ან უფლება რად მაქვს მისა,
სად მეფე და სად მე ვინმე,
მოწიწებით თავსა ვხრისა,
მაგრამ გულმა ასე მითხრა
გაჰყევ დიდი შოთას სხივსა,
აბა მას მე რას შევწვდები,
სადარია მწველი მზისა.
მოლექსე ვარ ერთი ვინმე
მაცქერალი უფლის გზისა
მიყვარდა და ტყვედ შემოვრჩი
დიდი ,, ვეფხისტყაოსნისა"

დღევანდელობა

მინავლებულ ნაღადარში
ცეცხლი ისევ კიაფობს,
სად ფასდება ავკაცობა...
სად კაცობა იაფობს...

რა დრო დადგა, როგორ ითრევს
ამ ერთ მხარეს სასწორი,
აიბურდა ეს ცხოვრება
ამდენი წლის ნასწორი.
ისევ ზეცას შევღაღადებთ,
ახალ ვარსკვლავს დავეძებთ...
ჩვენს გულშია უფლის ბინა,
ჩვენს გულებს არ გავექცეთ!

სატრფიალო

ქალავ სახეზე მოგლანდე
ღიმილი თვალებლიცლიცა,
ამონარიდი გრძნობები
გულიდან გადმომიცვივდა,

შუბლზე კულულმა იმღერა
წამწამი ამიციმციმა

ამ გულმა გულისბაგუნი
მიმატა, არცა იმცირა

ბურანში გამოხვეული
გამომარკვია სიცილმა,
მოვალ და ჩაგეხუტები,
თუ არ მომისწრო სირცხვილმა.

სიყვარული გადაგვარჩენს

თუ ამ სამყაროს არ უშველი
შენი სიკეთით
მაგ ბოროტებით, თუკი გინდა
გული დაბურო,
ნუ შეეხები ავსულობას
ბნელი სხივებით,
არც კი იფიქრო,სიყვარულის
კარი დახურო!
როგორც ეს გული, შავი გულიც
უფლის ხელშია,
შემომიერთდი და სიყვარულს
გვერდი ვუმშვენოთ!
ჟამი მოსულა, გადარჩენა
ისევ ჩვენშია,
შემოტრიალდი, ამ სამყაროს
ერთად ვუშველოთ!

გალაკტიონი

ვერ დაუთმობდა თვის დიდებას
ლექსად მიწერილს,
ვერც ვერასოდეს შეიცნობდნენ
სულს ანატკივარს...
არც არასოდეს მგონებია
დედამიწელი,
გალაკტიონი ეკუთვნოდა
სხვა გალაქტიკას.
ვინ დაიჯერა, რომ უფალმა
ანიშნა მხოლოდ,
და მთელი შრომა კიდობანის
რომ ნოესია? ...
პოეზიაშიც ასე იყო
მგოსნობდა სოლოდ
და თავად იყო დიდებული
ეს პოეზია.

ლექსი

მოდის ლექსი წვიმასავით,
სიტყვას გული უფეთქავს,
სიყვარულით ამოთქმული,
მტერს რომ გულს გაუხეთქავს.

იმ ასტრალში შენ რომ ბუდობ,
გონებით რომ დადიხარ,
ღამისთევის სტუმრობისას
მეც ხანდახან გავდივარ.

მერე მუზის სამოთხეში,
მოლივლივე ლანდი ვარ
და ფურცელზე შავი კალმით
საფეშქაშოს ჩავდივარ.

თეთრი ედელვაისები

თეთრი ედელვაისები მოსდებია კორდებს,
გზად დამშრალი გუბეები სიცხისგან გოდებს,
კლდის ნაპრალში სინანული გაჩენიათ ლოდებს,
რა გაუძლებს ამ ცხოვრების აუტანელ ცოდვებს...

მხარშედგმული სასახლეთი აცილებენ სხეულს,
სული სხივებს გაჰყოლია ნათელსა და მზეურს,
მერე აზრი აღარა აქვს შემთხვევითს და სნეულს,
ჩვენს გულს ვეღარ ავაშენებთ ტკივილისგან ნგრეულს.

ერთი ჯერი მეც მომივა სულის გაყრის სევდა,
სულიერად მეახლება, დამამშვიდებს დედა,
რაც ვიცხოვრე და როგორაც, აიხსნება ღმერთთან...
თეთრი ედელვაისები გამაცილებს კენტად.

ვალია კვაშილავა

წ უ ხ ი ლ ი

ამ ახალ წელს ბევრი რამე მაწუხებს,
ვერ ვიშორებ ყელში მწარე მარწუხებს!
ნატყვიარი შავ ლაქებად მატყვია,
მავთულ-ხლართის ღობეები მარტყია!
ვერ გავიგე ნეტავ ამას რა ჰქვია?!
ჩემი სისხლი, ჩემი ხორცი მაკლია!
მეწვის, მტკივა დაკარგული მიწები,
და სხეული მეთანგება, ვიწვები!
ჩემი ხალხი კეთილი და გულ- შია,
სხვა რა მინდა ბედნიერი თუკია!
მინდა ისევ ძველი ფუძე ფუძობდეს,
გაზაფხული ყველას გულში ბუდობდეს!
მტერსაც მტრობა დაავიწყოს უფალმა,
და იხაროს ერმა თავისუფალმა!
მინდა ისევ ძველი ჭერი ჭერობდეს,
ქალ-ვაჟს ისევ მოკრძალება შვენოდეს!
მინდა ჩემი საქართველო ხარობდეს,
ემიგრანტი დედა აღარ წვალობდეს!
ძველ კერაზე ჩვილების ზრდით შარობდეს,
ქარი ჩადგეს, დარი ისევ დარობდეს!
ქალი-დედა შინ ოჯახში რჩებოდეს,
სიყვარულით მეუღლისთვის დნებოდეს!
ამ ახალ წელს მოეტანოს სიმტკიცე,
ყველა მხრიდან სიხარულებს ვიმკიდეთ!
დიდება შენ! წელო, წელო ახალო,
გელოდებით ეგებ რით გაგვახარო?!
იქნებ ჩვენიც გააბრწყინო სანთელი,
იქნებ შენ თქვა ჩვენი ხალხის სათქმელი?!
წელო, თითქოს დარდიც გადამეყარა,
იქნება შენ გააბრწყინო ქვეყანა?!

ამ ახალ წელს საჩუქრებად გვჭირდება,
სითბო, სიტკბო, სილაღე და სიკეთე,
სულ პატარა ჩიტიც გაგიკვირდება,
ხეზე ბუდეს სიკეთისთვის იკეთებს!.....

სითბოს ვთესდი

ცხოვრებაში მხოლოდ სითბოს ვთესდი,
და სიცივეს არ ვუღებდი კარებს,
არ მაძინებს წუხანდელი ლექსი,
არ მიხუჭავს საძინებლად თვალებს!

მიყვარს ყველა,ყველაფერი ქვეყნად,
ბუნებაში რაც კი სუნთქავს, კრთება,
უსულო და სულიერი ლექსად,
ჩამომთოვს და სანთლად დაიღვრება!

მიყვარს ჩემი ტკბილი მიწა და ცა,
მერე მინდვრის ყვავილების ფერი,
მტკივა გული ენგურს იქით დარჩა,
ცა და მიწა – ჩემთვის ყველაფერი!

ზღვა მღელვარე და ტალღების როკვა,
ცხელი ქვიშა,პატარებს რომ შვენის,
ზღვის ცრემლებით ნაპირების ლოკვა,
აფხაზეთი – სული, გული ჩვენი!

ვინატრებდი ქვეყანაზე მარტო,
რომ სიკეთემ არ იაროს ნელა,
სწრაფმავალ ეტლს მხოლოდ მისთვის ვნატრობ,
მხოლოდ მისი გამარჯვების მჯერა!

ჩემი ცა და ზღვის ნაპირი სველი,
ჩემი მიწა, მშვიდობა და სითბო,
იყო ჩემთვის თურმე ყველაფერი,
ახლა მწარედ ვიგონებ და ვფიქრობ!

აქ რამდენი სისხლის წვეთი იქცა,
ყაყაჩოს და ყვავილების ჯარად,
აქ დედები ცრემლად გადაიქცა,
შვილის გული რომ ვერ დაიფარა!

ჩვენ არ გვქონდა გასაყოფი რამე,
და სიკეთის გამრავლება გვსურდა,
დამეკარგა ეს უძილო ღამე,
როგორც გზაში დაბნეული ხურდა!

აფხაზეთო, ჩემი გულის ფიქრი,
შენთან არის და გაუღე კარი,
გულზე ისე დაგწოლია ნისლი,
ვერ მოხუჭე დარდისაგან თვალი!

ჩემო მიწავ, ჩემო წყალო და ცა,
ჩემი გულის ოცნება და დარდო,
ენგურს იქით რაც ფიქრები დამრჩა,
ღმერთო ჩემო, გთხოვ, არ დამიკარგო!

გაზაფხული

გაზაფხული ზურმუხტისფრად იღიმის,
და ნიბლიაც მეგებება პატარა,
სითბომ ხეებს დაუბერა კვირტები,
ზამთრის სუსხმა სხვა გზა გამოატარა!

მზის თვალებში ჩადგა მეტი სიკეთე,
აცეკვდა და აამღერა ენძელა,
მიწის პირი რაღაც ძალით გააპო,
რადგან მასაც სიმარტოვე ეძნელა!

ცამ გაფანტა აქეთ-იქით ღრუბლები
გადაიცვა კვლავ ფირუზის ფარაჯა,
გაზაფხულის სილამაზე დაბრუნდა,
ღამემ მთვარე დაიყენა დარაჯად!

სიხარულით ტყემაც ტაში დაუკრა,
და ნიავიც შეეგება სინაზით,
დედამიწას გული ისე გაუთბა,
გაგვახარებს ბუნების სილამაზით!

გაზაფხულო, სიხარული ყვავილობს,
და სიცოცხლე მეცხრე ცაზე ირთვება,
ახლა ყველას შეეცვლება გუნება,
ჩვენს გულებში ზეიმები იქნება!

თებერვალი

თებერვალმა მოიმარჯვა საცერი,
თოვლს ცრის გული გათბობია მიწასაც,
საქართველო დაგელოცოს გამჩენი,
რომ იცოდე რა ძალიან მიყვარხარ!

მინდა იყოს ბედნიერი და ლაღი,
ჩემი ხალხი მასპინძლობის მოყვარე,
თებერვალო როგორ გაგვითამამდი,
თეთრი საცრით ეს რა თოვლი მოყარე!

გამოუშვი,ჩამოყარე ფანტელი,
და მალამოდ დაადევი ბუნებას,
ვინ იქნება ამ ფიფქების დამთვლელი,
გარეთა ვარ,ვერ გავუძელ ცდუნებას!

მოვეფეროთ, თებერვალი გაქრება,
და სულ მალე გაგვიხდება სანატრი,
მზე გამოვა, მერე ისე დათბება,
ფიფქის ნაცვლად ყოჩივარდებს დაგვაყრის,

თებერვალო, დღენაკლულად ითვლები,
მაგრამ გული არ გეცვლება არაფრით,
მოასწარი, თორემ გარდაიცვლები,
მარტი მოდის დაჩითული სარაფნით!

ისევ მოვალ

მოვალ ალბათ,ისევ მოვალ შენთან,
სიყვარულით გათანგული, მთვრალი,
შუადღის მზე ჩაგვიხუტებს ერთად,
გადმომაფრენს მონატრების ქარი!

რა თქმა უნდა ისევ მოვალ კარგო,
ისევ შენი ღიმილები მათოვს,
მეფიქრები არსად დამეკარგო,
მხოლოდ შენი ოცნებები მათბობს!

ისევ მოვალ დავიწყების ნისლი,
ვერ შებურავს შენი გულის სითბოს,
უშენობით ცეცხლში ვარ და ვიწვი,
მარტოდმარტო ისევ შენზე ვფიქრობ!

ახლა ქარმა ამიჩეჩა თმები,
და ქარბუქი მოაყარა გზებზე,
მხოლოდ შენი ოცნებებით ვთბები,
სიზმარშიაც შენს სიყვარულს ვეძებ!

ჩემი მუზის შთაგონება რომ ხარ,
ჩემი ლექსის ფიქრი განა მარტო,
ჩემი გულის ოცნებებში თოვხარ,
ზამთარია, მენატრები,გნატრობ!

რით ვუშველო ფიქრარეულ გრძნობას,
ან სიყვარულს ხომ ვერ მოვკლავ ნეტა,
ჩემს მუზასთან ვინატრებდი ყოფნას
ლექსებს დავწერ ხსნას ამაში ვხედავ!

ლექსებს დავწერ, ვიოცნებებ ჩუმად,
კალამს მიშრობს სევდაა თუ რეტი,
სიზმარეთში მოვალ მხოლოდ სტუმრად,
სტუმრად მოვალ, რა ვისურვო მეტი?!.....

მანანა სამყურაშვილი

ძალას ვიკრეფავ...

ღვთისმშობლის წილხვედრ მიწაზე, ავიდგი ფეხი,
ხელჩაჭიდებული მარიამ დედა სიმღერით მდევდა.
გულს რომ არ მეგრძნო ფარული სევდა,
თავის მანდილში, შეციებულს, სათუთად მხვევდა.

ლერწმის აკვანი დაარწიეს, მიმღერეს ნანა,
თავით დამიდეს შენალოცი ნახშირი, დანა.
ია ჟუჟუნა ფეხთ მომედო, ვით ფიანდაზი,
ციდან ნაბნევმა წვიმის წეთებმა ხელ-პირი მბანა.

დედამ იხილა წინაპრის ნაკვალევს ბავშვი ვეტრფოდი,
შორსმჭვრეტელი და ძლიერი განცდა მის თვალსა რევდა.
ეს ნაკვალევი რაც მე განვლე მას თვალწინ ედგა,
არ უფიქრია თუ ოდსმე მექნებოდა დარდი და სევდა...

ბავშობაში, სიამაყით გამიშლია მთის კიდეზე ფრთები,
სულ ხტუნვა-ხტუნვით გამივლია წინაპრის ნაკვალი გზები.
აღმართი უმალ ამივლია დამფრთხალ შველივით
და მწვერვალებისკენ, მწევარივით, ამიღია უშიშრად გეზი.

და ახლა, როცა შევერცხლილ თმაში სიცოცხლე დნება,
ბავშურობის ის სიდიადე თანდათან ქრება.
და როს თვალებში დარდის კვალი ღარებად რჩება,
ვიცი და ვხედავ, გამზრდელ დედას, ეს ედარდება...

ძალას ვიკრეფავ,რომ ღვთისმშობელს უთხრა მადლობა,
მის წილხვედრ მხარეს, რომ მეღირსა მთაში გალობა!..
ეს არის ჩემთვის ზე, უფლისგან მადლი, წყალობა!..
უფალსაც ვატყობ, ამ ხრიოკ მთებში მეტად მწყალობდა!..

ნეტავი სიტყვა გამეტეხა და

სწორი მეგონა შენზე ფიქრებით
კენტად, მალულად უნდა გამევლო,
ერთხელ გითხარ და ჰა, შევასრულე,
შენს ნავალ ბილიკზე არ გადამევლო.
ნეტავ რად გითხარ! ქალავ, ჩინარო!
არ დაგიხვდები სადმე მალულად,
სპეტაკ სულში არ შემოვიჭრები,
გული იქნება ვეღარ ააწყო
ჩემი დარდებით ჩამონაჭრები.
მინდვრად წავალ და დასავიწყებლად
სევდის მდინარედ ავწანწკარდებდი,
დარდისთვის, ჩემო თვალის ჩინარო,
გწამდეს, აროდეს გაგიმეტებდი.
ოცნების კოშკებს არ დაგილეწავ,
ცად აჭრილს, ნიბლიად შემიფერებდი,
ფრთამოხატული ჩიტი პატარა
შენს სიყვარულზე ვიჭიკჭიკებდი.
წვიმად მოსული, ციდან ციალით
შენს ფანჯრის მინას დავადნებოდი.
ერთ ხანობას კი შენდა, სალხენად,
სულის მტრედივით ვიღუღუნებდი.
რა ვქნა, რომ ჩემი ოცნების მტრედო,
დასავიწყებლად არ გიმეტებდი.
იქნებ სასთუმალს სიზმრად შემოვრჩე,
არ მინდა, სული აგიწიოკო
და ტალღასავით გადავლილს, გულზე
სევდის ბოხჩად წამოგეკიდო.
და თუ ოდესმე, კენტად დარჩენილს,
მოგენატრები, ვით წყარო წმინდა,
მაშინ გვიანი იქნება ჩემო,
თვალზე ნადენი ცრემლის მოწმენდა.
ნეტავი ძალა მომეკრიბა და
მეც დაგხვედროდი სადმე მალულად,
იქნებ გულს დარდი არა ჰქონოდა,
ვით ია ბუჩქში გადამალულად.
ან ერთხელ სიტყვა გამეტეხა და
გულს მოგდებოდი ცეცხლის ალმულად

* * *

(გულნატკენს ბევრჯერ გითქვია)

ამ ჭირისუფალს ავზნიანს
თმა - დალალს გულზე მაწყობენ,
როგორც ჟანგიან რკინასა,
ისე მადნობენ, მაწრთობენ...
ცხრაპირი ტყავი ამაძრეს,
ფეხთ ქალამნისთვის იწნავენ...
საკუთარ მამა-პაპის ძვლებს,
ალბათ, კბილებით დახრავენ...
ეშმას რძით გამოზრდილები,
მალე მის ზვრებსაც გასხლავენ...
ტუჩ -კბილებიდან მოყვარეს,
უხვად შხამს და გესლს მასხავენ...
რომ არა ჩემი სიძენი,
ალბათ მეც ძვლისებრ დამხრავდნენ...

.

ბებიას დარდები

საღამოს ბინდი ზეცის კარს
შავი ხალივით ეყარა.
დედულეთს ჩემსას, ავბედითს,
შავი საბანი ეფარა...
სიკვდილი დათარეშობდა,
ნაცელი მიცვალებული ~
სიკვდილს ფეხებთან ეყარა...
ბებია იდგა მუხლმოყრით,
მხრებზე დალალი ეყარა,
შავი ტრაული სახიდან,
გულამდე ჩამოეფარა...
მის შემხედვარეს პატარას,
გულზე ცრემლები მცვიოდა.
ბებიას მოფერება შვილს,
მშიერ მგელივით მშიოდა...
მაგრამ, ვატყობდი გული მას,
სხვაზე ასმაგად სტკიოდა...
აუწიოკდა სული და
სამყაროს გადასწიოდა...
მის გულის დარდებს
ცრემლები,
სულ ვერაფრითა
სწამლობდა...
არცა ღმერთი და საწუთრო,
მას ვერაფრითა სწყალობდა.
სიკვდილი ეზოს კართან კი
შავი შაშვივით გალობდა...

მის ფარ-აბჯარში ჩასმული
ბებიას სული წვალობდა...
წაჰკიდებოდა გულს ცეცხლი,
ღვიოდა კი არ ქრებოდა,
მისი მდუღარე ცრემლები
კუბოს ფიცარზე ცვიოდა.
ჭირისუფალი არც ერთი,
ცოდვისგან არა ჯდებოდა,
მის გულს რომ ცეცხლი ეკიდა
ყველა უხმოდა ხვდებოდა.
გულის გულიდან ამოსულს
პატარა გულიც ხვდებოდა,
რა განცდა იყო ასეთი, ყველა
ცრემლის ღვრით წყდებოდა.
მდინარედ იდგა ცრემლები,
თვალს წვეთი არა სწყდებიდა.
ოცდაჩვიდმეტი წლის შვილი
მის გულის ნოხზე ესვენა,
ბებია, გულგახეთქილი,
სხვის მკლავზე გადაესვენა...
შემოეხვია მოკეთის,
ჭირისუფალთა ჯარია,
ყურ-ყბაზე ხელი დაარტყეს,
ამოსკდა ბოღმის ქარია...
რას მერჩით, რას
მემართლებით,
ჩემს შვილთან ყოფნა მწყურია,

ორივე ხელი ჩაბღუჯა,
გულს დარდი გაუწურია...

აფერუმ, შენსა ქალობას,
მის მერე განვლე წლებია,
ბევრჯერაც სიხარულისგან
პირზე ღიმილი გხლებია.
დალალებჩაწნულ ვაზებთან
მინდიას მოგილხენია,
საგალობელი სიტყვები
ღიღინით ამოგხდენია...
შვილიშვილების ქორწილში,
ხელი არ დაგიკრეფია,
წყალი მიგქონდა საცერით
ერთი არ დაგიკვნესია...
მის მერე აკვანს ეჯექი
შვილთაშვილს მღერდი
ნანასა,
გვერდებში ნაზად უფენდი
შენს ხელით ნაკერ საბანსა,
არ დააკლებდი ჩვილის პირს
თბილი წყლით ღვრეჭა,
ბანასა.
ძილისპირულად უმღერდი,
ტბილი ხმით, ბებო, ნანასა,
გეხვივნენ შვილთა შვილები,
ჰფენდი თბილ უბე-კალთასა.

სამშობლოს ფარად...

მე ვადღეგრძელებ შვილს,
მშობელი დედის ფასი ვინც იცის!
ქრისტეს რჯულზეა ნაწრთობი,
ათ მცნების არსი სწორედ ვინც იცის!

სამშობლოს ფარად ვინც უდგას,
ფესვებში მცველად ჩაუდგა!..
სამშობლოს უერთგულა და
სიცოცხლე ძეგლად დაუდგა...

გაავებულ მტერს მგელივით,
შეება და არ განუდგა!..
ღვთისგან ნაბოძი სული ვინც
სამშობლოს ძეგლად დაუდგა!..

ვინც თავის გვერდით ომისთვის,
მოყმედ ბოკვერი გამოწრთვნა!..
თავის ხელითვე ცის მარეს
ბალავლარად მკლავი ჩაუწნა!..

* * *

დილის მზესავით აფეთქებულო,
გშვენის სხივების შარავანდედი.
ნებას თუ მომცემ ტაძარში,
სალოცავ სანთლად შენ აგანთებდი!..

ვაგლახ, დროებავ!..

ლექსის ტაძარში, ფანტაზია დავსვი დედოფლად,
არ გაგიკვირდეთ, მე ახლა, მასზე ჯვარსაც დავიწერ!..
და რუდუნებით ყოველი რითმის ბრწკალს, მისივე
კალმით, მოურიდებლად და უშიშრად, სწორად აგიწერ!..

გვერდს ჩამომიჯდა, მუზა-მიჯნური, თავი დავხარე,
მას სატრფიალოდ, რძისფერი კაბა, ტანზე გავხადე...
მუზა რად მინდა უფანტაზიო, ან ეს კალამი,
ორივეს ტრფობით უფრო ძლიერი ფერი დავხატე!..

მას მერე ორის სასიძო ვარ, ორივეს ვეტრფი,
დრო გარდასულთან იფრიალებს სიტყვის ალამი!
ჯგუფი შევქმენი, თავსშევყარე აზრთა საკონად,
მე, ფანტაზია, ძლიერი მუზა და ოქროს კალამი!

შურით არეულ სახეებში რომ არ შევხედო,
თვალს ავაფარე გამჭვირვალე ღრუბლის სათვალე!..
ვერსად ვარსკვკავი ვერ ვიპოვე, ვაგლახ, დროებავ!
ბოროტის გული, ვთვალე, მაგრამ ვერ დავითვალე!..

აქ, უკვდავება ყველას ხვედრი როდი ყოფილა,
ამ მოჩვენებით თავს არასდროს არ მოვიტყუებ!..
მე იმას ვიღებ, ხელგაწვდილი უფალის მორჩილი,
რასაც მცირედს, თავისი ნებით გამოიმრტებს!..

და უკვდავებამ თუ ოდესმე დაფნის გვირგვინი გამოიმეტა,
სულმდაბალთ ბრბოში, გამოჩნდება ბევრი მოშურნე!..
აქ, მიწას ვარდი გადასთელეს, ფეხთქვეშ დაიგეს,
ყველამ გაიგოს, მათი კი არა, ღატაკთა ვარ ქომაგ, მეურვე!!!

* * *

თუ ლექსით და სიყვარულით ვერ იცოცხლებ,
მაშ ღმერთისგან არ გგქონია კურთხევა...
სიყვარული თვით ღმერთია კაცის გულში,
ბაგეს ლექსი მადლად გადმოინთხევა...

ლექსებით და სიყვარულით კაცი ცოცხლობს,
მადლი უფლის ლექსად მოედინება...
ყველას გონი, ორი სიტყვის აკინძვისას,
უტყუარად სწორად წარმოჩინდება...

დაიხიე, უკან დასწი სადარდელი,
თუ გულიდან ლექსი მოედინება!..
აღარა სთქვა! მცდარია და უსურველი,
სიყვარულით კაცს არ მიეწყინება!..

თინა სტეფლიანი

* * *

ბედნიერების მწვერვალებს იპყრობ,
ხასიათზე ხარ?! სიცოცხლე გიხმობს...
შემოუძახო შენს თავს მუდმივად,
მე ამას შევძლებ,ვიზრდები უხმოდ...
- სულს რომ მინათებს,სათნოების ხმა,
და სიყვარული მიუღწეველი...
დღევანდელი დღის
გულის განწყობით...
სულიწმინდისგან კეთილს მოველი...
- ვივიწყებ ,წარსულს
და ხმებს უპრიანს...
ვემშვიდობები უაზრო შფოთვებს...
ოცნების კუნძულს ვუახლოვდები...
ბილიკს ეკლიანს მაინც მივყვები...

* * *

ცაც მოღრუბლულია, გულიც,
წვიმაც სევდიანობს ტირის...
ტირის ბუნებაც ტირის...
რითი ვუშველო, რა ვქნა?!
- უსაშველოა სევდა,
სევდას ცრემლები ახლავს...
მზის სხივებია მხოლოდ ,
სიხარული და შვება...
-მზეც გაგვიღიმებს მალე,
გაგვათბობს,მოგვფენს ნათელს...
გაეღიმებათ ვარდებს,
თავი რომ დაუხრიათ მორცხვად...

* * *

ნუ განმსჯით არ მინდა თქვენთან ჭიდილი,
საქმე მაქვს მე უფრო მნიშვნელოვანი...
ღირსებას მიხედეთ,
ოჯახს ნუ არცხვენთ...
შუბლზე გაწერიათ...
ვინ ვისი გორისა არის...
და თუ თქვენ მაინც
არ იშლით თავდასხმას...
ინტრიგებით და ყალბი სიფათით,
მოგკითხავთ უფალი
თავ- ბედს დასწყევლით...
ვით მღვრიე გუბეში
ცოდვის ბაყაყი...

ლექსი ეძღვნება ქალბატონ გულნაზი ხარაიშვილს,
დაბადების დღისადმი მიძღვნილი...დიდი სიყვარულით❤❤❤-

* * *

გ- ულმზიანო ამაგდარო,
უ- ფლის რწმენით განმსჭვალულო,
ლ- ამარია გფარავდეთ და
ნ- ამუსით სულ გეამაყოთ...
ა- მ ლამაზ დღეს მოგილოცავთ,
ზ- არ ზეიმის თანაავტორო,
ი- მედი ნუ მოგიშალოთ,

ხ- ილვა თქვენი კვლავ გვეამოს...
ა- რ მოგაკლდეთ ღვთის წყალობა,
რ- ომ სიყვარულს ჰყვარებოდეთ...
ა- თინათის დედოფალო,
ი- ის სურნელის მფრქვეველო...
შ- ორს მჭვრეტელო,გამჭრიახო,
ვ- ით ლამპარი,ცოდნის წყარო,
ი- ლხინეთ თქვენს ტკბილ ოჯახთან,
ლ- ამაზ თქვენს შვილიშვილებთან,
ი- ვერიის ღვთისმშობელს ვთხოვ,
დაგიფაროთ და გამრავლოთ...

მარინა კოლხელი

ვ ა რ დ ი

ვარდმა ისე გამიღიმა,
სიყვარული ამიხსნა,
ვერ საუბრობს, ყვავილია,
მაგრამ ბევრი რამ მითხრა.
გული გადამიშალა და
სურნელება მაჩუქა,
მისებურად გამაგონა
ის, რაც არვის არ უთქვამს.

უ ფ ა ლ ო

მზე ისე ნელა ამოდიოდა,
და ისე დიდი იყო სამყარო,
მე ვერაფერი გამომდიოდა,
უშენოდ მარტოს დიდო უფალო!
მივედ-მოვედე ბევრ ღობე-ყორეს,
აღმართზე მავალს ქვა მომეწია,
უფალო, მარტოს როცა არ მტოვებ,
ბოროტის რისხვა ვერ მომერია.

დიდება უფალს!

ქ ა ლ ი

მერე რა რომ ქალი მქვია,
მერე რა რომ ნაზი ვარ,
ყველაფერი გამივლია,
სალ კლდეებზეც ავდივარ!
ეგრე რიგად რად მიყურებ,
"კაცო, ადამიანო?!"
იცოდე თუ გავიწიე,
რკინის ჯაჭვი გავწყვიტო.
მოთმინებას ნუ გამოსცდი,
სიკეთეში მომბაძე,
სხვანაირად არ გამგოდის
და ვერც მოხვალ ჩემამდე!

მე მიხარია

მე მიხარია, როცა გულით ვიძახი აზრებს,
როცა ვიპოვე მის სიღრმეში დიდი ადგილი,
როცა მართლა ვწერ მეგობრობის საოცარ ჰწკარებს
და ყველგან, ყველგან თან დამყვება მისი აჩრდილი.
მე მიხარია, როცა გული სავსე მაქვს გრძნობით,
როცა ამ გრძნობას მეგობრობის სხივი ანათებს,
ო, რა კარგია, ო, რა ტკბილი გემო ამბორის,
როცა სიწრფელით და სიმართლით, როცა ვარ ასე!
მე მიხარია!

ზ ა მ თ ა რ ი ს ღ ა მ ე ❋❋❋❋

თეთრი, თეთრგულა, თეთრი ღიმილით,
მოდის ანათებს თავის თეთრ სახეს,
თეთრად ჩამოწვა თეთრი წინდებით
და თეთრი ქუდი ახურავს თავზე.

ღამის წყვდიადში თეთრად მოვიდა,
და თეთრი ფერით შეცვალა ნისლი,
მოიჩქაროდა მაღლით შორიდან,
რათა ათეთროს შავი და ბინდი.

სარკმლიდან ვუჭვრეტ ღამის სითეთრეს,
თვალისმომჭრელად სხივებს რომ აფენს,
ეს კი, მაგონებს შენს ნამდვილ სახეს
და ამ ღამესაც ოცნებით ვათევ.

ეს მოგონება და მონატრება,
თოვლიან ღამეს უხდება ძალზე,
როდის იქნება ის რეალობა
შენთან ერთად და სითბოთი სავსე.

თეთრი, თეთრგულა, თეთრი ღიმილით,
მოდის, ანათებს თავის თეთრ სახეს.
შინ კი, ღუმელი ჩუმი ღიღინით,
სიყვარულს უმღერს, ბანს ჩუმად ვაძლევ.

ო, გულო...

ო, გულო ჩემო ჩადეგ საგულეს
და ჩემს გონებას ნუ გადაუსწრებ,
სუსტი გული ხარ, ჩემს უსათუთესს
და ძლიერ გრძნობებს, ვბრძანებ გაუძელ!
ვბრძანებ გაუძელ, ყველეფერს ერთად,
დარდსა და ვარამს, ტკივილს გაუძელ,
ხომ პატარა ხარ, გონებას ჩემსას
ნუ ეჭიდები, ნუ გადაუსწრებ.

დაგვებედოს სიყვარული

ახალი წლის დილა არის,
მოციმციმე ნაძვის ხესთან,
გელოდები ჩემი კარის
ახლოს, როცა მოხვალ ჩემთან.
გელოდები ისე, როგორც
ბავშვობაში, რომ გიცდიდი,
სიყვარული მინდა მხოლოდ,
სიყვარული – ძმობის ხიდი.
ახალი წლის დილა არის,
გადავსილა გული შენით,
დაგვებედოს სიყვარული,
ერთმანეთის და თან მტერის.
გელოდები ჩემო მეკვლევ,
გაამართლე სურვილები,
ჩემი გულის შენ ხარ მეფე,
საყვარულის მბრძანებელი.
ამ ახალ წელს წრფელი იყავ,
არ გატეხო მტკიცე ფიცი,
მოციმციმე ნაძვის ხესთან
მომღიმარე ვარ და გიცდი.

ს ა ტ რ ფ ი ა ლ ო

ტურფავ ჩემო, დაგათოვა?
გათოშილხარ თეთრად,
შენთვის ახლა სულ სხვა დროა,
შენს სიყვარულს ვბედავ.

მაიც გშვენის გათეთრება,
მაგ ვარდისფერ ღაწვის,
შენ სიბერეც დაგმშვენდება,
შენს წლებს არვინ დათვლის.

შენთვის ახლა სულ სხვა დროა,
ულამაზესს გხედავ,
და ზამთარი როცა მოვა,
დავმშვენდებით ერთად.

არა, თავი არ დახარო,
სიყვარულით სავსემ,
წლები უნდა გადაყარო,
სცადე ბედი, სცადე.

რა ლამაზად დაგათოვა,
გაგათეთრა წლებმა,
გული შეგრჩა ვარდის კოკრად,
გული არ ბერდება.

შენთვის ახლა სულ სხვა დროა,
შენს სიყვარულს ვბედავ!

დაგვებედოს
მ შ ვ ი დ ო ბ ა!!
მშვიდობიანად!

ადამიანო, სამშობლო გიყვარს?
სამშობლოს ბედი შენი ბედია,
უნდა მოეშვა მაშინ განკითხვას,
ვინ ვისი "სტია", შენ ვინა გკითხავს.
შენი აკეთე შენ, შენი საქმე,
თესე სიკეთე, რაც შეგიძლია,
აღარ მიედო, მოედო ხლართებს,
ხედავ? გზა რთული ვერ გაგიგნია...
ნუ დაიჩემებ, რომ ხარ თამარი,
აზროვნებ ისე, როგორც ილია,
ადამიანო, გზაგასაყარი _
სხვანაირია, სხვანაირია!
საქმით ამტკიცე ერთგულება და
მშვიდობის ფასი არაფერია,
ადამიანო, დიდმა შოთამ თქვა_
კეთილი მუდამ უძლეველია!
არასოდეს თქვა, რომ სხვისი ხელით,
განადგურდება ეს იმპერია?
გონს მოუხმე და ამხილე ჩვენი
დანაკარგები ლომის წილია!
შეინარჩუნე სიცოცხლე ფარად _
მშვიდობიანად, მშვიდობიანად!

მოხვედი

გარეთ ლამაზი ფიფქების
კორიანტელი დგას,
გულმა მოგიხმო, მოხვედი _
ცა სამოთხის კარს ჰგავს!

სარკმლიდან ვხედავ, ნაძვები
გაჭაღარავდა მთლად,
მაშინ ვიფიქრე, რომ თეთრი
მოგიხდებოდა თმა...

ისევ მოგიხმე და გკითხე_
ხომ ხართქო თანახმა?
რომ შენთან ერთად სიბერეს
კვლავ ექნებოდა გზა.

კითხვა-პასუხი, ფიქრები,
გავახმოვანე აქ,
გული გამითბა და ვხვდები
ოცნება ნამდვილს ჰგავს...

გარეთ ლამაზი ფიფქების
კორიანტელი დგას,
გულმა მოგიხმო, მოხვედი _
ცა სამოთხის კარს ჰგავს!



მზია გომართელი

* * * * * * * * * *

მე ხომ ისე შევეჩვიე ტკივილს,
მასთან ერთად ნეტავ როგორ ვივლი...
სევდა ისე მორევია გრძნობებს,
შეციებულ ბალახს როგორც ჭირხლი...
მარტოდ ყოფნა ისევეა ჩემში,
როს ირემი დანავარდობს ტყეში...
დარდი ისე მიჭერია ხელში,
იკლაკნება ვეღარ მიჭერს ყელში!..
სვლას განაგრძნობ უსასრულო გზებში...
ხმა გიწყდება..მინდობილი ღმერთში..
ყველა შენი ნაბიჯი ითვლება,
ყველა ბეწვი დათვლილია შენში!
თუ აიცერ პოეზიის ნექტრით...
არ გასვენებს, მუდამ გიწვევს
ცენტრში...
ხან აჰყვები ზღვის ტალღის მთებს წვერში...
იქარაფებ..დაეშვები ფსკერში!
ხან მზის სხივთან მისრიალებ მთებში...
დანავარდობ მუზის ქარავნებში...
თვალი უფრო მეტად ფხიზლობს "ეტლში"..
უნებურად ხვდები სხივთა სპექტრში!
ხან წამოვა უსასრულო თქეში
ხანაც ზიხარ სტიქიების სკვერში...
ქარი, წვიმა "ჩოღუმია"გზებში,
არ ნებდები ბეწვის ხიდზე ხვდები!..
სჯობს იფხიზლო არ დაკარგო ღმერთი...
ტონალობა უმთავრესი ღერძი
მარტვილობა ერთეულთა ხვედრი...
გამოცდაა უფლის მტკიცე ხელში!..
ანგელოზი არ დაგტოვებს მარტოდ,
გეხმარება სულ იღვაწებს
შენთვის!!!

* * * * * * * * * *

მინდა ვიყვირო, მინდა ვიკივლო..
მინდა რომ შევძრა მთელი სამყარო...
ეს ხომ შენა ხარ..ეს ხომ შენა ხარ,
ამ შეუვალი მთების სამთავრო!..
მე მოვალ შენთან, მე მოვალ შენთან.. და დამთავრდება
დროის სიწუთრე, დროის სიყალბე, დროის სიმწირე...
ასე რომ ფილტრავს სულის სიშიშვლეს!..
და ჩამოდგება ვაგონი ტყვეთა..გარდასულ დღეთა
მივიწყებული!
ჩეროში დგეხარ დამალვა გინდა..ბოროტის ვნებებს
გამოქცეული!...
ცოცხლდება ყველა კადრი
ცხოვრების, შორს მოსროლილი, უარყოფილი.
გახსებებს ყველა იმ გრძნობის განცდას, რაც კი გგონია
მივიწყებული...
სიკეთე ძალა სიყვარულისა,
როგორც აორტა ფეთქვა გულისა..
მცირედიც ბრწყინავს არ წარსაწყნედად, საოხად სულის
განწირულისად ..
და მერე იცი?! იმედის ტალღა, დაეფინება, როგორც
სიწმინდე...
მთლიანობაში გარდაქცეულებს,ვერას დააკლებს ენის
სიბილწე!..
და ტანგოს ცეკვავს მონატრებული, ყალბ სინამდვილეს
გამოქცეული,
სული მშიერი, სული ვნებული, დიად გრძნობასთან
შეერთებული!

* * * * * * * * * * *

იდუმალია სამყარო, სიზმრად.. ცხადშიაც ვიარე.
სიმართლის მარცვლის ძებნაში..სულ ფორთხვით
შემოვიარე!...
ხან მაღლა ვიყავ ვარსკვლავებს,
ვეთამაშე... წრედ მიარეს...
ხანაც ეკლიან ბუჩქებში,
მკაწრეს, ვერ გადამიარეს..
ზოგმა შხამი რომ მაწოდა,
სიტკბოთი გავაზიარე!..
მაწყენარსა და ბოროტსა,
დუმილით შევეხმიანე!..
მან თუკი გადაამეტა, შენც ნუ მიაწვდი ფიალებს..
მარგალიტების გაბნევა
არ გვიქადოდეს უარესს!..
ზოგსაც რა მოეკითხება,
ენით ცეცხლს ააბზიალებს.
ღმერთო საშველი მოგვეცი..
თავს მეტად ნუ იზიანებს!.
სხვისთვის გაწვდილი სიკეთე,
ჩვენ მოგვიშუშებს იარებს!..
შენგან მორთმეულ სასმისზე ანოდეს ვიტყვი უარს მე!..
ღრუბლებ ფარაჯად მოსხმული,
აბჯრად გონება ციალებს,
მზის სხივი მაცნედ გზავნილი, იმედად თავს
დაგვტრიალებს!
ამ დროს ცხრა კარი იღება..
უცხო ნათება ტრიალებს!

* * * * * * * * * * * *

შენ ხარ ჩემი გულის, სულის გაზაფხული...
და უშენოდ ყოველი დღე გარდასული..
აღარ დღეობს სულ დავეძებ მზეს თაკარას...
მიმასწავლეთ, სად ვეძებო დაკარგული!..
სიყვარულიც ლაბირინთში გახლართული..
ვით მარცვალი სიკეთისა გაძარცვული..
არ დავკარგოთ მოვუყაროთ ერთად თავი..
ვაკოწიწოთ და ავანთოთ
კელაპტარი!..
თვეებია ველოდებით ბრდღვიალა მზეს..
დაიკარგა ღრუბლებშია
ჩამალული...
დრო კი მირბის დაპირების მოლოდინში..
თითქოს ღრუბლებს მძევლადა ჰყავს
აყვანილი!...
ქარიც ცდილობს რომ დამალოს სიყვარული...
სადღაც ხევში მიყუჟულა დაბნედილი..
აღარ ძალუძს მეტოქესთან გამკლავება..
დამარცხებულს ფარხმალი აქვს,
ჩანს დაყრილი...
ეს კუდია ზამთრის რისხვის
ძნელად მიდის..
ვერ მოიგო კაცთა გული, გაყინული..
ნაბადს იკრებს..არშემდგარი დარცხვენილი...
წვიმის თქეშით გალუმპული გაზაფხული!..
ზაფხულია მომლოდინე უკვე რიგში...
თმას ისწორებს, კოპწიაობს
გული მისდის...
გრძნობს ვალი აქვს მორჩენილი გაზაფხულის...
სიხარული მოგვახვიოს არნახული..
ძმასაც კუდი რომ უსწოროს შერცხვენილი!..
თან აგვავსოს სითბოთი და სიყვარულით!

* * * * * * * * * * * *

ნუ მიმატოვებ უფალო, ნეტავ კვლავ
მომეცეს შვება...
გასაუბრება რაკრაკით..მთიდან წყარო
რომ ეშვება...
როს მისალბუნებს დარდებს და... გულ
იალაღად მერთვება..
ახლად გაშლილი კვირტები, ძლიერ
იმედად ერთვება!..
არ აძლევს ნებას
დამსეტყვოს..იავარქმნილად
მაქციოს...მოყვარეს გული ატკინოს, მტერს
სიხარული აძლიოს!
ბოძადაც გაგეხიდები...
ვარსკვლავნი ძმებათ აქციო!
მთვარე ქამრად რომ მოირტყა,
მზემ სიყვარული გაფრქვიოს..
წვიმამ მზის სხივთან ნარ-ნარით,
ცისარტყელები
გაკმიოს...
ასე ერთგულად შეკრულსა,
ღმერთმა ზურგი არ გაქციოს!..
სამშობლოვ ჩემო რა გითხრა,
რით განუგეშო..ვარ წიოდ!..
გაფანტულ შენი შვილები,
ვკრიფოთ, ბუკეტად გაძლიოთ...
მოგართვათ, გული ვიჯეროთ
სანთელ- საკმევლად
ვანთიოთ!..
ღმერთო საშველი მოგვეცი,
ჭაპანი კვლავაც
გავწიოთ...
სამშობლო მტერს არ ვუტოვოთ, აკვანი
ისევ ვარწიოთ!..
ჭირგამოვლილი ათასჯერ,
ქვეყნის ბადახშად
ვაქციოთ!...

მარიამ სარიშვილი

* * *

აღარ მესტუმრა "არწივი",
აღარ მევლება თმაზედა,
აღარც რო სიზმრებს მასიზმრებს,
აღარცა მოდის ცხადზედა.
სულს მიჭამს ყვავი, გულს მიღებს,
ავყიად მადგას თავზედა
არც გაზაფხულად არ მოდის,
რომ ყვავილს ვწყვეტდე მთაზედა.
ავენთო, როგორც ვარსკვლავი
დავიწვა ზეცის ალზედა,
ან თეთრ ვარდებთან დავსახლდე,
ხელით შევეხო ტანზედა.
აღარ მახარებს მზის სხივი,
აღარც შვლის ნუკრი მთაზედა,
მოდი "არწივო" სადა ხარ,
შენ გელოდები ხანზედა.
შენს მოსვლას ისე შევხვდები,
როგორც მზის სხივი ნამზედა,
აღარ ვიგლოვებ სიხარულს,
თეთრს შევიმოსავ თავზედა.
დავტოვებ ჩემს სამფლობელოს
გადავსახლდები ცაზედა,
ხან ღრუბელს ჩავეხუტები,
ხან წვიმას ავკრეფ ღაწვზედა,
ხან გავიღიმებ, ვილოცებ,
შხამს ამოვსოვებ შხამზედა,
როცა შენ ჩემთან იქნები
ვერ შემაშინებს მხდალზედა,
ვინ გამიბედავს დაჩაგრვას,
თვალს მარიდებენ თვალზედა!

* * *

დავიბადები მზიან სოხუმში,
სადაც თოლიებს დაუდგამთ სახლი
და პირჯვრისწერის მოსაგონარი
მთების სიუხვე მიდგება თვალში.

ერთი ცისა და ერთი ჰაერის,
უხვ ოხშივარით შევიგრნობ ძალას
და როცა გნახავ, შეგეკითხები:
-ასე უღმერთოდ რამ გამოგცვალა.?!

ბროწეულებმა იტირეს ცრემლით,
მეწამულ კაბა- ბროლის საკინძით,
აღარასოდეს იდინებს ცრემლი,
აფხაზეთისთვის საქართველოში.

მე დავიბადე მზიან სოხუმში,
სადაც წვიმები ქარს ეცეკვება
და ატმისფერი მაგნოლიები,
ტრფობის ალისგან ერთად ფეთქდება..

შენმა ზღვამ მინდა, რომ დამიკოცნოს,
ტერფები ქვიშით განახურები,
ეჰ, აფხაზეთო, მე შენთან მოვალ
და შენი ხილვის ღირსიც გავხდები..!

* * *

გულს შეეჩვია ეს გაზაფხული,
რძისფერ ზმანებით შემოქროლილი
და გაპოხილი ზეთის სურნელით,
დავდივარ კვალად მირონცხებული.
ხვედრი მარგუნა ღმერთმა ასეთი,
ფრთები შეასხა ჩემსა გულისთქმას
და ჩამაფიქრა არსობის არსში,
რომ წითისოფლის გზები გავკაფო
და გუდასავით მხარზე მოვირტყა.
საწუთროებამ ისე გამაწრთო,
ბუმბულს მამსგავსა ველზედ მთრთოლვარეს,
ცისკენ აღმიპყრო მჭვრეტი თვალები
მის ჰორიზონტზე ხედვასაც ვიწყებ.
ღრუბლები თეთრი ქარაფებია,
საბნად მათბობენ, ჩემზედ ზრუნავენ,
წუთისოფელი კარუსელივით ბრუნავს
და ჩასვლის ნებას არ მაძლევს.
ატმისფერია ჩემი სიცოცხლე,
ყოველი წუთი ოქროდ, რომ ფასობს
და თუ მოვუგე დარდებს ბრძოლაში,
მაშინ, ცხოვრებაც ვეღარ დამათრობს!

(ექსპრომტად)

* * *

რადგან არ ვიცით როდის
მოვა ჩვენთან სიკვდილი,
რადგან არ ვიცით როდის
აგვყვრის მხრიდან იარაღს,
სიყვარულს გულში ვუმასპინძლოთ
და ისე დავხვდეთ, რომ სულიდანვე
შეგვიხორცოს ყველა იარა!
ისე ვიცხოვროთ თითქოს
დღეა უკანასკნელი,
თითქოს დღეს ვტოვებთ,
რაც ჩვენ სულმა გზები იარა,
ყველას გულთბილად მოვეფეროთ,
გულში ჩავიკრათ, არ დავუთვალოთ
შეცდომები რაც გაიარა!
რადგან არ ვიცით როდის
მოვა ჩვენთან სიკვდილი,
რადგან არ ვიცით როდის
აგვყვრის მხრიდან იარაღს,
ყველა სიკეთის კეთებისგან
გადავიღალოთ და უცხო მგზავრებს
ვუწილადოთ ჩვენი ფიალა,
ჩვენი მცირედი სხვისთვის
ბევრი ნუკი გვგონია,
ჩვენ გავიმეტოთ სხვისთვის ოქრო,
ვერცხლი კიარა,
სიყვარულს გულში ვუმასპინძლოთ
ისე ხანგრძლივად, რომ არ დატოვოს
ბოროტებამ ჩვენში იარა...!

* * *

გაზაფხულია, გამეფდა
თეთრი ჩანჩქერის ჩქერი,
მიწის სურნელში ჩამექცა,
ჩემი ფიქრების ფერი.
მომინდა ღრუბელთ სტუმრობა,
პირველადქმნილი ფერის,
ფორთოხლისფერი მზის ჩასვლა
და ვარსკვლავების მტვერი.
წვიმის წვეთების ცქერისას,
თეთრი ვარდების ტანგო,
მიწას ოხშივარს ურეცხავს,
ჩემი ფიქრები მარტო...
ცის კარიბჭემდე
რამდენი საფეხურია?!-ვამბობ,
პასუხად ცისფერ ჰორიზონტს
უსასრულობას ვატყობ...
გაზაფხულია, გამეფდა
თეთრი ჩანჩქერის ჩქერი,
რამდენი წუთი გამექცა,
ამ წუთისოფლის ცქერით...
შავ ხეებს წამოუსხიათ,
თეთრი ნაბდები თითქოს,
ქალაქსაც ჩასძინებია,
მეზღაპრე მთვარე იხმობს
და მთვრალი წუთისოფელი,
ჭიქა ღვინოსთან მიხმობს..!

(ექსპრომტად)

* * *

ქართველს ერთიან პირს ნუ მისცემო-
ასე დაგვწყევლა ვიღაცამ ერი,
ნუთუ შეშინდნენ ჩვენი ერთობით
და აერიათ მოძმეში მტერი.?!

ღმერთო ეს წყევლა გაგვიცამტვერე,
ზეციდან ჩვენთვის გახსენი ქვევრი,
ლხინად გვიქციე, ის მწუხარება,
[illegible]სადაც[illegible] ქართველი მარცხდება ბევრი..

მრავალი არის ჩვენს თავზე ნისლი,
გველისფერ ტყეებს არ უჩანს ბოლო,
ფორთოხლისფერი ზღვა ღელავს ისევ,
ღუზის ჩაძირვას არ უჩანს ბოლო..

ყველა წუხილი დაშრება ისევ,
დაისადგურებს სიმშვიდე ბოლოს,
ხეს შერჩენილი ფოთოლი ებრძვის,
ძლიერ ქარიშხალს ზამთრების ბოლოს..

ზეციდან ისევ გაისმის ხმები,
ჩვენს გამარჯვებას მტერი ვერ გლოვობს,
უკანასკნელად იტირებს გედი
და დამარცხდება სიკვდილი ბოლოს.!

ეთერ ისაკაძე

სვანეთი – ჰაწვალი

ზურულდის მთიდან ვიხილე
უშბის თეთნულდთან ტრფიალი,
ყინულით თეთრად დაფარულს,
ცხრათვალა მზისა ციალი!
ჰაწვალში სცენას შევესწარ
სასიყვარულოს მწვერვალის,
მთას სიყვარული სცოდნია -
ო, - მოკრძალება მხევალის!...
ძირს მოხატულა მესტია,
ულამაზესი მთა - ველით,
ნეტა მას, ვინაც იქ ცხოვრობს,
რა გადაღება კამერით?!
ცად ატყორცნილი კოშკები,
ენგურს გაუდის გუგუნი,
მჟავე წყალს კუპტარს გეახელთ,
მიგვაქვს სვანური სულგუნი!
გული სავსეა ტრფიალით,
თვალს არ შორდება ნანახი,
სვან ქალს მწვანილი ეკრიფა,
რის ,,ბოზბაში'' და ,,ჩანახი!"
მეამაყება სვანეთი,
მე ქართველი ვარ გვარადა,
მთის სალოცავებს ვავედრებ,
ჩემს საქართველოს მარადა!

საქართველოს სიამაყე

ბატონ ზურაბ გორგილაძის მოტივებზე.

ეს რა კაცი - სასახელო,
გაუზრდიათ სხალთასთანა,
ყველა აჭარელმა იცის,
მისი ლექსი - ,,ოჰოი ნანა!"
როგორ კოხტად კითხულობენ,
თავს დაუხრის ბენჩქვი ყანა,
ღმერთო, ჩემი საქართველო
რა ყოფილა ამისთანა?! ...
კლარჯეთს, ტაოს, ძვლები ყრია,
ხანძთას ღმერთმა ამიყვანა,
,,ოთხთას" - წირვა დავაყენეთ,
სულთა გმინვა სარკმლიდანა?!
სანთლის ალი ცას სწვდებოდა,
ცრემლი ქვესკნელს ჩაეტანა,
ერთდროს ქუხდა აქ სიცოცხლე,
მიდით, ნახეთ უტყვი ბანა!...
გუშინ აჭარელი ბიჭი,
ლექსის კითხვამ აიტანა,
გორგილაძის ლექსის ძალამ,
ძვალს და რბილში გაატანა!!!
,,მამული''-ა ბათუმელი,
ძარღვი გასკდეს კითხვისგანა,
დე, უმრავლოს საქართველოს,
აჭარლები ამისთანა!...
ბევრს ახსოვს და ბევრსაც არა,
მისი ღვიძლი, ტკბილი ნანა,
ბატონ ზურაბს გაუმარჯოს,
ცხონდეს მისი ნენეის ნანა!...
მე მყავს აჭარელი დები:
დალი, ნანა - ჩოლოქთანა,
სიყვარულით სავსე გულით,
ასე ახლოს ქრისტესთანა!
ღვთაებრივი უფლის ჯვარი,
მათ პირველმა მოიტანა,
დე, უმრავლოს საქართველოს,
აჭარელი ძმებისთანა!
ჩვენი ქვეყნის გულის ფეთქვა,
ხულო, ქედა - ზღაპრისთანა,
საქართველოს შემოეჭდოს
აჭარული განდაგანა!

მოედინება ტაოდან მტკვარი

ჩვენ გვასწავლიდნენ
უწინდელ დროში
მტკვარის სათავე
თურქეთში არის!
მადლობა უფალს
ჩვენ მოვილოცეთ
ტაო -კლარჯეთი
მოჭრილი მკლავი!
ისტორიულად
ის ხომ ჩვენია
იქ არის ბანა,
ხახული, ოშკი,
პარხალი, ხანძთა,
იშხანი, ტბეთი,
წინაპართა ძვლებს
ზევით ამოყრილს
მფარველობს ტაოს
მაღალი ღმერთი!
რა შეიცვალა?!
უფლისთვის - არა...
მოედინება ტაოდან
მტკვარი,
,,ბუტბუტებს თვისთვის
მრავლის მოწამე''
ჩვენ გავიგონოთ
ვახილოთ თვალი!
საქართველოა
იბერთ ქვეყანა,
არის კავშირი
კავშირი მყარი,
არის რაღაცა
რასაც ვერ შეცვლი,
მოედინება
ტაოდან მტკვარი!

მუდამ ასე იყო

მხოლოდ უფალია,
ქვეყნად კაცთა მხსნელი,
ჩვენ კი ცოდვით სავსე,
ძმის საფლავის მთხრელი...
მუდამ ასე იყო,
იმ გაჩენის დღიდან,
ვერ გათალეს ძელი,
კიპაროსის ხისგან?!
ჯვარს ვინ აცვა კაცი,
მოვლენილი ღვთისგან,
ვინ ატირა დედა,
უფლის ჯვარცმის დღიდან!...
კმარა სიბოროტე,
მოვიშოროთ გზიდან,
მოვეფეროთ ერთურთს,
ისმის რეკვა ციდან!...
მორწყულია მიწა,
მამა-პაპის სისხლით,
ტაოს ყრია ძვლები,
ნაკვალევი იმ დღის...
ოო, რამდენი მეფე,
მოურავი, გმირი,
შეიწირა ქვეყნად,
საამაყო შვილი...
და დღეს ხელში
რა გვაქვს,
დაგლეჯილი გული,
გაუბიათ ხლართი,
აუძაღლდეთ სული...
და, საშველი საით?!
არჩევნები მეფობს...
თავს თვითონ ირჩევენ,
მერე - ,,წლები ცელქობს!"
ღმერთო, დამამშვიდე,
გვეშველება რამე?!...
გაგვითენე ქვეყნად,
,,ჯადოსნური" ღამე!

მხოლოდ იმედი

,,ო, იქნებ" - არა,
ეს არ გვიშველის,
ეჭვი მომავლის,
ავის მაცნეა,
მაშ, რად ეწამა
ასი ათასი,
სასუფეველი
ლოცვით სავსეა!
მე კი მგონია,
იბერთ ქვეყანა,
იქნება მარად,
ღვთისმშობლის
მადლით,
მომრავლდებიან
მეტეხის ხიდთან,
თეთრი მანდილით
და, არა ჩადრით!
ქვაფენილს, ლამაზ
ხალიჩას გაშლის,
ჭადრის დიდრონი
ფოთლებით ქარი,
კვლავ ივახტანგებს,
კვლავ ილომგულებს:
დავითი, დემე, გიორგი,
მარი.
ღალატი, მტრობა
ოდითგან იყო,
გულსაკლავია
დღეს რაიც ხდება,
წარმხოცველ ცუნამს
უნდა დავუხვდეთ,
ჭკუით, გონებით
და, არა მონად!
წამებულთ სისხლი
ბოგინობს მტკვარში,
და გაუხშირდა
სუნთქვა სამშობლოს,
მესია, ჩვენში
უნდა ვეძებოთ,
ჩვენ, ჩვენი ძალა
უნდა ვაჩვენოთ!
სადაც იზრდება
თქვენისთანები,
სადაც, მეტეხი
თავზე დაგვცქერის,
ვერავინ შესძლებს,
ვერარა ძალა,
დაეშანთებათ თვალნი
საცერის!

გულნაზ ხარაიშვილი (ცისკარელი)

ყრმობის აკვნიდან

შემეკამათეთ, ძალიან გთხოვთ შემეკამათეთ,
თვალი სარკეა დაინახავთ თუ ვარ მართალი,
ფიქრს ჩავუთქვი და გავაგორებ ბედის კამათლებს,
ბრძოლა მოვიგე, სიხარულით ვარ გადამთვრალი.
შემეკამათეთ, მარტო სულმა რად მივაღწიე,
არა პატრონი რომ არ მყავდა გზათა გამკვლევი,
მაინც სიკეთის ღვთის აკვანიც გადავარწიე,
უმადურობა არის მარტო გულის დამღლელი.
ღმერთი მფარველობს, ჩემი ძმების სულის არმია,
ქმარშვილი ჩემი თვალს მადევნებს ცათა სარკიდან,
მიმტევებლობა ეს ჩემშია... გულის შარმია,
მე სიყვარული მზითვად მომყვა ყრმობის აკვნიდან!

როგორ მინდა

როგორ მინდა აწყმოში,
სიყვარული მაჩუქოთ,
გული თქვენთან ვამყოფო,
სული რომ გავაყუჩო.
მტკივა ისეც ტკივილი,
ნუღარ გამიასმაგებთ,
თუნდაც ერთი ღიმილი,
ცისკრის დილით მომაგეთ .
გლოცავთ თქვენც და ჩემს მტერსაც,
გაქეფთ სადაც მივწვდები,
შეგახსენებთ ამ ერთსაც,
თორემ მე მოგიკვდებით.
შეიყვარეთ ერთურთი,
გადიქეცით წიგნებად,
ისეც ზეცას ვეკუთვნი,
ჩემთან ღმერთი იქნება.
ერთხელ ჩემი გულისთვის,
მიუტევეთ მტყუანსაც,
ერთი ლუკმა პურისთვის,
ჯოხს არ ცემენ მურასაც!

მამა ნეოფიტეს საჩუქარი

მამა ნეოფიტეს საჩუქარი
ჩემი ხატების წინ მოვათავსე
უკვე ჩემი არის საკუთარი
ჩემო ახლობლებო შემიფასეთ.
ნახეთ რა სიშდირის პატრონი ვარ,
ზეცის ვარსკვლავივით მოღაღანე,
უკვე ცისკარელის ავტორი ვარ,
დაბლა დედამიწა გადავღალე..

მამული ჩემი

რამ დამავიწყოს მამული ჩემი,
სიმდიდრე ჩემი ბუმბერაზ მთების,
ფუჭია ჩემთვის სხვა დანარჩენი,
მხოლოდ მამულის გრძნობებით ვთრები.
მიყვარს ყვავილი ძირულის პირის
ყვითელ - წითელი და ლურჯი ფერის,
სადღაც ფლოქვების ხმა ისმის ირმის,
სადღაც ბავშვები ცელქობს და მღერის.
წყალში თევზების დუმილიც მიყვარს,
შაშვის ფაჩუნი ხეთა ტოტებზე,
მხოლოდ არავინ ჩამთვალოს ბრიყვად,
და არც ვიმღერებ მტერის ნოტებზე.
მთამ გამზარდა და მდინარის ტალღამ,
მინდვრის იების სურნელით ვცოცხლობ,
არა მჩვევია ბრძოლის დროს დაღლა,
გული კვლავ უნდა გამოვაცოცხლო.!

მევენახე

მიყვარხარ, ჩემო სულის საუფლოვ,
შენზე ერთგული ვერსად ვერ ვნახე,
მიწაზე ახლოს არის ცა უფრო,
იცი? ლექსების ვარ მევენახე..
მიყვარხარ ლექსო, როგორც უფალი,
შენით ვსუნთქავ და შენით ვიღვიძებ,
შენთან არავარ ჭირისუფალი,
დარდს შენთან ერთად ამოვისუნთქავ.

ნუთუ წვიმები

ღამე მესტუმრა სამუსაიფოდ
და ვისაუბრეთ წვიმის წვეთებზე,
მითხრა სიკეთე არის საუფლო,
ცაში მსჯელობენ ამის შედეგზე.
ნუთუ წვიმები?... შევეკითხე და...
მოულოდნელად თავი დავხარე,
ცოდვები ცაში განიკითხეს და...
ბოროტი ელვა მიტომ ხარხარებს.
მიწამ მიიღო ნაცოდვილარი,
მითხრა ღამემ და გათენდა წამში,
არასდროს არის პირმომცინარე,
ზღვად იქცევა და მზეს ხვდება მაშინ.

სიბრძნის ბარათი

შვილო ჩემს თვალში ის ნატვრისთვალობს
ვინც არა ცხოვრობს ჩხუბს და წეწვაში,
ადამიანად როგორ ჩაგთვალო
თუ ქალს აშიშვლებ თვალით ზეწარში.
სულის შვილები შემოვიმრავლე,
ვეღარ დავთვლე ისე ბევრია,
მე ბედისწერით ბევრჯერ ვიბღავლე,
გარდაცვლილები ცაში მღერიან.
სხვისი შვილები შვილად ვიშვილე,
სამართლიანი და კეთილები,
სიტყვის ხმალიც კი ბევრჯერ ვიშიშვლე,
მტერს ჩავუტარე გაკვეთილები.
დედაშვილობა ზეცას მისწვდება,
ერთ დროს მნათობად გამოანათებს,
სიბინძურეთი გული მიკვდება,
მიტომ ვარიგებ სიბრძნის ბარათებს!

წიგნის რედაქტორო

წიგნის რედაქტორო ღმერთს შევფიცე,
ბედთან მარტომ უნდა გავილაშქრო,
მუდამ შევასრულებ დანაფიცებს,
გეგმამ რომც არასდროს გამიმართლოს.
წიგნის რედაქტორო, წერტილ- მძიმეს,
იცი სადაც მინდა დავასკუპებ,
რჩევით გულს შენც ნუღარ დამიმძიმებ,
წლები ბალახივით გადავკუპე.
წიგნის რედაქტორო, შენი აზრით,
თქვი და სიტყვაც ამით დამისრულე,
შენი ლექსიკონის დედააზრით,
თუმცა იებს ვხედავ ამოსულებს.
პოეტს უსამანო გზები აქვს და...
პოეტს კანონები როდი უყვარს,
ლექსი ენგურსა და ზღვასაც კი ჰგავს,
საგზლად პურის ლუკმა გამოუკრავს.
წიგნის სახელია ცისკარელი,
ღამით ნაფიქირი და მთვარეული,
დარდი ბედისწერით ნაკვერალი,
მაინც მზის სხივებში გარეული!

,,ისე ჩავიკარგე სიტყვის ომში
თავი ვეღარაფერს ვეღარ ვანდე"
/მაგული კორძაია/

წუხს პოეტი

როცა სამართალი ისე გესმის,
როგორც სულ პატარას იავნანა,
გტკივა- ქართველი რომ ქართველს ესვრის,
გულღრძოც სასიკვდილოდ დაგენანა.
,,მიტომ ჩაიკარგე სიტყვის ომში"
სუსტი აღარავის ეცოდება,
ერთი მართალია იცი ორში,
ამ დღეს საქართველოც ელოდება.
პოეტს ისე უყვარს სამართალი,
როგორც მშვიდი დილის გათენება,
მართალს გინდა მისცე ნატვრის თვალი,
თუკი შვილო, იყო შენი ნება.
თითქმის სასიტყვეთი დაგიპყრია,
დარდით შეგიკერავს ლექსის რითმა,
ნემსში ძაფი ისე გაგიყრია,
დინჯად შენი სიტყვა მაინც გითქვამს.

* * *

დარდის პირამიდა
დღეს უნდა ჩავრაზო,
გულმა სიმშვიდე იგრძნოს...
დროვ, საშინელო
და ტანჯვის ვარაზმო,
ეკლებს გულიდან ვიძრობ.

ბობოქრობს გული

ეთერ ჭელიძეს

ნაზი ყვავილის ფერი გიხდება
შინაგანად კი ბობოქრობს გული,
ცას სახურავი გადაესდება,
აბჯარ ასხმული საზღვრებს რომ უვლი.
მოგჭარბებია კაცური ჟინი,
და ტყვიებს უშენ უსამართლობას,
არ გეშინია ეთერ იმ წვიმის,
მატყუარა მზე თოვლს რომ ადნობდა.
წმინდა გრძნობები ჩუმად ჩაფუფქე,
ენგურის წყალმა გაიყოლია,
გდარდობ დედი და ამომასუნთქე,
დრო ჩემო შვილო, ისეც თოვლია.
ნუ შეაშინებ მფრინავ ქორბუდას,
ალბატროსივით ფრინავს წლებია,
დედამიწაზე გრძნობამ მოგუდა,
ამ ამბავს უკვე მითად ყვებიან!

გამოცდა

წლებია უკვე ვემზადები ყველა საგანში
და მიხარია სიყვარულში ათი მივიღე,
ბეწვის ხიდები გავიარე, ტყვიის კაკანში,
ეს გამარჯვება ამ ბრძოლებით
უნდა მიღირდეს.
კიდეც ვთოხნე და მოსავალიც მარტომ ავიღე,
ჰაიჰარალოდ არ მომსვლია, ქება დიდება,
მე გიერთგულეთ, მყუდროებას
ნუღარ დამირღვევთ,
თორემ ეს სული სხეულიდან გამოფრინდება!

ნატვრა

შეწყდეს მამულში მტერთა თარეში,
ქართველთ სიმცირე არა მტკიოდეს,
სხვამ არ წამართვას დავით გარეჯი,
თვალიდან ცრემლი აღარ მდიოდეს!

ნანა გიგაურს

ვალი მაქვს შენთან დიდი ვალი პოეტო ქალო,
გადახდა მინდა იქნებ შევძლო სიტყვით გაამო,
შენი სიკეთით საყვარელო დავდივარ მთრალი,
ვით ლოთი ისე დავბარბაცებ მთელი საღამო.
აჰა, მიიღე ჩემი ლექსი ზეცის გზავნილი,
ესაა ჩემში რასაც ფული არა სჭირდება,
მივიღე შენი ნობათები გამოგზავნილი,
ლექსით ვალს ვიხდი სანამ სული გამიფრინდება!

ჩამოისვენეთ

სულის ბაღნარში ჩამოისვენეთ,
უნდა მოგეფეროთ შვილებო,
ჩვენი წინაპრებიც გავიხსენოთ,
ერთად... თაფლივით ტკბილებო!

წადი ბატონო

ვერ მოგარჩინე თუმცა ვეცადე,
პატივს არა სცემ ჩვენს დიდ წარსულებს,
შემოგყევ გულის გამოცერცვამდე,
შენ არ მიხსენებ ცაში წასულებს .
მარადისობის მგზავრს დავემგვანე,
ცაში ვარ მათთან ხშირი სტუმარი,
წადი ბატონო, შენ იგარგალე,
შენნაირებთან გავხდი უბარი.
ავი ქარი ხარ, ხან ქარიშხალიც,
სეტყვასაც ისვრი როგორც ტყვიები,
მე მიყვარს ჩემი ის კოდის წყალი,
ეზოს ვარდი და სულის მთიები!

შემომეფლითა

წლები სულ დარდში შემომეფლითა,
დავბერებულვარ ახლა გავიგე,
ვერავინ ჩამთვლის მეძავ და ფლირტად,
წმინდა სახელი ჩემით ავიგე.
თუმცა არც ისე იოლი იყო,
გმირს და მეომარს ჩემს თავს ვუწოდებ,
არავის ვჩაგრავ, არავის ვბრიყვობ,
კეთილი გული გამოგიწოდეთ.
გაინაწილეთ შემსვით შარბათად,
შთამომავალობის შთამომავალო,
თორემ დარდბი შემობარბაცდა,
დაჭერობანას კუკუმალაობს!

შეგახსენებ

არ მცალია შეგახსენებ,
საავდროთ და საკამათოდ,
ახლა ფიქრსაც დავასვენებ,
წყალს შევყევი საკალმახოდ.
ლექსის კალმახს ვეძებ მთებში,
იქნებ ერთი დავიჭირო,
ცაო არ იწვიმო თქეშით,
დარდით აღარ გამიჭირვო.
იქნებ ის ვთქვა რომ მომავალს,
საკურნებლად გამოადგეს,
თუ უწამლა შთამომავალს,
ყველა ჩემს ლექსს გადავაგდებ.

გადავწყვიტე

არ მოვტყდები წელში ისე,
როგორც მოწეული ტოტი,
არ მსურს მგელად გადავიქცე,
თუმცა ბევრჯერ ბედით მოვკვდი.
გადავწყვიტე მიწის მტვერი,
ჩემი არვის არ დავუთმო,
დარდიანი მიტომ მღერი,
ხალხს რომ გული გამოუთბო.
იმხელაა ჩემი რწმენა,
როგორც ცა და დედამიწა,
ნეტავ ასე ვინ დამწყევლა,
ბედმა წარბი გამომიქნა.
შევითხუპნე საღებავით,
გადავმალე დარდის ნიში,
თქვენთვის გავხდი გამბედავი,
ხელმეორეთ ლექსით ვიშვი.
აი, ასე ჩემო კარგო,
მტერო, კეთილს რატომ მერჩი,
ფიქრიშიც უნდა გადაკარგო
უნდობლობის კვლავ მაქვს ეჭვი.

ცდები

შენ იცი ვინ ხარ? თუ გინდა გეტყვი,
არავის გავხარ, არც ცას და მიწას,
ხან ხმაური ხარ, ბობოქარ სეტყვის,
ხან მეხრესავით სახრესაც მიწნავ
უხილავი ხარ მაგრამ მე გხედავ,
ჩემი თვალების სიღრმის სივრციდან,
მე ვარ წარსულის ადგილის დედა,
დიდი ხანია გავცდი მიწიდან.
მბეჟავ ვაშლივით, გგონია შემჭამ,
მათოვ ბედისწრის ჟამის აღმწერო,
თუმცა რეზინის კევივით მღეჭავ,
ცდები სიკვდილი შემომაწერო!

შემოიხედე ჩემს ფანჯარაში

უბიწო წარსულს ჩემში რომ სძინავს,
შემოიხედე სულის სარკეში,
გულის მეგობარს არასდროს ვწირავ,
გული არა მაქვს ბოღმით ნაკერი.
როგორც ერთგული უნდა მიწამო,
უნდა გამანდო დარდი რაცა გაქვს,
მოდი ძვირფასო უნდა გიწამლო,
ჩემ გულის სითბოს არავინ არ გავს.
მოდი! ჰო, მოდი სანამ მეც ტყვიას,
მესვრიან როგორც სიკეთის მთესველს,
თუმცა სახელად გულნაზი მქვია,
ჩემს თავს ვამგვანებ მაია წყნეთელს.
ვბრძოლობ უჩუმრად რომ ჩემს მამულში,
დავატრიალო იის სურნელი,
ფიქრი გულისთქმას მისთვის ეჩხუბა,
სიკეთითაა განუკურნელი.
ჩემს ფანჯარაში შემოიხედე,
წმინდაა ჩემში დღევანდელობაც,
სულის სიღრმიდან გადაიხედე,
დამალულია უდარდელობა.
ვბრძოლობ ბედთან და უმადურებთან,
დუმილის ცელით ვთიბავ განსაცდელს,
ვბრძოლობ უგულო მედიდურებთან,
დღეებს დარდისთვის როგორ გავაცდენ!

არ იტირო დედა

(ჭუბერში დაღუპული
დავით გამთენაძე)

ზეცის სახლში მარად მწვანე ბაღში,
სააღდომოდ გაშლილია სუფრა,
მე არ მოვალ დედი ღამით სახლში,
ღმერთთან ვარ და მიკვირს რატომ სწუხარ.
სულ წინ დამხვდა რაც მად მადლი ვთესე,
ავზეიმდი ზეცის ცისარტყელად,
ვარსკვლავების გვირგვინს დავაწესებ,
კეთილები მნათობია ყველა.
არ მიდარდო არ იტირო დედა,
იამაყე გმირად, რომ გამზარდე,
ეს იცოდე აქ არავინ კვდება,
და უფალზე დედი არ გაბრაზდე.

დაღუპული გმირი

ქუთაისის ბაღნარებში გაზრდილს,
კეთილ ვაჟკაცს სიყვარულის ქარცეცხლს,
ძლიერ დავითს გაყოლია მადლი,
მტრის დამხვედრს და ორგულების ფაცერს.
დარჩა სატრფო და მტირალი დედა,
შეეწირა მამულს დიდი გმირი,
ახლა ციდან სატრფოს ცრემლებს ხედავს,
გულმოკლული დედა მწარედ ტირის.
ანგელოზის ფრთებით ფრინავს დათო,
დაპატრონობს კვლავ ჭუბერის მიწას,
შეყვარებულს თეთრი სევდა ათოვს,
გმირის სული ზეცის სახლში იწვა..
ძინავს მშვიდად, რადგან იცის ხვალ ზეგ,
აფხაზეთი დაბრუნდება უფლით,
საქართველოს მოდგმას მტერი დასდევს,
გმირი დგას და გამარჯვებას უცდის!

* * *

ნუ მიტრიალებ ბედის წისქვილო,
ნუ ცდილობ მარცვლად ჩამომაფრქვიო...
მიტომ თამაშობ იწილ-ბიწილოს,
გინდა რომ ყინვად გადამაქციო.
მზის სხივებია ჩემი ძარღვები,
გრძნობის ნათურა გულში მინთია...
აქ არ ყეფავენ ქუჩის ძაღლები,
ჩემი წარსული წმინდა მითია.

* * *

ფიქრის უსასრულო ხედებს,
მგზავრად ავედევნე დღესაც,
ვშველი ფრდებდასხვრეულ მტრედებს,
ვშველი ძირგამომხმარ ხესაც...

ვაჩე ჭელიძე

ჯერ სკოლაშიც არ დადის,
მაგრამ დიდი კაცია,
ბაბუს ეტყვის გამაგრდი,
დროს ზამთარი აცვია.
ნიჭიერი პაპიდებს,
ჭადრაკს ეთამაშება,
მათ სამყაროს ამდიდრებს,
თვალზე ცრემლი დაშრება.
ზოგმა მახვშად მონათლა,
ზოგიც მთის ჯიხვს ადარებს,
ბებომ ისე მოთაფლა,
საიდუმლოს აბარებს.
შემიყვარდა ეს კაცი,
მომავალი მახვშია,
გულს იმედი ჩავაცვი,
შიგ რომ დარდი მარხია.
მგონი თითონ ვაჩესაც,
მოწონს ჩემი ლექსები,
კბილს ღიმილით ვაჩენ და...
ფიქრით ვეალერსები.
ერს თუ ხსოვნად შემოვრჩი,
გავცოცხლდები ისევე,
წლები მე რას გამომრჩნის,
გულსაც ნუღარ მისერენ...
სიყვარულის პოეტი,
გეფერება პატარავ,
მოვკვდი... ისევ მოვედი,
მიწას შენთვის დავბარავ.
დავთეს ხორბალს ჯეჯილი,
ერთი ათად ამოვა,
ვაჩე შენ ხარ კეთილი,
შენგან კაცი გამოვა.

გულის სამყაროვ

გიყვარს სუყველა გულის სამყაროვ,
ჩემს გულის ნადებს მხოლოდ შენ ხვდები,
ცდილობ სუყველა შეიყვარო და ...
ღრმა აზროვნებით ზეცას მიწვდები!

მიგისაკუთრო

ჩემი შვილების სისხლის ზიარო,
შვილო, სული გვაქვს ერთი სამყაროს,
ფიქრით მინდა რომ შემოგიარო,
სხირტლაძეების გუდამაყარო.
მოდი დავწეროთ ლექსი ისეთი,
 გავჟღინთოთ სტროფი ჯანსაღ რითმებით,
გაილაჟვარდებს ჩვენით მითები,
შენს მოფერებას მიკვირს ვითმენდი.
როგორც მიყვარხარ როგორ დავწერავ,
გამონათებავ დროის საწუთროს,
უბრალოდ ლექსი შემომეწერა,
შვილად მინდა რომ მიგისაკუთრო!

მზე კვლავ დაიწყებს კვარჩხალს

ისევ დაისიცხა ველი,
ბუღი აუვიდა ქალაქს...
უცნაური არის წელი,
გარეთ ვიღა მეტყვის სალამს.

დაიყვავილა ვარდმა,
ტყემაც შეიცვალა ფერი,
დღემ ისე გადამქანცა,
ხელი დამეღალა წერით.

დროვ, უნდა შეგებრძოლო,
შენ გულის დანატორო...
ეს, იყოს მხოლოდ ბოლო,
ჩვენ უკვე ვთანატოლობთ..

ზურგი შემაქცია, მზემაც,
ღრუბლით შეიმოსა ქედი...
დღეც ისე გაიზვერა,
როგორც გრძელკისერა გედი.

მაინც ამოვძირკვავ, ჭანგას,
ეკალსაც მოვჭრი, ანჩხლსაც...
ვაზს მრავალწლიანს დავრგავ,
მზე კვლავ დაიწყებს კვარჩხალს!

პოეტი ქალი

პოეტი ქალი, ალალი გულღია,
სიმართლის მებრძოლი,
ხან მზე და ქარია,
წარსულშიც პოეტ
ქალს სწორ გზაზე უვლია,
პოეტი ქალები
გულწრფელები არიან.
არ უყვართ ფლიდობა,
დაფთაფი, ქირქილი,
სიტყვითაც ბრძოლობენ,
საქმითაც ყოველთვის,
იცინის პოეტი, როცა სხვაც იცინის,
ბრძოლის დროს არ არის
ის მიეთ- მოეთი.
თუ ტკივა პოეტ ქალს,
ლექსებში ქვითინობს,
თავის დარდს არ გახვევს,
თვითონვე შეფუთნის,
სიმართლეს ამბობს და
რათ უნდა ითმინოს,
არ დათმობს, არ მოგცემს,
რაც თვითონ ეკუთვნის.
თუ უყვარს არ გაცვლის,
სიყვარულს ჭინჭეპში,
პოეტის საზრდოა
გული რას განიცდის,
გულისწორს არ ეძებს,
ვიღაც სხვა ბიჭებში,
თუ გიჭირს მოგხედავს,
გზაშიდაც დაგიცდით.
პოეტი არ კვდება,
ნუ ცდილობთ რომ მოკლათ,
ნუ სერავთ, ნუ ატკენთ,
პოეტ ქალს სიტყვრბით,
თუ წავა ზეცაში,
ლექსებით კვლავ მოვა,
მომენდეთ პოეტზე
 სიმართლეს გიყვებით.

არასოდეს დაიდარდოს

ნოდარიკო გოდელაძემ გაახარა მამიკო,
გულით მშობლებს წააგავდეს, სუსტი რომ არ გარიყოს.
სასახელო გაიზარდოს ისე როგორც მშობლები,
არასოდეს დაიდარდოს ყველგან ყავდეს მოყვრები.

რაღაცნაირად
(ნანა გიგუაშვილს)

მომინდა ისე რაღაცნაირად,
რომ შენთვის ნანა ლექსი მომეძღვნა,
ეს დღე სხვა ფერად მეუცნაურა,
მინდოდა დარდი ხელით დამებდღვნა.

მომიალერსე ისე ფაქიზად,
შვილი, რომ დედას მოეფერება,
ძალა მომეცა დიდ ტვირთს ავზიდავ ...
მგონია გულსაც აემღერება.

მადლობა დედი სიყვარულისთვის,
დიდება დედას ვინც შენ დაგბადა,
ისევ ვიცოცხლებ შენი გულისთვის,
დარდზე წუწუნი ისეც არ ვარგა

ტკბილო პოეტო, ბებია, დედა,
აჰა, წაიღე თბილი სიტყვები,
შენია თუ კი გამოგადგება,
მეც სიყვარულში გამოგიტყდები!

არ გეტყვით

ღიმილი ჩემი ისე სუფთაა,
როგორც უმტვერო ვაზის ყვავილი,
სიცოცხლე ერთი ამოსუნთქვაა,
სულს მგზავრად მისდევს ხალხის ბღავილი.

უმწიკლო გული დედაშვილური,
შეირგეთ ყველამ დედის რძესავით,
მოდით თუ კი გაქვთ სითბოს სურვილი,
ყველა შვილის ვარ მე ნათესავი.

არ გეტყვით იმას რასაც განვიცდი,
ახალგაზრდებო, უკვე ვთქვი თუმცა,
არსად მივდივარ სიკვდილს არ ვუცდი,
გამძლეობის წლებს ვფურცლავ და ცფურცლავ!

თვალებო

ვაზის ლერწივით ნუღარ ტირიხარ,
ცრემლში დამხრჩვალო ჩემო თვალებო,
ჟანგის ფერივით შენაკირიხარ,
ნამწამო დარდით ნათართქალებო.

იქნებ შენთვისაც გამოიდაროს,
გულო და ცრემლმაც აღარ იდინოს,
შენც ხომ ცოდვა ხარ, სულ რომ იდარდო,
პოეზიის ფრთით უნდა იფრინო.

გული სიკეთის, მადლით ავსილა,
საამქვეყნოდ და სამარადისოდ...
დარდო, ცოცხალი ნუღარ ჩამსილავ...
შემაგრძნობინე სუნი ვარდისო.

ხუთი მაისი ისე გათენდეს,
შვილთაშვილები თავზე მეხვიოს,
სანამ ცა სევდას შემომაფენდეს,
ყველას მინდა რომ გადავეხვიო!

იოანე, ნენე და დანიელ ლობჯანიძეები

ჩემი გულის მერცხლებო,
ჩემო შვილთა შვილებო,
მოშრიალე ვერხვებო
და ძალიან ტკბილებო.
ორ ძამიკოს ნენეო,
დაუჯერე ლამაზო,
ხატე, ბევრჯერ წერეო,
მხოლოდ არ გააბრაზო!

ჩემს შვილიშვილს თამარ სხირტლაძეს, ვულოცავ თამარობას და მასთან ერთად ყველა თამარს მინდა ვუსურვურვო ჯამრთელობა და გამთლიანებულ საქართველოში ცხოვრება.
////////////////////////////////////

გულის – გულში

მაისია სურნელს აფრქვევს ყვავილები,
ვარდები და გვირილები იპრანჭება,
შვილიშვილის მოფერებით არ ავიღლები,
ვგრძნობ სიცოცხლე არასოდეს დამიჭკნება.
თაკო როცა თავის ბექას ეფერება,
ასე ნაზი არაფერი დამინახავს,
ბექა არის მისი ფიქრის ნეტარება,
ასეთ კადრებს გულის- გულში შევინახავ!..

წიგნის უღელი

როცა ცამ ხმალი იშიშვლა,
მე ლექსი ვძერწე ნამგზავრი,
მგონია ზეცამ მიშვილა,
ვწერ ლექსებსა და ვაგზავნი.
თვალით ვიხილე ნამდვილად,
იდუმალება მთვარესთან,
ფეხი არ გადაადგილდა,
ვიდექი ცისკრის კარებთან.
არავინ ჩამაგდო არაფრად,
მზე მთვარეს აღარ აჩენდა,
ცას ვარსკვლავები ფარავდა,
მე ვიღაც წერას მაჩვევდა.
შევქმენი ბევრი წიგნები,
სიმდიდრე, უხვი და ულევი,
წაიღეთ ოქრო და ბინები,
მე მედგას წიგნის უღელი!

მიტომ მოვისხი

მადლის სამოსი მიტომ მოვისხი,
რომ გულის სითბო შემოგაფინოთ,
კი არ დავთვერი ღვინო დავისხი,
სულის ბადაგი მართლაც საფირმო.

ყველა დაგლოცეთ და ღმერთსშევფიცე,
რომ ვიყო მხოლოდ მადლი მთესავი,
მე მზის შვილი ვარ მგონი მეშვიდე,
ვინ გეფერაბათ ნეტავ ჩემსავით.

სხვას რომ არ ააქვს ჩემში ის არის,
რწმენით ძარღვები დანაღმულია
თვალი იღვიძებს დილის ცისკარით,
ღალატი ფიქრშიც არ გამივლია.

ჰოდა მომენდეთ სანამ ფრთებს გავშლი,
წავალ იქ სადაც არ ბრუნდებიან,
ასეთი ვიყავ რომ მიმტრეთ მაშინ,
ის ტკივილები არ ხუნდებუან.

თუმცა დაგლოცეთ, გულით და მართლა,
ჩემი კრედოა სიკეთე ჩემი,
ახლაც სიკეთის სიტყვებით გნათლავთ,
უფლით მერგუნა ეს განაჩენი!

ობოლი კრავი

ათი წლის ადრე გარდავიცვალე,
მადლის სათესად მკვდრეთით აღვსდექი,
ისევ ისა ვარ არ შევიცვალე,
ბევრჯერ მტერსაც კი გამოვადექი.
განა უბრალო ექიმბაში ვარ,
ზეცის ხარისხი მაქვს უამრავი
სულ დავფუსფუსებ ცისკრის გზაში ვარ,
რწმენით ძლიერი
ობოლი კრავი!

არ ცალია მამიკოს

(სტეფანია სხირტლაძე)

არ ცალია მამიკოს, ექიმია დავითი,
ვთხოვ, მაჩუქოს ძამიკოც, მჯობდეს ათი თავითი.
დინჯი არის რაჭვული, მეკი ჯერ ვარ პაწია,
ვწუხარ თვალის პაჭუნით, მიძახიან პრანჭიას.

იმედი

მთები, დგანან დევებივით,
ამაყად და დიდსულოვნად...
წლები მირბის მწევარივით,
დრო შემომრჩა გულში ხსოვნად.
საიდღანაც, ველი იმედს,
არ, არსებობს არ მოვიდეს...
ვთესავ მარცვალს, თანაც იმდენს,
ჯეჯილად მსურს ამოვიდეს.
მჯერა ჩემი წინათგრძნობის,
ერთხელ ჩემთვის გათენდება.
ველი ამ დღეს, დიდი გრძნობით,
თოვლ-ყინული გამოდნება.
ჩემი მერცხლის ლამაზ ბუდეს,
იჭიკჭიკებს მერცხლის გუნდი,
დარდი ჩუმად გამოვგუდე,
იმედებს კი გულში ვბუდნი!

ჩემი გელას ფესვები

არ იდარდო ბებოვო, მიჩურჩულა ბექამ,
დარდს თუ დაგიბეგვავო, შენი უნდა მერქვას.
კი ბებიკო ვუთხარი, უკვე ჩემი მზე ხარ,
იმიტომაც შეგხარი, მამას, დედას გევხარ.
გაიზარდე ჯამრთელი, გაუმრავლდი დედას...
დაგდევს სხივი ნთელი,
შვილის ფესვებს ვხედავ!

ქარიშხალა

(მარიკა ფოჩხიძეს)

წიკწიკებს საათი დროს ითვლის თავისთვის,
ისრების ხმაური ბნელ ღამეს დარაჯობს
იქნებ შენც გაგესწრო იმ ბედის ჟამისთვის,
დარდისთვის სიცოცხლე არ უნდა დახარჯო.
ბედია უნდობი, ანჩხლი და ქაფქაფა,
ნუ გაკრთობს ზღვის ტალღის სილურჯის კამკამი,
წმინდას და უმანკოს ფიფქს გავხარ ქათქათას,
გიხდება თვლებზე ლამაზი წამწამი
შვილები დაზარდე გულღია შენსავით...
სიკეთის მერცხალო, იფრინე ნარნარით,
იხარე, იბრწყინე, ლამაზი მზესავით ...
ისეთი შენ რომ ხარ არავინ არ არის!

ისე მენატრები

დედი შენი წასვლა მე ისე მეტკინა,
მწარედ... სხვანაირად შვილო,
მაინც არ მინდოდა სულ რომ მეტირა და...
მიკვირს... სიძლიერეს ვცდილობ.

შვილო როგორ მიყვარს ვისაც გელა ქვია,
ვისაც თვალები აქვს მწვანე,
ვდგავარ ცის კარებთან გზა ვერ გამიგნია,
მოგონებები მწვავენ.

რა არ გავაკეთე გულქვა სამყაროში,
იქნებ ეს წვალებაც არ ღირს,
დარდი გაბატონდა ბედით დანაროში,
დედას ჩაეხუტე დაღლილს!

თუ არ დამიშლი

(ვალერი მოსიაშვილი)

ჩემი დის სუნთქავ, სამყაროვ ჩემო,
დეიდას სულის გულის ზიარო,
მიყვარხარ ვალერ, სულ ჩემთვის გჩემობ,
გლოცავ, რომ წინ-წინ მუდამ იარო,
შენ- შენი ნიჭით, შენივე შრომით,
გაკვალე გზები არც თუ იოლი,
ბევრჯერ წინ დაგხვდა ცხოვრების ომი,
ითმენდი შვილო, როგორც იობი.
თავდაბალი ხარ, დინჯი და სათნო,
უამბიციო, როგორც ღვთის კაცი,
დიდი-პატარა ამიტომ გხათრობს,
ქმნი წიგნებსა და უკვე დაკაცდი.
მოგეფერები როგორც ჩემს დისშვილს,
მეამაყები... მეიმედები...
დე... მოფერებას თუ არ დამიშლი,
მე არასოდეს დაგიბერდები!

მიულოცოთ

რახანია ვარ მდიდარი,
მამაომ რომ დად მაკურთხა,
ბედი ცრემლით მომდინარი,
ბედისწერას გამოუტყდა.
არ ვატიროთ პოეტია,
ისეც ბევრი იქვითინა,
განა მიეთ-მოეთია,
ჭირშიც ბევრჯერ იქვიტკირა.
ძმა გვერდში ყავს სულიერი,
ხელოვანი თან მამაო,
ჰქონდეთ მრავალჟამიერი,
დღეს მამაოს საღამოა.
დაბადება მიულოცოთ
ასეთები ღმერთმა გვმატოს
ბუბუნა ხმით გაგვაოცოს,
და არ ვიყოთ დართან მარტო.

მაპატიე

მაპატიე თუნდაც თბილი სიტყვა,
მამაოსთან თუ ვთქვი გაბედულად,
ურწმუნონი მეც არავინ მიყვარს,
განდიდებით ვინც რომ იდიდგულა.

საჩუქარო მოვლენილო ღვთისგან,
ხან მშვიდო და ხანაც ბობოქარო,
არ გეწყინოს ამიტომაც დისგან,.
მგლების ჯიში თუ ვერ შევიფარო.

შემომარტყავს უცხო ძალა სარტყელს,
სიძლიერით გული შეზავდება,
თუმცა მინდა ნამსხვრევებად დავტყდე,
ძმადნაფიცი თუკი გაბრაზდება.

მწვერვალები დაგილაშქრავს როლში,
ვარსკვლავეთი ... ხელოვნების ხიდი,
დად ნაფიციც არ წაიქცა ომში,
მგლების ხროვას მეც არ შევუშინდი!

სიწმინდე

კვლავ ვეძებ სიკეთეს არ მყოფნის რაცა მაქვს,
ვცდილობ რომ ვისწავლო რაღაცა სხვა უფრო,
ქარს ჩემი ფიქრები სადღაც შორს გადააქვს,
ხშირ-ხშირად ზეცაში მნათობთან ვსაუბრობ.
ხმას ისიც არ იღებს მთვარე დუმს თევზივით
ტკბილ ხმაზე ვუყვები რომანებს სიმშვიდით,
კამათობს უაზროდ მეფესთან ვეზირი,
შენეო ოდესღაც სიმღერას მიშლიდი.

– თქვენ რომ იცოდეთ –

რა ჩავიფიქრე თქვენ რომ იცოდეთ,
სიკეთე მქონდა მადლ-მოსართავი
გულკეთილთ გული გამოგიწოდეთ,
ბოროტის არ ვარ მე ნათესავი.

ეკლესიების ყველა ხატებთან,
ისე დაგლოცეთ როგორც შვილები,
ლოცვაა ჩემი სულის ხატება,
თქვენს სიყვარულში გამოვილევი .

გულის წერტილის ყველა კუნჭულში,
მოვაკალათებ სულის სიწმინდეს,
დღეს არ ვაღამებ წუწუნ- ფშლუკუნში,
მოგეფერებით სანამ იწვიმდეს.

დედამიწიდან ზეცის კარამდე,
ჩამოგიკიდებთ ვარდისფერ ფარდებს,
ისეთს უფალი უნდა ფარავდეს,
აუგს დედის ტოლს რომ არ აკადრებს.

თქვენი ნებაა თუ არ მიწამებთ,
დაგინაწილეთ მადლის კვერები,
რაც კი შემეძლო ისე გიწამლეთ,
უმადურს რატომ მოვეფერები!

უნდა მაპობო

მგონია მჯობნი და მიხარია,
სხვას რას ვინატრებ სულის სამშვენად,
და დღეს ეს გული ცის ტიხარია,
შენ ხარ ნანიკო ჩემი მარჯვენა.

რაც მე არ მესმის, ის შენში არის
და მიხსნი ისე ბავშს, რომ ასწავლი,
მზეც ხარ დილის და სულის ცისკარიც,
და იმედებიც აწყმოს და ხვალის.

იქნებ შენ დაგლოცე

სამშობლოს მტერო, იქნებ შენ დაგლოცე,
ავანთე სანთელი და ჩავუთქვი,
ჩემი სიკეთე ვიცი რომ გაოცებს,
შენით მაქვს შხამი ნასუთქი.

უნდა დაიჯერო გიყვები სიმართლეს,
მოვყევი ხატებთან სათქმელი,
ღმერთმა ქნას გონება გამოგინათდეს,
ისევ არ ატირდეს სანთელი.

მიწა წაიღე და ხალხი გამიქციე,
ერი დამიფანტე გზადაგზა,
ვიყიდი სიმართლის აქციებს,
ფული ვიშოვნე და მზადამაქვს.

უნდა გასწავლო ღვთიური სიყვარული,
პირი მოგდუდღნია საომრად,
დასაწყისია - დასასრული,
გიშლი ერთგულების საომარს!

როს ვეახლები

აქ ვარსკვლავები სიკაშკაშით ღამეს ანათებს,
უნდა მივიდე და სანთლები რწმენით ავანთო...
სანამ მე ჩავალ ჩემი ლექსი ღამეს გაათევს,
როს ვეახლები ჩემი გულით უნდა გავათბო.

უნდა ჩავიდე სული მიხმობს ცათა სივრციდან,
სული მებრძოლი ვალმოხდილი, სული დიადი,
ეს ახლა ხდება განა ვყვები ამბავს მითიდან,
ჰოდა, იბრწყინე უკვდავებავ, ამოდიადი.

ქუთაისური, დავითური, დასავლეთური,
ცისკრის აისი წამოჩიტავს კოკორ ვარდებსაც,
აქ სიმშვდეა, გუმბათებში წმინდა მეფური,
სულს დავაამებ, წამიერად გავყრი დარდებსაც.

გაზაფხულიდან შემოდგომამდე

მაისის თვეს დავიბადე მთებში,
ძირულის პირს ვკენჭაობდი ქვებით,
გაზაფხული ყვავილობდა ჩემში,
გაზაფხულის სურნელება შევსვი.
მერე წვიმა, თოვლი, ქარიშხალი,
სულ ჩემს მხრებზე ურცხვად ნებივრობდა,
ჩამაწვეთა ბედმა დარიშხანი,
რას მერჩოდა ნეტავ რა უნდოდა.
რაღა მექნა, მოვიწიე ტოტი,
რასაც ესხა სასიცოცხლო კვირტი,
ქარნაცემი მაინც სულ არ მოვტყდი,
და ლექსებით ვფრინავ როგორც ჩიტი.
წმინდა ნინომ დაღლილს მიმფარველა
და სახელად ცისკარელი მქვია,
ცის გზავნილმაც ჩემში იმთაველა
ღვთისმშობელმა ხელი შემომხვია.

* * *

ვინაც კითხულობს ამ ჩემს ნაწერებს,
მიხვდებით, მტკივა სხვისი ტკივილი...
ღმერთო, სუყველას ჯვარი დაწერე
და გამახარე მათი ღიმილით.

სვანური ზღაპრები

გოჩა ჭელიძე

ერთი ბიჭის ზღაპარი

იყო ერთი ხელმწიფე, იმას ვაჟიშვილი არ ყავდა. ვეზირები ყოლია ბევრი, მარა ერთი ყველაზე მეტად უყვარდა. სულ ყოველთვის პირდებოდა, იმისთანა ადგილზე დაგასახლებ, რომ შენისთანა მოსახლე სხვა არ იქნებაო. ერთ დღეს გამოვიდა, წყაროა მის ეზოში, დაჯდა ეს ხელმწიფე და ეს ვეზირი ქე არის იქ გაჩერებული.

უთხრა ვეზირს: - წადი ჩემ წყაროზედ, წყალი მეიტანე ერთი თავისი წყარო ჰქონდა მას. წაიღო თუნგი და გამოვიდა იმ წყაროდან სისხლი. გადაასხა. ამოიღო მეორე და კიდევ სისხლია; ამოიღო მესამე და კიდევ სისხლია და გაბრუნდა ისევ.

- რა ქენი, ვერ მომიტანე წყალიო?

- რაღაც სისხლი მოდის და წყალი არაო.

გაჯავრდა ხელმწიფე - გაგიგონია, ჩემი წყაროსთანა წყალი არსად არის, სისხლს რა უნდაო! წადი ახლავე, თორემ მოგჭრი კისერსაო!

წავიდა და კიდევ სისხლი ამოდიოდა. დეიჩოქა და ეხვეწება - რაც გინდა ის დამავალე, რაც ამის მქნელი ხარ, ჩემ თავს ნუ მოაკვლევინებ ხელმწიფესო. იქიდან ქაჯმა დაიძახა: - რაც გთხოვო ის საქმე გამიკეთეო.

იმას ვარს რავა ეტყვის, დაჯდა და დაწერა პირობა.

- რა უყო ამ პირობასაო?

- დადევი ქვაზეო.

ახლა წამოვიდა წყალი და შემოიტანა.

- ო ო, ხომ არ მოდის ჩემი წყალი სისხლითაო.

ვეზირმა არ გაამხილა მეფესთან. ამ ვეზირს ყავდა სოფელში საყვარელი ქალი. სთხოვა ამ ხელმწიფეს, რომ ერთი დღის ვადით გამიშვი სოფელში საქმე მაქვსო.

- წადი, ბევრი არ დეიგვიანოო.

ის ქალი ყოფილა ორსულად, ვაჟიშვილი დაბადებია, დიდი ხანი არ ენახა და მამის ხელა გაზრდილა, მოწიფულა ახალგაზრდა.

ილაპარაკეს ახლა ამ ქალმა და კაცმა - ერთი საქმე მოვახერხოთ რამეფრად, იქნება ჩვენი შვილი წაიყვანოს ხელმწიფემ ვეზირად და ჩვენ სამოსახლო მოგვცეს, დავესახლებითო.

დაბრუნდა ი კაცი ხელმწიფესთანდა თხოვა: სუ ყოველთვის რომ მპირდებოდი, დაგასახლებო, ის საქმე მიქენი, რომ ჩემი შვილი აიყვანე ვეზირად, მე სამოსახლო მომეცი და დევესახლები სადმეო.

- საჩუქარს მოგცემ და დეესახლეო.

- მე საჩუქარი არ მინდა, ოღონდ ჩემი შვილიც ჩემსავით პატივით იგულეო.

- წადი და მეიყვანეო.

წავიდა ის კაცი, მოკაზმა მისი შვილი, ჩააცვეს კარგად, მიჰყავს წყლის პირზე. გამეიარა წყალზე და რაღაცამ დაიძახა წყლიდან: - ეე, რას შვებიო!

- რა არის, ჩემი შვილი მიმყავს ხელმწიფესთანაო, სხვა არაფერიო.

- არა, ის შენი შვილი კი არ არის, ჩემი შვილია, აბა პირობა ნახეო.

ახლა მოაგონდა პირობა.

- ო ო, მართალია, მართალი, შენია, ვერაფერს ვიტყვიო.

- აბა დააჯდინე ქვაზეო!

დააჯინა ქვაზე და თვითონ წავიდა ხელმწიფესთან. მის შვილს წაუძღვა წინ ქაჯი და წეიყვანა. მივიდნენ ზღვის პირზე. ახლა ამას წუხს ბავშვი, ტირილი მოუვიდა, ზღვაში დევიხრჩობიო.

ქაჯმა უთხრა: - რა გატირებსო?

- დევიხრჩობიო.

- ნუ გეშინიაო.

შევიდა ქაჯი, ზღვა გაამაგრა, ფეხიც არ დაუსველდათ, გევიდნენ მეორე ნაპირზე. უთხრა ქაჯმა ბიჭს: - შენ დაჯექი, მომიცადე, ტანს დევიბან. არსად წახვიდეო.

ბიჭმა შეხედა, დაბლა მეორე ნაპირზე ქალი იბანს ტანს. მიეპარა იმას ბიჭი და ტანისამოსი მოპარა. ტანისამოსი შეინახა და თითონ დაჯდა, სადაც ქალია დამალული. ქალმა ტანის ბანა რომ გაათავა, გეიხედ - გამოიხედა და შეხედა ამ ბიჭს. დეიძახა: - ეი, ბიჭო, ტანისამოსი მოიტანეო!

- მე რა ვიცი შენი ტანისამოსიო?

- არა, მომიტანე, თორემ ის ჩემი ძმაა ვინც მოგიყვანა, ვეტყვი და შეგჭამსო.

- არა, მე არ მომიპარავსო!

- მომიტანე თორემ მოინანიებ, შენ დასაკლავად მიყავხარ იმ ჩემ ძმას და თუ არ მომცემ, უჩემოდ შენ თავს ვერ უშველი, პირობას მოგცემ გიშველიო.

ამოიტანა ტანისამოსი. ქალმა უთხრა: ერთ სახლში ჩემი ძმაა, მეორეში მე ვარ, მესამეში შენ იქნებიო. ის მოგცემს სამ კითხვას, ჩემ უკითხავად არაფერი უთხრაო, მე მკითხეო. ქალი წავიდა, ისეთია თვალადი, ლამაზი. გამოვიდა ქაჯი, ჩაიცვა ტანისამოსი და წამეიყვანა მის სახლში. ერთ ოთახში შეაგდო ბიჭი, თვითონ მის ოთახში შევიდა, მოისვენა და დაუძახა:

- ბიჭო მოდი შენ აქო! აბა ერთ საქმეს გეტყვი, თუ გააკეთებ, მაშინ თავისუფლად გაგიშვებ და ჩემი ოჯახიდან რასაც ისურვებ, გაჩუქებო.

- რა არისო?

- რა არის და ჩვენ რო ზღვაში გამოვედით, იქინე სახლი ქვედა ვერცხლის ააშენე და ზედა ოქროსი და თორმეტ - თორმეტი ფანჯარა უქენი, ერთი კარი. კარსა და ფანჯრის თავზე ყველგან გველეშაპი, მგელი, დათვი და სხვა მხეცები დააბი ჯაჭვით და ისე დაბრუნდი. რასაც ხელს მოკიდებ ჩემს ოჯახში, საჩუქრად მოგცემო. ამას ვერ შეასრულებდა ის, ტირილი მოუვიდა. გამოვიდა მისი დის ოთახში.

- რა არის, რა გითხრაო?

- ასე და ასე მითხრაო.

- ამას გიშველი, მაგრამ მეორეს გეტყვის. დამიცადე აქაო. თითონ გევიდა, ქაჯს ძინავს. ამას ქონია ქისა. მოიპარა, გამოიტანა. უთხრა: დადექი ზღვის პირზე, ამ ქისას უთხარი და ის ხუთ წუთში შეგისრულებსო. მერე ქისა მე ჩამაბარე, მას არ შეუტანო, თორემ შეგჭამსო.

წეიღო, დაჯდა იმ ზღვის პირზე, ახსენა ყველა, ხუთ წუთში სახლიც გააკეთა, და ყველაფერი დააბა იქ, რაც უთხრა, მევიდა და ქისაც მისცა. დამ წეიღო დადო იქ, სადაც იდო. ვერაფერი ვერ შეატყო ქაჯმა. გამოეღვიძა ქაჯს და დაიძახა: - ეე, ბიჭო, რა ქენი?

- გავაკეთე!

- ეჰ, შენ რაფერ გააკეთებდი, ჩემი ქისა გიშველიდა.

ქაჯის დამ პასუხი ასწავლა ბიჭს და იმას ისე უპასუხა: შენი ქისის მე არაფერი არ ვიცი, არც მინახავს, მე ვქენი ასეო.

- აბა ერთი კი გააკეთე, მეორესაც თუ გააკეთებ, რასაც ითხოვ, მეორესაც გაჩუქებო.

- რა არისო?

რა არის და დიდი კლდეა ამ სახლის ახლო. ამის თავზე სამი გოგოა: - ერთი წითელი; მეორე - შავი; მესამე - თეთრი. ისინი ჩამოიყვანე აქ და თავისუფალი იქნებიო თან ორ საქმეს გაჩუქებ და თავისუფალი იქნებიო.

გამოვიდა ბიჭი და ტირის ქაჯის დასთან.

- რა გითხრა ასეთი ბიჭო?

- ასეთი და ასეთიო.

- ეს იოლია, კი გავაკეთებთო, მარა მესამეს უფრო ძნელს გეტყვისო, შენ აქ მომიცადეო.

გავიდა, სძინავს ქაჯს, მოპარა ჯიბეში კლიტეები, გააღო ზანდუკი, ზანდუკში კოლოფია, კოლოფში კიდევ პატარა კოლოფი, ამეიღო და შეიტანა.

- აბა, ამაში არის სამი მერცხალიო: ერთი თეთრი, მეორე შავი, მესამე წითელიო. სანამდი კლდის ძირში არ შეხვიდე, კოლოფი არ გააღო. იქინე დაჯექი, კოლოფი გააღე. შავ მერცხალს შავი გოგოს წამოყვანა უთხარი, წითელს წითელის, თეთრს თეთრის. ჩამეიყვანე ისინი, შემდეგ მერცხლები კოლოფში ჩასვი, მეიყვანე აქაო.

წაიღო იქ და ისე უთხრა, რაც დაარიგა ქალმა. იგენმა რომ ჩამოიყვანეს ისინი, კოლოფი დახურა, შემოუტანა ქალს და ისინიც შემეიყვანა, იმ ქალმა შეიტანა კიდეც ზანდუკში, შეინახა ჩუმად. კლიტეები ჩაუდო ჯიბეში და გამევიდა. ქაჯმა რომ გამოიღვიძა, დაუძახა კიდო: - ეე ბიჭიო, მოდი აქაო! რა ქენიო?

- ჩამევიყვანეო.

- ეჰ, შენ რაფერ ჩამოიყვანდი ამათ?

- თუ არ გჯერა აქ არიან.

- იმათ მარტო ჩემი მერცხლები ჩამიოიყვანსო.

- მე რა ვიცი შენი მერცხლები, თუ ირმები? მე ჩამოვიყვანეო.

- შენ ამა კაი ბიჭი ყოფილხარ, მესამეს გეტყვი, თუ გააკეთებ, მაშინ სამ საქმეს მოკიდე ხელი ჩემ ოჯახში და გაჩუქებ და გაგათავისუფლებო.

ამის მეტი დავალებების უფლება არა აქვს.

- რა არის მესამე?

- რაში მყავს თავლაში, გამოგიყვან უნაგირიანად, შეჯექი, გაასეირნე მინდორში და მერე თავისუფალი ხარრო. გამოვიდა ბიჭი.

- რა გითხრაო? კითხა ქალმა.

- რაშზე შეჯექი გაისეირნეო.

- ოჰ, შე საწყალო, ეს არის ყველაზე ძნელიო. ამას რაში კი არა ჰყავს, ის თვითონ იქნება, უნაგირიც და ყველაფერი და გამომყვანიც. იმაზე რომ შეჯდები, დაიღუპება შენი საქმე. მე გასწავლი, ისე თუ მოიქცევი გადარჩებიო.

- რაო?

- რა და ის დაიძახებს, წადი ბაზარში, თეთრი ნაბადი და ალმასის ნაჯახი იყიდე. ის რომმ ვითომ გამეიყვანს რაშს, ის იფიხვინებს და გეტყვის: - აბა ჩემო კაი ბიჭო, შენ რომ იცი ისე შეჯექ და თავისუფალი მაშინ ხარო. ამ სიტყვამ გული არ აგიმჩატოს. აბჟანდზე ფეხი რომ შედგა, დაგაჩქარებს, არ შეჯდე უნაგირზე. უნაგირზე შემოხტომამდე რაშს ნაჯახი შემოჰკარი ორ ფეხს შუა სამჯერ და დაიძახებს - რად მომკალიო? შენ უპასუხე - ეგ გეკადრებოდა ჩემგანო. მისი საჩუქრები ჩემ უკითხავად არ აიღოო.

ქაჯმა რაში შეიყვანა, ვითომ დააბა. დაწვა თავის ოჯახში და რომ გაიღვიძა უთხრა: - კაი ბიჭი ყოფილხარკაი ბიჭი ყოფილხარ.

ქალმა დაარიგა ბიჭი - ორჯერ რომ გითხრას, რა გინდა საჩუქარი, ცემი თავი სთხოვე ცოლადაო, ის გაჯავრდება, მარა სამივე შეკითხვაზე ასე უთხარიო. ის გაჯავრდება , მაგრამ არ შეცდეო.

შენ დას თუ არ მომცემ, ქისა მაჩუქეო, ასე უთხარიო.

დაიძახა ქაჯმა: - პირველი საჩუქარი რა გინდაო?

- შენი და ცოლადაო.

კიდევ გაჯავრდა და კითხა - მეორე საჩუქარი რა გინდაო - შენი და ცოლადაო.

- მე ამას არ მოგცემო.

- შენი ქისა მაჩუქე, რადგან ის არ მომეცი.

ო, შე მამაძაღლო, ჩემი ცხოვრება შენ გინდა. წაიღო ქისა. მევიდა ქალთან, ამან აკოცა და გაუშვეს ისე. რომ გაუშვეს, მივიდა ზღვის პირზე, გაიარა ზღვა, ახლა ქისა აქვს. გავიდა ნაპირზე, სამი დევი სცემენ ერთი მეორეს. - რას შვებით თქვენ ამასო.

ვიყოფთ, მარა ვერ გავიყავითო.

- რა გაქვთ გასაყოფიო?

- კაი რამეო.

- რაო?

- ხალიჩა, ქუდი და სუფრა.

- მერე რას შვრებიანო?

- ხალიჩაზე თუ შეჯდები, სადაც გინდა იქ მიგიყვანს; სუფრა ევროპის ჯარს, ყველას სადილს შეუმზადებს; ქუდი რომ გეხუროს, ყველას შენ ხედავ და შენ ვერავინ გხედავსო.

- მერე ამას ვერ ყოფთ?

- ვერაო.

- მე გასწავლით გაყოფასო. ესენი დატოვეთ აქ, წადით მინდვრების ბოლოს, გამოიქეცით, ვინც მოასწრებს, იმას გექნებათ უკეთესი, ამას რა გაყოფა უნდაო?

- ოჰ, ეს რატომ არ მივხვდით ჩვენაო?

წავიდნენ დევები, ამ ხალჩაზე თვითონ დაჯდა. ის ტაბაკიც და ქუდიც აიღო, უთხრა - ხელმწიფის კარზე დამაყენეო. დევები იქინე დარჩნენ. თითონ ხელმწიფის კარზე გაჩნდა. ქუდი ახურავს, ვერავინ ხედავს, თითონ ყველას ხედავს.

რა მოახერხოს, ხელმწიფეს სამზარეულო აქვს. ამ სამზარეულოში მუშაობს დედაბერი დევი, ძუძუები ბეჭებზე აქვს აკეცილი. შეეპარა, ძუძუზე კბილი მიადგა - შენ დედა მე შვილიო.

- ვინა ხარო?

აიღო ქუდი, შეხედა - რა გინდაო?

- ეს ბარგი შემინახეო, მაჭამე და დედობა ამისრულეო.

- ნუ გეშინია - მოვახერხებო.

ხელმწიფეს ციხე აქვს. ციხეს ყარაულები ჰყავს ყველგან. - რა ამბავია აქ - ციხეშიო?

- ამაში არის ხელმწიფის ქალიშვილი და იმას ყარაულობენო. იმას დილით წონიან თხუთმეტი გირვანქაო.

დაღამდა, ქუდი დაიხურა და უთხრა ნავახშმევს ხალიჩას, სარკმელზე შემიყვანეო. აფრინდა და შეიყვანა. გოგოს ძინავს, აკოცა, დაბრუნდა. დილით გოგო აწონეს, არის ჩვიდმეტი გირვანქა. დააბრალა ხელმწიფემ ხალხს და დახოცა.

მეორე ღამეს ისევ ისე ქნა ბიჭმა. აწონეს კიდევ გოგო, არის ცხრამეტი გირვანქა.

მესამე საღამოს სულ ყველგან ყარაულებია. ის გოგოც არ დაწვა. ბიჭიც იქ არის. გოგო დადის აქეთ - იქით, არ წვება. თითონ არ იცის რა დაემართა. გათენებისას მიეყუდა თავის ქვეშაგებს და ბიჭმა აკოცა. გოგომ გაიგო: მაჩვენე თავია, არსად გაგიშვებო. ბიჭმა აიღო ქუდი, ეჩვენა. შეუყვარდათ ერთი და მეორე. აბა თავს უშველე, თორემ მამა მოგვკლავსო. შეაჯდნენ ხალიჩაზე და ბიჭმა უთხრა: იქ წაგვიყვანე, რომ ადამიანი არ ყოფილიყოსო.

გაფრინდნენ. მიფრინდნენ ერთ ადგილას. გაჩნდა აქ სახლი ქისას საშუალებით. ქვედა სართული ვერცხლი, ზედა - ოქრო. რამდენიც გინდათ ოთახებია. საჭმელი - სასმელი უამრავი, ოღონდ ადამიანი და არც ფრინველი არ არის.

ქალის მამამ გაგზავნა მაძებრები. ვერაფერი გაიგეს. ამ დროს დევის დედამ უთხრა ხელმწიფეს: მე რომ დევიხრჩვები, კუბო დაჭედეთ და წყალში ჩააგდეთო. ეს იყო ბიჭის დედობილი, წყალი ზღვაში მიდის, დედაბერი ჩააწვინეს კუბოში, წაიღო წყალმა კუბო ზღვაში, ერთი პატარა დოქი ბანგი დაუდეს თავქვეშ. წყალმა კუბო ზღვაში წაიღო.

ცოლ - ქმარს მოწყინდათ და ჩავიდნენ ზღვის პირას სათამაშოდ. შეხედეს კუბოა ზღვაში. ქმარმა თქვა: - გამოვიტან ამას, ამდენი ხანია არავინ გვინახავს მკვდარი და ცოცხალი, ცოცხალი არ იქნება, მკვდარი ვნახოთ. ქალმა იკივლა: - არ გამოიყვანო, მოინანიებო.

- აბა მისი კი არ მეშინიაო.

გამოიყვანა, გააღო კუბო, ნახა მისი დედობილი.

- იჰ, საწყალო რა დაგემართაო?

- რა და ჩემი ცოდვა გქონდეს, გაიგეს რომ შენ ჩემთან იყავი, ისე სიკვდილი არ დამაჯერეს და ცოცხალი ჩამაგდეს წყალშიო.

- აბა ნუ გეშინიაო, მე იმაზე უკეთ შეგინახავო, როგორც მკვიდრ დედასაო.

შეიყვანა სახლში, ემსახურა ოთხი - ხუთი დღე კარგად, ერთ საღამოს რომ დაწვენ, მოწყურდათ. დევის დედამ წყალი გადაღვარა და როცა წყალი მოითხოვენ, ბანგი დაალევინა. იმ ხალიჩაზე გოგო დააწვინა, წაიღო ტაბაკი, ქუდი და უთხრა ხალიჩას: კარზე დამაყენეო, ქისაც წაიღო. ის საწყალი ბიჭი დარჩა ტიტველი მიწაზე. ახლა რა ქნას, გავიდა ერთი კვირა, არც საჭმელი აქვს, არც სასმელი. დაღონდა ისე, რომ სიარული არ შეუძლია. მინდორშია. ზევით ხე სჩანს მივიდა იქ ოთხით. დაჯდა მის ქვეშ. ამის წვერზე ჩიტს ჰქონია ბუდე და წიწილები ჰყავს. იქ დედა მათი არ არის. მათი საჭმელის საძებრადაა გასული. წიწილებმა უთხრეს ერთმანეთს: - ამისი ცოდვა რა გადაგვარჩენს, რად გვინდა რამე, ამისთანა საწყალი ქვეყანაზე არაფერი არ იქნებაო. ვკითხოთ დედაჩემს, იქნებ იმის გადამყვანი იყოს რამე, მოხერხდესო. საღამო დროს

მოვიდა მათი დედა, საჭმელი მოუტანა და წიწილებმა არ მიიღეს - რა არის, რა გინდათო, რატომ საჭმელს არ ჭამთო?

- რად გვინდა საჭმელი, ყველა დაგვხოცე, საჭმელი უსარგებლოა ჩვენთვისო. რომ უყურებ ჩვენ ქვეშ საწყალი კაცი არისო. შენ მოხუცებული ხარ და გეცოდინება მისი აქეთ გადამყვანიო.

- ამის გადაყვანა არ მოხდება იქით, ოღონდ სადაც არის გიორგობა, ამ ჩვენს ზევით რომ თეთრი ქვაა, მიწა ინგრევა, ქვა გასკდება, ამოვა თეთრი რაში, იმ ქვაზე დაჯდება, მაშინ მის ფეხებს რაშს თუ მოახვედრებს, გადავა იქითო. იქ თუ კარგად გავარდა და გაგორდა, მაშინ თავს უშველის, თუ არა, დაიღუპებაო. მივიდა ის ბიჭი მეორე დღეს, დაჯდა ქვაზე, აინგრა მიწა, გასკდა ქვა, ამოვიდა თეთრი რაში, მოახვედრა ფეხები, გადაჰყვა გადაღმა და გადარჩა. რა ქნას ახლა, სიარული არ შეუძლია და საჭმელი არ არის, მიდის ისე, როგორც ოთხფეხი. მიდის, და მივიდა ტყის პირას. აქ აბია თეთრი ლეღვი. დაიწყო ამის ჭამა, ფეხზე ადგა, ახლა სიარული შეუძლია. ამ ტყეში თეთრი ლეღვიცაა და შავიც. - სულ ერთი იქნებაო და შავიც შეჭამა, რამდენი ბალანიც თავში აქვს, იმდენი ნაძვი და ხე გამოუვიდა თავზე. სული უდგია და ტყე არის, უბედური მისი თავი. - მაინც დაღუპული ვარო. ახლოს არის თეთრი ლეღვი, აიღო და ჭამს და მოურჩა თავი, გეეცალა ტყეს. ახლა შეინახა ბიჭმა ერთი ჯიბე შავი ლეღვი, მოკრიფა, მეორე ჯიბე თეთრი ლეღვი მოკრიფა. მიდის, მიდის. შევიდა სოფელში, თხოულობს პურის ნატეხს და აჭმევენ. ამევიდა აქამდე, ხელმწიფის სამოსახლომდი. მისი დედობილი აქ მუშაობს, მივიდა და უთხრა, ჩელო დედობილო, კარგად მიყავიო.

- კარგად არ გიქენი, მაგრამ ჩემ ბარგს დაგიბრუნებო. ხელმწიფისათვის არ მიუცია. დღით ქუდი ხურავს და არავინ ხედავს. ღამე დედობილთან არის, სადაც ხელმწიფის ეკლესიის გზაა, იქ დუქანი გააკეთა. საჭმელი, სასმელი აქ საუკეთესო. ერთ კვირას მოდიან ეკლესიაში, ნახეს დუქანი. - ვინ ააშენაო, აქითობას შევიდეთო. წავიდნენ. წირვის შემდეგ შევიდნენ. ბიჭმა საუზმე გააკეთა, მოეწონათ. - აწი შენ უნდა გაგვიკეთო საჭმელიო, ასე დასდეს პირობა. ოთხი - ხუთი დღე კარგი საჭმელი უგზავნა. ერთ დღეს შეურია შავი ლეღვი და რომ შეჭამეს, თავზე ხეები დაესხათ. ამათაც ისე დაემართათ, რამდენი ბალანიც ჰქონდათ, იმდენი ხე ამოუვიდათ.

მოჰყავდათ ცა და ქვეყანა ექიმი, ვერაფერი უშველეს, შრიან, ამოდის, ბიჭიც იქ არის. ბიჭმა თქვა: - მე მოვარჩენ რას მომცემენო?

- ხელმწიფედ დაგაყენებსო!

- მე მოვარჩენო!

მისი მამაც აქ არის. ვერ იცნო შვილი. - შენ რას მოარჩენო, ექიმებვი ვერ არჩენენო.

ბიჭმა უთხრა: - მართლა მოვარჩენ, მარა მაგათ არ ეკუთვნისო.

ყველა შეეხვეწა მოარჩინეო.

- აბა უღელი და კევრიო და ერთი მაგარი მათრახიო. დაადგა უღელი ცოლ - ქმარს, მიადგა კევრი, მათრახი ხელში აქვს, ურტყამს, თითო დარტყმაზე თითო ლეღვს თეთრს აჭმევს, ეცლებათ ხეები თანდათან და განთავისუფლდნენ. მორჩნენ და უთხრეს:

- ხელმწიფედ დაჯექიო.

- მე ხელმწიფობა რა მინდა, შენი შვილი მინდა ცოლადაო.

- აუსრულეს. მისი მამაც გაათავისუფლეს და დარჩენ იქ.

ცხრა ძმა

ჩერქეზეთში არის დიდი მინდვრები. ბოლო არ უჩანს. მინდვრების ბოლოს ვინ და რაც გავიდა კაცი, საქონელი - ცხენი თუ სხვა, უკან არ დაბრუნებულა. ყველა ამბობს: რა ამბავი არის, უნდა გავიგოთო. მარა არავის არ უნდა იქ წასვლა. ერთ დღეს შეიკრიბენ და თქვეს:

- თუ ვინმე გაიგებს ვინ არის ის მავნე, იმას მთელი ყაბარდოს ხალხი სამ-სამი წლის მოზვერებს მივცემთო. წამოვიდნენ ერთი დედ - მამის შვილები - ცხრა ძმა. თქვეს: ცხენები მოგვეცით, წავალთ და გავიგებთ ყველაფერსო. მისცეს მხიარულად შეკაზმული ცხენები, ნაბდები, ბაშლაყები, გამოაწვნენ და გაუშვეს. წავიდა ცხრა ძმა. როცა ჩევიდნენ მინდვრის ბოლომდე, ნახეს, რომ იქ არის სპილენძის სახლი. ჩევიდნენ იქ, სპილენძის სახლში კაცი არავინ არ არის. დაჯდნენ იქ. თქვეს - ამის პატრონს ეცოდინება, რა არის ჩვენი მავნებელიო, მოუცადოთ პატრონსო.

აქ ყოფილა ცხრა ძმა დევი, საღამოს მოვიდნენ დევები, თითო ჯიხვი და კვარის ჯირკები ყველას აქვს. დევებს გაუხარდათ ამათი მოსვლა, გამარჯვება უთხრეს. შეიყვანეს ცხრა ძმა სახლში და მოამზადეს საუკეთესო ვახშამი. მეორე დილას რომ ადგნენ, დევებმა უთხრეს: - ჩვენ მოვამზადეთ ვახშამი და ახლა თქვენ მოამზადეთ სადილიო.

ძმებმა დაკლეს უფროსი ძმის ცხენი, მოხარშეს სადილად, შეჭამეს. ღამისთვის ისევ დევებმა მოხარშეს ვახშამი და აჭამეს. მეორე დღეს ძმებმა დაკლეს კიდე მეორე ცხენი. ასე გავიდა ცხრა დღე. შემოაკლდათ ცხენები, დასაკლავი აღარ ყავთ. დევებმა უთხრეს - ვახშამი მოამზადეთო. ძმებმა ილაპარაკეს, - რა უნდა მოვამზადოთო. ილაპარაკეს უფროსმა ძმებმა, - უმცროსი ძმა დავკლათო. უმცროს ძმას ეს ესმის. ეუბნება უფროს ძმებს: - თქვენ უგუნურები ხართო, ჩემო ძმებო, ეგენიდევები არიან და ასე შვრებიან, მე არ დავაკვლევინებ ჩემ თავსო.

დევებს უნდათ უმცროსი ძმის დაკვლა. უმცროსმა ძმამ უთხრა დევებს: თქვენც უგუნურები ხართ და ჩემი ძმებიც. ჩვენ ცხენების საჭმელად კი არა ვართ აქა, ამას ჩვენ სახლშიც შევჭამდითო. ჩვენ გვაქვს ერთი საკითხი გასარკვევი. ამისათვის ვართ გამოგზავნილი მთელი ყაბარდის მიერ. ერთი საკითხი ის არის, რომ ერთ საღამოს წახდა ამინდი, მოვიდა კოხი, თოვლი, ქარი, წვიმა და ჩვენში არც ჯოგი დარჩა და არც მეჯოგეო. ერთ მეჯოგეს თხის ჯოგი ყავდაო. იმ ჯოგში ერია ერთი მამალი თხაო. იმ მამალი თხის წვერის ქვეშ არაფერი არ დასველდაო. ჯოგიც და მეჯოგეც დაიფარა და შეინახეს თავიო. სხვაგან ყველა დაიხოცაო. გავიდა ხანი და იმ მეჯოგემ დაკლა ის მამალი თხაო. როცა გაატყავა, ხორცი ხორცად ეყო და ტყავი ტყავად, მოეპარა ერთი ორბი და ბეჭი მოიპარა. რომ მიფრინავდა, ისე შეჭამა ის ბეჭიო. ხორცი რომ შეჭამა და ძვალი ჩამოვარდა, ის ძვალი ჩაერჭო მიწაში და თავი ზევით ჰქონდა. ამ ბეჭის თავზე დაესახლა ასი მოსახლე. ამ ასი მოსახლის სახლში კაციც ბევრი იყო, ქალიც და ბავშვიც. დილას რომ ზევით ჰქონდა კარი, საღამოს დაბლა. რაღაც აბრუნებდა ამ ას მოსახლეს. დაუდარაჯეს და ნახეს, მელას გაუკეთებია ხვრელი და ის აბრუნებს ამ ას მოსახლეს ხან იქით, ხან აქეთ, იმ ასი მოსახლის სახლში ასი შეიარაღებული კაცი იყო. უდარაჯეს ამ მელას. თითო თოფი ყველამ მოარტყა და მოკლეს მელა. გვერდის ერთი ზედა ნახევარი გაატყავეს და მეორე ქვედა ნახევარი ვერ გადააბრუნეს. იმ სოფელში ვინც კი ცხოვრობდა, ამ ცალი გვერდიდან ყველას გამოუვიდა ქუდი და სამაჯებიც. მივიდა ხალხი, შეგროვდნენ ყველა და ვერ გადააბრუნეს მელა, რომ მეორე გვერდიც გაეტყავებინათ. მოვიდა ერთი დედაბერი. იმას ჰქონდა ჩერია - თითისტარი. ამ ჩერით გადააბრუნა მელა, გაატყავა მეორე გვერდი და თავისი სამაჯეებიც არ გამოვიდა. ახლა არის ცილობა. ზოგი ამბობს, - ის ორბი ყოფილა ყველაზე დიდიო; ზოგი ამბობს: - თხა ყოფილა დიდიო, რადგან მის ბეჭზე ასი მოსახლე დასახლდაო; ზოგი ამბობს: - მელაო; ზოგი ამბობს: - დედაბერიაო, რომ ცალი ხელით ჩერიით გადააბრუნა მელა, გაატყავა და ტყავიდან სამაჯურიც არ გამოუვიდაო. ამის ცილობა არისო. ამაზე გამოგვაგზავნეს თქვენთანო. თქვენ უნდა გვითხრათ, რომელია ნამდვილად უფრო დიდიო. დევებმა უთხრეს: ამის გაგება თუ გინდოდათ რატომ არ თქვით, ამდენ ცხენს არ დავკლავდითო. ამას ჩვენ აქ ვერ გავარჩევთო, წავალთ უფრო შორს და იქ გავარჩევთო. დევებს თითო რკინის კეტი ჰქონდათ. დაიწყეს ცილობა უმცროსი ძმის ნაამბობზე. მოუვიდათ ჩხუბი, დაურთეს ერთმანეთს რკინის კეტები და მოკლეს ერთი - მეორე. ეს ძმებიც გაანთავისუფლა უმცროსმა ძმამ და ხალხიც.

ახლაც არის ცილობა იმაზე, რომელი არის უფრო დიდი - თხა, ორბი, მელა თუ დედაბერი.

სამი ძმა

ჩვენში ერთ დღეს ვიწყებთ ყველა თიბვას. ამ დღეს ვეძახით ახანახეს. ახანახეს ვდღესასწაულობთ. ყველა მინდორშია იმ დღეს ჩაცმული, შეკაზმული და ნელა თიბავს. დღესასწაულია. ყველა თიბავს. ოღონდ სამი ძმა არის ღარიბი. არც საჭმელი აქვთ, არც - სასმელი. თიბვენ ზედა პირზე. დოფით არაყის გამონახადი წყალი აქვთ სასმელად, საჭმელად არაფერი აქვთ. სადილად დაჯდა ყველა. ქეიფობენ, არის სიმღერა და ქეიფიამ დროს გამოჩნდა დაბლიდან ერთი მოხუცებული კაცი. მოდის და მთიბავებს ყველას იქით - აქეთ გამარჯვებას ეუბნება. არავინ არ უთხრა შემობრძანდიო, ერთი მოგვეწვიე შენცო. მიდის ახლა და ამ სამი ძმის ახლოს ამოიარა აღმართი. უმცროსმა ძმამა თქვ: დაუძახოთო.

ძმებმა უთხრეს; რა უნდა აჭამო და ასვაო?

უმცროსმა უთხრა: სულ ყველას ქეიფი აქვს, არავინ არ დაპატიჟა და რაც გვაქვს ის დავალევინოთო. უმცროსმა ძმამ დაუძახა მოხუცებულ კაცს: - იკადრე, ჩვენთან შემობრძანდი ცოტა ხანიო.

სტუმარმა უთხრა: - აბა ყველა მღერის, ქეიფობს, თქვენ რაღას უყურებთო?

- რა ვქნათ, ჩვენს საჭმელი არ აქვს არაფერი, დოქში ორაში გვაქვს, მეტი არაფერიო.

- გამოიტანეთ, რასაც თქვენნიკადრებთ, იმას მეც ვიკადრებო.

უმცროს ძმას უთხრა: ჩამოასხი, დაგვალევინეო. ჩამოასხა უმცროსმა ძმამ, ორაში კი არა, ღვინო არის შესანიშნავი.

სტუმარმა იკითხა: - პური არ გაქვთ? იქ თეთრი რომ არის გორზე, ის მოიტანეო.

უპასუხეს: - ის ქვა არისო.

- ჩამოიტანეთო, უთხრა სტუმარმა.

- ქვა არისო, უპასუხა უმცროსმა ძმამ.

- შენ რა გინდა, ჩამოიტანეო.

ავიდნენ და ნახეს მშვენიერი დიდი ცხვარი, ასევე ნახეს თეთრი პური. დასხდნენ, დაიწყეს სიმღერა. ყველა გააჩუმეს. ყველა კითხულობდა: ვინ არის ისეთი, რომ ამისთანა სიმღერა იცისო. ხალხი იცინის - რას დაუძახეს, საჭმელი არ აქვთ, სასმელი და რას მღერიან ჭუჭყიანებიო.

ჭამა რომ გაათავეს, მოხუცმა კითხა უფროს ძმას:

- შენ რა გირჩევნია, რის უფრო მოყვარე ხარ?

- მიწა მინდა, მაშინ საჭმელს ვიშოვნიო.

- მიწაც გქონდეს და საჭმელიც, სანამ სტუმარი არ შეგძულდესო.

აჰ, სტუმარს რა შემაძულებსო.

მოხუცმა დაულოცა მიწა. ახლა საშუალო ძმას კითხა; შენ რის მოყვარე ხარო?

- ჯოგისო.

- შენისთანა ჯოგი არავის ეყოლება, სანამ სტუმარი არ შეგძულდესო.

- სტუმარს რა შემაძულებსო?

უმცროს ძმას კითხა: - შენ რა გირჩევნიაო?

- მე მეტი არაფერი, იმისთანა ცოლი მინდა, ღვთის სულის და ოჯახის მოვლა იცოდესო.

- ოჰო, მაგისთანა ქვეყანაზე მხოლოდ ორი მეგულება. ერთი გათხოვილია, მეორეს ქორწილი ამაღამ არის. თუ მოვახერხე, წაგიყვან იქო. უფროსი ძმები დაასახლა. უფროს ძმას აქვს მიწა და სულ აქვს პური; საშუალო ძმას ჯოგი. უმცროსი ძმა წაიყვანა იქ, საცა კეისრის შვილის და მეორე კეისრის ქალის ქორწილია.

მოხუცებულმა - ის არის წმინდა გიორგი მოიყვანა წვიმა, ქარი, უბედური ამინდი, მიადგა კარზე მექორწილეებს და დაუძახა: მასპინძელო, დაგვაყენე ამაღამ, გასათევი არა გვაქვს. კეისარს უთხრეს ეს და იმან უარი თქვა - ხლაფორთიანი კაცი შემოვა ქორწილზე და ხლაფორთი მოყვება, ამაღამ არ შემოვუშვებ და შემდეგ ვისაც შემოვუშვებ მე ვიციო.

აჰკრა ამ მოხუცებულმა წიხლი, შეამტვრია კარები, შევიდა და შეიყვანა ბიჭიც. დაჯდენ. სუფრაა გაშლილი. ცოლ - ქმარი ერთად არიან და მეორე მხარეს ესენი დაჯდენ, სტუმრები. მოხუცებულმა უთხრა ბიჭს: - წადი, ააყენე ქმარი და შენ იქ დაჯექიო.

ბიჭმა ეს არ შეასრულა.

- ოო, მიტომ არ გიშვებდით, ასე იცით, რომ შემოხვალთ სახლშიო, გაჯავრდა კეისარი.

მოხუცებულმა უთხრა: - რას ლაპარაკობ, ქალი ამ ბიჭის არისო.

კეისარი უფრო გაჯავრდა.

მოხუცებულმა უთხრა: - აბა სანაძლეოს გამოდიო.

- რა სანაძლეო მინდა, ქალი გათხოვილიაო.

- აბა, თქვი, რა სანაძლეო გინდაო.

- რა სანაძლეო და თითო ვაზის წკნელი მივცეთ ორივესო, რომლის ხელში ფორთელს გამოიყვანს, მეორე ყვავილს, მერე ყურძენს,მ ყურძენი დამწიფდება და საჭმელად გვექნება ამ სუფრაზე, იმას დარჩეს ქალიო.

დაეთანხმა კეისარი. მისცეს ორივეს, - ბიჭს და ნეფეს ვაზის წკნელი. ამ ბიჭის ხელში განედლდა წკნელი, ფორთელი გამოიყვანა, ყურძენი დაისხა, დამწიფდა ყურძენი. მეორეს - კი წკნელი გაუხმა ხელში. მოხუცმა კითხა:

- ახლაც არ მისცემ ქალსო?

- არა, მე არ მივცემ, ქალი გათხოვილიაო. მოხუცმა კიდევ უთხრა: - აბა რომელმაც ხანჯლის წვერზე იცეკვაოს, იმას მიეცი ქალიო.

ააყენეს სიძე და რომელ ფეხსაც დაადგამს ხანჯლის წვერზე, ჭრის ხანჯალი.

- ადექი ბიჭო, ახლა შენ იცეკვეო!

ადგა ბიჭი, ტრიალებს ამ ხანჯლის წვერზე და ფეხებს არ ჭრის. მოხუცებულმა კიდევ ერთხელ იკითხა:

- ახლა ხომ გაგვატან ქალსო?

- არაო.

სტუმრები ადგნენ და წავიდნენ. გოგო მხიარული წამოყვა ამათ. ვერავინ ვერ გაბედა გარეთ გამოსვლა და გოგოს წართმევა. მოხუცებულმა ეს ბიჭი და გოგო დაასახლა კარგ ადგილას და დალოცა: სანამ სტუმარი არ შეგძულდეს, თქვენისთანა არავინ იყოსო.

გავიდა ხანი. სამივე ძმა მდიდრად არის. ამოიარა კიდევ ამ მოხუცმა, იმისთანა დარია, რომ გარეთ გამოსვლა არ შეიძლება. მიადგა უფროს ძმას, - დამაყენეთ, წვიმაა, მადლიაო, მასპინძელმა უპასუხა: - ჩემ ქალს ხელი დამწვარი აქვს სტუმრის პურის გამონაცხობი და ახლა არავის არ შემოვუშვებო.

- ო ო, რა ბედიც გქონია, ისევ ის ბედი გქონდესო.

მიადგა ახლა საშუალო ძმის კარებს: - დამაყენეთ სახლში, ჭამა არ მინდაო.

ამანაც ისე უპასუხა: - ჩემ ქალს ხელი დამწვარი აქვს სტუმრის პურის გამონაცხობი და არავის არ შემოვუშვებ ახლაო.

მოხუცებულმა ამასაც ის უთხრა: - ძველი ბედი გექნებაო.

მოხუცებული მიადგა უმცროსი ძმის სახლს. მარტო ქალია სახდოში. ქმარი მოკვდომია, კუბო დგას სახლში...

- მასპინძელო, დაიძახა მოხუცებულმა. გამოიხედა ქალმა.

- მობრძანდი, დავხვეტ სახლსო.

ქალი შეუდგა სახლის დახვეტას, კუბო დამალა ბნელაში. სახლი დახვეტა, ცეცხლი დაანთო, ქათამი დაკლა და სტუმარი მიიწვია - მობრძანდიო.

- ოქ, შენ მარტო ხარ?

- მარტო ვარ.

- ქმარი სად არის!?

- ბაზარშია წასული არ მოსულაო.

სტუმარმა იცის მკვდარია მისი ქმარი და სად არის დამალული კუბო. ადგა, ვითომ გარეთ გასვლა უნდა. ბნელაში ახადა კუბოს საფარი, მკვდარს შეუბერა, გააცოცხლა, რომ იყო უწინ, იმაზე უკეთესი გახადა. გამოდო მკლავში ხელი და შემოიყვანა სახლში.

- სად დარჩი ამაღამო, უთხრა ქალმა ქმარს, არ შეიმჩნია სტუმართან გაკვირვება. სტუმარმა უთხრა: - მე ვიცი ყველაფერი, რაც იყო, კაი ქალი ყოფილხარ, საქმეც კაი გექნებაო. დალოცა წმინდა გიორგიმ და დატოვა ისე.

უფროსი ძმები დარჩენ გაღარიბებული.

ეს ზღაპრები ჩაწერილია მესტიის რაიონის სოფელ მულახში 1945 წელს 96 წლის ემზა გუჯეჯიანის მონათხრობით.

ემზა ალექსანდრეს ძე გუჯეჯიანი დაიბადა 1847 წელს მულახში. რევოლუციამდელმა ყოფამ ახალგაზრდობისას აიძულა ემსახურა ბექარბი დადეშქელიანის კარზე. მის მოვალეობას ზღაპრების, თქმულებებისა და სხვა ჟანრის ნაწარმოებთა თხრობა შეადგენდა. ემზას ცნობით, მისი მამაალექსანდრეც ხშირად დადიოდა დადეშქელიანებთან და ართობდა მას სხვადასხვა ზღაპრებისა და ამბების თქმით. მისი ცნობით, სამზარეულოში ვახშმის მზადებისას, სადაც მსახურები იკრიბებოდნენ, შედიოდნენ დადეშქელიანები და ისმენდნენ ზღაპრებს. ასეთ გარემოებაში შეურჩევია ბექარბი დადეშქელიანს ემზა მეზღაპრედ.

ერთხელ, მითხრა ბექარბი დადეშქელიანმა შენისთანა ზღაპრები მეც ვიცი, ოღონდ შენი ლაპარაკი მიყვარს და უნდა მითხრა ზღაპარი ყოველ ღამესო. მატყუებდა და მალაპარაკებდა. სხვა სამუშაოზე გარეთ არ მგზავნიდა. დღე არაფერი არ იყო ჩემი საქმე და ღამით არ მაძინებდნენ - დღისით იძინე და ღამით ილაპარაკეო.

ხაბავშვო განყოფილება

ნათია დაშნიანი

ბაჭია

ყურპარტყუნა ბაჭიამ
ხტუნვითა და ცანცარით,
სულ შეჭამა ბოსტანში
ბოსტნეული რაც არის.
გაუბრაზდა დედიკო:
_სადაური წესია,
ჭამო დაუკითხავად
რაც არ დაგითესია?!
შრომას წყალში ჩამიყრი,
სხვა საშველი არა ჩანს,
მურიკელას ბოსტანთან
დაგიყენებ დარაჯად.

ჭკვიანი თაგუნა

ალბათ პატარა თაგუნას
ჭკუას არიგებს ბებია
და ამიტომაც სათაგურს
ახლოს არ გაჰკარებია.
ვიფიქრე: ყველი არ უყვარს,
დავუდე ძეხვის ნაჭერი,
რადგან ისეთი ფისო მყავს
არ არის თაგვის დამჭერი.
სიცილით კვდება თაგუნა,
შემძრა ჩხავილმა გაბმულმა,
იმ სათაგურში მის ნაცვლად,
მსუნაგი ფისო გაბმულა.

გულყვითელა

_ ეს ქოჩორა, ის ფაჩუჩა, _
ბებო ითვლის წიწილებს.
გულყვითელა დაგვეკარგა,
ჩუმად ვიყოთ, იწივლებს.
იმ წიწილის წია-წია
ვერავინ ვერ გაიგო,
_ კატამ ხომ არ შეგვიჭამა?
_ ქორმა ხომ არ წაიღო?
მოვიარეთ მთელი ეზო,
ვნახეთ და გაგვეცინა,
გულყვითელას
საქათმეში
უდარდელად ეძინა.

გოჭუნები ვარჯიშობენ

ერთი-ორი, ერთი -ორი,
აღრუტუნდა დედა ღორი,
უკან მიყვნენ გოჭუნები
ტალახებში გორვა-გორვით.
დაირბინს ტყე და ველი,
გადაჩიჩქნეს მიწა ბაღის,
დღე და ღამე მათი დევნით
დაიღალა ჩვენი ძაღლი.
ასე ამბობს დედა ღორი:
_ აწყენს გოჭებს ბევრი ძილი,
ძაღლმა რომ არ დაიჭიროს
ვავარჯიშებ ყოველ დილით.

მაშო და მეგობრები

არ ჩერდება, ტირის მაშო,
გაუფუჭდა სათამაშო,
არფერი არ ახარებს,
ბავშვებთანაც არ თამაშობს.
ეძახიან მეგობრები:
მოდი, ნუღარ გვებუტები,
გათამაშებთ, გაკოცებთ და
კიდევ ბევრს ჩაგეხუტებით.
გჩუქნით ახალ სათამაშოს
ყველამ ერთად ვითამაშოთ.

ცაგო აბაშმაძე

მეცამეტე გოჭი

(ზღაპარი)

ყველაფერი კარგად მიდიოდა მანამ,სანამ ღრუტუნას გოჭები არ გაუჩნდა. თორმეტი იყო, თორმეტივე თეთრი და საყვარელი.

მაშინვე ძუძუს მივარდნენ და პატარა დინგების კვრით ერთმანეთს ასწრებდნენ. ღრუტუნას ისევ ასტკივდა მუცელი და ცოტა ხანში ქვეყნიერებას მოევლინა მეცამეტე, კუპრივით შავი

ღუნღულა გოჭი.დაიბადა თუ არა,მაშინვე აითვალისწუნა გოჭებმა. --არ მოგვეკაროო ,რა ჭუჭყიანი ხარო--საბრალო მეცამეტე გოჭი კუთხეში მიიმწყვდიეს.

მოშივდა მეცამეტეს,რა ექნა,

ხან ერთ ძუძუს მიადგა,ხან მეორეს, მაგრამ ონავარმა გოჭებმა პირი შეკრეს და

ახლოსაც არ გააკარეს დედა ღორს.

იწვა კუთხეში და ჩუმად სლუკუნებდა.საიდანღაც პატარა დინგზე ცისფერი მწერი დააფრინდა. --მოდი, ზურგზე შემაჯექი,ცოტათი გავერთოდ--უთხრა ბზუილამ . --როგორ შეგაჯდე,შენ ხომ ციცქნა ხარ, -- მე ჯადოსნური ბზუილა ვარ,აქ შენს წასაყვანად მოვედი,წინ უამრავი ლამაზი თავგადასავალი გელოდება.

აბა! სწრაფად--ბზუილა ძირს ჩამოფრინდა და მეცამეტე მხრებზე შეისვა. მერე ერთი მაგრად დაიბზუილა და ზემოთ აიჭრა.

გოჭები გაოცებულები უცქეროდნენ სანახაობას. --ხომ გითხარით,ეს ჩვენიანი არაა--გაიბღინძა ნომერი პირველი გოჭი და სასაცილოდ გამოაჯავრა მეცამეტეს.

მეცამეტე კი ბზუილას ფარფატა მხრებზე თავს არხეინად გრძნობდა და ბუნების სილამაზით ტკბებოდა.

ბზუილა ერთ გაშლილ,გვირილებით მოჩითულ მდელოზე დაეშვა და გოჭს მიმართა:

--აი, შენი ახალი საცხოვრებელი,აქ თავისუფლად იქნები, არავინ შეგაწუხებს, უამრავი საკვები გექნება. ისეირნე,გაერთე. მეც ხშირად მოგინახულებ. --დაიქნია ფარფატა ფრთები ბზუილამ და ყვავილებისკენ გაფრინდა.

მეცამეტეს (მოდით,სახელი მოვუძებნოთ გოჭუნიას,რადგან უფალმა ყველას მიანიჭა საკუთარი სახელი,ჩვენც დღეიდან ,,შავტუხა" ვუწოდოთ) ძალიან მოეწონა გვირილებით მორთული ველი, ბევრი ირბინა, ბევრი ითამაშა,სულ გადათხარა მინდორი,გვირილები აღშფოთდნენ-ჰეი, შავტუხა! წადი აქედან! რა ცუდი გოჭი ხარ!--შავტუხა კი ჭყვიტინ-ჭყვიტინით ერთი ადგილიდან მეორეში გადარბოდა და გვირილებს ყურს არ უგდებდა. თამაშით კი დაიღალა,მაგრამ ძალიან მოშივდა,რა უნდა ექნა. ის იყო,ტირილი უნდა დაეწყო,რომ საიდანღაც ყვავი ყვანჩალა გამოჩნდა. ყვავს უზარმაზარი ყველის ნაჭერი ეჭირა ნისკარტით და შავტუხას წინ ფრთების ფათქუნით დაეშვა.

--მოშიებული იქნები,მეგობარო,მიირთვი ყველი,შიმშილს მოგიკლავს--შავტუხამ მადლიერებით შეხედა და გემრიელად მიირთვა მსუყე საკვები.--მეც მოგიტანე ცოტა ჩემი მარაგიდან--კუდბუთქუნა ციყვმა მაკომ ცაცხვის ფოთოლში გახვეული,დარჩეული თხილი და რკო

მოუტანა და მოწიწებით დაულაგა ბრტყელ ქვაზე. გოჭმა ესეც შეჭამა და ციყვს მადლობის ნიშნად პატარა დინგი გაუხახუნა ცხვირზე. --მეღიტინება!--აკისკისდა მაკო და შავტუხას თავისი ფუმფულა კუდი სიყვარულით მოუთათუნა.

--წყალი მწყურია!--გამოაცხადა შავტუხამ და გარემო მოათვალიერა.

--მოდი,ჩვენ დაგალევინებთ--დაუძახეს გვირილებმა--თუმცა ღირსი არა ხარ,რადგან ფეხით გაგვთელე, მაგრამ გაპატიებთ,იმედია სხვა დროს ჭკვიანად მოიქცევი--უთხრეს და ერთმანეთის ფოთლებში ნაგროვები ნამის წყალი შესთავაზეს შავტუხას. გოჭს გული აუჩუყა გვირილების ლმობიერებამ და პატიება სთხოვა მათ.

--წამოდი,მე გაჩვენებ წყაროს,აქვეა, ახლოს--უთხრა ყვანჩალამ და წინ გაფრინდა.

წყაროს სიმღერა

ლურჯი მთიდან მოვიჩქარი
წკრიალა და მხიარული,
წყურვილს ვუკლავ ყველას,ყველას,
სიკეთის ვარ მოყვარული.

,,ლა-ლა, ლა-ლა, ლა-ლა, ლა-ლა,"
მიყვარს ჩქარი სიარული,
წყარო მქვია თავანკარა,
ვარ კეთილი,მხიარული.

წყარომ წაუმღერა:

* * * *
შავი რად ხარ გოჭუნია,
თითქოს იყო ზღვის მეკობრე,
თუ ჭკვიანად მოიქცევი,
შენთან მუდამ ვიმეგობრებ.

ლა-ლა, ლა-ლა, ლა-ლა, ლა-ლა,
ლა-ლა, ლა-ლა, ლა-ლა,ლა-ლა.....

--გამარჯობა თავანკარა!
სტუმარი მოგიყვანე,
ჩვენი ახალი მობინადრეა,
იმედია დამეგობრდებით
--ყვანჩალამ შავტუხა
წარუდგინა მხიარულ მეზობელს.



--შავტუხა გაიბუტა წყაროს სიტყვებზე, მივიდა და წინა ფეხები წყალში ააბაკუნა. წყარო აიქოჩრა და გოჭუნას დაეძგერა კისკისით. დიდხანს ითამაშეს,ბოლოს დაღლილმა იქვე მუხის ძირში სათავისო ადგილი იპოვა და ტკბილად დაიძინა.

.....ღრუტუნამ რომ თავისი შავტუხა გოჭი ვერ დაინახა, ძალიან იდარდა. გოჭები უცქერდნენ,როგორ დარდობდა მათი დედიკო შავტუხას დაკარგვას და დანაშაულის გრძნობას განიცდიდდნენ. ბოლოს ისევ პირველმა გოჭმა გაბედა და დედას უამბო,როგორ დასცინეს შავი კანის გამო.მერე კი ბზუილამ როგორ შეისვა ზურგზე და სადღაც გაფრინდნენ.

რაღას იზამდა ღრუტუნა,გადაწყვიტა გოჭების დასჯა შემდეგისთვის გადაედო და ახლა სასწრაფოდ გამგზავრებულიყო შავტუხას მოსაძებნად.

როგორც კი ღრუტუნა სახლიდან გავიდა, პირველმაც გამოუცხადა დანარჩენებს, რომ შავტუხას მოსაძებნად მიდიოდა. --ჩვენც წამოვალთ! ჩვენც მოვძებნით!--აყვირდნენ გოჭები და მწკრივში ჩადგნენ.

შავტუხა ნაკადულის რაკრაკმა გამოაღვიძა. თვალები მოიფშვნიტა და სიამოვნებისგან გაიზმორა.

--აბა ,დილის გამამხნევებელი ვარჯიში ჩავატაროთ--იქვე მაღალ ქვაზე ბაყაყი ბაკო წამოსკუპებულიყო და ვარჯიშებს ასრულებდა.

--ერთი,ორი,სამი, ხელები მაღლა! შავტუხა! ამყევი!

ადგილზე ბუქნი!

--შავტუხას მოეწონა ვარჯიშები, ბევრი ბუქნიც გააკეთა და გახალისებულმა ნაკადულს მიაშურა.

--გამარჯობა მეგობარო!--მიესალმა მხიარულად. --ნაკადულმა სულ სიმღერ-სიმღერით ჩაარაკრაკა:

* * * *

ლურჯი მთიდან მოვიჩქარი,
წკრიალა და მხიარული,
წყურვილს ვუკლავ ყველას,ყველას,
სიკეთის ვარ მოყვარული.....

შავტუხამ წყაროზე დინგი ჩამოიბანა და ცერად მოხედა ბაყაყ ბაკოს, რომელიც სათამაშოდ იწვევდა.

--ბზზზ,ბზზზ--

ფარმაცევტი ციყვი

ზამთრის ძილქუშს მისცემია,
დათუნია დანდალა,
იქვე, ახლოს ციყვმა ცეცემ
ცეცხლზე დადგა კარდალა.

გაარჩია გირჩები და
ქვაბში ფრთხილად ჩაყარა,
შაქრის ლერწმით დაატკბო და
თავზე გადააფარა.

რას აკეთებს? რა თქმა უნდა,
გირჩის წამალ-მურაბას,
ბუნაგისკენ გაცუნცულდა,
ფრთხილად მიაყურადა.

ზრდილი არის ჩვენი ცეცე
და განთქმული პურადიც,
გაზაფხულზე უმასპინძლებს
ყველას წამალ-მურაბით.

გემრიელი სადილი

გემრიელი სადილი
მოამზადა დედამ,
ბაჭიები სუფრასთან
განაბული სხედან.

--იფ,იფ, რა სურნელია!
თათს ილოკავს კნაჭი,
--თათები დაიბანეთ?
ჭიჭი, ბოწო, ბაჭი?..

თუ ჭკვიანად იქნებით,
ისადილებთ დინჯად,
სტაფილოს წვენს
მოგართმევთ,
ყველას თითო ფინჯანს.

მ ზ ი ა ნ ე თ ი

(ზღაპარი)

არც თუ ისე დიდი ხნის წინათ ,იყო ერთი საოცრად ლამაზი ქვეყანა-მ. ზ. ი. ა. ნ. ე. თ. ი.

აქ მზე ადრიანად ამოდიოდა ხოლმე,

ხელ-პირს წყაროზე ჩამოიბანდა ,ოქროს სავარცხლით სხივებს ჩამოივარცხნიდა და სალამს უძღვნიდა ქვეყანას.

ამ ქვეყანაში ხალხი ძალიან ბედნიერად ცხოვრობდა.შრომობდნენ,ერთმანეთს შეჰხაროდნენ, და მზეს ყოველ დილით კოცნით ეგებებოდნენ.

საღამოს,დაღლილ დაქანცული მაგრამ,ბედნიერი მზე დასაძინებლად წვებოდა,სხივებს ფრთხილად მოიხსნიდა და იქვე,მახლობლად მიაწყობდა.

მათ კი სამი ფერია დარაჯობდა,რომ ბოროტ ჯადოქარს არ მოეპარა.

მაგრამ,ბოროტმა ჯადოქარმა მაინც მოახერხა და ფერიები უცხო სურნელით გააბრუა.ფერიებს ძილი მოერიათ და იქვე მკვდარივით მიეძინათ.

ბოროტმა ჯადოქარმა სხივები მოიტაცა და თავის კოშკში გამოკეტა.

მზიანეთში რომ აღარ გათენდა,ხალხმა მოიწყინა,დაღონდნენ ,ვეღარც ერთმანეთს ხედავდნენ,აღარც მეგობრობდნენ ერთმანეთთან და სიკეთის კეთებაც შეწყვიტეს.

ქვეყანა ქაოსმა მოიცვა.

ხარობდა ბოროტი ჯადოქარი. მზე კი სხივების გარეშე დარჩენილი ვერც ვერავის ათბობდა და თვითონაც აკანკალებული,საცოდავად კვნესოდა.

შორს,ძალიან შორს ერთი კეთილი ფერია ცხოვრობდა. იგრძნო ქვეყნის გასაჭირი და დასახმარებლად გამოეშურა.

დაინახა სასოწარკვეთილი ხალხი და შემოუძახა:

-აბა,რას ჰგავს თქვენი საქციელი,რა ცხვირ-პირი ჩამოგტირით,თქვენ ხომ ძლიერი და დიდებული ერი იყავით,

უიმედობა დიდი ნაკლია,აღარც სიყვარული შეგრჩათ,აღარც მეგობრობა,სიკეთე ხომ სულ დაივიწყეთ,თუ გინდათ ისევ გათენდეს თქვენს ქვეყანაში და ძველებურად დიდებით იცხოვროთ,აღადგინეთ ერთმანეთში

მეგობრობა,სიყვარული და სიკეთე.

მე ცოტას დაგიცდით,მერე წინ წაგიძღვებით და ერთად დავამარცხოთ ბოროტი ჯადოქარი.

თუ ასე არ მოიქცევით,ქვეყანა სამუდამო წყვდიადში ჩაინთქმება!

დაფიქრდა ხალხი,გაუჭირდა გადაწყვეტილების მიღება,ეძნელებოდათ ერთმანეთისთვის სიყვარულის გაზიარება,მაგრამ ბოლოს მაინც აჯობა სიკეთის წყურვილმა. და ერთმანეთი ისევ შეიყვარეს,ისევ დაუდგნენ გვერდით ერთმანეთს და დაირაზმნენ ბოროტი ჯადოქრის დასამარცხებლად.

დაიძრა ხალხი,მათ წინ მიუძღოდათ კეთილი ფერია. ჯადოქრის სასახლეს გველეშაპი იცავდა. უზარმაზარი და ცხრათავიანი.

ხალხი უშიშრად ეკვეთა გველეშაპს,

ძლიერი იყო გველეშაპი,ხალხი წყდებოდა,მაგრამ უკან მაინც არ იხევდა,,უფრო გაუძლიერდათ ერთმანეთის სიყვარული და თანადგომა,სულიწმინდა ჩაუდგათ

სხეულში და ერთიანი ძალით დაამარცხეს გველეშაპი.

გველეშაპი რომ მოკვდა,მასთან ერთად ჯადოქარიც მოკვდა,რადგან მისი სული გველეშაპის სხეულში იყო.

ხალხმა სხივები აიტაცა და მზესთან წაიღო.

დიდად გაიხარა ზესკნელის დედოფალმა,გაიკეთა სხივები და ირგვლივ ყველაფერი გაბრწყინდა.

მზემ დიდი მადლობა გადაუხადა ხალხს და შეჰპირდა,არასოდეს მოიხსნიდა სხივებს,მათ კი არ უნდა დაეკარგათ ერთმანეთის სიყვარული.

დაბრუნდა ხალხი სახლებში და ამის შემდეგ ბედნიერად ცხოვრობდნენ.

გამოცანები

1)
ყვითლები და წიწინები,
წივწივებენ..... წ******.....

2)
ზოგი ჭრელი, ზოგი რუხი,
მათი დედა არის..... კ****

3)
ფუღუროში შეჰყო თათი,
ეგულება ტკბილი .....თ****

4)
კუდბუთქუნას უყვარს ნიყვი,
ხიდან ხეზე დახტის .....ც****

5)
დეზება და ფრთამალი,
დილით ყივის .....მ*****

5)
გაზაფხულის ყვავილია,
თვალციმციმა, ლურჯი..... ი*

გამოცანები1--33

1)
პატარაა,
გრძელხორთუმა,
არის ასი კილო,
თუ მიაწვდით ვაშლს და
კანფეტს,
ახრამუნებს (ს◇◇◇ო.)

2)
დუდღუნა და ბაჯბაჯაა,
თაფლში ჩაჰყო თათი,
მე ჯირაფი მეგონა და
თურმე არის (დ◇◇◇ი.)

3)
ჭყვიტინებდა, რადგან ბებომ
გაუკოჭა კოჭი,
თეთრიც არის,ჭრელიც, შავიც,
დინგიანი (გ◇◇ი.)

4)
ყოველ დილით რომ
გვაღვიძებს,
დეზება და ფრთამალი,
მიპასუხეთ პატარებო,
რა იქნება? (მ◇◇◇◇ი)

5)
შინაური ცხოველია,
ბუხრის პირას ზისო,
თაგუნია რომ გამოჩნდეს,
ვინ დაიჭერს? (ფ◇◇ო.?)

6)
ზღარბუნიამ იპოვა,
ექვსი ცალი ვაშლი,
ორი ბაღში წაიღო,
რამდენი აქვს სახლში?
(ო◇◇ი)

7)
ტყეში ბლომად შეაგროვა,
კაკალი და ნიყვი,
გამრჯეობით ცნობილია
კუდბუთქუნა (ც◇◇◇ი.)

8)
გრძელყურება, ცანცარა,
ღუნღულა და პრანჭია,
შეცანცარდა ბოსტანში,
ვინ იქნება? (ბ◇◇◇ა.)

9)
ციცქნა,თეთრი თაგუნია
მოუყვანეს დათუნას,
გალიაში შეაბრძანეს,
ეძახიან (ზ◇◇◇◇◇ს.)

10)

არც ვაშლი და ბროწეული,
არც ნუგბარი ხილი,
თაგუნიას უყვარს მხოლოდ
კაკალი და (თ◇◇◇ი.)

11)
შავია და ყრანტალა,
დააფრინდა ყვავილს,
მოპარულ ყველს მიირთმევს,
ეს მსუნაგი ყ◇◇◇ი

12)
გარეული ნადირია,
ქურდი,კუდაგრძელა,
საქათმესთან წრიალებს,
ეს მსუნაგი (მ◇◇ა)

13)
მდინარეზე გაიპარნენ,
ყვითლები და ტიტინები,
დედა იხვი ცხარედ
მოსთქვამს,
დაეკარგა
(ვ◇◇◇◇◇◇◇ი.)

14)
როგორ ცხელა! ბატი ტასო
დაქოთქოთებს ყიყინით,
მეგობრები აჯავრებენ,
ყი,ყი◇◇,◇◇,◇◇,◇◇,◇◇

15)
ერთი, ორი, სამი, ოთხი,
თქვი რა მოდის მერე(
ხ....თი?)
ვიკენწლაოთ ყველამ ერთად,
დაგვჭირდება(ბ◇◇◇ი.)

16)
ის ისეთი ყოჩაღია,
მოსვლა სულ არ ეძნელა,
გაზაფხული მოგვილოცა
თეთრქათიბა (ე◇◇◇◇◇მ.)

17)
ნამგალასაც უწოდებენ ,
დავინახავთ გარეთ,
გზას გვინათებს ბნელ ღამეში,
რა იქნება? (მ◇◇◇◇ე?)

18)
ციდან მოდის ფარფატ--
ფარფატ,
თეთრი,თეთრი ფანტელი,
საშობაო ნაძვის ხესთან
უნდა ენთოს ს◇◇◇◇◇ი

19)
ზამთარში რომ თბილად იყოს,
დათუნია დუდი,
დედა დათვმა მოუქსოვა
ყურიანი (ქ◇◇ი.)

20)
ჩქარა! სახლში გავიქცეთო,
ბარბიმ უთხრა პაპუნას,
თორემ მაგრად
დავსველდებით,
წვიმა მოდის (შ◇◇◇◇◇ა)

21)
ციდან ცვივა ღუნღულები,
ფრთაფარფატა ფანტელები,
ფისოს ენაზე დაადნა,
როგორც ტკბილი (კა.....ბი.)

22)
ეკლიანი ბურთი
დაინახა ბარბიმ,
-არ შეეხო! გიჩხვლეტს,
ონავარი (ზ.....ი)

23)
ქოთქოთებს და ქოთქოთებს,
წინწკლები აქვს რუხი,
დაჰფოფინებს წიწილებს,
გმირი დედა (კრ.....ი.)

24)
ქარმა ფრთხილად გაფანტა,
ღრუბლის თეთრი ფთილა,
მზემ თვალები დააჭყიტა,
გათენდაო (დ.....ა)

25)
განაბულა ბუჩქებში,
ელოდება ვისო?
უდარაჯებს თაგუნას,
ხატაურა (ფ....ო.)

26)
ერთი ვაშლი ანის ჰქონდა,
ორიც კიდევ სალის,
სულ რამდენი ვაშლი იყო?
თქვით ყოჩაღად,(ს....ი???)

27)
ძილის დროა პატარებო,
ჩემო ია, ჩემო ნანა,
დღეს ბებიკო დაგაძინებთ
და გიმღერებთ (ია.....ას)

28)
ფოტოგრაფმა გადაუღო
ფისოს ფოტოსურათი,
ჯერ ცხრა, ერთიც დაამატა,
რამდენია სულ?.... (ა....ი)

29)
თონეში რომ პური ცხვება,
ფუმფულა და ლამაზი,
პურის მცხობელს რა ჰქვიაო?
რა ჰქვია და (ხ.....ზი.)

30)
ხან მრგვალია, ხან ნამგალა,
ცაზე მოჰყვა დარებს,
ბნელაში რომ გზას გვინათებს,
რა იქნება? (მ.....ე)

31)
ხან თეთრია, ცას უხდება,
ხან რუხი და ულევი,
როცა ბრაზობს, წვიმად
მოდის,
ნაცრისფერი (ღრ.....ი)

32)
პაწაწინა, ეკლიანი,
არ გეგონოთ ხარბი,
ხშირად სტუმრობს ბებოს
ბოსტანს,
ონავარი (ზღ....ი)



არდავიწყება მოღვაწეთა



მეუფე თადეოზი
(მირიან იორამაშვილი)

დე, ყვავილობდეს მართალი რწმენა

უწმინდესს

ღვთივკურთხეული სიცოცხლის ენა
და სხივკამკამა მარგალტები...
დე, ყვავილობდეს მართალი რწმენა,
იყავით მცველად ჭეშმარიტების.
მოგაგებს სამწყსო სამაგიეროს,
რა სიყვარულით თქვენ გიყვართ იგი...
ოღონდ ცით მადლის შუქმა იელვოს,
არ მოგვეშალოს წესი და რიგი...
დე, წმინდა ცრემლი ერის წყლულს ჰბანდეს,
გვლოცავდეთ მარად წმინდა ხელებით
და თქვენს ცრემლიან ღიმილში ჩანდნენ
ნუგეშმცემელი ცისარტყელები.

ამინ.

2001წ. 1 აპრილი

* * *

კურთხეულ იყოს ეს დღე, ეს წამი,
ცით ჩამოსული ნათლის ჩქერები,
დღეს მწუხარების ხუნდებს ლეწავენ
და ცის მოხილვას აგვაჩქარებენ –
ძალნი ცისანი – უფლის წყალობით
საკვირველნი და ელვიანები...
და უცნაური მაინც ის არი,
რომ მიწის მკვიდრნი აგვიანებენ,
ამ წამის ყოფა წუთისოფელში
თითქოს მარადის ვიყოთ დამრჩენი...
ღმერთო, შენ იყავ ჩვენთვის მოწყალე
და არ ღირს დარდად სხვა დანარჩენი.

სად ყვავილი სამოთხის

სად ყვავილი სამოთხის
ლამაზ თვალებს ახელს,
ზეცის წიგნი სიცოცხლის
ჩაწერს უკვდავ სახელს.
იგი მარადისია,
ზეცის წიგნი ტკბილია,
სხვა ვინ თქვენებრ ღირსია,
უწმიდესო ილია.
უწნიდესო ილია,
ცით ნაკურთხო მეუფევ!...
ლოცვა აღვლენილია,
მამულს მადლი შეუქე...
ქართველს შვილად მოსულხართ,
იმის სინდის-ნამუსად,
ხატებრ ეალერსებით,
ენასაც და მამულსაც...
შუქი ოქროფენილი, –
მამულის მთებს აანთებს,
თქვენი სიბრძნის წერილი
მომავლის გზებს ანათებს.
წუთისოფლის სიმძიმე,
თქვენი ღვაწლით ძლეულა,
დაგიბრუნებთ უფალი
ნაღვაწს ათასეულად...
... ხამდა ქება ციერთა,
არა ცოდვილ ენითა,
ჟამი განათლიერდა,
თქვენი დიდი რწმენითა.

ბეჟან ხარაიშვილი



* * *

ისევ გინატრე ყვავილობისას,
თოვს, ამ გაზაფხულს სად დავემალო...
კოცნა? არასდროს არ მითხოვია,
მე მინდა მხოლოდ თვალი შეგავლო!
და შორეული მგზავრივით დაღლილ
მზერაში ჩანდეს შენი თვალები –
მერე დავამსხვრევ ნიღაბს შიგნიდან
და ჩემშიც ვეღარ დამემალები...
ჩემი გულივით გელის და ღელავს,
ახლა კი თოვსდა... ალუბლის ტოტი
იელვებს ცაზე, როგორც ფურცლებზე,
ხელგაკვრით დაწერს შენს სახელს ელვა.
მე იანვარში დავბადებულვარ
და გაზაფხულზე მოვკვდები, ლელავ!

სიზმარი

ბაღი ვნახე და სიზმარი ერთად
ყვავილთა უცხოდ ნაფერი მოლით,
ბოლოკს ვარდების სურნელი ჰქონდა,
ვარდი ძალათი ისხამდა ბოლოკს!
მზე ანათებდა მაგრამ გზის პირად
მუხა ტოტებში ცრემლად დნებოდა...
“პლანი”, “პლანიო”, სტვენდა ნარცისი
მინდვრის ოხშივარს ეტანებოდა!
– გონს მოდით მეთქი! – ვიყვირე ერთხელ,
ვიდრე არ არის ბიჭებო გვიან,
– ჩვენ ქეშები ვართ! შეტყდი მანდედან
ჩაიხავილა ხახაში ხვიამ.
– არაყს მოველით;
ცის ნამს ვიღა სვამს,
გოიმებად და შტერებად გთვლიან,
– მეც მოდას მივდევ! მოდი, მაკოცე –
გამომწრიპინა ბუჩქიდან იამ!
ღმერთმა დასწყევლოს გადაგვარება,
არა და ბაღო, როგორ მიყვარდი.
შევეხე ვარდს და...
ბოლო კი დარჩა –
...ეს შენ იყავი...

* * *

ცა რომ მტრედისფერობს,
ტყე რომ ფერი-ფერობს,
მზე რომ ნისლის ყანწებს ეტანება,
ბუჩქთან წამოვწვები
სადმე ცვარიანში
ლექსებს დავაპურებ ნეტარებით!
უბეს გამიქექავს
ქარი თიბათვისა,
გულში ჩამეტკბობა პირველყოვლის,
რითმებს გამოაკრთობს
წვეთთა სინაზეში
და მზით გადაფერავს
მწვანე მოლი,
წყარო სისხლს გადუსხამს
ღელის ცისფერ ვენებს
და ძმას ჩაეხვევა
ძმადნაფიცი,
ამ მთებს ვენაცვალე,
ამ ტყეს ვენაცვალე,
მეტი რაღა დამრჩა დასაფიცი!
ერთი გაიხედე ქარი რა ღღეშია,
როგორ გადალოკა არე-მარე,
ეს შენ გიმღერიან ზეცის ასულები
მუხავ, ჩამუხლული, გაიხარე!
რტომან შინდებისამ იყვავილა
და მზე ჩანჩქერების თარზე დნება,
გული სამარეშიც იმზიანებს,
გული სამარეშიც ამღერდება –
ჩვენში ასე იცის მზემ ამოსვლა,
ჩვენში ასე იცის გათენება!

დათო გამთენაძე





დედას!

შენი ფიქრი მე დამყვება მუდამ,
დამღუღუნებს თავზე როგორც მტრედი,
ყველა საქმეს შენი ხელი უნდა,
შინ და გარეთ საყვარელო დედი.
შენს მკერდში სულ გაზაფხული ფეთქავს,
არ გაკლდება ღიმილი და სითბო,
მზე სხივებს და შენ სიკეთეს თესავ,
მე ცხოვრების ავ-კარგი რომ ვიცნო.
შენი ზრუნვა, დაე მჭონდეს ვალად,
არ ვიწამო სხვა რამ კარგი, მეტი,
არასოდეს არ შეგარცხვენ, არა,
ჩემო კარგო, საყვარელო დედი.

ნეტა ვინ ზიდავს ცოდვას

რანი ვართ, რანი ვიქნებით,
ვინც გადურჩებით დრო-ჟამს,
ზოგი სავსეა ეჭვებით,
ზოგი კვლავ ჟინით ბორგავს.
ძირფესვიანად ვინგრევით
ზოგ მგელს ცხვრის ჭურჭი მოსავს,
ზოგი სიკვდილით ვიწვებით,
ზოგი მშვიდად სცემს ბოლთას
შორს დაკარგული იმედის
ისევ მოველით მოსვლას,
ზოგი, ვით ოქრო ბრწყინდების
ზოგს კვლავაც დაფი მოსავს,
რა ცოდვა გვაძევს ასეთი
ქართველ ჯილაგს და მოდგმას,
უღვთოდ განწირულ ბიჭების
ნეტა ვინ ზიდავს ცოდვას?

ნამი შენ ლამაზ სახეს მაგონებს

შენ თვალებს ვუცქერ, რომ ვხედავ ზეცას
და მემატება თითქოს ძალ-ღონე,
ვარდის ფურცლებზე ნამი რომ ელავს,
ისიც შენ ლამაზ თვალებს მაგონებს.
მინდა რომ მარად ჩემს გვერდით იდგე,
მორცხვი ღიმილით, ცისფერთვალებავ,
მერე ეს გული წაიღე ისევ,
წუთითაც კი არ დამენანება.

შენს ქუჩაზე ჩემ სიმღერას
მღერის ქარი

მე შენს სახელს ყველა ლამაზ ყვავილს ვარქმევ,
თითქოს გული უცხო სხივით ნათდება,
მაგრამ ქარი ჩუმად მართმევს შენთვის სათქმელს
ანცი სტვენით შენსკენ მოემართება.
ჩაგჩურჩულებს, ეგ სინაზე ისე გამკობს,
ვით გაზაფხულს ყვავილების ფიფქები,
ასე წმინდა და სპეტაკი, ჩემო კარგო,
გწამდეს მარად სულ ჩემს გულში იქნები.
ჩემ სიმღერას შენს ქუჩაზე მღერის ქარი,
მიგაცილებს ჩუმად სახლის კარამდე,
ეგ თვალები ჩემთვის მარად საფიცარი
სიყვარულით ისევ შემომანათე.

პროზა

რევაზ მიშველაძე

ფამეგა

რომანი

(გაგრძელება)

(დასაწყისი იხილეთ ჟურნალ „ათინათის“ №28, 29, 30, 31, 32, 45-46-ში)

ბატონო სტუდენტებო

ღმერთმა ნუ ქნას, საქართველო მთლიანად ისეთი იყოს, როგორც იმ ორ მოთხრობაშია, ახლა რომ წაგიკითხეთ.

ყური დამიგდეთ და დაინახავთ, როგორ ღვივის პატარა მოსწავლე ბიჭუნაში ცოტნე დადიანის ნაპერწკალი, ცოტნე დადიანის სული.

* * *

სოფელ საქვაბიას საშუალო სკოლის ისტორიის მასწავლებელმა, სამოციოდე წლის წარბებიან-ჰალსტუხიანად გამოხუნებულმა, დიდთავა კაცმა, გაკვეთილებზე დაყენებული ყიყინა ხმით მითხრა:

– ყველაფერი მომწყინდა, ბატონო. არ დაიჯერებთ და სკოლაში შესვლაც აღარ მინდა. გემო დაკარგა ყველაფერმა. ისტორიას რომ ვუხსნი ბავშვებს, ისე ამაყად ვეღარ ვლაპარაკობ. რაღაცნაირი დროა. მე თვითონ აღარ მჯერა ბევრი რამის. ასე მგონია, ვიღაცა მოგვყვებოდა ოცდაათი საუკუნე და ძალით გვალამაზებდა. წიგნში სხვა წერია, გამოხვალ გარეთ და ღალატით, ძმაზე წაწევით, შურით სავსე ცხოვრებას რომ შეეჯახები, გული გიტყდება. არადა, მე მგონია, ერს საბოლოოდ მაშინ ეღება ბოლო, საკუთარი ისტორიისადმი რწმენას რომ დაკარგავს და თავის გუშინდელ დღეს ეჭვით შეხედავს. თქვენ წარმოიდგინეთ, მოწაფეებიც ის მოწაფეები აღარ არიან, გაფართოებული თვალებით რომ მისმენდნენ და ლამის ყლაპავდნენ ჩემს ყოველ სიტყვას. ისინიც, ჩემი არ იყოს, გადასხვაფერდნენ. აგერ გეტყვით ერთ მაგალითს: ამას წინათ, კოხტასთავის შეთქმულებაზე ვატარებდი გაკვეთილს. ვუამბე, რაც შემეძლო, რაც ვიცოდი ცოტნე დადიანის გმირობაზე. რას ეტყვი უკეთესს. ერთი ბუცხრიკიძე მყავს კლასში უბედურნახევარი: რა გმირობაა თაფლის წასმა და მზეზე დაჯდომა, პატივცემულო. არც იმ მონღოლს გაუწირავს მაინც

დამაინც შეთქმულები, თვარა უარეს სასჯელს მოიგონებდაო. ესეც არ იყოს, ცოტნე დადიანს სხვა გზა არ ჰქონდაო. თაფლი რომ არ წაესვა და თანამოძმეთა ხვედრი რომ არ გაეზიარებინა, გამცემის სახელი არ ასცდებოდაო.

ორმოცი წელია ისტორიას ვასწავლი და ჯერ ასეთი შემთხვევა არ მქონია. გავბრაზდი. რა თავს იგდებ, ბუცხრიკიძე, მე ვუთხარი, თქვენი იმედი უნდა გვქონდეს? თქვენ ხართ ცოტნეს გმირობის გამმეორებლებიმეთქი? ყველაფერზე შეიძლება მასხრობით ლაპარაკიმეთქი? მე არ ვხუმრობ, პატივცემულოვო, არ შემეპუა ბუცხრიკიძე. შენ იცი და ქართველმა ხალხმა არ იცის რვაასი წელია ცოტნეს გმირობას რომ დიდებით მოსავსმეთქი? ცოტა მაღალფარდოვანი პასუხი გამომივიდა და ბუცხრიკიძემაც დაკარგა ჩემთან კამათის ხალისი, მაგრამ, თქვენ წარმოიდგინეთ, სამასწავლებლოში რომ შემოვბრუნდი, მე თვითონ გადამედო ბუცხრიკიძის ეჭვი და დღემდე იმ ეჭვისაგან თავი ვერ დამიღწევია.

ბუცხრიკიძისგან არ მიკვირს, არცოდნით მოუვიდა, თქვენ კი, ისტორიის მასწავლებელს, არ გეპატიებათმეთქი. ჯერ ერთი, მონღოლი შეთქმულებს მხოლოდ თაფლის წასმით და მზეზე დაყრით კი არ სჯიდა, ამ მეთოდით მათ გამოტეხვას აპირებდა და აღიარების მერე არც ერთ მათგანს სიკვდილი არ ასცდებოდამეთქი. ასე რომ, თაფლის წასმით ცოტნე დადიანმა ჯალათის მახვილსაც შეუშვირა კისერიმეთქი. რაც შეეხება თაფლის წასმას და მზეზე დაჯდომას, ეს უძველესი და უსასტიკესი აღმოსავლური სასჯელი გახლავთ, თაფლში ბუზები კვერცხებს დებენ, კვერცხებიდან მაშინვე მატლები იჩეკებიან და ადამიანის ცოცხლად ჭამას იწყებენმეთქი.

მადლობელი ვარ, ბატონო, თქვენ ახლა, დაუფარავად უნდა გითხრათ, თვალი ამიხილეთო. სწავლა, მართლაც, რომ სიბერემდე ყოფილა. აგაშენათ ღმერთმა, აწი მე ვიციო.

ეს საუბარი ათი წლის წინ შედგა.

გადავიკითხავდი ამ ჩანახატს და ისევ უჯრაში ჩავაბრუნებდი. გამოქვეყნებას არ ვჩქარობდი. ვგრძნობდი, რაღაც აკლდა. მე, ცოტა არ იყოს, პრეტენზიულად გამოვიყურებოდი, ხოლო მასწავლებელი გულუბრყვილოდ.

წლეულს, გაზაფხულზე, ისეთ სურათს წავაწყდი, ამ ნოველის ფინალად უკეთესს რომ ვერ ვინატრებდი:

სამეგრელოს ერთ სკოლაში შეხვედრა მომიწყვეს.

კონცერტი სკოლის ეზოში გაიმართა, რაკიღა კლუბი არ ჰქონდათ.

ერთერთ ნომრად მოსწავლეებმა „ცოტნეს გმირობა“ წარმოადგინეს.

მათრახიანჩალმიანმა მონღოლებმა სუსტ ლორთქო ბალახზე ათიოდე შეთქმული გამოათრიეს, დააჩოქეს. წელზევით გააშიშვლეს, ალაგალაგ რაღაც წაუსვეს, მიწაზე დაყარეს და თვითონ ჯალათები ოთხკუთხივ ტაბურეტის სკამებზე ჩამოსხდნენ სეირის საყურებლად.

ზუსტად მახსოვს, თვრამეტი მარტი გახლდათ.

ცივი, ღრუბლიანი დღე იყო.

ოდნავ ცრიდა კიდეც. ცოტა ხანში ცოტნემ შემოირბინა. შუბლზე ხელი მიიდო, თავისი მოძმეები ამ დღეში რომ ნახა, ვაჰმეო, ამოიგმინა, ფარჩაახალუხი მოისროლა, თაფლი წაისვა და დასჯილებს შორის ინახით ჩაჯდა.

იქით ნოინი და მისი ნაზირვეზირები რაღაცას ჩურჩულებდნენ, აქეთ კი თაფლწასმულნი ეყარნენ.

დასჯის ეფექტი მაინც არ შედგა.

ბუზი წამლად რომ გეძებნა, არსად იყო.

დრო გადიოდა. კიდევ უფრო აცივდა. დასჯილები ნელნელა წამოჯდნენ ტანზე ხელის სმითა და კანკალით. ვიღაცამ ცოტნეს როლის შემსრულებელს ლაბადა მოახურა. მაყურებლებში აქაიქ ფხუკუნი გაისმა. მარტო ერთი ლურჯთვალება თხუთმეტიოდე წლის ბიჭი იწვა გაუნძრევლად ცივ ბალახზე და ლამაზი ცისფერი თვალებით, ღრუბლიან ცას აჰყურებდა.

ჩემ უკან, ჩინარების ბუნებრივი კულისებიდან, მოხდენილი ქალი გამოვიდა ცალ ხელში მოსწავლის ჩანთა ეჭირა, მეორეზე ტანსაცმელი ჰქონდა გადაკიდებული.

– ძიკი! – დაუძახა მიწაზე გაშხლართულ „შეთქმულს“.

ძიკიმ არ მოიხედა.

ქალმა სერთუკი ესროლა და ზედ გულზე დაუგდო.

მაყურებელი ისევ შეჩოჩოქოლდა.

– ქვეშ მაინც დაიფინე, ბიჭო, გეხვეწები!

წრიალებდა ძიკის დედა.

ძიკი არ განძრეულა.

– ძიკი! გაცივდები, შე სასიკვდილე, წამოჯექი და ისე იყავი, დედა. არ გესმის, ძიკი, შენ?!

– ასეა როლში. დამანებე თავი – კბილებში გამოსცრა ძიკიმ.

– ჩაიცვა ყველამ, დედა, მარტო შენ გაქვს ასეთი როლი?! ძიკი! არ გესმის ხომ ჩემი, ნახე რას გიზამს ამ საღამოს მამაშენი, მოხვალ სახლში, ძიკი, შენ!

ძიკი არ განძრეულა.

ამასობაში ლაბადამოსხმულ ცოტნემოსწავლეს ნოინთან უხმეს, მაგრამ მე მათი საუბარი არ მომისმენია, ჩემი არსება მთლიანად ძიკისკენ და გნოლივით აფრთქიალებული მისი გამწყრალ-გაბრაზებული დედისკენ იყო მიმართული.

მინაწერი: ეს იყო სულ, ძვირფასო მკითხველო. ეს გახლავთ ათი წლის წინათ შეწყვეტილი ნოველის გაგრძელება და ჩემი ფიქრით პასუხიც ისტორიის მასწავლებლის კითხვაზე – შეძლებენ თუ არა თანამედროვე ქართველები ცოტნე დადიანის გმირობის გამეორებას.

დღეს წაგიკითხავთ ორ მოთხრობას ქართველ „ტერორისტებზე“.

„ტერორისტები“ ბრჭყალებში იმიტომ ჩავსვი, რომ ისინი ტერორისტები არ არიან ამ სიტყვის ევროპული გაგებით.

მუხანათმა დრომ და რევოლუციურმა სინდისმა აიძულა ეს ბიჭები იმ გზას დასდგომოდნენ, რა-

საც დაადგნენ.

მათ ხასიათში, ჩემი მოკლე ჭკუით, ქართველი კაცის ბუნების ცვალებადობა ჩანს, ხოლო მათ სიკვდილში ვერაგი ხელისუფლების საქციელი.

* * *

შუაღამე გადასული იყო.

ეძინა ქალაქს.

თებერვლის ცივი, ნოტიო ქარი ქროდა.

თავისუფლების ქუჩის დასაწყისში სამშვიდობო ჯარების საგუშაგოსთან ტანკი იდგა. ტანკის ქვეშ ღრუბლისფერი ნაგაზი იწვა და მთელ ქალაქში ერთადერთ განათებულ ადგილს
– მწვანედ შეღებილ, უშნო ჯიხურს შესცქეროდა. ჯიხურში, ხის ნარზე, თავფეხშექცევით მიწოლილ ორ

ნაარყალ რუსის ჯარისკაცს ეძინა.

შლაგბაუმი, ყოველ შემთხვევისათვის, დაწეული იყო.

დადიანების საგვარეულო ბაღის განაპირას, ჩხოუშიას ძველ ხიდთან, ლეგენდარული მოჭიდავის ნესტორ ესებუას ძველთაძველ, სვეტშემპალშემწვანებულ ოდაში ბუხარს ორი ტერორისტი მიჯდომოდა.

ბუხარში ცეცხლი მინავლულიყო. დროდადრო, ღველფი, თითქოს ამოისუნთქაო, გადარჩენილ წკირს ფინთიხივით გაუვლიდა და ამოიფუტებდა.

ტერორისტები ღადარს ჩასცქეროდნენ.

– რა ვიცი... კარგად უნდა დაფიქრება მაგ საქმეს.

– გეშინია, შენ, ხვიჩა, და მეტი არაფერი.

– ტყუილად არ წავაგოთ თავი, თვარა ჩემი შიშის ნუ გეშინია შენ. ჩემი შიში არ შეგიშლის ხელს.

– აბა, სხვანაირად ხომ ხედავ, არ გამოდის არაფერი. ხუთი წელია ნაცარს ვქექავთ. არავისი არ მრცხვენია ბავშვების გარდა მე. იზრდებიან ბავშვები. უმტკიცე მერე მაგნებს, ჩვენ ქვეშაფსიები არ ვიყავითთქო.

– ეგ მესმის, მარა ჩვენი რომ იყოს ვინმე, კიდევ არაფერი. უცხო კაცი ასე ადვილად არ მოგატაცებიებს თავს და რა მოხდება, ვინ იცის,

– ხვიჩა, დამიჯერე, სხვანაირად არ მოიხედავს მსოფლიო ჩვენკენ. ჩვენებიდან ჟვანიაც რომ მოვიტაცოთ, ვინ გამოიდებს თავს. ჩაგვატოვებენ ხელში. აღარ შემიძლია, მომკლა ამ ტყუილებმა და მოწყენილობამ. ცოტა ხომ უნდა შეინძრეს ქვეყანა.

– მერე რაღა დამკვირვებლებს მიადექი.

– რა ჩემს ფეხებს აკვირდებიან. ხუთი წელია წაგვართვა რუსმა ნახევარი საქართველო. ასე მგონია, თუ გული არ გავიგლიჯეთ, თუ თავს არ მოვერიეთ და ერთად არ ავბღავლდით საჩიხეში შერეკილი ირმებივით, ცოტა ხანიც და სათითაოდ გამოგვხილავენ. დაცვედნებულ, დაყვერილ საქართველოში ვცხოვრობთ ჩვენ.

– შენ თუ რამე დაიჟინე, მამაზეციერი ვერ გადაგათქმევინებს, მე კი არა. კი ბატონო, მოგყვები, ოღონდ მერე არ მითხრა, რატომ არ მირჩიე, რამე ჭკვიანურიო.

– სიკვდილზე მეტი ხომ არაფერი მოგვივა, ძუკუ. უნდა გაიგოს ქვეყანამ, რომ მე და შენ მაინც არ შევგუებივართ ჩვენს თავლაფსხმას.

– ახლა ერთს გეტყვი მე შენ. რატომ გგონია, როგორც შენ ჩაიფიქრე, მაინცდამაინც ისე გაიგებს მთავრობა. რომ დაგვიშინონ ტყვია და ჩაგვცხრილონ ყველანი? სად მიდიხარ მერე. ჩვენი თავი ჯანდაბას, ის მოტაცებული ხალხი რომ დაგვიხოცონ, სირცხვილს და საცოდაობას სად მიუდიხარ.

– შენ „ბახტრიონი“ თუ გაქვს წაკითხული სკოლის წიგნში. ამდენი ჭოჭმანი არ დაუწყია, ვინც პირველი დაეცა ბახტრიონის ციხეს. ერთი კაცი იყო და გოგო ახლდა კიდევ, აშენდა მისი გამზრდელი. ჩვენს დასახოცავად რუსებს აღარ დაუძახებს მთავრობა. ეს ვიცი ნამდვილად. მიმხვდარია თვითონაც, ვინცაა რუსი. კაგებეს და მილიციის ბიჭები იქნებიან და, არა მგონია, ჩვენი სისხლი დალიონ მაგნებმა. ქართველებია ბოლოს და ბოლოს. ჩვენ თუ არ გავუგეთ ერთმანეთს,

ხომ ხედავ, ჩვენი პატრონი არავინაა ამ დუნიაზე.

– არ ვიცი... არ ვიცი... დაფიქრება უნდა ამ საქმეს. მოწყენილბის გულისთვის უცხო ხალხის მოტაცება არ გამიგია მე...

– მოწყენილობის კი არა, ქვეყნის გაღვიძებისათვის, ძუკუ.
ერთხანს ჩუმად ისხდნენ.
ფუჩეჩში გატრუნულმა თაგვმა იფიქრა, ახლა კი ჩემი

დროაო, ლარძაყინზე გაცუნცულდა და ბუხრისთავს გამოკლებულ აგურში გამოყო თავი. ორ პაწაწინა ფეხზე შეიმართა. წაწვეტებულწამახული სასაცილო პირსახე ჯერ ჭერისკენ შეაბრუნა, მერე ხელისგულზე ყბადაბჯენილ ორ ტერორისტს ჩამოხედა, ხვრელში შეტრიალდა და თვალისდახამხამებაში ისევ ლარძაყინზე გამოჩნდა თავისი უღიმღამო თაგვური ცხოვრების გადამკიდე.

მამლები შორს, ჩხოუშიას გაღმა ყიოდნენ.
1998 წლის 19 თებერვალი თენდებოდა.
ოთხი მძევლიდან რუსული მხოლოდ ჩეხმა პუჩეკმა იცოდა.
ტერორისტებმა თარჯიმანი, მიუხედავად მისი დაჟინებული თხოვნისა, არ მოიტაცეს. თარჯიმანი რუსეთის მოქალაქე იყო და ტერორისტებს არ სურდათ ჩრდილოელი მეზობლისთვის თავისი მოქალაქის გამოხსნის საბაბით ჩვეული „ღონისძიებების გატარების“ შანსი მიეცათ.

ოპერაცია ექსცესების გარეშე ჩატარდა.

ტერორისტებს არც ნიღბები ეკეთათ და არც ტყვიაგაუმტარი ჟილეტები ეცვათ.

„გაეროს ოფისად“ ხმობილ პარმენ მებონიას ოდაში დღისით, მზისით სამი უყაბალახო ბიჭი შევიდა. მაგიდებთან მთვლემარე დამკვირვებლებს ზრდილობიანად, მაგრამ კატეგორიულად სთხოვეს, ცოტა ხანს დაკვირვებისთვის თავი გაენებებინათ და ქვევით ჩაჰყოლოდნენ.

ხიდს რომ გადაცდნენ და აღმართს შეუყვნენ, როგორც იქნა, გააგებინეს შემკრთალ უცხოელებს, რომ ისინი მძევლებად აიყვანეს. რომ ოთხი „გაეროელის“ მოტაცებას მხოლოდ პოლიტიკური სარჩული ედო და გამოსასყიდი თანხისთვის ნურც მოკრძალებულსახსრებიან „გაეროს“ შეაწუხებენ და ნურც თავიანთ ათასი საზრუნავით გაბეზრებულ მთავრობებს.

„ალბათ დაგვხოცავენ“ – გაიფიქრა ურუგვაელმა დამკვირვებელმა და გული შეეკუმშა. პიჯაკის ჯიბიდან უბის წიგნაკი ამოიღო, გადაშალა, ფერადი ფოტო მძღოლის გვერდით მჯდომ ესებუას ცხვირთან მიუტანა.
– მე ორი პატარა გოგო მყავს, აი, ნახეთ. ესებუამ სურათს თვალი ჩაჰკრა და განზე გაიხედა.
„როგორც ჩანს, ამათზე სენტიმენტალური სცენები არ
გაჭრის“, გაიფიქრა ურუგვაელმა და კიდევ უფრო შეეკუმშა გული. იგი წყევლაკრულვას უთვლიდა თავის ურუგვაელ შეფს, პერსპექტიულ, ნიჭიერ დიპლომატს ამ ცხელ წერტილში რომ უკრა თავი.

ნორვეგიელები წყნარად ისხდნენ. თითქოსდა ტერორისტებს თავს არ უყადრებდნენ. ზორბა ჩეხს ცნობისმოყვარეობა აწუხებდა და წამდაუწუმ ეკითხებოდა გამტაცებლებს: თუ შეიძლება, ამიხსენით, სადაც მივდივართ, იქ ტელეფონზე დარეკვის საშუალება თუ იქნებაო.

ადგილზე გაიგებთ ყველაფერსო, მოკლედ და ბუნდოვნად პასუხობდნენ ტერორისტები.

ესებუა დროდადრო შემობრუნდებოდა და მძევალთა თავებს მიღმა გზას გასცქეროდა.

– არ ჩანს მდევარი? – ჰკითხა ძუკუმ.

– არა. მგონი, ვერც გაიგეს ვერაფერი, მაგ შობელძაღლებმა, გააჩერე ერთი, დავრეკავ ტელეფონზე. დაგვიწყებენ მერე ძებნას და ცოდოა ეს ხალხი.

მძევლებით სავსე „ნივა“ ძუკუმ კბილის ამბულატორიასთან დაამუხრუჭა. ესებუამ კიბე აირბინა და პალტოზე თეთრხალათმოსხმულ, მკლავზე თავმიდებულ ექიმს ტელეფონზე ანიშნა.

– ხომ შეიძლება?

პასუხს არ დაელოდა. საფისტონე ჯიბიდან ქაღალდი ამოიღო, ტელეფონის ნომერს დახედა და დარეკა.

– დამიგდე ყური კარგად. მორიგე ხარ ხომ? გადაეცი მანდ შენს უფროსებს, ჩვენ, ტერორისტებმა, გაეროს ოთხი კაცი გავიტაცეთ და ჯიხაშკარისკენ მიგვყავს. ვერ გეტყვით, სად ვიქნებით. იქ ვიქნებით ვინმესთან, ჯიხაშკარში. რა უნდა ჩვენს მოძებნას. ჰო, ასე გადაეცი. კარგად იყავი აბა.

ავადმყოფების ამაო ლოდინით დაღლილმა ექიმმა მშვიდად მოუსმინა ტერორისტს, რას აღარ საქმიანობს ხალხიო, გაიფიქრა და ახლა მარცხენა ხელს ჩამოადო თავი, რადგანაც მარჯვენა დაბუჟებოდა.

ესებუა მანქანაში ჩაჯდა, ავტომატი ფეხებშუა ჩაიდო და ძუკუს გაუღიმა.

– სად იქნებითო, მაგ სულელმა, ვითომ ნათლობაზე ვეპატიჟებოდე.

ჯიხაშკარში სოფლის გამგებლის – მეგონა მარღიას სახლს მიადგნენ. ტერორისტები ვართო, აუწყეს და მასპინძლის უარზე, არ დაიდოთ ჩემი ოჯახის ცოდვა, სხვაგან მიდით, ბიჭებო, მე რაც უნდა იყოს, მაინც გამგებელი ვარო, ერთი პირობა დააპირეს უკან გაბრუნება, მაგრამ უკვე გვიან იყო.

მდევარს ყოჩაღად ევლო და პოლიციელებს სახლისთვის ალყა შემოერტყათ. სხვა გზა არ იყო, უცნაური სტუმრებისთვის მეგონას ოჯახს უნდა ემასპინძლა. მძევლები ტახტზე გამწკრივდნენ. მომტაცებლები ფანჯარასთან მისხდნენ და ავტომატები მოიმარჯვეს.

– არ ისროლოთ, არ დამღუპოთ, ბიჭებო, – იმეორებდა ნირწამხდარი მასპინძელი.

– შენს საქმეს მიხედე, შეშა ამოიტანე და შეანთე, არ გაყინო ეს ხალხი – უთხრა ესებუამ. მერე ფანჯარა გააღო და მანქანებთან მოფუსფუსე პოლიციელებს გასძახა:

– ჭიშკარში შემოსვლა არ გაბედოთ, თორემ თქვენს კისერზე იქნება ამ სტუმრების ცოდო. ჩვენ თქვენთან არა გვაქვს საქმე. მოვიდეს თბილისი და გავაგებინებთ ჩვენს მოთხოვნებს. არ მოტყუვდეთ არაფერში. თქვენი ცოლშვილი გაიხსენეთ და წყნარად იყავით მანდ. თქვენი ფაფხური არ ჭირდება არავის. არ გავრბივართ ჩვენ არსად და თქვენ მიხედეთ თქვენს საქმეს!

ტერორისტული აქტიდან ერთი საათის შემდეგ მსოფლიოს საინფორმაციო საშუალებები უკვე გადასცემდნენ საქართველოში მომხდარ შემაძრწუნებელ ამბავს.

მსოფლიომ უკვე იცოდა, რომ ოთხი მშვიდობის მტრედის, ოთხი უწყინარი დამკვირვებლის სიცოცხლე საფრთხეში იყო, რომ ისინი „ულმობელ ჯალათებს“ ციხესიმაგრედ გადაკეთებულ საცხოვრებელ სახლში ჰყავდათ შემწყვდეული და ტერორისტები მხოლოდ მათთვის გასაგებ, რომელიღაც ტერორისტულ ენაზე ერთმანეთს უთანხმდებოდნენ, საქართველოსთვის თავმკვდარი ამ ოთხი დამკვირვებლისთვის რა ფორმით ამოეხადათ სული.

„გაერომ“ საგანგებო სხდომაზე სპეციალური რეზოლუციით დაგმო ტერორისტთა საქციელი და გამტაცებლებს მოუწოდა სასწრაფოდ, უპირობოდ და ულაპარაკოდ გაეთავისუფლებინათ მძევლები, მაგრამ გაეროს რომელი რეზოლუცია შესრულებულა, ეს რეზოლუცია რომ შესრულებულიყო.

ყველას, არქტიკიდან ანტარქტიდამდე და შპიცბერგენის კუნძულებიდან მადაგასკარამდე „ჯიხაშკარი“ და „ესებუა“ ეკერა პირზე.

ამერიკის პრეზიდენტმა კლინტონმა თავისი ორასორმოცდაშვიდი თანაშემწიდან ერთერთს – სიმპათიურ მის ქეთრინს უხმო და შევარდნაძისთვის გადასაცემი წერილი უკარნახა. წერილში თეთრი სახლის მესვეური სთხოვდა ქართველ კოლეგას, ყველაფერი ეღონა დამკვირვებლების გასათავისუფლებლად. კლინტონს ესებუას გვარის გამოთქმა გაუჭირდა, „ესებ“ რომ თქვა, ლოყები დაბერა და „ბუა“ ფრანგულპროვანსულ დიალექტზე ისე მჭახედ გამოისროლა ბაგეთაგან, რომ სული ძლივს მოითქვა. ახარხარებულ თანაშემწეს რომ გახედა, თვითონაც სიცილი აუტყდა და გახალისებულმა ერთი გაფიქრება გაიფიქრა, რა ქვეყანა დაიქცევა, მოვუსვამ გავაზე ხელს ამ კოხტა ქალსო, მაგრამ მაშინვე გადაიფიქრა და სწორადაც მოიქცა. კლინტონმა იცოდა, რა იღბლის პატრონიც იყო. არც ერთი თანაშემწე გავაზე (და ცოტა ქვემოთაც) კლინტონის ხელის ჩამოსმაზე იმ წუთას უარს არ აცხადებდა, მაგრამ პრეზიდენტის კაბინეტიდან გამოსული პირდაპირ სასამართლოში გარბოდა.

ნეიტრალურ და ნახევრად ნეიტრალურ ქვეყნებში იქმნებოდა ფონდები და საზოგადოებები „ველურთა“ მიერ გატაცებული დამკვირვებლების გამოსახსნელად.

ურუგვაელი პოეტები ქართველებისთვის თავშეწირული თავიანთი თანამემამულის გმირობაზე ლექსებს თხზავდნენ.

მეგონა მარღიამ გადაწყვიტა, სტუმრებისთვის (ინფორმაციულ ვაკუუმში რომ არ აღმოჩენილიყვნენ) სიდედრის ოთახიდან ტელევიზორი გაეტანა, რაზეც ლოგინს მიჯაჭვულმა ქალბატონმა სასტიკი პროტესტი განაცხადა და მასპინძელი იძულებული გახდა ძველთაძველი შავთეთრი ტელევიზორი „ტაურასი“ ამოეტანა სარდაფიდან.

ძველ ტელევიზორს ერთი სენი სჭირდა: ხმას თუ გაუსწორებდი, გამოსახულება ირღვეოდა და ეკრანზე ადამიანები თევზებს ემსგავსებოდნენ. თუ გამოსახულებას გაასწორებდი, ტელევიზორი აფეთქებისწინა შიშინხავილს გამოსცემდა. ჯიხაშკარელმა მოხალისეებმა პოლიციის ალყას თავიანთი ალყა შემოარტყეს. ადგილობრივი მებრძოლები ფილთა თოფებით და მშვილდისრებით იყვნენ შეიარაღებულნი.

შუადღისას საქართველოს შინაგან საქმეთა და უშიშროების სამინისტროს ქვედანაყოფები მოვიდნენ ბეტეერებითა და ამფიბიადგადაკეთებული ტანკებით. მალე ვერტმფრენებიდან ტერორისტთა სწრაფამყვანი ჯგუფის „დელტას“ წევრები ჩამოხტნენ კოხტა, მომცრო პარაშუტებით და ჯიხაშკარელთა ირგვლივ განლაგდნენ.

ასე რომ, მეგონა მარღიას ისტორიული სახლი სამმაგ ალყაში მოექცა.

სანამ დიასახლისი სუფრას გაშლიდა, ტერორისტთა მეთაურმა სამპუნქტიანი მოთხოვნა გადასცა საქართველოს ხელისუფლებას. ულტიმატუმი მარტივი და, რაც მთავარია, იოლადშესასრულებელი იყო: 1. რუსის ჯარის დაუყოვნებლივ გაყვანა საქართველოდან; 2. ყველა პოლიტპატიმრის გათავისუფლება (მიუხედავად იმისა, სურს თუ არა გათავისუფლება და შეძლებს თუ არა ციხიდან გამოსვლას); 3. რეალური, მაგრამ უკანონო ხელისუფლების წარმომადგენლების მოლაპარაკება კანონიერი ხელისუფლების რუსეთში მიმოფანტულ წარმომადგენლებთან.

რეალური ხელისუფლებისთვის ამ მოთხოვნების შესრულება საპნის ბუშტის გაშვებასავით ადვილი საქმე იყო. კაცმა რომ თქვას, ხელისუფლებას გაეხარდა კიდეც ესებუას ულტიმატუმი. ჯერ ერთი, პოლიტპატიმრები სისხლს უშრობდნენ ციხის ადმინისტრაციას და თუ ისინი ციხეს დატოვებდნენ, ტაშისკვრით გააცილებდნენ, რუსის ჯარის გასვლა ახლა თვით მრავალგზის მოტყუებულ ხელისუფლებასაც სურდა. რაც შეეხება წინა ხელისუფლების წარმომადგენლებს, ბურჭულაძე და აბსნაძე დღევანდელ ხელისუფლებას ადამიანურად ენატრებოდა კიდეც.

სუფრას ტერორისტები და მათი „მსხვერპლნი“ ერთად მიუსხდნენ.

„მე ორი გოგო მყავს, აი ნახეთ“, – საცოდავად გაიღიმა ურუგვაელმა და ფოტო დააძრო. შავგვრემანი, კუდრაჭა ურუგვაელი ბავშვების სურათმა სუფრა ჩამოიარა. მაგრამ ურუგვაელს მაინც ვერ უშველა. მიუხედავად მისი ენერგიული უარისა, გმადლობთ, არ მშიაო, იგი ლამის ძალით დასვეს სუფრასთან.

„ალბათ გვწამლავენ“, – შიშისაგან ყელი გაუშრა ლათინური ამერიკის მკვიდრს. ეს შიში გაუათკეცდა, როცა ესებუამ ცხელ ღომში ქვასავით მაგარი, ყავისფერქერქიანი, შებოლილი სულგუნის ნაჭრები ჩაუდო.

– მიირთვი... ეს ჩვეულებრივი ყველი არ გეგონოს, სპეციალურადაა გამოყვანილი, – აუხსნა ტუჩაკანკალებულ ტყვეს.

„სპეციალურად გამოყვანილმა“ მთლად გადარია ურუგვაელი.

– ვიცი, ვიცი... სულგუნიანი ღომი განზე გასწია მან – ვიცი, რასაც ნიშნავს „სპეციალური“. მე გაეროს პატივს არ ვცემ... მატყუარა დაწესებულებაა. მე ორი პატარა გოგო მყავს...

ურუგვაელმა ნორვეგიელებს გახედა. ეშმაკ ევროპელებს ასეთი მუღამი ჰქონდათ დამუშავებული: ზუსტად იმას მიირთმევდნენ, რასაც ესებუა ჭამდა. ურუგვაელი საბოლოოდ მაშინ დამშვიდდა, როცა გალაღებულ ჩეხს მიაპყრო თავისი ცქვიტი, ურუგვაული მზერა. ჩეხი ყანწით ხელში ქართველი და სლოვაკი ხალხების სადღეგრძელოს სვამდა. ამ ორი მშვიდობიანი ერის მრავალსაუკუნოვან მეგობრობაზე ლაპარაკობდა.

ურუგვაელმა, ღმერთმა შეარგოს, გემრიელად ისადილა, მაგრამ ქართველი და ურუგვაელი ხალხის მეგობრობის ფაქტები ვერ გაიხსენა და სადღეგრძელო ჩეხთან შედარებით, მწირი, ნაკლებემოციური გამოუვიდა.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

ელგუჯა მგელაძე

ნოველები

დამოკლებული შარვალი

სოფელ ქვემო აკეთში ჩემი ბიძის კოტე ღლონტის მეზობლად ცხოვრობდა უაღრესად კეთილსინდისიერი კაცი, ენაკვიმატი ნოდარ ქორიძე. მისი მეუღლე, მკერავი გახლდათ და მათი ახალმოყვანილი რძალიც ამ სპეციალობისა აღმოჩნდა.

შაბათი იყო. სოფელში ქორწილი იმართებოდა და ნოდარმა ახალი შარვალი იყიდა, რომელიც წელზე კარგად ჰქონდა, მაგრამ ძალიან გრძელი აღმოჩნდა. ამას ყურადღება არ მიაქცია, რადგან იცოდა, რომ მისი მეუღლე, ან სულაც რძალი შარვლის დამოკლებას იოლად შეძლებდა.

შინ დაბრუნებულს არც მეუღლე და არც რძალი შინ არ დახვდა. ნოდარი სხვა საქმეზე იყო წასასვლელი, ამიტომ წერილი დაწერა და შარვალთან ერთად თვალსაჩინო ადგილზე დადო. წერილში ეწერა: „შარვალი გრძელია, რომელიც ადრე მოხვალთ, 20 სანტიმეტრით დამიმოკ-ლეთო.“

შინ პირველი მისი მეუღლე, ქალბატონი ცუცა მობრძანდა და წერილის წაკითხვისთანავე შარვალი 20 სანტიმეტრით დაამოკლა. ნოდარის წერილის გადაგდება მას არც უფიქრია, ისე გავიდა სახლიდან.

ცოტა ხანში ნუცა (რძალი) დაბრუნდა და წერილის წაკითხვისთანავე ახლა მან დაამოკლა შარვალი კიდევ 20 სანტიმეტრით, რის შედეგადაც იგი მოდურ „ბრიჯებად“ იქცა.

ასე რომ, ნოდარს ისევ ძველი შარვლით მოუწია ქორწილში წასვლა.

ერთხელაც ნოდართან ბებიაჩემი, პელაკი ღლონტი მისულა ხუთი მანეთის სასესხებლად. ნოდარს მოუსმენია ბებიაჩემისთვის, მერე ცხვირსახოცი ამოუღია და ატირებულა: „სად მაქვს, პელაკი, ფულიო!“

ბებიაჩემს შესცოდებია, სამი მანეთი იქვე უჩუქებია. თან შეპირებია, ამ პარასკევს ოზურგეთში ყველს რომ გავყიდი, შვიდ მანეთს კიდევ გაჩუქებო.

ერთხელაც ბატონი ნოდარი დაკრძალვიდან შინ შეზარხოშებული ბრუნდებოდა, ახლადნაყი-დი მაკენტოჟის ლაბადა ეცვა, თავისი სოფლის გადმოსახვევთან რომ მოაღწია, უკვე მოსაღა-მოვდა. ადამიანის ჭაჭანება არ იყო და საკმაოდ ციოდა. მოულოდნელად სამი ახალგაზრდა მისცვივდა ნოდარს და ერთ-ერთმა მკაცრად უბრძანა თურმე, სასწრაფოდ მოგვეცი ფული, ძვირფასეულობა და ლაბადაც გაიხადეო.

ნოდარმა ენამოსწრებულად უპასუხა: „რავა, ძამა, „პლაში“ რომ გევიხადო, გამოზაფხულდა თუ?”

ბიჭებს გასცინებიათ, მაგრამ უბრძანებიათ მაშინ: ოქროულობა და ფული მოგვეციო. ნოდარმა ჯიბეები გამოიბრუნა, მაგრამ ოქროზე რომ არაფერი ვთქვათ, სამი მანეთის მეტი არ აღმოაჩნდა; ნოდარს ჯიბიდან ამოუღია თავისი განუყრელი ცხვირსახოცი და ისე ატირებულა, რომ ცრემლები თურმე ღაპა-ღუპით ჩამოსდიოდა! ახალგაზრდებს ძალიან შესცოდებიათ, ფულიც არ წაურთმევიათ და უთქვამთ: აქ დაგვიცადე და თუ ვინმეს რაიმე წავართვით, ნახევარს შენც მოგცემთო.

მია-მია და კნუტები

ჩემი უფროსი შვილიშვილი, მარიამი (მია-მია), ალბათ 7 წლის იქნებოდა, როცა ძაღლის ყიდ-ვა მოგვთხოვა. ჩვენ კორპუსის ბინაში ვცხოვრობთ, რის გამოც სახლში ძაღლის შენახვა უამრავ

სირთულესთანაა დაკავშირებული. ბევრი მცდელობის მიუხედავად, ბავშვს აკვიატებული სურვილი ვერ გადავათქმევინეთ. ბოლოს, როცა დარწმუნდა, ძაღლის მყიდველები არ ვიყავით, მისი ჭკუით ცოტაოდენ დათმობაზე წავიდა და ძაღლის მაგივრად პატარა ლეკვის შეძენა გვთხოვა.

ნინო მახარაძე

მიუხედავად იმისა, რომ ეს ოჯახისთვის „დიდი შეღავათი“ იყო, ლეკვის არსებობაც დიდ უხერხულობასთან იყო დაკავშირებული, გულახდილად რომ ვთქვა, დიდად არ მხიბლავდა ოჯახში ძაღლის არსებობა, თუმცა ძალიან მიყვარს ნადირობისას კარგ მწევართან ურთიერთობა.

მოკლედ, ბევრი ტირილის, თხოვნისა და ჯუჯღუნის მიუხედავად არც ძაღლი და არც ლეკვი არ ვუყიდეთ.

ერთხელ, ზაფხულში აგარაკზე წასვლის წინ, ჩემმა თანამშრომელმა ნინო მახარაძემ მითხრა, რომ სახლში კატის ხუთი კნუტი ჰყავდა. უნდოდა მათგან სამი გაეჩუქებინა და თუ ვინმეს სურვილი ჰქონდა სიამოვნებით მისცემდა.

ნინოს ნათქვამი ჩემდა ჭირად სახლში გავაჟღერე, რასაც ყური მოჰკრა მია-მიამ. იგი მთელი სერიოზულობით აჩქარებული გამოემართა ჩემსკენ, მე და ჩემს მეუღლეს, მარინა ქავჟარაძეს წინ დაგვიდგა და ოლიმპიური სიმშვიდით გამოგვიცხადა: „ისე მე ლეკვი მინდოდა, მაგრამ რადგან თქვენ არ მიყიდეთ, ჰო კარგი, იყოს სამი კნუტიო.“

ოჯახში კნუტების შემოყვანის სურვილიც არ მქონდა, მაგრამ ვიფიქრე, რადგან მთელი ოჯახი აგარაკზე მივდივართ, სადაც ეზოიანი კერძო სახლი გვაქვს, ჯანდაბას, რაც არის არის, იქ წავიყვან-მეთქი.

კნუტები

იმავე დღესვე დავურეკე ნინოს, კნუტები არ გაეჩუქებინა და მეორე დღეს სამივეს წავიყვანდი. ისიც, რა თქმა უნდა სიამოვნებით დამთანხმდა.

იმ დღეს ჩემი მია-მია სულ კნუტებზე მესაუბრებოდა და მთხოვდა ახლავე წავიდეთ და წამოვიყვანოთო. მალე ტყუპებიც აიყოლია და სამივემ ერთად შემომიტია, მაგრამ რაღაც საპატიო მიზეზი მოვიფიქრე და მათი წამოყვანა მეორე დღისთვის დავგეგმეთ. აგარაკზე წასვლის წინ გზად გავუვლიდით ნინოს და კნუტებს წავიყვანდით.

ის საღამო ბავშვებმა კნუტებზე საუბარში გაატარეს. კნუტები გაინაწილეს და სახელებიც შეურჩიეს. მოილაპარაკეს, აგარაკზე რანაირ სახლს მოუმზადებდნენ, რას აჭმევდნენ, ასმევდნენ, ყელზე რანაირ ყელსაბამს შეაბამდნენ და კიდევ რა ვიცი რას არ გეგმავდნენ.

მია-მია მგელაძე

დილით მია-მიამ ყველაზე ადრე გაიღვიძა, ჩვენც გაგვაღვიძა და აგარაკზე წასვლა დაგვაჩქარა. ერთი სული ჰქონდა როდის იხილავდა მის საოცნებო კნუტებს.

დილის 10 საათზე სახლიდან გავედით და გზად მიმავლებმა ნინოს მივაკითხეთ. მან უკვე მუყაოს ყუთში ჩასმული დაგვახვედრა კნუტები, რომლებიც ვაჩვენე ბავშვებს. სამივენი მართლაც ლამაზები იყვნენ. ალბათ ასე, ორი-სამი კვირის იქნებოდნენ.

ავტომანქანის საბარგულში კნუტები მთელი გზა კნაოდნენ, ყუთს ფხოჭნიდნენ და იქიდან თავის დაღწევას ცდილობდნენ, მაგრამ ამაოდ.

აგარაკზე ჩასვლის შემდეგ, მათ სახლის პირველ სართულზე მივუჩინეთ ადგილი, მოვუწყვეთ სპეციალური სადგომიც.

თავდაპირველად, ბავშვები მთელ დღეს მათთან ატარებდნენ. სახელებიც დაარქვეს, ეფერებოდნენ, აჭმევდნენ, ასმევდნენ და როგორც იტყვიან, ცივ ნიავს არ აკარებდნენ.

კნუტებს ძალიან უყვარდათ ძროხის რძეში ჩამბალი სპეციალური საჭმელი.

მალე დავრწმუნდით, რომ კნუტების სახლში ყოლა არც ისე სასიამოვნო ყოფილა. ისინი გამუდმებით აჭუჭყიანებდნენ იქაურობას და ხშირად კნავილით იკლებდნენ სახლს, რის გამოც ეზოში ცალკე მდგომ სათავსოში გავასახლეთ, რითაც ოჯახის წევრებმა ნაწილობრივ შვებაც ვიგრძენით.

ამასობაში, კნუტები წამოიზარდნენ და ეზოში მორბენალ პატარა წრუწუნებზეც დაიწყეს ნადირობა, მაგრამ, რატომღაც ბავშვებმა მათ მოვლა-პატრონობაზე გული აიცრუეს, რის გამოც ერთ მშვენიერ დღეს სამთვიანი განშორების შემდეგ ისინი ისევ თავის ძველ სახლში დავაბრუნე, რითაც ნინოს ახალი თავსატეხი გავუჩინე.

ხუმრობა საქმე ხომ არ იყო, მათ სახლში არსებულ ხუთ კატას კიდევ სამი დავუმატე.

„ოპტიკა“

საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამშენებლო ფაკულტეტის საღამოს დასწრებულის №19-ე ჯგუფში ფაქტიურად ყველა კარგად ვსწავლობდით. ლექციები საღამოს შვიდი საათიდან გვეწყებოდა.

გელა ფიცხელაური,
იგივე „ოპტიკა“

ისევე როგორც საერთოდ ყველა სტუდენტს, მეც ჩემს ჯგუფელებთან ერთად ხშირად მიყვარდა ლექციების გაცდენა, ანუ ე.წ. „შატალოზე“ სიარული.

ერთხელაც, მორიგ „შატალოზე“ ყოფნისას ექვსი თუ შვიდი მეგობარი რუსთაველის გამზირზე ვსეირნობდით. შემოდგომის თბილი საღამო იყო. დაახლოებით 21 საათი იქნებოდა, როცა, რატომღაც, ზედ თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის წინ გადავწყვიტეთ პროსპექტის გადაკვეთა. იმ დროს ფეხით მოსიარულეთა მიერ აკრძალული ადგილების გადაკვეთას დღევანდელთან შედარებით უფრო მეტი ყურადღება ექცეოდა და მაშინდელი საგზაო მილიციის მიერ ხშირი იყო დაჯარიმების ფაქტებიც. ჯარიმა ორიდან ხუთ მანეთამდე განისაზღვრებოდა.

იმ საღამოს ფიზიკის, ქიმიის და სამშენებლო მექანიკის ლექციები გავაცდინეთ და თითოეულ ჩვენგანს ხელში მხოლოდ ამ საგნების კონსპექტების საერთო რვეულები გვეჭირა.

მოკლედ, პროსპექტი გადავკვეთეთ თუ არა, ქუჩაში მდგომმა მილიციელებმა ისეთი სტვენა ატეხეს, რომ იფიქრებდით, ქვეყანა დაიქცაო. ჩვენ სირბილით აქეთ-იქეთ მიმოვიფანტეთ. ის-ის იყო ბოლოს მყოფი ჩვენი ჯგუფელი გელა ფიცხელაურიც სამშვიდობოს უნდა გასულიყო, რომ მას უზარმაზარი ჭადრის ხის უკან დამალული მილიციელი გადმოუხტა და ხელი ისე მაგრად სტაცა, რომ გელა თავისი სიმკვირცხლის მიუხედავად, ხელიდან ვერ დაუსხლტდა. ამასობაში სხვა მილიციელებმაც მოირბინეს და ჩვენი გელა „გასკვანჩეს“.

მეგობარს მილიციას ხომ არ შევატოვებდით, ამიტომ ჩვენც მაშინვე მილიციელებს მივცვივდით. გამვლელებმაც უცებ მოიყარა თავი.

ერთმა, შედარებით დაბალმა და მელოტმა მილიციელმა, რომელიც ალბათ სხვების უფროსი უნდა ყოფილიყო, ჯარიმის ქვითარი ამოიღო და ჩვენს გელას, რომელსაც სხვათაშორის „სერაფინოს“ ვეძახდით, გამოკითხვა დაუწყო და მოსთხოვა პასპორტი, რაც იმ მომენტში გელას არ აღმოაჩნდა. მილიციელი არ მოეშვა, შენი გვარსახელი მითხარიო. გელამ საკმაოდ მშვიდად

უპასუხა, რაც ერქვა, მაგრამ ერთმა ახმახმა „პუსტა-პუსტა“ მილიციელმა ეჭვის თვალით დაუწყო გელას ყურება, თან, ალბათ მისი იქ მყოფი უფროსის წინაშე თავის გამოსაჩენად, ხმამაღლა განაცხადა, ახლავე შევამოწმებო და მან საკმაოდ უხეშად გამოგლიჯა გელას იღლიაში ამოჩრილი რვეული, გარეკანზე დააცქერდა და მელოტ მილიციელს გამარჯვებულის სახით მიმართა: ჩემი ეჭვი გამართლდა, უფროსო, ეს გელა ფიცხელაური კი არა, ოპტიკა ყოფილა. მელოტმაც სასწრაფოდ გადახაზა საჯარიმო ქვითარში უკვე ჩაწერილი გელას გვარსახელი და მას თავზე ოპტიკა დააწერა, მაგრამ გვარი? ახლა ამაზე ატყდა ერთი ამბავი.

ცხადია, გელამ თავი გამოიდო: რა ოპტიკა, რის ოპტიკა, მე ნამდვილად გელა ფიცხელაური ვარ, ჩემი თუ არ გჯერათ, აგერ ამ ხალხს ჰკითხეთო, მაგრამ ამაოდ.

მილიციის მელოტმა უფროსმა სერჟანტმა მკვახედ მიახალა აღელვებულ გელას: დაწყნარდი, ამხანაგო! ვის მოტყუებას ცდილობ! ჩვენ უკვე დავადგინეთ, რომ თქვენ ოპტიკა ხართო.

ამასობაში მაღალმა მილიციელმა კიდევ ერთი სიტყვა „ფიზიკა“ ამოიკითხა რვეულის გარეყდაზე და ეს სასწრაფოდ ოპტიკის გვარად მიიჩნიეს!

ამრიგად, გელას სამ მანეთიანი ჯარიმა გამოუწერეს.

საჯარიმო ოქმში სიტყვა-სიტყვით ასე ეწერა: 1971 წლის 25 ოქტომბერს, საღამოს 9 საათსა და 32 წუთზე ხუციშვილის ქ. №21-ში მცხოვრებმა ოპტიკა ფიზიკამ, რუსთაველის გამზირზე დაარღვია ფეხით მოსიარულეთა წესები, რის გამოც დაჯარიმდა სამი მანეთით. ოქმზე ოთხმა მილიციელმა ამაყად მოაწერა ხელი და გელას ნიშნისმოგებით მიაძახა: თქვენი ხელმოწერა არაა სავალდებულო, ჩავწერეთ, რომ ოქმს არ ეთანხმებითო...

ამ დროს ჩვენ სიცილით ვიხოცებოდით: იმ დღეს ხომ ფიზიკის ლექცია გავაცდინეთ და იმჟამად მის ერთ-ერთ ნაწილს-ოპტიკას გავდიოდით.

ასე შერჩა ჩვენს მეგობარ გელას იმ დღიდან მეტსახელად „ოპტიკა“, რომელსაც დღემდე ვეძახით.

რაც შეეხება საჯარიმო ოქმს და ჯარიმას, იგი ხუციშვილის ქუჩაზე არ გამოუგზავნიათ, ვინაიდან იმ დროს მილიციაში ჭკვიანი ხალხიც მუშაობდა.

სადავო იარაღები

გომბორის აგარაკზე სახლები ბოლომდე აშენებული და გამართული არ გვქონდა, როცა მე და ჩემმა მეზობელმა ჟორა ბიძიამ, რომელიც ახალი გაცნობილი მყავდა, დავიწყეთ სხვადასხვა იარაღების შეძენა. მალე ხელთ გვქონდა ურო, ჩაქუჩი, ძალაყინი, ხერხი, ცული, ელექტრობურღი, ბრტყელტუჩა, თოხი, ბარი, ფოცხი, წერაქვი და სხვა. მოკლედ, ისე შევედით ზემოხსენებული ნივთების შეძენის აზარტში, რომ ერთი სახეობის იარაღს, ერთს კი არა, რამდენიმეს ვყიდულობდით, ოღონდ ზომითა და ფორმით განსხვავებულს და კოლექციონერობით თავიც კი მოგვქონდა მეზობლობაში.

ერთ მშვენიერ დღეს, ჟორა ბიძია მესტუმრა და შეწუხებულმა მთხოვა, ძალაყინი გამიფუჭდა და მათხოვეო. მისმა ნათქვამმა გამაკვირვა, ძალაყინის გაფუჭება ვის გაუგია? მაგრამ ხომ იცით გამოთქმა „მეზობელო კარისაო, სინათლე ხარ თვალისაო” და მეც იარაღი სიამოვნებით გამოვურბენინე. ვიფიქრე, ეტყობა, კიდევ უფრო დაახლოება-დამეგობრება უნდა და მიზეზად ძალაყინის თხოვება მოიგონა-მეთქი და საკმაოდ მძიმე იარაღი მეზობელს ჭიშკრამდეც კი მივუტანე.

ამ ამბიდან დიდი დრო არ იყო გასული, როცა ძალაყინი დამჭირდა. გამახსენდა, რომ ჟორა ბიძიას ჰქონდა წაღებული. მის ეზოში შესვლისთანავე დავინახე, რომ ჩემი ძალაყინი სახლის კედელთან იყო მიყუდებული. მოვკიდე ხელი და მასპინძელს ვუთხარი: ჟორა ბიძია, ჩემი ძალაყინი მჭირდება და უნდა წავიღო-მეთქი. მან კი, ჩემდა გასაკვირად, მთელი სერიოზულობით მიპასუხა:

რას ამბობ, კაცო! ეს ჩემი ძალაყინია, ქარხანა ამ იარაღს მხოლოდ შენთვის კი არ ამზადებსო. თანაც შვილიშვილები დაიფიცა, ეს ძალაყინი რამდენიმე დღეა აქ დევს და მისი ცქერით თვალებში ლამის მაზოლი ამომივიდესო. Mმოკლედ, ჩემი ძალაყინი არ მომცა, თუ ძალიან გჭირდება, ცოტა ხნით გათხოვებო.

თავიდან მეგონა მეხუმრებოდა, ან სიზმარში ვიყავი, მაგრამ, როცა დავრწმუნდი, რომ ყველა¬ფერი რეალურად ხდებოდა, ძალიან მეწყინა, გავბრაზდი და უკან გამოვბრუნდი.

ამის შემდეგ ორივემ ერთად გადავწყვიტეთ რაიმე განმასხვავებელი ნიშანი დაგვედო ჩვენ-ჩვენი იარაღებისათვის. გავმართეთ ხანმოკლე თათბირი. მიღებული გა¬და¬წყვეტი¬ლებით, მართალია, ჩემს მანეთიან ძალაყინს საბოლოოდ გამოვემშვიდობე, მაგრამ მაინც წამოვაყენე შემდეგი იდეა: ჟორას იარაღების ტარები ერთი ნახვრეტით, ხოლო ჩემები ორი ნახვრეტით დაგვემშვენებინა. მოკლედ, შეთანხმებისამებრ, დავხვრიტეთ იარაღის ტარები და ნახვრეტებისათვის ფუნქციის მინიჭების მიზნით სახელოსნოებში ლურსმებისგან გაკეთებულ საკიდებზე ჩამოვკიდეთ.


ჟორა მაისურაძე

თითქოს ყველაფერი მოგვარდა, მაგრამ დამშვიდების მაგივრად, მოუსვენრობა დამჩემდა. ყოველდღე ვხედავდი ჟორას სახლის კედელზე მიყუდებულ ჩემს გასაცოდავებულ ძალაყინს. წავთვლემდი თუ არა, მესიზმრებოდა, თითქოს ჩემი ძალაყინი მეძახდა: ელგუჯ! შენი ვარ, შენი ვარ, წამიყვანე, მომაცილე აქაურობას, თორემ ამ კაცმა გამცვითა მუშაობითო! ამის შემდეგ ბნელი ფიქრები თავს არ მანებებდნენ, მიბიძგებდნენ რაიმე ხრიკებით შეთანხმებაში ცვლილებები შემეტანა.

ერთ მშვენიერ დღეს, ჩემი ბიჭი, ალეკო, ჟორასთან გავგზავნე ჩაქუჩისა და ცულის სათხოვნელად. რამდენიმე დღის შემდეგ ამავე მიზნით ალეკო კიდევ ორჯერ გავგზავნე და მეზობლის იარაღებს ერთიანად მოვუყარე თავი. მერე ჩემების მსგავსად, იგივე ზომის მეორე ნახვრეტით გავამდიდრე და ჩემს სახელოსნოში ჩამოვკიდე. იმ ღამეს ძალიან კარგად დამეძინა, თანაც საუკეთესო სიზმრები ვნახე...

რამდენიმე დღის შემდეგ ჟორა წარბაწეული მესტუმრა და მოიკითხა თავისი იარაღები. Mმე მხრები ავიჩეჩე და მთელი სერიოზულობით ვუპასუხე: რაღაც ვერ ვიხსენებ შენი იარაღების ჩემთან ყოფნას-მეთქი. შემოდი, დაათვალიერე და, შეთანხმებისამებრ, ერთნახვრეტიან იარაღს თუ ნახავ, წაიღე, რად მინდა შე¬ნი იარაღი, ხომ ხედავ, ჩემიც რამდენი მაქვს-მეთქი.

ჟორამ საგულდაგულოდ დაათვალიერა კედელზე მრავალ რიგად ჩამწკრივებული ორ-ორ ნახვრეტიანი იარაღები და ერთ ნახვრეტიანი, რომ ვერ აღმოაჩინა, ნიშნისმოგებით მკითხა: შე, კაცო! მითხარი როდისღა მოასწარი ამდენის შეძე¬ნაო?! პასუხი არ დავაყოვნე: – ეჰ, ჟორა ბიძია, შენ საჭიროება და ფული თქვი, თორემ რა უნდა ამათ შეძენას-მეთქი.

ამ საუბრიდან არ გასულა ორიოდე დღე და ალეკო კვლავ გავაგზავნე მომცრო ჩაქუჩზე ჟორასთან. მან კი, ერთის ნაცვლად სამი გამოატანა. მეზობლის გულუხვობამ გამაკვირვა, მაგრამ რას ვიფიქრებდი, რომ ეს ხაფანგი იყო. თურმე ერთ-ერთი ჩაქუჩის ტარზე სახელი ჟორა იყო ამომწვარი, რომელიც ჩემი მხედველობის არეალს გამოეპარა. ჩვეულებისამებრ, სამივე ჩაქუჩს მეორე ნახვრეტი გავუკეთე და კედელზე თავისუფალი ადგილის არქონის გამო, სამუშაო მაგიდაზე დავყარე.

არ გასულა დიდი დრო და ჟორაც მესტუმრა. რა თქმა უნდა, ამოიცნო ჩაქუჩზე საკუთარი ხელით ამოტვიფრული წარწერა. როგორც სჩვევოდა ქვედა ტუჩი ბოლომდე გადმოაბრუნა, თავის ქნევით გაურკვეველი ბგერები ჩაიბუტბუტა, ალბათ გულისხმობდა, მე შენ გიჩვენებ სეირსო

და შინ წავიდა. მეორე დღეს თავისი გვარის გამგრძელებელი გიალო გამომიგზავნა ხუთი ჩაქუჩის სათხოვნელად. Mმართალია, გულმა რეჩხი მიყო, მაგრამ უარის თქმა არ გამოდიოდა, ამიტომ ექვსი გავატანე, მალულად გავყევი გიალოს და მათი სახელოსნოს სარკმელთან მივიპარე.Hჰოი, საოცრებავ, ჩემი თვალით ნათლად დავინახე, თუ როგორ ოსტატურად მოახერხა ექვსივე ჩაქუჩის ტარს თითო ნახვრეტი, როგორ მარჯვედ გაქლიბა ერთნახვრეტიანად გადაქცეული ჩაქუჩები და როგორ ჩამოკიდა კედელზე.

იმ დღეს დამთავრდა დაზვერვითი სამუშაოები და გამოცხადდა ღია ომი იარაღების მისაკუთრებისათვის. ნათხოვარ იარაღებს მე მეორე ნახვრეტს ვუმატებდი, ის კი დაბრუნებულ, უკვე ორ ნახვრეტიან იარაღს ხერხით აჭრიდა ერთ ნახვრეტს. სწორედ ერთ ასეთ მცდელობაზე, ჟორას ისევ ჩავუსაფრდი და ხერხვისას თავზე დავადექი. ხელი ვტაცე ნახევრად მოხერხილ ჩაქუჩის ტარს და ვითომდა აღშფოთებულმა შევძახე: აფსუს, ჟორა ბიძია! მე შენ კეთილსინდისიერი მეზობელი მეგონე, არცერთი არ მინდა, გჩუქნი ამ იარაღებს-მეთქი და დიდი ნაბიჯებით დავტოვე მისი სახელოსნო.

მოკლედ რომ ვთქვათ, ჩვენი იარაღების სამთვიანი მძიმე ომი იმით დამთავრდა, რომ ჩვენი იარაღები დამოკლებული ტარების გამო, თითქმის გამოუსადეგარი გახდა... ბოლოს კი, მიღწეული ზავის შესაბამისად მეზობლების თანდასწრებით არადანი-არჩევანის პრინციპით გავიყავით ჩვენივე ინსტრუმენტები, თუმცა, ჩემი ძალაყინი, ჟორას მეტად პრინციპული პოზიციის გამო, მასთან დარჩა და დღესაც საცოდავად არის მიყუდებული მისი სახლის კედელზე. ახლა თითქოს აღარც მახსოვს ჩემი ეს საყვარელი ნივთი, თუმცა, თვეში ერთხელ მაინც, სიზმარში უთუოდ მახსენებს ხოლმე თავს.

სასტვენები

გომბორი ის ადგილია, სადაც ყოველთვის მიხარია ჩასვლა. იქ დასვენებას რა სჯობს. ისიც გასათვალისწინებელია, რომ ჩემი აგარაკი ჩემი საუკეთესო მეგობრების კარ-მიდამოების შორის დგას, ერთ მხარეს იგი ესაზღვრება ჯუმბერ ჭყონიას, ხოლო მეორე მხარეს კი, - შოთა მაისურაძის აგარაკებს.


ჟორა მაისურაძე და მამია ჭყონია

როცა ჯუმბერის და შოთას მამები, გიორგი (მამია) და ჟორა პენსიაში გავიდნენ, გომბორში დამკვიდრება გადაწყვიტეს. მათთვის ალბათ, გაცილებით უკეთესი იქნებოდა ერთმანეთის გვერდით ეცხოვრათ, მაგრამ, როგორც ზემოთ აღვნიშნე, მე და ჩემი აგარკი მათ შორის მურმანის ეკალივით ვიყავით გაჩხერილი. ჟორასთან სამეზობლო ჭიშკარი მქონდა, თუმცა მამია ბიძიასთან ამის გაკეთება ვერ ხერხდებოდა ციცაბო დაღმართის გამო.

დღისით ორივე თავის ნაკვეთში ფუსფუსებდა, საღამოს კი ერთად სხდებოდნენ და მუსაიფობდნენ, თანაც ზომიერად ღვინოსაც წრუპავდნენ.

იმჟამად სოფელ გომბორის ცენტრში საბჭოთა კავშირის ერთ-ერთი სამხედრო ბაზა იყო განთავსებული. ერთხელ ბაზის პირადი შემადგენლობის თითქმის 80 პროცენტი თავისი შეიარაღებით დროებით ჩეხოსლოვაკიაში გადაისროლეს, თუმცა ოფიცრების ცოლ-შვილი ისევ გომბორში იყვნენ დარჩენილნი.

იმ წლის სააგარაკო სეზონი კარგა ხნის დამთავრებული იყო, მოაგარაკეები უკვე თბილისში ვიყავით. ჩვენს აგარაკებზე კი მხოლოდ მამია, ჟორა და დარაჯი იყვნენ დარჩენილები.

ერთ დღეს შოთამ შემომთავაზა, საღამოს აგარაკზე ჩავიდეთ, მოხუცებს დავხედოთ და საჭმელ-სასმელიც ჩავუტანოთო. მე სიამოვნებით დავთანხმდი და საღამოს სურსათ-სანოვაგით დატვირთულნი აგარაკზე ჩავედით. მივიხედ-მოვიხედეთ, მაგრამ მოხუცები იქ არ დაგვხვდნენ.

დარაჯმაც არაფერი იცოდა, გვითხრა, რომ შუადღის შემდეგ არც ერთი არ მინახავსო. დაახლოებით სამი საათი იქნებოდა, წვერგაპარსულები და ლამაზად ჩაცმულები ჟორას ავტომანქანით სადღაც მიიჩქაროდნენო.

ორივეს სახლებიც დაკეტილი დაგვხვდა და შინ ვერ შევედით.

შოთას წინადადებით, სოფელ სასადილოში მდებარე შალიკოს და იოსების დუქანში გავემგზავრეთ, რომელიც სულ რაღაც 4 კილომეტრში მდებარეობს.

მისვლისთანავე დავინახეთ ჟორა ბიძიას წითელი ჟიგული, რამაც მიგვახვედრა, რომ მოხუცები იქ უნდა ყოფილიყვნენ.

დუქანს ერთადერთი ე.წ „კუპე“ ჰქონდა, რომელსაც კარის მაგივრობას, მოძველებული მუქი ფერის მაუდის ფარდა უწევდა. ჩვენ თავდაპირველად საერთო დარბაზში შევედით და იქ დავიწყეთ მოხუცების ძებნა, მაგრამ, რადგან არ აღმოჩნდნენ, გადავწყვიტეთ „კუპეშიც“ შეგვეხედა, თუმცა იქ არ შეგვიშვეს, დაკავებულიაო.

მივაყურადეთ და, ჰოი, საოცრებავ! აშკარად გავარჩიეთ ჟორა ბიძიას რუსულ ენაზე დიდებულად წარმოთქმული სადღეგრძელო სიყვარულზე და სიყვარულის აღთქმის უნარზე. ამას თან დაერთო რუსულად მოლაპარაკე ქალბატონების სიცილ-კისკისი და ჩვენთვის უცნობი რაღაც შეძახილები.

ამასობაში, ის მიმტანი ქალიც მოცილდა იქაურობას, რომელიც შიგ არ გვიშვებდა და ჩვენც თვალის დახამხამებაში გადავწიეთ ფარდა. კუპეში შევცვივდით და რას ვხედავთ: ერთი უფრო მოზრდილმკერდიანი რუსის, დაახლობეთ 40 წლამდე ქალბატონი ჟორას მუხლებზე უზის და მოზრდილი ჭიქით ღვინოს სვამს, ხოლო მეორე, დაახლოებით იმავე ასაკის, უფრო გრძელფეხება, მოკლეკაბიანი და გამჭვირვალე მაისურიანი რუსის ქალბატონი მამიას გვერდით მოუსვამს და დახუჭობანას და „კოცნა-პროშნობანას” ეთამაშებოდა.

მოხუცებმა თავდაპირველად ვერ აღიქვეს ჩვენი გამოჩენა, ჟორამ თვალები მოიფშვნიტა, შემდეგ პირჯვარი გადაიწერა და ქართულად ჩაილაპარაკა; ფუი, ეშმაკს! ფუი, ეშმაკსო! მამიამაც შეწყვიტა გართობა, ფეხზე წამოდგა, თავი ჩაღუნა და დანაშაულზე წასწრებული ბავშვივით თავის მართლებას მოჰყვა.

ქალბატონები ვერ გარკვეულიყვნენ ვინ ვიყავით, ან რა გვინდოდა მოხუცებთან.

შოთამ მამამისს „დიადია ჟორათი” მიმართა და უთხრა: მე და ჩემი მეგობარი ელგუჯა აქეთ მოვდიოდით და ქალაქიდან რაღაცეები წამოგიღეთო. ჟორას ავტომანქანის გასაღები გამოართვა და იქ ჩატანილი სურსათ-სანოვაგე საბარგულში ჩაუწყო.

დიდი ხვეწნა-მუდარის მიუხედავად, სასადილოში აღარ შევბრუნებულვართ და თბილისში გამოვემგზავრეთ. მეორე ჩასვლაზე დავაზუსტეთ, რომ გომბორის სამხედრო ნაწილის ოფიცრები ძველი დისლოკაციის ადგილზე ექვსი თვის შემდეგ, მხოლოდ მომდევნო წლის გაზაფხულზე დაბრუნდებოდნენ. ამასთანავე დავადგინეთ, რომ ღამღამობით ორივე მოხუცი სანადირო თოფის ერთჯერადი გასროლით ერთმანეთს ატყობინებდა, რომ ყველაფერი წესრიგშია და შეიძლება მშვიდად დავიძინოთო.

ეს რომ გავიგე, მავნე აზრი დამებადა და ორივეს კარგი ჟღერადობის სასტვენი ვუყიდე, რამაც სანადირო თოფს დაუბრუნა ძველი ფუნქცია. პირობა იგივე ჰქონდათ; ერთჯერ ჩასტვენა ნიშნავდა, რომ ყველაფერი წესრიგში იყო და შეეძლოთ დაეძინათ. მაგრამ თუ რომელიმე

მათგანი ერთზე მეტჯერ დაუსტვენდა, თანაც გაბმულად, ეს იმას ნიშნავდა, რომ მას რაღაც უჭირდა და მეორე სასწრაფოდ უნდა მიშველებოდა.

არცერთმა არ იცოდა, რომ მესამე, ანალოგიური სასტვენი ჩემთვისაც მქონდა შენახული და მის გამოსაყენებლად შესაფერის დროს ველოდი.

ეს დროც მალე დადგა.

ნოემბრის ერთ ბურუსიან საღამოს კვლავ აგარაკზე ავედი. მოხუცებთან ცოტა დავლიე, მეორე დღეს დილით სამსახურში ადრე წასვლა მოვიმიზეზე და ვითომდა დასაძინებლად შინ წავედი.

დაახლოებით ღამის 10 საათისთვის ჯერ ჭყონიების მხრიდან გაისმა სასტვენის ერთჯერადი ხმა, რასაც მალე მაისურაძეების მხრიდან მოჰყვა ანალოგიური პასუხი. ეს იმას მოასწავებდა, რომ ყველაფერი წესრიგში იყო.

მალე ორივე ოჯახში შუქები ჩაქრა და მოხუცებმაც ალბათ ტკბილად დაიძინეს.

დაახლოებით ღამის პირველ საათზე აივანზე გავედი და ისეთი სტვენა ავტეხე, სადღაც შორს მგლების ყმუილიც დავადუმე, ტყის იდილიაც დავარღვიე და ჩვენს მოხუცებთან ერთად ვინ იცის რამდენ სულდგმულს გავუტეხე ძილი.

სასწრაფოდ ოთახში შევედი და ჩაბნელებული ფანჯრიდან სეირის მოლოდინში გავიტრუნე. ვხედავ პირველი ჟორამ მოირბინა ჩემი ჭიშკრის წინ, მას არც მამია ჩამორჩა. ნახევრად საღამურებში გამოწყობილები რაღაცას ლაპარაკობდნენ და ერთმანეთს ამშვიდებდნენ.

მე, რა თქმა უნდა, სიტყვები კარგად ვერ გავარჩიე, მაგრამ იმას კი მივხვდი, რომ ერთმანეთს ედავებოდნენ რაღაცას. მათი ქოთქოთი დაახლოებით 10 წუთს გაგრძელდა. შემდეგ დაიშალნენ და სახლებში წავიდნენ. მალე მათი ე.წ. „პაროლი“ განმეორდა: ჯერ მამიამ დაუსტვინა ერთჯერ, რასაც ჟორას მხრიდან ანალოგიური სტვენა მოჰყვა. შემდეგ შუქები კვლავ ჩააქრეს და დაიძინეს. მე, მართალია, კარგა ხანს ვფიქრობდი ჩემს ნამოქმედარზე, მაგრამ, თქვენ წარმოიდგინეთ, რატომღაც სულ არ ვნანობდი.

ალბათ დილის ხუთი საათი იქნებოდა, როცა ჩემი ეშმაკი კვლავ დამაჯდა მხარზე და ხმადაბლა, თითქოს ჩურჩულით მითხრა: გაიღვიძე! უკვე დროა!, აბა, შენ იციო!

კვლავ გავედი აივანზე და პირვანდელზე მაგარი სტვენა ავტეხე. შემდეგ ოთახში შევედი და ფანჯარასთან გავიტრუნე. ვხედავ, მამია ბიძია ისე ენერგიულად მიიჩქარის ჟორა ბიძიას სახლისკენ, გეგონებოდათ მდევარი მოსდევსო. მალე ჟორაც გამოჩნდა და კვლავ ჩემი ეზოს წინ, მაგრამ ამჯერად 20 მეტრით უფრო ახლოს ჟორას სახლისკენ, ისინი კვლავ შეხვდნენ ანთებული ფანრებით ერთმანეთს და რაღაცას ხელების შლით ლაპარაკობდნენ.

ლამის სიცილით ჩავბჟირდი.

იმ ღამით მოხუცები მეტი აღარ შემიწუხებია, ვინაიდან მეც ჩამეძინა და როცა გავი¬ღვი¬ძე, უკვე ცხრა საათი სრულდებოდა. ვინაიდან სამსახურში მართლა მაგვიანდებოდა, მანქანა დავქოქე, ეზოდან გავიყვანე, რამდენჯერმე სიგნალი მივეცი და როცა ჩემი მეზობლები გამოსამშვიდობებლად გამოემართნენ, ჩემივე სასტვენით გულისგამაწყალებელი სტვენა ავტეხე, რითაც, რა თქმა უნდა, ყველაფერს ფარდა აეხადა.

ორივეს ხელის აწევით დავემშვიდობე და დაღმართში ავტომანქანა სწრაფად დავძარი თბილისისაკენ.

ავტომანქანის სარკეში კარგად დავინახე, როგორ დაიხარა ჟორა, აიღო მოზრდილი ჯოხი და ჩემს ავტომანქანას დაედევნა, მაგრამ როგორ დამეწეოდა, ჩემს „ჟიგულს“ ხომ საკმაოდ მძლავრი ძრავა ჰქონდა.

ტირია ბაღნები

ვაკეში, ქობულეთის ქუჩაზე ჩვენი სახლის წინ, სულ რაღაც 20 მეტრში შესანიშნავი საბავშვო ბაღი „ანბანელა“ გაიხსნა. აქ, შაბათ-კვირის გარდა, ყოველდღე გაუთავებლად ისმის ბავშვების ტირილი, სიცილი, ჟრიამული, განსაკუთრებით ბავშვების მიყვანის და წაყვანის დროს.

საბავშვო ბაღის აღსაზრდელებს ყოველდღიურად ჩვენი ბინის აივნიდან თვალს ადევნებს ოჯახის სამივე პატარა „პრინცესა“ – მარიამი (მია-მია), თათია და თეონა მგელაძეები.

ქობულეთის ქუჩაზე, დილის საათებში, ყოველდღიურად დადის მოძველებული ჟიგულის მარკის ავტომობილი, რომლითაც მისი მეპატრონე ჯართს აგროვებს. მას ავტომანქანაში დამონტაჟებული აქვს ხმის გამაძლიერებელი მეგაფონი და მოსახლეობას მიმართავს, რომ ჯართს იბარებს. ავტომანქანის მეპატრონეს ბოხი, ჩახლეჩილი ხმა აქვს. იგი სისტემატიურად იმეორებს ორ სიტყვას: „ჯართს ვიბარებთ, ჯართს ვიბარებთო“. მისი ხმის ინტონაციიდან გამომდინარე სიტყვა „ჯართს“ საკმაოდ გაუგებრად წარმოთქვამს, რის გამოც ბავშვებში კეთილი ადამიანის შთაბეჭდილებას ნამდვილად არ ტოვებს.

ერთხელაც, როცა ჩემს შვილიშვილებთან ერთად ქუჩაში ვიყავი, ისევ გაიარა ჯართის შემგროვებელმა ავტომანქანამ, მისი მეპატრონე მეგაფონით მიმართავდა იქვე მცხოვრებლებს ჯართს ვიბარებთო.

ჩემი ბავშვები მაშინ პატარები, ასე 4-5 წლისანი იყვნენ. ყველაზე უმცროსი თეონა შემეკითხა: ბაბუ ამიხსენი ვინ არის ის კაცი და რას იბარებსო.

მე, უნებურად, ბავშვს გავეხუმრე, რომ ის კაცი იძახის ბავშვს ვიბარებო. მეჯართის მიერ წარმოთქმული „ჯართი“ და „ბავშვი“ ხმის ტონალობით ძალიან წააგავდა ერთმანეთს. თეომ მაშინვე მკითხა რანაირ „ბავშვს“ იბარებსო. მეც ვუთხარი, რომ იბარებს და მიჰყავს მხოლოდ „ტირია ბაღნები“ და ისინი, ვისაც კარგად ჭამა არ უყვარს-მეთქი. იქვე დავამატე, რომ რადგან ჩვენს ქუჩაზე ორი საბავშვო ბაღია, სადაც ბევრი ბავშვია, სწორედ ამიტომ დადის იგი ყოველდღე ჩვენს ქუჩაზე-მეთქი. ასევე დავამატე, რომ, თუ თქვენც კარგად არ შეჭამთ საჭმელს ან იტირებთ, ჩაგიბარებს და წაგიყვანს-მეთქი.

თათია, მია-მია და თეონა მგელაძეები

ბავშვებმა თვალებით ერთმანეთს რაღაცა ანიშნეს.

ერთ დღეს, მაშინ როცა ჯართის შემგროვებელმა ტრადიციულად ჩამოიარა და მისივე მეგაფონის ხმა გაისმა, ჩვენმა ბავშვებმა აივანზე გაირბინეს და საკმაოდ ხმამაღლა სამ ხმაში დაიწყეს ძახილი: „ჩვენ არ ვართ ტირია ბაღნები, ჩვენ საჭმელს კარგად ვჭამთ, ჩვენ არ უნდა ჩაგვიბაროთო“.

ეს ისე ბუნებრივად მოხდა, რომ ამის შემხედვარემ, ჩემი ოჯახის წევრებთან ერთად სიცილი ვერ შევიკავეთ.

ირმა კეკელიძე

ვარაიდა, სი ვარაიდა

მოთხრობაში გამოყენებულია რეალური ფაქტები

სექტემბრის ბოლო დღეები იყო. ისე, როგორც მთელს ქვეყანაში, მის ულამაზეს მხარეში, აფხაზეთშიც, მზიანი დღე გათენდა. ქალაქის ცენტრთან ახლოს მდგარ, ნახევრად ჩამონგრეულ შენობაში, სამხედრო, მწვანე-ხაკისფერ ტანსაცმელში შემოსილ, მძინარე მამაკაცთაგან ერთ-ერთმა თვალი გაახილა. მზის სხივმა, რომელიც პატარა სარკმელში დაუკითხავად შემოსულიყო, პირდაპირ თვალებში შეანათა ახლადგაღვიძებულს, რომელმაც თვალები ჭუჭყიანი, მურიანი ხელებით მოისრისა და მის გვერდით აქეთ-იქით მიგდებულ და მიძინებულ თანამებრძოლებს გადახედა.

„რა მჭირს, რა მემართება, სად ვარ? სიზმარში ვარ“? – გაიფიქრა ახლადგაღვიძებულმა, მაგრამ ეს სიზმარი არ იყო. ეს მისი სინამდვილე და რეალობა იყო. ცოტა ხანში გამოფხიზლდა, ირგვლივ მიმოიხედა, აზრზე მოვიდა, ყველაფერი გაახსენდა... ღამე მიტოვებული, ნახევრად ჩამონგრეული, გამურული, ყოფილი სასურსათო მაღაზიის შენობაში გაათენეს. საშინლად დამშეულებს გაუმართლათ, რომ თავი ისეთ ადგილს შეაფარეს, სადაც დარჩენილი თევზის კონსერვები და ქვასავით მაგარი ორცხობილებით სავსე რამოდენიმე ყუთი დახვდათ. დამშეულები ისე მადიანად მიირთმევდნენ მოპოვებულ საკვებს, რომ არაფერზე აღარ ფიქრობდნენ. შემდეგ ისე მიეყარნენ და მიიძინეს, არავინ და აღარაფერი ახსოვდათ... სხვებს ისევ ეძინათ... გურამი თანდათან ფხიზლდებოდა, ბოლოს აზრზე მოვიდა და საშინელი სევდა და უიმედობა შემოაწვა მის გულს... ფეხზე წამოდგა, თანამებრძოლებს უხასიათოდ გადახედა. მათ დანახვაზე კიდევ უფრო დაუმძიმდა გული. მთელი ბავშვობა და ყმაწვილობა ერთად ჰქონდათ გატარებული. საამური და ლაღი, უდარდელი წარსული ჰქონდათ. უბნის ბიჭებმა ერთად მოინდომეს ებრძოლათ. ერთად ჩაიცვეს სამხედრო სამოსი და ერთად დაადგნენ ბრძოლის გზას... დასასვენებლადაც ხომ ერთად დადიოდნენ სოხუმში, ზღვაზე. ვინ იფიქრებდა, თუ ოდესმე საომრად მოუწევდათ აქ ჩამოსვლა... ხუთი წლის წინ, სოხუმში აფხაზ ბიჭებს, ზურაბს და ვიტალიკას დაუმეგობრდნენ. თბილისშიც ეწვივნენ აფხაზი მეგობრები სტუმრად. მათი მეგობრობა ხომ ლაღი და გულწრფელი იყო... „რა ხდება, რატომ ამოყირავდა ყველაფერი. რა ქარბორბალა დატრიალდა ჩვენს თავს... ან აქ რა მინდა?“ – ფიქრობდა ახლადგაღვიძებული მეომარი და უაზროდ მიშტერებოდა ნახევრად ჩამონგრეული, ყოფილი სასურსათო მაღაზიის ჭუჭყიან კედლებს.

***

ოცდაორი წლის გურამმა, როდესაც უნივერსიტეტი დაამთავრა, შვებით ამოისუნთქა და მის უმცროს ძმასთან, მერაბთან ერთად ზღვაზე წასვლა გადაწყვიტა. სოხუმში ჩასულთ წვიმიანი ამინდები დაუხვდათ. „არ გაგვიმართლა, როგორია ზღვაზე იყო და ვერ ბანაობდე“, – ბუზღუნებდა მერაბი. გურამმა არ იცოდა, როგორ დაემშვიდებინა უმცროსი ძმა და მის გასართობად ხან რას მოიგონებდა და ხან რას. აგვისტოს თვე იწურებოდა, სოხუმის ცა კი თითქოსდა ჯინაზე სულ მოღუშული იყო. დილით ადრე გაღვიძებულმა მერაბმა ისევ ცას გახედა და უიმედოდ ხელი ჩაიქნია: „ისევ მოღრუბლულია, ისევ იწვიმებს. გურამ, დროა აქედან ავიბარგოთ და თბილისში წავიდეთ“. გურამმა საწოლიდან თავი წამოჰყო და ძმას ორაზროვნად შეხედა. მერე ისევ ბალიშს ჩაეხუტა და ძმას ზურგი შეაქცია. მერაბი გაბრაზდა ძმის საქციელზე და მკაცრი ხმით მიმართა: „რა ზურგი შემაქციე, ვერ გაიგე, რაც გითხარი?“ გურამი სწრაფად გადმობრუნდა ძმისკენ და გაღიმებული სახით უთხრა: „არ იდარდო, ვისაუზმოთ და ბოტანიკურ

ბაღში წავიდეთ“. მერაბმა გურამს უსიამოვნო სახით შეხედა და მკვახედ გასცა პასუხი: „ამ მოღრუბლულ და წვიმიან ამინდში ბოტანიკურ ბაღში რა მინდა?... მასულელებ?“... გურამი სწრაფად წამოდგა საწოლიდან, სწრაფად მოიწესრიგა თავი და კვლავ ძმას მიუბრუნდა: „ვიცი, რასაც გეუბნები. ბოტანიკური ბაღის შესასვლელთან პატარა სპორტული დარბაზია. იქ მაგიდის ჩოგბურთი შეგვიძლია ვითამაშოთ. ვიცი, რომ ძალიან გიყვარს... ჰოდა, ვითამაშოთ... შემდეგ კიდევ რამეს მოვიფიქრებთ და ამასობაში შეიძლება გამოიდაროს კიდეც...“. მერაბმა ძმას წინააღმდეგობა აღარ გაუწია და ხმადაბლა უპასუხა: „კარგი, ისე იყოს, როგორც შენ გინდა...“.
ნაშუადღევს მაგიდის ჩოგბურთის თამაშით გადაღლილმა გურამმა ძმას ბოდიში მოუხადა: „მერაბ, დავიღალე, მეტი აღარ შემიძლია“. მერაბმა ძმას უსიამოვნოდ შეხედა: „ვიცოდი, რომ დიდხანს თამაშს ვერ შეძლებდი და ასე შუა თამაშში მიმატოვებდი...“ იქვე ახლოს მდგომი ახალგაზრდა ყმაწვილი ბიჭი, რომელიც ძმების თამაშს ყურადღებით აკვირდებოდა, ღიმილით მიუახლოვდა მათ, ორივე ხელი გაშალა და ისე მიმართა მერაბს: „თუ გნებავთ, მე გეთამაშებით, მეც თქვენსავით მიყვარს ეს სპორტი...“ მერაბს სახე გაუნათდა და აღფრთოვანებულმა თთქმის ყვირილით, ხმამაღლა უპასუხა: „დიდი მადლობა, ძალიან კარგი, ვითამაშოთ!...“ თავდავიწყებით თამაშობდნენ. მოსაღამოვდა. ისინი კი თამაშის დამთავრებას არ აპირებდნენ. სპორტული დარბაზის კარები საშუალო სიმაღლის, ქერა, ცისფერთვალება ახალგაზრდა მამაკაცმა შემოაღო და მოთამაშეებს მიუახლოვდა: „ვიტალიკ, მთელი დღეა გეძებ. შინ წამოდი, გვიანია!...“ ბიჭებმა თამაში შეწყიტეს. შემდეგ ერთმანეთს გადახედეს. უცებ გურამი გამოერკვა და უცნობებს მიმართა: „მთელი დღე ერთად გავატარეთ და ერთმანეთს არც კი გავცნობივართ“. მერაბმა ძმას შეხედა და თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია: „მართალი ხარ... მე მერაბი მქვია, ეს კი ჩემი ძმაა, გურამი... თბილისიდან ვართ...“ ვიტალიკამ გაუღიმა ძმებს და თავისი თავი წარუდგინა: „მე ვიტალიკას მეძახიან, ეს ჩემი უფროსი ძმა ზურაბია. აქაური, სოხუმელი აფხაზები ვართ...“ თბილისელმა ძმებმა ერთმანეთს გაკვირვებით შეხედეს. გურამმა ცნობისმოყვარეობით შეხედა აფხაზ ძმებს და ისე შეეკითხა: „ასე კარგად იცით ქართული? ვერც წარმოვიდგენდით თუ აფხაზები იყავით...“ ძმებს გაეცინათ: „ვიცით, ბებია ქართველი გვყავს, სკოლაც ქართული დავამთავრეთ... ბიჭებო, აქვე ახლოს ვცხოვრობთ, წამოდით, გვესტუმრეთ, ერთად ვივახშმოთ!“ გურამს და მერაბს დიდხანს არ უფიქრიათ. ის საღამო ახლად გაცნობილი აფხაზი მეგობრების ოჯახში გაატარეს... დიდხანს საუბრობდნენ. როდესაც ძმებმა, ზურაბმა და ვიტალიკამ ქართული მრავალჟამიერი წამოიწყეს, აფხაზთა ოჯახი, მამის, დედის და ქართველი ბებოს ჩათვლით ფეხზე წამოდგნენ. ფეხზე წამოდგნენ ქართველი სტუმრებიც და ქართული მრავალჟამიერის შემდეგ აფხაზური „ვარაიდა სი ვარაიდა... ჰოვრაიდა, სი ვარაიდა“... ისე დააგუგუნეს, რომ მათმა სიმღერამ მოღუშული ცა გააპო... მეორე დღეს მოღრუბლული ცა მზის სხივებმა გაარღვია და ცისფერ ფონზე ღრუბლები აქეთ-იქით მიმოფანტა...

***

ფეხზე წამომდგარი გურამი მძინარე ჯარისკაცებს მიშტერებოდა. მათ შორის თვალებით მისი ღვიძლი ძმა, მერაბი მოძებნა, მიუახლოვდა, დაიხარა, თმაზე ხელი გადაუსვა. მერაბს ისე ღრმად დასძინებოდა, ძმის ხელის შეხება ვერც კი იგრძნო, არც განძრეულა. „როგორ დაღლილა. ყოველთვის ჩემზე ადრე იღვიძებდა. ახლა კი ჩემი ხელის შეხებაც ვერ იგრძნო,“ – გაიფიქრა გურამმა. დაფიქრებული ისევ ძმას მიშტერებოდა, როდესაც ავტომატების ერთიანმა გასროლის ხმამ არემარე დააყრუა. ავტომატების ხმას მუსიკის ხმა მოჰყვა, შემდეგ სიმღერის, ცეკვის და მხიარული შეძახილების ხმა... გურამი სწრაფად გამოერკვა ფიქრებიდან. ჯარისკაცები ოდნავ შეიშმუშნენ და ისევ ძილი გააგრძელეს. გამოფხიზლებული გურამი უცებ მოვიდა აზრზე. ორივე ხელი თავზე მიიდო და გაიფიქრა: „ გამარჯვებას ზეიმობენ!... ესენი კი გაღვიძებას არ აპირებენ. თუმცა რომც გაიღვიძონ, რა უნდა ქნან? რეალურად ალყაში ვართ. აქედან როგორ უნდა გავიდეთ. არც ტყვია-წამალი, არც საჭმელი, არც სასმელი, რაღა დაგვრჩენია?!“ იქვე ყურისძირში კი აფხაზთა მხიარული შეძახილების და ზარ-ზეიმის ხმა ისმოდა.

გურამმა მოულოდნელად რაღაც გადაწყვეტილება მიიღო. მიძინებულ ძმებს კიდევ ერთხელ გადახედა, წელში გაიმართა, თავზე ხელი გადაისვა, ხის ჭრიალა კარები ფრთხილად გამოაღო და გარეთ გავიდა. ცას გახედა, მზემ პირდაპირ თვალებში შეანათა. არემარე შეათვალიერა. რაც თვალში მოხვდა პალმების ლამაზი ხეივანი იყო. სახე გაუნათდა, ღიმილი მოერია. ზარ-ზეიმის ხმა და აფხაზთა მხიარული შეძახილები თანდათან ახლოვდებოდა. გაოგნებული იდგა. ნახევრად ჩამონგრეულ სასურსათო მაღაზიის შენობას გახედა და გაიფიქრა: „როგორმე უნდა შევაჩერო ისინი, ჩემს ძმებს ვერ ჩავახოცინებ. დავარწმუნებ, რომ არ ღირს ჩვენს შორის ბრძოლა...“ დაფიქრებული, წელში გამართული მიდიოდა და მიაბიჯებდა პალმების ბაღში. ბაღის ბოლოს ბეტონის ფართო კიბეს მიუახლოვდა, რომელიც ქვემოთ დიდი მოედნისკენ ეშვებოდა, იქ, სადაც აფხაზები ზეიმობდნენ. ნელი ნაბიჯებით კიბეზე დაეშვა. მიდიოდა ამაყი, თავდაჯერებული, წელში გამართული...

მოედნის შუაგულში მოცეკვავე აფხაზი უცებ შეჩერდა და მზერა კიბეებზე ჩამომავალ ქართველ ჯარისკაცს მიაპყრო. მისმა მზერამ ირგვლივ მყოფნიც შეაჩერა. ყველამ მის მზერას გააყოლა თვალი. მოცეკვავემ ახლო-მახლო მყოფნი აქეთ-იქით მისწი-მოსწია და წინ წამოვიდა. რამდენიმეჯერ შეჰყვირა, რომ კიბეზე ჩამომავალი შეჩერებულიყო... მის შეძახილს სხვებიც აყვნენ, მაგრამ ჯარისკაცს თითქოს არ ესმოდა მათი შეძახილები, თავის გზას აგრძელებდა, კიბის საფეხურებს მიჰყვებოდა და ნელი ნაბიჯებით ქვემოთ, მათკენ მიემართებოდა. აფხაზთა ჯგუფს უკანა მხრიდან ხანში შესული, ბრგე, ჭაღარათმიანი, შუბლშეკრული, ხელში ავტომატმოღერებული მამაკაცი გამოეყო. წინ წამოვიდა, მოცეკვავე აფხაზი განზე გასწია, სხვებს მიუბრუნდა და უსიტყვოდ გასცა ბრძანება... კიბეზე ჩამომავალი ქართველისკენ ტყვიების ჯარი დაიძრა. ჰაერში ტყვია-წამლის სუნი დატრიალდა. არ წყდებოდა ტყვიების ნაკადი, რომელმაც ჰაერი ისე გააპო, რომ მისმა ტალღამ ქართველი, სოხუმის ბეტონის დიდ კიბეებზე ჩამომავალი, უიარაღო ჯარისკაცის სხეული ჰაერში აიტაცა და წამით გააჩერა... შემდეგ კი ნელ-ნელა ძირს დაეშვა და კიბის საფეხურებზე ხელებგაშლილი დაენარცხა. მის ხელებგაშლილ, უსულო სხეულს სახეზე ღიმილი შერჩენოდა და ღია თვალებით მიშტერებოდა ლურჯ ცაზე მოკაშკაშე მზეს... მზე კი მის სხივებს უხვად აფრქვევდა არა მხოლოდ უსულოდ დაგდებული ქართველი ჯარისკაცის წაბლისფერ თმას, ფართო მხარბეჭს, გახელილ თვალებს და მომღიმარ სახეს, არამედ მთელს არემარეს, ზღვას, მის ლამაზ სანაპიროს, ქუჩებს, მოედანს, სადაც აფხაზები შეკრებილიყვნენ და ნახევრად ჩამონგრეულ სასურსათო მაღაზიის შენობას, რომელშიც უკვე გამოფხიზლებული ქართველი მეომრები ფეხზე წამომდგარიყვნენ და რაღაც უსიამოვნოსა და ავის მოლოდინში ერთმანეთს სახეგამეხებული მიშტერებოდნენ...

აფხაზები გარს შემოერტყნენ ცხედარს. ხელით ეხებოდნენ. მიხვდნენ, რომ იარაღის გარეშე იყო და თავჩაქინდრულები იქვე მის გვერდით კიბის საფეხურებზე ჩამოსხდნენ. მხოლოდ ერთი, საშუალო სიმაღლის, ქერა, ცისფერთვალება ჯარისკაცი გახევებული იდგა და დასცქეროდა ქართველი ჯარისკაცის უსულო, სისხლში მოცურავე სხეულს... „მე ხომ მას ვიცნობ, ნამდვილად ვიცნობ, ნუთუ ეს ის ქართველია? კი, ნამდვილად ის არის!... ეს გურამია თბილისიდან“. – ფიქრობდა აფხაზი მეომარი და თვალები ცრემლებით ჰქონდა სავსე... მისი ცრემლების მიზეზს სხვებიც მიხვედრილიყვნენ და უხმოდ გარინდულნი ისხდნენ. შემდეგ ყველამ თავიანთი იარაღი შეამოწმა და ნახეს, რომ არც ერთი ტყვია აღარ დარჩენოდათ. მიხვდნენ, რომ მათმა ტყვიათა ჯერმა აიტაცა იმ ქართველი მეომრის სხეული ჰაერში, რომელიც ახლა მათ წინ ხელგაშლილი, უიარაღო, ღიად დარჩენილი თვალებით მზეს მიშტერებოდა... „ნეტავ მისი ძმა სად არის, ის მაინც თუ არის ცოცხალი? იქნებ მას მაინც არ ებრძოლა ამ საშინელ ომში... გუშინწინ ჩემი ერთადერთი ძმა, ვიტალიკა მივაბარე მიწას. ახლა ჩემი ქართველი მეგობარი უნდა მივაბარო... რა საშინელი ბედისწერაა...“ – ფიქრობდა აფხაზი მეომარი ზურაბი და თავს ვეღარ იკავებდა, მუშტებით იწმენდდა ცისფერი თვალებიდან ღაპა-ღუპით წამოსულ ცრემლებს... მოცეკვავე აფხაზმა მხარზე ხელი დაადო და მიანიშნა ზურაბს, რომ დრო იყო მიცვალებულისთვის მიეხედათ. არცერთ ჯარისკაცს არ უკითხავს ზურაბისთვის, რატომ ტიროდა, ვის დასტიროდა ასე ცხარე ცრემლებით. ისედაც ადვილი მისახვედრი იყო, რომ ის მისთვის ან მეგობარი ან ისეთი ახლობელი იყო, რომ

ზედმეტი შეკითხვა კიდევ უფრო გაუმძაფრებდა იმ ტკივილს, რომელიც აფხაზი მეომრის სულსა და გულს ერთიანად სწვავდა და ანადგურებდა...

დუმილის შემდეგ თვალცრემლიანი ზურაბი დაიხარა, მიცვალებულის ხელში აყვანა სცადა. სხვებიც უსიტყვოდ წამოდგნენ, მიეშველნენ მას. ხელში აიყვანეს ქართველი მეომრის ცხედარი. კიბეს ზემოთ აუყვნენ, საიდანაც მოულოდნელად გამოჩნდა ქართველი ჯარისკაცი. გუმანით მიხვდნენ, რომ იქ, სადმე ახლომახლო მისი თანამებრძოლები იქნებოდნენ...

გაოგნებული და სახეზე ნირწამხდარი მერაბი მიტოვებული მაღაზიის შენობის შიგნით წინ და უკან გადი-გამოდიოდა. თანამებრძოლებს უყურებდა და თითქმის ყვირილით ეკითხებოდა: „სად არის ჩემი ძმა, სად წავიდა, სად დაიკარგა?“... ამასობაში მეომრებს გარედან აფხაზთა ფეხის ხმა და ლაპარაკი შემოესმათ... გარინდულნი იყვნენ... აღარ იცოდნენ რა ექნათ... აფხაზი მეომრები შენობას მიუახლოვდნენ. ზურაბმა მათ თვალებით ანიშნა, რომ შეჩერებულიყვნენ. მიცვალებული იქვე მწვანედ მობიბინე ბალახზე დაასვენეს. თვითონ ჩამონგრეული შენობის მორყეულ კარებს მიუახლოვდა და ფრთხილად დააკაკუნა. შემდეგ ქართულად შესძახა: „გამოდით, თუ მანდა ხართ, აქ თქვენი მიცვალებულია. მიხედვა უნდა, დამალვას აზრი არა აქვს, გამოდით!...“

ქართველმა მეომრებმა ერთმანეთს გაფითრებული სახეებით გადახედეს. უსიტყვოდ მიხვდნენ, ვინც უნდა ყოფილიყო აფხაზთა ხელში ჩავარდნილი ქართველი მიცვალებული. მერაბს სახე გაუშეშდა, ენა ჩაუვარდა და უაზრო, შეშინებული, დამფრთხალი თვალებით უყურებდა მის გვერდით მყოფ, უიარაღოდ დარჩენილ ქართველ მეომრებს. „რა უნდა ვქნათ, ბიჭებო!“ – იკითხა ერთმა ჯარისკაცთაგანმა, რომელსაც მარჯვენა ხელზე მიყენებული ჭრილობა თეთრი მიტკლის ნაჭრით ჰქონდა შეხვეული და მარცხენა ხელში ცარიელი, ტყვიების გარეშე დარჩენილი ავტომატი ეჭირა. „ვერაფერს ვერ ვიზამთ, ალბათ ყველა გურამის ბედს გავიზიარებთ“, – ხმადაბლა წარმოსთქვა იქვე მდგარმა დაბალი ტანის შუბლშეკრულმა, თავჩაქინდრულმა მეომარმა და თავი უფრო მეტად ჩაქინდრა...

მერაბმა ცრემლები მოიწმინდა, მეომრებს გახედა და ხმამაღლა კბილებში გამოსცრა: „ საკმარისია მსხვერპლი, უნდა ვიმღეროთ და სიმღერით გავიდეთ აქედან“. მეომრები ვერ მიხვდნენ, რას ამბობდა მერაბი და შეძახილებით ეკითხებოდნენ: „რა სიმღერა?... ხომ არ გაგიჟდი?... ვის რად უნდა ჩვენი სიმღერა?“... მერაბი გაშეშებული, გამეხებული სახით იდგა. უცებ ყელი მოიღერა, თან სხვებსაც ანიშნა, ამყევითო და აფხაზური სიმღერა წამოიწყო: „ვარაიდა სი ვარაიდა“... შენობის შიგნით მყოფნი ხმაშეწყობილად აყვნენ... მათდა მოულოდნელად და გასაკვირად გარეთ მყოფმა აფხაზმა მეომრებმა ხმამაღალი შეძახილით ერთხმად გააგრძელეს სიმღერა: „ჰოვრაიდა, სი ვარაიდა“... შენობის შიგნით და გარეთ მყოფნი, ქართველი და აფხაზი ჯარისკაცები ხმაშეწყობილად მღეროდნენ. მათი სიმღერის ექო ცას სწვდებოდა. ქართველებმა სიმღერით გამოაღეს ხის კარები და რიგრიგობით გამოდიოდნენ დანგრეული შენობიდან. აფხაზმა ჯარისკაცებმა დერეფანი გააკეთეს და გზა დაუთმეს ქართველ მეომრებს. შემდეგ ქართველი ჯარისკაცის ცხედარი ხელში აყვანილი იქვე მახლობლად მდგარ სატვირთო ავტომანქანამდე მიიტანეს, ზედ დაასვენეს და ქართველ მეომრებსაც მიანიშნეს, რომ დამსხდარიყვნენ ავტომანქანაზე და რაც შეიძლება სწრაფად დაეტოვებინათ მათი სიცოცხლისათვის საშიში ადგილსამყოფელი... მერაბი თავად იჯდა სატვირთო ავტომანქანის საჭესთან და ძმის ცხედართან ერთად მისი ცოცხალი თანამებრძოლები სამშვიდობოს გაჰყავდა...

სექტემბრის ბოლო დღეები იყო. ისე, როგორც მთელს ქვეყანაში, მის ულამაზეს მხარეში აფხაზეთშიც კარგი დარი იდგა. მოკრიალებულ ცაზე მოკაშკაშე მზე უხვად აფრქვევდა ოქროსფერ სხივებს ძირძველი ქართული კუთხის ულამაზეს ბუნებას, ლურჯად მოლივლივე ზღვის ტალღებს და დაობლებული, დადუმებული, მიტოვებული სანაპიროს გაღვიძებას ამაოდ ცდილობდა...

მაყვალა გონაშვილის მოგონებები

ღირსსახსოვარი

რომ გითხრათ, უდიდესი განძის მფლობელი ვარ მეთქი, დამიჯერებთ?

დიახ, მე უწმინდესისა და უნეტარესის ილია II-ის ნასახსოვარი ბეჭედი მაქვს ოქროს ჯვრით, როგორც თავად ბრძანა, ეს ბეჭედი ერთადერთია, ჩემი თაყვანისცემა უწმინდედისისადმი კი - შეუფასებელი.

მისდამი მიძღვნილ ერთ ლექსში ვწერდი:

ღირსახსოვარი

მის უწმინდესობას, სრულიად საქართველოს
კათოლიკოს-პატრიარქს ილია მეორეს

თვალებში სხივი, გულში რწმენა, ბეჭედზე ჯვარი,
ვარ ბედნიერი და ურიცხვი განძის მფლობელი,
რადგანაც თითზე მზითნაფერი ბრწყინავს ბეჭედი,
უწმინდესისგან მოძღვნილი და ნასახსოვრები.
ვეღარ ვგრძნობ მიწას, ბიწი სულის ჩამოვიბანე,
როგორ მინავლდა ატეხილი გულში ომები,
მექცა ნუგეშად და მფარველად ჯვარი ბეჭედზე,
უწმინდესისგან მოძღვნილი და ნასახსოვრები.
სამაგიეროს ვუხდი როცა გულღრძოს, ავყიას
როდესაც სული ამევსება ლიქნით, ჭორებით,
ვგრძნობ თითზე როგორ მიმძიმდება ერთი ბეჭედი,
უწმინდესისგან მოძღვნილი და ნასახსოვრები.

ოდეს ჩემი მზეც დასალიერს ჩაიწვერება
და გულწრფელ ცრემლებს დამაყრიან როცა სწორები,
ბევრს არასა გთხოვთ, ჩამატანეთ მხოლოდ ბეჭედი,
უწმინდესისგან მოძღვნილი და ნასახსოვრები.

ბევრისგან გამიგია, უწმინდესი გულთამხილველია და უსიტყვოდ გრძნობს ვის რა დარდი და განცდები უტრიალებს გულშიო. არაერთი ადამიანი თვითმკვლელობის უდიდესი ცოდვისგანაც კი იხსნა, თავისთან მიიწვია და ბრძენი საუბრით, ლოცვითა და ნუგეშისცემით სიცოცხლის ძალა მისცაო.

2005 წელს, როცა კავშირის შენობას სააკაშვილის ხელისუფლებამ გაყიდვა დაუპირა, დარდისგან დეპრესიაში ჩავვარდი და ლოგინიდან წამოდგომაც მიჭირდა. არ ვიცი, როგორ იგრძნო ჩემი დიდი სევდა უწმინდესმა, თავისთან დამიბარა და ნუგეში მცა. მითხრა: ბევრი სალოცავი და შენობა დაუწვია მტერს, შენ მაგის არ შეგეშინდეს, მთვარია სულში აგებული ტაძარი არ გადაგეწვას, ახლა თქვენ ქართველ მწერლებს ხალხის ნების ფუნქცია გაკისრიათ, ფეხდაფეხ შემოიარეთ საქართველო, პირადად შეხვდით ჩენს მოსახლეობას და ქართული სიტყვის მადლს აზიარეთო.

ასე გაჩნდა პროექტი „ბიბლითეკა ბორბლებზე“ და უწმინდესის ლოცვა-კურთხევით პანკისის ხეობიდან მთიან აჭარამდე ასობით ლიტერატურული საღამო გავმართეთ.

მეც ძალა მომემატა და ქართველ მწრლებსა და ლიტერატურის მაყურებლებთან ერთად წლების მანძილზე ვიბრძოდი, რათა მწერალთა კუთვნილი შენობა გაყიდვისგან გადამერჩინა.

უმძრახი წყალი

17 წლისა ვიყავი ტელევიზიაში მუშობა რომ დავიწყე, სკოლაში სწავლის პერიოდში საბავშვო ტელე-გადაცემებს ვუძღვებოდი და ჩავაბარე თუ არა ჟურნალისტიკის ფაკულტეტზე, პირველ არხზე (მაშინ პირველიც და უკანასკნელიც ეს ერთი ტელევიზია იყო) რედაქტორად მიმიწვიეს.

ჩემი პირველი საავტორო გადაცემა იყო „შეხვედრა მწერალთან“, პირველი სტუმარი კი - რევაზ ინანიშვილი.

არ ვიცი, მაშინ მთელი სისავსით თუ ვგრძნობდი, რაოდენ დიდ მწერალს შემახვედრა ბედმა. როგორი დიდი ფუფუნება იყო მისი გაცნობა და შემდგომში, მეგობრობა.

მეორედ ბატონი რეზო 1979 წელს ვნახე, ქართველ მწერალთა ჯგუფი ქუთაისს ეწვია. ლიტერატურული დღეების მონაწილენი იყვნენ: ირაკლი აბაშიძე, მედეა კახიძე, შოთა ნიშნიანიძე, თამაზ ჭილაძე, ჯანსუღ ჩარკვიანი, რეზო ინანიშვილი. მეც მიმიწვიეს, როგორც ახალგაზრდა პოეტი. ბატონი რეზო უკვე მიცნობდა, როგორც ტელეგადაცემის მასპინძელს, ამიტომაც ავტობუსში ერთად დავჯექით. ავტობუსი ბაგრატის ტაძართან შეჩერდა. ქუთაისი ცხელი ქალაქია, მაგრამ ქარიანი... იმ დღესაც საკმაოდ უბერავდა. ბატონმა რეზომ კაშნე მოიხსნა და გამომიწოდა:
- „გოგო, სატაცურს გიგავს კისერი, გაცივდებიო“.

ვინც ბატონ რეზოს იცნობდა, ისიც ეცოდინება, რომ საუბრის მოსმენა გულისყურით იცოდა და თუ რაიმე საინტერესო ამბავს ან სიტყვას გაიგონებდა, ყველაფერს იწერდა, მერე აწახნაგებდა და საოცარ მოთხრობებად ჩუქნიდა მკითხველს.

მეც თავი მოვიწონე და ლიტერატურაში უცნობი, ქიზიყში გაგონილი რამდენიმე სიტყვა ვუთხარი: - აკარაკი, ანუ სულელი, მინათი - ანუ ბედს მინდობილი, სინსვლა - ანუ წვრილად წვიმა... ცვარიცრემლა - ანუ ლამაზი, მოკრძალებული ასული. ჩაიწერა, თან ისიც დააყოლა, შეიძლება ზოგიერთი ამ სიტყვებიდან სპარსული იყოსო. განსაკუთრებით მოეწონა სიტყვა ცვარიცრემლა. ასეთ სიტყვას მხოლოდ პოტური სულის ერი ქმნისო.

ბლოკნოტში ხალხში გაგონილი ლექსებიც ჰქონდა ჩაწერილი. მისმინე, კახეთში ერთმა მეცხვარემ როგორი ხალხური ლექსი წამიკითხაო. იის ჩივილი ჰქვიაო. ამ ლექსს შენ გჩუქნიო...

მისახსოვრა და მეც დღემდე ვინახავ...

ვინახავდი ზეპირად, სულში მქონდა იის ფურცლები ჩაფენილი.

ახლა თქვენც გიზიარებთ:

იის ჩივილი

ნეტავი, შენ ენძელაო,
ორჯერ მოხვალ სერზედაო,
ერთხელ მოვალ, მოვშავდები
ამ დაწყევლილ ხევზედაო,
ბიჭები ქუდზე მაჭკნობენ,
გოგონები - ყელზედაო.

ერთხელ, (მაშინ ბატონი რეზო მწერალთა კავშირის მდივანი იყო), მწერალთა სახლის კიბეებზე შემხვდა. ჩემი გამზრდელი ბებოს, (რომელსაც დედილას ვეძახდი) ნაქონი პლუშის პალტო მეცვა, ბებოს ნაქსოვი შალი მჰქონდა მხრებზე მოხვეული.

90-იანი წლები იყო, მძიმე... პირქუში. ცხრააპრილგადატანილი...

- გოგო, როგორი უღიმღამო ყოფაა და შენ მაინც რა კეთილად იღიმებიო, მითხრა.

- როცა ძალიან მიჭირს, ჩუმად ვტირი, ცრემლებს დარდს ვატან, როგორც ცუდ სიზმარს უმძრახ მდინარეს-მეთქი - ვუპასუხე.

ეს იყო და ეს...

ჩვენი საუბარი დღიურში ჩაუწერია, მერე კი მოთხრობა დაწერა: „ავლაბარი და დილის საარი“. „ლიტერატურულ საქართველოში“ დაბეჭდა. დამირეკა წაიკითხე, თუ მოგეწონება, მალე ახალი წიგნი გამოვა, მივაწერ, შენ რომ გეძღვნებაო.

წავიკითხე.

წიგნის გმირი ახალგაზრდა პოეტი გოგოა, ავლაბარში ცხოვრობს.

საოცრად კეთილია...

მთელი დღე სხვათა დასახმარებლად დარბის, იღლება, მხრებზე ბებიის ნაქონი შალი აქვს შემოხვეული. ხალხს ჰგონია, თავს ვიწონებ, სინამდვილეში კი ცხოვრებამ უკვე მომხარა მხრებში და ბებოს შალით ვცდილობ ეს არავინ შენიშნოსო.

ერთი სიტყვით, ბრწყინვალე გმირია, მაგრამ... აი, მაგრამს ყველაფრის შეცვლა შეუძლია.

„თუში ვარ, მაგრამ კარგი ვარ,

ბევრჯერ ვჯობივარ კახსაო“.

რას არ მისცემდნენ თუშები, ეს მაგრამ რომ არ იყოსო.

ჰოდა, ამ მოთხრობაშიც, ამ ბრწყინვალე მოთხრობაშიც არის ასეთი სიტყვები. ჩემი პროტოტიპი ამბობს: - და როცა ძალიან ვიღლები, შევიკეტები ოთახში და ვწერ, სულელურ ლექსებსო.

რეზო ინანიშვილისთვის არ დამირეკავს. არ მითქვამს მადლობა. არ მითხოვია, აღნიშნე წიგნში, რომ ეს მოთხრობა მე მეძღვნება მეთქი.

ახალგაზრდა ვიყავი და ეს სისულელეც, ახალგაზრდობით მომივიდა. ახალგაზრდული ქედმაღლობით.

მერე ბატონი რეზო მძიმე სენით გახდა ავად...

მერე საქართველოც დაავადდა ძმათამკვლელი ომით...

იწვოდა თბილისი...

სული ეწვოდა რეზო ინანიშვილსაც...

მე ამ დროს გამიჩნდა პირველი ქალიშვილი.

ზუგდიდში დედამთილ-მამამთილთან წავედი სტუმრად და ქალაქიც ჩაიკეტა, უკან დიდხანს ვეღარ მოვბრუნდით.

ზუგდიდი საშინელებათა ფილმს ჰგავდა. ჩვენ ამ ფილმის შეშინებული გმირები ვიყავით. ყოველდღიურად ვიღაცას კლავდნენ, აყაჩაღებდნენ. ყველგან სიძულვილის კოცონი ბრიალებდა.

ტელევიზიით შევიტყვე, რევაზ ინანიშვილი გარდაიცვალაო. დიდ მწერალს თურმე რამდენიმე ადამიანი მიაცილებდა უკანასკნელ გზაზე.

ისე ვიყავით სიკვდილებით დაღლილი, ჩვენს თვალებს უკვე იმდენი საშინელება ჰქონდათ ნანახი, ცრემლი გვქონდა გამშრალი.

თითოეული ჩვენგანი გვალვისგან ამომშრალ მდინარეს ჰგავდა... თაკარა გვალვა იდგა ჩვენს სულებში...

თითქოს არც ვიცნობდი, თითქოს ისე არც მედარდებოდა, თითქოს არ ვიცოდი, ვინ დაკარგა საქართველომ.

ცრემლიც არ დამცდენია...

რეზო ინანიშვილის გარდაცვალებიდან კაი ხანი იყო გასული, ჩემი ვაჟი მეორე თუ მესამე კლასში იქნებოდა, რეზოს მოთხრობას ვუკითხავდი „დედა“ ჰქვია. მოთხრობა დედა-შვილის უკანასკნელ შეხვედრაზეა.

ვუკითხავ და...

ცრემლებმა თავისით იპოვა სადინარი...

ვტიროდი გულამოსკვნით, მწარედ...

ქალები ასე მხოლოდ უახლოეს, უძვირფასეს ადამიანებს დასტირიან.

ვანიკო გაოცებული მიყურებდა.

„მაპატიე, რომ ჩემი ქედმაღლობის გამო არ დაგირეკე და დიდი მადლობა არ გადაგიხადე.

მაპატიე, რომ ვერ გაგაცილე უკანასკნელ გზაზე.

მაპატიე, რომ ცრემლი არ გაგაყოლე.

მაპატიე“... - ვეჩურჩულებოდი რეზოს ნათელ სულს.

მარადისობას არ აქვს წელთა აღრიცხვა...

არც დაგვიანებული ბოდიში არსებობს.

რეზო ინანიშვილი - მკვიდრი მარადისობის.

ქართული კულტურის რაინდი

გამიგონია, ყველაზე კარგი მუსიკალური საკრავი იმ ხისგან გამოითლება, რომელიც ყველაზე მიუვალ კლდეზე ხარობდა, ყველაზე მეტი ქარ-წვიმა და მეხთატეხა გადაიტანა. სწორედ ასეთი ხის საკრავი გამოსცემს თურმე გასაოცარ ჰანგებს.

რა დელგმამ, რა ქარიშხალმა, არ გადაუარა ბავშვობიდან სიბრძნის ასაკამდე რეზო ჩხეიძის ცხოვრების გზას, იქნებ ამიტომაა მისი შემოქმედება ასეთი ღვთაებრივი და ასე მიწიერი, ასეთი ეროვნული და ამავდროულად ასე ზოგადსაკაცობრიო, როგორც ყველა უკვდავი ნაწარმოები.

ქართველებს ერთი მშვენირი სიტყვა გვაქვს, ღვთისნიერი კაციაო, იტყვიან მავანზე, კაცზე, ღვთის ნირი რომ შერჩენია გაეგნობასა და სულში. ეს სიტყვა შეგვახსენებს, რომ მამაუფალმა ადამიანი თავის მსგავსად შექმნა.

განა ბევრია ჩვენ შორის ისეთი კაცი, საუკუნეთა მდინარე გამოვლილს სახე რომ არ შეცვლია, ჯერ ისევ რომ შერჩენია მის სხეულს უფლის წმინდა ნათითურები, მის სულს უფლის სუნთქვა, მის გულს უფლის დანაბარები, რომ ღმერთი სიყვარულია.

რეზო ჩხეიძე სწორედაც რომ ღვთისნიერი კაცია უფლის თვალი ტრიალებს მის ყველა ფილმში, ყველა ჩანაფიქრსა თუ ნამოქმედარში. მას უამრავი პრემია და ჯილდო აქვს მიღებული, ჩვენ კი, მწერლებმა ქართული კულტურის რაინდის წოდება მივანიჭეთ, მსოფლიო კინომატოგრაფიაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის.

რაინდის წოდება რომ მოგენიჭოს, დიდ შემოქმედებით მოღვაწეობასთან ერთად, რაინდის თვისებებით უნდა იყო შემკული. პატიოსნება, ერთგულება, სულგრძელობა, მოყვასის სიყვარული, თავდადება, უდრეკი სული, აი, ჭეშმარიტი რაინდის თვისებები, ანუ, რეზო ჩხეიძის სულიერი პორტრეტი.

არის ერთი ცხოველი, სიასამურის ჯიშისა, მისი ბეწვისგან უძვირფასესი ქურქი მზადდება, ერთი უცნაური თვისება ჰქონია მას. არასოდეს გაივლის ტალახში. ეს კარგად იციან მონადირეებმა და როცა მისი შეპყრობა სურთ, ყველა გზას გადაუკეტავენ და ტალახისკენ ერეკებიან. ცხოველი სიბინძურეში გავლას სიკვდილს ამჯობინებს.

`უმალ სიკვდილი, ვიდრე უმცირესი ლაქა~. _ ეს სიტყვები ფარზე ჰქონდათ ამოტვიფრული შუა საუკუნის რაინდებს.

ამ დევიზით დადის ჩვენს შორის კაცი, რომლის სიყვარულისა და პატივისცემის ნიშნად შეიქმნა ეს წიგნი.

. . . .

ეს სიტყვები რეზო ჩხეიძისადმი მიძღვნილი წიგნის წინასიტყვაობიდანაა „იდექი ისე, როგორც ბერმუხა“. სრულიად უანგაროდ ვიმუშავე ამ წიგნზე და სიხარულს მანიჭებდა ბრძენკაცთან ბაასი. თავად მადლობის ნიშნად შემომთავაზა შენზე დოკუმენტურ ფილმს გადავიღებო. მომერიდა, ვიუარე... ახლა გული მწყდება.

ბევრი რამის გამო ვარ მადლიერი არსთაგამრიგესი, თუნდაც იმიტომ, რომ ცხოვრებაში მრავალ ისეთ პიროვნებას შემახვედრა და უფროს მეგობრად მიქცია, რომელთა სახელები ბავშვობიდან დღემდე ჩემთვის საფიცარი, მისაბაძი და სანუკვარია. ერთი ასეთთაგანი ბატონი რეზო იყო...

სახუმარო საქმეა? „ჯარისკაცის მამის“ რეჟისორი გასაოცარი თბილი ღიმილით გხვდებოდეს, შენთან შეხვედრა და მეგობრობა ახარებდეს და ოთხმოც წელს გადაცილებული რაინდი მანქანიდან გადმოსვლას გასწრებდეს და კარს თავად გიღებდეს.

მასთან საუბრისას ერთი რამ მაოცებდა. წისქვილის ქვა არ დატრიალებულა მის თავზე, თორემ ცხოვრებამ რა ტკივილი არ გადაატანია. „ხალხის მტრის“ შვილის სახელით დაუშანთეს ბავშვობა. მერეც, ცხოვრების დიდ გზაზე სიკეთის წილ არაერთმა უმადურმა აგემა შხამი. მოშურნეც ბევრი ჰყავდა და მოქიშპეც. თავად კი სულ სიკეთეს თესავდა. მტრობა მტრობით არავისთვის გადაუხდია.მის ბაგეს არასოდეს დასცდენია სხვათა აუგი.

სამების ტაძრიდან გავაცილეთ უკანასკნელ გზაზე. იცოდა საქართველომ ვის ემშვიდობებოდა და ტაძარი ხალხით იყო სავსე. ჭირისუფლებთან და ცნობილ პიროვნებებთან ერთად ვიჯექი, მართლაც მგლოვიარე და გულდათუთქული. თავზე ვიღაც ხეპრე დამადგა. ყველა ლხინსა და გლოვის ცერემონიალს ჰყავს თავისი არამკითხე, „ვითომ გულშემატკივარი“ და საქმის მოთავე. „აბრძანდით აქედან ქალბატონო, ცნობილ ადამიანებს დაუთმეთ ადგილიო“. რა უნდე მეთქვა, ავდექი და უკანმოუხედავად დავტოვე ტაძარი. ვიღაცეები გამომექომაგნენ, მწერალთა კავშირის თავმჯდომარე იყოო. მე კი იმას ვფიქრობდი, ეს რომ ბატონ რეზოს ენახა, ხელმეორედ მოკვდებოდა ამ კაცის უტაქტო საქციელის გამო მეთქი.

სუფრაზე დიდის ამბით მომიბოდიშა. ვერ გიცანით, ვინ ბრძანდებოდით, ეს როგორ დამემართაო.

და რა მნიშვნელობა აქვს ვინ ვიყავი... უბრალოდ ქალი ვიყავი, თვალცრემლიანი, დიდი რეზო ჩხეიძის გულწრფელი ჭირისუფალი...

ნელი საღინაძე

ქვა-ლოდების გულში ანთებული გაზაფხული

ნოველა

შეხეთ, ამ ქვა-ლოდებსაც როგორ ჰყვარებიათ გაზაფხული!

შეხეთ, ვითომ ამ ძალიან, ძალიან მკაცრებს, გულგაყინულებს,თითქოს პირქუშებს, გულგაუხსნელებს, თეთრ - ყვითელ- მონაცრისფერო მარმარილოებად ქცეულებს!

შეხედეთ, ვითომდა სიყვარულ მიუკარებლებს, როგორ იებით თუ ნაზი ფურუსულებით გადანათებიათ გულ-მკერდი!

ნახეთ, როგორ ძალიან გაზაფხული გახარებიათ!

ამ უკარება ლოდებს თითქოსდა გული მოლბობიათ, ფერი შესცვლიათ და სული იისფრად აუღიღინებიათ!

შეხედეთ, როგორ მაინც ქალის ფერს უგრძნობინებია მათთვის სითბოც და გაზაფხულიც!

– თქვენ რა გგონიათ, კლდეებს არა აქვთ გული და არ განიცდიან?!

– როგორ არა!

უყურეთ, გულიც კი გადაუხეთქიათ იმისათვის, რომ ამ პაწია, იისფერი მშვენიერებების ღვთაბრივი სილამაზე და სურნელება, შიგნით სხეულში დაეტრიალებინათ და მათ სულსა და გულს ცოტა ხნით, გაზაფხულის დედოფლობისათვის საკუთარი თვალით ეყურათ.

ნახეთ, ასე მკაცრ ქვა- ლოდებს, საკუთარ გულებშიც აუნთიათ გაზაფხული!

– იქნებდა პირიქითაც მოხდა და გაზაფხულმა აამხიარულათ, მოეფერათ, გაეკეკლუცათ, სითბოთი გული გადაუხსნათ და შიგ სიყვარულის ნიშნად ლამაზი იისფერა ციდა ყვავილები ჩაურგოთ!

– დიახ,ლამაზთვალება, ციდა ცოცხალი არსებები, ნიშნად იმისა, რომ ქვა -ლოდებიც ცოცხალი არსებები არიან და მათაც გააჩნიათ და შეუძლიათ სიცოცხლე.

სიცოცხლე რომ შეუცვნიათ, მიტომ შეუძლიათ სიყვარულიც,ალერსით, სითბოც, შუბლის შეკვრაც და საუკუნეების მანძილზე უტყვად, თავისთვის დგომაც.

იქნება და ამ ყველაფერს განგებ მალავდნენ,მაგრამ გაზაფხულმა გაამოააშკარავა მათი სუსტი წერტილიც და მათი სულიერი განწყობაც.

ხშირად ესტუმრე გაზაფხულო მკაცრ, კლდეთა ლოდებს, აამეტყველე, აასულდგმულე, გული გადაუხსენი და სიყვარულის ნიშნად ათასნაირ ყვავილთა ფერებითა და სურნელით აამღერე ამხელა ქვათა სიმფონია!

– ნუ, ნურასდროს იტყვით კლდეებზე ეს რა ცივები, სიტყვაძუნწები და პირქუშები არიანო!

– ნუ იტყვით!

– ნახეთ რამდენი შეძლებიათ!

– შეხედეთ აყვავებული კლდე ლოდები და გაზაფხული რა სასწაულად მოხდენიან ერთმანეთს!!

– მათ, აშკარად ერთმანეთს აგრძნობინეს სიცოცხლის მშვენიერება და სილამაზე!

– ადვილი კი არ არის ქვა ლოდებმა გული გაიპონ და ყვავილებით სული გაიმშვენიერონ!

როგორ მოლბობიათ კლდეებს მკაცრი და მტკიცე ხასიათი!

შეხეთ, ციდა არსების სინაზემ და სურნელებამ როგორ აჯობა მათ სიმკაცრეს.

ფერთა სიყვარულით გადამთვრალებს თავისთვის მდუმრად გულში უხარიათ სიცოცხლე ამ უსასრულო სამყაროში.

– რა ლამაზი სანახაობაა გულაყვავილებული კლდეები!

ისინი ნისლს კი აღარ ეკვრებიან ზავად,ვფიქრობ, რომ თავისდაუნებურად გაზაფხულის-ფერად გადმოინაცვლეს ჩვენს სამყაროში.

გაკვირვებული ვარ ციდა,,იისფერი ყვავილების გულში ჩასარგველად საჭრეთელიც კი არ დასჭირვებიათ, თვითონვე ბუნებრივად გადაუხეთქიათ მკერდი და სულში გაზაფხული და სიყვარული შეუსახლებიათ ერთდროულად!



– რამხელა შესძლებიათ, ატყობთ?!

– და იცით რატომ?

– ვგონებ იმისათვის, რომ ადამიანებს დაანახონ

– აი, ჩვენ რა შევძელით და თქვენ რაღა გემართებათო!

– კლდეებმა სათქმელი მოგანიშნეთო!

– ხოდა, თქვენ რაღა გემართებათ ადამიანებო?!

– თქვენ, რაღად დაგიკარგავთ სიყვარული და სულის ფერები?

– თქენ, ხომ უფალმა სიყვარულისათვის დაგბადათ ამ ქვეყნად!

– რატომ შემომწყრალთხართ, ერთმანეთს და გულში შუღლი ჩაგიდიათ?!

– განა, თქვენ ჩვენზე კარგად ვერ შესძლებთ სიყვარულით სიცოცხლისა და გაზაფხულის სულში შესახლებას?!

– ხოდა, სცადეთ, ხალხო, რომ გულით გაზაფხული ატაროთ, სამყარო ააფერადოთ და ერთმანეთის სიყვარულის სიმტკიცით კლდეებს მოგვბაძოთ!

კლდის სიმტკიცე განა ცოტა რამეს ნიშნავს ამ ქვეყნად?

– ჩვენ რას გვალაპარაკებთ!

– განა თქვენ, ჩვენზე კარგად არ იცით?!

– განა ვინმეს ეშლება საკუთარი სულის ფერების მნიშვნელობა?!

– ჩვენ ამ თვალუწვდენელმა, თქვენგანვე შერქმეულმა მკაცრმა, გულცივმა ქვა-ლოდებმა, ამ ციდა იისფერი იებითა და ფურუსულებით მოგანიშნეთ თურმე რა ადვილია გაყინული გულების გარღვევა და შიგ სიყვარულისა და სიხარულის ჩასახლება!

ახლა ის რა გვკითხოთ ეს როგორღა შევძლოთო?!

– როგორ და სიყვარულითა და სიცოცხლის ფერებით შემთბარი გულია სწორედ საწყისი გზა ღვთისნიერებისაკენ!

– შემოგვხედეთ, კლდეებმა შევძელით ეს ყველაფერი!

---კლდეებმა გული გადავიხეთქეთ და სიცოცხლე შევისახლეთ შიგ, სიცოცხლე, სიყვარული და გაზაფხული ციდა ყვავილების სახით!

– ეს ყველაფერი კი თქვენ, თქვენ დაგანახეთ, თქვენ ადამიანებო!

– აჩუქეთ ერთმანეთს გაზაფხული, სიცოცხლის სიხარული, სიყვარული, სითბო, სიკეთე და ჩვენსავით თავისთავად გაგილამაზდებათ და აგიფერადდებათ სული!

– ხომ მოგეწონეთ?!

– ნახეთ რა ლამაზები ვართ!

– სცადეთ, სცადეთ და თქვენც აუცილებლად გამოგივათ!

– და თუ თქვენს გულშიც ჩვენსავით, იისფერი, თეთრი, წითელი და უთვალავ ფერთა მახარობელა ყვავილები დაიწყებენ აყვავილებას, ეს იმის ნიშანია,რომ გაზაფხული და სიყვარული უკვე შემოგსახლებიათ სულში!

– სიყვარული კი თავად ღმერთია!!!

ლალი სოხაძე

გმირი ბებია

დღეს 9 მაისია. რატომღაც ბებიაზე ფიქრი ამომიტივტივდა გონებაში. გამახსენდა მისი გარდაცვალება... როცა ვტიროდი ჩემმა უფროსმა შვილმა მისმა მოსახელემ მითხრა რა გატირებს დედაშენი ხომ არ იყოვო. მაშინ არაფერი მითქვამს, რადგან პატარა იყო და ვერ გაიგებდა ჩემს მწუხარებას. ეხლა მინდა გავცე პასუხი, ბებია ჩემთვის ყველაფერი იყო, დედა, მეგობარი, დაც და ბებიაც...

ჩემთვის იყო სათნოების, სამშობლოს, ახლობლების, შვილების, შვილიშვილების, შვილთაშვილების ადამიანების უსაზღვრო სიყვარულის, პატიოსნების მაგალითი.

ჯერ ხომ ყველას უყვარდა, ნათესავებს, მეზობლებს თბილისში და რუსთავში.

ხოდა კიდევ გამომრჩა, ბებიაჩემი გმირი ქალიც იყო. გაგიკვირდათ ხომ?

26 კომისრების შინსახკომის უფროსის ცოლმა იცოდა ცხენზე ჯირითი, მაუზერიდან სროლა (ტყვიას ტყვიაში აჯენდა) მაშინ მათ ცოლებს ყველაფერს ასწავლიდნენ, რომ თავი დაეცვათ თავდასხმისგან და მეუღლის სახლში არ ყოფნის დროს შვილები გადაერჩინათ. ამავე დროს მედიცინის დის კურსებიც ქონდა გავლილი.

მეორე მსოფლიო ომის დროს ბაბუა წაუყვანიათ ომში და ბოლოს რაც ბებიას გაუგია ქერჩში იბრძოდა, ერთ-ერთი ქართული ბატალიონის მეთაური ყოფილა. ჯერ მოსდიოდა წერილები ფრონტიდან, გებულობდა მის კარგად ყოფნას, მაგრამ შეწყდა წერილები და დაიწყო მისი უძილო, ცრემლიანი ღამეები, მეუღლეზე ფიქრით. მაშინ მარტო უფროსი დეიდა და დედაჩემი ყავდა. ბაბუას შესახებ ვის არ მიაკითხა, მაგრამ არავინ არაფერი იცოდა. ბევრი აღარ უფიქრია ბებიას. მოკიდა ხელი თავის ორ შვილს და ზესტაფონის რაიონის სოფელ ზოვრეთში ჩაიყვანა მაზლთან. თავად დაბრუნდა თბილისში, ჩაეწერა მედიცინის დად. კურსები კი ქონდა გავლილი, მაგრამ ეხლა უფრო სერიოზულად მოამზადეს და ერთი კვირის შემდეგ დაჭრილების მოსავლელად გაუშვეს. უთხოვია ბევრი ქართველი სადაც არის იმ ქალაქში გამიშვითო. ქალაქის სახელი აღარ მახსოვს, კრასნოდარის მხარე იყო. ქალაქებში სულ დაჭრილები ყავდათ სავადმყოფოებში. მოიარა ასე რამდენიმე,,ჰოსპიტალი,, ეხმარებოდა დაჭრილებს. უვლიდა კარგად, ზოგი გამოჯანმრთელების შემდეგ ისევ ფრონტზე ბრუნდებოდაო, მაგრამ თავის მეუღლეს ვერსად წააწყდა.

ერთ დღეს, რომელიღაც ჰოსპიტალში გადასულან, სადაც ძალიან მძიმედ დაჭრილი მეომრები იყვნენ. რამდენიმეს გაუწია დახმარება და ერთი მეომრის აცრემლებულ თვალებს წააწდა, ცრემლებთან ერთად ღიმილსაც, მაგრამ იმასაც თუ ღიმილი ერქვაო..

და მისთვის ნანატრი დღე დადგა-იპოვა ქმარი, საშინელ მდგომარეობაში, მრავალმხრივი ჭრილობებით.

ბაბუა ფრონტზე აღარ გაუშვიათ, იმიტომ, რომ ხანგრძლივ მკურნალობას საჭიროებდა მაგრამ დაიღუპა, ისევ ომში მიყენებული ჭრილობით ,,ასკოლკის ნამცეცი,, ჩარჩენოდა ფეხში, იქიდან სისხლს წაეღო და ღრძილთან გაჩერებულა, რასაც სიმსივნე გამოუწვევია.

ყველამ ვიცით რამდენი ქართველი დაიღუპა ქერჩში. საშინელება იყოვო ბებიის მონაყოლიდან ვიცი. ქერჩის სრუტე ქართველების გვამებით იყო მოფენილიო, ეს უკვე ბაბუაჩემის მოყოლილიდან (ბაბუას მე ვერ მოვესწარი).

მაშ რას ფიქრობთ, იყო თუ არა ბებიაჩემი გმირი?..

ლიანა კაკუბავა



მოგესალმებით ქუთაისელებო!
ჯგუფის -"სიახლე ქუთაისში" წევრებო.

***

პირველი მადლობის წერილი❤

...(და მასზე მეტი)

(ცნობისთვის: აუცილებლად დაიწერება მეორე მადლობის წერილი- ექიმებით დაწყებული სხვა მედ-პერსონების მისამართით, მაგრამ დარწმუნებული ვარ მათი ჩამონათვალის გაზრდაში და ამ ეტაპზე თავს ვიკავებ, სანამ ჩემი და საავადმყოფოდან არ გაიწერება)

გუშინ 12 აპრილს, დასავლეთ საქართველოს სამედიცინო ცენტრის-დიგნოსტიკური საავადმყოფოს გადაუდებელი განყოფილების მისაღებში ჩემი და შევიყვანეთ, რომელიც სასწრაფოდ ექიმების გადაწყვეტილებით საოპერაციოში გადაიყვანეს. გვირჩიეს ყოველგვარ ინფორმაციას საავადმყოფოს A ბლოკში დავლოდებოდით და ჩვენც იქითკენ გადავინაცვლეთ. საბოლოოდ მე და თეზიკომ (დის რძალი) გადავწყვიტეთ დარჩენა. აფხაზეთიდან ჩამოსულებს და ურთულეს ღამეგამოვლილებს თანდათან სისუსტე გვერეოდა და მალევე ერთ მყუდრო ადგილას მოვკალათდით. გარკვეული პერიოდი ტელეფონით დავკავდით, სადაც ჩვენების უწყვეტ ზარებს ვპასუხობდით. მერე იყო საინფორმაციო განყოფილებიდან სპეციალური საშვით 2-ჯერ ვიზიტი ექიმთან ოპერაციამდე(ამაზე, როგორც ვახსენე უფრო ვრცლად მერე შემოვიფარგლები და კონკრექტული ფაქტებისგან თავს შევიკავებ). ძალიან სერიოზული, მაგრამ დამაიდებელი ოპერაციის შედეგს ექიმები მესამე ვიზიტის დროს გვიყვებიან და აქვე გვაძლევენ განმარტებას, რომ ყოველგვარ ინფორმაციას ისევ საინფორმაციო სამსახურის განყოფილებაში გავიგებდით სამი ან ოთხი საათის შემდეგ, როდესაც ავადმყოფს პალატაში გადაიყვანდნენ.

აქ უმრავი ადამიანი ირეოდა გუშინ. ეს საავადმყოფოს კედლებში, თითქოსდა ჩარჩოში მომწყვდეულ ბრმოთა მასას წარმოადგენდა, ვინაიდან აქ არ შეგხვდებოდა, თუნდაც ოდნავ მომღიმარი პიროვნებაც კი. თითქმის შემაძრწუნებელი და გულის ამაჩუყებლადაც კი მომეჩვენა და როდესაც ყველაფერს განალიზება და თვალიერება დავუწყე ვიგრძენი, რომ არ ვცდებოდი. ღმერთო, რამდენად მძიმე სანახავი იყო ეს. ჩემზე წინ მსხდომი რამოდენიმე ადამიანი სასოწარკვეთილი და გაოგნებულია. დანა პირს არ უხსნიდათ თითქოსდა. ვინ იცის რა მიზეზით.ერთია ახლობელ ადამიანს გულშემატკივრობენ. გვერდით შუახნის ქალი ცრემლებს და ხმამაღლა ქვითინსაც არ ერიდება და წარამარა გაიძახის: რატომ? ეს როგორ გამომეპარა? აქაც ვინ იცის რა ხდება... ასაკოვანი კაცის ლაპარაკი კი თითქოსდა ხმაურში გადადის ...ამშვიდებენ . საქმე უბედურ შემთხვევას ეხება თურმე... ცუდი წამებში, მაგრამ მისი გამოსწორების ან შედეგის სასიკეთომდე მიყვანა ძნელად, რომ ხდება ამ ლოგიკით მსჯელობა, ბუნებრივია აქ ამ ეტაპისთვის გვესმის, რომ შორსაა. ეს ჰაერივით და საარსებო პირობებისთვის აუცილებელი "მძიმე სამყარო" რამოდენიმე პატარას, რომლებიც მშობლების მეთვალყურეობის ქვეშ დარბოდნენ ქვეცნობიერად თითქოსდა გამოყავს მდგომარეობიდან. მათი ონავრული ქცევები იმედს გიტოვებს, რომ ყველაფერი კარგად იქნება. ყოველშემთხვევისთვის ჩემში ასეთი შეგრძნება დატოვა.

წარამარა გაისმის საინფორმაციო სამსახურიდან ადამიანების გამოძახება და მათი ავადმყოფების შესახებ ინფორმაციის მიღება. არ დამვიწყნია, ვიცი საამი საათის მერე ჩემი რიგიც დადგება და შესაფერისად მომემსახურებიან, მაგრამ ვერ ვითმენ და ნახევარი საათის შემდეგ რიგში ვდგები. დრო მაძლევს უფლებას თითოეულის მუშაობას დავაკვირდე, სპეციალურად კი არ ვაკეთებ, მაგრამ ინსტიქტურად ოთხივეს ვაკვირდები.

არიან ადამიანები, რომლებიც თავიანთ საქმეს, პროფესიას მთელი გულისყურით ეკიდებიან, ყოველგვარი ანგარების გარეშე შედეგი არ აქვთ გათვლილი, მაგრამ თითოეული მათგანი თავად შედეგს მიჰყავს ადამიანობამდე.

ოთხივე შესანიშნავად უძღვება თავის საქმეს, მაგრამ რატომღაც ნატალი ვარდოსანიძესთან აღმოვჩნდი. ჯერ ადრეა, უნდა მოითმინოთო -მეუბნება და მიხსნის ,რა ნივთები დასჭირდებოდა ავადმყოფს რამოდენიმე წუთის შემდეგ ნატალის ვტოვებ. ბინაში წასვლა მაინც არ გვეჩქარება(ამას არასოდეს დავუვიწყებ ჩემს მეგობარს, ყოფილ თანაკურსელს, რომელმაც გაწკრიალებული ბინის ისეთი გასაღები ჩააბარებინა ჩემთვის ნათესავს, რომელშიც ჯერ თვითონ არ უცხოვრია. ჯუნა(შენგელია) გკოცნი და გეფერები საყვარელო. დარწმუნებული ვარ მალე ჩამოხვალ და ჩავეხუტებით ერთმანეთს)

ნატალი კიდევ უადგილოდ მეორედ შევაწუხე და მხოლოდ ამის შემდეგ წამოვედით ბინაში ნივთების წამოსაღებად.

მალე მოვბრუნდით. ხალხის რაოდენობა შეთხელებულიყო და მიუხედავად იმისა, რომ საამი საათი არ იყო გასული და ნატალიც თავისუფალი იყო ...ვკითხე კვებასთან დაკავშირებით. გაეღიმა და მიმითითა ამაზე სალომე მოგცემთ ზუსტ ინფორმაციასო.

საინფორმაციო კვების კოორდინატორი:

სალომე უკლება (მ) მომხიბლა მისი ტაქტიანობით, გულისხმიერი ყურადღებით, დამოკიდებულებით, სიდინჯით...თმენით...ჩვენ ლაპარაკი გაგვიგრძელდა , მიუხედავად ამისა მისი მხრიდან აბსოლიტურად არ მიგრძვნია ჩემი ცნობისმოყვარეობის სიჭარბე.

მერე ისევ ნატალისთან ვინაცვლებ და ათას კითხვას მეორე ათას ვაყრი.

ნეტავი ახლა როგორ არის? თბილად მიღიმის ...რეკავს...სტაბილურობაა, მალე ჩამოიყვანენ.

P.S. თუ ეს სირცხვილად ითვლება, იყოს ასე, როგორმე გადავაგორებ... ზედმეტად ემოციური ადამიანი ვარ და ზედმეტად მილიონჯერ შევაწუხე ნატალიც და სალომეც იმ საღამოს...ასჯერ შემიფრიალდა გული...სიწითლემდე გამომაყარა(მაინც რაა ეს დედმამიშვილობა) და ასჯერ მომაბრუნეს თბილი სიტყვებით გაღიმებული სახეების თანხლებით.

გაიხარეთ, თქვენ საუკეთესოები ხართ და მინდა წარმატებებით აღმავლობა გისურვოთ ძვირფასებო!

მადლობა, მადლობა და კიდევ მადლობა.

საქართველოს მწერალთა კავშირის წევრი, ჯუმბერ ლეჟავას სახელობის მრავალპროფილიანი აკადემიის წევრი, ქიმიის მასწავლებელი: ლიანა კაკუბავა

1.სალომე უკლება;

2. ნატალი ვარდოსანიძე.

ლია ნოზაძე

დედაჩემის მოყვანილი

ბიცოლას მოყვანა გუშინდელი დღესავით მახსოვს, ლამაზი ცქრიალა გოგო გვერდს უმშვენებდა ჩემს ბიძას ვახტანგი სხირტლაძეს. დედაჩემი და ჩემი ბებია კლავდია აღფრთავანებით შეციცუნებდნენ ლამაზ პატარძალს. მე და ჩემი დაძმები მის ხელში გავიზარდეთ. გვიყვარდა მასთან საუბარი . როცა წამოვიზარდეთ გულის მესაიდუმლეც ბევრჯერ იყო ჩვენი. დღეს როცა მის შემოქმედებით საღამოზე მივედით მულიშვილები და მაზლიშვილები, ვხედავდით ბიცოლას და ჩვენს წინ ბავშობის კადრები იშლებოდა. გამახსენდა ჩემი ბიძაშვილები დათო და გელა . დღე და ღამე წიგნებში რომ ატრიალებდა ვიცოლაჩემი, სწავლას რომ უნერგავდა და სპორტზე რომ ხატავდა. ხშირად ეტყოდა ხოლმე, ბიჭები ხართ და ძლიერები უნდა გაიზარდოთო. ამიტომ იყო, რომ რამდენჯერმე კლავენ მოტეხილი მოვიდნენ, ძიუდოზე ქარელში დადიოდნენ. კოდაში ბიბლიოთეკის გამგე იყო ბიცოლა და ახალგაზრდები მასთან ვიკრიბებოდით. ღონისძიებსაც ატარებდა ჩემი დაიკო ლეილა ხშირად იღებდა მონაწილეობას. დღეს როცა ჩვენ თვითონ გავიზარდეთ და შევყურებდით 20 23 წლის ოთხი მაისის ღონისძიებას, თვალები ცრემლებით მევსებოდა. რა ამაყი იქნებოდა ბიძაჩემი, რომ დაენახა თავისი მეუღლის ასეთი აღიარება. ბიძაჩემს და ბიცოლაჩემს ახლა უკვე ქალბატონ გულნაზის, ტკბილი ოჯახი ქონდათ. მათ არასოდეს უკამათიათ. ბიცოლა ჩემი სოფელის თავაქალიც იყო და. რაიონშიც ღებულობდა კულტურულ ღონისძიებებში და კომფერნციებში მონაწილებას. 2023 წლის ოთხი მაისი ეს იყო თბილი სიყვარულით, ემოციებით დატვირთული დღე ეროვნული ბიბლიოთეკის საგამოფენო დარბაზში. ზეიმობდა სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსული ინტელიგენციის ჯგუფები. აქ იყო გაერთიანებული, თბილისი, ბოლნისი, საჩხერე და ხონის რაიონი. საღამო მიყავდა ბატონ თემურ გოგსაძეს და ქალბატონ ეთერ ჭელიძეს. ამაღლების ეკლესიის წინამძღვარმა მამა ამირან ამირანაშვილმა კი დალოცა თავისი დადნაფიცი გულნაზ ხარაიშვილის ახალი წიგნი ,, ცისკარელი " . დიახ! საამაყოა აბა რა, მამაომ ჩვენი ბიცოლა და აკურთხა ლომისის წმინდა გიორგის ხატთან. მამა ამირანი იყო იმ საღამოს მლოცველი და მფარველი. თითქმის ყველა მონაწილის გამოსვლა იყო საინტერესო და ემოციური. გვესმოდა პოეტის ლექსები და თვალები ცრემლებით გვევსებოდა. ეს იყო დღე რომელიც არასოდეს დამავიწყდება. მე ვიყავი ამაყი, თითქოს მეც მათი მონაწილე ვიყავი. მეამაყება ჩემი ბიცოლა ტკივილის ზღვაში რომ ცურავს და მაინც იმედის მარცვლებს , რომ თესავს მომავლისთვის. იმედის მარცვალი მისი პოეზიაა, აკი ამბობს თვითონ. ,, ახალგაზრდებო სულს მიშრიალებთ, შვილებიც თქვენ ხართ და ლურჯი ზეცაც, ყველანი ჩემში შვილად ტრიალებთ, მთვარეს გაჩუქებთ, ვარვარა მზესაც. გულის კარები გაღებულია, მოდით მოგხვიოთ ტკბილად ხელები, მტერთა ბანაკი დარღვეულია, ჩემი ლექსებით განახლები". ჩემო ბიცოლა დედაჩემს, ძალიან უყვარდი. ჩემი ბებიას შენი ხელის შეხებაც კი წამლად მიაჩნდა. დღეს დავრწმუნდი, რომ თურმე ყველასი ხარ. წლებს არ გითვლით, გვჭირდები, შენ ლექსებს კიდევ ბევრს ველით კესანებივით ლამაზი რომ არის. მტერისთვის კი ბრძოლის თანამედროვე იარაღია. ტყვიის გარეშე რომ გაანადგურებს მოწინააღმდეგეს. ეს შენს ლექსებში სჩანს. ,,გულუბრყვილობის ავკეცე კიბე, ნებით კიდევ რომ აღარ მაცდუნონ". ცრემლები წამსკდა, რადგან, ერთ დროს ჩვენი ნაზი ბიცოლა ამორძალად გადაქცეულა.

ლია ნოზაძე პედაგოგი

ნათელა სამუშია

„საოცარი ისტორია"

(ნამდვილი ამბავი)

– სამსახურში იყო ლილიკო, ტელეფონმა რომ დაურეკა.

– გისმენთ, უპასუხა მან.

მოესმა სახლის მეპატრონის ხმა, სადაც ლილიკო ქირით ცხოვრობდა.

– ისევ გაიმეორა ქალმა...გისმეთ, სინან აბი (ძმაო)ხომ მშვიდობა გაქვთ?

კი, კი მშვიდობაა ნუ გეშინიათ, ერთი ქართველი ქალი მოვიყვანე სამუშაოდ, ენა არ იცის და მინდოდა დალაპარაკებოდი.

– დახ, მიეცით ტელეფონი უთხრა;ლილიკომ და დაელოდა.

– გისმენთ, გაისმა ძალიან წყნარი და ნაზი ხმა, გამარჯობათ მე ლილიკო ვარ,

აი იმ ბინაში ვცხოვრობ მეც,

ნუ გეშინიათ, კარგი ადამიანია.

თქვენ,თქვენ საიდან ხართ? შეეკითხა უცხო ქალს და შეჩერდა.

– მე ბათუმიდან ვარ, ნია მქვია, დამსამებელმა კი ამ კაცთან მომიყვანა.

– ნუ გეშინიათ იქ ყველა ქართველები ვცხოვრობთ, ყველა მაგის დასაქმებულები ვართ, თან ყველას გვპატრონობს აუხსნა ლილიკომ მერე მოუბოდიშა სამუშაო მაქვს ბევრიო და ტელეფონი გათიშა. ცოტა იჩქარა საქმის მოლევა და სახლში გაიქცა.

– სახლში რომ მივიდა მარტო იყო ნია, სინან აბი კი ბალკონზე იჯდა და სიგარეტს აბოლებდა.

– მიესალმნენ ერთმანეთს გოგოები, მოიკითხეს მერე კი კუხნაში შეიყვანა ახალმოსული ქალი მშიერი იქნებით ახლა ცოტა რაღაცა მიირთვით, ჩაიც დააყენა. მერე გოგოები რომ მოვლიან ყველა ერთად დავჯდებით უთხრა ლილიკომ და თან ჩაი დაასხა ნიასთვის, თავისთვის და სინან აბისაც მიართვა.

– მერე კი მიუჯდა ნიას გვერდით და ჰკითხა, აბა მომიყევი რა სამუშაოს შეგპირდნენო.

– რესტორანში ჭურჭელს გარეცხავო, უპასუხა ნიამ.

ხელფასი რამდენი გითხრეს?

ათასორასი ლირა იყო პასუხი.

დიახ ასეა ყველა ასე ღებლობს იქ მომუშავე გოგოები, მერე გაწყობს ეს ხელფასი ნია?

– კი, როგორ არ მაწყობს მე ენა არ ვიცი და სხვა რა უნდა გავაკეთო.

– კარგით ჩემო კარგო მაშინ მე ახლა ვეტყვი ამ ადამიანს და ხვალ დილით წახვალ სამუშაოდ, როგორც ყველა.

– იქ ყველა ქართველები მუშაობენ, იმხელა რესტორანია მარტო ჩვენი ბინიდან ათნი არიან, ასე რომ არაფერი გაგიჭირდება უთხრა ლილიკომ.

– გაუხარდა საცოდავ ქალს მარტო არ ვიქნებიო და ლილიკოს გადაეხვია.

– ღამის ათი საათიდან დაიწყეს მოსვლა გოგოებმა,

ახმაურდა სახლი ყველა მიესალმა ახალ მოსულს გაიცნეს ერთმანეთი,

დასაწოლი ადგილიც აჩვენეს და ასე გახდა ნაც მათი ოჯახის წევრი.

– ნიას ძალიან განსხვავებული ცხოვრებით უცხოვრია, ის ქართველი მუსლიმანი იყო. ცოტა ადრე გაუთხოვებიათ, მის მეუღლეს ცოლი ყოლია მაგრამ შვილი არ გაჩენიათ, ამიტომ ნია კუმად ე.ი. მეორე ცოლად მიუყვანიათ ოჯახში.

თან კანონიერ ცოლად ითვლებოდა ორივე.

– სახლში დამხვდური ქალი თან ყვებოდა თურმე ახალ მოყვანილ ნიას, ის უფროსი იყო და ამიტომ გოგოსავით ეფერებოდა .ასე დამეგობრდნენ ორივე, უერთმსნეთოდ ნაბიჯს არ დგამდნენ, ნიამ ორი ბიჭი გააჩინა, ორივე ფატმანმა გაუზარდა.

ერთი ღამეც არ გაუთევა ნიას შვილებისთვის ამიტომ ფატმანს დედას ეძახოდნენ ბიჭები.

კაცი კი ერთი კვირა ერთ ქალთან იყო, მეორე კვირა მეორესთან .

– გაიზარდნენ ბიჭები...

ცხოვრება შეიცვალა, გარდაიცვალა ოჯახის უფროსი და დარჩნენ ქალები მარტო და ორი დასაქორწინებელი ბიჭები.

– დაიწყო ოჯახმა მატება, ბიჭები დაქორწინდნენ,გაჩნდნენ პატარები, ერთმანეთს ეხმარებოდნენ შრომობდნენ და ოჯახს არჩენდნენ.

– ოჯახში დიდი უბედურება დატრიალდა ერთი ბიჭის ცოლი მშობიარობას გადაყვა, დარჩა პატარა ჩვილი უდედოდ.

ახლა კი ნიამ გამოიღო ხელი უვლიდა შვლიშვილს, პატარა სულ ძუძუს ეძებდა, ტიროდა მთელი ღამეები და ნიამ ერთ საღამოს თავის ძუძუ ჩაუდო პატარა მოწოვდა და დაიძინებდა.

– და მოხდა სასწაული ბებიას რძე ჩაუდგა დედობამ გაიღვიძა მასში, მის მერე პატარას ერთი არ უტირია. ეს ვისაც გაუგია ყველა ამ სასწაულის სანახავად მიდოდა.

ასე გაზარდა ნიამ ბავშვი.

მართლა სასწაული იყო, რადგან ნიას არცერთი შვილისთვის ნაჭმევი არ ქონდა რძე,ისინი ხომ მეორე ქალთან იზრდებოდნენ.

– ბებიამ სამი წელი ასე გაზარდა შვილიშვილი.

– მოკლედ ეს იმიტომ მოგიყევით რომ გაგეცნოთ ნიას ცხოვრება სანამ სტამბოლში ჩამოვიდოდა.

– დავბრუნდები ახლა სტანბოლში....

ნია ძალიან დინჯი, გაწონასწორებული ქალი იყო, მის ხმას ზედმეტად არ გაიგონებდი. ასე და ამგვარად შეეგუა ნელ-ნელა სამუშაოს და ახალ გარემოს ნია. ერთად მიდიოდნენ და ერთად მოდიოდნენ ყველა. ამასობაში დრო გავიდა,ცოტა ენაც ისწავლა, ცხოვრობდა როგორც სხვები. ასე გადიოდა დღეები, თვეები, ერთი სიტყვით მოსწონდა იქ მუშაობა.

– ერთ საღამოს ცოტა ადრე მოვიდა ნია სამსახურიდან, მას ლილკო დახვდა სახლში. მარტო მოსული რომ დაინახა ნია გაუკვირდა და შეეკითხა...

ხომ მშვიდობაა ასე ადრე რატომ მოდი, ხომ არავინ გაწყენინა?...

– არა შენი სულის ჭირიმე, თავი მტკიოდა,მიტომ ვითხოვე და წამოვედი უასუხა ქალმა .

თავი არ აუწევია ზევით ისე საწოლს მიაშურა და ჩაწვა.

ლილიკომ მიუტანა წამალი და წყალი დატოვა ოთახში მარტო, მოიხურა კარი, მაგრამ წინათგრძნობა კარნახობდა ლილკოს რომ რაღაც ხდებოდა,იმ წუთში აკრიფა ნომერი და რესტორანში დარეკა უფროს შეფთან და შეეკითხა, შვილო ხომ არ გამოგიგდიათ ნია სამსახურიდან?

– არა, აბლა (დაო)ცოტა შეუძლოდ იყო და ზაზამ წაიყვანა მოტორითო, უპასუხა ახალგაზრდა შეფმა. დაფიქრდა ქალი რაღაც ხდებაო და დაელოდა გოგოების მოსვლას.

– იმ საღამოს გვიან მოვიდნენ გოგოები,იმ წუთში ლილიკოც შეყვა ოთახში მათ აბა რა ხდებოდა.

– რა მოხდა? ესმის ჩურჩლი ლილიკოს. თამარი ეკითხება ნიას ზაზამ მოგიყვანა? დიახ მან მომიყვანა უასუხა ქალმა. ამასობაში ლილიკო მივიდა მათთან ახლოს და ეკითხება;რა ხდება გოგოებო? არა არაფერიო უპასუხა თამარმა.

– ასე დაიწყო ნიას საოცარი ისტორია სტანბოლში.

ზაზას ნამდვილი სახელი მისი (მუსტაფა)იყო მაგრამ ასე ეძახოდნენ რელიგიიდან გამომდნარე.

– ზაზა 27 წლის მაღალი, ლამაზი ქურთის ბიჭი იყო, რომელიც მოტორზე მშაობდა იქ რესტორანში, რომელსაც შეკვეთები დაჰქონდა სახლებში. ეს ბიჭი და ნია ისე დაუახლოვდნენ ერთმანეთს, ყველა ხვდებოდა რაღაც რომ იყო მათ შორის, მაგრამ არც ლილიკოს და არც სინან აბის არავინ უმხელდა ეშინოდათ რომ ბინიდან არ გაეგდოთ ნია.

– ერთ დღეს ლილიკო მოვიდა სამსახურიდან ადრე მივიდა სახლის პატრონთან და თხოვა, აბი წავიდეთ რესტორანში გოგოებს მოვინახულებ თან საჭმელი შევჭამოთ ერთადო, ჩასხდნენ ტაქსში და მივიდნენ რესტორანში, ისეთ ლამაზ ადგლზე იყო აშენებული მთელი ათაშეჰირი მოჩანდა,ულამაზესი ვებერთელა ბინებით, მართლა ულამაზესი სანახაობა იყო.

კუხნიდან შევიდნენ შიგნით ლილიკო და სინანი, ყველა ფეხზე ადგა და მიესალმნენ მათ, ორივეს ძალიან აფასებდნენ.

ლილიკო უცებ მის ქართველებთან გაიქცა მოიკითხა მერე მიიხედ მოიხედა და ნიას რომ ვერ მოკრა თვალი არავისთვის არაფერი არ უთქვამს ისე გარეთ გავიდა სადაც ულამაზესი ფანტანების ეზო იყო გაკეთებული მაგდები და სკამები იდგა. გაიხედა და ხედავს ერთმანეთს ისე ჩახუტებია ორ ადამიანი ირგვლივ ვერაფერს ამჩნევენ. ახლოს მიიწია ლლიკომ და იცნო ნია და ზაზა. ჩუმად მოტრიალდა და ისევ კუხნაში შევიდა, შეჩერდა მერე კი გოგოებს კითხა ნია სად არისო. ნაგავის გადასაყრელად გავიდა მოვა მალე უპასუხეს მათ ამის თქმა და ნიაც შემოვიდა მიესალმა ლილიკოს თავი დახარა და ემჩნეოდა ლოყები როგორ აუწითლდა. ის ლლიკოზე დიდად უფროსი იყო მაგრამ მისი ძალიან ერიდებოდა რადგან ლილიკო სამართლიანი და ერთგული ადამიანი იყო.

– როგორ ხარ ნია? შეეკითხა ლილიკო.

– მადლობა არა მიშავს უპასუხა ნიამ თავაუწევლად, რადგან მას უნახავს ლლიკო როგორ შევიდა კუხნაში და თვალებს ვერ უსწორებდა.

– დაელოდა ლილიკო გოგოებს და იმ საღამოს ყველა ერთად წავიდნენ სახლში. გაიშალა პურმარილი, ყველა მიუჯდა სუფრას და დაიწყო ქეიფი როგორც ყოველთვის, დაღლილზე აცილებლად იცეკვებდნენ, იმღერებდნენ ასე იმშვიდებდნენ გულებს.

ნია კი იჯდა ჩუმად, არ უჭამია და არც უცეკვია. ამას რომ შეხედა ლილიკომ მივიდა და თხოვა ოთახში გაჰყოლოდა, რა თქმა უნდა უპასუხა ნიამ და ორივე ერთად გავიდნენ, ჩამოჯდა ორივე ლილიკოს ლოგინზე ორივე ისე ჩუმად იყო ბუზის ხმას გაიგონებდით, ისევ ლილიკომ დარღვია სიჩუმე

– ნია მომიყევი რატომ ხარ ასე,რა ხდება?

– ნიამ ერთი ღრმად ამოისუნთქა და დაიწყო მოყოლა, რომ ის არასოდეს ყოფილა ბედნიერი, რომ გასაყოფი ქმარი ყავდა, რომ ერთი კვირა უნდა ეცადა მისთვის რომ მოფერებოდა და ყველაფერი ის რაც ზემოთ მოგიყევით ნიას ცხოვრებაზე,მერე ერთი წუთით შეჩერდა თვალი თვალში გაუყარა ლილიკოს და კითხა...მეც ხომ მაქვს უფლება რომ ბედნიერი ვიყო? ამ კითხვას არ ელოდებოდა ლილიკო შეცბა და უპასუხა...

რა თქმა უნდა გაქვს ჩემო ნია, შენც და ჩვენ ყველა ქალს გვაქვს უფლება რომ ვიყოთ ბედნიერები, მაგრამ ვერ გავიგე ეს რა შუაშიაო ჩააჯინდა ქალი.

ლილიკო შენი სულის ჭირიმე,

მე დღეს ძალიან ბედნიერი ვარ, კი მართალია ჩემი, ტოლი არ არის მაგრამ მის გვერდით პატარა გოგოსავით ვგრძნობ თავს. ის ისე მექცევა სხვანაირად არ შემიძლია რომ ვიყო, ნუ გამკიცხავ მაგრამ მიყვარს და ვიცი რომ მასაც ვუყვარვარ აგრძელებდა ნია ლაპარაკს, ლილიკო კი უსმენდა და ხმას ვერ იღებდა.

ხედავდა რომ ნიას თვალები ბედნიერებისგან უბრწყინავდა,დამუნჯდა თითქოს

იცოდა ამას რაც მოყვებოდა, კი არ იცოდა გრძნობდა, ბოლოს შეაჩერა ნია ჩაეხუტა და უთხრა, მესმის შენი ჩემო კარგო, მესმს გიყვარს ბედნიერი ხარ მაგრამ ხვალ და ზეგ ეს ბიჭი წავა მის რაიონში ცოლს მოიყვანს, მაშინ შენ რას იზამ? უფრო არ გაგიჭირდება?

– ნიამ აწია შეწითლებული თვალები ისევ ჩახედა ლილიკოს და უთხრა:

სანამ ვარ ბედნიერი მინდა დავტკბე ცხოვრებით, ამიტომ გთხოვ დამეხმარე ჩემო გოგოვ.

გთხოვ სინან აბიმ არ გამაგდოს ბინიდან მე არ ვარ ცუდი ქალი, უბრალოდ შემიყვარდა,ჩაეხუტა ლილიკოს და თვალებიდან ცრემლები ღაპაღუპით ჩამოსდიოდა.

– არ იცოდა რა ექნა ლილიკოს როგორ მოქცეულიყო,ძალიან შეეცოდა ეს ყურებამდე შეყვარებული ქალი, რომელსაც პატარა გოგოსავით ლოყები აწითლებული ქონდა, ცოტა ხნის დუმილის მერე აზრზე მოსულმა ლილიკომ უთხრა, კარგი ნია დაწყნარდი არავინ გაგაგდებს მაგრამ ამ ჭიშკართან არავინ მოვიდეს, ყველამ იცის აქ ქართველები ქალები ცხოვრობენ და აქ დაამთავრეს ლაპარაკი .

– გადიოდა თვეები, ერთი წელი გავიდა ნია თავს ბედნიერად გრძნობდა, ბინიდან ზაზასთან გადაბარგდა, მის მერე არც ლილიკო მოუკითხია და არც სახლის მეპატრონე. ლილიკო

გოგოებიდან იგებდა რომ ის კარგად იყო.ასე გავიდა ორი წელი და მოხდა ის რისიც ყოველთვის ეშინოდა და ეფიქრებოდა ლილიკოს.

ქურთებმა რომ გაიგეს ზაზას მასზე ძალიან დიდი ხნით უფროსი ქალი უყვარდა და ბინაშიც ერთად ცხოვრობდნენ, ატყდა განგაში.

შეატყობინეს მშობლებს და იმ დღიდან ზაზა გააქრეს სტანბოლიდან.

– ნია დარჩა მარტო, ყველამ ცუდი თვალით დაუწყო ყურება, ტიროდა განიცდიდა თურმე,სამსახურიდან დაითხოვეს.მერე კი გოგოებს დააბარა ლილიკოსთან მიშველეთ სინან აბიმ ბინაში შემიშვასო,იმიტომ რომ იქ უკვე მისი გაჩერება შეუძლებელი იყო.

– გაჯიუტდა ბინის მეპატრონე. უარი თქვა ნიას მიღებაზე, ასეთი ქალი სახლში არ მინდაო გაიძახოდა.

ლილიკომ მოიკრიბა ძალა და გოგონებთან ერთად დადგა სინანის წინ და უთხრა თუ ნიას არ შემოუშვებ ჩვენც გავდივართო, უპასუხოდ დატოვა კაცმა გოგოები და გარეთ გავიდა.

– ერთი კვირა დღე იყო, ლილიკო ისვენებდა ზარმა დარეკა გაიხედა და ნია იდგა კარებთან დასუსტებული, განადგურებული და აკანკალებული,ის მას შველას თხოვდა გული შეეკუმშა ლილიკოს მისი ქართველი ქალი ამ დღეში რომ დაინახა მოხვია ხელი გულში ჩაიკრა და სახლში შეიყვანა, ამშვიდებდა ნუ გეშინია რომ მოვა სინან აბი და გნახავს იმედია გული მოულბება, ბოლოს და ბოლოს ხომ არ მოგვკლავს,ისიც ადამიანია,

მართლა საღამოს რომ მოვიდა სინანი და დაინახა ნიას მდგომარეობა შეიცოდა და დატოვა მათთან. წავიდა გახარებული ქალი და იმ დღესვე გადმობარგდა.

– უშოვეს სხვა სამუშაო იქვე ახლოს სასადილოში კუხნაში.

დაიწყო მუშაობა ნიამ დილას მიდიოდა და საღამოს მოდიოდა უთქმელად ხმას არ.იღებდა .დღითი დღე თვალსა და ხელს შუა დნებოდა ქალი. დროს რომ იხელთებდა ლილიკოს ეხვეწებოდა იქნებ მოძებნო ზაზას ნომერი და გაიგო შენ ყველა გაფასებს და მოგცემენ დაველაპარაკოო, ტიროდა პატარა ბავშვივით, ხომ კარგად არის ის მაინც გამიგე ემუდარებოდა ნია.

– დაიღალა ლილიკო, თან დაიტანჯა ნიას საცოდაობით და გადაწყვიტა დაერეკა რესტორნის მეპატრონესთვის.

დარეკა თუ არა იმ წუთში უპასუხა მემედმა. გისმეთ აბლა (დაო)ხომ მშვიდობა გაქვთ,დიახ მშვიდობაა მაგრამ ერთი სათხოვარი მაქვს შენთან შვილო უთხრა ლილიკომ. მთხოვე რაც გინდათ აუცილებლად გაგიკეთებთ ტკბილად უპასუხა ბიჭმა. ზაზას ტელეფონი მინდა უთხრა ლილიკომ და გაჩუმდა, ცოტა ხანს გაჩუმდა მემედიც მაგრამ ბოლოს უთხრა იცით მე თქვენ ძალიან გაფასებთ და უარს ვერ გეტყვით, საღამომდე გავიგებ, ოღონდ გთხოვ სხვას ნურავის ნუ მისცემთ,თხოვა ბიჭმა, არა არ იჯავრო შვილო დაყვავებით მიმართა ლილიკომ და მადლობა გადაუხადა.საღამოს კი მიიღო ზაზას ტელეფონის ნომერი მაგრამ არავისთვის არ უთქვია ისე წავიდა მეორე დილით სამსახურში.

მივიდა თუ არა ლილიკო სამსახურში იმ წუთში აკრიფა ნომერი და დარეკა, ზაზამ უპასუხა ის თურმე ელოდებოდა მის ზარს როგორც კი გააგონა თხოვა აბლა მაცალეთ ერთი წუთით სხვაგან გავალ რომ არ მომისმინონ და დაგირეკავ, დაეთანხმა ლილიკო გათიშა ტეეფონი და დაელოდა მის ზარს.

ხუთი წუთი იქნებოდა გასული რომ მართლა დაურეკა ზაზამ.

– აბლა მე ის ძალიან მიყვარს დაიწყო ზაზამ, მალე დამთავრდება ეს პატიმრობა, მიხვდებიან რომ მიყვარს და მე აუცილებლად მოვალ მასთან, უთხარით რომ არ ინერვიულოს, რადგან მას არასოდეს მივატოვებ აგრძელებდა ეს ახალგაზრდა ბიჭი ლაპარაკს, ლილიკო კი გაოგნებული უსმენდა და ვერ გაეგო ასე რაფერ უნდა ყვარებოდა ამ პატარა ბიჭს ნია. მთელი დღე ამაზე იფიქრა, მარტო ლაპარაკობდა ალბათ არსებობს ასეთი სიყვარული....არ ვიცი ალბათ არსებობს...ამით იწყნარებდა ემოციებს.

– საღამოს მოვიდა თუ არა ლილიკო სახლში შევარდა გოგოების ოთახში და გაღიმებული ყვება...იცით? დღეს ვის ველაპარაკე?...

ვის, ვის, ახმაურდნენ გოგოები მიდი მოგვიყევი ლილიკო სიცილით ეხვეწებოდნენ მას.

– ზაზას დავურეკე დღეს. ყველა გაჩუმდა და სმენად გადაიქცნენ მან კი წყნარად გააგრძელა მოყოლა, მერე გადახედა ნიას და უთხრა როგორ ყვარებიხარ ამ ბიჭს ჯერ ამას გეტყვი...ახლა კი რაც ხდება მის თავს მაგას მოგიყვებით, ჩამწყვდეული ყავთ სახლში და არ უშვებენ, მან შემოგითვალა როგორც კი გავთავისუფლდები აუცილებლად მოვალ და დამელოდოსო. ნია ტიროდა მის ტირილზე კი ყველა ატირდა მერე ადგა ლილიკო და უთხრა ახლა დაწყნარდი იმუშავე და იფიქრე რომ ერთ დღეს ზაზა მოვა შენთანო და გავიდა ოთახიდან.

– ნია დღითი დღე ცუდად გრძნობდა თავს. კვირაში სამჯერ მაინც მიყავდათ სასწრაფოში მას. ლილიკო არ შორდებოდა სულ თავზე ედგა პატრონობდა დილას კი სამსახურში უძილარი და დაღლილი მიდიოდა .ნიას კი უკეთესობა არ ეტყობოდა ვერ მუშაობდა საავადმყოფოში გადაიყვანეს, ნიამ დაუძახა ლილიკოს ტელეფონის ნომერი მისცა და თხოვა ეს ჩემი ძმისშვილია მარიამი დაურეკე, უთხარი ჩემი მდგომარეობა და მოვაო.

მარიამი ოჯახში მუშაობდა ავადმყოფს უვლიდა, დაურეკა ლილიკომ მოუყვა ყველაფერი და თხოვა უკვე ვერ ვძლებ მომეშველე მამიდაშენი ძალიან ცუდად არისო.

– მარიამმა მეორე დღესვე შვებულება აიღო ერთი კვირა და მამიდას დაადგა თავზე, ლილიკო კი ყოველ საღამოს მოინახულებდა ხოლმე მათ და თუ რამე ჭირდებოდათ მიჰქონდა.

სამშაბათი დღე იყო ღელავდა ყველა იმ დღეს ნიას ანალიზების პასუხები უნდა გამოსულიყო, საავადმყოფოს დერეფანი სავსე იყო ქართველებით ლილიკო კი ექიმთან შევიდა სინან აბისთან ერთად რომ რა იყო მიზეზი ნიას ასე ცუდად ყოფნისა.

მას დაუდგინეს ღვიძლის სიმსივნე ბოლო სტადია, ამიტომ ოპერაციის გაკეთებაზე უარი განაცხადეს.

გამოვიდა ლილიკო ტირილით გოგოებს ჩაეხუტა და უთხრა ნია კვდება გოგოებო ნია კვდებაო.

– მეორე დღესვე საბუთები გაამზადეს დარეკეს ბათუმში აეროპორტში რომ სასწრაფოთი დახვედროდნენ.

სულ ცრემლებით და დიდი გულის წყვეტით გააცილეს ნია სამშობლოში მეგობრებმა.

– ბათუმის აეროპორტი სავსე იყო ნიას ნათესაობით შვილებმა დედა ხელში აიყვანეს და ისე მიიყვსნეს სასწრაფოს მანქანამდე, ის პირდაპირ ბათუმის საავადმყოფოში მიიყვანეს.

ყოველ დღე ურეკავდა ლილიკო მის შვილებს და კითხულობდა მის ამბავს, ამასობაში სამი თვე გავიდა.

ერთ დღეს ლილიკო ჩვეულებრივად წავიდა სამსახურში, მუშაობს ესმის ტელეფონი რეკავს მივიდა დახედა მარიამი ურეკავს, შეეშინდა და უცებ კითხა ხომ კარგად ხართ მარიამ? მამიდას უნდა თქვენთან ლაპარაკი ლალიკო დეიდა და ესმის ხმა ძალიან წყნარი და მშვიდი ნიასი, სიხარულისგან შეჰყვირა ლილიკომ ნია ჩემო ნია როგორ ხარ? ნუ გეშინია უკეთესად იქნები ელაპარაკებოდა ლილიკო მაგრამ ნიამ შაჩერა.

– ჩემო ლილიკო შენი სულის ჭირიმე რაც მე შენ გამიკეთე საკუთარი შვილი არ გააკეთებდა მადლობა ყველაფრისათვის, დალოცვილს გტოვებ შენი შვილმომავლით, არ შემაწყვეტინო გთხოვ და გააგრძელა ნიამ წყნარად სვენებ-სვენებით ლაპარაკი სინან აბის მადლობა გადაეცი, გოგოები მომიკითხე...ეხლა კი შენთან სათხოვარი მაქვს ჩემო ძვირფასო, დაძაბა სმენა ლილიკომ და უთხრა გისმენ ნია, მთხოვე თუ რამე შემიძლია ხომ იცი რომ გაგიკეთებ.

– ხშირი სუნთქვა ცოტა ხნით შეწყდა, მერე კი ძალა მოიკრიბა და გააგრძელა სულ ცოტა დღეები მაქვს დარჩენილი მე ვკვდები ლილიკო, გემუდარები ახლა მე შენ რასაც გთხოვ შემისრულო...გისმენ ნია დაწყნარდი ჩემო კარგო ეფერებოდა ლილიკო და ცრემლებად იღვრებოდა ამ დატანჯული ქალის საცოდაობით.

ზაზას დაურეკე და თხოვე რომ სიკვდილის წინ ხმა გამაგონოს მისი,მშვიდად რომ წავიდე იმ ქვეყნადო,ეს თქვა და გაჩუმდა.

ლილიკომ კი პირობა მისცა რომ მას მოძებნიდა და დაალაპარაკებდა გათიშა ტელეფონი თუ არა ისევ აკრიფა ზაზას ნომერი მაგრამ სხვამ უპასუხა,ზაზასთან მინდოდა ლაპარაკი მაგრამ მგონი შემეშალა მოუბოდიშა და უნდა გაეთიშა რომ უცნობმა შეეკითხა თქვენ ვინ ხართ მისი მე ახლობელი ვარ და გადავცემო, მე მისი და ვარ ოღონდ უცხოო მიუგო ლილიკომ მაშინათვე გაისმა ხმა ზაზა მოდი და გირეკავსო.

გისმენ აბლა ხომ კარგად ხართ? შეეკითხა ბიჭი ლილიკოს.არა მიშავს შენ როგორ ხარ სად ხარ ჩაეკითხა ლილიკო, მე ადანაში აქ პატარა სასადილო გავხსენით და ვმუშაობთ მეტი ახალი არაფერიო მოკლედ უპასუხა ზაზამ.

– მომისმინე ზაზა ყურადღებით...ნია კვდება რამოდენიმე დღე ან თვე აქვს დარჩენილი მისი თხოვნით დაგირეკე ერთხელ ხმა გამაგონოსო, მშვიდად რომ წავიდე ამ ქვეყნიდანო. გთხოვ დაურეკო შეეხვეწა ლილიკომ თავიდან არ დაიჯერეა მაგრამ მერე მიხვდა ლილიკო მას არ მოატყუებდა ჩაიწერა ნომერი და უთხრა კი აუცილებლად დავურეკავო. ლილიკომ მადლობა გადაუხადა და გათიშა ტელეფონი.

– სამი დღის მერე მარიამის ტელეფონმა გააღვიძა დილაუთენია ლილიკო უცებ ეტაკა ტელეფონს მარიამ რა ხდება?

– იცით ლილიკო დეიდა სასწაული მოხდა....

– რა მარიამ...რა მოხდა...

– გუშინ ზაზა ჩამოფრინდა..

– მართლა? ატირდა ლილიკო ისე გაუხარდა

– მაგათი შეხვედრა ერთი რომანი იყო...ის რომ ჩამოვიდა ყველა სახლში იყო შეგროვილი შვილებიც კი მარიამი ტიროდა და ძლივს ყვებოდა...

მოყევი მარიამ მერე?რა მოხდა?

– ზაზამ ქორწინების ბეჭედი ჩამოუტანა თითზე გაუკეთა თვითონაც გაიკეთა და ხელი თხოვა მამიდას, მერე გაჩერდა ამოისუნთქა და გააგრძელა იცი? ნახევარი საათის მერე მამიდა გარდაიცვალა, ზაზას მკლავებში დალია სული.

ორივე ტიროდა მარიამიც და ლილიკოც, ტიროდნენ იმ ქალს რომელიც სიყვარულს შეეწირა, მაგრამ ბედნიერი წავიდა ამ ქვეყნიდან.

მან ის ბედნიერება განიცადა რასაც სიყვარული ჰქვია.

– მის მერე რა უნდა ყოფილიყო ლილიკოს ნიას სული არ ეხსენებია.

წლების მერე კი შემთხვევით გაიგო, რომ ზაზა მოტორით ავარიაში მოჰყვა და ისიც გარდაიცვალა.

– მე იმას დავამატებ მარტო რომ აქ ერთად ცხოვრება ვერ შეძლეს მაგრამ იმ ქვეყნად მჯერა რომ ერთად იქნებიან.

02 11 2020 წ.

ელისო ცანავა

„ცხოვრება, მართალია, ხანმოკლეა, მაგრამ თუ მოინდომებ სახელი შენი იქნება მარადიული“

ჩვენს საოჯახო არქივში მოგვეპოვება დიდი ბაბუის, პოლიკარპე ცანავას ხელნაწერი, ავტობიოგრაფია. დაბადებული 1903 წელს. ფასდაუდებელი განძი, რომელიც დედამ შემოგვინახა დაიცვა, მოუარა და არ დაგვიკარგა. იმ დროისთვის ქართველები სრულიად მოკლებული იყო სწავლას, ხალხში არ იყო წერა -კითხვა გავრცელებული, არ იყო განათლების ეროვნული სისტემის ჩამოყალიბება-განვითარება. წერა-კითხვის ცოდნა ერთეულების ხვედრი იყო. ჩემმა დიდ ბაბუამ დიახ, იცოდა წერა-კითხვა. იგი იყო უდიდესი ინტელექტის და კულტურის მქონე, თავისი საქმის ბრწყინვალე სპეციალისტი, კარგი ადამიანი. იგი ასევე ფლობდა რუსულ ენას, ჰქონდა უმდიდრესი ბიბლიოთეკა, უნიკალური წიგნები რუსულ და ქართულ ენაზე.

დიდმა ბაბუამ უმაღლესი დაამთავრებინა, თავის ქალიშვილებს, ლეილა და გულნარა (ფირნაზი) ცანავებს. რუსულ ენას ასწავლიდნენ სკოლაში. რაიონში თავი დაიმკვიდრეს, როგორც უნიჭიერესმა პედაგოგებმა, კეთილშობილმა და ღირსეულმა ქალბატონებმა. „ვიდრე წინაპრები მომავალი თაობის მეხსიერებაში ცოცხლობენ, ისინი არ კვდებიანო.“ საუკუნოდ იყოს, თქვენი ხსენება! ეს წერილი ეძღვნება 120 წლის იუბილეს, ჩვენი დიდი პოლიკარპესი!





გულნაზ ხარაიშვილი (ცისკარელი)

მესაუბრება

თითქოს მესაუბრება კაცური კაცი. იომა ბექუშამ და დედიკო და მამიკო გაახარა. მან ბრძოლაში გაიმარჯვა. უფლის საჩუქარია ბექა მექვაბიშვილი. ბექას აუცილებლად დალოცავს, თავისი ბაბუა გელა სხირტლაძე.

ორ დღეში აღდომა გათენდება. როცა სულზე ვსაუბრობ არასოდეს არ ვყვები ფანტაზიას. სოფელ კოდაში ამ წუთში იმ არემარეზე დავტრიალებ სადაც ბექას ბაბუა გელა სხირტლაძე დაიბადა და გაიზარდა. ლეღვის ტოტებიდან ჩიტების ფართხალის ხმა შემომესმა. ყურადღება არ მივაქციე, რადგან წვიმიანი ამინდი იყო და ვცდილობდი სახლში ჩქარე შევსულიყავი. დასველების მორიდების თვალსაზრისით, ფეხს აუჩქარე. ფრთების ხმა თითქოს ყურთან ისმოდა, ძალაუნებურად ავიხედე, მტრედებმა ლამის ჩემი მხრები ქანდარად გაიკეთეს. ასეთი უამრავი ფაქტი ხდება ჩემს ირგვლივ როცა სოფელში ჩავდივარ. თუმცა ქალაქშიც ძალიან ხშირად დასეირნობენ ღუღუნ-ღუღუნ ჩემს სიახლოვეს მტრედების გუნდი. მტრედებს გავესაუბრე, მოხვედით? ერთ-ერთი აუცილებლად გელა იქნები, ახლავე გამოგიტან პურს ჩავილაპარაკე და სასწრაფოდ გამოუტანე პურის ლუკმა. მტრედებმა კენკვა დაიწყეს. ჩემს ეზოში ყვავის ყველაფერი, თუმცა სილამაზე სევდის ფერებში ინისლება. ერთ დროს ხმაურიანი ჩემი მაზლის ოჯახიდან ჩქამიც აღარ ისმის. ლომა ძაღლიც აღარ ხმაურობს. მეზობლებში ვიკითხე და ალბათ იზო იდარდა და სადმე მოკვდაო. მაზლი, მაზლიშვილი და მაზლის ცოლი ზეცაში არიან.

კვლავ შემაფხიზლა, გელაზე ფიქრმა და თვალწინ დამიდგა, ჩემი თაკოს ბიჭი, ბექა მექვაბიშვილი. ფიქრი რაჭასაც გადაწვდა სადაც ჩემი თეონას ორი ბოკვერი და ერთი ნენეკო იზრდება.

ყვავიან ბლები და ყვავიან ატმები,
აღდომის კვერცხით ბრდღვიალებს ტიტები,
ბექას ღიმილებით თაფლივით დავტკბები,
რაჭაშიც მეზრდებიან ბოკვერი ბიჭები.

ოთხი მაისის სიხარული

რა სიტყვები მოვძებნო, როცა სიხარული ყველანაირ სიტყვას აღემატება. დავიწყებ ორი თავდაბალობით ამაღლებული პიროვნებით, ბოტონით და ქალბატონით. ესენი არიან ბატონი თემურ გოგსაძე და ქალბატონი მაყვალა გონაშვილი. მათში არის ადამიანობის და თავდაბლობის სიხარულის სივრცე, რომლებიც საქართველოს დიდ და კეთილ ინტელექტს წარმოადგენს. დიდმა თემურიმ, ჩემმა იმედის წყარომ, ოთხ მაისს უკვდავების წყაროთი გული მომისულიერა და მითხრა: - დედი თვალები გაახილე, ჯერ კიდევ ბევრი გაქვს გასაკეთებელიო. რუსთაველის პრემიის ლაურეატის, მწერალთა კავშირის თავჯდომარემ ქალბატონმა მაყვალა გონაშვილმა კი მედეა კახიძის სახელობის პრემია გადმომცა, რომელსაც თან მოყვავა მედიასეული ღვთის მადლი. ეს მადლი დილის ხუთ საათზე მივიღე, გარეჯის ბერის, მამა ნეოფიტეს, ლონგინოზ გიორგაძის, ლამზირა შეყილაძის და ანგელოზი გოგონას სტუმრობით. ეს ისეთი მოულოდნელი იყო, გაყინული დედამიწის გული უეცრად მზის სხივებით, რომ გამოლღვება და სიკეთის მდინარედ რომ გააგრძელებს დინებას. ქალბატონი ნაირა უგულავამ კი ყელზე სიცოცხლის სხივები შემომახვია, ხელში მაისივით ლამაზი ვარდები დამაჭერინა და ჩუმი, უთქმელი გულის

შიგნით სასიცოცხლო წვეთები ჩამიწვეთა, რომელმაც მომასულიერა და ხალისიან ხასიათზე დამაყენა. ჩემმა მულიშვილებმა, ლია და ლეილა ნოზაძეებმა, ყურში ჩამჩურჩულეს, ბიცოლა , ეხ! რა გიკვირს შენ ხომ გამძლეობის ძეგლი შენი ხელით დაიდგიო. მამა ამირან ამირანაშვილმა, ამაღლების ეკლესიის წინამძღოლმა დად მაკურთხა. ღმერთმა ხუთი ძმის სანაცვლოდ მამაო გამომიგზავნა. დედმამიშვილების საძირკველი მომიძლიერა რათა არ წავქცეუკიყავი. მერე კვლავ უფლის მადლით, აკადემიაში საჩხერელმა ნიჭიერმა გოგონამ, თავისი დაწერილი ლექსი წამიკითხა, რომელშიც პოეზია კვირტები გასაშლელად ემზადებოდა. ლამაზი ღონისძიების სანაცვლოდ დიდ ქალბატონს, ნუნუკა გოგოლიძეს აკადემიაში მადლობის ბარათი გადავეცი, იმ ღვთაებრივი დღის ჩუქებისათვის, რომელმაც ეროვნულ ბიბლიოთეკის დამსწრე საზოგადოება აღაფრთოვანა. ბოლოს კი ჭალვანის გამგებელის, ქალბატონი თინიკო შუბითიძის სტუმრობით უფალმა ჩემი დათა და ძმები გამიცოცხლა, რითაც გული დამიმშვიდა. ვგრძნობდი, რომ სიცოცხლის უხილავი ძალა მემატებოდა.

სიზმარი ცხადად ახდა

ოთხი მაისი... ჩემი შემოქმედებითი საღამო დამთავრდა უბრალოებით და სიყვარულით. სათქმელი ითქვა, წარმოვჩინდი ისე, როგორი თემატიკის ლექსებიც მქონდა. წარვსდქი მოკრძალებით და რიდით დიდი საზოგადოების წინაშე. ღონისძიება ჩატარდა პარლამენტის ბიბლიოთეკაში. წამყვანები ცნობილი სახეები იყვნენ. ბატონი თემურ გოგსაძე და პოეტი ეთერ ჭელიძე. ამ თემაზე ალბათ სხვები დაწერს. კი აუცილებლად დაწერენ საჩხერის მოსწავლეები, თვითონ შემომქმედნი და ნიჭიერები. მე კი მეორე დღის 5 მაისის ღონისძებას დავიწყებ ღამის სიზმრით.

სადღაც ვიყავი, არსად ხე არ იდგა. გაავებული ქარი ქვიშის მარცვლებს ერთი ადგილიდან რეზინის გაბერილი ბურთივით აბურთავებდა. ადგილის დედას გულიდან აწიწკნიდა ბატონი ქარი ქვიშას და ერთი ადგილიდან მეორე ადგილზე ახეთქებდა. ქვიშის მარცვლები, ზოგი კლდეს ეხეთქებოდა და ზოგიც გვალვისგან დახეთქილ მიწაში იყრებოდა. წუხდა დედა - დედამიწა. ვუყურებდი ამ საზარელ სურათს და მინდოდა ქარს შევბრძოლებოდი. კლდეში საუკუნების ისტორია კვნესოდა. ქართველების სიმცირეს განიცდიდა, ღვთისმშობლის წილნაყარი წმინდა ადგილი. ღამის სამი საათი იყო. გამოქვაბულში ლოცვის ხმა ისმოდა. უკუნეთში სანთლის შუქსაც მოვლანდე თვალი. მლოცველი მამაო იყო. თითქოს ხმა ნაცნობია, მაგრამ ვერ გავარკვიე რომელი მამაოს ხმა იყო. მამა ამირანის ხმას ნამდვილად არ გავდა. მამაომ ლოცვა დაამთავრა. გარეთ გამოსულმა აქეთ-იქით პირჯვარის წერით მიიხედ-მოიხედა და გზა ქარის საწინაღმდეგო მიმართულებით განაგრძო. ვგრძნობდი, რომ დრო და დრო ვიღაცას ურეკავდა. ვიღაცას აფრთხილებდა და დროს უთითებდა. ქალის ხმაც გაისმა. ეს ხმაც ნაცნობი იყო, მაგრამ ვერც მის ხმას ვარკვევდი. ბოლოს რამოდენიმე ადამიანი ერთად შეიკრიბა და მათ მამაო გზადაგზა ლოცვის სიტყვებს ამეორებინებდა. მამაო საქებარ სიტყვებს, თავის მოსწავლეებს უშურველად ურიგებდა. ბოლოს ამ ორიდან ერთ-ერთ ქალბატონს მიუბრუნდა და დაბალი ხმის ტონით უთხრა, იცის? არა მამაო არაფერი არ იცის. კარგია! აბა, გაიმეორეთ მილოცვის ტექსტი, ისინიც

იმეორებდნენ. ვგრძნობდი რომ ძალიან კლასიკურად განათლებული პიროვნებები იყვნენ. ხელში წითელი ვარდები და შამპანიური ეჭირათ. ტკბილეულიც ჩანდა, ეს იმით მივხვდი, რომ ერთ-ლამაზ გოგონას ნაზად ეჭირა ხელში ცელოფნის ქათქათა პარკში გახვეული.

ცაზე ოდნავი შუქი გამოჩნდა ვგრძნობდი ჩქარე გათენდებოდა. დილის ცის კარს შეეგებება მყუდროებაში გახვეული დედამიწა. რა სასიამოვნოა დილით ცისკარის შეგებება. გამახსენდა ჩემი ახალი წიგნი ,,ცისკარელი", თვალები გამიბრწყინდა სიხარულისგან. მერე ისევე დავღონდი, რა მიხარია წიგნი სევდითაა სავსე. ისევ წარსულისკენ მივტრიალდი, და ფიქრმა ცუდ ხასიათზე დამაყენა. ვგრძნობ, რომ მძინავს. ჰოდა, რა ხდება? ვეკითხები ჩემს თავს. ბოლოს ძილმა დამძლია და აღარაფერი მახსოვს. კარებზე კაკუნის ხმამ გამაღვიძა. ისევ ძილში ვარ? არა ცხადში ისმის ხმა. სასწრაფოდ წამოვდექი, საათს შევხედე, ექვსი საათია. კანკალმა ამიტანა, ვინ უნდა იყოს? ხომ არაფერი უჭირთ? წამში გონებამ ყველა საახლობლო მოიარა. მაინც რა სწრაფია ეს ფიქრი სად არ გაფრინდება. ფრთხილად გავაღე კარები და სიხარულის ელდამ თავბრუ დამახვია. მამა ნეოფიტე გარეჯის ბერი, ლამზირა შეყილაძე, ჩემთვის ნახევრად ნაცნობი ლამაზი გოგონა. ნახევრად ნაცნობი იმიტომ, რომ თითქოს ვიცნობდი, მაგრამ ვერ ვიხსენებდი სად ვნახე. ბოლოს ლამაზი აღნაგობის მამაკაცი მოუახლოვდა მათ ჯგუფს და გაოცებით წამოვიძახე, რუსთაველის თეატრის მსახიობი, ლონგინოზ გიორგაძე. სიზმარი ცხადად ახდა. დილის ცისკარის ამოსვლა და დაბადების დღე ერთად მომილოცეს ღვთის გზავნილმა ხელოვანთა ჯგუფმა, რომლის წინამძღოლი, უფლის მსახური მამა ნეოფიტე იყო. დიდება შენდა ღმერთო, დიდება შენდა, აღმომხდა. უფალმა ხუთ მაისს ბედნიერების განცდებში მატრიალა!

მკვდრეთით ავღსდექი

ჩემი გული მკვდრეთით აღსდგა. ეს ამბავი ასე დაიწყო. ხონის რაიონის მსახიობია ქალბატონი გულიადა სანოძე, რომელსაც არა მარტო საქართველო იცნობს, მისი სახელი უკვე გაუკვდავდა. ქალბატონ გულიადა სანოძეზე უამრავი ფილმია შექმნილი, ის ქართველი ქალის სიმბოლოა. ქალბატონმა გულიადამ პირველ მაისს შეკრიბა ხონის რაიონის ლიტერატურის წრის წევრები, მიიყვანა დადიანის ტყეპარკში, სადაც ეკლესიაა აშენებული. ლამაზმა გოგონამ ასეთი სიტყვებით ამცნო ფეისბუქის სივრცეს. დღეს ჩვენი საყვარელი პოეტის გულნაზი ხარაიშვილის დაბადების დღე არის და თავისივე ლექსების წაკითხვით ვულოცავთ დაბადების დღეს. მე ხუთ მაისს ვარ დაბადებული და ხონის რაიონის სოფელ გორდის მომავალმა თაობამ პირველი მაისიდან დაიწყო მოლოცვა. როდესაც ქალბატონ გულიადას დავურეკე და სიცილით ვუთხარი, ,, გული" დროს რატომ ასწრებ ჩემი დაბადება პირველი მაისში რატომ გადმოიტანე-თქო, მსახიობმა მიპასუხა: -- მე ვეჭვიანობ. ყველაზე ძალიან მე უნდა მიყვარდეო. ამით იმის თქმა მინდა, რომ აღარ მიკვირს რატომ არის მისი ვაჟი ედვარდ უგულავა, ყველასათვის საყვარელი პოეტი. ედო, ასე უძახიან სიყვარულით მას მისი მეგობრები. თვითონ დიდი ქალბატონი სხვას ადიდებს და შვილებსაც თავდაბლობიდან ამაღლებას მოუწოდებს. ხონის რაიონის სოფელ გორიდან, პირველი მაისიდან დაიწყო მოლოცვები. მიხაროდა იმიტომ, რომ მე ვიყავი ის პერსონაჟი, ვინაც

უბრალო ქალბატონს, ინტელიგენციის ხალხის უმრავლესობას ახსოვს და თბილი სიტყვებით ამკობს. მიხაროდა იმიტომაც, რომ კიდევ არსებობენ გაყინულ დროში მიმფერებლები და დამფასებელი... დადგა ოთხი მაისი, ჩემი შემოქმედებითი საღომოს აღზევება. ამ იდეის ავტორი გახლდათ, თვითონ ეროვნული ბიბლიოთეკის მთავარი სპეციალისტი ქალბატონი მარინა სხირტლაძე და ბატონი გიორგი კეკელიძე. ღინისძიების წამყვანები კი იყვნენ ისეთი პიროვნებები, რომლებიც თავისი პოეზიით გალაქტიკაში ცხოვრობენ. აღიარებული პოეტები ბატონი თემურ გოგსაძე და ქალბატონი ეთერ ჭელიძე. ჩემთვის საინტერესო იყო იმითაც იყო ეს დღე, რომ იმ დღეს დაიბადა ახალი წიგნი ,,ცისკარელი" რომლის მთავარი რედაქტორია ჩემი შვილიშვილი ნანა სხირტლაძე. ნანა არის, საერთაშორისო აკადემია ,,ბუდარიას" პრეზიდენტი და საპატრიარქოს წმ. იოანე ბოლნელის სახელობის სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგი. გარდა ამისა, ამავე სკოლის ფოლკლორული გუნდის ხელმძღვანელმა, მარიკა ფოჩხიძემ, თავის მოსწავლეებთან ერთად ჩემს პოეზიას სიმღერებითაც უგალობა.

ღონისძიების პროექტში ჩართულნი იყვნენ საჩხერის მოსწავლეები, დამსახურებული პედა-გოგის და საჩხერის საპატიო მოქალაქის, მენტორი პედაგოგის, ქალბატონი ნუნუკა გოგოლიძის მომზადებულები. იმ დღეს საჩხერის რაიონის სოფელ ჭალვანიდან მესტუმრნენ სოფლის

გამგებელი თინიკო შუბითიძე და მისი და ციცო შუბითიძე, მათმა ჩამოსვლამ და ყურადღებამ ჩემი ყველა გარდაცვლილი ძმა და ძმიშვილიშვილი დათა შუბითიძე გამიცოცხლა. ღონისძიება გახსნა ამაღლებიის ეკლესიის წინამძღოლმა მამა ამირან ამირანაშვილმა. თბილისის 167-ე სკოლის მოსწავლეებსა და ქალბატონ ლელა მესხს, ფილოლოგი, საჯაროდ ვუხდი მადლობას ლექსების მხატვრულად წაკითხვისთვის. მადლობას ვუხდი რუსთაველ პოეტს , ჩოხასანს, ბატონ ნიკოლოზ გოდერძიშვილს, რომელმაც გადმომცა ჩოხოსანთა საზოგადოების თავჯდომარისგან, ბატონი ზვიადი სეზხნიაშვილისგან, გამოგზავნილი საპატიო წოდება. პირველ რიგში მადლობა, უფალო, ამ ლამაზი დღისათვის და მერე კი მადლობა მწერალთა კავშირის ბუმბერაზ ადამიანებს. რუსთაველის პრემიის ლაურეატებს, მწერალთა კავშირის თავჯდომარეს - ქალბატონ მაყვალა გონაშვილს და ბატონ რეზო მიშველაძეს. მადლობა ყველასათვის საყვარელ პოეტს , ჩემი აწ გარდაცვლილი ძმის მეგობარს, ბატონ ერეკლე საღლიანს. არა მგონია ბატონი ერეკლე, ვინმეს არ უყვარდეს და არ ეამაყებოდეს მისი ნაცნობობა. შვილებივით საყვარლები ბატონი ირაკლი ნადარეიშვილი და თენგიზ ფანცულაია, ქალბატონი მანანა სამყურაშვილი და საერთოდ ჯუმბერ ლეჟავას სახელობის საერთაშორისო სამეცნიერო აკადემიის წევრები წარმოადგენენ ერთ მთლიან სიყვარულის ცოცხალ ჯაჭვს, ბატონი გოჩა ჭელიძის თამადობით. იმ დღეს სიყვარულის ალში იყო გახვეული დამსწრე საზოგადოება. იმ ერთიან საქართველოს ლოცავდა გულნაზი დედას გული. დ ე დ ა ა, იმეორებდა, ბატონი თემური. იქ, ქალბატონი ირმა კეკელიძე იყო, თავისი ეროვნული სულით. თავმდაბლობით შემკული ექიმი ქალბატონის მდუმარება კი მაოცებდა და ორჯერ ინსტიქტურად წამოვიძახე, ,,ირმა, მოდი, უფრო ახლოს ჩემთან". თურმე ის მეორე დღის სიურპრიზისათვის ამზადებდა უფლის რჩეულთა ჯგუფს. იქ იყო ექიმი ნაირა უგულავა, თავისი ინტელექტით და ქართველი ქალის ღირსებებით შეკული. საერთო აკადემიის წევრები კი ყველა ერთისათვისაა. ეს დღე სხვანაირად სამახსოვრო იმითაცაა, რომ პოეტ ეთერ ჭელიძის საიდუმლოს ფარდა აეხადა. მას დაკავშირებია იტალიიდან ჩემი დისშვილი, ხათუნა კილაძე და მისი ქალიშვილი მარი ლომუაშვილი, რომლებსაც გაუნდვიათ სასიხარულო ინფორმაცია. მათმა მიწვევამ იტალიაში დღის პირველ საათზე ფიქრით ზეცაში მამოგზაურა . ასეთი სასიხარულო ემოციური დღეებით დამთავრდა ოთხი მაისი და ღამის ორ საათამდე მე და ჩემი ფიქრები კვლავ ერთად დავმოგზაურობდით . ბოლოს ძილის სავანეში ჩავიკარგე და დილის ცისკარმა კარებზე დააკაკუნა.

ხმამ გამომაღვიძა, ისევ ძილი გავაგრძელე. მეორედ უფრო მკაფიოდ გაისმა კარების კაკა-კუკის ხმა. სასწრაფოდ ზეზე ავდექი და დაუფიქრებლად იმიტომ გავაღე კარი, ვიფიქრე ვიღაცას უჭირს, თორემ ასე ადრე ვინ უნდა იყოს. რას ვხედავ, ხუთ მაისს, დილის ალიონზე, როცა მზე ეფერება დედამიწელებს, როცა ცისკარი იღება, გაიღო ჩემი სახლის კარები და ჩემს სახლში

შემოვიდა გარეჯის ბერი მამა ნეოფიტე ყვავილებით. ჩემთან მოვიდა ცნობილი მსახიობი , ქალბატონი ირმა კეკელიძის მეუღლე, თენგო, ეკლესიურად ლენგინოზ გიორგაძე.ლენგინოზი ეკლესიურად მფარველი ანგელოზი იყო. ჩემთან შემოვიდა ჩემი ლამზირა, რომელსაც ჩემი პირადობა დავარქვი. მხოლოდ მან იცის ვინ ვარ მე. ცისკრის ალიონს ღვთის სტუმრებს ახლდა ცისფერთვალება გოგონა, მზის სხივის ანარეკლი სხივივით მოკაშკაშე, რომელიც შეხვედრის კადრებს აფიქსირებდა.

ვდუმვარ ... ვეღარაფერს ვწერ. ვჩუმდები. ერთს კი ვიტყვი, მკვდრეთით აღვსდეგი. რაც ღიად ჩანდა და რასაც ვმალავდი ყველა დარდი ალაგდა, სადღაც სივრცეში მიმოიფანტა. მამა ნეოფიტეს მორთმეულმა ვარდებმა უბრალოებით და სულიერებით ამაღლებული ბატონი ირაკლი ნადარეიშვილის მორთმელ ვარდებში გააგრძელეს სიცოცხლე. იქვე ჩემი მულიშვილების ლია და ლეილა ნოზაძის თაიგულები თითქოს ამეტყველდნენ ,,ჩვენი ბიცოლა გულნაზი მართლაც ყველას დედა ყოფილა უფალს შეუმჩნევია და მასში უფლის მადლი გადმოსულა". ეს ნიშანია იმისა რომ საქართველოს მხოლოდ სიყვარული გადაარჩენს. აი, ეს კი ის ბერია, გარეჯში რომ არის და თავის წილს საქართველოს მარტოდ პატრონობს.

მადლობა უფალს, მადლობა საყვარელ, უბრალოებით შემკულ მწერალთა კავშირის თავჯდომარეს, რომელმაც ოთხ მაისს გადმომეცა მედეა კახიძის სახელობის პრემია. ჩემმა სულმა დედამიწასა და ზეცას შორის კვლავ დაიწყო მოგზაურობა.

თბილისის 116-ე საჯარო სკოლა

ჯუმბერ ლეჟავას სახელობის საერთაშორისო სამეცნიერო აკადემიის წევრების უმრავლესობა იცნობს ციური მასწავლებელის დიდ მაღალ იდეურ შესაძლებლობებს. იშვიათია ციური მასწავლებლისნაირი პედაგოგი. მახსოვს თბილისის 67-ე საჯარო სკოლის ათი წლის წინანდელი მისი ჩატარებული საღამოები. მწერალთა კავშირში, მირზა გელოვანის სახელობის ბიბლიოთეკაში, საჯარო ბიბილიოთეკაში. აქტიურ პედაგოგს ქონდა გასვლითი ღონისძიებეიბიც. ბოდბეში და ბატონი უშანგი მოსიაშვილის ისტორიულ მუზეუმში კასპში და სხვაგანაც. ძალიან ხშირად აწყობდა აკადემიის წევრების მიწვევას სკოლაში. ხოლო მეცნიერებათა აკადემიაში ჩატარებულ საღამოზე, როდესაც მისმა ერთ-ერთმა მოსწავლემ ქალბატონი მაყვალა გონაშვილის ლექსი წაიკითხა, დიდი მოწონება დაიმსახურა დიდი ქალბატონისგან, მაყვალა გონაშვილისგან. ჟურნალ ,, ათინათში" საბავშო განყოფილება მაქვს. ,,პატარების თვალით დანახული ცნობილი ადამიანების სახეები". ქალბატონი ციური მასწავლებლის პატარებმა, ბევრ ცნობილ პიროვნებებთან გააკეთეს ინტერვიუები. კარგა ხანი პაუზა გაკეთდა, აკადემიასა და მის ჩატარებულ ღონისძიებებს შორის. ეს კორონის გამო იყო გამოწვეული. აი, დღეს აღსდგა ურთიერთობები, ჩვენსა და პედაგოგს შორის, მაგრამ ახლა უკვე თბილისის 116- საჯარო სკოლაში. ისე სხვათა შორის, როგორც თვითონაც აღნიშნა, დირექტორებში უმართლებს. ამჟამადაც მაღალი, ლამაზთვალება და თბილგულა ქალბატონი მარიამ წაქაძე დაგვიხვდა დირექტორად. ქალბატონი მაია კვინიკაძესავით სახემომღიმარი და თბილი. ღინისძიების დამთავრების შემდეგ ათ წუთიანი საუბარი გვქონდა სკოლისა და აკადემიასთან ურთიერთობების შესახებ. ვნახოთ ... დაველოდოთ მოვლენებს წინ არ გავუსწრებ. ათინათის ორმოცდარვა ნომერში კი პირველკლასელები აუცილებლად მოხვდებიან. ზეპირად წაიკითხეს ჩემი ლექსი რომელიც ჭადრაკზე მაქვს დაწერილი. სხვათა შორის პატარებმა ორმოცდახუთ წუთში, მთელი ჭადრაკის ისტორია გადაგვიშალეს თავისი ტიკტიკით თვალ წინ. მადლობა ციური მასწავლებელო, შეუდარებელი ბრძანდებით!

მიყვარხართ

ძველებური სიყვარულით მიყვარხართ, აი, ისე ადრე, რომ იცოდნენ წმინდა უბიწო და უმანკო ფაქიზი სიყვარულით. როცა ჩემა შვილმა გელამ დამტოვა, მახსოვს ამ სიტყვებს ვიმეორებდი. დარდი არ დამავიწყო ღმერთოთქო. ისიც მახსოვს, შეცოდების ნიშნად, ყურს უკან განცდით ნათქვამი სიტყვები, საცოდავი ალბათ ვეღარ აზროვნებს, რას ბუტბუტებს დარდი არ დამავიწყო ღმერთოვო. დიახ, დარდმა არც უნდა გაგტეხოს და დარდი არც უნდა დაივიწყო. ღმერთმა

შემისრულა თხოვნა, დარდმა არც გამტეხა და ღმერთმა არ დამავიწყა ის ტკივილი რაც თერთმეტი წლის წინ ჩემს გულში დაატრიალა. მიყვარხართ ჩემო ტკივილის გამზიარებლებო. ეს რა დაინახა ჩემმა თვალებმა, რამდენი გამამხნევებელი სიტყვები დაიწერა. კომენტარებმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. მიყვარხართ, წმინდა გულით. გლოცავთ საკუთარი შვილებივით, შვილიშვილებივით, დებივით და ძმებივით. თქვენ გაიხარეთ, თქვენს საგვარეულოს არა ეტკინოთ რა ასი წელი.

მიენდე უფალს

სართოდ დავეძებ უფლის მოყვარულს და კეთილ ადამიანებს. ვეძებ ლექსებში, მეცნიერებაში და ლიტერატურის ყველა დარგში. თუმცა გააჩნია მეცნიერების დარგსაც. აი, მაგალითად ეკონომიკაში არ სჩანს ვის როგორი სული აქვს. ხელოვნებაში და პოეზიაში მკაფიოდ აისახება, ავტორის ხასიათი. შემთხვევით წავაწყდი ერთ-ერთი ქალბატონის ლექსებს.

აი, რას წერდა:

,,სუნთქვა შეგეკრება, გული აჩქარდება, სისხლი მოაწვება ხარღვებს,

შენ თუ ქართველი ხარ, გენიც ქართული გაქვს, მჯერა არ გასწირავ ქართველს"

გულში სიამე ვიგრძენი და ვინაობამ დამაინტერესა. ავტორი დარეჯან ღონღაძე გამოდგა. ძალიან გამეხარდა, რადგან ამ პატრიოტული სულის ქალბატონის გვარის ნათესავები მყავს ქარელში. ვისაც ვიცნობ ღონღაძეები ძალიან კარგები არიან. ვინ არ იცნობდა აწ გარდაცვლილ სერგო ღონღაძეს და მის შვილებს, ნუგზარ და დოდო ღონღაძეებს. ნუგზარისა და დოდო ღონღაძის და (ქეთინო) ჩემი ძახალი არის რძლის დედა. ბრწყინვალე პიროვნებებია მათი შთამომავალი. ღონღაძის გვარის წაკითხვის შემდეგ, ლექსებს ისევ მიუტრიალდი. რამოდენიმე ლექსი წავიკითხე და დავინახე ცასა და ცოდვილი დედამიწის შორის მოტრიალე პოეტი. ზოგჯერ ფიქრებს განშორებული და უფლის კართან მიახლოვებული.

,,თითქოს უსიტყვოდ მომეძალა გულიდან ლოცვა,

ათიათასი შეკითხვა და პასუხი ცოტა.

აჩქარებული გულის ცემა და სულის ბრძოლა,

მოუსვენარი და უძილო ფიქრების გროვა ",

ფიქრებს გაცემული ლექსების ავტორი უფალთან სიახლოვით სიმშვიდეს გრძნობდა.

,,ისევ მოგიხმობ, უფალო, ვიცი რომ მოხვალ...

არ მიმატოვებ, დამანახებ სწორი გზის აღმართს"

ძალიან გამეხარდა ღმერთთან სიახლოვე რწმენით. დიახ! უნდა ირწმუნო, უნდა გწამდეს და ყველაფერი კარგად იქნება. არასოდეს არ უნდა ჩავარდე უიმედობის ზღვაში. თუ მაინც მოხვ-დები, ფონი უნდა ეძებო და აუცილებლად გაცურავ ნაპირზე. დიდმა მოგზაურმა ჯუმბერ ლეჟავამ რწმენით გაიმარჯვა. მას ექიმებმა სამ მეტრზე მეტი ნაწლავი ამოაცალეს და თან სამი დღის სიცოცხლე გამოუწერეს რეცეპტად. ბატონმა ჯუმბერიმ რწმენით გაიმარჯვა და ექიმების მიერ წელში გადაწყვეტილი იმედის შემდეგ, თოთხმეტჯერ შევიდა გინესის წიგნში და ცხრა წლის განმავლობაში კი ველოსიპეტით იმოგზაურა მსოფლიოს გარშემო. შოთა რუსთაველის გენიალუ-რი სიტყვებით ,,ვინც მოყვარესა არ ეძებს იგი თავისა მტერია" ავტორის ლექსებში სჩანს იმედიც და გაუტანელი ადამიანების სახეებიც.

,,მომრავლდნენ მუზები, მომრავლდნენ სიტყვები

და თავის ადგილზე დალაგდნენ რითმები"

ამ დროს ფიქრის ფანჯრები იღება და მზის ალიონს ეგებება.

,,ფერად ყვავილებს შემაგებებს ლამაზი დილა

ამაზე კარგი ნეტარება ანდა რად მინდა"

დაე, სიხარულის ცისკრის დილები იღებოდეს, შენს ფანჯრებში, ასი წელი ქალბატონო პოეტო. იმედებით აივსე უბე კალთა და მიენდე უფალს, ისაა ყველას მშველელი და განმკითხავი.

სიყვარული ყველა შესაძლებლობებზე დიდია

ასეთი განსხვავებული სიყვარული იცის გულნაზი დედამ. უყვარს უზომოდ და უკიდეგანოდ. სიყვარული სულის სიახლოვეა, ფიქრია უსამანო და უსაზღვრო. სიყვარული ყველა ძლიერ ადამიანზე დიდია, რადგან ადამიანის შეაძლებლობებს აღემატება. ჩემი სულიერი შვილების მიმართ, რა შესაძლებლობებიც მაქვს ისე ვიჩენ ყურადღებას. რომ არავინ მეჯავრება არა ერთხელ დავწერე. ქალბატონმა გიული ერგემლიძემ ჩემი პატარა ჩანახატი სიმღერად აქცია ნამცვრეულას, რომ გავს. იმ ჩანახატში ასე ვწერ. არც დაიჯეროთ, რომ ვინმე მეჯავრებოდეთ, თუმცა მწყინს,

მტკივა და მიყვარხართ. ვინც ამ სიტყვებს გაანალიზებს მიხვდება, რომ მწყინს, მტკივა და მიყვარს. ჰო, ასეა, მე სიყვარული შემიძლია სხვა არაფერი. ნინო უძილაურის სიყვარული ამ ფორმით შევაქმნევინე მხატვარ ალექსანდრე ციხელაშვილს. ვთხოვე და სურათი დავახატინე. თუმცა სახით არც ერთი არ ვგვართ. სამაგიეროდ ამ სურათში დაფიქსირებულია ის მომენტი, როცა ისრაელიდან, ჩვენი აკადემიის შვილები, ბატონი აბრამ პაატა იოსებაშვილი და ქალბატონი ლოლა იოსებაშვილი გვეწვიენ. ავანთე სანთელი და მომენტში სურათი გადაგვიღეს. ბატონმა ალექსანდრემ ბრწყინვალე ისტორიული კადრი შექმნა. ნახატ სურათში მაღლა ჩემი ძმაა ბეჟან ხარაიშვილი, წინ ანთოლოგია და ხელში ღვთიშობელის ხატი მიჭირავს. ღმერთო დალოცე საქართველო.

შენ კი ნინო საყვარელო, ერთ დღეში გათენდება დაბადების დღე, დაირეკება 27 აპრილი სიხარულით. მე ტკივილს და სიხარულს შემახსენებს. ციდან ჩემი გელა მოგილოცავს რადგან ისიც ოცდაშვიდ აპრილსაა დაბადებული და აქ, კი მე გილოცავ. გელა ცაში გაშლის სიყვარულის კარავს და შენ დაბლა გაშალე შვილო სათნოების სუფრა . დამილოცეთ სრულიად საქართველო საყვარელო ნინო და შვილო გელა.

დედა გენაცვალოს

გელა გილოცავ დაბადების დღეს.

დღეს ოცდაშვიდი აპრილია, დილის ცხრა საათზე გაჩნდი. ორმოცი გაზაფხულის შემდეგ მარადისობის გზაზე გადაინაცვლე.

ცაში ერთ დიდ სუფრაზე თავს მოიყრით შვილო და დალოცე დედი შენი ცოლშვილი. უკვე ბაბუა გახდი და ოთხი შვილიშვილი გყავს. დღეს ორმოცდათერთმეტი წლის გახდი. თერთმეტი წელიწადია ჩემი ღამის ფიქრები ცაში ტრიალებს. შინაგანი ხმა მაძლიერებს და მამშვიდებს. ეს ხმა შენია დედი, შენ გიყვარდა დედა ყველაზე ძალიან. ისეთი ძლიერი იყავი, არც სიყვარულის აღიარების გერიდებოდა და არც არავისი გეშინიდა. ბედისწერამ ისე გამომაცალა ხელიდან შენი თავი, ქორი, რომ წიწილას დაცხრება და წაიყვანს. გილოცავ დედი დაბადების დღეს. თამრო მამიდა ტორტს გაგიკეთებს, იზო ბიცოლა ხაჭაპურებს დაგიცხობს. დათა ძირულის თევზსს დაიჭერდა. ბიძები იმდენი გყავს, ჩემი ბუმბერაზი ძმები არაფერს მოგაკლებენ. მე რა გაგიკეთო დედა გენაცვალოს?

ჰო, ასე მოხდა

თბილისში თავისუფლებაზე, წმინდა გიორგის ძეგლის გვერდზე ოთხსართულიანი შენობა ძველებურად დგას და წარსულს იხსენებს. ლამაზი ხედის ფონზე,

ხშირად პუშკინის ბაღში სტუდენტური დიალოგები ისე გამიმართავს, არც გაუგიათ თანამშრომლებს. თუმცა ძალიან ტკბილი ურთიერთობა მქონდა კოლეგებთან. ლამაზი ურთიერთობის შენარჩუნება დაკვირვებას და სწორად მიმართვის ტექსტს მოითხოვს. ძალიან ხშირად ისე ჩამომიყვანია სტუდენტები არც გაუგია არავის და მათაც ჩემთვის გული გადაუხსნიათ. ყველაზე რთული იყო ისეთ ბავშვებთან მუშაობა, რომლის მშობლები გაცილებულები იყვნენ.

მოზარდები ამას ძალიან განიცდიდნენ და მე კი მათი ტკივილის მოზიარე ვხდებოდი. ერთხელ ერთი სტუდენტი მეუბნება, იცი გულნაზი მასწავლებელო, შენნაირი დამრიგებელი, რომ მყოლოდა რა ბედნიერი ვიქნებოდიო. ახლა ჩემთან ხომ ხაარ? ვუთხარი დაფიქრებულმა და პასუხს დაცელოდე. ახლა დაგვიანებულიაო მიპასუხა. სკოლა კოლეჯი სადაც მე ვმუშაობდი ზვიად გამსახურდიას სახელობის ფართოპროფილიანი სკოლა კოლაჟი იყო. დიდებული პიროვნება იყო ბატონი დავით მენაფირე, კოლეჯის გენარული დირექტორი. ასეთი ეროვნული სულის ქართველი იშვიათად მინახავს. ან არც მინახავს. მას რომ ეცოცხლა ძალიან ბევრ სასიკეთო საქმეს გააკეთებდა. გამბედავი, კეთილი, გვერდში მდგომი, ზოგჯერ მკაცრი, მაგრამ მის სიმკაცრეშიც დიდ სითბოს დაინახავდი. იმ დღეს როცა ეს მოხდა ჩვეულებრივად ჩატარდა, გაკვეთილები, მეორე სმენაში კოლეჯის

ბავშვები გაუშვი და მოსამზადებელ ჯგუფს ველოდებოდი. აუდიტორიებში დამლაგებელი ფუსფუსებდა. ჩემს სამუშაო ოთახში სიჩუმემ დაისადგურა. სიჩუმე კარგა ხანს გაგრძელდა. ფანჯრიდან სამება მოჩანდა. ჩემი თვალით დავინახე სამებიდან როგორ გამოფრინდა ორი მტრედი და ფანჯრის რაფაზე ჩამოსკუპდა. მტრედებს პურის ლუკმა დავუდე ფრთხილად, ვცდილობდი არ დამეფრთხო სასურველი სტუმრები. კარებზე კაკუნი გაისმა. კარი გავაღე და რას ვხედავ, ჩემს წინ იდგა ულამაზესი ქალბატონი, ხელში ხატი ეჭირა. პირჯვარს იწერდა და სიტყვებს ხმამაღლა სიტყვებს იმეორებდა. დიდება უფალს, დიდება უფალსო. ქალბატონს სკამი შევთავაზე, ისიც სწრაფად ჩამოჯდა და საუბარი დაიწყო. ანჩის ხატის ეკლესიიდან მოვდივარ. ანგელოზის კვალს გამოვყევი და აქ მომიყვანაო. ქალბატონო მივმართე ცოტა დაბნეულმა. ეს მეოთხე სართულია და ანგელოზის კვალი აქამდე ამოგყვა? გაკვირვებით შემომხედა და საუბარი განაგრძო. აი, აქ მომიყვანა ანგელოზმა. ოთახის ყველა კუთხეს ჯვარი გადაწერა და მითხრა. შენ მადლმოსილი ხარ. ამის შემდეგ ეს ქალბატონი ხშირად შემოდიოდა და ყოველთვის ტოვებდა ასეთი სიტყვების ფრაზებს. შენში მადლია, მადლმოსილი ხარ. დღეს სოხუმის უნივერსიტეტის ლექტორმა დამირეკა ქალბატონმა ლუარა სორდიამ. ეს ის ქალბატონია, რომელსაც შვიდი წიგნი მარტო გალაქტიონ ტაბიძეზე აქვს დაწერილი. ბატონ რეზო მიშველაძეზე, სამადაშვილზე, რობერტ მესხზე და უამრავ სხვა პიროვნებაზე. ოთხმოცი სამეცნიერო წიგნის ავტორია. თვითონ ქალბატონმა ლუარამ შემახსენა, იმ უცნობმა ქალბატონმა, რომ თქვა შენს ოთახში აქ მადლიაო. აბა გაიხსენე მე, რომ შენი პოეზიიდან გამომდინარე სამეცნიერო წიგნი დავწერე. ახლა დავფიქრდი წიგნის სათაური იმ ქალბატონის სიტყვებიდან დაიბადაო. ანგელოზის კვალს მოვყევი. აქ მადლი არის. მე ხომ დავწერე შენზე წიგნი ,, მადლმოსილი". ჩვენ მეგობრები ვართ მე და ლუარა სორდია და ერთმანეთს ქალბატონობის გარეშე ვესაუბრებით. დღეს მან მოიგონა, უცნობი ქალბატონი და თან მითხრა, შენთან რომ მოვდივარ, მშვიდდები, შენში ღვთიური მადლიაო. იმ ქალბატონის უცნაურად სტუმრობის დღეები გამახსენა და მეც სასიამოვნო მოგონებებში ჩავიძირე!

მადლიანი დღე

წლევანდელი აღდომა 2023 წლის თექვსმეტ აპრილს იზეიმა საქართველომ. ჩემი სამყაროს გაზაფხულის რა მოგახსენოთ, სევდიანია. თუმცა ტკივილის ალი გულის კედლებში ისე იწვის, გარედან უდარდელობის როლს თამაშობს. უკვე თერთმეტი წელიწადია ამ ფერებში ვწრიალებ. წელს ჩემი გელას სასაფლაოზე ოთხი შვილიშვილი დაბაჩუნობდა, დიდი მადლობა ამისათვის ჩემი შვილის სიძეებს, გიორგი ლობჯანიძეს და ნიკოლოზ მექვაბიშვილს. გამოაცოცხლეს, აახმაურეს, სევდისფერებში შეფუთვნული სახლის აივნები. დღეს კი თვრამეტი აპრილია, ვიფიქრე ერთ მადლს კიდევ გავაკეთებ და ვესტუმრე ქალბატონ ცისანა გვრიტიშვილს. ქალბატონ ცისანა ლექსზე, ლია ალადაშვილმა სიმღერა შექმნა და ლიაც წავიყვანე. რუსთავიდან კარგი

დასვენებული ქალბატონივით გავემგზავრე ეტლს მიჯაჭული ქალბატონის გასახარებლად. დიდუბეში ლია შემხვდა, თიქოს ეშმაკის ბორბალი დატრიალდა, გზა შეგვეშალა და ბევრჯერ მოგვიწია ერთი და იგივე ადგილის გამეორება. ბოლოს როგორც იქნა გავიარეთ ლამაზად დასახლებული ადგილები და ერთ- ერთი ვარდის ხეივნიან ეზოს წინ, ლამაზი ქალბატონები და ბატონები მომღიმარი სახით შემოგვხვდნენ. ინტუიციით მიხვდი, რომ ცისანას ვაჟები უნდა ყოფილიყვნენ. არ შემცდარვარ. პოეტის ვაჟკაცები იყვნენ. სახე მომღიმარი ქალბატონები კი რძლები . დამაინტერესა და ვიკითხე, რძლები რომელი კუთხიდან იყვნენ, ორივემ ერთად წარმოსთქვეს, ფოთელები ვართ. ფოთელები? სიტყვა გავიმეორე და წარსულში გადავიხედე. ბატონ ნუგზარ ნადარაიას თუ იცნობდით? კი! მშვიდად წარმოსთქვა ლამაზმა ქალბატონებმა. ორივე ქალბატონს ნინო ერქვა და ორივეს საჩუქრად გადავეცი , ბატონი რეზო ადამიას წმინდა ნინოს ხატით შექმნილილი ჟურნალი ,,ათინათი". მოვიგონეთ ბატონი ნუგზარი და ერთხელ კიდევ ვიამაყე, რომ ფაზისის სამეცნიერო აკადემიის ვიცე პრეზიდენტი ვიყავი, დიდებული პიროვნების სიცოცხლის პერიოდში. მისი მეუღლე ექიმია, ქალბატონი მანანა ქორიძე, ალაპარაკდა ერთ-ერთი ნინო. მე მან მამშობიარა. ძალიან კარგი ვთქვი და ქალბატონ ცისანასკენ შევტრიალდი. ლამაზად გაწყობილი მაგიდას ამშვენებდა ცისანას წიგნები. ერთი, ორი, სამი, ოთხი და ამ ოთხიდან ერთ - ერთის სათაურმა ისე ამომაკვნესა , ჩემი გულის ხმაურის მე თვითონ შემეშინდა. წიგნის სათაური იყო, ,,ფანჯრიდან დანახული სამყარო". ამ სიტყვებმა ისე ამაძაგძაგა, უცებ სხეულმა გამყინვარება დაიწყო. წიგნის ანოტაციას გადავხედე. ქალბატონი ცისანა მკითხველს მიმართავს: ,,ჩემი ბოლო წლების ისტორია კარგად იცით და მიხვდებით წიგნის სახელწოდება რატომ შევარჩიე, თითქმის ოცი წელზე მეტია სამყაროს ფანჯრიდან ვხედავ. გახსოვდეთ თუ ოდესმე ტკივილი გზად წამოგეწიათ, გამაგრდით ისე, რომ მტერმა დაჩაგრული და წაქცეული არ დაგინახოსთ. თქვენი სისუსტით ახლობლებს გული არ ატკინოთ. ცუდის გახსენება უაზრობაა. დაგლოცავთ, იარეთ წინ მართალი საქმის კეთებით. აი, ასეთი ქალბატონი მოვიკითხე აღდომის მესამე დღეს. აქ, თავის სათქმელს თვითონ ამბობს ქალბატონი ცისანა გვრიტიშვილი და იმედის სიტყვებით გამხნევებთ!

ვიცი რომ გაგეხარდება

ხუთი წელიწადია შენი ლამაზი გოგო არ გინახავს, შენი ეკუნა. სააღდომო სურპრიზია თბილო ქალბატონო. არ იტირო, არ აიჩუყო გული, შენ ისეთი ოჯახი გაქვს, ღირს მონატრებად. ესაა ის, აკადემია სადაც შენ გაწევრიანდი.

***

გულში გაზაფხული დაგინთე,
ცრელით აგატირე ნანა,
დროც ცოტა ძუნწად დაგითმე,
ბედია გამოცანა.



აღდომას გილოცავ ძმაო

ბეჟან, ჩემო კეთილო და პატრიოტული მოზღვავებული სულის უძლიერესო 30 წლის ძმაო. შენი ახალგაზრდობის წლებით ცაში დამოგზაურობ. დალოცე შენი საყვარელი საქართველო. დალოცე შენი ლექსის სიმღერის შემქნელი ლია ალადაშვილი და მარიკა ფოჩხიძე. ბეჟან ძმაო, ეს ბუნებრივად მოხდა, შენი და ჩემი ლექსების მოსმენით, რომელიც უნიჭიერესი პედაგოგით მარიკა ფოჩხიძის შესრულებით დავტკბით, გული გაზაფხულივით გამოცოცხლდა და კვლავ ენერგიით ვაგრძელებ ჩემი და შენი საყვარელი საქათველოს სამსახურში უნდა ამოიწუროს ხელოვნების შესაძლებლობები!

მადლობა

კვარტეტის დამფუძნებლებს, პედაგოგებს დიდი მადლობა ნანა სხირტლაძეს და მარიკა ფოჩხიძეს.

დიდი მეუფის თადეოზ მირიან იორამაშვილის საღამოს ჩატარების შემდეგ ისევ მივუტრიალდი ,,კვარტეტის დამფუძნებლებს", ნიჭიერი პედაგოგების, ნანა სხირტლაძის და მარიკა ფოჩხიძის ჩატარებულ საღამოს. ჩემი და ბეჟან ხარაიშვილის შექმნილ ლექსების ტექსტების შექმნილი სიმღერა, რომელის ავტორია ქალბატონი ლია ალადაშვილი, უნიჭიერესმა პედაგოგმა მარიკა ფოჩხიძემ სამ დღეში შეისწავლა. ღონისხიება, რომელიც, ოთხი შემოქმედის საპატივსაცემოდ ჩაატარდა და რომელსაც თვითონ დაარქვეს სახელი ,,პოეზიის კვარტეტი" ძალიან ლამაზი ფორმით, მაღალი ესთეთიკური გემოვნებით შემოგვთავაზეს, რისთვისაც ერთხელ კიდევ დიდი მადლობა.

ჩემი ლექსი ეძღვნება მწერალთა კავშირის თავჯდომარეს, ქალბატონ მაყვალა გონაშვილს. ბეჟან ხარაიშვილის ლექსი კი ორმოცი წლის წინაა დაწერილი, ეს საიდუმლო ამოცნობია, რადგან ოცდაათი წლის პოეტის სული ცის მარადისობის მგზავრია და მოგზაურობს.

მეუფის სულის ზეიმი

დიდი მადლობა მწერალთა კავშირის თავჯდომარეს, ქალბატონ მაყვალა გონაშვილს და ოთხივე თანათაჯდომარეს, გამგეობის გადაწყვეტილებით, გარდაცვალების შემდეგ , თადეოზს, მეუფე იორამ იორამაშვილს, გადაეცა ,,დავით აღმაშენებლის ენდალმა. ბატონმა ბაღათერ არაბულმა და ბატონმა ერეკლე საღლიანმა მეუფის პოეზიას ღრმა შეფასება მისცეს და თავისი მოსაზრება სიტყითაც აღნიშნეს. ძალიან საინტერესო იყო ბატონი გოჩა ჭელიძის გამოსვლა. ბატონი გოჩას ისტორიულ ნარკვევს წიგნად გამოსულს ჩქარე იხილავს მკითხველი, მას აუცილებლად მეუფის სული დალოცავს . როცა თავდაბლობა შეგიძლია, აუცილებლად ამაღლდები. მეუფე თადეოზ იორამ იორამაშვილი წავიდა, გარდაიცვალა, მაგრამ ის ჩვენს გულებში დარჩა. დიდი მადლობა უნდა გადავუხადო ბატონ სერგი ლომაძეს, იმ სამეცნიერო წერილისთვის რომელიც, მან ანთოლოგიის 12 ტომში დაბეჭდა. ეს ისეთი სამეცნიერო წერილია, სადაც აღწერილია მეუფის ლექსების უკვდავება. მეუფე პოეტი იყო. ,, პოეტები ყველაზე ადრე კვდებიან და პოეტები ყველაზე დიდი ხნით ცოცხლობენ" (ბეჟან ხარაიშვილი) დიახ , პოეტები ყველაზე დიდი ხნით ცოცხლობენ, არასოდეს არ კვდებიან. პოეტი უკვდავია. მეუფე გარდაცვალებიდან დღემდე, ჟურნალ ,,ათინათის " ყველა ნომერში და ანთოლოგიაში იბეჭდება და ეს ასე გაგრძელდება სანამ ,, ცისკარელი" ცის კარებს არ შეაღებს. მეუფის მეუღლის ქალბატონი (თამარის) საპატივსაცემოდ ქარელიდან ჩამოსულები იყვნენ ,,ანსამბლი ყინწვისი" . ამაში დიდი წვლილი მიუძღვის ჯუმბერ ლეჟავას სახელობის აკადემიის წევრს, პოეტ მთვარისა ზეინკლიშვილს. მთვარისა ცდილობდა, განიცდიდა, უნდოდა, რომ ქარელში მიეღო მონაწილეობა, მეუფის ხსოვნისადმი მიძღვნილ საღამოზე, რადგან მეუფის მეღლე ქარელელი იყო მის საპატივსაცემოდ ქარელის მოცეკვავეები,, ყინწვისი" უნდა ჩამოეყვანა. ღონისძიება

გახსნა, მამა ამირან ამირანაშვილმა, ამაღლების წინამძღოლმა .ღინისძიებაზე წაკითხული იყო, მეუფის ლექსები.

საინტერესო იყო უშგულიდან ჩამოსული ვაჩე ჭელიძის წაკითხული ლექსი . მიძღვნილი ლექსებიდან ყველაზე საინტერესო იყო, მიძღვნილი ლექსები, პოეტი ლამზირა შეყილახის და ბატონი ირაკლი ნადარეიშვილის ლექსი. ბატონი ირაკლის ლექსი იმდენად ღრმა შინაარსისაა, აუცილებლად დაინტერესდებიან კრიტიკოსები. ბატონი ირაკლის ლექსი მრავლის მთქმელია. როდესაც ლექსი ავტორმა ბატონმა ირაკლიმ, წაიკითხა , ვუსმენდი და გულში ასეთი აზრი მიტრიალებდა, ამ საკითხზე აუცილებლად გავესაუბრები სოხუმის უნივერსიტეტის სრულ პროფესორს ქალბატონ ლუარა სორდიას. ჰო, ჩამძახოდა შინაგანი მე. თითეული ღონისძიებიდან , მარადიული რაღაცა უნდა გააკეთო. ეს არის შენი მიზანი, ეს დარჩება, სხვა ყველაფერი წარმავალია. ამაზე თუ იფიქრებ, მაშინ ექნება აზრი შენ შრომას. ფიქრშივე მივიღე გადაწყვეტილება, ამას გავაკეთებ და ამით მიძღვნილ ბატონ ირაკლი ნადარაიშვილის ლექსით ახალი სიტყვა ითქმება, მეცნიერის ქალბატონი ლუარა სორდიას კალმით. რაც შეეხება ქარელიდან ჩამოსულ ორმოც მოცეკვავე ბავშს, საჩუქრად გადავეცი სხვადასხვა წლებში გამოცემული, ჟურნალი

,,ათინათები". როცა ეს გადაწყვეტილება მივიღე ასე ვფიქრობდი. პატარა მოცქრიალე მოცეკვავეების ჯამრთელობა უნდა დაეცვა , წმინდა ნინოს, წმინდა გიორგის და დედა ღვთისმშობლს. ჟურნალი ათინათი ხატებში არის გახვეული. ყინწვისის ორმოცო ანგელოზო, ასი წელი ფრჩხილიც კი არ გეტკინოთ. ქორეოგრაფს ბატონ პაატას კი ჩემი წიგნი ,,სულის ტაძარი" მგზავრად გავაყოლე. შენს სულში ბატონო პაატა სულის ტაძრის ქარიშხლი არ ჩანელებულიყოს. მთლიანობაში ღონისძიება მეუფის ოჯახით იყო დასამახსოვრებელი. ღონისძიებაზე სიტყვით გამოვიდნენ მეუფის ულამაზესი ქალიშვილები. ქალბატონი თამარი მეუფესავით წყნარი და მშვიდი , იდგა თავდახრილი და მისი იდუმალებით ავსილი ფიქრი უსათუოდ მეუფესთან საუბრობდა. ძალიან ბევრისგან შიგახმდაშიგ წამოძახილი სიტყვები ისმოდა , მეუფე დღეს აქ არის. ეს სიტყვები დარბაზს მზის ,,ათინათებად" ეფინებოდა. ღონისძიების დასაწყისში ორმა პოეტმა, ორმა ეთერიმ, ჭელიძემ და ისაკაძემ, დამსწრე საზოგადოებას, მაღალი პროფესიონალური ლიტერატურული ენით , სერგი ლომაძის მიერ განხილული მეუფის ბიოგრაფია და პოეზია,გააცნეს. ქალბატონებმა ბრწყინვალედ წაიკითხეს სერგის მიერ დაწერილი სამეცნიერო წერილი. მათმა სასულიერო პირი აწ გარდაცვლილი (მეუფე) და პოეზია ერთად დიდ ცოცხალ ორგანიზმად გადააქციეს. კახა ბაციკაძის შემაჯამებილი სიტყვიდან ასეთი აზრი გამოვიტანე, იმ დღის ღონისძიებით ორივე კახა და სერგი კმაყოფილები იყვნენ. მე კი უკმაყოფილო წამოვედი იმით, რომ ვგრძნობდი სათქმელი ბევრს დარჩა , კიდევ უნდოდათ ეთქვათ. აი, თუნდაც კახეთიდან ჩამოსული ქალბატონი მანანა სამყურაშვილი მხოლოდ ერთი მეუფის ლექსის წაკითხვით შემოიფარგლა, არა და ნიჭირი ქალბატონის თვალებში უფრო მეტი იკითხებოდა ვიდრე თქვა. მადლობა ქალბატონ ლია ალადაშვილს და ქალბატონ მარინა კოლხიდაშვილს. მეუფის ლექსები მათი სიმღერებით ზეცის სივრცეში იჭრებოდნენ და გარდაცვლილ სულებს წინასწარ აღმდომას ულოცავდნენ!

ნაილი ხარაიშვილი-ხეთერელი

ხარაიშვილრბის საამაყო ნაილი, შენი ღიმილი მაისისს ვარდივით ლამაზია. ისე იცხოვრე შენზე აუგი არავის უთქვია. ოცდათორმეტი წლის ქვრივმა გაზარდე ორი შვილი. მე როცა თბილისში მომიწია მუშაობამ, ყოველთვის ჩემს გვერდით იყავი. მაკლიხარ , მაგრამ ვამაყობ. შენ- შენი ახალგაზრდობის წლები ქალურ ღირსებებს შეალიე და ახლა უკვე სხეული შენი დედათა მონასტერში ასვენია. ო, რა საამოდ ჭიკჭიკობდნენ ჩიტები, რა ლამაზია ის ადგილი ,სადაც შენ განისვენებ. ახლა კი თვალი შეავლე შენ საგვარეულო დროშას აკადემიაშიაა მამუკა ხარაიშვილმა მოიტანა. ამჟამად დროშა აღიმართულია იმ წმინდა ადგილას, სადაც ჯუმბერ ლეჟავას, ჟუმბერ ხარაიშვილის და შენი კვალი ამჩვნევია. გენაცვალე ჩემო საამაყო დაო ნაილი , ახლა უკვე დედათა მონასტერის სამუდამო მკვიდრო. დალოცე მთლიანად საქართველო და დალოცე შენი გვარი. შიშით არ მეშინია, მაგრამ ფიქრით ბევრჯერ ვფიქრობ, ძილიც ხშირად მიტყდება დაო და იცი რატომ? უმცირესობაშვი ვხედავ ჩემს ჯიშს. უმრავლესობაშია სხვადასხვა ერი საქართველოში. ოთხ მაისს ჩემი შემოქმედებითი საღამო ჩატარდა პარლამენტის ბიბლიოთეკაში, ნათელა იყო მოსული შენი დაიკო. ხარაიშვილების საამაყო ნათელა, რომლის სახელი სასოფლო სამეურნეო ინსტიტუში ქუხდა. მე ვიჯექი და შორიდან თვალს მოვავლებდი ხოლმე. იჯდა ჩემი ნათელა და ვგრძნობდი უხაროდა ჩემი წარმატება. შენსა და მის შორის დიდი განსხვავება დავინახე. მისმა დაფიქრებულმა სახემ დამაღონა. ვგრძნობდი, რომ იმ დროის განმავლობაში როდესაც ღინისძიება მიმდინარეობდა მის წინ ლამაზი წარსული იშლებოდა. აგონდებოდა, საამაყო ოჯახი ნოე ხარაიშვილის და მარი კოსტავას შექმნილი. ოჯახი, რომლის ბუდეში თქვენ გაიზარდეთ საამაყო შვილები. იჯდა ფიქრებში ჩართული ნათელა და დრო და დრო მის სახეზე დარდის ფერები ცეკვავდნენ. საყვარელო, შენ რომ ყოფილიყავი ხალხს მისწევ-მოსწევდი და სიტყვით გამოხვიდოდი. ჩემს ნათელას იმ ლამაზი მოგონების მყუდროება აღარ დაურღვიეს თუ იქ, არ ეგონოთ რადგან ღონისძიების წამყვანები არ იცნობდნენ და ალბათ გადაავიწყდათ, წყნარად მჯდარი ჩემი ნათელასთვის, სიტყვა არ უთხოვიათ. ღონისძიება როცა დამთავრდა საჩუქარი გადმომცა უხმაუროდ და ჩამჩურჩულა, მიყვარხარ და მეამაყებიო. მე ვინ ვარ შენთან ან ნათელასთან, ჩემო მართლაც საამაყოებო. შენ გარდაცვლილი ათას ცოცხალს მირჩევნინხარ. შენ და ჯუმბერ ხარაიშვილი ჩემთვის არ გარდაცვლილხართ , ჩემთან დარჩით. შენს საფლავზე როცა მოვედით მე და ლამზირა შეყილაძე, ქვაზე დაწერილი წარწერა მონაზონი ხარაიშვილი- ხეთერელი ,რომ დავინახე ვიამაყე.

ესაა საკუთარ თავზე გამარჯვება. შენ გამარჯვებული ხარ დაო და აი, ახლა საგვარეულოს დროშა, ხარაიშვილების ციდან დალოცე. უმრავლესობა ცაში ხართ. ხუთი ჩემი ძმაა, ლევანი, თამაზი, იუზა, ბეჟანი, და ამირანი. დალოცეთ საქართველო და დალოცეთ ხარაიშვილების გვარი. კლიპი, რომელიც ჩემი ღონისძიების დროს შექმნა ჩვენმა უნიჭიერესმა ეკა ბრეგვაძემ, იქ ის სურათია შენი მოთავსებული სადაც უკვე განისვენებ დედათა მონასტერში. ნათელში იყავი მონაზონო დედათა მონასტრის და უკვდავების სამუდამო მკვიდრო.

ყვითელი მიქსი

ერთი სული მაქვს, მოვისმინო, რა კითხვებს უსვამს რესპოდენტზე ასაკით პატარა თიკა ხუჭუა, პედაგოგ ნანა სხირტლაძეს. როდესაც ნანას გადაცემა დამთავრდა, ცნობილი პოეტი ჯუბა ღებელი მივიდა ლამაზ თიკასთან ჩაწერაზე. ბედ-ნიერია ქალბატონი დეზი ემანულიძე ასეთი მოწესრიგებული შვილი რომ ყავს. თიკას თავის ასაკზე დიდი აზროვნება აქვს. მის გადაცემებს თვალს ვადევნებ, მისასალმებელია, რომ თიკა ხუჭუა ვიცი სხვა სამსახურითაცაა დატვირთული. ისიც ვიცი, რომ სწავლობს. პარალერულად ტელევიზიაშიც მუშაობს. ბედნიერი იქნება ერი თუ ასეთი მომავალი ეყოლება. ბატონ ჯუბა ღებელს კი ქება დიდება არ ჭიდება, ისედაც უყვართ და აფასებენ. თუ როგორ გაართვა ნანამ კითხვებს თავი დაველოდოთ მოვლენებს. გადაცემა გავა ეთერში.

ხარაიშვილების საგვარეულოს დროშა
ჯუმბერ ლეჟავას სახელობის საერთაშორისო აკადემიაში

ჯუმბერ ხარაიშვილის სულმა გამომიგზავნა ხარაიშვილების საგვარეულო დროშა. მამუკა ხარაიშვილი რომელიც, სოხუმში დაბადებულია და გაზრდილი. თბილისში ეძებს თავისი გვარის შტოს. ახალგაზრდა (ხარა) დროშით ხელში მეწვია აკადემიაში, წიგნიც მომიტანა აწ გარდაცვლილი ბესიკ კოჭლამაზიშვილისგან გამოცემული ,,ქართული საგვარეულო კავშირები". წიგნი დაბეჭდილია უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათალიკოს- პატრიარქის ილია მეორის ლოცვა - კურთხევით. უწმენდესისგან 2000-ზე მეტი ქართული გვარია დალოცვილი! წიგნის რედაქტორი არის ბატონი რეზო ხუციშვილი, დოქტორი, პროფესორი. დაწერილია საგვარეულო ხატი. ლომისის წმინდა გიორგის, რომელიც დაბრძანებულია, მამა ამირან ამირანაშვილის ლოცვა კურთხევით ამაღლების ეკლესიაში. ხვალ ხარაიშვილრბი დაახლოვებით თერთმეტ საათზე მამა დავითის კურთხევით საგვარეულო ხატს წამოიღებენ მოსალოცად. მე დაგხვდებით თორმეტ საათზე ქაშვეთის ეკლესიასთან ხარაიშვილებო, დროშით და გადმოქცემთ დროშას, რათა წინ წარუძღვეთ გვარს საქართველოს სადიდებლად! ამინ!

სიყვარული

გაერთიანებული სიყვარული, გაერთიანებული საქართველოა. ისევ ჩემი საღამოს ირგვლივ ვტრიალობ, არ იმიტომ, რომ პატარა ბავშვივით მიხარია. კი, რატომ არ უნდა მიხაროდოს, ხალხის ამხელა ყურადღება და სიყვარული. ნამდვილად მიხარია. ყველაზე მეტად სასიხარულო ის იყო, რომ სხვადასხვა რაიონიდან ჩამოსული ღონისძიების ლიდერები მუშტრის თვალით არ ზომავდნენ ერთმანეთს. აი, მაგალითად საჩხერის წარმომადგენელმა ღონისძიების ხელმძღვანელმა ქალბატონმა ნუნუ გოგოლიძემ არა ერთხელ ხაზგასმით აღნიშნა, ქალბატონი გულიადა სამოძის წაკითხულ ლექსზე, რა ძლიერი და რა დიდებული ქალბატონიაო. ასევე მესმოდა ქალბატონი გულიადა სანოძისგან და ქალბატონი ნაირა უგულავასგან რა კარგად კითხულობდნენ პოეტის ლექსებს საჩხერელი მოსწავლეებიო. პოეტი, მე ვიქნები თუ სხვა, ლექსს იმიტომ წერს რომ მიძინებული სამყარო გამოაცოცხლეს და სიყვარული დანერგოს.დიდება ორ დიდებულ ქალბატონს, მათში გართიანებული სიყვარულის ძალა ვიგრძენი. ღმერთმა დაგლოცოთ ძვირფასებო.

შვილი და ნაშვილები

პარლამენტის ბიბლიოთეკაში ჩატარებული ღონისძიების შემდეგ, რომელიც 2023 წლის ოთხ მაისს ჩატარდა, ჯუმბერ ლეჟავას სახელობის საერთაშორისო აკადემიაში გადმოვინაცვლეს, აიპ საჩხერის მოსწავლე-ახალგაზრდული ცენტრის ლიტერატურულმა ჯგუფმა. გადმოინაცვლეს იმიტომ, რომ საჩხერიდან ჩამოსული ქალბატონი ნუნუ მასწავლებლისა და მის მიერ მომზადებული მოსწავლეებისათვის მადლობის ბარათები უნდა გადამეცა. კიდევ ის რომ, კიდევ იმიტომ რომ, მადლობის ბარათი უნდა გამეგზავნა საჩხერის ნომერ პირველი საჯარო სკოლის დირექტორისა და საწავლონაწილისათვის. მათმა მოსწავლეების მშობლებთან ერთად გადაწყვეტილებით და შეთანხმებით, მონაწილეობა მიიღეს, ჩემი წიგნის ,,ცისკარელის", პრეზენტაციაზე. მოსწავლეების მაღალ-მხატვრული წაკითხული ლექსებით კმაყოფილი დარჩნენ, მწერალთა კავშირის კლასიკოსი მწერლები. კერძოდ, ბატონი რეზო მიშველაძე და ერეკლე საღლიანი. ხოლო მწერალთა კავშირის თავჯდომარემ ქალბატონმა მაყვალა გონაშვილმა, ჩემი პოეზიის დიდაქტიკა და პატრიოტული სულის შებრძოლრბა დროსთან პრემიის გადმოცემით დაადასტურა. რისთვისაც უღრმესი მადლობა და სიხარულის ულევი წლები ქალბატონ მაყვალას და მწერალთა კავშირის ჯომისიას. მადლობა საპატრაქიასთან არსებულ ჩოხოსანთა საზოგადოების ხელმძღვანელობას, რომ ნდობა გამოუცხადეს და მიმიღეს წევრად, ამ, მეტად საპასუხისმგებლო ორგანიზაციაში წარდგინება გამიკეთა ხაშურის მუნიციპალიტეტის წარმომადგენელმა, ქალბატონ მაკა დიდებულიძემ. მუდმივი კომისიის მრჩეველად ამირჩია სამხედრო საზოგადოებამ, რომლის წარდგინების ორგანიზატორი იყო, ბატონი მამუკა გოგიტიძე და ბატონი მამია გოგოლაძე. დიდი და დამაფიქრებელია წასუხისმგებლობები. ამ პასუხისმგებლობის დიდ ზღვაში დავცურავ მთელი სიცოცხლე. ამიტომ ყურადღება და მადლობის ბარათების გაცემა საჩხერით დავიწყე. მადლობა ყველას და ყველას, ამ დროში სიხარული შეიგრძნო ცოტაას არ ნიშნავს. უფალი იყოს თქვენი მფარველი ჩემი სიხარულის გამზიარებლებო. ეს კურიოზი და ლამაზად მოსაგონარი ამბავი გორში მოხდა. ჩემი ნინო უძილაური და თემურ გიგსაძე ერთმანეთს ჩემს დედაშვილურ სიყვარულში ეცილებოდა. ყავის გამყიდველი გოგონა დააჯერეს, რომ ერთი შვილი იყო და მეორე ნაშვილები. სიხარულის რეზიუმი კი ჭალვსნიდან ჩამოსულმა, ჭალვანის გამგებელმა, ქალბატონმა თინიკო შუბითიძემ და მისმა დაიკო ციცინო გამიკეთა თავისი ჩამოსვლით და ყურადღებით!

დიდი მეცნიერი ლუარა სორდია და დოქტორი ქალბატონი ლამარა გერგედავა აკადემიაში

სამი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც ერთმანეთი არ გვინახავს. ერთ ქალაქში ვმოღვაწებთ და

დღეს შედგა ჩვენი შეხვედრა. ჩვენ ერთი წუთითაც არ დავშორდბივართ საქმით და ტელეკავშირებით ერთმანეთს, მაგრამ სამი წლის შემდეგ დღეს მოვახერხეთ ჯუმბერ ლეჟავას სახელობის საერთაშორისო სამეცნიერო აკადემიაში შეხვადრა.

ქალბატონ ლუარა სორდიას ვინ არ იცნობს, როგორც მეცნიერს და როგორც მრავალი სტუდენტის აღმზრდელს. იგი დღესაც მოღვაწეობს სოხუმის უნივერსიტეტში და სრული პროფესორი გახლავთ. ვამაყობ მისი ნიჭით და ამავე დროს მისი თავდაბლობით. ქალბატონმა ლამარა გერგედავამ მასთან დაიცვა ხარისხი და გახდა დოქტორი. ქალბატონი ლამარა გერგედავა ამჟამად მუშაობს, თბილისის 167 სკოლაში და იგი მენტორი პედაგოგია. რაოდენ საამაყოა სკოლისათვის, რომ ქართულს ასწავლის ისეთი პედაგოგი რომელსაც ხარისხი აქვს. გარდა ამისა ქალბატონი ლამარა გერგედავა, ძალიან ღრმა შინაარსიანი

მწერალია. ასე , რომ დღეს გამახარეს ჩემმა მეგობარმა ქალბატონებმა და მომილოცეს წიგნების გამოცემა. სამი წლის განმოვლობაში გამოუშვი. ,,რაა სიცოცხლე", ,,სულის ტაძარი" და ,,ცისკარელი". რა თქმა უნდა წიგნებით დაინტერესდნენ და თავიანთ აზრს გამოთქვამენ. თვითონ ქალბატონ ლუარა სორდიას, ჩემი პოეზიიდან გამომდინარე დაწერილი აქვს წიგნი ,,მადლშემოსილი". ჩემი ძმის აწ გარდაცვლილი ბეჟან ხარაიშვილის ლექსების დაინტერესების შემდეგ შექმნა,, პოეზიის მიმინო". ბეჟანი მართლაც პოეზიის მიმინო იყო. მადლობა ჩემს მეგობარ მეცნიერებს დღეს, რომ გამონახეს დრო და თითქმის მთელი დღე დამითმეს. ვისაუბრეთ სამომავლო გეგმებზე.

ვინ არის ხათუნა კილაძე

ხათუნა კილაძე არის, იტალიაში წასული ქართველი მზის სხივისი, რომელიც ცდილობს, თავისი კეთილი გულის სითბო ისე დაანაწილოს, რომ ყველას მიწვდეს. ეს ყველაფერი რისკის ფასად უჯდება ბევრ შემთხვევაში. მადლობა დეიდა გენაცვალოს ამ სიხარულისათვის. რომ გითხრა ჩემი ქვეყნიდან წასვლა ახლა ამ ასაკში კი არა და ახალგაზრდობის ასაკშიც კი მტკივნეული თემა იყო ჩემთვის. ახლა გამეხარდა და რატომ, მად მყოფ ქართველებს მინდა თვალი გადავავლოთ. მინდა დავინახო თქვენი ნოსტალგიით გამოწვეული ნაღველი. შენ გენაცვალე შვილო ხათო, მე ხომ ვიცი, რა სიცოცხლის რისკის ფასად დაგიჯდა ის, რაც ახლა შენს ხელშია, თუნდაც დეიდას მიწვევის ხარჯი. ამ ხარჯის გაღებით ჯერ მად მყოფი დედა და დაიკო გინდა გაახარო. მერე ცაში წასულ უამრავ ჩვენიანებს გინდა შეეხმიანო და ამცნო, ქართული ტრადიციები ჩვენი გენეტიკიდან გრძელდება. ამ ურთიერთობებს აგრძელებ ხათო შენ. ის რაც ჰქონდათ მე და ანერის დედიკოებს. ის რაც გვქონდა ჩვენ ბავშვებს და ახლა შენშია, თოთქოსდა ვალდებულად იხდი თავს. დეიდა გენაცვალოს, იმდენად ხარ დარწმუნებული ადამიანთა გახარების ზღვაში დაცურაობ. დარწმუნებული ვარ ზოგჯერ საკუთარი თავიც კი გავიწყდება. სიხარულის სიტყვებს გავიმეორებ, დეიდას გოგო, როგორ ვთქვა, არ გამეხარდთქო,. სიხარულის ემოცია სახეზე მეტყობა. ნუთუ მე ის გულნაზი ვარ, საღვარგარეთ წასვლა რომ გაეხარდა? კითხვები მიჩნდება, ჩემს თავზე და ვბრაზდები კიდეც. რად მიხარია, ალბათ იმიტომ, რომ თქვენ გნახავთ ერთად. ალბათ იმიტომ, რომ სიცოცხლეში ერთხელ მაინც შევადარო ჩემი ქვეყანა და იტალია ერთმანეთს. ალბათ იმიტომ რომ დავინახო რამდენია ქართველია წასული ქართული ოჯახის გადასარჩენად.

მადლობა შვილო, იყოს ნება ხვთისა და ალბათ ჩემს შვილიშვილ ნანიკოსთან ერთად ვესტუმრებით. დანარჩენი უფალია ნებაა ყველაფერი. საქმეს ვერ და არ უღალატებ. თვის ბოლოს ათინათის 48 ნომერს ჩაუშვებ და ... ჩაგეხუტებით!

წერილები

ლუარა სორდია
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

რწმენა – სიბრძნის წინამძღვარი

ლამარა გერგედავას „ლიტერატურული მოზაიკა“ დიდაქტიკური, ფილოსოფიური ნაწარმოებია, გამორჩეული ენიგმებით, სიმბოლო-ალეგორიებით, მრავალმნიშვნელოვანი სახეებით.

„იგავებით გავხსნი პირს, ავამეტყველებ გამოცანებს დასაბამისა“, ნათქვამია წმინდა წერილში (ფს.77/78)(1,434).

ცნობილია, იგავებით, სიმბოლოებით აზროვნება უმაღლესი ხელოვნებაა.

ჭეშმარიტი მხატვრული სიტყვის უპირველესი მახასიათებელია რელიგიურობა, მორწმუნეობა, სვლა არა დინების მხარეს, არა ტრაფარეტებით მანიპულირება, არამედ „სხვისთვის უხილავ-ფარულის“ ხილვა, წუთისოფლის ცდუნებების დაძლევა, მარადიული სიბრძნის გათავისება, რაც მომავალში გაღწევის გარანტიაა.

ბიბლია შეგვაგონებს: „მთავარი სიბრძნე სიბრძნის მოხვეჭაა, ყოველთა მოსახვეჭელთაგან სიბრძნე მოიხვეჭო“.

სიბრძნე ყოველგვარ სიმდიდრეზე ძვირფასია: „სიბრძნე უკეთესია ძვირფას თვლებზე და ვერც ერთი სანატრელი საგანი ვერ შეედრება მას“.

„ღმერთს არავინ უყვარს, გარდა იმისა, ვინც სიბრძნით ცხოვრობს“ (იგავნი სოლომონისა, 7,11,16,16,7,28) (1,466,471,494).

ამასთან, „შურიანი ვერ ეზიარება სიბრძნეს“ (სიბრძნე სოლომონისა (6,23)(1,493).

„სიბრძნე ზირაქისა“ გვმოძღვრავს: „ყოველივე უფალმა შექმნა და სიბრძნე ღვთისმოსავებს მისცა“.

„მხოლოდ ის, ვინც თავს შესწირავს უზენაესის რჯულის შესწავლას, გამოიძიებს წინაპართა სიბრძნეს და წინასწარმეტყველებაში გაიწაფება“.

„ბოროტის ცოდნაა არაა სიბრძნე და არც გონიერებაა იქ, სადაც ცოდვილნი ბჭობენ“ (სიბრძნე ზირაქისა, 18,22,43,33,39,1) (1,513,528,525).

დავით წინასწარმეტყველი გვამცნობს: „სიბრძნის დასაბამია შიში უფლისა“ (ფს. 110/111, 10)(2,646).

ფსალმუნის ავტორი ღმერთს ემადლიერება მისი მცნებების გათავისებით გამორჩეული: უფალო, „ჩემს მტრებზე მეტად დამაბრძენე შენი მცნებებით, ყველა ჩემს მოძღვარზე გონიერი გავხდე, რადგან შენი მცნებანი სააზროვნოა ჩემთვის“ (ფს. 118,98,99) (2,657).

„უმჯობესია ჩემთვის რჯული შენი ბაგისა, ვიდრე ათასი ოქრო და ვერცხლი. „ააცილე თვალი ჩემი ამაოების ცქერას, შენი გზით მაცოცხლე“ (ფს. 118,72,38).

„ლიტერატურულ მოზაიკის“ ავტორის წინამძღვარია ბიბლიურ წინასწარმეტყველთა მარადიული სიბრძნე. წიგნში მთელი ძალისხმევა ადამიანის მამოძრავებელი იმპულსების ხილვას, მისი სწორი გზით წარმართვას ემსახურება, ამის საწინდარი კი რწმენა, უზენაესის მცნებების დაცვა, ტაძარში სიარული, ლოცვა, რელიგიური საგალობლების გათავისებაა. აქ ყოველდღიურობა მარადისობისკენ სავალი გზის პირველი საფეხურია. წიგნის ავტორი სიბრძნეს ეძებს მთელ სამყაროში, სიბრძნე კი ორგვარია წმინდა წერილის მიხედვით: მიწიერი და ზეციური.

ზეციურ, მარადიულ სიბრძნესთან ზიარება, ჭეშმარიტებას მიგნება მხოლოდ მორწმუნეთა ხვედრია.

წმინდა წერილში დაპირისპირებულია მიწიერი და ზეციური სიბრძნე: პავლე მოციქული გმობდა „წუთისოფლის სიბრძნეს“ და შეგვაგონებდა, შეგვეცნო „ღვთის სიბრძნე, საიდუმლოებაში დაფარული“ (I კორინთელთა, 2,4,5,6,7)(1,935).

წმინდა მამის ეპისტოლეში გარეულია „ხორცის საქმეები“, რომელიც დასაგმობია და „სულის საქმეები“ რომელსაც უნდა ითავისებდეს ყოველი ჭეშმარიტი მოაზროვნე (გალატელთა მიმართ) (2, 16-26).

„ღვთის მორწმუნეს ლოცვით მიმადლება ყოველგვარი სიბრძნე და სულიერი გონება“, გვმოძღვრავს პავლე მოციქული (კოლასელთა 1,9) (2,431).

ნიჭთა მომმადლებლად მიიჩნევა სამების მესამე წევრი–სულიწმინდა (I კორინთელთა, 12, 8-11) (2,941).

სიბრძნე ღმერთია: „წყარო სიბრძნისა–უფალი (ბარუქ წინასწარმეტყველი, 3,12) (1, 618).

„ღმერთი სიბრძნეა–ყოველთა შემოქმედი“(სიბრძნე სოლომონისა, 7,27)(1,24).

ახალ აღთქმაში გარჩეულია „მიწიერი, მშვინვიერი, ეშმაკეული სიბრძნე“ და „მაღლიდან გარდმოვლენილი, წმინდა, მშვიდობიანი, წყალობითა და კეთილი ნაყოფით სავსე, მიუკერძოებელი დ უთვალთმაქცო სიბრძნე“ (იაკობ მოციქული, 4,15,17) (2,298).

ღმერთი არის „არსი, არსთა გამრიგე“.

„აზრი, მოაზროვნე, სიბრძნე და ბრძენი, გონება და გონებისმიერი, სიტყვის მშობელი“ (იოანე დამასკელი (3,127).

ბასილ დიდის მიხედვით, სიბრძნის მომნიჭებელი სულიწმინდა არის „ფალავანი მწიგნობარი“ (4,146).

შტაინერი საუბრობდა ეგვიპტის იდუმალ სიბრძნეზე, ქურუმთა სიბრძნეზე,... პლატონის „ნადიმზე“, რომელშიც სიყვარული სიბრძნის მაცნედ ესახება. ხაზს უსვამდა პითაგორელების, სოკრატეს სიბრძნეს, შემოქმედის ურთიერთობას მარადიულთან, სიბრძნის სიყვარულს“ (5,44).

შტაინერის აზრით, მხოლოდ ინტელექტუალური აზრები მკვდარია, არიმანულის პროდუქტია, რომელიც გზა–კვალს ურევს, ზემიწიერ ძალებს სწყვეტს ადამიანს, ამიტომ მთავარია სულიერებისკენ მიმავალი გზის პოვნა(6,12).

„განვითარება იწყება იქ, სადაც სიბრძნე სიყვარულით არის გამობრძმედილი (6, 121).

დანტემ უზენაეს სულს შესთხოვა „სიყვარული და სიბრძნის ნიჭი“.

„ბჰაგავად-„გეტაში“ „სიბრძნის სახმილში გამაბრძმედილ ადამიანს „ნათელღებული“ წოდება.

ეშმაკეულთა ბნელითშემოსილთა უმდაბლეს გზას უნდა დაუპირისპირდეს ღვთაებრივი სიბრძნე (7,46).

„სიბრძნის პურით დაპურება, უკვდავების წმინდა წყალთან ზიარებაა“ მთავარი ელენე ბლავატსკაიას „მდუმარების ხმაში“ (8,85).

პური, წყალი საღვთო სახელებია.

„საწუთროს ზემოქმედებას ქრისტინული აღზრდის კეთილგონიერი პრინციპები უნდა დავუპირისპიროთ“, გვირჩევს წმ. თეოფანე დაყუდებული (9,345).

წმინდა წერილში უგუნური უღმერთოს ეწოდება: „თქვა უგუნურმან გულსა შინა თვსსა, არა არს ღმერთი“ (ფს. 13,1).

პავლე მოციქული მორწმუნეთ „ნათლის შვილებად“ მოიხსენებს და შეგვაგონებს: „ვიფხიზლოთ და შევიმოსოთ რწმენისა და სიყვარულის აბჯრით და ხსნის იმედის მუზარადით“ (I წერილი თესალონიკელთა მიმართ, 2,56).

წმ. ეპისკოფოსი ეგნატე (ბრიანჩანოვი) განარჩევს „ხორციელ თვალს და სულიერ თვალს“ (ლოცვისა და ფსალმუნების შესახებ) (9,392).

„სულიერი ხედვა მხოლოდ მორწმუნეთა, თავმდაბალთა ხვედრია. „ვინც არარად შერაცხავს თავის თავს. იმას განაბრძნობს უფალი, ხოლო ვისაც თავის თავი ბრძნად უჩანს, იგი ღვთაებრივი ნათლისგან განდგომილია.

„ეკლესია მასში შემავალთ აღმოიყვანებს ამქვეყნიურ საქმეთა მორევიდან, სიმშვიდით და ღვთის სიტყვით დააპურებს მათ და დაიცავს ყოველგვარი განსაცდელისგან.

„სიბრძნისმოყვარეს მთელი თავისი მოღვაწეობა სულში აქვს გადატანილი და გარეგნული არაფერი სჭირდება.

„შვილები უნდა გავზარდოთ უფლის სწავლებითა და მოძვრებით“, გვირჩევს წმ. იოანე ოქროპირი (ქადაგება ეკლესიაში სიარულის შესახებ) (9,137-141).

„საწუთროს ზემოქმედებას ქრისტიანული აღზრდის კეთილგონიერი პრინციპები უნდა დავუპირისპიროთ“, შეგვაგონებს წმ. თეოფანე დაყუდებული (9,345).

ნეტარი ავგუსტინე განასხვავებდა „ზერელე სწავლას“ და „შემეცნებას“, კიცხავდა „ხორციელ სიბრძნისმეტყველებას“ და მას უწოდებდა „სხეულებრივი გრძნობების უძლურებას“ (9, 49-50).

წმ. ეპისკოფოსი ეგნატე აღნიშნავდა, რომ „ადამიანები სულის თვალს–გონებას ყოველგვარი ნაგავით ავსებენ (9, 263).

რუდოლფ შტაინერი სრულფასოვანი შემეცნების, სიბრძნის, ხელოვნების საწინდრად უპირველესად რელიგიას მიიჩნევდა: „შემეცნებას, ხელოვნებასა და რელიგიას ერთი და იგივე წყარო ასაზრდოებს. ჩვენ უნდა მივუბრუნდეთ ისეთ სულიერ წყობას, რომელიც მხოლოდ მაშინ შეიძლება წარმოიშვას, როდესაც ჩვენი სამშვინველი შეძრულია რელიგიურით და გამსჭვალულია მხატვრულით.

„გრძნობად საუფლოზე ამაღლებულ ამ სიბრძნეს, რომელშიც ადამიანს ეხსნება თავისი რაობა და დანიშნულება, შესაძლოა ეწოდოს დღთაებრივი სიბრძნე ანუ თეოსოფია (10,10).

შტაინერის მიხედვით, ხელოვანისთვის აუცილებელია სულიერი ხედვა, სულიერი სმენა.

ანთროპოსოფიის ფუძემდებელი განასხვავებს ეგზოტერულ და ეზოტერულ სიბრძნეს. პირველი განკუთვნილია ფართო მასებისთვის, მეორე – რჩეულთათვის. ტვინის მარცხენა ნახევარსფერო გონებრივ აზროვნებას ემსახურება და მას ეწოდება ჰიპოფაზი, ტვინის მარჯვენა ნახევარსფეროს პრეროგატივაა ინტუიცია, მოვლენების წინასწარჭვრეტა და ის მოიხსენება, როგორც ეპიფიზი.

მარკუს ავრელიუსი განასხვავებდა „ხორციელ თვალს“ და „ხედვის სულ სხვა ორგანოს“, რომელსაც „ხელეწიფება ამ მისტიური ქმნადობისა და ფარულად მოქმედ მიზეზთა ჭვრეტა“ (11,247).

ანრი ბერგსონი, ავგუსტინე, იოანე დამასკელი, ბარილ დიდი განარჩევენ ცოდნის ორ სახეს – რაციონალურს და ინტუიციურს.

„შემეცნების სინათლეში შეღწევის თითო ნაბიჯს წინ უნდა უძღოდეს მორალობისკენ გადადგმული ორი ნაბიჯი“, გვმოძღვრავს ეროვნული გმირი და აზროვნების მწვერვალებთან მიღწეული მერაბ კოსტავა (12,139).

გალაკტიონი მუდმივად საუბრობს „ძველისძველი ღვინით“ თრობაზე, „ცისფერი ღვინოების“ მონატრებაზე, „ყოფნით“, „ცეცხლით“ თრობაზე, „ღვინოს“ მოიაზრებს, როგორც „ფარს“ – მხსნელს და ამ სიმბოლურ ფრაზებში იგულისხმება რწმენით თრობა, რადგან ღვინო, „ძველისძვლით“ და „ცისფერის“ ეპითეტებით წარმოჩენილი. საღვთო სახელია ისევე, როგორც „ყოფნა“ (სიცოცხლე), „ცეცხლი“.

პოეტების მეფე იყო „ღრმა სიბრძნით თვალანახელი“ (უმშვენიერეს კიბეზე).

ესაიას წინასწარმეტყველებაში იესოს მოვლინება წარმოისახება, როგორ ნადიმი, რომელზედაც ადამიანები დაეწაფებიან „ძველ, დაწმენდილ ღვინოს“: „გაუმართავს ცაბაოთ უფალი ყველა ხალხს ამ მთაზე ნადიმს მსუყე კერძებით, ნადიმს ძველი ღვინით, ძვლის ტვინიანი მსუყე კერძებად, ძველი, დაწმენდილი ღვინით“ (25,6) (1,546).

წმ. სვიმეონ ახალი ღვთისმეტყველი წერს: „სულიერი ღვინო, ზეციური ღვინით საზრდოობა განწმენდს ადამიანის სულიერი წყლულების სიბილწეს და მას სრულ სიჯანსაღეს მიანიჭებს“ (სინანულისა და ლოცვის შესახებ, სიტყვა მართლისა სარწმუნოებისა, თბ. 1990).

ლამარა გერგედავას „ლიტერატურულ მოზაიკაში“ მთელი ძალისხმევა ადამიანის მამოძრავებელი იმპულსების ხილვას, მისი სწორი გზით წარმართვას ემსახურება, ამის საწინდარი კი არის რწმენა, უზენაესის მცნებების დაცვა, ტაძარში სიარული, ლოცვა, რელიგიური საგალობლების გათავისებაა. აქ ყოველდღიურობა მარადისობისკენ სავალი გზის პირველი საფეხურია.

წიგნში ძალზე ხშირად იხსენებიან გალაკტიონი, ტერენტი გრანელი, ანა კალანდაძე, გოდერძი ჩოხელი რელიგიურ ჭრილში, რაც რწმენაზე აქცენტირებას ემსახურება.

მთელი ნაწარმოები გამსჭვალულია მაღალი ზნეობით, საღვთო ეთიკით, მასში საუბარია „ფილოსოფიურ ქვაზე“, გრაალზე, რომელსაც ეძებს უფლისწული მოთხრობაში „დიდებულნი და მდაბიონი“.

ფილოსოფიური ქვა, საწმისი, გრაალი კოსმიური სიბრძნის, სულიწმინდის, მარიამ ღვთისმშობლის სიმბოლოებია (ზვიად გამსახურდია) (13,38).

გუსტავ იუნგი საუბრობს შვიდ საფეხურზე მდგარ მზით და მთვარით განთებულ ბრძენთა ტაძარზე. თავყრილობათა ტაძარი მთაშია შემალული, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ფილოსოფური ქვა მიწაშია ჩათხრილი, საიდანაც ის უნდა მოიპოვონ და გაასუფთაონ“ (14,87).

„ლიტერატურულ მოზაიკაში“, ფილოსოფიური ქვის პარალელურად მრავალგზის მოიხსენება მზე, ვარდი, ყვავილი, ზამბახები, ია, როგორც რეალისტურ, ისე სიმბოლურ ჭრილში.

მასწავლებელი, ბავშვები, გამუდმებით მზეს ადიდებენ, „მზის ბილიკს“ მიჰყვებიან, მზეს თაყვანს სცემენ, როგორც გალაკტიონი, ანა კალანდაძე, ნიკო სამადაშვილი, რომელთაც მზესთან (უზენაესთან) სულით ახლოს ყოფნა ესახებათ ჭეშმარიტი არსებობის გარანტად.

მზე საღვთო სახელია: „მზე და ფარია უფალი ღმერთი (ფს.84,12)(1,614).

ღმერთი მოიხსენება, როგორც „მზე სიმართლისა“ (მალაქია წინასწარმეტყველი, 3,20) (1,704).

„ლიტერატურულ მოზაიკაში“ ბოროტებას სიკეთე უპირისპირდება, ანგარებას სიწმინდე, უვიცობას – ცოდნა, გულგრილობას – სათნოება და ყოველთვის იმარჯვებს პროგრესული.

წიგნში ლიტერატურა წარმოიდგინება, როგორც მარადიული „ათინათი“, „ნათლის სვეტი“, რომელიც გაახლოებს იდუმალებასთან, გარდასულ სულთა საგალობლებთან“.

იდეების, აზრების სამეფო „სულიერ საზრდოს გაზიარებს, „ნათლის სვეტის ციმციმა შუქი“ რეალობისკენ მიგიძღვის“.

გარეთ შემოდგომაა, საკლასო ოთახში გაზაფხულია, სადაც „ნათლის სვეტი“ ციმციმებს.

ნათელი საღვთო სახელია. ასევე „ცეცხლის სვეტი“.

ნათლის სვეტი, ღრუბლის სვეტი უძღოდა ბიბლიურ მოსეს, როცა თავისი ხალხი, ებრაელებ ეგვიპტის მონობიდან გამოჰყავდა.

მასწავლებელმა წარმავალ, მდაბალ რეალობას ამაღლებული იდეალები უნდა დაუპირის-პიროს, ამის საუკეთესო საშუალება კი ქართული და უცხოური კლასიკური მწერლობაა, რასაც წარმატებით იყენებს მოძღვრის სტატუსით მოვლენილი რელიგიური პიროვნება.

მომავალში გაღწევის საწინდარია არა პრაგმატული, არამედ ამაღლებული აზრი, სულიერება, რწმენა და ამის უპირველესი მაგალითები რომანტიკოსების, რეალისტების თუ სიმბოლისტთა ნაწერებია.

ადამიანის სულის წარსულიდან აწმყოში, აწმყოდან კი მომავალში გაღწევა რჩეულთა ხვედრია.

„არას გარგებს სწავლულება, თუ არა იქმ ბრძენთა თქმულსა“, იმოწმებს მოძღვარი არა მარტო ქართული რენესანსის, არამედ დანტეზე საუკუნით ადრე მოვლენილი გენიოსის – შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ სტრიქონებს, რომლის უპირველესობაზე დიდი ქართველი მეცნიერი შალვა ნუცუბიძე 1947 წელს საუბრობდა, ხოლო გალაკტიონი 1926წ. „კოსმიურ ორკესტრში“ წინმსწრებად იგივე მოსაზრებას ავითარებდა.

„ლიტერატურული მოზაიკის“ ფურცლებიდან მრავალგზის შემოგვანათებს როგორც ქართუ-ლი, ისე უცხოელი კლასიკოსების სიბრძნე.

აქცენტირებულა ვარდები, ია, ზამბახები, ფურისულები.

მარტოკაცს, ქარიშხალში ქუჩაში მიმავალს, ქარის მიერ ჰაერში აფრიალებული ია აუტაცნია და გულში იხუტებს (15,54).

ვარდზე ფიქრი გოდერძ ჩოხელის რომან „მგელის“ პერსონაჟის – ლუკას ასოციაციას იწვევს, რომელიც მომსვლელებს ყვავილით ხვდება, ყვავილით აფრთხობს მგლებს. ყვავილის ცვენაა სულიწმინდის მოფენის დღეს, ყვავილშემოსილია ნაწარმოების პერსონაჟი თანდილა, უფრო მეტი, ყვავილად იქცევა, მისი აღსასრულიც ყვავილს უკავშირდება და ამ ეპიზოდს განსაკუთ-რებული დატვირთვა ეძლევა „ლიტერატურულ მოზაიკაში“, რადგან ყვავილი საღმრთო სახელია: „ყვავილები დარჩნდნენ მიწის მირზე, ჟამი გალობისა მოიწია და ხმა გვრიტისა ისმის ჩვენს მხარეში“ (1,2,12) (1,488).

ყვავილშემოსილობა ღმერთშემოსილობას, მორწმუნეობას გულისხმობს ისევე, როგორც სიხარულით და გაზაფხულით შემოსილი გვევლინება გალაკტიონი ლექსში „ეს გრიგალია სიახლის: „მე სიხარული მემოსა და გაზაფხულის ოცნება“.

ქრისტე არის „სიხარული მთელი ხალხისა“ (ლუკა 2,10) (2,113).

გაზაფხული, ძველი ქართულით ზაფხული უზენაესის სიმბოლოა: „გვირგვინი დაადგი სიკეთის ზაფხულს და შენი ნაკვალევიდან წვეთავს სიმსუქნე (ფს. 64/65,12)(2,586).

მხოლოდ წმინდა სულის, ხალხის გულისტკივილის გამგებთ, მარადიული სიბრძნის მსახურთ ანიჭებს უფალი განსაკუთრებულ მისიას, როგორც გოდერძი ჩოხელის რომან „მგელის“ პერსო-ნაჟს ლუკას, რომელსაც ავალებს იპოვის ყვავილი (რწმენა) და ამით დაამარცხოს ბოროტება.

მართლაც, შემთხვევითი როდია, რომ ლუკა ურწმუნოთ, მხეცური ინსტინქტების ტყვეთ ყვავი-ლით ხვდება, ყვავილად, მოიქცევა ერთ დროს მგლების ტყვეობაში მყოფი თევდორე, ხოლო თანდილას აღსასრული განსაკუთრებულია, იგი ყვავილს ემსგავსება ანუ ჩვეულებრივი ურწმუნო მასისგან გამორჩეულია, უზენაესის ხელდასხმულია.

რწმენასთან, სიბრძნესთან ზიარება რთული პროცესია, მრავალ გამოცდაზე დაფუძნებული: „სინათლისაკენ ეჭვებით, უფსკრულებიდან ძლევამდე“, აცხადებდა ანა კალანდაძე და ეჭვებს ამარცხებდა რწმენით.

გალაკტიონი იყო „მომავლის ღრმა სიბრძნით თვალნახული“.

ედგარ პოს სულის გამოვლილი ჰქონდა „სილბრძნის სასუფევლები“.

ლ. გერგედავას წიგნში მარადიულობა ყოველთვის სიბრძნით განისაზღვრება და ბუნებრივია, რომ გოდერძი ჩოხელი მწერლის განსაკუთრებული იდეალია, რადგან მისი შემოქმედება მომავლის კუთვნილებაა: „გუდამაყარში მოსიარულე ცოცხალ მოთხრობებზე ვწერ, იმათი სულის ბინდისფერი ხეობიდან გამომაქვს სიკეთე და მომავლის ნათელში ვფენ“, იმოწმებს გამორჩეულ წინამორბედს ჩვენი თანამედროვე (15,52).

„ლიტერატურულ მოზაიკაში“ ბოროტებას სიკეთე, ურწმუნოებას რწმენა, ანგარებას სიწმინდე, უვიცობას ცოდნა უპირისპირდება და ყოველთვის იმარჯვებს პროგრესული.

„ლიტერატურულ მოზაიკაში“ არც იისადმი განსაკუთრებული ინტერესია შემთხვევითი, ეს ეპიზოდი აქცენტს უკეთებს ლუკას მორწმუნეობას, რადგან ია, „უბიწოებით შემკული ია“ მარიამ ღვთისმშობლის სახელია.

ლუკა, რომელმაც ყველაფერი დაკარგა, ღმერთს იპოვის, ღვთისმსახური ხდება და საღვთო სიბრძნეს ეზიარება, ხოლო ქურდს, უსულგულო გიოს, რომელიც თითქოს გამდიდრდა სხვისი ფულით, არაერთ განსაცდელს მოუვლენს არსთაგანმრიგე.

წიგნში მრავალგზის ესმება ხაზი წარმავლობის მსახურების უბედურებას.

ამ ჭრილში მწერალი იმოწმებს ერთ იაპონურ ჰაიკუს: „ანკარა წყარო, უმალთუნები ბრწყინავდნენ ფსკერზე.... მგზავრს მოწყურებულს შიგ ჩაჰბნევია“...

ეს სამსტრიქონიანი იაპონური კლასიკური პოეზიის ნიმუში ასე განიმარტება „ლიტერატურულ მოზაიკაში: „ვიღაცამ დაკარგა, სხვამ იპოვა, მაგრამ მისთვისაც ფსკერზეა იგი, თუნდაც ამოიღოს იქიდან, შეეხოს...“ (15,67).

და აღმოსავლური სიბრძნე, რომელიც ამ თემას მიგნებულად ეპასუხება: „ვისი ღვაწლიც სიბრძნის სახძილშია გამობრძმედილი, ნათლელღებულად იწოდება.

„ნივთთა შეწირვას სიბრძნის შეწირვა სჯობს.

„სიბრძნე მოიცავს ყოველგვარ საქმეს“ (ბჰაგავად–გიტა) (16,33,38,41,57).

არა მიწიერ, არამედ საღვთო სიბრძნეს აადეალებდნენ ღვთისმეტყველები, ბიბლიური წინასწარმეტყველები, კლასიკოსები. დანტემ, ედგარ პომ, გალაკტიონმა, ტერენტი გრანელმა, ანა კალანდაძემ, ნიკო სამადაშვილმა, გოდერძი ჩოხელმა, მათზე უწინარეს კი ვასილ ბარნოვმა, კონსტანტინე გამსახურდიამ, მიხეილ ჯავახიშვილმა, გრიგოლ რობაქიძემ, მთელი გულისყური საღვთო სიბრძნეს მიაპყრეს.

„ფაუსტური სწრაფვაა, რომ ადამიანებმა გრძნობა მიმართონ სულიერი სამყაროსკენ“ (შტაინერი).

გოეთე, როგორც უფლის ხელდასხმული და ნათელმხილველი, გვამცნობს: „ფრთამალი ფიქრიც – ჩემი ლაღი, შორსმჭვრეტი აზრი, როგორც მომავალს, ისე წარსულს ნათლად ხედავდა“ (შუაღამისას).

ლამარა გერგედავას „დიალოგში“ სკოლის მოსწავლეს იდეალად უქცევია თავისი მასწავლებელი ახალი თაობის სიყვარულის, ფართო თვალსაწიერის, გაგების გამო, მას შეგნებული აქვს, რომ სიბრძნეა ურთულესი სიტუაციებიდან გამოსავალი ამ წუთისოფელში, სიბრძნე, რწმენით განმტკიცებული და ეს გამხდარა მისი მომავლის წინამძღვარი: „ყველა ბრძენკაცის სიბრძნეს ვისესხებ, ხშირად მოგბაძავთ, სხივების მსგავსო, ღმერთს მადლს შევწირავ, ვთხოვ, დამეხმაროს, ჩემს მასწავლებელს რომ დამამსგავსოს“ (15,155-156).

„ლიტერატურულ მოზაიკაში“ მთავარია „გონების თვალის ახელა“ „ამაღლებული მიზნის მსახურება“ (15,33,38).

მთავარია „საზღვრულში საზღვარდაუდებლის აღმოჩენა, არა ამქვეყნიური წარმატება, არამედ „შეუცდომლობა“, სიკეთეა ბუნების მიერ მომადლებული საგანძური“, წერს წიგნის ავტორი ხუნ ძიჩენზე დამყარებით და იზიარებს მისეულ „ბრძენკაცის“ იდეას (მარტოკაცის სამყარო) (15,78).

მწერლის იდეალია „თმადათოვლილი, ჭკვიანი და ნიჭიერი მოძღვარი“, რომელსაც არაფერი აბადია წიგნების და ცოდნის გარდა, მაგრამ უზენაესის გზაზეა დამდგარია და სიკეთის განხორციელება მიაჩნია ადამიანის ცხოვრების უზენაეს მიზნად (დიდებულნი და მდაბიონი) (15,94).

ცაშია წმინდა ადამიანის ადგილი, რომელიც ამქვეყნიურ დიდებას კი არა, ამაღლებულ იდეებს, ზეციურ სიბრძნეს მსახურებს (იქვე).

წიგნში გაზიარებულია ლაო–ძის „დაო დე ძინის“ „სიბრძნე: „ყოვლად ბრძენი უარყოფს განდიდებას. ყოვლად ბრძენი უარყოფს ფუფუნებას. ყოვლად ბრძენი უარყოფს ბრწყინვალებას (15,99-100).

ჭეშმარიტებისკენ სვლას, მარადიული სიბრძნის გათავისებას ბრძოლა, წინააღმდეგობის დაძლევა სჭირდება, „ცხოვრება მშვენიერებაცაა და სცილასა და ქარიბდას შორის მოარული ხიფათიანი ხომალდიც. შეეცადე, ორივე შემთხვევაში შეძლო მისი მეზღვაურობა“, მოძღვრავს თაობებს მწერალი და ორმაგი საფრთხიდან თავის დაღწევის გზებს ასწავლის.

აქვეა ამონარიდები სერვანტესის დონკიხოტიდან, რომელიც წმინდა წერილის სიბრძნეს ეფუძნება: „ღვთისაუნდა გეშინოდეს, რამეთუ ღვთის შიში სიბრძნის დასაბამია და თუ ბრძენი იქნები, არასოდეს არ შეცდები“ (15,125).

„კოლხური ფსალმუნების“ ავტორი ვაჟა ეგრისელი სიბრძნის წყაროს „სიბრძნის ცას“, სიბრძნის ზღვას“ მიმართავდა, „სიბრძნის ღვინოს“ ეწაფებოდა, „ფილოსოფოსი ქვა, ტაბუდადებული „საიდუმლო სიბრძნე“ აინტერესებდა. „სიბრძნის პიესტალზე“ იყო შემდგარი. „მადლის მშვერვალს, „სიბრძნის სულს“ მიაპყრობდა მზერას (კოლხეთის შორეული წარსულიდან) (17,451).

რუდოლფ შტაინერი ირწმუნებოდა: „მხოლოდ ინტელექტუალური აზრები მკვდარია, რომელიც გზა კვალს ურევს, ზემიწიერ ძალებს სწყვეტს ადამიანს, ამიტომ მთავარია სულიერებისკენ მიმავალი გზის პოვნა“.

შტაინერი მატერიალისტური შემეცნების უბედურებად თვლიდა ადამიანის მოწყვეტას ზეციური ძალებისგან, მიწიერთან შეზრდას“ (18,253).

დამოწმებანი

1. ბიბლია, თბ. 2013
2. ახალი აღთქმა და ფსალმუნები, სტოკჰოლმი, 1992
3. იოანე დამასკელი, მართლმადიდებლური სარწმუნოების ზედმიწევნითი გადმოცემა, თბ. 2000
4. ბასილ დიდი, „ექუსთა დღეთა“, მ. კახაძის გამოცემა, თბ. 1977
5. რუდოლფ შტაინერი, შუა საუკუნეების მისტერიათა ცენტრები. როზენკროიცერობა და თანამებროვე ხელდასხმის პრინციპი. ტანჯვის წარმოშობა. ბოროტების წარმოშობა. როგორ გავიგოთ ავადმყოფობა და სიკვდილი. მთარგმნელი ა. კვარაცხელია, ასოციაცია „კოგიტო“, თბ. 2014
6. რუდოლფ შტაინერი, როგორც მიიღწევა ზენა სამყაროთა შემეცნება, გამომცემელი ვ. დარსანია, თბ. 1993
7. „ბჰაგავად–გიტა“, თბ. 1988
8. ელენე ბლავატსკაია, „მდუმარების ხმა“, თარგმანი და გამოცემა თ. თავაძის, თბ. 2011
9. სიტყვა მართლისა სარწმუნოებისა, I, თბ. 1990
10. რუდოლფ შტაინერი, „თეოსოფია“, თარგმნეს ზვიად გამსახურდიამ და მერაბ კოსტავამ 1970წ. რედაქტირებულია 1995წ.
11. მარკუს ავრელიუსი, „ფიქრები“, ძველ ბერძნულიდან თარგმნა ბაჩანა ბრეგვაძემ, თბ. 1972
12. მერაბ კოსტავა, ფიქრები საქართველოს მისიაზე, თბ. 1991
13. ზვიად გამსახურდია, საქართველოს სულიერი მისია, თბ. 1990
14. გუსტავ იუნგი, ფსიქოლოგია და ალქიმია, მთარგმნელი მაია ბადრიძე, თბ. 2005
15. ლამარა გერგედავა „ლიტერატურული მოზაიკა“ „უნივერსალი“ თბ. 2023
16. ბჰაგავად–გიტა, ინდური ლოტოსი, თარგმნა, შესავალი და კომენტარები დაურთო თამაზ ჩხენკელმა, „ლიტერატურის მატიანე“, თბ. 2006
17. ვაჟა ეგრისელი, „კოლხური ფსალმუნები“ 30 ტომად, ტ.I, „ივერიონი“,თბ. 2016
18. რუდოლფ შტაინერი, ჩემი ცცხოვრების გზა, თარგმანი კონსტანტინე (უმცროსი) გამსახურდიასი, „პითაგორა“, თბ. 1994

თეიმურაზ ფანჯიკიძე



მეცნიერი და მწერალი /რელიგიათმცოდნე-ფილოსოფოსი/

მინდა მივესალმო ჩემს მეგობარს, ცნობილ მეცნიერს, რელიგიათმცოდნე-ფილოსოფოსს და მწერალს ბატონ თეიმურაზ ფანჯიკიძეს და თითქმის მიყოლებით ორი ახალი წიგნის გამოცემა მივულოცო. რამდენადაც ეს წიგნები მისი მხატვრული შემოქმედებაა, ბუნებრივია, მას ხშირად მოიხსენიებენ /განსაკუთრებით ფეისბუქის მეგობრები/ როგორც მწერალს. მე, ცხადია, ამის საწინააღდეგო არაფერი მაქვს. მწერლები ჩვენი საამაყო ხალხია. მწერალს რა სჯობია, მაგრამ ცუდი ისაა, რომ ამგვარი შეფასებით /მარტო მწერლობაზე ხაზგასმით/ თვითონ ბატონი თეიმურაზი ზარალდება. ასეთი რამ ხშირად მაშინ ხდება, როცა ადამიანი მრავალმხრივი ნიჭიერებითაა დაჯილდოებული. ზოგჯერ ხდება ხოლმე რომ რომელიმე ერთ ნიჭიერებაზე მახვილდება მთელი ყურადღება, ამ დროს კი სხვა სახის ნიჭიერება იჩრდილება. ასე მოხდა, მაგალითად, ბატონი ვახტანგ გოგუაძის შემთხვევაში. საზოგადოების უმეტესობა მას იცნობდა როგორც პოლიტიკოსს, როგორც პარლამენტის სპიკერს და ყურადღების მიღმა რჩებოდა ის,რომ იგი შესანიშნავი ფილოსოფოსი-ესთეტიკოსი იყო. მე დღემდე ვცდილობ მისი ეს მეორე მხარე, თვითონ ბატონი ვახტანგისათვის ძალზე მნიშვნელოვანი, წამოვწიო წინ. დაახლოებით იგივე ვითარება გვაქვს ბატონი თეიმურაზის შემთხვევაში. ჩემთვის ის უპირველესად მეცნიერია,დიდი მეცნიერი, კარგი მეცნიერი და მერე მწერალი. რაკი მე მისი კოლეგა ვარ, ფილოსოფიის მხრიდან, ვეცდები პირველ რიგში მოკლედ ვისაუბრო მასზე, როგორც ფილოსოფოსზე

ცოტა რამ ისტორიიდან: ბატონმა თეიმურაზმა თბილისის ივანე ჯავახიშვილის უნოვერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტი დაამთავრა, მაგრამ ასპირანტურაში სწავლა გააგრძელა ფილოსოფიის ფაკულტეტზე გააგრძელა სწავლა რელიგიათმცოდნეობის სპეციალობით.. ვისაც დღემდე ერევა ერთმანეთში ორი სხვადასხვა რამ - რელიგიათმცოდნეობა და ათეიზმი, მინდა განვმარტო: ათეიზმი რელიგიის უარყოფაა, რელიგიათმცოდნეობა კი რელიგიის ცოდნა /თვითონ სიტყვაშივე წერია ეს/., უფრო ზუსტად სხვადასხვა რელიგიების ცოდნა. ამიტომ ეკლესიის მსახური მღვდელი, რაგინდ ნაკითხი და განათლებული არ უნდა იყოს იგი, რელიგიათმცოდნე ვერ იქნება,ისე როგორც რა რანგის პოლიტიკოსიც არ უნდა იყოს, ვერ იქნება პოლიტოლოგი. ზოგი მღვდელი სხვა რელიგიებზე, გარდა მართლმადიდებლური ქრისტიანობისა, არა თუ არ ლაპარაკობს, არამედ მასზე ლაპარაკი მკრეხელობადაც კი მიაჩნია. ეს პოზიცია რადიკალურად განსხვავებულია რელიგიათმცოდნის პოზიციისაგან, არადა, რელიგიას ისევე უნდა შესწავლა, როგორც ყველაფერ სხვას სამყაროში. უბრალოდ საკვირველია, თუკი განცდებისა და ემოციების შესწავლა შეიძლება /რასაც წარმატებით აკეთებს ფსიქოლოგია/ თუკი სიზმრის მეცნიერული შესწავლა შეიძლება /და არა უბრალო ახსნა/, განა შეიძლება რელიგიები დარჩეს შესწავლის გარეშე?!. სწორედ ამ დიდ და სერიოზულ საქმეს აკეთებს რელიგიათმცოდნე, ან რელიგიის ისტორიკოსი. ამიტომაა, რომ ბატონი თეიმურაზი წერს ქრისტიანობის წარსულზე და თანამედროვეობაზე /აქვს ასეთი წიგნი/.წერს მუჰამედზე, ისლამზე და ვაჰაბიზმზე /აქვს ასეთი წიგნი/, წერს ბაჰაიზე, როგორც ახალ მსოფლიო რელიგიაზე /აქვს ასეთი წიგნი/, წერს რელიგიურ პროცესებზე საქართველოში XX და XXI საუკუნეების მიჯნაზე /აქვს ასეთი წიგნი/, სადაც შედის: რელიგიური უმცირესობები საქართველოში, ახალსამოციქულო ეკლესია, კრიშნაიზმი, ბაპტიზმი,

იეღოველობა/. ჯამში კი აქვს 23 წიგნი რელიგიის ისტორიაში და 300-ზე მეტი სამეცნიერო სტატია.

ბატონი თეიმურაზი მრავალი წლის განმავლობაში იყო თსუ-ს რელიგიათმცოდნეობისა და ეთიკის კათედრის გამგე, ამჟამად კი არის პროფესორ-ემერიტუსი. თუ ამ სტატიის რომელიმე წამკითხველმა არ იცის „ემერიტუსის“ მნიშვნელობა, განვმარტავ: პროფესორ-ემერიტუსის წოდება ენიჭება განსაკუთრებული დამსახურების მქონე მეცნიერს, რომელსაც აღარ ევალება ლექციების წაკითხვა, მაგრამ სიცოცხლეს ბოლომდე უნარჩუნდება ხელფასი. ანუ ეს ისეთი საპატიო წოდებაა, რომელიც მრავალ პროფესორთაგან მხოლოდ განსაკუთრებით გამორჩეულებს ენიჭებათ.

ახლა კი მისი მრავალმხრივი ნიჭიერების მეორე მხარეს - მის მწერლურ ნიჭს, ანუ მის მხატვრულ შემოქმედებას და ახლახან გამოსულ წიგნებს შევეხოთ:

როგორც ბატონი თეიმურაზი ამბობს, ამ საქმიანობას ის საკმარისად გვიან შეუდგა /მიზეზი იქვეა დასახელკებული/ კერძოდ, მას შემდეგ, რაც ფეისბუქზე პირველი სტატუსები დადო. ჩვენ, ის და მე, მთელი ცხოვრების მეგობრები ვართ და, ბუნებრივია, ფეისბუქზეც მისი შემოსვლის პირველი დღეებიდანვე დავმეგობრდით. ცხადია ისიც,რომ იმთავითვე თვალ-ყურს ვადევნებდი მეგობრის სტატუსებს და უნდა გითხრთ, რომ მისი პირველივე სტატუსი მოექცა საზოგადოების ყურადღების ცენტრში, პირველ რიგში, ცხადია, მისი ნიჭიერების გამო, მერე კი მისი უშუალობის, ღიაობის გამო. მკითხველმა მოიწონა და შეიყვარა მისი ნაწერები. მალე უამრავი მკითხველი და გულშემატკივარი გაუჩნდა. ერთი სიტყვით, არნახული გამოხმაურება მოჰყვა. მალე გაიზარდა მისი ფეისბუქის მეგობრების რიცხვიც. წამოვიდა დადებითი შეფასებები და მადლობები. გაჩნდა შეკითხვები. ზოგჯერ თვითონ ფ/ბ- მეგობრები უსვამდნენ კითხვებს და სთხოვდნენ ბატონ თემურს გაეცა მათზე პასუხები. ამგვარად, დაგროვდა უამრავი მასალა, რამაც,საბოლოო ჯამში, შეკრა ის წიგნები, რომლებიც ახლა თქვენს წინაშე დევს: პირველი ვრცელი „იყო დღე და იყო ღამე“ და მეორე - პირველი წიგნის მოკლე ვარიანტი “გუჯია“.

ვიწყებ პირველი წიგნით. წიგნის რედაქტორია ცნობილი საზოგადო მოღვაწე, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, ბატონი სოსო სიგუა, ხოლო რეცენზენტი საქართველოს ეროვნული მეცნიერებათა ც აკადემიის წევრ-კორესპოდენტი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, ეთნოლოგი, ქალბატონი ლია მელიქიშვილი., ორი უაღრესად კომპეტენტური და ჭკუასაკითხი ადამიანი, რაც ამ წიგნისადმი სანდოობას ზრდის და გარკვეულ დადებით განწყობასაც უქმნის მკითხველს.

როგორც წიგნის რედაქტორი, ისე მისი რეცენზენტი აღნიშნავენ, რომ წიგნი „ლაღად და სასიამოვნოდ წასაკითხია“, დაწერილია მშვენიერი ქართულით, არაა გადატვირთული ცნებებითა და უცხოური ტერმინებით. რეცენზენტმა ქალბატონმა ლია მელიქიშვილმა მას ახალი სახელი „ფეისბუქური ლიტერატურა“ შეარქვა.

რას არ იპოვით ამ წიგნში - დამოუკიდებელ მოთხრობებსა და ნოველებს, ცნობილ ფილოსოფოსთა გამონათქვამებს რელიგიურ და საერო სიბრძნეებს, თბილ, სიყვარულით სავსე მოგონებებს ცნობილ ადამიანებზე, ქვეყნის წარსულზე, აწმყოსა და მომავალზე, , მიმდინარე პროცესებზე,ფიქრს ქვეყნის საშინაო და საგარეო ვითარებაზე. ყველა ეს მასალა გაზავებულია მსუბუქი, ჯანსაღი იუმორით. ბევრი მასალა ავტობიოგრაფიულია, ლაპარაკია მის მშობლებზე /სხვათაშორის ბატონი თეიმურაზის მამა ბატონი ივანე, ისტორიის ბრწყინვალე მასწავლებელი იყო და ფილარმონიის წინ რომ სკოლაა, 51-ე საჯარო სკოლა, იქ მუშაობდა/ მის სახელოვან ძმაზე, დიდ ქართველ მწერალზე. ბატონ გურამ ფანჯიკიძეზე, თანასკოლელებსა და თანაკურსელებზე. რაც შეეება თანაკურსელებს, მის კურსზე სწავლობდნენ გურამ დოჩანაშვილი,

როინ მეტრეველი, ვლადიმერ /ვოვა/ სიხარულიძე, გოგი ხოშტარია, ჯანრი კაშია, სერგო კოტრიკაძე და სხვა ბევრი ისეთი ადამიანი, რომლებმაც შემდგომში ასახელეს ქართული მეცნიერება, კულტურა და სპორტი.

თუმცა ბატონი თეიმურაზი თავის თავზე ნაკლებს ლაპარაკობს /მითუმეტეს არ ლაპარაკობს მის კეთილ საქმეებზე/,მაგრამ წიგნში ეს თავისთავად იკითხება. ყველაფრიდან ჩანს, რომ იგი ისეთი ადამიანია, რომელიც სხვისი წარმატებით ხარობს და სხვისი სიკეთე ახარებს. და რაც მთავარია, უყვარს საქართველო, აწუხებს მისი აწმყო მდგომარეობა, ფიქრობს მის ნათელ მომავალზე, წერს იმას, რასაც ალალად ფიქრობს, არც დღევანდელ ხელისუფლებას ერიდება, მკითხველთან თავს არ იწონებს თავისი ნაკითხობითა და განსწავლულობით, ელაპარაკება მას როგორც ძმა ძმას, მეგობარი მეგობარს, ნაცნობი ნაცნობს, თანატოლი თანატოლს, ოღონდ ერთია; ყველა შემთხვევაში სიკეთეს აფრქვევს და ასხივებს.

როგორც მოსალოდნელიც იყო, წიგნში ბევრი საუბარია რელიგიაზე, რელიგიურ რწმენაზე, ქართველი კაცისთვის დამახასიათებელ რელიგიურ ტოლერანტობაზე და ა.შ. განსაკუთრებით ეფერება მის მშობლიურ კუთხეს- რაჭასა და რაჭველებს, აღტაცებულია მისი სილამაზით, შეტრფის მის ბუნებას, იქაურ ფლორას და ფაუნას, და განსაკუთრებით ხალხს, მშრომელ, კეთილ, ღია და მართალ, უბოროტო ხალხს.

წიგნებში დიდი ადგილი უჭირავს შეხვედრებს საინტერესო ადამიანებთან. ესენი არიან აკად.შალვა ნუცუბიძე, ცნობილი რეჟისორი თემურ ჩხეიძე, სიმონიკა სხირტლაძე, ვიქტორია სირაძე, ქართლოს კასრაძე აბონ ციციაშვილი, სოსო სიგუა, გრივერ ფარულავა და სხვები. თავისთავად ცხადია, დიდი სიყვარულით ლაპარაკობს თავის ერთადერთ ძმაზე, გამოჩენილ ქართველ მწერალზე გურამ ფანჯიკიძეზე. მას საგანგებოდ ეძღვნება შესანიშნავი მოთხრობა „გუჯია“.

ამ წიგნებიდან საგანგებოდ უნდა გამოვყო უფლის მიმართვა ქართველებისადმი. ეს ის სიტყვებია, ლოცვასავით რომ უნდა დაიზეპიროს ყოველმა ქართველმა. სიტყვა მკაცრია და ზოგჯერ მწარეც, მაგრამ ჭკუისსასწავლებელი, არა მარტო დასამახსოვრებელი, არამედ ყოველი დებულება ღრმად და ყოველმხრივ გასაცნობიერებელი და პრაქტიკულ საქმიანობაში განსახორციელებელი.

რევაზ ბალანჩივაძე
ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორ-ემერიტუსი,
საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი,
იაკობ გოგებაშვილის პრემიის ლაურეატი

ხათუნა ელიაშვილი

ადამიანის გონება!

გ ო ს-ნ ე ბ ა!
უხილავობის ხილული სახეა!

თვით ა - და - მი -ანის წარმოქმნა უკავშირდება ღმერთს და მის მაღალ არსს!

ეს ენის საკუთრებაა! მისი ფუძეა, აზრია, ხილული ფორმა, რომელსაც ვარქმევთ განსაკუთრებულ სახელს, ღმ - ერთს!

მის სიღრმეს და უბრალოებას!

მაგრამ თვითონ ადამიანი, რომელიც ამ ბგერების ზეგავლენაში მოხვდა და დაერქვა ადამიანი, - ზრდაშია!

პერიოდულად ან ეტაპობრივად ხორციელდება მისი ზრდა- განვითარება, ის უბრალოება რისი ხილვაც ძალიან ადვილია და ბუნებაში მუშაობს ისე როგორც ბუნებრივი პროცესები, მისთვის ხდება მძიმედ აღსათქმელი და მუდმივად იმის ძიებაშია დამტკიცებულის გადამტკიცება როგორ მოახდინოს, ან შეცვალოს და სხვა ფორმა მისცეს.

ჩვენ,ადამიანები ვართ ორი სახის: - ქალბატონები და მამაკაცები. ყველა ერთი და იგივე სხეულით, განსხვავება ჩვენში აზროვნებაა,შეხედულება, როგორც გარეგანი ისევე შინაგანი, ეს ერთი განგვასხვავებს მეორესგან, რადგან ის ხილულია.

ყველაფერი იყოფა სამყაროში, მაგრამ ცოდნა უსასრულოდ გადაეცემა, ის არ ილევა, პირიქით უსასრულობას იძენს.

ჩვენი გამოვლინება არ მოიცავს სამყაროში ყველაფერს, პირველრიგში ეგოს ჩამოყალიბებით. "მე ვარ" - არ არსებობს ღმერთში!

ჩვენ ვართ! და ვიარსებებთ ყოველთვის, ღვთის არსია!

ბნელი აზრი ღმერთის უარყოფაა ჩვენში, ამიტომ აზრს კონტროლი უნდა, რათა ჩვენივე ნებით არ მოხდეს ეს უკიდურესი ფორმა, რადგან თავად ვართ სიტყვის ავტორი, აზრის მდგენელი.

ა- და - მი- ანი მარტო შენებისთვის, შექმნისთვის არის მოვლენილი, რადგან ჩვენში არსებული ღმერთის ნაწილი გველოდება ჩვენ, როგორც გამოვლენილი ღვთის ძალა.

ფიქრებს აყოლილი სამყარო უნიკალური სამყაროა, მისი მშენებელი და შემავსებელი კი ყველა მაღალი სულია!

რიცხვი თორმეტი უკვე აზრის შემავსებელი და ამმამაღლებელია!

"ჩვენთან არს ღმერთი!"

და მისი ძალა უკვდავია ყველგან და ყველაფერში!

ის ჩვენთანაა და ჩვენშია! ეს უკვე იმის მაჩვენებელია, რომ ჩვენ ვემსახურებით მას! მაგრამ მსახურობის თვალსაზრისით ის უკვე ჩვენშია ჩამდგარი და ჩვენს სხეულს ავსებს თავისივე ენერგიით, ანუ გვმფარველობს! გვამაღლებს ის დიადი რაც მის ძალაში, ენერგიაში გამოიხატება, აბსოლიტურად მომართულია ჩვენსკენ და ჩვენში აღწევს იმ უმაღლესობას რასაც ღმ - ერთი ჰქვია!

მათემატიკის მოცემულობით და სამყაროს შემადგენელი გრაფიკი, რომელიც ამოცანად რჩება და მის უმაღლეს არსს ჯერ კიდევ ვერ ვიცნობთ, ასეთია!

ვერტიკალური და ჰორიზონტალური ხაზის კვეთა ახდენს გრაფიკის შექმნას!

გრაფი - კი!

ვერტიკალზე მუდმივად ღმერთია, ის ენერგიაა, სამყაროში მუდმივად მოქმედი ღვთიური ენერგია!

ჰორიზონტალური ხაზი ეკუთვნის ადამიანს რომელიც მიისწრაფის! საით?

საითაც აზროვნება წაიყვანს!

ყველაფერში არსებობს მიზიდულობის კანონი.

ეს ხაზები კი ისრებით გამოიხატება და შედგება. ერთი ისარი, ორი ერთმანეთის საწინააღმდეგოდ მიმართული ორი ერთიანია, როგორც კი მას ერთმანეთს მივადებთ ზურგით, ან დავწერთ ჩვენს წინ " ისარი " გამოჩნდება.

თვით სიტყვაც იძლევა მყარ პასუხს, ის - არი!

მოკლედ მათი გადაკვეთის წერტილი უკვე ჯვარს გვაუწყებს და ამ ისარს კი უსასრულობისაკენ სვლა შეუძლია, ანუ ზრდა.

გადაკვეთის წერტილიდან იწყებს ადამიანი განვითარებას და მიზნისკენ ანუ ღმერთში ივსება, სპირალისებურ სვლით, მოძრაობს გარშემო მის დანაყოფებზე.

აქ ხდება ადამიანისა და ღმერთის ენერგიების გადაკვეთა, ანუ მიიზიდა.

ე.ი. ეს გადაკვეთა ქმნის ჯვარს და აქედან გამომდინარე ადამიანი შესულია მისი აზროვნებიდან გამომდინარე ღმერთში,ანუ განიცდის სიყვარულს დიდი დოზას.რადგან სიყვარული ლოცვაა, ღმერთია და თავისთავად ამ ენერგიით შევსება ხდება სხეულში!

სხეულს კი თორმეტი ნაწილი ააქვს.

ადამიანი გარდა იმისა გაცნობიერებულ მდგომარეობაში, ბგერებითაც ივსება და ბუნების ფერხულშიც ებმევა.

ასე რომ "ა" - და - "მი"- "ანი"-აო, ამბობს სიტყვა.

"ა" თავისთავად ღმერთია და მამრ ენერგიას უკავშირდება, საწყისს ანბანის, ზეციურს,

" მი" - დედამიწასთან კავშირშია და ინ ენერგიაა, და ეს ყველაფერი "ანი "- აო!

ა ნ ბ ა ნ ი ა ო!

როგორც კი ადამიანის შინაგანი ენერგია ძირს ეცემა ბრაზის, წყენის ან ცუდი აზრების ზემოქმედებით, წყვეტა ხდება ამ ღვთიური ენერგიისა, ღმერთის განზომილებაში უარყოფითი აზრი არ არსებობს!

თვითონ ადამიანი ანიჭებს აზრს, ცუდის ან კარგის ფორმას, რაც ეგოდან გამომდინარეა!

უნდა შევძლოთ და დავიმორჩილოთ ეგო რათა ამ ჯვრის, განვითარების დონე შევინარჩუნოთ.

Gulnazi

Gulnazi Kharaishvili

ახლა განვიხილოთ სიტყვა ვერტიკალური და ჰორიზონტალური.

აქვე ჩავწვდეთ სიტყვის შინაარსს და მნიშვნელობას, რომელიც ბგერების ძალით მუშაობს.

ვ - ერ - ტი - კ - ალ - ი!

"ვერ"- დასაძლევი, ანუ ძნელად აღსათქმელი მნიშვნელობისაა, მაგრამ "ვ - ერ" აქ უკვე ერის კუთვნილებაა და მასზე მიგვანიშნებს. და ამ ერში "ტი" ჩვენზეა საუბარი, ნებისმიერ ადამიანზე, ვინც გააცნობიერებს ამ პროცესს.

"კ - ალ " ღვთის ცეცხლოვანი ენერგიააო, "ურ (ი)" -(ა) გახმოვანება ხდება სამყაროში!

ჰ - ორი - ზონ - ტ - ალ - ური!

"ჰ"- ბგერა უნივერსალური ბგერაა, ჰ-აერ-ს, ჟ - ან - გ - ბად - ს უკავშირდება და ის მბადებელია სიცოცხლის ენერგიის, " ორი" - უკვე ინ - იანის ენერგია, რადგან სრულყოფილებას იძლევა, "ზონ" - გარკვეულ ადგილს მიუთითებს, "ტ" - ბგერა სამყარო და სივრცეა, უსასრულობაში, "ალ" - ისევ ენერგია და ურ - (ი)- (ა) ისევ გახმაურებული მდგომარეობა!

თვითონ "ი " ბგერას საოცარი დატვირთვა ააქვს ენაში!

ი - ესო! ი - ძლევა!

ა-ი ი-ა!

და ეს ერთიანობაში განიხილება, როგორც მშენებელი ენერგია და ღმერთის გზა,

აქედან გამომდინარე ჩვენ ვხდებით უკვე "გ რ ა ფ ი - კ ი! - მამრი საწყისი და დასტური სამყაროსი "კ ი"! ე.ი მამაკაცი ხდება გ რ ა ფ ი, როგორც კი გაცნობიერებას შესძლებს და ჩაებმევა ამ პროცესებში.

მდედრის საწყისი გ რ ა ფ ი - ნ ი - ა!

"ნ ი" ბგერები ცნობიერებაზეა პასუხისმგებელი!

ანუ იკვთება ის რომ ქალბატონები ვფლობთ მაღალ ინტელექტს და ვართ გამორჩეულები ცოდნის დონით ასევე!

ზუსტად ამ გრაფიკში ხდება ჩვენივე, საკუთარი სპირალის წარმოქმნა და დაბადება, შევსება ღვთიური ენერგიის, რომელიც ზრდაში გადადის ანუ გ ა ა ზ რ ე ბ ა!

ამ პროცესებს ვახდენთ დ ა ფ ი ქ რ ე ბ ი ს დროს!

ციფრები შიდა და გარე განზომილებას განსაზღვრავს და ამას ხელების ერთად შეხებაც ადასტურებს, ორი ხელი ერთად, აქეთ იქით. წინა და უკანა მხრიდან,

ასევე წერის დროს მივაქციოთ ყურადღება თუ რა მინიშნებებს იძლევა თვითეული რიცხვი ორჯელ აღებული წინა და უკანა მხრიდან როგორც ხელები!

ნ ი - ნ ო!

წმინდანის სახელი, გამორჩეულობის სიმბოლო და ხატად ქცეული ჭეშმარიტება!

ჯ ვ ა რ ი! ჯ - ვ ა რ - ი!

ფორმა როგორც ს ა ს წ ო რ ი! ს ა - ს წ - ო რ - ი! ე ი სასიდან სწორი ბგერების წარმოთქმის ძალა დევს, ანუ პირიდან!

უწყვეტი სულიერი ჯაჭვი მოედინება სრულიად სამყაროდან, ს ა მ - ყ ა რ ო დ ა ნ, რაც სამებასთან კავშირს ადასტურებს და მის გამყარებას, ამიტომ წარმოდგენები ღმერთის შესახებ ვეძიოთ უნდა მასში და მივიღებთ კიდეც პასუხს.

უკვდავებაა - ა ღ დ გ ო მ ა ა!

რელიგია კი სულიერების ცეცხლი, რომელიც სწვავს და ანადგურებს ყველაფერს რაც კი მიუღებელია.

დედამიწა სულისთვის ზრდაა, რაც ადამიანად ჩამოყალიბებაში გვეხმარება და როდესაც ეს ზრდა დასრულებულად ჩაითვლება სული გადადის სხვა სამყაროში გაცნობიერებისთვის, რათა ზრდა გააგრძელოს და მიაღწიოს ღვთის უმაღლეს სახეს.

ზუსტად აქ დევს საიდუმლოს გასაღები და ყველა მეცნიერება ერთდროულად ამ გასაღებზეა მოსაუბრე, გავაღოთ კარები ამ ბგერების დახმარებით და მათემატიკა- გეომეტრიაც გამოვიყენოთ, სადაც მოჩუქურთმებული ფიგურები განსაკუთრებულ სახედ გვევლინებიან!

იქნება და ჩვენშიც შევქმნათ ეს უნივერსალურობა!

მიყვარხართ და მეიმედებით!

პატივისცემით ხათუნა ელიაშვილი - ჩიმაკაძე!

სიგრძის სკივრი

ნაირა უგულავა (ნია გორდელი)

გონების ზღვარზე

აზრები

(გაგრძელება)

დასაწყისი იხილეთ ანთოლოგიის 11, 12 ნომერსა და ათინათის N 42- 43- 44-45-46-47-ში

მეცნიერება და ტექნოლოგიები

***

ადამიანის ცოდნას სამყაროს შესახებ კითხვითი ნიშნის ქვეშ ვაყენებ...

***

საინტერესოა, მიკრო და მაკროკოსმოსით გატაცებული ფიზიკოსები (რომლებმაც არაერთი ვნება მოუტანეს მსოფლიოს), რატომ არ უფრთხილდებიან სიცოცხლეს დედამიწაზე, რომლის ანალოგი კოსმოსში ვერ იპოვეს...

***

მეცნიერული აღმოჩენიდან მის გონივრულ გამოყენებამდე წარღვნას უნდა ველოდოთ.

***

აინშტაინისთვის შთაგონების წყარო მუსიკა იყო. ამ დროს იხსნებოდა ზეცნობიერების არხები, _ მისი დახშული ტოტები; მუშაობას იწყებდა ზეინსტინქტები _ ინტუიციური გზები, _ მეცნიერული მუშაობის მთავარი საშუალებები...

***

მეცნიერი, რომელიც სხვისი დაკვეთით მუშაობს, თავის შესაძლებლობებს ვერ იყენებს და თავის შეხედულებებს სათანადოდ ვერ აყალიბებს...

***

მეცნიერების უზუსტესი გამოთვლები აზრს კარგავს სტიქი-ონების და კატაკლიზმების წინაშე.

***

მხოლოდ, ბუნებასთან დახვეწილი თანამშრომლობა შეიძლება გახდეს მეცნიერული მიღწევების წარმატების და მისი გონივრული გამოყენების საწინდარი.

***

ადამიანის გენზე მანიპულირება რომ საშიშია, მეცნიერები მალე დარწმუნდებიან ამაში...

***

მეცნიერი, ჩემს წარმოდგენაში კარგახანს ტოვებდა შთაბეჭდილებას, რომ იყო გენიოსი, ბუმბერაზი, დიდბუნებოვანი, ჰუმანური და მისაბაძი. ამ გულუბრყვილობამ საკმაოდ გვიან გამიარა, როცა მივხვდი, რომ ის შეიძლება იყოს გულზვიადი, ამბიციური, ვერაგი, ბოროტი, ცალმხრივად განვითარებული ფსიქოპატი, არაჰუმანური, უღვთო და ქვეყნის

დამაქცევარი... ამ მოსაზრებას განამტკიცებს, თუნდაც, აინშტაინის ცხოვრება და მოღვაწეობა, რომელმაც სიცოცხლის ბოლო წლებში თავისი ნაშრომები გაანადგურა...

თუმცა, თავის `მოღვაწეობას" საკმაოდ გვიან დაუსვა წერტილი... სწორედ მას ეკუთვნის ცნობილი გამონათქვამი: „არცერთი მიზანი არ არის ისე ამაღლებული, რომ უღირსი საშუალება გაამართლოს მის მისაღწევად.~

***

ცოდნა, რომელსაც ჩვენ ვეძებთ, ვარსკვლავთსიმრავლისაა და ვარსკვლავებივითაა მიმოფანტული.

***

მეცნიერებს _ ნილს ბორს, აინშტაინს, რეზერფორდს, კიურის და ა. შ. _ ჩვენ გენიოსებს ვეძახდით, არადა, ბრმად გატაცებულები თავისი იდეებით, ცხვირწინ ვერ იყურებოდნენ. მათ, დაუთოკავი ატომური ენერგიები ავანტიურისტებს მისცეს ხელში სამართავად, რითაც მსოფლიო საშიშროების ქვეშ დააყენეს... ეს არ არის გენიოსობა _ ეს ცალმხრივობაა, რაც ღუპავს ადამიანს. ისინი „სიფრთხილის ზომებს" რასაც ეძახდნენ, ცოტა სასაცილო აღმოჩნდა ატომური ენერგიების წინაშე...

***

რაც არ უნდა ვიმანიპულიროთ ადამიანის გენზე, დაშვებულობის საზღვრებს ვერ გავცდებით. შეცვალოს უდიდესი კანონზომიერება _ ეს უსუსური მცდელობაა ამბიციური ადამიანისა. თავად გენს აქვს იმდენი შესაძლებლობები, _ კავშირები და უკუკავშირები, რომ ადამიანმა, ჯერჯერობით, მას თავი-ბოლო ვერ მოუნახა. ადამიანის გაუცნობიერებელი მოქმედების შემთხვევაში გენი და მისი კომბინაციები განეწყობა იმდაგვარად, რომ აამუშავებას მასში ფარულად მყოფი თვითგანადგურების ინსტინქტს, რომელიც დაასრულებს ადამიანის არსებობას (და ეს დაშვებული იქნება...).

***

გენეტიკურ სფეროში მუშაობა შეიცავს იგივე საშიშროებას, რაც ატომურ ენერგიებზე. ამის გააზრებამ მეცნიერები აიძულა შეკრებილიყვნენ და დაესვათ საკითხი, საერთოდ ხომ არ შეჩერებულიყო ადამიანის გენზე მუშაობა და მანიპულირება.

***

ტექნოლოგიებით და ატომური ენერგიებით აზროვნება შეუძლებელია, არც საზრდოდ და საკვებად გამოგვადგება ის... დღეს საჭიროა აზროვნების მოკრება იმისათვის, რათა ჩვენივე გამოგონებული, კატაკლიზმებად თავს არ დაგვატყდეს უახლოეს მომავალში...

***

ტექნოლოგიების გამალებულ დახვეწა-განვითარებას სჯობს, შეგრძნებები გავიუმჯობესოთ, რომელიც ყოველარსის შეგრძნებას დაგვაახლოვებს, რაც დაგვეხმარება, ტექნიკური პროგრესი ზომიერების ჩარჩოებში მოვაქციოთ და მისი პროდუქტი კეთილგონივრულად გამოვიყენოთ.

***

ძალიან საშიშია მეცნიერება, რომელიც ბოროტებას ემსახურება. შესაბრალისია ის მეცნიერი, რომელიც აღტკინებულია თავისი გამოგონებით, არადა, ამ დროს გააზრებული არ აქვს, რა მოყვება მის „შემოქმედებას".

***
ბოროტება, როგორც საკენკი, ისე იტაცებს კაცობრიობის ახალ მიღწევებს... ჩვენ ეს „საგნები“ (თანამედროვე ტექნოლოგიების ნაწარმს ვგულისხმობ) უბრალოდ შეგვხვდა-წავაწყდით ჩვენი დაუოკებელი ინტერესის გამო, მათი ჩხრეკა-დაშლა და აწყობა დავიწყეთ და ამ ბავშვურ თამაშში მათი არსი და მნიშვნელობა ვერ შევაფასეთ... მეჩვენება, რომ ნატოს ჩრდილოეთ ალიანსი პატარა ბავშვების გროვაა, რომელსაც „კაცობრული“ მნიშვნელობის საკითხების გადაწყვეტა არ შეუძლია...

***
ფსიქოლოგია არის დარგი, რომლითაც უნდა ინტერესდებოდეს ყველა განათლებული ადამიანი.

***
ფსიქოლოგია არ უნდა განიხილებოდეს ჩაკეტილ სისტემად, კერძო მეცნიერების თემად. დღეს, როგორ არასდროს, საზოგადოებას სჭირდება თემები, რომლებიც წარსულის გამოცდილების შეგრძნება-გააზრება გადამუშავებით, მომავლის სწორად განჭვრეტით და წვდომით ადამიანებს ადამიანური საზოგადოების შენარჩუნებასა და თავად სიცოცხლის იდეის განხორციელებასა და გადარჩენაში დაეხმარება, რაც ხელს შეუშლის ფუტურისტულ-ტრანსგრესიული იდეების შემცველი წარმოსახვებით ადამიანის აზროვნების გაჟღენთვას, რომელიც, საბოლოო ჯამში, ნორმალური აზროვნების მადეპრესირებელ-მარეგრესირებელი იდეოლოგიის ფორმას მიიღებს; ამ ნიშნით ბუნებრივ-ლოგიკური განვითარების წესს დაარღვევს და ადამიანური ფენომენის გაქრობას გამოიწვევს...
ფსიქოლოგია, კარგა ხანია, გაყინულ, უსარგებლო, განყენებულ _ ჩარჩოში მოთავსებულ მეცნიერებად მოიაზრება. მიმაჩნია, რომ დღეს მსოფლიოში არის მდგომარეობა, რომელიც მოითხოვს კაცობრიობის ნააზრევის დახვავებული მადნეულის ნაყოფიერ და სასარგებლო გადამუშავებას და არა მისგან „ერთი მუჭა მასისათვის“ საჭირო პროდუქტის მიღებას. ასეთი მიდგომები ძალიან დააზიანებს ამ დარგს და, საერთოდ, აზროვნებას. ფსიქოლოგია უნდა ცოცხლობდეს, აზროვნებდეს, ვითარდებოდეს და აქტიურად ისახებოდეს საზოგადოებრივ აზროვნებაში. ეპოქალური აზროვნების სარკეში ის იმდაგვარად უნდა იცქირებოდეს, რომ იქედან დეფორმირებულ გამოსახულებას არ იძლეოდეს, პირიქით, სინამდვილის მძაფრი განცდით და გათავისება-ინტერიორიზაციით მომავლის სწორ რეფლექსიას უნდა ახდენდეს.

ფილოსოფია, ფსიქოლოგია, ლოგიკა

დავით ყანდაშვილი

რა არის ადამიანის ცხოვრების კრედო?!

ყველა ადამიანს თავისში რაღაც წამყვანი იდეა (უმრავლეს შემთხვევაში იდეაფიქსი) ამოძრავებს და ისე აპობს ცხოვრების ლაბირინთებს, როგორც ოკეანეში გემი ტალღებს. ზოგს ადამიანებისთვის სიამოვნების მინიჭება მიაჩნია უმთავრეს მიზნად; ზოგს ადამიანების თავისი მაკეტის მიხედვით განთავსება; ზოგს „მეინსტრიმის“ (მიმდინარე მომენტში წამყვანი თვალსაზრისის) მიერ შემოტანილი შეხედულებების ბრმად მიყოლა და გარემოსთვის ამის გავრცელების რუპორად (ინსტრუმენტად) ქცევა; ზოგს კი უკლებლივ ყველაფერთან და ყველასთან მექანიკურად დაპირისპირების მიდრეკილება აქვს განვითარებული (კრიტიკულ აზროვნებას რომ ეძახიან დღეს) და ა. შ.

მაშ, როგორ უნდა გაარკვიოს ადამიანმა – ***რა არის მისთვის სასურველი და რა კრიტერიუმებით შეიძლება ამის განსაზღვრა?***

გვერდიდან როცა ვაკვირდები, ჩემთვის ადამიანები ისეთივე სასაცილოები არიან ხოლმე, როგორც კუ ან ლომი სიგარეტით პირში; ან ჯინსებში გამოწყობილი კურდღელი, რომელიც გამალებით სვამს კოკა-კოლას; ანდა არწივის მართვე, რომელსაც მშობლები დაზიანებისაგან დაზღვევის მიზნით, ვიდრე ფრენას სრულფასოვნად ისწავლის, მშობლებმა პარაშუტი შემოაცვეს და ა. შ.

ზემოთ ჩამოთვლილი მიმართულებებიდან, რითიც არის განმსჭვალული ადამიანი, ავტომატურად განსაზღვრავს იმას, რასაც მისი ცხოვრების მიმდინარეობის განმავლობაში მის ძირითად საქმიანობას (პროფესიას) განსაზღვრავს.

ჰოდა, ადამიანი ხდება:

მეხანძრე, ანუ იმისათვის ცხოვრობს რომ ხანძარი აღმოაჩინოს და ჩააქროს;

მძღოლი, რათა ამა თუ იმ სატრანსპორტო საშუალების სამართავ მოწყობილობასთან იჯდეს და ამა თუ იმ მარშრუტით გადააადგილოს და ა. შ.

ასეთი პრინციპით ცხოვრობენ *მშენებელი*, *მეშუშე*, *მეწაღე*, *მკერავი*, *მეკუბოვე*, *მეთუნუქე* და ა. შ. ეს ყველაფერი ყოფიერებით საქმიანობას ეხებოდა.

მაგრამ....

როდესაც ცნობიერების საკითხებზე გადავდივარ, აქაც ზუსტად ასეთივე მექანიზმით ავტომატურად ხდება მიდგომა. მაგალითად:

წესრიგის დამმყარებელი (პოლიციელი) დამრღვევის მოძიებითაა მთელი ცხოვრება დაკავებული;

ექიმი ავადმყოფების მოძიებაში ატარებს თავის ცხოვრებას;

მხატვარი, ***მუსიკოსი***, ***პოეტი***, ***მწერალი***, ***ფილოსოფოსი***, ***პუბლიცისტი*** (ვიდრე იქნებიან დედამიწაზე) იმ საქმიანობის გეგმიურ ქვემდებარეობაში გადადიან, რაშიც ***საკუთარი პროფესია აიძულებთ ყოფნას***.

თუ რომელიმეს მოუნდება სხვა, მათთვის ***ახალი ინტერესების საქმიანობით დაკავება***, მყისეულად ***დაკარგავენ ადგილს სოციუმში*** და ამ ახლადარჩეულ საქმიანობაში ჯერ ***პროფესიის მქონის დიპლომი*** უნდა მიიღონ შესაბამისი ინსტანციისაგან და შემდეგ სოციუმში დაიმკვიდრონ ხელახლა ადგილი, სადაც იმდენი „პროფესიონალი“ დახვდებათ, რომ მათთვის ან „პროტექციით ან ქრთამით (მოსყიდვით)“ თუ იქნება შესაძლებელი სადმე თვითდამკვიდრება, თუმცა ამ შემთხვევაშიც ძალიან დიდი ხანი მოუწევთ „***ახალბედას და გამოუცდელის კლიშეს“*** ტარება.

ეს ის ცხოვრების სტილია, რითიც დღეს კაცობრიობა ცხოვრობს.

მაგრამ... ეს არ არის ახლა განხილვის თემა.

საინტერესო ის არის – როგორაა შესაძლებელი ადამიანი ერთი სახეობის მიდგომაში არ ჩაიკეტოს და ყველა სხვა არსებულთანაც ერთგვარი კავშირის დამყარება შეძლოს.

ადამიანი როგორც:

სამყაროში არსებული ცოცხალი არსება;

ადამიანის რასის წარმომადგენელი;

პლანეტა დედამიწაზე მცხოვრები;

ამა თუ იმ ტერიტორიული ერთეულის, ერის სარწუმოებისა თუ რასის წარმომადგენელი;

ფაუნაში სხვა ცოცხალ არსებებთან მიმართებაში ერთ-ერთი სახეობის წარმომადგენელი

და ა. შ.

ადამიანი, სურს თუ არა, მინიმუმ რაღაცა სახის შეხედულების გამომუშავებასა და ერთმანეთისთვის ამის გაზიარებას საჭიროებს. თავის „ვიწროპროფესიულ“ საქმიანობაში ჩაკეტილ ადამიანში ძნელად წარმოსადგენია რომელიმე ზემოთ ჩამოთვლილ კატეგორიასთან რაიმენაირი მიდგომა შეიქმნას. საკუთარი ადგილის შენარჩუნებისათვის, საკუთარი მატერიალური უზრუნველყოფისათვის ბრძოლაში ძნელია ამისი დრო და სურვილი გაუჩნდეს დღევანდელ ადამიანს.

ამ საკითხებზე კონცენტრაციასა და ამ შეხედულებების ერთმანეთთან მშვიდობიან თანაცხოვრებას ***ცნობიერების სფერული განვითარება*** ეწოდება. იგი თანაბრად, მიუკერძოებლად და ემპათიური სულისკვეთებით უდგება ყველაფერს.

ეს, ალბათ, მხოლოდ მაშინ თუ დაინტერესებს ადამიანს ზოგადად, როცა კაცობრიობის მიერ შექმნილი ხელოვნური, ვირტუალური სამყარო იმდენად თვალსაჩინოდ დაიწყებს ნგრევას, რომ ამის უარყოფა უკვე შეუძლებელი გახდება და ადამიანი იძულებული გახდება ბუნებასთან, სამყაროს ინტერესებთან, საკუთარ ჩამოტანილ დანიშნულებასთან გაუცხოებულობისაგან გამოვარდეს, როგორც შამპანიურის ბოთლის საცობი, „გამოგონდეს“, გამოიღვიძოს და, ახალი სიტუაციის შესაბამისად, საკუთარი არსების თვითრეალიზაციის გზებს დაუწყოს ძიება.

ქვის და ბეტონის ჯუნგლებში თავისი ნებით პატიმრობაში მყოფი ადამიანი თავისი გამოგონილი დამხმარე საშუალებების მონა და მსახური, სინამდვილეში დიდი პოტენციალის მქონე არსებაა და მილიონიდან ერთმაც რომ მოახერხოს ვიწროცნობიერული მიმართებისაგან თავის დაღწევა, ესეც კი დიდი წარმატება იქნება ზოგადად კაცობრიობისათვის.

ვიდრე ***ცნობიერება ემსახურება ყოფიერებას,*** ამის მიღწევა შეუძლებელია ნებისმიერი ადამიანისათვის. როდესაც ***ყოფიერება ცნობიერების ზრდა-განვითარების სამსახურში*** გადავა ადამიანი ჯანმრთელი ცხოვრების გზას დაადგება და თავისი არსებობის რეალურად საჭირო და აუცილებელ ფორმას მარტივად აღმოაჩენს.

მინდა უხეშად ჩამოვყარო, ჩემი შეხედულებით, რა უნდა იყოს მნიშვნელოვანი ადამიანისათვის ზოგადად:

სამყაროს წინაშე მოახერხოს ***იმის აღსრულება, რისთვისაც არის შექმნილი***;

ამოიცნოს და ამოხსნას ის ამოცანები, რაც პირადად თითოეული ადამიანისათვის არის (მასთან უშუალოდ შეთანხმებით და ხშირ შემთხვევაში საკუთარი არსებისათვის თავადვე) დასახული;

თავის გარემოცვაში მყოფი ადამიანების მიმართ უპირობო კეთილგანწყობის სულისკვეთების განვითარება და ყველასთან ***ისეთი მიდგომა, როგორც თავად სურს რომ უდგებოდნენ***;

საკუთარი ცხოვრებისადმი (დედამიწაზე მოგზაურობის პროცესისადმი) ***მადლიერებით განმსჭვალულობა***;

ყველაფრისა და ყველასთვის, რასაც შეეხება და დაიტევს, ***სარგებლობის მოტანის დაუოკებელი მცდელობები***.

შემეცნებითი სამყარო

ნაირა უგულავა (ნია გორდელი)

ბრალის თეორია

(გაგრძელება)
დასაწყისი იხილეთ ანთოლოგიის № 10-11-12 ტომსა
და ჟურნალ ათინათის №38-39-40-41-42-43-44-45-46-47-ში NN

სხვადასხვა მოტივსა და შინაარსზე აგებული ბრალის ფორმები (არასისტემატიზირებული)

სხვათა უბედურების თავსდატეხვის ჟინი და ბრალი, ამისგან კმაყოფილების მიღება და საკუთარი სარგებლის პოვნის მოლოდინი, მხოლოდ, სხვისი ხელებით (ფენომენი)

არინ ადამიანები, თავად არააქტიური ცხოვრების წესით ცხოვრობენ და არც ასპარეზს ეძიებენ, მაგრამ მუდამ ელოდებიან, რომ ჰორიზონტზე გამოჩნდება გმირი, რომელიც მათ სასურველ ყოფას და ცხოვრებას მოუტანს; არიან ადამიანები,რომლებიც აღმერთებენ კრიმინალებს, დესპოტებს, სადისტებს, კაცთმოძულე მიზანტროპებს, ფაშისტებს და ა.შ. რომლებმაც „სხვა“ ხალხები და ქვეყნები დალაშქრეს, დაარბიეს და მიწასთან გაასწორეს; მილიონები ტანჯეს და აწამეს და ამით „ბედნიერება“ მოიპოვეს. თუმცა, თავად „ამ მომლოდინე ადამიანებს“, ჯერ კიდევ, არაფერი სიკეთე არ მიუღიათ; შიმშილი, სიცივე, სიდუხჭირე მათი ცხოვრების თანამგზავრია. მათთვის საკმარისია, მხოლოდ მოლოდინი, რომ ეს დესპოტი სხვას წაგლეჯს, წალეკავს, წარღვნის – ძეხორციელს მიწასთან გაასწორებს... რასთან გვაქვს საქმე? სისხლის წყურვილით, ღვარძლით, შურით, ბრალით ძალასთან იდენტიფიცირებასთან და ამით დაკმაყოფილებასთან, თუ მოლოდინთან, რომ ამ იდენტიფიცირებით, ერთ მშვენიერ დღეს, ცხოვრება გაუუმჯობესდებათ? სხვა რა დაერქმევა გასულ საუკუნეში გერმანელი საზოგადოების მოლოდინს, რომ მათი „გმირი“ წარღვნიდა – იავარქმნიდა მსოფლიოს და ისინი ამით იდეალურ საზოგადოებას დააარსებდნენ?..

რაღა შორს წავიდეთ, საკუთარ უბეში ჩავიხედოთ. რატომ ეთაყვანებოდა და ახლაც ელოდება სააკაშვილის დაბრუნებას საზოგადოების ნაწილი საქართველოში? არც სააკაშვილის დროს (იქ მხოლოდ ილუზია მოქმედებდა), და არც მისი ხელისუფლების შეცვლის შემდეგ, მათი მდგომარეობა ერთი ნაბიჯით წინ არ წაწეულა, მაგრამ იმედი – მოლოდინი იმისა, რომ სააკაშვილი ვიღაცას დასჯის, აწამებს, ბიზნესმენებს ფულს წაართმევს, შეძლებულებს გაყვლეფს, საუბედუროდ, კმაყოფილების განცდას ბადებს ასეთი ფსიქიკის ადამიანებში... შესაძლოა, კი? – ამით რაიმე სარგებელიც მიიღონ?.. არა! მოლოდინი და „ბრალი“ სხვა ადამიანების „ორთხში“ ამოღებისა, კვებავს და ასულდგმულებს „ამ საზოგადოებას“, თუნდაც, თვითონ სიმწუხარეში ამოხდეთ სული... ეს ბრალიცაა და ფენომენიც, რომელიც განსაკუთრებულ შესწავლას მოითხოვს!

ბრალი კეთილგონიერთა და კეთილისმყოფელთა მიმართ „რატომ უფრო მეტი არა“ – ბრალი

ზოგჯერ, ადამიანები ეძებენ ბიწიერებას თვით კეთილგონიერ და კეთილისმყოფელ ადამიანებშიც და აღძრავენ ბრალს მათ მიმართ. მალე ავიწყდებათ ან წყინდებათ მათ მიერ გაკეთებული სიკეთეები; გულის სიღრმეში იწყებენ ჩიჩქნას (ისევ, მათი გაფუჭებულობიდან გამომდინარე), რომ ეს სიკეთე ჩადენილი იყო რაღაც ქვეგრძნობებით, ანგარებით, გათვლებით და ა. შ. ამ ბრალს განეკუთვნება „რატომ უფრო მეტი არა“ – ბრალი.

ზოგიერთი ადამიანი ამჟღავნებს პარადოქსალურ დამოკიდებულებას საკუთარი მოკეთის მიმართ. იგი აღძრავს ბრალს მოკეთეზე, რომელიც წლების მანძილზე ეხმარება, დოვლათით ავსებს მის ოჯახს, – უზრუნველყოფს მისი და მისი შვილების მომავალს. ამ უკეთურ ადამიანს მოსდის ასეთი ფიქრები: შეეძლო უფრო მეტად დამხმარებოდა, რად უნდა „ამდენი" ქონება, რატომ არ არის უფრო მეტად ხელგაშლილი და ა.შ. თუკი ხელშეშლის ან სხვა მიზეზის გამო, მოკეთეს ფეხი წაუცდა და მას ადრინდებურად ვერ დაეხმარა, მადლიერების ნაცვლად თავს იჩენს დიდი უკმაყოფილება და უმადურობა, ზოგჯერ, სიძულვილიც კი ამ მოკეთის მიმართ, საიდანაც წარმოიშობა ათასნაირი ბრალი... ასეთი ბრალით გაჟღენთილი ადამიანები ხშირად წარმოშობენ ბრალს ოჯახის წევრების, ახლობლების და სხვათა მიმართ. აქ ბრალის გარდა, შურის ვნებაც დიდ როლს თამაშობს; თან სიკეთეს იღებს, თანაც შურს... აქ მართლდება წმინდა ბასილის სიტყვები: „შური მწუხარებაი არს მოყვასისა სიკეთესა ზედა".

შურის ბრალი

შურს წმინდა ბასილი კესარიელი ამდაგვარად განმარტავდა:

„ვნებაᲘ, უძჯრესი შურისა, არღარა აღმოეცენების სხუაᲘ სულსა შინა კაცთასა... ვითარცა გესლი რკინასა, ეგრეცა შური სულსა მას, რომელსა თანა იყოს, განჰლევს. და უფროᲘსად, ვითარცა იქედნეთათჯს იტყჯან, ვითარმედ მშობელთა მათთა საშოსა შეშჭამენ და ესრეთ გამოვლენ, ეგრეთვე შური სულსა მას, რომელმან იგი მუცლად-იღოს, განჰლევს. რამეთუ შური მწუხარებაᲘ არს მოყუსისა კეთილთათჯს, ამისთჯსცა მოშურნესა არა ოდეს დააკლდების მწუხარებაᲘ და ჭირი... შურიცა და კაცისკლვაᲘცა – მოძმენი ესე ურჩულოებისანი... მოშურნესა კეთილი ყოველივე უმეტესად აღაგზნებს; და რაᲘზომცა ფრიად პატივ-სცეს, უმეტესად შურს და უმძიმეს და უმწუხარეს არს, რამეთუ ქველისმოქმედსა მას უმეტესად ეშურების, ვიდრეღა მადლიერ არს... ჯერარს მოშურნეთა ზიარებისა და უბნობისაგან სივლტოლაᲘ, რაᲘთა გარეგან ისართა მათ შურისათა ვიქმნეთ".

შურით განმსჭვალულობა ბრალის ნაირსახეობას განეკუთვნება. შური სხვა ვნებებთან ერთად აღიძვრის და ხშირია შურის ბრალითი მიმართება სხვა ადამიანების მიმართ. სხვათა გაფურჩქვნა რატომ არის ზოგისთვის შემზღუდველი, სხვათა სიკარგე რატომ აღიზიანებს ადამიანს? სრბოლა სინათლისაკენ მცენარისა, ზოგჯერ, ზღუდავს სხვა მცენარის სრბოლას და საბოლოოდ განვითარებას. ეს ხდება ახლო მდგომ მცენარეებში. ასევეა ადამიანებში. შური შედარებით ახლომდგომ ადამიანებს შორის აღიძვრის, ვიდრე დისტანციურად მყოფ ადამიანებს შორის. ახლო მყოფი ადამიანების წარმატება და სიკეთე შესაძლოა არაფერს გვიშავებს, პირიქით, შეიძლება სარგებელსაც ვიღებთ მისი სიკეთეებით, მაგრამ... ვიღაცის უპირატესობა ხომ გვიკარგავს პირველობის შანსს?.. რა, განა, ეს არ კმარა, რომ ადამიანი შურით და ღვარძლით განეწყოს თუნდაც წარმატებული მოკეთის მიმართ? მსგავსად მცენარეებისა, ჩვენში კონკურენციის, სწრაფვის იდეა იღვიძებს და აქვე იბადება შურის ბრალიც. არ ვამბობ, ყველა ადამიანში, მაგრამ სხვათა უპირატესობის განცდა ზოგიერთ ადამიანში ბადებს შურს, რომელიც, სწორედ რომ, გასაცნობიერებელი და დასაგმობია. თუმცა, თუ არა შეჯიბრებითობა და კონკურენცია, განვითარებაც ვერ მოხდებოდა. ეს მასტიმულირებელად მოქმედებს ძალიან ბევრ ადამიანზე. კონკურენციაში ყოფნა ჯანსაღ სასიცოცხლო ტენდენციაში ყოფნას ნიშნავს. მიზნებისა და სწრაფვების გარეშე ყოფნა ასთენიური მდგომარეობაა. ეს პიროვნების რღვევის ნიშანია, რაც პათოლოგიაა და არა ნორმა. აღმოცენებისა და განვითარებისათვის აუცილებელია სწრაფვა. სინათლის გზაზე ჩრდილები ყოველთვის არის დაბრკოლება. ბრძოლა „სინათლისათვის" გარდაუვალია. სიცოცხლისა და განვითარების იმპულსი – სასიცოცხლო ტენდენცია წარმოდგენილია ბრძოლის საშუალებებით – ვნებებით და მათ შორის შურის ბრალით. ადამიანს არ შეუძლია ვნებათაგან განცალკევება. მხოლოდ, მას შეუძლია უმაღლეს ხარისხში აიყვანოს თავისი „ადამიანი" ღვთის სახედ და ხატად ქმნილი, რომელსაც შეუძლია მართოს ვნებები. ამას სჭირდება კავშირი უფალთან და უდიდესი ძალისხმევა...

ცილისწამების ბრალი

ცილისწამება წმინდანთა მიერ განმარტებული და შეფასებულია, როგორც ეშმაკისეული ბოროტება, რომელიც ადამიანის გონებას და აზრს სიძულვილით ავსებს. ეს სიძულვილი კი, ავის ჩადენისაკენ მოუხმობს და საბოლოოდ ღუპავს ადამიანს. ძველი და ახალი აღთქმა საუბრობს ცილისწამების ცოდვის ვნებიანობაზე და აფრთხილებს მომაკვდავთ – არ ჩაიდინონ ეს ცოდვა. ცილისწამების მსხვერპლთ კი მაცხოვარი ასე ანუგეშებს: „ნეტარ იყვნეთ თქვენ, რაჟამს სთქვან ყოველი სიტყვა ბოროტი თქვენზედა, გიხაროდენ და მხიარული იყვნეთ, რამეთუ სასყიდელი თქვენი ფრიად არს ცათა შინა“.

არასწორად მიმართული ყოველგვარი ბრალი არაკეთილგონიერებით არის ნაწარმოები; მათში შეიძლება ვეძებოთ დაბნეულობა, საკითხის არ ცოდნა, განსჯის ნაკლულობა, აფექტურობა და სხვა შინაარსები, მაგრამ ცილისწამების ბრალი სრულიად გარკვეული სახის ბოროტებაა, რომელსაც გასასამართლებელი მოტივები არ გააჩნია. ტყუილი და ცილისწამება შეამხანაგებულად ანგრევენ კეთილგონიერ ადამიანთა მიერ რუდუნებით შექმნილ კაცთმოყვარეობის საყოველთაო იდეას და მიმართული არიან უფლის კანონზომიერების საწინააღმდეგოდ. ცილისწამების ბრალს უამრავი ბოროტება მოუტანია და მრავალი ადამიანი დაუღუპავს, როგორც გარდასულ დროთა მდინარებაში, ასევე ჩვენი ცხოვრების უახლოეს წარსულში (ამ მაგალითების მოყვანა შორს წაგვიყვანს). დღესაც, „ბოროტების მანქანა“ გამალებული მუშაობს ადამიანის რწმენის, კეთილგონიერების და კაცთმოყვარეობის შესარყევად, მეტიც, ადამიანის ფიზიკური და გონებრივი გადაგვარების მისაღწევად, რაც კაცობრიობის წინაშე ჩადენილ დანაშაულად უნდა შეფასდეს.

სულიერ და მატერიალურ მოთხოვნილებათა დაუკმაყოფილებლობის ბრალი შემოქმედებაში

ადამიანის გონებას თუ რამ ოდესმე შეუქმნია, არის ბრალის მონაწილეობით შექმნილი – ბრალსა და უკუბრალს შორის წინააღმდეგობაში ნაშობი. ისევე, როგორც წარსულში, თანამედროვე ხელოვნებაშიც – მწერალთა, მხატვართა, პოეზიის მსახურთა შემოქმედება სულიერ და სასიცოცხლო მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების და შევსების წყურვილითაა აღძრული. ფსიქიკური ბირთვი სისტემაა, რომელიც თავისი სრულყოფის, აღდგენის ტენდენციითაა აღჭურვილი; როდესაც დეფიციტია მატერიალურ შევსებაში, ორგანიზმი მიმართულია მისი აღდგენისაკენ. ასევეა სულიერი დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში, ის მიისწრაფვის შევსებისაკენ – დაკმაყოფილებისაკენ. ხელოვანთა მოღვაწეობა აუცილებელი კანონზომიერებითაა ნაკარნახევი. მათ შემოქმედებაში ყველგან არის უკმაყოფილება და ბრალი. „შემოქმედებით“ სფეროებში მოღვაწეების მოტივაციურ შინაარსებში არის კატეგორიები, რომლებიც შეიძლება დიფერენცირდნენ შემდეგნაირად:

ა) წმინდა სულიერი – უკეთესობისაკენ, საზოგადოების სულიერი გაჯანსაღების სურვილით ნაკარნახევი.

ბ)ბიოლოგიური არსის (გენის) დარღვევის გამო ან ფსიქომატრავმირებელი ზემოქმედების შემდგომი ფსიქიკური დეფორმაციების შევსების მოთხოვნილებით ნაკარნახევი.

გ) მატერიალურ-მერკანტილური (განსაკუთრებით ჟურნალისტიკის სფერო).

დ) საზოგადოების მიმართ რევანშისტულად განწყობილთა და „მოსყიდულთა“ ხელოვნება (მამა-შვილი ბუღაძეები, დეისაძე, ქარუმიძე და სხვები). მათი რევანშისტული განწყობილებები, არასრულფასოვნებაში – მთავარი ბიოლოგიური არსის დარღვევა-დეფორმაციებში ან სხვა პათოლოგიურ გადახრებში უნდა ვეძებოთ. ასეთ შემოქმედებას, ამდაგვარი მოთხოვნილებებიდან გამომდინარე, ადევს შესაბამისი დაღი; მიჰყვება ხაზი,რომლითაც ნათელი ხდება, თუ რა მოტივაციური შინაარსები და ქვეშინაარსები ამოძრავებს მათ ბრალს...

ისტორია

ნიკო ხერკელაძე

ცრემლში ნალესი ხმალი

(დასაწყისი იხილეთ „ათინათი“ №№ 16-46-ებში
და ანთოლოგიის მე-5-11 ტომებში)

ბაზალეთი

* * *

ხაზი უნდა გაესვას სააკაძის შემწყნარებელ და მიმტევებლურ თვისებებს, რაც იმ ეპოქაში დიდებულთა ნაწილი ამ ღირსებებით ნაკლებად გამოირჩეოდნენ. ქართველი მკითხველისათვის მათი ვინაობა ცნობილია, ყურადღებას მხოლოდ ზ. ერისთავზე და თეიმურაზ I-ზე გავამახვილებ. როგორც კი პატარა წინააღმდეგობას გამოხატავდა თავისი საერისთაოს მთის მოსახლეობა ბეგარის გადახდის მხრივ, ეს საკმარისი ხდებოდა, რომ ზ. ერისთავს ქარქაშიდან ხმალი ამოეღო. ვიცით, რა მიზეზით გააძევა უფროსი ძმა ბაადური, სახლის კაცი, და როგორც მეტოქე, მეორე ძმას გიორგი ერისთავს თვალები დასთხარა. ამ მიზეზის შესახებ ჩვენ ზემოთ ვისაუბრეთ. ბაზალეთის მოვლენებში ვიცით მისი აქტიურობა და სააკაძედ მიჩნეულ დავით გოგორიშვილზე როგორ გამეტებით აღმართა ხმალი. ბაზალეთის ომის შემდეგ თავისი სიმამრის გული რომ მოეგო, და რადგან სიმონ II-ე ქართლის ტახტის სადავეებს ეცილებოდა თეიმურაზს, ამ მიზეზით მან სიმონ II-ე სხვილოს ციხეში მოკლა. რადგან სიძე – სიმამრი ბაზალეთში თანამოაზრეები იყვნენ, უნდა ვივარაუდოთ, რომ ეს საქმეც შეთანხმებით მოახდინეს. სულ მალე თეიმურაზმა, ირანის შაჰის წინაშე ერთგულება რომ ემტკიცებინა, რადგან სიმონ II-ე ქართლში შაჰისაგან ხელდასმული იყო და იგი მოკლეს სხვილოს ციხეში, შემდეგ ნატახტართან, როდესაც სიძე სიმამრი სანადიმო სუფრასთან ერთად ლხინობდნენ, თეიმურაზის მიერ წინასწარ შემუშავებული გეგმით ელუმო თოღუმიშვილს საკუთარი სიძე, ზ. ერისთავი, მოაკვლევინა და მისი მოჭრილი თავი ირანს გააგზავნა ერთგულების დასტურად, თან შეუთვალა - ეს საქმე იმიტომ გავაკეთე, რომ მან სიმონ II-ე მოკლაო. კახეთზე შაჰ-აბასის თავდასხმამდის თეიმურაზმა, ეჭვის საფუძველზე, ომანიშვილი შაჰთან მოსალაპარაკებლად გააგზავნა, სადაც უკვე გადაწყვეტილი იყო მისი უკან არ დაბრუნების ხვედრი. აქ ჩამოთვლილ მოვლენებში ჩანს მათში შემწყნარებლური თვისებები? ახლა სააკაძის ხასიათებთან გადმოვინაცვლოთ. თანამოძმეთაგან გაძევებულს და ირანის გზაზე დამდგარს წინ კოლოტაური გადაეყრება. მიუხედავად ასეთი დამძიმებული გულის პატრონი და აშკარად რომ ჩანს კოლოტაურს მისი მოკვლა სურს, სააკაძე მას არ მოკლავს და გააგრძელებს ირანისაკენ გზას. შემდეგ ირანიდან საქართველოში დაბრუნებისას, შიშისაგან თავ-ზარ დაცემულ, იმერეთისაკენ გაქცეულ ქაიხოსრო ჯავახიშვილს შემოაბრუნებს. ის ქაიხოსრო, რომელსაც ჯერ ისევ არ აქვს შიში განელებული, ციციშვილისაგან ნათხოვარი ჯარით ხელახლა სიკვდილს დაუპირებს, მაგრამ ზნეობით მაღალი სააკაძე ისევ აპატიებს. 1620 წლის სასამართლო და მისთვის მოძულე მხარის შემორიგება არ არის ერთი დიდი, დიდი რუსთაველისებური შემწყნარებლური დანდობა მოყვასისა? ასეთ ადამიანს სიძულვილისა და სამაგიეროს გადახდის დრო ექნებოდა? როცა სულ მზად იყო სიკვდილის ბოლომდის საქართველოს მტრებთან ებრძოლა. სულ მზად ჰქონდა ნაგვემი გული სამშობლოსათვის შეეწირა, როცა ქვეყნის გადარჩენის წესმა მოითხოვა, შვილი სამსხვერპლოდ, მის წინაშე დააყენა. სააკაძის გაძევებამდის მემატიანეთაგან არაა აღნიშნული მისი ნივთიერი უპირატესობა. მას საკმაო მამულები, ბაღ-ვენახები, სათიბ-სახნავები ჰქონდა, უფრო მეფეთაგან მის მამა-ბიძათათვის საჩუქრად მიძღვნილი. რაც ერთგვარი მიზეზიც იქნებოდა ნაწილ დიდებულთაგან ხელში ჩაეგდოთ სააკაძის მიწა-მამულები და მისათვისაც სასიკვდილოდ იმეტებდნენ. მემატიანეთაგან სააკაძის ნივთიერი სიმდიდრის აღმნიშნავი ნაგულისხმევი უნდა იყოს ის

დრო, როცა იგი ირანიდან ბრუნდება, სააკაძის კოშკზე და დარჩენილ საძირკველებზე ზემოთ ვისაუბრეთ. რა ნივთიერი ქონების პატრონიც იქნებოდა სააკაძე იმ ერთ კოშკსა და საძირკველის ნანგრევებს ზედვე ეტყობა, ან სადღა ექნებოდა დრო 12 წელი ირანში დაჰყო, როცა დაბრუნდა 1615 და შემდეგ 1619 წელს სიმონ II-ის თანაშემწობით ცდილობდა ხალხის შემორიგებას, აჯანყებისთვის მზადებას, ციხე-კოშკების სავალი გზების მოწყობას და სამეურნეო საქმიანობის ფეხზე დაყენებას, და რადგან თუ სააკაძე პირადი ნივთიერი ქონების დამცველი იყო, ირანიდან დაბრუნებულმა რატომ არ აღადგინა ნოსტეში მოძულე მტრისაგან გადამწვარი თავისი სახლკარ-დარბაზი? როგორც ჩანს, სააკაძე აღადგენდა იმ ციხე-კოშკებს, რომელნიც ქვეყნისთვის უფრო მეტი სტრატეგიული მნიშვნელობისა იყო. დიდებულთა ნაწილი „უმცირესი“ კაცისაგან ვერ იტანდა ისეთ უნარებს და მემატიანენიც აღნიშნავენ მის ნივთიერად გამდიდრების მხარეს. უნდა ვიფიქროთ, რომ ირანში სააკაძის ყოფნამ, მისგან ომებში მონაწილეობამ შაჰის სასარგებლოდ განაპირობა სააკაძის ეკონომიურად მოძლიერება. გავიხსენოთ ძმები უნდილაძენი, თავიანთი ამაგით ირანის წინაშე როგორ მოძლიერდნენ. ჩვენ ეს მოსაზრება გვაძლევს იმის საშუალებას, რომ ვთქვათ. მაშ როგორ მოხდა მარტყოფისათვის მომზადება? მარტო სიტყვიერი აგიტაცია იქნებოდა საკმარისი, თუ ამასთან ერთად არ ხდებოდა ყველა იმ საომარი იარაღის შეძენა, რაც მაშინ გამოიყენებოდა? (ისტორიული წყაროებით როგორც ცნობილია, ერთი ჯაჭვის პერანგის საფასური 5-6 ხარი ჯდებოდა). ამასთან ერთად ხომ იყო საჭირო საბრძოლო აუცილებლობისათვის ცხენები და მათი შეძენა შაჰ-აბასის განრისხების ერთი დიდი მიზეზიც ის იქნებოდა, რომ სააკაძემ ირანში ნაშოვარი ფულით, მისი საშუალებით, უზრუნველყო მარტყოფის აჯანყება და ირანული ჯარების განადგურება. მეტად საგულისხმოა, მტრის თვალით დანახული სააკაძის ირგვლივ შექმნილი მდგომარეობა. როცა ისქანდერ-მუნში ამბობს „დიდებულთ სძაგდათ სააკაძის უფროსობაო“ მემატიანის შეფასება უფრო ცალმხრივი შინაარსის მოვლენას გულისხმობს სააკაძესთან მიმართებაში. ე.ი. სააკაძე კი არ უფროსობდა, მათი დიდებულთა ნაწილის სუსტი მხარეები ქვეყნის გადამრჩენ საშუალებად არ აღიქმებოდა, არ ძალუძდათ, ვერხელეწიფებოდათ, ამიტომ ვინმესგან, ამ შემთხვევაში სააკაძისაგან უნდა გაღებულიყო ეს ძალა და ხარკი, გინდა შვილის გაწირვის სახით, გინდა სტრატეგიის შემუშავებით და ომების გადახდის სახით. ამიტომ სააკაძის ხელში აღმოჩნდა იმ კონკრეტული დროის სამშობლოს ფეხზე დაყენებისათვის ძალების მოხმობის წესთა აღსრულება.

რადგან პოეტ არჩილის განმარტებით და ირანელი მემატიანის ისქანდერ-მუნშის თქმით აღნიშნულია სააკაძე უფროსობდაო, უნდა გაირკვეს როდის, რა მოვლენების მერე გამოჩნდა მისი უფროსობა და კერძოდ, რა მოვლენები ჩაუთვალეს სააკაძეს „უფროსობად“. უეჭველია მისი ოპონენტური მხარე „უფროსობად“ აღიქვამს იმას, რაც სააკაძისაგან საქართველოს გაერთიანების გეგმას ნიშნავს, როდესაც ამ მიზნის მისაღწევად ქართლში დროებით გამგებლად ქაიხოსრო მუხრან-ბატონი დანიშნა, იმის გამო, რომ ქართლი პირვანდელ მდგომარეობაში ცალკე სამეფოდ დარჩენილიყო. მანამ, სანამ გაერთიანებული საქართველოს მეფის კანდიდატურა შეირჩეოდა. გავიხსენოთ და ხაზი გავუსვათ ერთ-ერთ ძალზე მნიშვნელოვან მომენტს, სააკაძისაგან ასეთი ნაბიჯები და მოქმედებები ხდება მხოლოდ მაშინ, როცა ქართლ-კახეთის ტახტზე მისგან ორჯერ მოწვეული თეიმურაზ I-მა ვერ გაუმართლა, პირიქით, სააკაძისაგან ჯარგანადგურებულ შაჰ-აბასის ზავის პირობებს ურიგდება და მისი მოკავშირე ხდება. აი, მაშინ უჩნდება იდეა სააკაძეს გადავიდეს იმერეთში ერთიანი საქართველოს მეფის კანდიდატურის საძებნად.

როდესაც, სააკაძის მეშვეობით, მისი სტრატეგიული გეგმებით, მისი „უფროსობით“ ნადგურდება მტრის ჯარები, ამ პროცესებს იმ ეტაპებზე დიდებულთა ნაწილი სააკაძისაგან „უფროსობად“ არ აღიქვამს. ელოდებიან მოვლენების განვითარებას, თუ ვინ ვისზე გაიმარჯვებს, იმიტომ რომ მტერი დაეხეტებოდა ქართულ მიწაზე. მათი წილი მიწა-მამულებიც რადგან საშიშროების ქვეშ დგებოდა, ამის გამო ერჩივნათ სააკაძისაგან მტერთან ბრძოლას და მის „უფროსობასაც“ დათმენით შეხვედროდენ. როგორც კი სააკაძის „უფროსობით“ განადგურდა ყიზილბაშური ჯარები და ისტორიული წყაროებით მრავალ მიზეზთა გამო სააკაძისაგან საქართველოს გაერთიანების იდეა გაჩნდა, აი მაშინ ამოუტივტივდათ დიდებულთა ნაწილს გონებაში ის, რომ, თურმე, სააკაძე მათზე „უფროსობდა“.

ხალხი მას იცნობდა როგორც დიდ თავადებთან შედარებით მცირეს, მაგრამ დიდ იმედს ამყარებდა მასზედ, ვინც საპატიო ადგილი დაიკავა სახელმწიფოში. ოპონენტთა ფსიქოლოგიას უჭირდა შეგუება სააკაძის ხალხში ნასიყვარულებ სახელთან, ისინი მეფის „უფროსობას“ ძლივს ეგუებოდნენ, „უმცირესი“ გვარის კაცს, თან მაღალი იდეების მქონეს, შეეთვისებოდნენ. განა იმ მნიშვნელობით უნდა გავიგოთ, მის მიმართ ნათქვამი ეს! მან კარგად იცოდა თავისი კუთვნილი ადგილი. მან იცოდა, რომ ქვეყანას პატრონი სჭირდებოდა, აკი მარტყოფის გამარჯვების მერე ეს პატრონი მოიწვია უკვე იმედგადაწურული, რომ ტახტი დაიკავოს და ქვეყანა მართოს. აქ და შემდგომშიც სადმე გაჭაჭანებულა სააკაძის აზრი იმისა, „უფროსობის“ მოწადინე ყოფილიყოს, გარდა იმ იდეა-ინიციატივისა რომ საქართველო გაერთიანებულიყო და მას ერთი მეფე ჰყოლოდა?

სააკაძე მარტყოფის ომის ორგანიზატორი იყო, ამ ომში ისეთი გამარჯვება იქნა განხორციელებული რომ, მთელი აღმოსავლეთ საქართველოს ბედი გადაწყდა. გავიხსენოთ ჩვენი უდიდესი პოეტი ნიკოლოზ ბარათაშვილი, ამ ომის შესახებ როგორ განმარტავს „მარტყოფი საქართველოს გადარჩენაა“, „მარტყოფი სააკაძის ბედისწერაა“ მიუხედავად ამისა მარაბდის ომის წინარე სათათბირო კრებაზე მისი მტრის დამარცხების გეგმა არ მიიღეს, როცა ცხელ-ცხელი მარტყოფული გამარჯვება წინ ედოთ. ე.ი. დიდებულთა ფიქრით მარტყოფის აჯანყებაში „ნაუფროსალი“ სააკაძე არ ისარდლეს რაც ნიშნავს არ „იუფროსეს“ და მისგან საქართველოს გაერთიანების გეგმას მიიღებდნენ? ე.ი. უნდა ითქვას ღიად, თვითონ მარაბდის ომის შემდეგ, რომ ვეღარ ხელეწიფებოდათ, მტრის ჯარებთან შეწინააღმდეგებისა, სააკაძის მოქმედებებს, პარტიზანულ, თარეშულ ომებს და მის იდეას როგორც საქართველოს გაერთიანება, ცხადია უფროსობად მონათლავდნენ.

სიმართლის განცდა დავიწყების უფლებას არ მოგვცემს, რომ ირან-ოსმალეთის ერთმანეთთან დაპირისპირების პოლიტიკა სააკაძის დაწყებული არ იყო. ქართველი მეფეები ამ დიპლომატიურ ხერხს ყოველთვის მიმართავდნენ. თვით ლუარსაბ I-ის და სიმონ I-ის მოღვაწეობის ერთ-ერთი განმსაზღვრელი იყო ირანის დაპირისპირება ოსმალეთთან, ან პირიქით. ასე გააგრძელებდა გიორგი X რომ დასცლოდა (იგი მალე გარდაიცვალა). ასე გააგრძელა მისმა შვილმა ლუარსაბ II.

ამის დასტურია 1609 წლის „ტაშისკარის ომში,“ ლუარსაბისა და სააკაძის შეთანხმებული დიპლომატიით, თბილისში დაბანაკებული დელუ-მაჰმად-ხანის 700 ირანელი მეომარი, ქართველთა მხარდამხარ, ოსმალეთის წინააღმდეგ რომ იბრძოდა. ეს ხომ ნიშნავდა ერთ მტერთან მოკავშირეობით მეორე მტრის განადგურებას. განა თეიმურაზ I-ის მიზანიც იგივე არ იყო, 1618 წელს, მოკავშირეობის მიზნით ოსმალეთში გადასული ირანის წინააღმდეგ რომ იბრძვის? განა შაჰს დაავიწყდებოდა მისი ასეთი ნაბიჯი? და ძალიან ჰგავს ბაზალეთის მერე ოსმალეთში სააკაძის წასვლას და სულთანის კარზე მურად IV-ის ჯართან ერთად ირანის წინააღმდეგ გალაშქრებას. ე.ი. თეიმურაზ I თავისი ქვეყნისთვის დამხმარე ძალების იგივე ხერხებით მოძიება-აღმოჩენისათვის ოსმალეთს მიმართავს და იგივეს იმეორებს სააკაძეც. რა განსხვავებაა ასეთ ვითარებებში მათ შორის? 1618 წელს კახეთი ცალკე სამეფოდ არსებობდა. თეიმურაზის თხოვნა ოსმალეთთან ირანის წინააღმდეგ მარტო კახეთის დახმარებას ნიშნავდა. ეს ნაბიჯი მისი მომხრეებისაგან ითვლება თავის სამეფოზე ზრუნვად, არაფერი გასაკვირი და საწინააღმდეგო აქ არ არის, მეფე ცდილობდა ქვეყანას სული მოეთქვა და მოქმედებდა კიდევაც.

ოსმალეთში სააკაძის გადასვლა, იგივე დამხმარე ძალების მოკავშირეების მოსაძიებლად, ირანის წინააღმდეგ ოპონენტური მხარისგან შეფასებულია მტერთან კავშირს ეძებდაო. აქ უნდა ითქვას, როდესაც თეიმურაზმა და მისმა მომხრეებმა არ ინდომეს საქართველოს სააკაძისეული გაერთიანება, ამ მიზეზით კი თვითონ გახდნენ მოკავშირეები ირანის, ე.ი. შაჰ-აბასის 1626 წელს. ამას რა დავარქვათ?

გულმოდგინებით უნდა გამოაშკარავდეს ყველაფერი, რადგან სააკაძეს საქართველოს გაერთიანება უნდოდა და მისგან ამ გაერთიანების იდეაში და მომავალშიც, თეიმურაზის და მისი მომხრეების, აღმოსავლეთ საქართველოს სამეფო მდგომარეობა იზღუდებოდა. მათი შეზღუდვის მიზეზი სააკაძე იყო, რომელიც ცდილობდა ოსმალეთთან მოკავშირეობით ირანი დაემარცხებინა და იმ კონკრეტულ მოვლენებში თეიმურაზი ირანის მხარეზე იდგა. აქ აღმოცენდა მათგან ასეთი

აზრი, მტერთან კავშირებს ეძებდაო. სააკაძე ერთი მტრის ძალით მეორე მტრის ძალის დასუსტებასა და დამარცხებას ცდილობდა. რატომ არ ეწადათ მისი დიპლომატიის ამ კუთხით დანახვა, რაც სიმართლე იყო? თეიმურაზ I-ის და მისი მომხრეების ზრუნვა ქვეყანაზე და მტრებთან მოკავშირეების ძებნა ღვაწლად ითვლება, რომლის შიდა არსში უფრო პირადი ინტერესები იმალება, აღმოსავლეთ საქართველოში მეფობის შენარჩუნებისა; ამდენად მოკლებულია დიდ მასშტაბებს. რადგან სააკაძე დაბალ საფეხურზე იდგა, მისგან მცდელობა მტერთან მოკავშირეების მოძიება იმ მიზნებისთვის რომელიც უფრო აღმატებულია რასაც საქართველოს გაერთიანება ჰქვია, ასეთი იდეისთვის მსოფლიო ისტორიებში მრავლადაა მაგალითები, ქვეყნები და ხალხი თავის თვითმყოფადობის სახელმწიფოებრივი წეს-წყობის შენარჩუნება-გაერთიანებისთვის იბრძოდნენ, აღწევდნენ და იბრძვიანნ დღესაც. ე.ი. სააკაძისაგან საქართველოს გაერთიანების იდეა აღმატებულია, დიდი მასშტაბებისაა და დავით აღმაშენებლის ანდერძადაა დატოვებული, რომელიც ბაზალეთში მის მოწინააღმდეგე მხარეს არ გააჩნდა და ამისათვის არც ეფიქრებოდათ. ვისაც გააჩნდა ეს იდეა და ვინც ამაზე ფიქრობდა, მას სამკვდრო-სასიცოცხლოდ დაუპირისპირდნენ. ე.ი თუ ბაზალეთში სააკაძეს მოკლავდნენ და აღარ იქნებოდა სააკაძე, აღარ ექნებოდათ პრობლემები.

დავუშვათ, წარმოდგენით, როგორც შაჰ-აბასს თავდაპირველად გეგმები ჰქონდა, დაეპყრო აღმოსავლეთი საქართველო? კახეთიდან უკვე დაწყებული და ქართლიდანაც აეყარა მოსახლეობა და ერთიანად ირანში გადაესახლებინა, ქართულ მიწაზე კი უცხო ტომები დაესახლებინა, რა ბედი ელოდა თეიმურაზს? შეინარჩუნებდა მტრისაგან დაპყრობილ ქვეყანაში ქრისტიანად ყოფნას და მეფობას? თან იმ დროს, როცა ვიცით, შაჰ-აბასის მიზანი იყო თეიმურაზ მეფე ირანში ჩაეყვანა და იქიდან აღარც გამოეშვა, როდესაც შაჰმა მისი შვილები და დედა საწამებლად გაწირა, იგივეს მოსურნე არ იქნებოდა მისთვის? დავუშვათ, შაჰს თეიმურაზისათვის სიცოცხლე შეენარჩუნებინა და ქართლ-კახეთის მეფედ დაეტოვა. შაჰს როგორც ეწადა, ქართლ-კახეთიდან როცა ხალხი აყრილი იქნებოდა და ირანს გადახიზნული, უქართველებოდ დარჩენილ სამშობლოში თეიმურაზის მეფობას ექნებოდა რაიმე ღირებულება? თუ ქართველები ქართულ მიწაზე აღარ იქნებოდნენ, მათი შრომით ჩამონადენი ოფლით ქართული მიწა ვეღარ გაიხარებდა, მათ ადგილებზე უცხო ტომელთა ზუზუნით ქართული ცაც დაიხუთებოდა, ვისი მეფეღა იქნებოდა თეიმურაზ I? ვინ იყო იმ დიდი მისიის განმსაზღვრელი? ვისგან გაღებული ენერგიის ხარჯზე მოხდა ის, რომ შაჰ-აბასმა უკან წაიღო საქართველოსათვის ავისმომასწავებელი გეგმები? ასეთი ფიქრთა გორგალი ეხვეოდა სააკაძის გულზე, შაჰისაგან წამოყენებულ დაზავებაზე თანხმობა, მეფის მხრიდან, სისუსტედ გამოსჭვიოდა და ქვეყნის სისუსტედ აისახებოდა.

გ. სააკაძის ოპონენტები უარყოფითად აღნიშნავენ იმას, რაც მას ეწადა ქვეყნის გაერთიანების სახით და ამ მიზნით იგი მხოლოდ მოკავშირეებს ეძებდა. გაძევებულის ურთიერთობა შაჰთან, შენიღბული ერთგულება, იგივე მოკავშირეობა არ იყო? მაგრამ მარტყოფში როგორც დასრულდა ხომ ცნობილია? სააკაძისაგან შაჰისადმი მოჩვენებითი ერთგულების, იგივე დიპლომატიის, იგივე მოკავშირეობის სასწორის ერთ მხარეზე მამისაგან პაატას სიცოცხლე დაიდო, მეორე მხარეზე 27 ათასი ყიზილბაშის სიცოცხლე. როგორია? ოსმალეთთან სააკაძის მოკავშირეობით ირანის წინააღმდეგ თეიმურაზისათვის არასასურველი ვითარება იქმნებოდა, რითაც ქართლ-კახეთში მისი მეფობაც კითხვის ნიშნის ქვეშ დგებოდა.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

ნათია მახათაძე
თბილისის N 24 საჯარო სკოლის,
ისტორიის მასწავლებელი

მუზეუმების როლი სასკოლო განათლებაში

ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული სასწავლო პროცესის წარმართვა, საგაკვეთილო პროცესში განსხვავებული ინტერესების,შეხედულებების, საჭიროებების მოსწავლეთა ჩართვას, დიფერენცირებულ მიდგომას, მრავალფეროვანი, მიზნობრივი აქტივობებით შინაგანი მოტივაციის გაღვივებას და მათთვის მყარი გამოცდილების მიცემას გულისხმობს.

მოსწავლეები ერთმანეთისგან განსხვადებიან დასწავლის უნარ-ჩვევებით. ჰოვარდ გარდნერის მრავლმხრივი განვითარების თეორია ინტელექტის ათ სახეობას და მათ შესაბამის სწავლის სტილს გამოყოფს.მათგან სამი მოდალობა: ვიზუალური,კინესთეტიკური და სმენითი, ყველაზე მეტადაა გავრცელებული.

მეცნიერული კვლევებით დასტურდება,რომ ადამიანებს, მოსმენილზე, წაკითხულზე უკეთ, შეუძლიათ, ისეთი ინფორმაციის დამახსოვრება,რასაც ვიზუალურად შეიმეცნებენ . „დანახვით სწავლების“ არაჩვეულებრივ შესაძლებლობას კი, მუზეუმი იძლევა.მიუხედავად იმისა, რომ მუზეუმები, თავისი არსითა და ფუნქციით, წარსულშიც მნიშვნელოვან როლს თამაშობდა ადამიანების განვითარებაში,დღესაც იმ უნიკალურ ადგილად რჩება, სადაც შესაძლებელია, განსხვავებული კულტურების,ისტორიების დამადასტურებელმა არტეფაქტებმა, ნივთების მრავალფეროვანმა კოლექციამ, მნიშვნელოვნად გაამდიდროს ნებისმიერი ასაკის ადამიანის გონება. ესაა შესაძებლობა, მოსწავლემ გამოცდილება მიიღოს ახალ გარემოში, გაიმდიდროს ცოდნა ფართო სპექტრით და აღიჭურვოს იმ უნარ-ჩვევებით, რაც მის წარმატებულ საქმიანობას ხელს შეუწყობს.

საკლასო ოთახში მოსწავლეებისთვის ინფორმაციის გადაცემა სხვადასხვა გზითაა შესაძლებელი, – იქნება ეს ლექცია, ვიდეო თუ სხვდასხვა ინტერაქციული აქტივობები. მუზეუმის არაფორმალური გარემო კი, შესაძლებლობას იძლევა ვიზუალური მასალა, საკლასო სივრცეში მიღებულ გამოცდილებასთან დაკავშირდეს და ცოდნის ტრანსფერით, საკითხის სიღრმისეული წვდომა მოხდეს,რაც საფუძვლიანი განათლებისკენ, გზის გაკაფვის შესაძლებლობაა.

სწორედ ასე მოხდა ჩვენს ერთ გაკვეთილზეც,-მუზეუმიდან წამოღებული ცოდნის გაცოცხლება. სექტემბრიდან აქტიურად დავიწყეთ ვიზიტები მუზეუმებში. მოსწავლეებისთვის, მდიდარი ექსპონატების, ძვირფასი კოლექციებისა თუ მრავლისმთქმელი არტეფაქტების გარდა, ძალიან საინტერესო აღმოჩნდა იქ დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამები, რაც, აღმოჩენებით, დანახვითა და კეთებით სწავლებაში გადატანას გულისხმობს.

ეთნოგრაფიულ მუზეუმში მიღებული ცოდნა, საქართველოს სხვადასხვა კუთხეების სივრცითი, სამეურნეო, კულტურული მრავალფეროვნების შესახებ, პრაქტიკული მუშაობის გამოცდილების გაზიარების გამოყენება კულტურისა და ხელოვნების სასახლიდან, კოტე და სოსო წერეთლების მუზეუმში მოსმენილი საგანმანათ-

ლებლო პროგრამა: „დედამიწა ჩვენი სახლია“, გახდა ინსპირაცია მოსწავლეებისათვის, ახალი შემოქმედებითი პროდუქტის შექმნისათვის.

აღნიშნული პროგრამის ფარგლებში, ისინი გაეცნენ ეკოლოგიური კატასტროფების გამომწვევ მიზეზებს, საყოფაცხოვრებო ნარჩენების მეორეული გადამუშავების ტექნოლოგიებს და ვიზუალურად ნახეს, ის საინტერესო ნივთები, რომლებიც გამოუყენებელი მასალისგან იქნა დამზადებული.

გადავწყვიტე, მუზეუმებში მიღებული გამოცდილება გამეძლიერებია და მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმაზე დაფუძნებული კომპლექსური დავალების პირობა შემეთავაზებინა მათთვის. მოსწავლეება,არქიტექტორის როლი მოირგეს და სვანეთის კლიმატურ/რელიეფური თავისებურების გათვალისწინებით,საცხოვრისის ტიპის მაკეტები წარმოადგინეს.გამოუსადეგარი ნივთებით-კვერცხის სათავსი კოლოფებით, ე.წ. „ლატოკებით“, მუყაოს, „სიმფერპოლის“ ნარჩენი ძაფის, ფიქალის ფენების და ა.შ. გამოყენებით, შესანიშნავი მაკეტები დაამზადეს,დროსა და სივრცეში გვამოგაზურეს და კუთხისთვის დამახასიათებელი გეოგრაფიული გარემოს ცოდნასთან ერთად, შემოქმედობითობის,ანალიტიკური აზროვნების მაღალი დონეც აჩვენეს. შემდე კი, შექმნილი რესურსი თავიანთ თანატოლებს, უფროსკლასელებს, მასწავლებლებს სიხარულით გაუზიარეს. სკოლის დერეფანში გამოფენილმა მაკეტებმა, უამრავი ადამიანის: მშობლის, მოსწავლის, პედაგოგის ყურადღება მიიპყრო. ბავშვებში იგრძნობოდა უდიდესი მოტივაცია და სიხარული, აქტიურად აცნობდნენ დაინტერესებულ საზოგადოებას თითოეული ნამუშევრის იდეას, დეტალებს. კლასის მიღმაც, არაერთმა მოსწავლემ გამოხატა სურვილი, თავადაც ჩართულიყვნენ მსგავსი ტიპის აქტივობაში და საკუთარი შესაძლებლობებიც გამოეცადათ.

და ბოლოს, დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ:

- **მუზეუმები ქმნიან შესაძლებლობას ადამიანები გაეცნონ მათ გარშემო არსებულ სამყაროს;**
- **მუზეუმები შესანიშნავი ადგილია მოსწავლეებისთვის, რომ ისწავლონ სხვადასხვა დარგში, მიიღონ ახალი გამოცდილება;**
- **მუზეუმები უზრუნველყოფენ უნიკალურ გარემოს პედაგოგებისთვის, რათა ასწავლონ მოსწავლეებს სხვადასხვა თემები;**
- **მუზეუმები შესანიშნავ საშუალებას აძლევს ბავშვებს აღფრთოვანდნენ სასკოლო საგნებით;**
- **მუზეუმები აძლევენ მოსწავლეს შემოქმედებითობის,კრიტიკული აზროვნების, ცნობისმოყვარეობის გაღვივების შესაძლებლობას;**
- **მუზეუმი, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეებს , რომლებსაც აღენიშნებათ სწავლის უნარის დაქვეითება თუ სხვა საჭიროებები, სთავაზობს მრავალფეროვან ინსტრუმენტებს და ეხმარება სირთულეების დაძლევაში.**
- **მუზეუმის, როგორც საგანმანათლებლო რესურსის გამოყენება,ააქტიურებს ეროვნული სასწავლო გეგმითა და სტანდარტით გათვალისწინებული უნარ-ჩვევევების გამომუშავებას.**

კოშკები



სიმონ ზაქარაია

ხეთები ანატოლიის მიწაზე უძველესი ტომია



კამინგტონის (აშშ) თაბორ მეფის სახ.მართლმადიდებელი ეკლესიის წინამძღვარი დეკანოზი მამა პავლე (პაატა ზაქარაია), ფილოსოფიის მაგისტრი.

უწმინდესმა და უნეტარესმა, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II-მ თავის ერთ-ერთ საკვირაო ქადაგებაში ბრძანა: „კაპადოკია აუცილებლად უნდა ნახოს ადამიანმა. ახლა თანდათან იხსნება გზები და მრავალი თქვენთაგანს მიეცემა კაპადოკიის ხილვის საშუალება. ეს არის საოცრება. რომ წარმოიდგინოთ ვარძია ან დავით გარეჯის მონასტერი, ეს არის ათასი ვარძია ან თუნდაც ნახევარი საქართველო, ასეთია კაპადოკია. ეს ის გამოქვაბულებია, სადაც ასიათასობით ბერი და მონაზონი მოღვაწეობდა... ეს საოცრებაა. მსოფლიოში ერთადერთი ადგილია ასეთი. როცა ნახავ კაპადოკიას, მის ტაძრებს, გამოქვაბულებს, მის მხატვრობას, მიხვდები, რომ იმ სულიერებამ, რომელიც სუფევდა კაპადოკიაში, იმ დიდმა რწმენამ, თავდადებულმა სიყვარულმა და სასოებამ წამოიყვანა წმინდა ნინო საქართველოში“.

თავიდან უნდა ავღნიშნოთ, რომ კაპადოკიის ბორცვრბზე წარმოებულ გათხრების შედეგად ნაპოვნია ქვისა და ძვლის იარაღი და სხვადასხვა დანიშნულების ნივთები, ასევე აქ წარმოდგენილია ნეოლითური და ენეოდითური პერიოდის მეტად მნიშვნელოვანი დედა ქალღმერთის ფიგურები. ამ პერიოდში ანატოლიაში გავრცელებული იყო სიუხვისა და ნაყოფიერების ქალღმერთის კულტები.

კაპადოკიაში აქსაეის მახლობლად, აშილაკის ბორცვზე (თურქეთი) წარმოებული არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩენილია დაახლოებით 16 ათასი სხვადასხვა დანიშნულების ნივთი. აქ ნაპოვნია კარგად დამუშავებული ქვის ორპირიანი ცულები, ძვლის საჭრელების სამკაულები, თიხის ფირფიტები. საინტერესოა, რაც აშილაკის (თურქული) ბორცვებზე იპოვეს არქეოლოგებმა, რასაც ანალოგი არ მოეპოვება მსოფლიოში, ესაა 20-25 წლის ქალის ჩონჩხი, რომლის გამოკვლევის შედეგად დადგინდა, რომ მისთვის ტვინის ოპერაცია ჩაუტარებიათ. იგი ითვლება მსოფლიოში დღემდე პირველი ტვინის ოპერაციად.

ანატოლოს ეს კუთხე ჩვენი ძარღვი და ფესვებია. ქართველებისათვის კაბადოკიას სხვა დატვირთვაც აქვს. ქართველობა ხომ ქრისტიანობის მადლს კაპატოკიიდან ეზიარა. აქედან იყვნენ ისეთი მნიშვნელოვანი წმინდანები, როგორიცაა წმინდა გიორგი, წმინდა ნინო, წმინდა ბასილი დიდი, წმინდა გრიგოლ ღვთისმეტყველი, წმიინდა გრიგოლი ნოსელი და სხვა მაგრამ ჩვენი კავშირი დედამიწის ამ ღვთიურ კუთხესთან ამით არ მთავრდება. აქ ფესვები უფრო ღრმა და მისტიკურია. ჩვენი კავშირი ანატოლიის ამ უძველეს მიწაზე ათასწლეულებს ითვლის.

ახლა მივყვეთ ანატოლიის (კაპადოკია) უძველეს მიწაზე მცხოვრები ავტოქტონების მოღვაწეობას.

მე-III ათასწლეულის ბოლოსა და II-ე ათასწლეულის დასაწყისში, მცირე აზიაში შეიქმნა ძლიერი სახელმწიფო, რომელსაც ისტორიაში ხეთურ-ხეთური სახელწოდებითაა ცნობილი (ბ.ჰროზნი). აღნიშნული სახელმწიფო გაერთიანება შიშის ზარს სცემდა დიდ თუ პატარა მეზობელ ქვეყნებს. ხეთები საუკუნეების განმავლობაში ცნობილი იყო, როგორც მეომარი, სამხედრო საქმეში დახელოვნებული ხალხი. მან ახალი წესრიგი დანერგა მეზობელი ქვეყნების ცხოვრებაში. ხეთების შემოსვლამ ხათების ქვეყანა არა თუ დაასუსტა, არამედ გააძლიერა სახელმწიფო წესრიგი, იგი უფრო მაღალ დონეზე აიყვანა და განამტკიცა. ამის მიზეზი უნდა იყოს ის, რომ მე-20 და 21 საუკუნეში დიდი მადლიერებით იხსენიებენ ხეთურ ხალხს ქართველი მეცნიერები და ნანობენ მათ შესახებ ქართულ ენაზე ერთი წიგნიც არ მოიპოვება. საქმე ის გახლავთ, რომ ხათებისა და ხეთების სახელმწიფო მნიშვნელობის სტრატეგია და ტაქტიკა ერთმანეთს ემთხვეოდა, რაც დღითიდღე აძლიერებდა ახალშექმნილ სახელმწიფოს.

ხათური ტომის ცხოვრების დასაწყისი ანატოლიის მიწაზე ისტორიისათვის უცნობია. მაგრამ ამ ნიჭიერი, თვითმყოფადი, მონოლითურად შეკავშირებული ხალხის ხათების ცხოვრებას განსაზღვრავდა მათი გეგმაზომიერი მოღვაწეობა.

მკვლევარები, რომელიც იძიებენ მცირე აზიის, კერძოდ ანატოლიის უძველეს ავტოქტონურ ეთნოსს, პირველად ხათურ ტომს ასახელებენ. ხათებს ზოგჯერ უწოდებენ პროტოხეთებს, ე.ი. ხეთებამდე მცხოვრებლებს. „ხათი“ იყო ამ ტომთა მთელი ქვეყნის აღმნიშვნელი ტერმინი და მათი მთავარი ქალაქის სახელიც. ასევე ფიქრობენ, რომ ქვეყნის მეორე დიდი ქალაქი ხათუშიც ამავე ქვეყანას ეკუთვნოდა. ხათის ქვეყნის ძირითადი ეთნოსის თვითსახელწოდებამ ჩვენამდე ვერ მიაღწია, თუმცა საეჭვოდ არ უნდა იყოს ის, რომ იგი ტერმინ ხათთან იქნებოდა დაკავშირებული. ამ ეთნოსის აღმნიშვნელადაც იგივე „ხათი“ ყოფილა გამოყენებული, რაც კარგად ჩანს ხეთური ტექსტებიდან.

ხათური ენის ინტენსიურმა შესწავლამ უკანასკნელ წლებში, თითქოს ერთგვარი გარკვეულობა შეიტანა საკითხში, რომელიც მსოფლიოს ენათა ჯგუფებთან ამ ენის დამოკიდებულებას ეხება. როგორც საბოლოოდ დადასტურდა იგი არ განეკუთვნება არც ინდოევროპულ და არც სემიტურ ენებს. გამოჩენილი ხეთოლოგის ე.ფორერის მიერ ადრე გამოთქმული ვარაუდი ხათური ენის ნათესაობის შესახებ ჩრდილო-კავკასიურ ენებთან, ახლა თითქოს მტკიცდება.

ხათებით დასახლებულ ქვეყანას უნდა ჰკავებოდა თითქმის მთელი ცენტრალური ანატოლია, განსაკუთრებით ის რაიონები, რომლებიც დღეს მოიცავენ კაპადოკიისა და პონტოს რაითნებს.

სამეცნიერო ლიტერატურაში გაბატონებულია მოსაზრება, რომლის თანახმად ძველწელთააღრიცხვის III - ათასწლეულის დასაწყისში ხათები უკონკურენტოდ ცხოვრობდნენ ცენტრალური ანატოლიის მიწაზე და ამასთან ერთად მათ ეკუთვნოდა მაღალი კულტურა. კიდევ არსებობას საინტერესო ვერსია, მეტად საყურადღებო ამ საკითხთან დაკავშირებით. ანტიკურ ხანებში მოსახლე ამ ეთნოსის ენის აღმნიშვნელადაც იგივე „ხათი“ ყოფილა გამოყენებული, რაც კარგად ჩანს ხეთური ტექსტებიდან.

ხათური ენის ინტენსიურმა შესწავლამ უკანასკნელ წლებში თითქოს ერთგვარი გარკვეულობა შეიტანა საკითხში, რომელიც მსოფლიოს ენათა ჯგუფებთან ამ ენის დამოკიდებულებას ეხება. გამოჩენილი ხეთოლოგის ე.ფორერის მიერ ადრე გამოთქმული ვარაუდი ხათური ენის ნათესაობის შესახებ ჩრდილო-კავკასიურ ენებთან, ახლა თითქოს მტკიცდება. ხათებით დასახლებულ ქვეყანას უნდა ჰკავებოდა თითქმის მთელი ცენტრალური ანატოლია, განსაკუთრებით ის რაიონები, რომლებიც მოიცავდნენ კაპადოკიასა და პონტოს. სამეცნიერო ლიტერატურაში გაბატონებულია მოსაზრება, რომლის თანახმად ძველწელთააღრიცხვის III-ათასწლეულის დასაწყისში ხათები უკონკურენტოდ ცხოვრობდნენ ცენტრალური ანატოლიის მიწაზე და მათ ეკუთვნოდა მაღალი კულტურა. კიდევ არსებობს საინტერესო ვერსია რომელიც ზოგიერთი ტომი, მაგალითად ხალიბები, რომელნიც ცნობილი იყვნენ რკინის დამზადებით, განსახილველი არიან, როგორც ხათები, საბოლოო ჯამში კი, როგორც ჩრდილო-დასავლურ-კავკასიური მოდგმის ტომები - რაზედაც წლების განმავლობაში მუშაობდა ცნობილი მეცნიერი თ.გამყრელიძე, ვ.ივანოვი, მის სამეცნიერო ლიტერატურასი დამკვიდრებულია მოსაზრება, ხალიბების, როგორს ერთ-ერთი ქართველური ტომის შესახებ. შესაძლოა ხალიბების სახელწოდება ნამდვილად დაკავშირებულია ხათურ სიტყვასთან „ხაფალქი“, რაც „რკინას“ ნიშნავს, ხათებისაგან ეს სიტყვა, როგორც ვარაუდობენ, უნდა ესესხათ ბერძნებს, რომლებმაც ჩვენთვის საინტერესო ტომებს დაარქვეს. „ხალიბები“ რკინის „მკეთებელი“, საყოველთაოდ ცნობილი ფაქტის გამო. როგორც ცენტრალური ანატოლიის დასახლებათა ლინგვისტურმა ანალიზმა უჩვენა, აღნიშნული რაიონების ტოპნიმიკის დიდი ნაწილი. ხათური წარმოშობისა იყო, ამ სახით ტოპონიმები ცენტრალურ მცირე აზიაში ხეთების სამეფოს არსებობის მთელს მანძილზე, ზოგიერთები კი - მის შემდგომაც.

ხეთურ ტექსტებში შემორჩენილი ხათური ლექსიკის მიხედვით თუ ვიმჯელებთ, ხათურ საზოგადოებას, მის სახელმწიფოებრივ გაერთიანებას ადრე კლასობრივ დონემდე მიუღწევია. „ხათებს ჰყოლია მეფე „ქათთე“ და დედოფალი „ქათთახ“, შესაბამისად ტიტულს ატარებდნენ - „ლაბარნა“-„თაბარნა“ და „თავანნანა“, უფლისწულს რქმევია „თუხქანთე“, სამეფო ტახტს „ხანვაშუით“, ლაშქარსა და საერთოდ მეომრებს აღნიშნავდნენ სიტყვებით - „პაქქუ“ - „ვაქქუ“ და „ციცინთუ“.

ძვ.წ. XXI საუკუნით თარიღდება სწორედ მადნეული რკინისაგან დამზადებული ხატევარი, რომელიც აღმოაჩინეს არქეოლოგიური გათხრების დროს. ხსენებულ რკინის ხატევარს ხათურად ერქვა „ხაბალქი“, „ხაფალქი“, რომელიც პირველად ვ.ივანოვმა შენიშნა. ეს სიტყვა ამჟამად შესულია ბერძნულ ლიტერატურაში და მას ადარებენ სიტყვებს „ფოლადი“, „სპილენძი“, „რკინა“.

როგორც ზემოთ ავღნიშნეთ ხათური ეთნოსი ცენტრალურ ანატოლიაში. ძვ.წ. III ათასწლეულის ბოლომდე და „ათასწლეულის დასაწყისამდე უნდა არსებულიყო, რის შემდეგ ხათები თანდათან ჰკარგავენ თავიანთ ეთნიკურ ინდივიდუალობას.

ხეთები მცირე აზიაში, კერძოდ კაპადოკიაში შეიჭრნენ მე-3 ათასწლეულის ბოლოს და მეორე ათასწლეულის დასაწყისში. ამ დრომდე ისინი ნოყიერ მიწებს იტაცებდნენ მესოპოტამიაში. ხეთების ომი კაპადოკიაში არ იყო ქვეყნის დამანგრეველი. იგი ატარებდა უფრო მშვიდობიან ხასიათს, ის უფრო ზავისკენ იყო მიმართული.

ანატოლიაში, ომის დამთავრების შემდეგ, ხეთებს უპირველესი საქმე იყო ხათის სახელმწიფოს საგარეო საქმეების მოგვარება. იყო ომი, ზავი, ხელშეკრულება მეზობელ ქვეყნებთან და სხვა. მაგრამ ხეთები მალე ჩაერთვნენ იმ საქმეებში, რითაც იყო დაკავებული ადგილობრივი მოსახლეობა, ეს იყო მიწათმოქმედება, მეცხოველეობა, მეფრინველეობა და სხვა დარგები. განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდნენ (ხეთები) ქვეყნის თავდაცვითუნარიანობას.

ეს იყო მეომარი ხალხი, მაგრამ არც შრომაში ჩამორჩებოდა ადგილობრივ მოსახლეობას. ხეთები მესოპოტამიაში ყოფნის დროს, დიდ ყურადღებას უთმობდნენ მორწყვითი სამუშაოების ჩატარებას, მაგრამ მესოპოტამიაში მორწყვითი სამუშაოების ჩატარება უფრო ადვილი და ეფექტური იყო. კაპადოკიის მდინარეებში წყლის რესურსები ნაკლები იყო, ბევრი მათგანი ზაფხულში შრებოდა, ამიტომ საჭიროება მოითხოვდა, დამატებითი სამუშაოების ჩატარებას. მდინარეები მოითხოვდა ჯებირების გაკეთებას და წლის მაგარის შექმნას. ეს ყველაფერი გადაჭარბებით გაკეთდა, არხები გაყვანილ იქნა, სადაც საჭიროება მოითხოვდა. ასე, რომ არ დარჩენილა არც ერთი ნაკვეთი მორწყვის გარეშე. ირწყებოდა მინდვრის კულტურები, როგორიცაა ხორბალი, ქერი, ბარდა, ღომი, ლობიო, სპელტა, განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდნენ ვაზისა და ზეთოვან კულტურებს, ბოსტნეულ-ბაღჩეულებს, ირწყვებოდა საძოვრები და ტყეებიც. ადგილობრივი ხალხის ერთგულ შრომას ფრთები შეესხა, ხეთების ალალმა და გულმოდგინე საქმიანობამ მთელი ქვეყანა გაავსო მოსავლით. ჭარბ და ნამატ მოსავალს ვაჭრები ჰყიდდნენ მეზობელ ქვეყნებში.

განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდნენ ხათები ხეთებთან ერთად, მსხვილფეხა საქონლის - ძროხების, ხარების, ჯორების, სახედრების, წვრილფეხა საქონლის - ცხვრის, თხა, ღორი. დიდი ყურადღება ეთმობოდა ტრადიციულ დარგს - მეცხენეობას. ხეთები ცხენებს წვრთნიდნენ სამხედრო საქმისათვის, უპირველესად, ცხენებით ამარაგებდნენ ჯარს და მერე ეტლებზე შესაბმელად, რომლებზედაც დამაგრებული იყო რამდენიმე წყება ბასრი, მჭრელი ცელები. არც ერთ დარგს არ ჩამორჩებოდა მეფრინველეობა, მეფუტკრეობა, განსაკუთრებულ სიმაღლეზე იყო თაფლის წარმოება. მაღალ დონეზე იყო მეთევზეობა, ხუროთმოძღვრება, ხელოსნობა, კალატოზობა.

ხეთები ღრმად ერკვეოდნენ ოქროს, ვერცხლის, რკინის გამოდნობაში, მათ ხელსაწყოებად გარდაქმაში. ხათები დაოსტატებულები იყვნენ ისეთი მეტალის გამოდნობაში, რომელსაც ამუთუმს, ანუ აშიუმს უწოდებდნენ. ასეთი საიდუმლოდ გამოდნობილი ლითონი 40-ჯერ ძვირი ღირდა, ვიდრე ვერცხლი, 5-ჯერ ძვირი - ვიდრე ოქრო, ამიტომ ეს ლითონი სახელმწიფო კონტრაბანდულ საქონელს წარმოადგენდა.

ხეთებს მკაცრი კანონები ჰქონდათ შემოღებული. ქვეყანაში შრომის დაცვის, ქურდობის და სვათა უმსგავსო სამიანობის აღკვეთისათვის, რამაც ქვეყანა გაამდიდრა და მისაბაძი გახადა ყველა მეზობლისათვის.

სამართალმცოდნეობა

ლალი ჩოდრიშვილი

კომლის წევრის საკუთრების უფლება

1993 წლიდან დადგინდა სახელმწიფო მეურნეობების, კოლმეურნეობების რეორგანიზაცია და ახალ ორგანიზაციულ სამართლებრივ ფორმაზე გადასვლა. კოლმეურნეობების გაუქმებით საკოლმეურნეო კომლის არსებობას სამართლებრივი საფუძველი გამოეცალა და მან არსებობა შეწყვიტა. კომლის ქონებაზე საკუთრების უფლების საკითხი დღეისთვის, 30 წლის შემდეგაც აქტუალურია და ამ ქონებების რეგისტრაცია, არცთუ იშვიათად, სასამართლო დავის საგანი ხდება.

კომლის განსახილველი საკითხის სამართლებრივი ბუნების გათვალისწინებით, მიზანშეწონილად მივიჩნევ, ყურადღება გამახვილდეს კომლის წევრობასა და კომლის ქონებაზე.

კომლი სოფლის ადგილობრივი ორგანოების მიერ ყოველთვის ცალკე იყო რეგისტრირებული საადგილმამულო წიგნში, ოჯახის თითოეული წევრის და ოჯახის რიცხული ქონების აღნიშვნით. კომლი წარმოადგენდა ოჯახის წევრთა ერთიან კავშირს, რომელსაც გააჩნდა ერთიანი ქონება, გარკვეული უფლება-მოვალეობები, აგრეთვე პასუხისმგებლობა როგორც ერთმანეთის, ისე მესამე პირთა მიმართ (იხ. თამარ ჩიტოშვილი, კომლი ქართულ სამართალში, თბ., 2004, გვ. 11). კომლში შეიძლებოდა ყოფილიყო როგორც რამდენიმე, ისე ერთი წევრი. კომლის საქმიანობა არ რეგულირდებოდა სპეციალური წესდებით, რადგან კომლი არ განიხილებოდა როგორც იურიდიული პირი. კომლს გააჩნდა პირადი საკუთრება და როგორც ამ საკუთრების უფლების სუბიექტი, რეგისტრირებული იყო სოფლის საბჭოში, სადაც მითითებული იყო კომლის უფროსი, კომლის წევრები და კომლის ქონება.

საკომლო ქონებასთან დაკავშირებული სამართლებრივი ურთიერთობები რეგულირებული იყო 1964 წლის სამოქალაქო სამართლის კოდექსით, რომლის 122-ე მუხლის თანახმად, კომლის ქონება ეკუთვნის მის წევრებს თანასაკუთრების უფლებით, ამავე კოდექსის 125-ე მუხლის თანახმად, საკოლმეურნეო კომლის ყველა წევრს კომლის ქონება თანაბარი წილით ეკუთვნის. კომლს გააჩნდა საერთო საკუთრება, რომელიც მის წევრებს ეკუთვნოდა თანასაკუთრების უფლებით. კომლის საერთო საკუთრებაში არსებული ქონების მფლობელობა, სარგებლობა და განკარგვა წარმოებდა კომლის ყველა წევრის თანხმობით. კომლის საერთო ქონებიდან კომლის წევრის წილის განსაზღვრა - გამიჯვნა შესაძლებელი იყო მხოლოდ სამ შემთხვევაში: 1) მისი გასვლისას კომლის შემადგენლობიდან, ახალი კომლის შეუქმნელად (გამოყოფა); 2) ერთი კომლიდან ორი ან მეტი კომლის შექმნისას (გაყრა); 3) კომლის წევრის პირადი ვალდებულებების მიხედვით გადახდევინება. კომლის ქონებაში ყველა წევრს, მათ შორის არასრულწლოვანსა და შრომისუუნაროსაც, თანაბარი წილი ეკუთვნოდათ (იხ. თამარ ჩიტოშვილი, კომლი ქართულ სამართალში, თბ., 2004, გვ. 18).

დღეის მდგომარეობით ქონება, რომელიც საკოლმეურნეო კომლის ქონებას წარმოადგენდა, არის კომლის ყოფილ წევრთა საერთო საკუთრება თანაბარ წილში, რომელზედაც ვრცელდება საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული საერთო საკუთრების სამართლებრივი რეჟიმი.

საქართველოს რესპუბლიკაში სახელმწიფო მეურნეობების, კოლმეურნეობების და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოების რეორგანიზაციის წესის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 1992 წლის 22 სექტემბრის # 949 დადგენილების, სახელმწიფო საბჭოს 1993 წლის 21

ოქტომბრის # 29 დეკრეტის საფუძველზე, 1993 წლიდან დადგინდა სახელმწიფო მეურნეობების, კოლმეურნეობების რეორგანიზაცია და ახალ ორგანიზაციულ სამართლებრივ ფორმაზე გადასვლა. კოლმეურნეობების გაუქმებით საკოლმეურნეო კომლის არსებობას სამართლებრივი საფუძველი გამოეცალა და მან არსებობა შეწყვიტა. „საქართველოს რესპუბლიკაში სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის რეფორმის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1992 წლის 18 იანვრის №48 დადგენილებით საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეებზე კანონით დადგენილი ნორმის ფარგლებში რიცხული საკარმიდამო, საბარე და სააგარაკო მიწები უსასყიდლოდ გადადიოდა მათ კერძო საკუთრებაში. საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1992 წლის 6 თებერვლის # 128 დადგენილების მეორე პუნქტით კი, დადგინდა, რომ საკარმიდამო მიწის ნაკვეთები უნდა გაცემულიყო 1992 წლის 1 იანვრის მდგომარეობით რიცხული კომლების მიხედვით.

ამ მიმართებით არსებითი მნიშვნელობა ენიჭებოდა იმ ფაქტს, რომ ნორმატიული აქტით დადგენილი პერიოდისათვის, კერძოდ, 1992 წლის 1 იანვრის მდომარეობით, პირი კომლის ოჯახის წევრად უნდა ყოფილიყო რეგისტრირებული (აღრიცხული). ამავე ნორმატიული ბაზიდან გამომდინარე, აღნიშნულ ფაქტს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა, რადგან დამოუკიდებელ ოჯახად გასულ და რეგისტრირებულ ოჯახს უფლება წარმოეშობოდა, სხვა ადგილას მიეღო ასევე ქონება მიღება-ჩაბარების აქტით. შესაბამისად, ზემოაღნიშნული ნორმატიული წყაროს მიზანი იყო ოჯახების მფლობელობასა და სარგებლობაში არსებული მიწების დაკანონება, ამდენად, აღნიშნული პერიოდისათვის ოჯახის ერთ-ერთი სრულწლოვანი წევრის სახელზე მიღება-ჩაბარების აქტით გადაცემულ ქონებაზე საკუთრების უფლებას იძენდა ამავე ოჯახის ყველა ის წევრი, რომელსაც სხვა მიწის ნაკვეთის მიღებაზე უფლება არ გააჩნდა, მიუხედავად იმისა, აპირებდა თუ არა იგი აღნიშნული უფლების რეალიზებას.

საკასაციო სასამართლოს არა ერთ საქმეზე აქვს განმარტებული: „საქართველოს რესპუბლიკაში სახელმწიფო მეურნეობების, კოლმეურნეობების და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოების რეორგანიზაციის წესის შესახებ“ მთავრობის 1992 წლის 22 სექტემბრის №949 დადგენილების, სახელმწიფო საბჭოს 1993 წლის 21 ოქტომბრის №29 დეკრეტის საფუძველზე, 1993 წლიდან დადგინდა სახელმწიფო მეურნეობების, კოლმეურნეობების რეორგანიზაცია და ახალ ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმაზე გადასვლა. კოლმეურნეობების გაუქმებით საკოლმეურნეო კომლის არსებობას სამართლებრივი საფუძველი გამოეცალა და მან არსებობა შეწყვიტა. შესაბამისად, ქონება, რომელიც კომლის ქონებას და ამავე დროს კომლის წევრთა საერთო საკუთრებას წარმოადგენდა, აღარ წარმოადგენს კომლის ქონებას და არის იმ პირთა საერთო საკუთრება თანაბარ წილში, რომლებიც კომლის წევრებს წარმოადგენენ. აღნიშნულ ქონებაზე ვრცელდება საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული საკუთრების საერთო რეჟიმი“ (შდრ. სუსგ №ს-1778-1756-2011, 29.06.2012წ).

აღნიშნული ცალსახად ადასტურებს, რომ კომლის ყველა წევრს, მათ შორის არასრულწლოვან წევრებს, თანაბარი წილი ეკუთვნოდა კომლის ქონებაში.

„ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 15 სექტემბრის №525-ე ბრძანებულების მე-2 მუხლის 1-ლი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, მიწის მართლზომიერი მფლობელობის (სარგებლობის) დამადასტურებელი დოკუმენტების ჩამონათვალში მითითებულია ამონაწერი საკომლო წიგნიდან, ასევე „საქართველოს რესპუბლიკაში სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის რეფორმის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1992 წლის 18 იანვრის №48 დადგენილების შესაბამისად, სოფლის (დაბის) ადგილობრივი მმართველობის ორგანოების

გადაწყვეტილებით შექმნილი მიწის რეფორმის კომისიის მიერ შედგენილი და სოფლის (დაბის) ყრილობაზე (საერთო კრებაზე) დამტკიცებული მიწების განაწილების სია თანდართული მიწის გამოყოფის გეგმით ან მის გარეშე, ადგილობრივი თვითმმართველობის (მმართველობის) ორგანოების მიერ დამტკიცებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწით სარგებლობისათვის სარეგისტრაციო პერიოდში მოქმედი საგადასახადი სია.

ამ სამართლებრივი დანაწესების საფუძველზე, მიწის ნაკვეთის მართლზომიერი მფლობელობა წარმოადგენს საჯარო რეესტრში ამ მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების აღიარების საფუძველს, ხოლო მართლზომიერი მფლობელობის დამდგენ დოკუმენტად კი მიჩნეულია საკომლო წიგნიდან ამონაწერი და საგადასახადო (ან სარეფორმო სია და სხვა დოკუმენტები) სია. საკანონმდებლო მოწესრიგების საფუძველზე მყარად დადგენილი სასამართლო პრაქტიკის მიხედვით, საკომლო ცნობა მართლზომიერი მფლობელობის დამადასტურებელ დოკუმენტს წარმოადგენს იმ შემთხვევაში, თუ იგი ასახავს კომლის წევრთა ვინაობას და კომლზე რიცხულ ქონებას 1992 წლის 01 იანვრის მდგომარეობით.

შესაბამისად, პირი, რომელიც 1992 წლის 01 იანვრის მდგომარეობით წარმოადგენს კომლის წევრს, რაც საარქივო ცნობის ჩანაწერით დასტურდება, უფლება აქვს საჯარო რეესტრში დარეგისტრირდეს ყოფილი კომლის ქონების მესაკუთრედ/ თანამესაკუთრედ. უმეტეს შემთხვევაში დავის საფუძველი არის ის გარემოება, რომ ქონება კომლის უფროსის საკუთრებაშია აღრიცხული და მის პირად საკუთრებად მიიჩნევს დაინტერესებული მხარე. ასეთ შემთხვევებში, სადავო ქონებებზე (საკომლო ქონება) ყოფილი კომლის წევრის თანამესაკუთრედ ცნობის მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველია 1964 წლის რედაქციის საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 122-ე და 125-ე მუხლები; „საქართველოს რესპუბლიკაში სახელმწიფო მეურნეობების, კოლმეურნეობებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოების რეორგანიზაციის წესის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 1992 წლის 22 სექტემბრის 949 დადგენილება; სახელმწიფო საბჭოს 1992 წლის 21 ოქტომბრის №29 დეკრეტი.

მტკიცების საგანში შემავალი ფაქტების დადასტურების ტვირთი (მტკიცების ტვირთი) მოთხოვნით დაინტერესებულ პირს (მოსარჩელეს) ეკისრება და ეს რთული არ არის, თუ მოიპოვება საარქივო ცნობა კომლში 1992 წლის 01 იანვრამდე მისი წევრობის შესახებ. აქვე აღვნიშვავ, რომ მსგავს დავებზე ხანდაზმულობის ვადა არ ვრცელდება. აღნიშნულზე უზენაესი სასამართლოს მყარად ჩამოყალიბებული პრაქტიკა არსებობს და განმარტებულია, რომ „საკუთრების უფლება აბსოლუტური სანივთო უფლების კლასიკური სახეა, რომელიც დროში არ იზღუდება. აბსოლუტური უფლების ძირითადი დამახასიათებელი თვისებაა ის, რომ იგი სხვა პირთა ქმედებისაგან დამოუკიდებლად არსებობს. ამ უფლების განხორციელება უფლებამოსილი პირის აბსოლუტური ძალაუფლების სფეროს განეკუთვნება, ხოლო მისი დაცვა უზრუნველყოფილია ნებისმიერი შესაძლო ხელყოფისაგან. ამდენად, მესაკუთრეს უფლება აქვს, ნებისმიერ დროს მიმართოს სასამართლოს და მოითხოვოს მის საკუთრებაში არსებულ ნივთზე უფლების დაცვა. შესაბამისად, საკუთრების უფლების დაცვასთან დაკავშირებით მოთხოვნაზე არ უნდა გავრცელდეს ხანდაზმულობის ვადა“ (იხ.სუსგ. N ას-750-718-2014).

ამიტომ, რომ შევაჯამოთ, კომლის წევრის საკუთრების უფლება კანონით არის დაცული და მისი რეალიზაცია კომლის წევრის ნებაზეა დამოკიდებული.

ეკონომიკა

ვალერი მოსიაშვილი
ეკონომიკის დოქტორი. პროფესორი
საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ

მარიამ დეკანოსიძე
ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტი.
ბაკალავრიატი.
საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ

შრომითი მოტივაციის კლასიკური და თანამედროვე მეთოდების შედარებითი დახასიათება

ანოტაცია. ნებისმიერი ორგანიზაციის განვითარების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილია ადამიანური რესურსი. პერსონალის უწყვეტი განვითარება და მის სამართავად ახალი მიდგომების ძიება, წარმოადგენს აუცილებელ ატრიბუტს კომპანიის წარჩინებული ფუნქციონირებისათვის. საქართველოში, განვითარებული ქვეყნების სივრცეში ინტეგრირების საქმეში უმნიშვლელოვანეს როლს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები თამაშობს. ზუსტად ამ ორგანიზაციებზეა დამოკიდებული ჩვენი ქვეყნისტვის პროგრესული და კვალიფიციური სპეციალისტების მომზადება. ეს ამოცანა თავისთვად მოითხოვს საგანმათლებლო ორგანიზაციაში სამეცნიერო და პედაგოგიური საქმიანობის აქტივიზაციას, რაც მაღალკვალიფიციური, პროფესიულ ზრდაზე ორიენტირებული თანამშრომლების გარეშე შეუძლებელია.

სწორედ ამიტომ, წინამდებარე კვლევის ფარგლებში განხორციელებული კვლევის მიზანად დავისახეთ გავიგოთ პერსონალის მოტივაციის ტანამედროვე მეტოდების გამოყენების საკითხი კონკრეტული ორგანიზაციის საფუძველზე. ნაშრომის მიზანია თეორიული და მეთოდოლოგიური დასაბუთებით პერსონალის შრომითი მოტივაციის შესწავლა და პერსონალის მოტივაციის ინოვაციური მეთოდების დანერგვის მოდელის შემუშავება.

საკვანძო სიტყვები: მოტივაცია, ადამიანური რესურსი, საკადრო პოლიტიკა, სამუშაო გარემო.

annotation. One of the important parts of any organization's development is human resources. The continuous development of personnel and the search for new approaches to their management is a necessary attribute for the excellent functioning of the company. Higher educational institutions play the most important role in the integration of developed countries in Georgia. The training of progressive and qualified specialists of our country depends on these organizations. This task in itself requires the activation of scientific and pedagogical activities in the educational organization, which is impossible without highly qualified employees focused on professional growth.

That is why, the aim of the research carried out within the present study was to understand the issue of using modern methods of motivating personnel on the basis of a specific organization. The aim of the paper is to study the labor motivation of the staff with theoretical and methodological justification and to develop a model for introducing innovative methods of staff motivation.

Key words: motivation, human resources, personnel policy, working environment.

თითოეული ორგანიზაცია ერთი მთავარი მიზნის გარშემო ტრიალებს, ამ მიზანს კი წარმოადგენს მუდმივი ცვლილებებისა და კონკურენციის გზაზე წარმატების მიღწევა შემდგომ კი შენარჩუნება. იმის და მიუხედავად, რომ ყველა ორგანიზაცია ფლობს გარკვეული სახის რესურსებს, რომელთა ინტეგრირებაც საციცოცხლოდ აუცილებელია, მსოფლიოს წამყვანი მენეჯერები და მკვლევარები ერთხმად აღიარებენ, რომ XXI საუკუნეში თითქმის ყველა წარმატებული ორგანიზაციის შექმნის, ფუნქციონირების და განვითარების მთავარ რესურსს წარმოადგენს ადამიანური კაპიტალი, რომელშიც მოიაზრება მაღალკვალიფიციური, შრომის უნარიანი და მოტივირებული პერსონალი. მათი მოძიების, გადარჩევის და განვითარების ხელშემწყობ პირველ ძალად რა თქმა უნდა ადამიანური რესურსების მართვის მენეჯერები გვევლინებიან, სწორედ მათი მუდმივი ჩართულობით, ძალისხმევით და ორგანიზებით ხდება პერსონალის მოტივაციის ამაღლების გზების მოძიება შემდგომ კი უკვე წარმატებული/ინოვაციური სამოტიაციო პრაქტიკების დანერგვა და განვითარება. ადამიანური რესურსების მენეჯმენტის ძირითად ამოცანებს წარმოადგენს: სამუშაოს ანალიზი. კანდიდატების მოზიდვა. თანამშრომლების შენარჩუნება. ტრენინგი. შრომის ანაზღაურების მართვა. მოტივაცია. დაჯილდოება. კომუნიკაცია.

პერსონალის მოტივაცია წარმოადგენს კომპლექსურ ცნებას და იგი დაკავშირებულია კარიერასთან. ამერიკელმა მკვლევარმა მ. ლონდონმა ჯერ კიდევ 1987 წელს შემოგვთავაზა თეორია, რომელიც კარიერის მოტივაციის სახელით არის ცნობილი და რომელშიც მოქცეულია კარიერულ სტაბილურობაზე მოქმედი ინდივიდუალური ხერხები და ქცევის ხერხები, ასევე ფაქტორები, რომლებიც ზეგავლენას ახდენს კარიერულ სტაბილურობაზე და მისწრაფებები, რომელიც ადამიანს აიძულებს კარიერულ კიბეზე წინსვლას.

აქედან გამომდინარე შესაძლებელია ვთქვათ, რომ კარიერის მოტივაცია აერთიანებს კარიერული სტაბილურობასა და კარიერულ ჩართულობას.

პერსონალის მოტივაცია არის საკითხი, რომელიც მუდმივი თავსატეხია მენეჯერებისა და ხელმძღვანელებისათვის. თუმცა ყოველთვის ერთი კითხვის გარშემო გვიწევს ვიტრიალოთ, რეალურად რა მიზანი ამოძრავებს დასაქმებულს - პროფესიონალური თუ პიროვნული და როგორ შეიძლება დავაინტერესოთ ისინი?

საკმაოდ დიდი ხნის მაძილზე იყო გავრცელებული შეხედულება, რომ პერსონალის სტიმულირების ერთადერთ ხერხეს წარმოადგენდა მატერიალური სარგებელი. მნიშველოვანია, რომ მოტივაციის კლასიკური თეორიის შინაარსი სწორედაც რომ იმ განსაზღვრებამდე დაიყვანება, რომ მატერიალური სარგებელი, კერძოდ კი ფული არის პერსონალის მოტივაციის ამაღლების ერთადერთი წარმატებული პრაქტიკა. ამ თეორიის თანახმად, ადამიანი არის ,,ეკონომიკური არსება'' , რომელიც შრომობს ერთადერთი მიზნისთვის, რომ გადახაიხადოს საჭმლის ან თუნდაც ფუფუნების საფასური. აქედან გამომდინარე, სრულებით საკმარისი ჩანს მენეჯერმა ან ხელმძღვანელმა დასაქმებულს მისცეს მატერიალური ჯილდო, რათა მისი შრომითი მოტივაცია აამაღლოს.

ფრედერიკ ტეილორმა, რომელიც მენეჯმენტის სკოლის ფუძემდებლად ითვლება, დანერგა პერსონალის შრომის ორგანიზების სისტემა, რომელიც ამტკიცებს კავშირს შრომის ანაზღაურებასა და შრომის მწარმოებლურობას შორის. ჩვენ წინა თავში ვისაუბრეთ, რომ ზემოთხსენებული გარეგანი მოტივატორის გარდა, როგორიც არის ფული ადამიანს შესაძლოა შინაგანი მოტივაცია ამოძრავებდეს.

საინტერესოა, ფსიქოლოგ ფრედერიკ ჰერცბერგის თეორია, რომელიც მოტივაციის ორ ფაქოტრიანი თეორის სახელით არის ცნობილი . ფრედერიკ ჰერცბერგი ფიქრობდა, რომ პერსონალის მოტივაციის განმსაზღვრელ ფაქტორს წარმოადგენდა მათი სამუშაოსადმი კმაყოფილება. აქედან გამომდინარე, მან გადაწყვიტა ადამიანებისთვის ეთხოვა, მოეყოლათ ყველაზე კარგი და ცუდი სიტუაციების/გამოცდილებების შესახებ სამსახურში, რის შემდეგაც შეძლებდა ეკვლია, რა უნდათ თანამშრომლებს თავიანთი სამსახურიდან''. ჰერცბერგმა

მიღებული პასუხები დაყო კატეგორიებად. გამოიკვეთა, რომ თითოეული ფაქტორი მტკიცედ გახლდათ დამოკიდებული თანამშრომლების კმაყოფილებასთან ან უკმაყოფილებასთან. ჩვეულებრივ, კმაყოფილი რესპოდენტები ასახელებდნენ ისეთ შინაგან ფაქტორებს, როგორიცაა: აღიარება, პასუხისმგებლობა, დაწინაურება.

ხოლო უკმაყოფილო რესპოდენტები ყურადღებას ამახვილებდნენ შემდეგ გარეგან ფაქტორებზე, როგორიცაა[1]:

- ანაზღაურება,
- სამუშაო პირობები
- ზედამხედველობა

საბოლოოდ, ჰერცბერგმა ისაუბრა კვლევის შედეგებზე, რომელიც გვიჩვენებს, რომ კმაყოფილება სრულებით არ წარმოადგენს უკმაყოფილების საპირსპოროს, რაც გულისხმობს შემდეგს რომ უკმაყოფილების შემცირება არ ნიშნავს თანამშრომლის კმაყოფილების ზრდას, ხოლო სამსახური არ შეიძლება უკმაყოფილების შემცირების გავლენით გახდეს უფრო მიმზიდველი. ხშირ შემთხვევაში მენეჯერების სურვილი შეამცირონ უკმაყოფილების დონე თანამშრომლებში ვერ იძლევა მოტივაციის ზრდის საფუძველს, ისინი უბრალოდ ინარჩუნებენ სიმშვიდეს ორგანიზაციაში, რაც ყოველთვის დროებითი და შეიძლება ითქვას არამყარი საფუძველის შექმნას ისწვევს.

აქედან გამომდინარე, ზედამხედველობის ხარისხს, სამუშაო პირობებს, ანაზღაურებას, ფიზიკურ სამუშაო გარემოს, კომპანიის პოლიტიკას, სხვა თანამშრომლებთან ურთიერთობასა და სამუშაოს უსაფრთხოებას ჰერცბერგი აღწერს როგორც ჰიგიენის ფაქტორების ერთობლიობას. როდესაც სამუშაო პირობები არის ადექვატური, თანამშრომლები არ არიან უკმაყოფილოები, თუმცა არც კმაყოფილნი.

როდესაც გვსურს ორგანიზაციაში თანამშრომლების მოტივაცია ავამაღლოთ მნიშვენლოვანია ვიტრიალოთ შემდეგი ფაქტორების გარშემო, ესენია :

- პიროვნული და პროფესიული ზრდის შესაძლებლობა,
- დაწინაურება,
- აღიარება და მრავალფეფეროვანი და საიტერესო სამუშაო.

სწორედ ამ ფაქტორებს მიიჩნევენ ადამიანები ღირებულად, ხოლო ჰერცბერგის აზრით ეს ფაქტორები წარმოადგენს პერსონალის ძირითად მოტივატორებს.

აუცილებელია მოტივაცია განვასხვავოთ კმაყოფილებისაგან, ისევე როგორც დემოტივაცია - უკმაყოფილებისაგან, მიუხედავად მათი მსგავსებისა. გაითვალისწინეთ, რომ დაკმაყოფლებული მოთხოვნილება არ იწვევს ადამიანის მოტივირებას. მოტივირება უკავშირდება დაუკმაყოფილებელი საჭიროების დაკმაყოფილების სურვილს.[2]

ადამსის თანასწორობის თეორიის მიხედვით ადამიანი ცდილობს წონასწორობის შენარჩუნებას მის მიერ გაღებულსა და მიღებულ სამუშაოს შორის. თუ იგი ხედავს განსხვავებას მას უჩნდება გარკვეული მოტივი რომ აღმოფხვრას ეს განსხვავება. იქიდან გამომდინარე, რომ ადამიანს შეუძლია გაღებული სამუშაოს კონტროლი იგი იწყებს მის შემცირებას ან გაზრდას.

წონასწორობის აღსადგენად ადამიანები მიმართავენ შემდეგ მექანიზმებს, მაგალითად პრინციპულად ითხოვენ ხელფასის მომატებას ან იცვლიან სამუშაო მდგომარეობას/ფუნქციას.

ზემოთ განხილული თეორიები ხაზს უსვამს მათ სხვადასხვაგვარობას, აქედან გამომდინარე, რთულია მათ შორის უპირატესობის ძიება. თითოეული საწარმოს ამოცანა უნდა იყოს მოტივაციის მიმართულებით ინდივიდუალური მეთოდის ჩამოყალიბება, რომელიც გაზრდის პერსონალის შრომის უნარიანობასა და მოგების კოეფიციენტს ორგანიზაციაში. სწორედ ამიტომ, მნიშვნელოვანია ორგანიზაციაში მოტივაციის სისტემის დანერგვისას გავითვალისწინოთ

[1] https://www.managementstudyguide.com/staff-motivation.htm [გადამოწმებულია 30.06.2023].

[2] http://www.jespnet.com/journals/Vol_3_No_4_October_2016/11.pdf [გადამოწმებულია 21.04.2023]

ორგანიზაციაში არსებული პერსონალის და საქმიანობის თავისებურებები და მხოლოდ ამის შემდეგ მივიღოთ გადაწყვეტილება.

მოტივაციის მეთოდები შემდეგ დონეებზე შეიძლება კლასიფიცირდეს, ესენია: ორგანიზაციული დონე; ეკონომიკური დონე; სოციალურ-ფსიქოლოგიური დონე.

რა თქმა უნდა, ეს კლასიფიკაცია დაფუძნებულია მოტივაციის თეორიების კლასიკურ მეთოდებზე. განვიხილოთ თითოეული მათგანი და მათი თავისებურებები:

მართვის ეკონომიკური მეთოდები - განპირობებულია ეკონომიკური სტიმულებით. იგი თავის თავში მოიაზრებს მატერიალურ მოტივაციას , აქედან გამომდინარე კონკრეტული საქმის შესრულება ხდება მატერიალური დაინტერესების ხარჯზე. აქედან გამომდინარე ირკვევა, რომ მართვის ეკონომიკური მეთოდები სრულად არის დაკავშირებული რაციონალურ შრომის ანაზღაურებასთან და შესრულების კონტროლთან.

რაც შეეხება მართვის ორგანიზაციულ-ადმინისტრაცილ მეთოდებს, იგი ერთმნიშვნელოვნად დაფუძნებულია ძალაუფლებიან მოტივაციაზე, რომელიც თავისხმრივ ეფუძნება კანონმორჩილებას, იერარქიულ მორჩილებას, კანონის დაცვას და დაყრდნობილია შესრულების იძულებაზე. მართვის ორგანიზაციულ-ადმინისტრაციული მეთოდები ექვემდებარება ორგანიზაციულ ნორმირებას,ინსტრუქციებსა და კონტროლს, იგი არამარტო სახელმწიფოს მიერ მიღებული კანონიებისა და ნორმატიული აქტების მიმართ მორჩილებას გულისხმობს, არამედ უზრუნველყოფს დასაქმებულისა და დამსაქმებლის უფლებების დაცვას. ძალაუფლებიანი მოტივაციის არსებობა ორგანიზაციაში ხდება პერსონალსა და ადმინისტრაციას შორის ჯანსაღი, კოლეგიალური და შრომითი ურთიერთობის ჩამოყალიბების გარანტი[3].

და ბოლოს, მართვის სოციალურ-ფსიქოლოგიური მეთოდები მნიშვნელონანწილად, აუცილებელია თანამშრომლებისათვის, რათა მოხდეს მათი სოციალური აქტივობის ამაღლება. ეს მეთოდი ერთგვარი გავლენის გავრცელების მექანიზმია პერსონალის ესთეტიკური, სოციალური და და სხვა ინტერესის სფეროებზე ,ასევე მისი ზეგავლენით ხორციელდება შრომითი საქმიანობის სოციალური სტიმულირება. ეს მეთოდები აერთიანებს პერსონალის ანკეტირებას, გამოკითხვას, ტესტირებას და ასე შემდეგ.

როგორც წესი ადამიანური რესურსების მართვის პრაქტიკაში დაშვებული და მიღებულია ზემოთ მოყვანილი მეთოდების ერთდროულად გამოყენება ან/და მათი გარკვეული კომბინაციები. თუმცა, აღიარებული პრაქტიკაა, რომ ეფექტური მართვის მოტივაციისთვის მოტივაციის სამივე ჯგუფის მეთოდის გამოყენებაა აუცილებელი. რა თქმა უნდა მხოლოდ და მხოლოდ მატერიალური და ძალაუფლების მოტივაციის მეთოდების გამოყენება ვერ უზრუნველყოფს თანამშრომლების შრომითი აქტივობების მობილიზიებას, ამისათვის აუცილებელია ფსიქოლოგიური მოტივაციის გამოყენება. თუმცა, გასათვალისწინებელია ერთი ფაქტი, თუ ქვეყანაში მოუწესრიგებელია საბაზრო ურთიერთობები, მაშინ ყველა ზემოთ ჩამოთვლილი მეთოდი კარგავს საკუთარ მნიშვნელობას.

ჩვენ ვისაუბრეთ მოტივაციის კლასიკურ თეორიებზე და მეთოდებზე, თუმცა დღესდღეობით აქტუალური გახდა მოტივაციის კლასიკურ თეორიებზე დაყრდნობით ჩამოვაყალიბოთ პერსონალის მოტივაციის თანამედროვე მეთოდები. მნიშვნელოვანია, რომ აქტუალური რჩება ეკონომიკური მოტივაციის მართვის მეთოდი. აქედან გამომდინარე, გამოიკვეთა თანამედროვე მართვის მეთოდების სამი ძირითადი სახეობა. ესენია: მიზნის მართვის მეთოდი; შრომის გამდიდრების მართვის მეთოდი; საწარმოში პერსონალის თანამონაწილეობის მართვის პროცესი.

განვიხილოთ თოთოეული მათგანი: მიზნის მართვის მეთოდის ფართოდ გამოყენებულ ფრაქტიკას ვხვდებით ამერიკის შეერთებულ შტატებში, იგი გულისხმობს პერსონალის მოტივირებას, რათა დასახული მიზნები იქნეს მიღწეული. ამ მეთოდის თანახმად მიღწეული მიზანი ანუ წარმატებული შედეგი ავტომატურად გულისხმობს დაწინაურებას ან/და ხელფასის მატებას.

[3] http://www.jespnet.com/journals/Vol_3_No_4_October_2016/11.pdf [გადამოწმებულია 21.04.2023]

მოტივაციის შემდეგი თანამედროვე მეთოდი არის შრომის გამდიდრების მართვის მეთოდი, რომელიც თანამშრომელს სთავაზობს პექსპექტიული და ამასთანავე მაღალანაზღაურებულ სამუშაოს, მნიშვნელოვანია, რომ ეს სისტემა უკავშირდება არაეკონომიკურ ფაქტორებს. ამასთანავე შრომის მართვის გამდიდრების მეთოდი ადამიანებს სთავაზობს საჭირო სოციალური და ფსიქოლოგიური გარემოს შექმნას, რაც უზრუნვეყოფს პერსონალისთვის ორგანიზაციაში მუშაობის სურვილსს და ინტერესს, რაც თავის თავში მოიაზრებს საზოგადოებაში სოციალური სტატუსის დამკვიდრებას.

რაც შეეხება საწარმოში პერსონალის თანამონაწილეობის მართვის მეთოდს იგი გამოიყენება სხვადასხვა ფორმით. მაგალითად იაპონიის მაგალითზე დაყრდნობით თუ ვისაუბრებთ თანამშრომელები ჩართულები არიან მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღების პროცესში, ამერიკის შეერთებულ შტატებთი ამ მეთოდის უპირატესობა არის ის რომ თანამშრომლებს შეუძლიათ შეღავათიან ფასებში თანამონაწილეობით შეიძინონ კომპანიის აქციები. სწორეს ამ მეთოდების გავლენით ყალიბდება პერსონალის მოტივაციის არაერთი ახალი ინოვაციური მეთოდი.

გამოყენებული ლიტერატურის ნუსხა:

- Bas, A. - HR Management: Srategy Facilitation Process by HR. 8th International Management Conference. 2017;
- Dessler, G. - Human Resource Management. England: Pearson Education. 2019;
- Fregley, S. - 2006 Succession Planning. Business & Economics, Society For Human Resource Management. 2017;
- https://www.questionpro.com/blog/employee-motivation/ [გადამოწმებულია 17.03.2023]
- https://www.managementstudyguide.com/staff-motivation.htm [გადამოწმებულია 30.06.2023].
- http://www.jespnet.com/journals/Vol_3_No_4_October_2016/11.pdf [გადამოწმებულია 21.04.2023]
- https://www.higheredjobs.com/articles/articleDisplay.cfm?ID=416 [გადამოწმებულია 30.04.2023]

ხელოვნება

ლელა კობერიძე





ირმა კეკელიძე

თეატრალური სივრცე
მარია კალასი
(რუსთაველის თეატრი)

2023 წლის 3 მარტია...დედის დღე, დღესასწაული, რომელიც მხოლოდ ქართველ დედებს გვერგო წილად. დილით თენგომ და აკაკიმ (თენგიზ გიორგაძე -ჩემი მეუღლე, აკაკი გიორგაძე-ჩვენი შვილი) მომილოცეს დღესასწაული... აკაკიმ ლოყაზე მაკოცა, თენგომ კი რუსთაველის თეატრის მოსაწვევი გადმომცა და მითხრა:- "მაპატიე, ვერ შევძელი ყვავილების შეძენა, მაგრამ რუსთაველის თეატრის მოსაწვევი მოგართვი და მჯერა, რომ ძალიან ისიამოვნებ. რობიკოს სპექტაკლია - "მარია კალასი", ლელა ალიბეგაშვილი კი- ქართველი მარია კალასი... გადადევი ყველა საქმე და დღეს საღამოს, მეგობრებთან ერთად თეატრში წადი!.." მთელი დღე წვიმდა. არ მიყვარს წვიმაში გარეთ გასვლა, მაგრამ ვიცოდი, რომ თეატრში რაღაც განსაკუთრებული სანახაობა მელოდებოდა და რა თქმა უნდა, მარტის თვეს, წვიმიან ამინდს, არ შეუშინებივარ...საღამოს შვიდის ნახევარზე, რუსთაველის თეატრის ლამაზ ფოიეში ვარ, კომპოზიტორ ია მაისაიასთან და მის ლამაზ ქალიშვილთან, ნათიასთან ერთად. ფოიეში სპექტაკლის პროგრამა შევიძინე და ინტერესით წავიკითხე: რუსთაველის თეატრი, დიდი სცენა, ტერენს მაკნელი, მარია კალასი. გაკვეთილი... თარგმნა მანანა ანთაძემ, სცენური ვერსია რობერტ სტურუასი და ნინო კანტიძის, რეჟისორი - რობერტ სტურუა, სცენოგრაფია რობერტ სტურუასი და მირიან შველიძის, მუსიკალური გაფორმება ია საკანდელიძისა, კონცერტმაისტერი- ვიქტორია ჩაპლინსკაია, რეჟისორის თანაშემწე - თეა მარგველაშვილი, სპექტაკლში ჟღერს ლუდვიგ ვან ბეთჰოვენის, ვინჩენცო ბელინის, ჯუზეპე ვერდის, ჯაკომო პუჩინისა და გია ყანჩელის მუსიკა... მოქმედი პირნი და შემსრულებელნი: მარია კალასი - ლელა ალიბეგაშვილი, პირველი სოპრანო- ლელა ახალაია, მეორე სოპრანო- ქეთი სვანიძე, ტენორი- არჩილ გოგიტიძე, აკომპანიატორი- დავით დარჩია, სცენის მუშა- დავით უფლისაშვილი...



მარია კალასი - ლელა ალიბეგაშვილი

სპექტაკლის დაწყებამდე, ქალბატონ იასთან ერთად(რომელიც აღმერთებს, ლეგენდარულ მომღერალს, მარია კალასს), "მიმოვიხილეთ" კალასის ცხოვრება...ქალბატონი ია, მთელი გრძნობით გვიყვებოდა:-" მარია კალასი, გასული საუკუნის ოციან წლებში, ნიუ-იორკში დაიბადა, ბერძენ ემგრანტთა ოჯახში...ოცდაათიან წლებში საბერძნეთში დაბრუნდნენ და მარია იქ იწყებს

სწავლას, ათენის კონსერვატორიაში. 1941 წელს, მისი დებიუტი შედგა, ათენის ოპერის თეატრში, ტოსკას პარტიაში... შემდეგ ის კვლავ დაბრუნდა ნიუ-იორკში, სადაც სერიოზული, შემოქმედებითი, მარცხი განიცადა, მისი ფიზიონომიის (სიმსუქნის) გამო. მარიას უარი ეთქვა მეტროპოლიტენ- ოპერაში ჩიო-ჩიო-სანის შესრულებაზე, არ შეახვედრეს ტოსკანინის და ა.შ...ცოტა მოგვიანებით, კალასი შეხვდა ტულიო სერაფინს, რამაც მომღერლის ცხოვრება შეცვალა...სერაფინმა მომღერლის ცხოვრება შეცვალა და იგი დიდ სცენაზე გაიყვანა. პირველ პარტიებშივე შეიქმნა, მარია კალასის შემოქმედებითი ფენომენი...იგი ასრულებდა, როგორც დრამატულ, ასევე ლირიკულ პარტიებს. შემდეგ გათხოვდა ჯოვანო მენიგინიზე და ორმოცდაათიან წლებში ლასკალას დიდი სცენა დაიპყრო. იგი გახდა არა მხოლოდ იტალიელი, არამედ მსოფლიო საოპერო მომღერალთა დედოფალი...ძალიან სერიოზულად დაიკლო წონაში, და შეიძლება ითქვას კინოვარსკვლავსაც კი დაემსგავსა...შემდეგ უკვე, მეუღლესთან განქორწინებამ, მეტროპოლიტენ- ოპერასთან განშორებამ, ლა სკალას იძულებითმა დატოვებამ, სულ რაღაც 53 წლის ასაკში, მისი ცხოვრების ტრაგიკული დასასრული გამოიწვია"... როდესაც ქალბატონმა იამ თხრობა (საუბარი) დაამთავრა, მეც ჩემი სათქმელი დავამატე:- რამდენადაც ვიცი, ონასისთან უიღბლო სიყვარულმაც გატეხა, მარია კალასის ლამაზი ცხოვრება...

საოცარი შეგრძნება მქონდა, როდესაც სპექტაკლის დაწყების წინ, არა ჩვეულებრივ პარტერში, არამედ პირდაპირ რუსთაველის თეატრის დიდ სცენაზე აღმოვჩნდი, არა როგორც მაყურებელი, არამედ როგორც სპექტაკლის მონაწილე, შეიძლება ითქვას, როგორც მასიური სცენის წარმამადგენელი...

სპექტაკლის დაწყებისთანავე, რუსთაველის თეატრის დიდ სცენაზე, საოცარი მუხტი და ძალა შემოიტანა, მთავარმა გმირმა, მარია კალასმა, მსახიობმა ლელა ალიბეგაშვილმა. უდიდესი მომღერალი ქალი, კონსერვატორიის სტუდენტებთან ატარებს გაკვეთილს... უდუდესი რეჟისორი, რობერტ სტურუა, თეატრის დიდ სცენაზე წარმოგვიდგენს, მაკნელის პიესის, როგორც ტრაგიკულ, ასევე კომიკურ ხასიათს, რითაც ლეგენდარული მომღერლის, სევდიანი, მძიმე ცხოვრების მონაწილეს გვხდის.

სპექტაკლში მკაფიოდაა გამოხატული მარია კალასის, როგორც მომღერლისა და პედაგოგის გრძნობათა მონაცვლეობა, რასაც არაჩვეულებრივი, ზებუნებრივი ოსტატობით გვაწვდის, მსახიობი ლელა ალიბეგაშვილი. ერთ ადამიანში უპირისპიდება ერთმანეთს, გარემოებით ნაკარნახები საქციელი და პირადი ხასიათი. მარია კალასი (ლელა ალიბეგაშვილი), საოცარი მსახიობური ოსტატობით ახერხებს ამ გაორების შენიღბვას, განწყობის შეცვლას...როდესაც ოთახში შემოსულ მოსწავლეს შეავლებს თვალს, კალასის დამოკიდებულება მოსწავლისადმი, თითქოსდა უარყოფითია. არ მოსწონს- ჩაცმულობა, ქცევა, სითამამე, ზედმეტი ღელვა და ა.შ...ეს გარემოებით ნაკარნახევი რეაქციაა, თუმცა მარიას მიზანია, მათგან (სტუდენტებისგან) რაღაც ღირებული და წარმოსაჩენი შექმნას...როდესაც ის მოსწავლეებში (სტუდენტებში) სიმღერის გულწრფელ სურვილს და განცდას გრძნობს, ხედავს-მათდამი მისი განწყობაც იცვლება.ალერსიანი და გულთბილი ხდება, რაც მისი პირადი თვისებაა, რომლითაც რამდენიმე წამით თავისუფლდება გარემო ყოფისგან. სპექტაკლის მსვლელობისას, როგორც სხვა პერსონაჟებს, ასევე მარიას ხშირად უხდება, ამგვარ გაორებულ გარემოში ყოფნა. ასეთი როლების შესრულებისას, პერსონაჟები (მსახიობები), თითქოსდა ბეწვის ხიდზე გადიან, რათა წონასწორობა არ დაირღვეს, არ დაიკარგოს სიმართლის გრძნობა, არ გაიბნეს სპექტაკლის (ავტორის, რეჟისორის) სათქმელი. სასიხარულოა, რომ რუსთაველის თეატრის დიდ სცენაზე, სპექტაკლში მონაწილე მსახიობებმა, ამ გამოწვევას ბრწყინვალედ გაართვეს თავი. სცენაზე ყველა და ყვალაფერი მარია კალასის გარშემო ტრიალებს. გმირები არათანაბრად, მცირე დოზით, არიან დიალოგში, იქნება ეს სცენის მუშა, აკომპანიატორი, პირველი სოპრანო, მეორე სოპრანო, ტენორი...მათ სჭირდებათ მრავალფეროვანი, ღრმა, ინდივიდუალური დამოკიდებულების გამოვლენა, გაკვირვება, განცვიფრება, აღშფოთება, სინანული, თანაგრძნობა, სიბრალული, მთავარი გმირის მიმართ... სხადასხვა გარემოებები მონაცვლეობს და ეჯახება ერთმანეთს, რომელიც მრავალფეროვნების სახით ჩნდება, როგორც ცალკეული მოქმედი პირის, ასევე მარიამ კალასის ირგვლივ, მთელი სპექტაკლის განმავლობაში...

ლამის მთელი მსოფლიოსათვის ცნობილია, რომ რობერტ სტურუა, ორიგინალური მიგნებების დიდოსტატია, რომელიც დიდი რუდუნებით მიმართავს სხვადასხვა სტილის სცენურ სიღრმეებს, რომლითაც სერიოზულ სათქმელს და სანახაობას აწვდის მაყურებელს. მისთვის, როგორც რეჟისორისთვის, მთავარია შექმნას მაღალი დონის სცენური ატმოსფერო, რითაც მაყურებელს უქმნის, როგორც სანახაობით, ასევე აზრობრივ, დამაფიქრებელ გარემოს.

სპექტაკლის მთავარი გმირი-მარია კალასი (ლელა ალიბეგაშვილი)მებრძოლი სულის, უდრეკი ნებისყოფის, დიდი ხელოვანი ქალის, საუკეთესო მაგალითია... სპექტაკლში გამორჩეულია, ლელა ალიბეგაშვილის, აქტიორული ინდივიდუალურობა, სცენური მახვილგონივრულობა, მრავალფეროვანი მომხიბვლელობა...

ტერენს მაკნელის სათქმელი, რობერტ სტურუას მიერ, კლასიკური მუსიკის, მარია კალასის სიმღერის ფონზე, არა მხოლოდ მაღალ მხატვრული ოსტატობით, არამედ გენიალურად არის წარმოჩენილი...

დავტოვეთ რუსთაველის თეატრი. გარეთ უკვე აღარ წვიმდა. თვალებზე ცრემლი მაწვებოდა. ქალბატონ იასაც იგივე შევამჩნიე..."ძალიან იმოქმედა, ლელას ბოლო მონოლოგმა- "მარია კალასი, ლა სკალას თეატრს აღარ სჭირდება"-მითხრა ქალბატონმა იამ და სევდანარევი ღიმილით შემომხედა.

- ჩემზეც,- მოკლედ ვუპასუხე..."ეს რა საოცარი გოგოა, გამაოგნა ლელამ. ისეთი შეგრძნება მაქვს, ცოცხალი მარია კალასი ვნახე. გარეგნულადაც ძალიან წააგავს. საოცარი მსახიობია!..გენიოსია რობიკო!.." - არ ჩერდებოდა, ქალბატონი ია... პირადად მე, ისეთი შეგრძნება მაქვს, მარია კალასი, რომლის ანდერძის თანახმად, მისი ფერფლი ეგეოსის ზღვას მოჰფინეს, ისევ ცოცხალია და რუსთაველის თეატრის, დიდი სცენის კულისებში, სადღაც სიღრმეში დავტოვე...

პატივისცემით, სპექტაკლის მონაწილე, რუსთაველის თეატრის დიდი სცენიდან - ირმა კეკელიძე

თეატრალური სივრცე
საწუთრო სიზმარივით ილევა
(ცხინვალის სახელმწიფო თეატრი)

როდესაც ქვეყნის კულტურულ სულიერებაზე, აწმყოსა და მომავალზე ვლაპარაკობთ, უპირველესად უნდა აღვიქვათ რა ხდება დღეს ჩვენს ქვეყანაში, ქვეყნის გარეთ, სამყაროში... რა წარმოადგენს ქვეყნის კულტურულ ფასეულობებს, რა ადგილი უჭირავს მას ქვეყნის განვითარებაში და სახელმწიფოს რეალურ ყოფაში... იმისათვის, რომ პასუხი გავცეთ ყველა იმ გამოწვევას, რომელიც ჩვენი ქვეყნის კულტურული ცხოვრების წინაშეა, იქნება ეს ურთიერთობანი ამერიკასთან, ევროპასთან, თურქეთთან, უკრაინასთან, ჩვენს სამეზობლოსთან (აზერბაიჯანთან, სომხეთთან, რუსეთთან), აუცილებელია განვსაზღვროთ, თუ რას ნიშნავს ქართველობა, ქართული სახელმწიფოებრიობა, რა არის ჩვენი ერისა და ქვეყნის საზრისი, ჩვენი დანიშნულება...როდესაც მეზობელ და სხვა ქვეყნებთან ურთიერთობის მოგვარებაზე, მეგობრობაზე, სიყვარულზე, ვლაპარაკობთ, ჩვენს შორის სალაპარაკო ენა, უპირველესად- კულტურის ენაა!.. რითაც ჩვენ სულიერი ძაფებით- სიკეთის, სიყვარულის, გზები გაგვყავს მათთან მისასვლელად...და ეს სულიერი, კულტურის ენით, გადებული ხიდები და გაყვანილი გზები, ყველაზე მყარი გარანტიაა, ჩვენი ქვეყნისთვის-მათთან კეთილი და მეგობრული ურთიერთობებისა...რადგანაც კულტურაზე დავიწყე ლაპარაკი, უახლესი წარსულიდან , მინდა ყურადღება შევაჩერო, ერთ კულტურულ პროექტზე, სპექტაკლზე, პოეზიის ზეიმზე, მსოფლიო პრემიერაზე, რომელიც 2022 წლის 7 ნოემბერს, ცხინვალის, ივანე მაჩაბლის სახელობის, სახელმწიფო დრამატულ თეატრში დაიდგა და რომლის პრემიერაც რუსთაველის ეროვნული თეატრის, მცირე სცენაზე გაიმართა...ეს გახლავთ აზერბაიჯანელი პოეტი ქალის, ლეილა ალიევას, ლამაზი, პოეტური, შემოქმედების გადმოტანა, ქართული თეატრის სცენაზე.

"საწუთრო სიზმარივით ილევა", ლეილა ალიევას ლექსების კრებულია, რომელიც ქართველ მკითხველს, ქართულ ენაზე, თანამედროვეობის უნიჭიერესმა პოეტმა (რუსთაველის პრემიის ლაურეატმა), ქალბატონმა, მაყვალა გონაშვილმა გვაჩუქა...ეს არის მაღალ მხატვრულ, ლიტერატურულ დონეზე, შესრულებული თარგმანი, რომლის წაკითხვაც სულსა და გულს ხან მალამოსავით ედება, ხანაც კი მთელი არსებით შეგვძვრავს და გვაფორიაქებს...ქართულ ენაზე გამოცემული, ლეილა ალიევას პოეტური კრებულის წინასიტყვაობაში, მაყვალა გონაშვილი წერს:

"ადამიანი გენეტიკური ყულაბაა და მასში წვეთ-წვეთობით გროვდება მამა-პაპათა ყველა თვისება: კარგიც და ავიც, ღვთიურიც და მიწიერიც.

სწორედ წინაპართაგან ერგო ლეილა ალიევას ნიჭიერებაც და უმშვენიერესი გარეგნობაც, მადლის ქმნის უნარიც და პირველობის ხიბლი თუ ტვირთი. დიახ, ყველა მადლი, რასაც უფალი უნაწილებს თავის რჩეულებს მარტოოდენ სოცოცხლის ძვირფასი სამკაული როდია, ის მძიმე

ტვირთიცაა, მით უმეტეს იმ ქალბატონის მხრებისთვის, ვისაც მამა-უფალმა არაერთ ტალანტთან ერთად პოეტური ნიჭიც უბოძა, პოეტური ნიჭი ანუ სევდა, რაც ჭეშმარიტი პოეზიის საფენელია...

იქნებ სწორედ ტვირთის შესამსუბუქებლად ეეედრება მფარველ ანგელოზებს ამ მთრთოლვარე სტრიქონებით:

"ანგელოზებო, ნუ მიმატოვებთ,
თორემ დაჭკნება სულში ყვავილი,
როცა სიზმრებში გზა ამებნევა,
ისე, უბრალოდ, გვერდს ნუ ამივლით"...

ყველაფერი, რაც საგულისხმოა და ამაღელვებელი, მარტოოდენ ერთი ადამიანის ან ერთი ქვეყნის კუთვნილება როდია.ის ყველასია და მზის სხივივით ყველაფერს თანაბრად ეფინება.

სწორედ ამიტომ, გადავწყვიტე ლეილა ალიევას მშვენიერი ლექსების თარგმნა და დიდი პოეტური ტრადიციების მქონე ქართველი მკითხველისთვის მისი შეთავაზება:

"მე აჩქარებით ვწერ ამ სტრიქონებს,
არად დაგიდევთ მძიმეს და წერტილს,
რითმების ჯვარზე გაკრულ ტკივილებს
ვიცი, რომ ფასი არა აქვს თქვენთვის."

ეს სიტყვები შენ არ გეხება, ქართველო მკითხველო, შენ " მგოსანთა მხარის" ბინადარო, ვინ-ვინ და ყველაზე კარგად ხომ შენ იცი, "რითმების ჯვარზე გაკრული ტკივილების ფასი" და ისიც იცი, რომ : "თურმე მჩატე არის ტვირთი, უფლის თითებშენახები".

ვიცი, ვიცი, რომ ყველაფერი ჩემზე უკეთ უწყით. ამ იმედით გთავაზობთ ლეილა ალიევას ახალ პოეტურ კრებულს " საწუთრო სიზმარივით ილევა" "...

მაყვალა გონაშვილის წინასიტყვაობის ამონარიდიდან კარგად ჩანს ლეილა ალიევას პოეტური სულის გულწრფელი ამოძახილი, თანამედროვე ცხოვრების ტკივილზე, ყოფაზე, განცდაზე... რაც შეეხება სპექტაკლში, რომელიც რეჟისორმა, გოჩა კაპანაძემ წარმოგვიდგინა, ყველაფერი ერთ მიზანს ემსახურება, რაც შეიძლება უკეთ წარმოაჩინოს თითოეული მსახიობის შესაძლებლობანი. რეჟისორმა არაჩვეულებრივად მოარგო პოეტური ენა, თითოეულ არტისტს და წარმოაჩინა პოეზიის მეტყველი ენა, მეტყველი ფორმა. თითოეული მსახიობი საოცრად ახერხებს მხატვრული სახის გახსნას. ლექსით, პოეზიით, თავის სათქმელის თქმას და სცენიდან მაყურებლის გულის, ყურის, არსების ჩათრევას, მონუსხვას, დაპყრობას და პოეზიის სამყაროში გადაყვანას. აგრეთვე, თამამად შეიძლება ვთქვა, რომ რეჟისორი გოჩა კაპანაძე, გამორჩეულია უნარით, არტისტების სწორად შერჩევისა, რაც მან არა ერთ თავის სპექტაკლში დაამტკიცა... და რა გასაკვირვია, რომ პოეზიის ზეიმზეც და პოეზიის ქარაშოტზეც იგივე წარმატებით ყოფილიყვნენ შერჩეული არტისტები. პოეზიის სპექტაკლში მონაწილეობენ, ქართული სცენის ვარსკვლავები: ნანა ფაჩუაშვილი, მარინე კახიანი,მარინე საღარაძე, ქეთი ჩხეიძე, დავით უფლისაშვილი, ანა მატუაშვილი, ნანული სარაჯიშვილი და სხვები. საოცარი სცენიური ხიბლი და პროფესიონალიზმი დაგვანახეს, მაჩაბლის თეატრის მსახიობ ქალთა დასმა, რომლებიც საოცრად მოერგნენ იმ პოეზიას, იმ სათქმელს, რაც პოეტმა ლეილა ალიევამ, მისი პოეზიის უბადლო მთარგმნელმა, პოეტმა მაყვალა გონაშვილმა და სცენის დიდოსტატმა, გოჩა კაპანაძემ გვაჩუქა.

"საწუთრო სიზმარივით ილევა" არის ჰარმონიული სპექტაკლი, რომელშიც (მარტივად ვიტყვი), ყველაფერი-მსახიობების გუნდი, დეკორაციული გადაწყვეტა (მხატვრობა), მუსიკა (აღმოსავლური და კლასიკური მუსიკის სინთეზი), განათება, ქორეოგრაფია, ყველაფერი ემსახურება პოეტური სათქმელის იდეას, გახსნას. ეს არის სპექტაკლი, რომელიც აქტიურად ეხმაურება თანამედროვე ცხოვრებას. ამ სპექტაკლს, ისე როგორც გოჩა კაპანაძის ყველა სპექტაკლს (განურჩევლად დრამისა, კომედიისა) საზეიმო, მომნუსხველი, ბედნიერი, ოვაციური ფინალი აქვს.

ვულოცავ, ივანე მაჩაბლის სახელობის, ცხინვალის სახელმწიფო, დრამატულ თეატრს, კიდევ ერთ, შემოქმედებით წარმატებას, მსოფლიო პრემიერის სახით. ბუნებრივია, ეს გამარჯვება განპირობებულია - ბრწყინვალე მსახიობთა ერთობლიობით, რეჟისორ გოჩა კაპანაძის საოცარი შემოქმედებითი ხედვით, მხატვარ ლომგულ მურუსიძის მიერ შესრულებული მხატვრული შედევრით, ქეთევან ციციშვილის მიერ შექმნილი მსახიობთა ლამაზი სამოსელით, ლეილა ალიევას ლამაზი პოეზიის და რაც მთავარია, მაყვალა გონაშვილის (შეუდარებელი გემოვნებით), გადმოქართულებული სიტყვათა ერთობლიობით და სინთეზით...

რომანტიკული ზეაწეულობით, განსაკუთრებული ტემბრით, უდიდესი შინაგანი ძალით, განსაკუთრებული შემოქმედებითი უნარით, სცენიური ხიბლით, გამოირჩეოდნენ, არტისტები: მარინე კახიანი, ნანა ფაჩუაშვილი, მარინე საღარაძე, დავით უფლისაშვილი, ანა მატუაშვილი,

ქეთი ჩხეიძე და სხვები, მაჩაბლის თეატრის(თეთრად შემოსილ) ანგელოზ ქალთა დასთან ერთად.

ლეილა ალიევას შემოქმედებაში, ჩვენ ვხედავთ რომანტიზმის ხანას. ადამიანის ღირსების, კეთილდღეობის ქადაგებას, თანადროული ეპოქის სინამდვილეს. რეჟისორი გოჩა კაპანაძე, ლეილა ალიევას ტრაგიკულ პოეზიასაც კი, ოპტიმისტური ხასიათით წარმოგვიდგენს, რაც რეჟისორული მიგნებების საუკეთესო გამოხატულებაა.

სპექტაკლის სიღრმეში, ტექსტის ფონზე მიმდინარე შიდამოძრაობები, შიდასვლები, სპექტაკლს ფსიქოლოგიური დატვირთვითაც აჯერებს. რეჟისორი არაერთგვაროვანი, ორიგინალური მიგნებებით ამდიდრებს სპექტაკლს. ზღვის ტალღებივით ბუნებრივად გადადის მსახიობთა სცენიური მოძრაობები, ლამაზი პოეზიის ფონზე, რეალურ ყოფით წარმოსახვაში. თამამად შეიძლება ითქვას, რომ პოეტი ქალის, ლეილა ალიევას, მთარგმნელის მაყვალა გონაშვილის, პოეტური ჩანაფიქრი, მაღალი მხატვრული ოსტატობით-სცენიური სამყაროს ლამაზ ფანტაზიაშია მოქცეული. ავტორის (მთარგმნელის) მიზანსწრაფვა, მუსიკის ჰანგში აღქმული, ულამაზესი დეკორაციის (მხატვრობის) გარემოში, სპექტაკლის სახით, ულამაზეს სინთეზშია მოქცეული.

გოჩა კაპანაძისეულმა მსოფლიო პრემიერამ, ახალი სიცოცხლე აჩუქა ქართულ თეატრს. მაყურებელი უდიდესი სიხარულით აავსო. რეჟისორმა გვიჩვენა, თუ როგორი შეიძლება იყოს- პოეზია სცენაზე. ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე, შემიძლია თამამი ვიყო ჩემს გამონათქვამში, რომ თანამედროვე ქართულ დრამატულ თეატრში, პოეზიის ზეიმი ვიხილეთ. ქართულ თეატრალურ კულტურას სწორედაც, რომ ახალი, პოეტური, აკადემიური სპექტაკლი შეემატა...გოჩა კაპანაძის მიერ დადგმული სპექტაკლებით, თუ ვიმსჯელებთ, რომელთა რიგებსაც მსოფლიო პრემიერის სახით, პოეტური სპექტაკლი " საწუთრო სიზმარივით ილევა" შეემატა, ქართულ რეალობაში, სავსებით გამართლებულია მას, საუკუნის რეჟისორი ვუწოდოთ.

ვულოცავ ლეილა ალიევას, მაყვალა გონაშვილს, გოჩა კაპანაძეს, მსახიობებს, ცხინვალის თეატრს, მთელს შემოქმედებით ჯგუფს, ქართულ თეატრალურ საზოგადოებას, ჩვენს ერსა და ქვეყანას, ამ დიდ შემოქმედებით გამარჯვებას!

პატივისცემით, სპექტაკლის მონაწილე (პარტერიდან), მაყურებელი - ირმა კეკელიძე

©Nino Jajanidze

©Nino Jajanidze

©Nino Jajanidze

4 მაისის შთაბეჭდილებები



ა/წ 4 მაისს თბილისში, პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში გაიმართა გულნაზ ხარაიშვილის შემოქმედებითი საღამო, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს საჩხერის მოსწავლე ახალგაზრდობის სახლის ნორჩ შემოქმედთა წრის მოსწავლეებმა (ხელმ. ნუნუკა გოგოლიძე). ისინი მსმენელის წინაშე წარდგნენ ლიტერატურულ-მუსიკალური კომპოზიციით "იმერეთი-ზღაპარეთი ჩემი". ნორჩმა შემოქმედებმა დიდი მოწონება დაიმსახურეს. საღამოს ესწრებოდნენ ცნობილი მწერლები, პოეტები(რევაზ მიშველაძე,მაყვალა გონაშვილი, ერეკლე საღლიანი,ნინო უძილაური...),კულტურის სხვა დარგის მუშაკები.ღონისძიებას ესწრებოდა დაახლოებით 100-120 კაცი.

ეროვნული ბიბლიოთეკიდან გადაინაცვლეს ჯუმბერ ლეჟავას სახელობის მრავალ-პროფილურ საერთაშორისო აკადემიაში. მოსწავლეებმა წარმოსთქვეს საკუთარი ლექსები, დაჯილდოვდნენ დიპლომებითა და ფასიანი საჩუქრებით. ქალბატონ ნუნუკას გადაეცა მად-ლობის ბარათი და ქართველი პოეტების ლექსები. ნორჩ შემოქმედთა წრის მოსწავლეებსა და მათ ხელმძღვანელს ვუსურვებთ შემდგომ წარმატებებს.

მაგდა გელბახიანი



უდიდესია ბავშვობაში განცდილი ,შენი თვალით ნანახი ,ღირსეულ ადამიანებთან შეხვედრით აღძრული ემოციები,დიდხანს გადადის ხსოვნაში და ღრმა კვალს ტოვებს .სწორედ ასეთი დღე იყო 4-მაისი, გულნაზ ხარაიშვილის შემოქმედებითი საღამო.

მე,როგორც მშობელი,აღფრთოვანებული ვარ ასეთი,გულთბილი,სიყვარულით გამთბარი შეხვედრებით.ძალიან საინტერესო იყო ძვირფას ადამიანებთან,შემოქმედებთან შეხვედრა, მათი შთამბეჭდავი სიტყვების მოსმენა.

პოეტებმა,მწერლებმა მაღალი შეფასება მისცეს გულნაზ ხარაიშვილის შემოქმედებას,ხაზი გაუსვეს მის ადამიანურ ღირსებებს:სითბოს,სიკეთეს,სხვათა ტკივილების გაზიარებისა და ამ თვისებების ლექსებში ოსტატურად გადატანის დიდ უნარს.

ქალბატონი გულნაზის პოეზიამ ჩემი შვილები: ზვიადი და აკაკი კიდევ მეტად დააახლოვა ლექსთან,კიდევ მეტად შეაყვარა ფრთიანი ქართული სიტყვა.მოხარული ვარ, რომ მათ ამ ფართო აუდიტორიის წინაშე მშვენივრად წარმოაჩინეს ეს დიდი სიყვარული.

მადლობა მინდა ვუთხრა მშვენიერი ლექსების ავტორებს :პოეტებს ერეკლე საღლიანს,მაყვალა გონაშვილს,ეთერ ჭელიძეს,ნინო უძილაურს,მწერალ რეზო მიშველაძეს, შემოქმედებითი საღამოს ყველა მონაწილეს რომელთაც დიდი სიხარული და ბედნიერება მოგვანიჭეს,დამსწრე საზოგადოებას.

სოფო ივანიშვილი

შთაბეჭდილება

ამ ქვეყნად არსებობს სულიერი საზრდო,რასაც პოეზია ქვია.იგი წვრთნის,სულს გისპეტაკებს და გამოგზაურებს სამყაროში,სადაც საქართველოსთვის თავდადებული, პოეზიის მოტრფიალენი ცხოვრობენ.

ადამიანი,ვინც ბავშვს პოეზიის სიყვარულს უნერგავს ქართულის მასწავლებელია-ჩემი ნუნუკა მასწავლებელი, რომლის ამაგი შეუფასებელია.იგი მთელ ენერგიას დებს განათლებული და სასახელო თაობების აღზრდაში.მისი ჩატარებული ყოველი გაკვეთილი ჩემთვის საგანძურია, რომელიც ენით აღუწერელია.იგი საოცნებო მასწავლებელია, რომელსაც შესწევს უზარმაზარი ძალა,გახდე შენი თავის საუკეთესო ვერსია.ჩვენ ყოველ კვირა ვეცნობით სხვადასხვა მწერლის თუ პოეტის შემოქმედებებს, ვატარებთ პოეზიის საღამოებს. ჩვენი თავდაუზოგავი შრომის ნაყოფი კი თბილისის ეროვნულ ბიბლიოთეკაში ჩატარებული შემოქმედებითი საღამოა,რომლის წარმართვაშიც დიდი წვლილი მიგვიძღვის, რაშიც უდიდეს მადლობას ვუხდი ნუნუკა გოგოლიძეს,გულნაზ ხარაიშვილს და თბილისის ეროვნულ ბიბლიოთეკას გულთბილი მასპინძლობისთვის.

ეს დღე ეძღვნებოდა არაჩვეულებრივი შედეგრების შემქმნელსა და რედაქტორს,უსაყვარლეს გულნაზ ხარაიშვილს. ჩემი სიტყვები უძლურია იმ ემოციის გამოსახატავად, რაც ქალბატონ გულნაზთან შეხვედრისას ვიგრძენი. იგი ჩემთვის და ყველასთვის მისაბაძი ადამიანია.როგორ გაუმკლავდა ცხოვრების რთულ ეტაპებს და თავისი სიცოცხლე პოეზიის ქომაგობას დაუთმო.უდიდესია თქვენი ღვაწლი ახალგაზრდა თაობების აღზრდაში.

ქალბატონი გულნაზ ხარაიშვილის კაბინეტში ფეხის შედგმისას გაოცებული შევყურებდი კედლებს,რომელზეც მისი, ბეჟანის და ჯუმბერ ლეჟავას პორტრეტები ეკიდა.არასდროს დამავიწყდება იმ ადგილის სუნი, რომელმაც ჩემში უდიდესი კვალი დატოვა და ემოციები ხელახლა გამიღვიძა.

გულნაზ ხარაიშვის შემოქმედებით საღამოს “იმერეთი,ზღაპარეთი ჩემი” ესწრებოდნენ სხვადასხვა გამოჩენილი პოეტები და მწერლები,რომლითაც მომავალი თაობა საზრდოობს და კვლავაც ისაზრდოებს.უდიდეს მადლობას გიხდით იმ ყველაფრისთვის,რაც ჩვენთვის გააკეთეთ. 4 მაისი დღეა, რომელიც კუბოს კარამდე მემახსოვრება.სწორედ თქვენისთანა მამულისთვის თავდადებული ადამიანები სჭირდება ჩვენს ქვეყანას.ძალიან მოხარული ვარ ამ დღით და იმედი მაქვს,კიდევ მრავალჯერ განმეორდება შემოქმედებითი პოეზიის დღეები.

შთაბეჭდილება
(მშობელის)

მინდა გულწრფელი მადლიერება გამოვხატო ჩემი შვილის განათლებასა და აღზრდაში, თქვენი პედაგოგიური ნიჭის მიდგომით.თითოეულ მოსწავლეს,მათ შორის ჩემი შვილის სულის საყრდენი ბოძი ხართ.აძლევთ მოსწავლეს თავისი ნიჭის გამოვლინების შესაძლებლობას. ბედნიერი დედა ვარ, რომ ჩემი შვილის სულს თქვენ წრთვნით. ქედს ვიხრი თქვენს წინაშე,ასეთი მონდომებით,ყოველთვის შემართებით და ენერგიით ხართ ჩართული ბავშვებია სწავლა-განათლებაში.უნერგავთ პოეზიის სიყვარულს,გამოგყავთ სხვადასხვა ღონისძიებაში,რათა თავიანთი ნიჭი და პოეზიის სიყვარული გამოხატონ ქართველი ხალხის წინაშე. არშემიძლია არ ავღნიშნო პოეზიის დღე "იმერეთი, ზღაპარეთი ჩემი", მართლაც განსაკუთრებულად დასამახსოვრებელი იყო ქალბატონ გულნაზ ხარაიშვილისადმი მიძღვნილი შემოქმედებითი საღამო საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში უზომოდ მადლიერი ვარ იმ ადამიანებით,ვინაც დღევანდელ ღონისძიებაში შეიტანა

მარიამ გრძელიშვილი
მუ-11 კლ.მოსწავლე
საჩსერე,6მაისი.

განსაკუთრებულად მიყვარს ის ადგილი,სადაც ჩემი წინა-პრები სახლიბდნენ ჩემი ბებო ხარაიშვილია. გამორჩეულად მიყვარს ეს გვარი. თავდაპირველად სწორედ ამიტომ მივაქციე ყურადღება გულნაზ ხარაიშვილის ლექსბს და მალევე შემიყვარდა ბებო ხშირად საუბრობს ამ მშვენიერ პოეტზე და მის პოეზიაზე. მუდამ აღნიშნავს, რომ განსაკუთრებულად ენერგიული და გულანთებული ქალბატონი ბრძანდება. თითოეული ლექსი ერთმანეთზე უკეთესი და სასიამოვნოა. მინდა დაბადების დღე საკუთარი ლექსით მივულოცო ჩემს საყვარელ პოეტს და ვუსურვო დიდხანს სიცოცხლე, ჩვენდა გასახარად და საიმედოდ,კიდევ მრავალჯერ გავეხარებინეთ მის გულშიჩამწვდომ ლექსებს

ვაჟიკო სამხარაძე

გულნაზ ხარაიშვილის საღამო
შთაბეჭდილება

ვარდობის თვე,,,თვე ყვავილობისა“ ასე უწოდებენ მაისს, რომლის ერთი დღე საოცრად მშვენიერი გამოდგა ჩემთვის და ჩემი მეგობრებისთვის. ეს გახლდათ დღე სასწაულის, დღე ემოციის, დღე სიხარულის, დღე ბედნიერების. ქართული პოეტური ენით განმსჭვალული, პოეზიითა და სიყვარულით სავსე საღამო - გულნაზ ხარაიშვილის იუბილე.

გულის ფანცქალით ველოდი ამ დღეს, რადგან საქართველოს ეროვნულ ბიბლიოთეკაში მივყავდი ჩემს საყვარელ, ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელს, ნუნუ მასწავლებელს. ვიცოდი, რომ იქ ვნახავდით ქართული ენის მოტრფიალეებს, პოეზიის და ლიტერატურის კორიფეებს, ცნობილ ადამიანებს, რომელთა ხილვა სიამაყით და სიხარულით ამავსებდა.

გათენდა ნანატრი დღე. შევიკრიბეთ საჩხერის მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლესთან და გავეშურეთ დედაქალაქისაკენ. ამ დღის ყოველი წამი შთამბეჭდავი იყო, გზად შევისვენეთ, ბუნების სილამაზემ გაგვახსენა ჩვენი სასახელო პოეტების ლექსები და ერთმანეთი დავატკბეთ ქართული სიტყვით, პოეზიით და სიმღერით.

და აი, მივედით ეროვნულ ბიბლიოთეკაში, საოცარი განცდით შევაბიჯე შენობაში, ავიარე კიბეები და აღმოვჩნდი დარბაზში, სადაც ხალხი ირეოდა. ნუნუ მასწავლებელმა მაშინვე შეამჩნია ქალბატონი გულნაზი, რომელიც სტუმრებს სიხარულით და სიყვარულით იღებდა. ჩვენც მისკენ გავეშურეთ. გულში სითბო ვიგრძენი მის შემოხედვაზე. ყველას და ყველაფერს ინტერესით ვაკვირდებოდი. ირგვლივ ყვავილების და სიყვარულით გამთბარი სურნელება იდგა.

დაიწყო საოცარი სითბოთი და პატივისცემით გამთბარი საიუბილეო საღამო, რომელსაც უძღვებოდა ბატონი თემურ გოგსაძე, მან იქ დამსწრე საზოგადოებას სიყვარულით წარმოგვიდგინა ქალბატონი გულნაზი, სიყვარული და აღფრთოვანება ვერ დამალა პოეტის მიმართ, დედასთან გააიგივა, გულთბილი პოეტი. მოვისმინეთ არა ერთი ქართველი პოეტის და მწერლის დიდებული სიტყვა, რითაც ვტკბებოდი და სიხარულს ვერ ვმალავდი. სულგანაბული ვუსმენდი თითოეულს, ყველაფერი მომწონდა.

დადგა წუთები ჩვენი გამოსვლისა, ნერვიულობა მემატებოდა, დიდი პასუხისმგებლობა იყო ამდენი ცნობილი ადამიანის წინაშე ამაყად ვმდგარიყავი და მესახელებინა საკუთარი თავი და ჩემი მასწავლებელი, რომელიც საოცარი მჭერმეტყველებით, ძარღვიანი სიტყვით და ჩვეული დიდებულებით იდგა საზოგადოების წინაშე. გული სიამაყით ამევსო, საკუთარი თავი შევაგულიანე და ჩემს მეგობრებთან ერთად სცენისკენ გავემართე. ლექსს სიმღერა ცვლიდა, სიმღერას ლექსი, ტაშით გვამხნევებდნენ გამომსვლელებს. ღირსეულად წარმოვადგინეთ მუსიკალური კომპოზიცია და სიამაყით დავუბრუნდით პირვანდელ ადგილს. გული სიამაყით ამევსო, როდესაც მადლობა გადაგვიხადეს და შეგვაქებს. განსკუთრებით მომხიბლა ცნობილი ქართველი მწერლის, რეზო მიშველაძის სიტყვებმა. მან აღფრთოვანება ვერ დამალა ჩვენი პოეზიისადმი სიყვარული რომ დაინახა და მადლობა გადაგვიხადა. მისმა სიტყვებმა ჩემში მოცივაცია გააღვიძა და კიდევ უფრო

გამიმძაფრა პოეზიის სიყვარული, რითაც უკვე დიდი ხანია მოწამლული ვარ ჩემი მასწავლებლის წყალობით.

დასრულდა სიყვარულით გაჯერებული პოეტის საღამო, თუმცა ჩვენი ბედნიერი დღე არ დასრულებულმა. ქალბატონმა გულნაზმა იმერული სტუმართმოყარეობით გვიმასპინძლა ჯუმბერ ლეჟავას აკადემიაში. გვესაუბრა თავის ცხოვრებაზე, პოეზიის, ადამიანების და სიცოცხლის სიყვარულზე. საჩუქრად გადმოგვცა წიგნები, დაგვაჯილდოვა სიგელებით. სიხარულს ვერ ვმალავდი.

ემოციებით დატვირთული დღე დასასრულს უახლოვდებოდა, მე ბედნიერი ვიყავი ცნობილ ადამიანებთან შეხვედრით, მათთან გადაღებული ფოტოებით.

ეს დღე ჩემს მეხსიერებაში მნიშვნელოვან ადგილს დაიკავებს. მადლობა, ქალბატონო გულნაზ თქვენი ლექსებისთვის, გპირდებით კიდევ უფრო ღრმად ჩავწვდები თქვენს პოეზიას. მადლობა, ნუნუკა მასწავლებელო, ასეთი დაუვიწყარი დღე რომ მაჩუქეთ.







2023 წლის 4 მაისი- დღე, რომელიც უზღვავი სიამოვნებით, სიყვარულით და შთაბეჭდილებებით ამავსო. საოცარი ლამაზი პირველი დღის, ბავშვობის ყაბილობისა და წვიმების შემდგ მზემ გამოანათა, სიცხე და სიყვარული ჩვენსაკენ მოედინა, ისეთია ბავშვობიდან ერთად გავემგზავრეთ, ეზოში, ეზოვანი ბინებიდან, ფილაზე ბასაშვილის სიტყვიერი საუბრიდან.

შორეულ ვიანოდი ქ-ნ ფილაზე. მას რომ ფესვები აქვს, მაგრამ ვერ წარმოიდგინა, რომ ლიტერატურ ყოფაში, განგებ ტალანტი ადამიანს, რომელსაც უფრო ლაღი ყოფა ქონია ფალალეთი/ზეიმის გრძელვადიანი გაბიბეთა, ფესვის რომ ანალოგი ის ჟანგს ან ზეიმი ყველის ფილი ეფლი, სიყვარულით და სიკეთით ავსილ.

ბიბლიოთეკის დარბაზი ყველანაირი იყო მოხალული, ერგვლივ ეთი ალიწერა სიამოვნებ და სიყვარული ერთიანდა, ყველა ეზეიმ ხალ, ყველა ბედნიერ, ბევრნი, ეთი სიყვარულ ძალიან ბევრ ნინ ან ლიტერატურა ავსებდა ჩემ გულს და ფიქრს. ბეთოვენი ყველას უყვარდა ან ყველა გიყვარდ, მაგრამ ამ დღის ბ ბევრი საბუთის მოძებნა გავხდი. ყველა ამბობდ ფილაზე წამოიწყო სიყვარულ ან ვეძებინდი, რომ სიყვარ ნიაც ბეთოვენი იყო ამ საფერი ტალანტისადმი გაცვლილ ვრცელების ალბომებ. ბევრნილი ბრომ ლიტერატურ-ადამიანებ აუკეთ. ეფლის ფილფილი სრულია ჩემამავლ 4 მაისი. ბევრი ვგვანდი, ფასვლა იყოს ჩემ ცხოვრებაში ასეთ ვერ ან სიყვარული ასეთ ლიტერ



ლიზი ზაბახიძე

შთაბეჭდილება

არასდროს მეგონა ლექსის მხატვრულად წაკითხვას თუ დავიწყებდი, ყოველთვის თავს ვარიდებდი მსგავს შემოთავაზებებს თუმცა ქალბატონი გულნაზის ლექსებმა იმდენად მომხიბლა და მომაჯადოვა ნამდვილად ვეღარ ვიტყოდი უარს ლექსის მხატვრყლად წაკითხვაზე. ღონისძიებაზე ყოფნისას მივხვდი რომ უბედნიერესი ადამიანი ვარ მთელს სამყაროში რადგანაც უდიდეს ადამიანებთან ერთად მქონდა შესაძლებლობა გამოვსულიყავი სცენაზე პირადად გამეცნო ისინი მათთან ერთად სუფრასთანაც ვმსხდარიყავი. გული სიხარულით მევსებოდა როდესაც ამას ვფიქრობდი რათქმაუნდა ქალბატონი გულნაზია ამ ყველაფრის შემოქმედი. საოცრად ენერგიული მხიარული განათლებული და საყვარელი ქალბატონი.

მარიამ ხომასურიძე

Ч МАИСИ ТБИЛИСШИ

რა არის ამ ქვეყნად ყველაზე მნიშვნელოვანი კაცობრიობისთვის და სამყაროსთვის? იმისათვის, რომ ყველამ ამოიცნოს და იპოვოს საკუთარი თავი, სურთ, რომ გადარჩნენ ხელში წიგნი უნდა დაიკავონ და მისი სურნელი შეიგრძნონ. წიგნი, რომელსაც კაცობრიობის მოდგმის გადარჩენა აქვს მიზნად დასახული, ბავშვებისთვის ეკლიანი გზის გახსნა და იმ გზის მზის სხივივით განათება, სადაც მომავალმა თაობამ უნდა გაიაროს და კვალი დატოვოს. ის ერთადერთი ძვირფასი განძია, რომლის მაგვარი მსოფლიოში არაფერი მოიპოვება. იცით, რომ ჯადოსნური ჯოხი მართლა არსებობს? არსებობს, თუმცა მისი გამოყენება მხოლოდ წიგნს შეუძლია და ის, რისთვისაც ამ ჯოხს გამოიყენებს ადამიანის სულია. წიგნი ის ჯადოქარია, რომელიც ადამიანის სულს აჯადოებს, უმეცრებას უკლავს და ფრთებს ასხამს ფანტაზიას. ციცერონ მარკტულიუსი ამბობს:

,,წიგნებთან ურთიერთობა სიყმაწვილეს კვებავს, სიბერეს ამხიარულებს,
ბედნიერებას ამშვენებს, უბედურებაში თავშესაფარსა და დამშვიდებას იძლევა“

წიგნის კითხვა სულიერი სიმშვიდეა ჩემთვის, მაგრამ პოეზია? ოო, პოეზია ჩემი სულის საავადმყოფოა, რომელიც სისხლში მაქვს გამჯდარი და მუდამ მკვებავს. პოეზია ეს ხომ სიბრნის დარგია. ლექსი მზეა, მთვარეა, ზეცაა და დედამიწაა ჩემი გადმოსახედიდან. აი, მზე და მთვარე, რომ შეეტაკონ ერთმანეთს და ზეცა სისხლის ტბად გადაიქცეს, მაშინ ღაღაც გრძნობა აუცილებლად დაგვივლის ტანში და სწორედ ეს ხდება ლექსშიც. ცხელი სისხლის ჩქეფები დაგვივლის ტანში და უცნაური ძრწოლა აგვიტანს.

ისეთი მძაფრი და შთამბეჭდავია პოეტის ეს უმდიდრესი გრძნობებით და სიბრძნით გაჟღენთილი სიტყვები, ისე ლამაზად და ფაქიზად იხატება ჩემში, რომ პოეზიის სამყაროში ვმოგზაურობ, მაგრამ ვინ მამოგზაურებს ან მე და ან სხვას? ვინ და ჩვენი ბუმბერაზი აკაკი, ბრძენი ილია, ვაჟა და კიდევ მრავალი. ესენი კი,მაგრამ რატომ უნდა დაგვავიწდეს, რომ დღესაც არიან სულით წმინდა პოეტები. არ უნდა გამოგვრჩეს ერეკლე საღლიანი, გულნაზი ხარაიშვილი, რეზო მიშველაძე და კიდევ რომელი ერთი ჩამოვთვალო. ისინი გვინათებენ გზას, მივყავართ კარგთან და გვაშორებენ ავს.

სკოლაში, როდესაც პოეზიის საღამოს ვაწყობთ მასწავლებელთან ერთად თავი სამოთხეში მგონია, სადაც არაფრის მეშინია და გრძნობის, სიმშვიდის, სიბრძნის ჟრუანტელი მივლის მთელ სხეულში. უებარი და იდუმალი გრძნობის სამოსი მეხვევა და ირგვლივ დამათრობელი სურნელი ტრიალებს.

ჩემი ფიქრით ქართული ლექსი მუსიკის ჰანგებს წააგავს, რომელიც დედის ტკბილი ხმასავით ჩაგესმის ყურში. სწორედ ქართული ლექსიდან წამოსულ მშვენიერებაზე შეიძლება ვთქვათ:

,,გამაგონე ეგ ხმა ტკბილი დაჰკარ გრძნობით დაირასა“

ეს ტკბილი და მომხიბვლელი ხმები გაზაფხულის ერთ ულამაზეს დღეს 4 მაისს, პოეტი გულნაზი ხარაიშვილის წიგნის გამოშვების დღეს, დედაქალაქ თბილისში გავიგონე. ეს იყო დღე, რომელმაც უდიდესი და მრავლისმეტყველი კვალი დაამჩნია ჩემს ცხოვრებას და დღე, რომელიც არასდროს ამოისლება ჩემი მეხსიერებიდან. ამ დღეს კიდევ უფრო დავრწმუნდი ქართული სიტყვის ძალაში. გული გამითბო საუკეთესო პოეტების მიერ წარმოთქმულმა თითოეულმა ფრაზამ და ჩემს სულში ღრმად შემოიჭრა. 4 მაისს კვლავ ვიგრძენი, რომ მე ვცხოვრობ ისეთ საქართველოში, სადაც სულით წმინდა უფროსი თაობაა და მათნაირი კიდევ ბევრი ქართველი აღიზრდება. მალამოსავით მედებოდა ბავსვების ნამღერი და უდიდესი, გულიდანწამოსული

გრძნობებით წაკითხული ლექსები. წერტილი დაუსვეს იქ მყოფმა თითოეულმა პოეტმა, მასწავლებელმა და ბავშვებმა, რომ საქართველო ის ქვეყანაა, სადაც პოეზიის,წიგნის, ლიტერატურის, სიწმინდის გარემოცვაში ხარ. ბილი გრემმა თქვა:

,,არასდროს მიგვრძნია ასეთი სიახლოვე ღმერთთან,
როგორიც საქართველოში“

რა აგრძნობინა საქაღტველოში ტავი ღმერთთან ასე ახლოს? რატომ მაინც საქართველოში? რამ და იმ ქართველმა ხალხმა, იმ ქართულმა სიტყვამ და იმ ქართულმა პოეზიამ, რომელიც მუდამ იპყრობს ნებისმიერი ადამიანის სულს, სიმშვიდით და სიწმინდით კვებავს მათ სულს. ეს ყოველივე კი მე კიდევ ერთხელ 4 მაისს შევიგრძენი. იმ დღის ძალა, ძალა, რომელიც იქ მყოფმა თითქმის ყველა ქართველმა შეჰმატა იმ დღეს მუდამ ჩემი წინამძღვარიიქნება და არ დამავიწყდება, რომ 4 მაისი უბედნიერესი, შემოქმედებითი, ყურძნის მტევანივიტ დახუნძლული, მზესავით განათებული და რამიტ მოკაშკაშე ვარსკვლავივით აკაშკაშებული დღე იყო ჩემს ცხოვრებაში.

რუსუდან დოღაძე

შთაბეჭდილება

გაზაფხულის ერთ მშვენიერ დღეს გავეშურეთ საჩხერიდან თბილისში. პოეტ გულნაზ ხარაისვილის შემოქმედებით საღამოზე,,იმერეთი ზრაპართეი ჩემი“. ამ საღამოს მე მშობლის სტატუსით ვესწრებოდი. პირველ რიგში მინდა აღვნიშნო მასპინძლების თბილი დახვედრა. გულანთებული ვიჯექი დარბაზში და ვუსმენდი თითოეული ბავშვის, პედაგოგის, პოეტის გულიდან გრძნობით წამოსულ პოეზიას. როგორ ფაქიზად და სიყვარულით მოჰქონდათ თითოეული სიტყვა მსმენელამდე. მალამოსავით მედებოდა გულზე მათი სიტყვები. როგორ მინდოდა სამყარო ყოფილიყო მხოლოდ პოეზია, რადგანი იმ მომენტში არ მახსოვდა, თუ რა მძიმე პერიოდში მიწევდა ცხოვრება. დარბაზში არ წყდებოდა ტაშის ხმა და გამუდმებით ქართული სიტყვა ჩამესმოდა გულში. ციდან წამოსული წვიმის წვეთებივით მოდიოდა ჩემს თვალზე სიხარულის ცრემლები. მიხაროდა ამდენი პოეტის ერთად ნახვა, მათი საუბრის მოსმენა. მომინდა ბავშვობაში დაბრუნება, რათა მე ვმდგარიყავი სცენაზე, მეც მოვფერებოდი პოეზიას, გულში ჩავეკარი დიდებულ პოეტებს, მოვფერებოდი ჩემს ქართულის პედაგოგს პოეზიის სიყვარულის შთაგონებისათვის.

მადლობა უფალს, იმისათვის რომ მომეცა შანსი მოვხვედრილიყავი ისეთ გარემოსი, სადაც მხოლოდ სიყვარული, სითბო და სიკეთეა. დიახ, მომეცა შანსი, მაგრამ როგორც მშობელი, რითაც ორმაგად ბედნიერი ვარ. ვხედავ ჩემს სვილს, როგორ ეტრფის პოეზიას, როგორ ეფერება პოეტებს, პედაგოგებს და როგორ ეფერებიან მას. ეს ჩემთვის უდიდესი ბედნიერებაა, რაც კი

შეიძლება განიცადოს მშობელმა. ამ საღამოს იდგა პოეტური ცეცხლი. ყველამ კარგად ვიცით, თუ რამხელა მანძილია თბილისსა და საჩხერეს შორის, მიუხედავად ამისა გზას არ დავუღლივარ, რადგან სიხარულის და სიამვნების ფრთები გამომაბა და საჩხერეში ჩამომაფინა. ეს დღე სამუდამოდ ჩარჩება ჩემს გულსა და მეხსიერებაში. ჩემი დიდი სურვილია ასეთი საღამოები ხშირად ეწყობოდეს ახალი და მომავალი თაობისთვის, რათა ქართული პოეზია დავიწყებას არ მიეცეს.

მადლობა მინდა გადავუხადო ქალბატონ ნუნუკა გოგოლიძეს და პოეტ გულნაზ ხარაიშვილს.

ტატო ტოგონიძე

დავიწყოთ იმით, რომ თითოეული წამი, ჩემთვის განსაკუთრებულად სასიამოვნო, მნიშვნელოვანი და შემეცნებითი იყო. გავიცანი ისეთი ადამიანები, რომელთაც თითოეული სიტყვა, თითქოს გულშიჩამწვდომად ლამაზი და სამაგალითო გახლდათ. სიცოცხლეს მოგაწყურებდათ ლექსების ხმიანობა, რომელიც იქნა გაჟღერებული.

მოვისმინეთ საინტერესო, სახალისო და სამაგალითო ისტორიები. ზღვა ემოციით დატვირთული დღე გახლდათ. სახლში ისეთი ნასიამოვნები ვბრუნდებოდი, მეტი რომ არც შეიძლება, თუმცა გული დამწყდა, რომ ეს დღეს დამთავრდა. ჩვენთან ერთად მყოფმა თითოეულმა ადამიანმა უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე, რისთვისაც ყველას ძალიან დიდი მადლობა მინდა გადაგიხადოთ

სოფო ივანაშვილი

ძალიან საინტერესო, თბილი, მყუდრო და შთაბეჭდილებებით სავსე საღამო. ბედნიერებაა, უამრავი სირთულის მიუხედავად, როცა გყავს ოჯახი, ირგვლივ კი უამრავი მეგობარი, სხვადასხვა ასაკის ჭკვიანი თაობა, მათ შორის დაბალანსებული ურთიერთპატივისცემა და სიყვარული, გულზე მალამოსავით რომ მოგედება და გიამებს. ბედნიერებაა, იყო ძლიერი ქალი, იზიდავდე შენ ირგვლივ ახალგაზრდებს და მადლიანი ქართული სიტყვით დღეს ამ ბობოქარ გარემოცვაში ისევ ქვეყნის სადარაჯოზე იდგე.

,,ვოცნებობდი, ლექსის წერა მომენატრა,
ღვთიურ გრძნობამ ამიძგერა საწყალს გული,
ფიქრებმა კი ხვალის მთები მომანატრა,
დამანახა ჩემი კუთხე დახატული."
აღფრთოვანებული ვარ.

ზვიად სამყურაშვილი

ქართული სიდარბაისლით მობრძანებული ყმაისი

დიდებული,გამორჩეული დღე იყო ჩემს ცხოვრებაში. ეს დღე, სახელოვან დიდ მწერლებთან გატარებული ძვირფასი წუთები,არასდროს დამავიწყდება.მათი სიტყვის ძალამ და პოეზიის სიყვარულმა ახალგაზრდებს ახალი მიზნები და ფიქრები დაგვისახა.

ძალიან დიდი სიხარული განვიცადე,როცა ამ ადამიანების თვალწინ პატრიარქზე დაწერილი ლექსით წარვსდექი, განსაკუთრებით მიყვარს ლექსის ბოლო სტრიქონები: -"უწმინდესი გვყავს,რაღად დავღონდეთ,ერის მხსნელი და ერის საჩინო,სიკვდილი უკვე რწმენით ჩავღობეთ, სიცოცხლე უნდა გადავარჩინოთ."

საამაყოა, რომ ასეთი შთამბეჭდავი ლექსების შემოქმედი ქალბ. გულნაზ ხარაიშვილი, ჩვენი მხარიდან არის ,მისი სიტყვა გულში ჩამწვდომია,მისი ლექსები კი დარწმუნებული ვარ,რომ ისტორიას დარჩება.ეს თბილი საღამო სწორედ ამ დიდებულ პოეტს მიეძღვნა რომლის ლექსი გამოირჩევა ქართული ჟღერადობით,ნაცნობი ძვირფასი ადგილების პოეტურ დახვეწილ სახეებში ოსტატურად გადმოცემით. ჩვენ გავეცანით დიდებულ ადამიანებს:ერეკლე საღლიანს,რეზო მიშველაძეს,მაყვალა გონაშვილი,ეთერ ჭელიძეს და კიდევ მრავალ დიდ შემოქმედს რომელთაც თავიანთი სიტყვით გვამოგზაურეს პოეტურ სამყაროში.

აკაკი სამყურაშვილი



დღე, რომელიც არასოდეს დამავიწყდება

ეს დღე,მართლაც, დაუვიწყარი იყო. ეროვნულ ბიბლიოთეკაში ულამაზესად მორთულმა შენობამ და თბილმა გარემომ,საოცარი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე.ამდენი საზოგადო მოღვაწე: პოეტი, მწერალი,ხელოვანი ერთად არასოდეს მენახა.

ვღელავდი,ასეთი საზოგადოების წინაშე პირველად მიწევდა გამოსვლა,მაგრამ პოეტ გულნაზ ხარაიშვილის ლექსში "დედაენას"იმდენად უბრალოდ,ამაღლებულად არის ნათქვამი მშობლიური ენისსდიადე,რომ მღელვარებაც მალე გაქრა.სიყვარულით, მშვენიერებით დატყვევებულ დარბაზში ეფინებოდა ქართული ჰანგები,ჟღერდა ქართული ლექსი.

დიდი მადლობა საღამოს შემოქმედთ! ენით უთქმელი შთაბეჭდილებებით დავბრუნდით შინ.ეს დღე ჩემს მეხსიერებაში არასდროს წაიშლება!..

გახსენება

ლამზირა შეყილაძე

ჩემო დიდო მონატრება!

რაც შენ წახვედი, მას აქეთ შენმა დარდმა დამძლია, ყოველ ამოსუნთქვას ვიგუდები., ყელში მობჯენილი ცრემლები მახრჩობს, მოლოდინი მატყუებს, გონება მეთიშება, სიცოცხლე მღლის და მტანჯავს, გამუდმებით დაგეძებ, ხელებს ვაფათურებ, მინდა, რომ გიპოვო და ისე ჩაგეხუტო, რომ ასე დავრჩეთ შესისხლხორცებული და ვერაფერმა დაგვაშოროს... დედამიწიდან წაღებულ შენს ტკივილებს დავეწამლო. გატანჯული და დათრგუნული ცივ საკანში ვზივარ და ველოდები სიკვდილს, რომელიც შენამდე მომიყვანს, რომ ვიხილო ნამდვილი მზე, სადაც ახლა შენ სახლობ. ასე მგონია, რომ შენ მზემ გიშვილა, მზისგულა იყავი და ყველას მზესავით უნაწილებდი სითბოს. დედის გულში დღესაც მზესავით ანთიხარ, მუდამ მენატრები. ჩემს ყოველწუთიერ მონატრებას, აივანზე რომ მტრედი მოდის ხოლმე მას ვატან. ვინ იცის იქნებ მოაქვს კიდეც შენი დედიკოს ტანჯვის ამბავი... ჩვენს აივანზე მცხოვრები ჩიტები როცა ჟღურტულებენ, მგონია, რომ შენს დანაბარებ ამბებს მიყვებიან, მაგრამ ვერ ვგებულობ მათ ნაამბობს და გული მწყდება. რა აუტანელია უშენობა, რომელიც ყოველ ცისმარეს ჯალათივით ბლაგვ იარაღს მიღერებს და უზომოდ მტანჯავს...

აქეთ-იქიდან შემომძახიან ; გაუძელიო... ცხოვრებაში ყველაფრის გაძლება შევძელი, მაგრამ უშენობას ვერ ვუძლებ. ამქვეყნად უშენოდ არ გამეძლება!

მენატრებიიიიიი...

მტკივაااااااااااა...

შენთან მინდაااااა....

დაგვამწყალობე

შენ სამი კვირა ებრძოდი სიკვდილს,
მე კი დავრბოდი გამწარებული.
ჩემი მუდარის მიუხედავად
სიკვდილს ვერას გზით მოვუგე გული.

უფალს მივანდე ყოველი წამი,
უბედურება მაინც არ ამცდა.
შენ აღარა ხარ, სიცოცხლის თვალი,
ღმერთის აუგი მაინც არ დამცდა.

ახლა კი, ზეცას შევყურებ თრთოლვით,
მზერას ვერ ვაწვდენ მწვერვალებამდე.
ნეტავი შვილის კამკამა სულმა
თუ მოაღწია, ღმერთო, შენამდე?

ვიცი, რომ შვილზე დარდები დამძლევს,
ჩემი სამარხიც უკვე შევღობე.
მე უიმისოდ მეტს ვეღარ გავძლებ,
უფალო, ორთავ დაგვამწყალობე.

ლელა სხირტლაძე



მეუღლე, დედა, მამა, დეიდა და ძმა ჩემი. რომელი ერთი მოგიგონოთ, გიტოროთ? რამდენი გიტოროთ. რამხელა საფარველი დამიტოვეთ. ვეღარაფერს გეუბნებით. ვდუმვარ... როცა მოვალ ალბათ უსასრულო გზაზე, ვისაუბრებ თქვენთან ჩემი გულის ტკივილებო. ნათელლში იყავით. ილოცეთ ჩემთვის და ჩემი გიოსთვის. ილოცეთ იზას შვილებისთვის.

გკოცნით

გემშვიდოობებით...

ერთი ნაღვლიანი, დარდმოკიდებული ახალგაზრდა კაცის საგზალი ისევ გამოცალა წუთისოფელმა...

ტკივილიანი აღმართ-დაღმართი მხოლოდ მის ფიქრებში იწყებოდა და მთავრდებოდა...

მიხეილ უბრალოდ მიხო ხაჭვანი❤

თავად ტკივილით სავსეს არავისი ჭირი და ლხინი არ გამორჩენია, ყველას მიაგებებდა საჭიროებისამებრ...

უთქმელი დარდი სჭირდა, მხოლოდ სიჩუმით ებრძოდა ამ დარდს...

პირველი შვილი ნანინანატრი 12 წლის მარიამი ისე წავიდა, მამა ვერ დაუძახა, ფეხზე ვერ წამოაყენა, სკოლაში ვერ მიიყვანა...

დარდი სჭირდა, როგორ არა, მამები ჩუმად ებრძვიან შვილების გარდაცვალებით გამოწვეულ ტკივილს და მარცხდებიან...

ოთხი კვირა ებრძოდა სიკვდილს... დამარცხდა...

ნაბოლარა, დედმამიშვილებში.

ნაბოლარა, ბიძაშვილ მამიდაშვილებში...

უყვარდათ, ყველას უყვარდა...

დახმარება დასჭირდა სიკვდილისგან თავის დასახსნელად, ფეხზე დადგა მთელი სვანეთი, შენი უშგულელები...სხვაც ბევრი...

მადლობა თითოეულ იმ ადამიანს, ვინც შენთვის ერთი თეთრიც კი გაიღო...

მადლობა სასაზღვრო დეპარტამენტის თანამშრომლებს გვერდში დგომისთვის.

დღე უღიმღამო მაინც გათენდა და შენ, ახლა, 21 მაისს უშგულში მიმავალს ლატალიდან უშგულამდე სუფრებით გხვდებიან ყველა სოფელში... თურმე როგორ ყვარებიხარ ეს უთქმელი დარდში ჩაკეტილი, ბავშვის ხასიათგამოყოლილი ბიჭი ყველას...

ვერნათენები დღის ტკივილით გულდასერილი გელოდებიან შენი პატარა ვაჟკაცები, შენი ირინა. დედის ხელს ჩაჭიდებული მოსე და ანდრია ლამარისთან გაკვალულ ბილიკს გამოყვებიან სადაც შენი და მარის ბოლო ნავთსაყუდელი იქნება...

დააკლდდები ძმებს, შენს მომფერებელ თამარს და ქეთის, შენ ქრისტის რომლმაც შეძლებისდაგვარად ყველაფერი გააკეთა შენთვის, მთელ საახლობლოს... ჯემალის, რომელსაც მთელი ცხოვრება ბავშვივით მონაფერები ჰყავხარ.

უფალმა გიკურთხოს გზა რომელსაც შენ მარისთან მიჰყავხარ...

იქნებ ასწავლო სიარული...გულში ჩაეხუტე, მოეფერე, მამას დაგიძახებს და შენც დამშვიდდები ჩემო უამრავ ტკივილგამოვლილო ბუტია და ყველას მოჭირნახულე მიხო (ჯოჯი).

მსუბუქი იყოს უშგულის მიწა შენთვის!!!

დათა შუბითიძეს

არ მინდა მჯეროდეს

მინდა რომ გელოდე,
არ მინდა მჯეროდეს,
გაურბი იმ დღეთა
შფოთიან ამინდებს,
შენ უნდა აქ ახლა
ჩემს გვერდით მღეროდე,
მეფერო ბებიკო
ცრემლად არ დაგიდნე.

შემპირდი და პირი
დოქივით გატეხე,
რომ გავატარებო
წლებს შენთან სტუდენტურს,
ახლა კი ვაგროვებ
ყინულის ნატეხებს,
რა უთხრა დედაშენს
ჩემსავით უბედურს.

შენ მოაველაკე
იმედი რაც მქონდა,
ამიტომ შენს მერე
დავსახლში ზეცაში,
თუმც ბედის ქარები
სულ ჩემთან დაქროდა,
შენს მერე ვიძინებ
ცრემლ ნაწვიმ ზეწარში!

გელა სხირტლაძეს

ოღონდ შენ აღსდექი

დავთმობ ყველაფერს, ოღონდ შენ დაბრუნდი,
წახვედი და მაინც წიგნები შევქმენი,
ყველაფერს დავხევ და მიწაში დავბუდნი...
რად მინდა დედიკო უშენოდ ესენი.

გელა შენ იყავი მკითხველი ლექსების,
გიყვარდა ცოლშვილი და შენი ვახუნა,
გამრავლდა უშენოდ თუმც შენი ფესვები,
ვდარდობ რომ ობლობა ბედმა მათ არგუნა.

აღდომა მოდის და გახარე დედიკო
ტომები, ჟურნალი ცრემლებით ნაწერი,
ჩემო საყვარელო ლამაზო გელიკო,
ფიქრებით სამარხი რამდენჯერ გავჭერი.

მილოცვა

ღ ი ა წ ე რ ი ლ ე ბ ი

ჯუმბერ ლეჟავას სახელობის მრავალპროფილიან საერთაშორისო აკადემიის პრეზიდენტს, ჟურნალ "ა თ ი ნ ა თ ი ნ ი ს " რედაქტორს, საოცარ ადამიანს, გულთბილსა და ენატკბილს, ხალხის სიყვარულს, პოეტს, მსურს ახლო წარსულში მიმოწერის ეს მშვენიერი დიალოგი აღვწერო:

ბ ა ტ ო ნ ო პ ა ა ტ ა
ჟურნალი ,,ათინათი,, რომელიც წმინდა ნინოს ხატით გამოდის, გამოვიდა,
სადაც თქვენდამი მოძღვნილი ქალბატონი მადონა დვალის წერილია დაბეჭდილი და პატარა მოსაფერებელი მწირი სიტყვა ჩემგანაც მიუთბუნე, რომ კარგად მყავდეს ჩემი აკადემიის შვილი აბრამ პაატა იოსებაშვილი!

ჯუმბერ ლეჟავას სახელობის მეცნიერებათა მრავალპროფილიანი
საერთაშორისო აკადემია მადლობას საჯაროდ უცხადებს მწერალთა კავშირის თავჯდომარეს, ქალბატონ

მ ა ყ ვ ა ლ ა გ ო ნ ა შ ვ ი ლ ს !
ბატონო აბრამ პაატა, თქვენი კანდიდატურა, ქალბატონმა მაყვალამ წამოაყენა აკადემიაში და სიხარულით გადმოგეცით საერთაშორისო აკადემიის დიპლომი.
მიხარია, რომ სიტყვა მეთქმის ისეთ პიროვნებასთან, როგორიც თქვენ ბრძანდებით. მეიმედებით, მეამაყებით და გლოცავთ აკადემიის შვილო აბრამ პაატა იოსებაშვილო!

ეს საოცარი და მოულოდნელი წერილი ჩემ ერთ ერთ პოსტში მომწერა ძვირფასმა ქალბატონმა, პოეტმა, აკადემიკოსმა, ჯუმბერ ლეჟავას სახელობის მეცნიერებათა მრავალპროფილიანი საერთაშორისო აკადემიის დამაარსებლებმა და მისმა პრეზიდენტმა, ქალბატონმა

გ უ ლ ნ ა ზ ი ხ ა რ ა ი შ ვ ი ლ მ ა !
ქალბატონო გულნაზი, გავიმეორებ იმ სიტყვებს, რაც თვენ ბრწყინვალებას არა ერთხელ უთქვია, არ არის იმაზე მეტი ბედნიერება, როცა ხალხს უყვარხარ და აფასებს შენს გაწეულ ღვაწლს ხალხის საკეთილდღეოდ!

თქვენი სიტყვებით, თქვენი ჩემში ღრმა რწმენით, პრესტიჟულ სამეცნიერო საერთაშორისო მრავალპროფილიან აკადემიაში გაწევრიანებით და მისი დიპლომით დაჯილდიებით მომანიჭეთ დიდი სიხარული და ბედნიერება, რაც ჩემთვის ყველანაირ ღირებულებაზე მაღლა დგას!

დ ა ბ ო ლ ო ს,
ქ ა ლ ბ ა ტ ო ნ ო გ უ ლ ნ ა ზ ი
უძვირფასესო და უკეთილშობილესო ადამიანო, გილოცავთ

დ ა ბ ა დ ე ბ ი ს დ ღ ე ს !
უ კ ვ დ ა ვ ე ბ ი ს დ ღ ე ს !
გისურვებთ მზით გაბრწყინებულ დღეებს, თვეებს და წლებს, ურყევ ჯანმრთელობას, ბედნიერ წელთა სიმრავლეს, რომლებსაც ისევ და ისევ
თქვენდამი ღრმა პატივისცემით და თქვენ შვილებს, აკადემიის წევრებს ახარჯებთ და უნაწილებთ, თავს დაფუსფუსებთ, ლოცავთ და ლოცავთ!
იმ გარემოსაც დაგილოცავთ სადაც თქვენი კურთხვა-ლოცვა ფასდება!

უსაზღვრო სიყვარულით,
ლოლა და აბრამ პაატა იოსებაშვილი!
საერთაშორიო ორგანიზაცია
"მეგობრობის მერიდიანები"ს
დამფუძნებელი და მისი პრეზიდენტი.
საქართველოს კულტურის დესპანი ისრაელში.
საქართველოს მწერალთა კაშირის დიპლომირებული "ღვაწლმოსილი".
საქართველოს სრულუფლებიანი მოქალაქე.
ხარაგაულის საპატიო მოქალაქე, ხარაგაულის კარიბჭეს გასაღების, ჯილდოს და ნამდვილი ოქროს მედლის მფლობელი!
საქართველოს სრულუფლებიანი მოქალაქე!
დავით აღმაშენებლის აკადემიის პროფესორი და სრულუფლებიანი წევრი!
ფაზისის საერთაშორისო სამეცნიერო აკადემიის დიპლომირებული წევრი, მისი ოქროს მედლის მფლობელი!
5 სამეცნიერო საერთაშორისო აკადემიის წევრი!
დიპლომირებული აკადემიკოსი!
არქიტექტურის მეცნიერებათა დოქტორი!

გოგიტა მელიქიძე

ცამდე აწვდილი ხელები ❤❤

დედობა, ღვთის მადლია, გატოლებაა ღვთისმშობლის სასოებასთან ღირსებისა და ყველაზე სათნო მისია სიცოცხლისა მიწიერეთში ❤❤

იყო დედა ფიზიოლოგიურად, ეს უფლის ნებაა, მაგრამ შეძლო დედობა და იყო მრავალთა მშობელი მფარველ დედად, ეს ადამიანის მოქმედების შედეგია, მოქმედებისა, დედობრივი სიკეთის სითბოს მადლიერებით❤❤

გ უ ლ ნ ა ზ ი ხ ა რ ა ი შ ვ ი ლ ი - დედა ხატებად ღვვთისმშობლის სადაროდ ❤❤ დედა, რომელმაც თავისი შვილების სალოცავი ბედნიერება და სითბო უწილადა შვილთა სხვათა მრავალთა❤❤ დედამ, რომლის გულიც ტკივილად არის გაპობილი საკუთარი შვილის სიცოცხლის სიკვდილით და მან კი, უკვდავებად ჩადო კეთილშობილება თავისი გულის სათნოებისა, თავისი შვილის მარადიულ სიცოცხლედ ❤❤

მზედ აანთო და ვარსკვლავად, მარადიული სიცოცხლის მანათობლად თავისი პირმშოს სული ზეცად ანგელოზთა სამოთხეში❤❤

ეს სათნო და ტკბილი ქალბატონი სიყვარულით დაჰგურგურებს ჯუმბერ ლეჟავას აკადემიის თითოეულ წევრს და ყველას ერთად ძლიერი ფრთების ქვეშ იფარებს ბედნიერების მზრუნველობად ❤❤ მოკრძალებით გავბედავ და ვიტყვი, რომ მე დედობა, მხოლოდ საკუთარი შვილების დედობის შემდეგ შევიგრძენი, ამიტომ მუხლზე დაჩოქებით ვმადლობ მას, რომ ჩემი დედიკოს დედობის ღირს- ტოლად შემაძლებინა მისთვის შვილობის სითბოს სიყვარული შემეფარებინა თავი ❤❤ ბრწყინვალების დიადემაა და გვირგვინია, რომ იგი ყველას დედაა,

დიახ, დედა ღირსების და მოწოდების სიმაღლეზე, არწივია, ზეცით ძლიერი იმ უფრთო მართვეებისა, რომელთაც ფრთებს უსწორებს, რათა სამყაროს ცაზე ლაღად და ბედნიერად შეკრან კამარა ❤❤ და ეს ქალღმერთი ქალბატონი ღირსეული შემოქმედია, პოეტი, რომელიც გულის რითმებით გადმოსცემს სალბუნ მალამოდ ლამაზ შტრიხებად გავლებულ სტროფებს, მისი ყოველი ამოსუნთქვა ლოცვაა ლექსებად გარითმული და ჰიმნია სამშობლოს საგალობელ- სადიდებლად ❤❤ იგი, თავად არის მუზა ინტელექტუალური შემოქმედების და სიცოცხლის სიმბოლოდ ❤❤

დღეს, ეს ღვაწლმოსილი, ამაგდარი შემოქმედი და დედა, შვილთა სიხარულით გაამაყებული ბანოვანი, ი უ ბ ი ლ ა რ ი ა □□□□❤□❤□

მინდა უფალთან დაჩოქებით მივიტანო ლოცვად ჩემი სურვილი მისი სიცოცხლის ბედნიერებად □□❤□❤□

მრავალი დღე ჰქონდეს ღვთიური მადლით დალოცვილი და სიყვარულის სიხარული მრავალი წელი შვილთა მისი სიყვარულისა □□❤□❤□ მრავალჟამიერ მისი საფიცარი გელას მონაგარს დღეგრძელობად და ბედნიერების სხივებად მოფენილი □□❤□❤□ იმზეგრძრლოს მისმა სიცოცხლემ გაცისკროვნებული სიყვარულის სითბოთი და უკიდეგანო ბედნიერებით □□❤□❤□ უფალმა დალოცოს მისი მადლიანი კალთა დედობისა და გული სიკეთისა სითბოთი სავსე ❤□❤□□ □

დეზი ემანულიძე

საკინძე გულის
გახსნილი მზეა
და შიგ ბრწყინდება
მრავალი სული,
დალალი შენი
მზის სხივთა რტოა,
ყვავილთა კონებს
აგროვებ გულში,
დედად შობილო!
დედაც კი გქვია,
ამას აგრძელებ
სამარადისოდ
და დაბადება!
დღეს რასაც ჰქვია,
სიყვარულშია
სამაგალითო!

ყველაზე გულთბილ, მეგობრულ და ყველასადმი სიყვარულით გამსჭვალულ ქალბატონს გულნაზი ხარაიშვილს ვულოცავ დაბადების დღეს. ქ-ნო გულნაზ, სიტყვები არ მყოფნის რითი შეგამკოთ, რადგან თქვენ ხართ ღმერთით ნაკურთხი ადამიანი, მოვლენილი ამ ქვეყნად მხოლოდ იმისთვის რომ სიკეთე სთესოთ და ურთიერთ სიყვარული გააძლიეროთ. იყავთ დღეგრძელი, მზეგრძელი და იხარეთ მრავალჟამიერ. გლოცავთ თუმც შორიდან, მაგრამ მიგულეთ თქვენს გვერდით. იხარეთ მათთან ერთად ვისაც შეჰხარით. წარმატებულ შემოქმედებით საღამოს გისურვებთ. ლოცვით სავსე კალათას გიგზავნით ისრაელიდან. გეფერებით ჩემი პატარა ლექსით.

გაზაფხულის ამ მშვენიერ დღეს,
ყვავილების თაიგულსა ვკრავ,
შიგ ჩავაქსოვ ჩემს უზომო სიყვარულს
და გიგზავნი დიდსულოვან ქალს.

მოგილოცავ დაბადების დღეს,
ღვინით ვავსებ თასს,
მსურს მოგიძღვნა სურვილები ულევი,
ფოლადივით გამოწრთობილ ქალს.

გულში იკლავ სევდას განუზომელს,
გრძნობებს მძიმეს, ვით მღელვარე ზღვას,
და მიჰყვები ქვეყნის აღმართ-დაღმართებს
უკან სტოვებ შენ სიკეთის კვალს.

დაგელოცოს სიტყვა თქმული მართალი,
კალმის წვერით ლეგენდებს რომ თხზავ,
უხვად გასცემ დედა-შვილურ სითბოს
ვით ღვთაება, ერთადერთი ხარ.

დაგილოცავ წარსულს, აწმყოს, მომავალს,
სიყვარულით რომ იკაფავ გზას,
ამავ გრძნობით ყველა მივეფერებით,
შენით დარგულ სურნელოვან ვარდს.

მუდამ თქვენი კეთილის მსურველი
იზოლდა მოშიაშვილი.

ლია ალადაშვილი

ლექსი ეძღვნება ქალბატონს,
გულნაზ ხარაიშვილს დაბადების
დღისადმი, დიდი სიყვარულით.

ყველას სითბოს გვიწილადებ,
დაჭრილ გულს მალამოს ადებს,
აშარ-ქარს არასდროს ასდევ,
გული გაქვს სიკეთით სავსე.

პოეზიით ფრთაშესხმულო,
მაღლა ზეცის კარსაც აღებ,
დაბადების დღეს გილოცავ,
ცისკარელო , გაიხარე.

დაგელოცოს შენ ფესვები,
ფუძე-ჭერი გაგიმრავლდეს!
უფალი კი მოწყალეა,
გზა-ბილიკებს გაგინათებს!

ქალბატონო გულნაზ გილოცავთ იუბილეს, უფალმა გახაროთ თქვენს მონაგართან ერთად,ჩვენი ქვეყნის და ხეობის სიამაყევ,ჩემო კეთილო ფერიავ,თქვენ ანახეთ ჩემს შემოქმედებას მზის სინათლე,უკიდეგანოდ მადლობელი ვარ და ვიქნები თქვენი. მიყვარხართ♥

მარიამ მარეხი რიკაძე

ლექსი ეძღვნება ქალბატონ გულნაზი ხარაიშვილს, დაბადების დღისადმი მიძღვნილი...დიდი სიყვარულით❤❤❤-

/ თ. სტეფლიანი/

გ- ულმზიანო ამაგდარო,
უ- ფლის რწმენით განმსჭვალულო,
ლ- ამარია გფარავდეთ და
ნ- ამუსით სულ გეამაყოთ...
ა- მ ლამაზ დღეს მოგილოცავთ,
ზ- არ ზეიმის თანაავტორო,
ი- მედი ნუ მოგიშალოთ,
ხ- ილვა თქვენი კვლავ გვეამოს...
ა- რ მოგაკლდეთ ღვთის წყალობა,
რ- ომ სიყვარულს ჰყვარებოდეთ...
ა- თინათის დედოფალო,
ი- ის სურნელის მფრქვეველო...
შ- ორს მჭვრეტელო,გამჭრიახო,
ვ- ით ლამპარი,ცოდნის წყარო,
ი- ლხინეთ თქვენს ტკბილ ოჯახთან,
ლ- ამაზ თქვენს შვილიშვილებთან,
ი- ვერიის ღვთისმშობელს ვთხოვ,
დაგიფაროთ და გამრავლოთ...

ჩემს სულიერ დედას

*. *. *. *. *. *

სულიერ შვილებს დუელში გიწვევთ,
დედი მე მიყვარს თქვენზე ძალიან,
მისგან შორს ყოფნა ისევე მიწევს,
დედა გულნაზი ამორძალია.
მისი ბრალია, რომ შევიმოსე,
პოეზიის ფრთით და სულ დავფრინავ,
ამიტომ დედი ვლოცე და ვლოცე,
ახალ ლექსებს კი მზეზე გავფინავ.
თამრო.

თამრო-სვანი ნიჟარაძე

ჯუმბერ ლეჟავასსახელობის მრავალპროფილიანი საერთაშორისო მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტს და ჟურნალ "ათინათის" რედაქტორს ქალბატონ გულნაზი ხარაიშვილს გილოცავთ ჟურნალის 47ე ნომრის გამოცემას.

დიდი პატივისცემით აკადემიის ამაყი წევრი პაატა იოსებაშვილი!

პერსონა

საქართველოს წარმატებული ადამიანების დაჯილდოების ცერემონია პერსონა წარმოგიდგენთ „პერსონა 2023" - წლის ტიტულზე საზოგადოებრივ საქმიანობაში შეტანილი წვლილისთვის ჯუმბერ ლეჟავას სახელობის მეცნიერებათა მრავალპროფილიანი საერთაშორისო აკადემიის პრეზიდენტს ქალბატონ გულნაზი ხარაიშვილს.

ქალბატონი გულნაზი ხარაიშვილი, ბიბლიოგრაფი, ჟურნალისტი, ოცდაათი წელი ბიბლიოთეკის გამგედ იმუშავა. შემდგომ, თბილისში, კულტურის ცენტრის დირექტორად განაგრძო მუშაობა. ამჟამად, ჯუმბერ ლეჟავას სახელობის მეცნიერებათა მრავალპროფილიანი საერთაშორისო აკადემიის პრეზიდენტი და ჟურნალ "ათინათის" მთავარი რედაქტორი, არის ათი წიგნის ავტორი: "ფიქრები", "შენ მენატრები", "მზის ათინათი", "პოემები", "მზის მკლავებში", "დარდის პირამიდები", "ღმერთ კაცი და თოლია", "რაა სიცოცხლე", 500 გვერდიანი წიგნის, ,,სულის ტაძარის "

ავტორი გახლავთ. არის მწერალთა კავშირის წევრი.მიღებული აქვს პრემიები: "მარიკა ბარათაშვილის", "აკაკი წერეთლის", "ბეჟან ხარაიშვილის", "ღვაწლმოსილის", "გალაკტიონ ტაბიძის", "თამარ დედოფლის ენდალმა".ჰყავს ხუთი შვილიშვილი და ოთხი შვილთაშვილი. გარდა ამ ყველაფრისა, უამრავი სიგელით, დიპლომით და მედალით არის დაჯიდოებული. ქალბატონ გულნაზს დედაბუნებამ სიკეთის თესვა დაანათლა.ძალიან თბილი და ტკბილი ქალბატონია, კეთილშობილი და დიდბუნებოვანი. უყვარს ენა, მამული, სიტყვა ქართული, მადლიანი და ლაზათიანი. მიუხედავად უდიდესი ტკივილისა, რასაც ის ატარებს, შვილის გარდაცვალების შემდეგ,ქალბატონი გულნაზი ამ ტკივილს არავის აგრძნობინებს, მხოლოდ თეთრ ფურცელთან არის გულწრფელი, კალამი ჰყავს მესაიდუმლედ... ამიტომ არის ძლიერი, ამიტომ უყვართ და აფასებენ.

ქალბატონი გულნაზ ხარაიშვილი,
რომლის თვალსაწიერი ყველას სწვდება,
აფასებს და ყველას თანაბრად
უღვრის სულში სითბოს!

სიტყვა, სულ მცირეს სჯერდება ალბათ
ვგონებ, სათქმელი ხშირად მეტია,
იქნებ უთქმელად მეფარა ჩემში
მარამ, ამ გულში ვერ დამეტია!

თამამი სიტყვა, ვიცი წრფელია
ჩემში ყოველთვის მე, ასე ვთვლიდი,
თქვენი სითბო და თქვენ თუ არ ,ალბათ
ასე შორს ფრენას ვერ ვისწავლიდით!!!

ნელი საგინაძე

ვუძღვნი ქალბატონ გულნაზ ხარაიშვილს!

ქალმა რომ იცის, თუ რა არის
მისი მისია,
გრძნობებისათვის და სითბოსთვის
აკურთხა ზემან,
ირგვლივ მყოფების სულში ეძებს
მუდამ დადებითს,
მისი თვალები გვეფერება, კარგს
ამბობს ენაც.

ამ ქალის ირგვლივ აღმშენებლობს
სულის სამეფო,
მის კალთას ყველა შვილობილი
იფერებს, ჩემობს,
„შენ გაგიმარჯოს, გაიხარე, ქალო
ქალღმერთო,
ნუგეშს მეც სწორედ შენში ვხედავ
ნამდვილად ჩვენო"!

მთვარისა ზეინკლიშვილი
ქარელელი

გულნაზი ხარაიშვილის წიგნის „ცისკარელი“ შემოქმედებითი საღამო

ქალბატონ გულნაზი ხარაიშვილის წიგნის, სახელწოდებით,, ცისკარელის" პრეზენტაცია ❤❤ ვულოცავთ ამ დიდებულ ქალბატონს ახალი წიგნის დაბადებას და ამავე დროს იუბილესაც ღმერთმა უშრეტი ენერგია და კვლავაც მრავალი სიკეთის კეთების ძალა მოგმადლოთ, თქვენ, მრავალი ადამიანისთვის მართლაც დედის მოვალეობის მტვირთველს❤❤ უდიდეს მოამაგეს. იხარეთ მრავალჟამიერ

გიორგი ქენქაძე

დღეს 5 მაისია,დღეს იუბილარი გვყავს.დღეს ყველასათვის საყვარელი ქალბატონის ჯუმბერ ლეჟავას სახელობის მრავალპროფილიანი საერთაშორისო მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის გ ულ ნ ა ზ ხ ა რ ა ი შ ვ ი ლ ი ს დაბადების დღეა.

ქალბატონო გულნაზი,დედა გულნაზი გილოცავთ თქვენს დღეს,ჯანმრთელობას და დიდხანს სიცოცხლეს გისურვებთ.მინდა მუდამ ანათებდეთ,კაშკაშებდეთ თქვენ და თქვენი შემოქმედება.

დედა გულნაზი ერთ-ერთია მათ შორის ,რომელსაც ჩემს ჭინ გადადგმულ ნაბიჯებში დიდი წვლილი მიუძღვის და ახარებს ჩემი უმნიშვნელო წარმატებაც კი.დიდი სითბო და სიყვარული მოდის თქვენგან.სათნო,კეთილი ადამიანია.მიუხედავად დიდი ტკივილისა ის ყველას მიმართ მოსიყვარულეა,თავის დარდს გულში იკლავს და არავის აგრძნობინებს.

არა მარტო ჩემი,თქვენ უამრავი ადამიანის დედა ხართ,რომელიც ყოველთვის ცდილობს ყველას ასიამოვნოს და მოეფეროს. და ჩვენ ,თქვენს შვილად წოდებულებს დაგვეფასებინოს თქვენი ამაგი.

მიყვარხართ და მეიმედებით,გლოცავთ და გეფერებით დედა გულნაზი.იყავით დღეგრძელი, მზეგრძელი ,იხარეთ მრავალჟამიერ.

მაპატიეთ რომ ვერ ჩამოვედი პირადად და ვერ გაგილამაზე დღე.გჯეროდეთ მიყვარხართ.

სრულიად სამყაროს ვულოცავ თქვენს დაბადებას.

პატივისცემით თქვენი გიორგი ქენქაძე

გილოცავთ, ქალბატონო გულნაზ!

ივანე ლომსაძე

შენი სიკეთის ღიმილი

სულით გულით მოგილოცავ,, ლოცვას არ ვაგვიანებ.. ჩემებური სუფთა სუტყვით,, შენ დღეს ავამზიანებ..

ვაგვიანებ შენთან მოსვლას,, დედი არ გამიბრაზდე.. მოვალ ერთი დროც იქნება,, სიხარულს გადაგადებ..

ყურადღების ცენტრში ყოფნა,, ჩემთვის არის უცხო.. არმჩვევია ასეთები,, უბრალო ვარ მიტომ..

გიბოდიშებ ვერ მოვედი, მომელოცა თვითონ.. ვიცი გაგიხარდებოდა,, გამიღებდი დიდ გულს..

მაგრამ ასე მოგილოცავ,, დავიმშვიდებ გულსო.. შენი სიკეთის ღიმილი,, მე შვილივით მიცნობს..

შენ იცოცხლე ასი წელი,, ამ ცხოვრების სიტკბო.. იდღეგრძელე დედა გულო,, იმედო ქართულო.. ((ივანე ლომსაძე ძმურადა ძირულისპირელი))

კატერინა კილაძე

Ყ ᲛᲐᲘᲡᲘ

ჩემს დეიდას დღეს იუბილე მწერალთა კავშირში აღუნიშნეს დიდმა ქართველებმა, ძალიან ძვირფასია ჩემთვის, ძალიან ღირებული, დიდი პოეტია, დიდი ქალბატონი, დიდი დედა, ჩემი გულნაზი ხარაიშვილი როგორ არ გამეხარებინა დღეს მე, მაპატიოს იქ ადგილზე რომ ვერ მივულოცე, მადლობა ჩემო ლიკა მღებრიშვილი, უძვირფასესო ქალბატონო Eტერი ჩჰელიდზე საოცარი იყო თქვენი გვერდში დგომა დღეს ჩვენი სიურპრიზის განხორციელებისთვის, გილოცავთ ჩემო დეიდა სულ უნდა იკაშკაშო და გაათბო დედამიწა, დანარჩენს აქ გეტყვი, ჩემთან, ჩემს აქაურ საქართველოში, გელოდებით და გვიყვარხარ! ❤

ხათუნა კილაძე

ᲓᲐᲣᲕᲘᲬᲧᲐᲠᲘ ᲓᲦᲔ❤

თენგო ფანცულაია-ხერგილელი ოქროპირი.

ქალბატონ გულნაზი ხარაიშვილს

დაბადების დღეს გილოცავთ,
ჩემი ლექსად ნაფიქრალით,
ხარ მფარველი ანგელოზი,
გულკეთილი მეგობარი.

ბევრი გზააბნეულისთვის,
გაგიღია გულის კარი,
თუ გაჭირდა ხმალს იშიშვლებ
და გახდები ამორძალი.

გულში სევდას არ გვანახებ,
თუმცა დასერილი არი,
ბევრი მწარე გინახია,
გიკრეფია ნარ-ეკალი.

თავს არავის მოახვიე,
შენი გულის სატკივარი,
საქმეში კი ყველამ იგრძნო,
თანადგომა, თქვენი მხარი.

თქვენ ქცევაში ყველგან მოსჩანს,
სიკეთის და მადლის კვალი,
რამდენს წყლული დაუამეთ,
რამდენს აუხილეთ თვალი.

რამდენს ხელი გაუმართეთ,
დაუბეჭდეთ ლექსის ბწკარი,
გამოცემებს ხომ ატყვია,
თქვენი შრომის, ოფლის ღვარი.

მსურს გისურვოთ ქალბატონო,
სულის სიძლიერე, ჯანი,
ღმერთმა აღარ მოგვიშალოს,
ბევრი წელი, თქვენი თავი.

ჯუმბერ ლეჟავას სახელობის საერთაშორისო
სამეცნიერო აკადემიის წევრებო, გილოცავთ „ათინათის“
ორმოცდამერვე ნომრის გამოცემას.

რედაქტორი: გულნაზ ხარაიშვილი

სარჩევი

გულნაზ ხარაიშვილი 2
*** გული შენი რწმენით ცოცხლობს
ხატმწერები: **ხატია** და **გიორგი ლარიაშვილები**
„ ჯვარცმა“ 3
„ ფერისცვალება“ 4
დეისუსი 4
გულნაზ ხარაიშვილი
მამა გაბრიელი 5
უწმინდესი და უნეტარესი, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II 6
მეუფე თადეოზი (მირიან იორამაშვილი) 7
სიკეთის სხივით (მამა ამირან ამირანაშვილს) 8
შევქმენ ჟურნალი 9

ჯგუფი ზღვარი

სერგი ლომაძე 10
კახა მაციკაძე 12
გიორგი ზუხბაია 13

პოეზია

ბერდიაკონი ნეოფიტე 14
ირაკლი ნადარეიშვილი 16
ნინო უძილაური 21
ლია ვახტანგიშვილი 22
თემურ გოგსაძე 26
თეა ბარბაქაძე 28
ეთერ ჭელიძე 30
გერონტი მესხი 32
თენგიზ ფანცულაია 34
ნაირა უგულავა (ნია გორდელი) 36
ლია ჩიქოვანი 38
ნელი გიუნაშვილი 41
ქეთი სვიმონიშვილი 42
ანზორ შერვაშიძე 45
სულიკო ჯამელაშვილი 48
ვასო ყაჭიაშვილი 51
მანანა შიოშვილი 56
ნელი საღინაძე 58
მირანდა ზაბახიძე 60
დარეჯან მაჭარაშვილი 62
ვერიკო პარწიკანაშვილი 65
იოსებ ტაბიძე 68
ლალი სოხაძე 69
მთვარისა ზეინკლიშვილი 70
ნანა ცინცაძე 72
დავით ძნელაძე 74
მადონა კისკეიძე-ქორიძე 76
დავით მოდებაძე 78
ლალი ორმოცაძე 80
ეთერ გაჩეჩილაძე 81
ირინოლა ტყეშაველი (ირინა ხურციძე) 86
მაგული ჯინჯიხაძე-გამთენაძე 88
მანანა ბრაჭული 92
დეზი ემანულიძე 94
ხათუნა ჩიტაძე 96
მარი ჟღენტი 98
ეთერ ბერიშვილი 100
თამრო ნიუარიძე-გენელიძე 102
ლიანა კაკუბავა 104
მაგული კორძაია 105
მალვინა ჭელიძე 108
მარეხი რიკაძე 110
გიგი თეთრაძე 112
იზოლდა მოშიაშვილი 114
რომან ღლონტი 115
ლეილა ვადაჭკორია 116
ნანა გიგუაშვილი 118
ვალია კვაშილავა 122
მანანა სამყურაშვილი 124
თინა სტეფლიანი 127
მარინა კოლხელი 128
მზია გომართელი 130
მარიამ სარიშვილი 132
ეთერ ისაკაძე 136
გულნაზ ხარაიშვილი (ცისკარელი) 136

სვანური ზღაპრები

გოჩა ჭელიძე 147

ხაბავშვო განყოფილება

ნათია დაშნიანი 155
ცაგო აბაშმაძე 156

არდავიწყება მოღვაწეთა

მეუფე თადეოზი (მირიან იორამაშვილი) 162
ბეჟან ხარაიშვილი 163
დათო გამთენაძე 164

პროზა

რევაზ მიშველაძე 165
ელგუჯა მგელაძე 171
ირმა კეკელიძე 180
მაყვალა გონაშვილი 184

ნელი საღინაძე 190
ლალი სოხაძე 193
ლიანა კაკუბავა..... 194
ლია ნოზაძე 169
ნათელა სამუშია 197
ელისო ცანავა 203
გულნაზ ხარაიშვილი (ცისკარელი) 205

წერილები

ლუარა სორდია 220
თეიმურაზ ფანჯიკიძე 226
ხათუნა ელიაშვილი..... 229

სიგრძნის სკივრი

ნაირა უგულავა (ნია გორდელი) 232
გონების ზღვარზე

ფილოსოფია, ფსიქოლოგია, ლოგიკა

დავით ყანდაშვილი 235
რა არის ადამიანის ცხოვრების კრედო?!

შემეცნებითი ხამყარო

ნაირა უგულავა (ნია გორდელი) 237
ბრალის თეორია

ისტორია

ნიკო ხერკელაძე 240
ნათია მახათაძე..... 244
სიმონ ზაქარაია 248

ხამართალმცოდნეობა

ლალი ჩოდრიშვილი 251

ეკონომიკა

ვალერი მოსიაშვილი, მარიამ დეკანოსიძე 254

ხელოვნება

ლელა კობერიძე..... 259
ირმა კეკელიძე 261

4 მაისის შთაგეჭდილებები

მაგდა გელმახიანი..... 268
სოფო ივანიშვილი..... 269
მარიამ გრძელიშვილი 270
ვაჟიკო სამხარაძე 271
ლიზი ზაგახიძე 273
მარიამ ხომასურიძე 274
რუსუდან დოღაძე 275
ტატო ტოგონიძე 276
სოფო ივანაშვილი..... 277
ზვიად სამყურაშვილი..... 277
აკაკი სამყურაშვილი..... 278

გახსენება

ლამზირა შეყილაძე..... 279
ლელა სხირტლაძე..... 280
გულნაზ ხარაიშვილის 281

მილოცვა

გულნაზ ხარაიშვილის იუბილე 283

ავტორთა საყურადღებოდ

ჟურნალი „ათინათი“ არ მიიღებს პოლიტიკურ წერილებს და არც სხვათა მისამართით საქილიკო მასალებს, ჟურნალი არის სამეცნიერო შემეცნებითი, მოიცავს ყველა დარგს, თესავს: სითბოს, სიყვარულს, სიკეთეს... მეტი ყურადღება ეთმობა მეცნიერებასა და საზღვარგარეთთან ურთიერთობების საკითხებს.

შეგიძლიათ მასალები გადმოგზავნოთ იმეილით gulnazi5@bk.ru

მასალები მიიღება ელექტრონული სახით, საბოლოო სამუშაო Word-ის გაკორექტირებული ფაილი. რედაქცია პასუხს არ აგებს ავტორების გადმოგზავნილ მასალებზე.

შემოწირულობა ჩარიცხეთ შემდეგ ანგარიშზე:

თიბისი ბანკი

საბანკო კოდი – TBCBGR 22

მიმღების დასახელება – შპს „ჯუმბერ ლეჟავას სახელობის საერთაშორისო მეცნიერებათა აკადემია.“

ანგარიშსწორების ნომერი – GE05TB7698236080100014

ტელ: 593 65 79 21

გარეკანის პირველ გვერდზე „წმინდა ნინო“, რეზო ადამიას შექმნილი ხატი და ბოლო გვერდზე ხატი „დედა ღვთისმშობელი ყმით“.

ჟურნალ „ათინათის“ დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი:
გულნაზ ხარაიშვილი
რედაქტორი: ნანა სხირტლაძე

პასუხისმგებელი მდივანი: ემელიანე (რეზო) ადამია – მხატვარი, პროზაიკოსი

აკადემიის სწავლული მდივანი: მალხაზ ჩხიტუნიძე — ეკონომისტი

რელიგიის განყოფილების მთავარი რედაქტორი: მამა ამირან ამირანაშვილი
საერთაშორისო ურთიერთობის განყოფილების რედაქტორები:
თეა კანდელაკი (აშშ მოქალაქე) – პოეტი, თემურ გოგსაძე – ადვოკატი, პოეტი,

ფიზკულტურისა და სპორტის განყოფილების
რედაქტორი: თენგიზ ფანცულაია — სამართალმცოდნე

სამეცნიერო განყოფილების რედაქტორები: ტიტე მოსია და ლუარა სორდია – პროფესორები.
ლიტერატურისა და პუბლიცისტიკური წერილების განყოფილების რედაქტორი: ეთერ ჭელიძე.

ხელოვნების განყოფილების რედაქტორები:
ნიკო ხერკელაძე – მხატვარი, პუბლიცისტი და გულიადა სანოძე – მსახიობი.
მედიცინის განყოფილების რედაქტორები: ნაირა უგულავა – ექიმი (პოეტი),
ლეილა გაფრინდაშვილი – ექიმი (პოეტი), დავით სხირტლაძე ექიმი (პოეტი).
ეკონომიკის განყოფილების რედაქტორი ვალერი მოსიაშვილი – პროფესორი.
იურიდიული განყოფილების რედაქტორი ირაკლი ნადარეიშვილი — სამართალმცოდნე, პროფესორი (პოეტი).

რედკოლეგიის წევრები:
ბრუნო თრიბურგი (საფრანგეთი) – მოგზაური
იური მამედოვი (აზერბაიჯანი) – მოგზაური
მარინე სხირტლაძე-საქართველოს პარლამენტის ილია ჭავჭავაძის სახელობის ეროვნული ბიბლიოთეკის მთავარი სპეციალისტი.
ლამზირა შეყილაძე — პოეტი
კომპიუტერული უზრუნველყოფა – დათო ყანდაშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, აკაკი წერეთლის გამზირი,
პოლტავას აკადემია, III სართული, მეხუთე ოთახი.
ტელეფონი: 593 65 79 21;
შეგიძლიათ მასალები გადმოგზავნოთ ელექტრონული ფოსტის მისამართზე:
gulnazi5@bk.ru

გამომცემლობა „საარი“